ომის ისტორია

ანზორ ოქროშიძისთვის



გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2019

ეს წიგნი ანზორ ერქომაიშვილის ნაწერების ერთგვარი „რჩეულია“. რასაკვირველია, მან ვერ დაიტია ყველაფერი საუკეთესო, რაც გამოჩენილი მუსიკოსის კალამს შეუქმნია. წიგნი მაინც სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ საიდან მოდის ანზორ ერქომაიშვილი, როგორ აგრძელებს სახელოვან წინაპართა გზას, რარიგ უფრთხილდება, ეძიებს, აღადგენს და ინახავს ჩვენი ერის ერთ-ერთ ყველაზე ფასდაუდებელ განძს – ქართულ ხალხურ სიმღერას, იუნესკომ კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური კულტურის შედევრად რომ აღიარა...

რედაქტორი
იოსებ ჟუმბურიძე

მხატვარი
გიორგი წერეთელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფნაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019

© ა. ერქომაიშვილი

ISBN 978-9941-25-720-9

ჩა, ჩობოჩ ღა ვინ, ანუ შემოქმედის დაბადება მუსიკის სივიდან

წინათქმა

ამ წიგნის ავტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნებაა, მაგრამ ეს წინათქმა ამერიკული გამოცემისთვისაც იწერება და ამიტომაც მისი წარდგენა აუცილებელია.

ანზორ ერქომაიშვილი გამოჩენილი მუსიკოსია – მომღერალი და ლოტბარი, სიმღერების შემქმნელიც და შემსრულებელიც; სხვადასხვა ქვეყნის არქივებში მიმობნეული უნიკალური ჩანაწერების მომძიებელი და გამომცემელი; მსოფლიოში სახელგანთქმული ანსამბლების – „რუსთავისა" და „მართვეს" დამაარსებელი...

დაინტერესებული ამერიკელი მკითხველი მას უკვე იცნობს წიგნით „ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი", რომელიც თავის სახელოვან წინაპარს, ასევე, ცნობილ მომღერალსა და ლოტბარს მიუძღვნა.

ანსამბლი „რუსთავი", სრულიად ახალგაზრდამ, 1968 წელს დააარსა.

50 წლის განმავლობაში, ანსამბლმა 80 ქვეყანაში 6 ათასამდე კონცერტი გამართა, კომპაქტდისკებზე ჩაწერა და ალბომების სახით გამოსცა 900-ზე მეტი სიმღერა...

საგასტროლო შთაბეჭდილებები კი ანზორ ერქომაიშვილის არაერთ წიგნშია ასახული.

***

არა მხოლოდ ბაბუა, ანზორ ერქომაიშვილის თითქმის ყველა წინაპარი გამოჩენილი მომღერალი იყო.

მომღერალ-მგალობელთა ეს დინასტია 300 წელს ითვლის და ანზორ ერქომაიშვილი მის მეშვიდე თაობას განასახიერებს.

დაახლოებით 40 წლის წინათ, მოსკოვის არქივებში მუშაობისას, მან მიაკვლია 1934 წლით დათარიღებულ „პატეფონის" ფირფიტას, რომელზეც ერთ-ერთი უძველესი ქართული ხალხური სიმღერაა ჩაწერილი. პირველ ხმას ასრულებს ანზორის პაპა(დიდი ბაბუა) – 94 წლის გიგო ერქომაიშვილი, „გამყივანს" – 12 წლის დავით ერქომაიშვილი (მამა), ხოლო ბანს – 48 წლის არტემ ერქომაიშვილი (ბაბუა).

აი, საიდან მოდის ანზორ ერქომაიშვილი!

***

ერქომაიშვილთა დინასტიამ საქართველოს მისი ერთ – ერთი უპირველესი განძი და სიმდიდრე – მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერა შემოუნახა. ეს ის ფენომენია, იუნესკომ კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად რომ აღიარა.

„უკვდავია ქართული სიმღერა, ბაბუ“, – ეუბნებოდა არტემ ერქომაიშვილი უსაყვარლეს შვილიშვილს, რომელსაც ანდერძად ამ ხელიხელსაგოგმანები მარგალიტის მოვლა – პატრონობა დაუტოვა.

შვილიშვილმა პირნათლად შეასრულა სახელოვანი ბაბუის დანაბარები: არა მხოლოდ უპატრონა ქართულ ხალხურ სიმღერას, არა მხოლოდ მოიძია და გამოსცა უცხოეთის არქივებში გაბნეული უნიკალური ჩანაწერები, არამედ ისინი მთელს მსოფლიოსაც გააცნო.

ამ სიმღერებს ტაშს უკრავენ მსოფლიოს სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზებში.

მათი მოსმენით აღტაცებულ მაყურებელთა შთაბეჭდილებები ტომეულებს შეავსებდა.

„აღმაფრთოვანებელია ტალანტი და ოსტატობა, რომელსაც ამჟღავნებენ ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლები, მოცეკვავეები და ინსტრუმენტალისტები.“ – წერდა „ნიუ იორკ ტაიმსი“ (07. 04. 1990), ბროდვეიზე, თეატრ „ბიკონში“გამართული კონცერტის შემდეგ.

გერმანიაში ჩასული ანსამბლი „რუსთავი“ იქაურმა მუსიკისმცოდნემ მაყურებელს ამ სიტყვებით წარუდგინა: „ქართველები ის ხალხია, ღმერთს სიმღერით რომ ელაპარაკებიან.“

***

ანზორ ერქომაიშვილმა ეროვნულ განძს – ქართულ ხალხურ სიმღერას სამშობლოშიც უპატრონა და მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომაც ადარებენ წინა თაობების წარმომადგენელ დიდ ქართველებს.

„გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული მუსიკალური ენის, ჩვენი მრავალხმიანობის გადარჩენისა და პოპულარიზაციისათვის გაწეული მსახურების გამო, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელი მომავალში ღირსეულად მოიხსენიება ისეთი დიდი მოღვაწეების გვერდით, როგორებიც არიან: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიმონ ქორიძე, ექვთიმე კერესელიძე, ძმები კარბელაშვილები, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი“ – წერენ პროფესიონალი მუსიკოსები გიორგი დონაძე და სვიმონ ჯანგულაშვილი.

***

უამრავი ქვეყნის მსმენელი აღუფრთოვანებია ქართულ მრავალხმიანობას – რიცხობრივად მცირე ერის დიდი შემოქმედებითი გენიის ნაყოფს.

შემთხვევით არ წერდა მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი ლირიკოსი:

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“...

ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი, საიდანაც ეს სტრიქონები დავიმოწმეთ, ანზორ ერქომაიშვილის მშობლიურ კუთხეს – გურიას ეძღვნება.

***

ქართული პოლიფონიის ფენომენს ფრიდრიხ ნიცშეც რომ გასცნობოდა, ალბათ, მასაც ესქილესეული დიდებული მზერით შეხედავდა და აღტაცებას ასე გამოხატავდა:

„მაგრამ ისიც მითხარი, უცხოელო, რამდენი უნდა ეტანჯა ამ ხალხს, რომ ესოდენ მშვენიერი გამხდარიყო!?"

ქართველმა ერმა, სამიათასხუთასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, მართლაც ბევრი იტანჯა და არაერთი მშვენიერება შექმნა.

ერთ – ერთი მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერაა.

***

როცა ანსამბლ „რუსთავს" საფრანგეთში მოუსმინეს, პრესაში ჩვენზე, ქართველებზე, დაწერეს:

„ისინი ბედნიერები არიან იმიტომ, რომ მაყურებელი ტაშს უკრავს მათი სამშობლოს სულის ნაწილს."

ამ წიგნის ავტორიც სამშობლოს სულის ნაწილია – იმის თვალსაჩინო დადასტურება, რომ სამშობლოს/მუსიკის/სიმღერის სულიდან დიდი შემოქმედისა და მოღვაწის დაბადებაა შესაძლებელი...

***

რამდენიმე სიტყვით – თვითონ წიგნზე:

შეიძლება, ითქვას, რომ ეს ანზორ ერქომაიშვილის ნაწერების ერთგვარი „რჩეულია". ის რვა კარისგან(თავისგან) შედგება.

პირველი თავი ასეა დასათაურებული: „სათავეებთან."

აქ ავტორი თავის წინაპრებზე და უცხოეთის არქივებში მიმობნეული ქართული ჩანაწერების ძიებაზე გვიამბობს;

მეორე თავი: „საგასტროლო გზებზე."

უზარმაზარი საგასტროლო რუკიდან აქ მხოლოდ ორი ქვეყანაა გამოყოფილი: საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები;

მესამე თავი: „დაუვიწყარი შეხვედრები."

ეს თავი საინტერესო პიროვნებებთან შეხვედრებზე მოგვითხრობს;

თავი მეოთხე: „ბედი კაცისა."

აქ განსაკუთრებული მხატვრული ექსპრესიითა და ემოციით აღბეჭდილ ეტიუდებს ნაიკითხავთ...

მეხუთე თავი: „ხმანი უცნაურნი."

აქ გაეცნობით ქართული ხალხური სიმღერის უნიკალურ შემსრულებელთა შთამბეჭდავ პორტრეტებს;

თავი მეექვსე: „ძვირფასი სილუეტები:"

აქ წაიკითხავთ საინტერესო ესეებს, რომლებიც გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებსა და საოპერო მომღერლებს გაგაცნობთ;

მეშვიდე თავი: „სიმღერის გადასარჩენად."

ამ თავში გაცხადებულია ავტორის მრწამსი: „თუ გვინდა, ხალხური სიმღერა შევი-

ნახოთ, ის ბავშვებს უნდა ვასწავლოთ და შევაყვაროთ.“ მკითხველი დაინახავს, თუ როგორ განსხეულდა ეს მრწამსი საბავშვო ანსამბლის „მართვეს“ შექმნასა და მის დიდ წარმატებაში;

ბოლო თავს „ნაფიქრალები“ ჰქვია.

აქ თავმოყრილია ფიქრები, მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და მრავლისმნახველ პიროვნებას სხვადასხვა დროს რომ ჩაუნიშნავს.

ეს ერქომაიშვილისეული თავმდაბლობით აღბეჭდილი სენტენციებია, ისეთი ოსტატობითა და ლაკონიური ფორმით გამოთქმული, ამ ჟანრისგან ხორხე ლუის ბორხესი რომ მოითხოვდა.

***

როცა ერთ დიდ მხატვარს ჰკითხეს, რა უფრო მნიშვნელოვანია ხელოვნებაში – რა? თუ როგორ? – ასეთი პასუხი მიიღეს: „ვინ!“

შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ ამ წიგნში სამივე თანაბრად მნიშვნელოვანია.

იოსებ ჭუმბურიძე,
პუბლიცისტი, ჟურნალისტიკის დოქტორი,
პროფესორი

ქარი I

საფუძვლად

სიმღერა ადამიანის სულის ყვავილია...



ჩემი ნინაპარი

გიგო ერქომაიშვილი

ბაბუაჩემი არტემ ერქომაიშვილი[1] ბევრს მიამბობდა ძველი მომღერლების შესახებ, მიამბობდა იმ ანსამბლზე, რომელიც გურიის სოფელ მაკვანეთში 1860-იან წლებში შეიქმნა, მამამისის – გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლმა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთმა პირველმა ჩაწერა სიმღერები „გრამოფონის“ ფირფიტებზე. ახლა, როცა პირველი ქართული გრამფირფიტების გამოცემიდან ერთი საუკუნე გავიდა, კარგად ჩანს ის გზა, რომელიც ქართულმა ხალხურმა სიმღერამ XX საუკუნეში განვლო.

[1] ცნობილი მგალობელ-მომღერალი და ლოტბარი, ვისაც ანზორ ერქომაიშვილმა მიუძღვნა დიდტანიანი წიგნი – „ჩემი ბაბუა – არტემ ერქომაიშვილი“, რომელიც აშშ-ში გამოიცა, ინგლისურ ენაზე (2018 წ.).

XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდნენ ძველი თაობის საუკეთესო მომღერლები, რომლებმაც ურთულესი პოლიტიკური კატაკლიზმების დროს ყველაფერი იღონეს ხალხური სიმღერის გადასარჩენად.

იმ პერიოდში აიკრძალა საგალობლები და საერთოდ, ყველა სიმღერა, რომლებშიც ღმერთი იყო ნახსენები. კოლექტივიზაციის პერიოდიდან ჩვენ ფოლკლორს ბევრი ყალბი მუსიკა შეერია. შეიქმნა სიმღერები კომპარტიაზე, კოლექტივზე, ბელადებზე და სხვ. შეიცვალა ძველი სიმღერების სიტყვიერი ტექსტები, სიმღერამ ყოფიდან სცენაზე გადაინაცვლა.

მერე, როცა ქართული ხალხური სიმღერა საქართველოს საზღვრებს გასცდა, მუსიკალური სამყარო აალაპარაკა მის უნიკალურობაზე და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. როცა ცნობილმა გერმანელმა მუსიკისმცოდნემ ზიგფრიდ ნადელმა ევროპული მრავალხმიანობის წარმოშობის საფუძვლად ქართველი პოლიფონია მიიჩნია, როცა იგორ სტრავინსკიმ უმაღლესი შეფასება მისცა გურულ სიმღერებს და ამერიკელებმა კოსმოსური ხომალდით გალაქტიკაში „ჩაკრულო" გაუშვეს, როცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიქმნა გუნდები, რომლებიც ქართულად მღერიან, უცხოელ მუსიკოსებს ეჭვიც კი გაუჩნდათ ასეთი მაღალი დონის პოლიფონიური სიმღერების წმინდა ხალხურობასა და ხელშეუხებლობაზე.

გაჩნდა საშიშროება, რომ ჩვენი მამაპაპური სიმღერები, რომლებიც სათავეს უძველესი დროიდან იღებს, მომავალ საუკუნეებში შეიძლება შეკეთებულად ჩათვალონ, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება XX საუკუნის დასაწყისში პირველ „გრამოფონის" ფირფიტებზე ჩაწერილ სიმღერებს. ეს ფონოჩანაწერები ნივთიერი საბუთია იმისა, თუ როგორი იყო ჩვენი სიმღერები დაახლოებით ორი საუკუნის წინათ, რომ იგი ნამდვილად ხელშეუხებელია და ქართველი ხალხის გენიის გამოვლინებაა.

* * *

1970-იან წლებში მოსკოვის ფონოარქივში მივაკვლიე 1907 წელს ჩაწერილ ოთხხმიან გურულ ნადურს. მოგვიანებით, ამ ნადურის ფირფიტას ლონდონის არქივშიც მივაგენით. ოთხხმიანობა, ასეთი განვითარებული სახით, მსოფლიოს მუსიკალურ ფოლკლორში უნიკალური მოვლენაა და იმ პერიოდის ფონოჩანაწერებში სხვაგან არსად გვხვდება. ეს ფონოჩანაწერი იმითაცაა საინტერესო, რომ მისი შემსრულებლები ნამდვილი გლეხები იყვნენ. ამიტომ იგი წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორი სახით სრულდებოდა ნადური ყანაში მე-19 საუკუნეში, სანამ მას საკონცერტო ესტრადაზე გადაიტანდნენ.

ეს ნადური ჩაწერილია სოფელ მაკვანეთის ანსამბლის მიერ ჩემი წინაპრის გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

ლონდონის არქივის თბილისურ კატალოგში, რომელიც 1907 წელსაა გამოცემული, დაბეჭდილია ამ ანსამბლის მიერ ჩაწერილი 49 სიმღერის დასახელება და მათი შემსრულებლების გვარები. ამ სიმღერებს შორის ზოგიერთი ჩვენთვის უცნობია, ან უცნობი ვარიანტია. ამ კატალოგის მიხედვით მოვიძიე გრამფირფიტები, მაგრამ ზოგიერთს ვერ მივაკვლიე. მაგალითად: „ცანი ყოვლად ღირსებით", „განვიწმინდოთ საცნობლად", „აღდგომისა დღე არს" (საგალობლები). სიმღერები: „შავი შაშვი ჩიოდა", „გურული ნანა", „აბა დარუჯან" და სხვა.

განსაკუთრებით დასანანია საგალობლების დაკარგვა, ვინაიდან იმ პერიოდის

ფონოჩანაწერებში ეს იშვიათი განძი ცოტა მოგვეპოვება. იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში ეს დაკარგული სიმღერებიც შეიძლება გამოჩნდეს.

მოსკოვის არქივებში მიყაკვლიე ჩემთვის მეტად საინტერესო „გრამოფონის“ ფირფიტას, რომელიც 1934 წლითაა დათარიღებული. ამ ფირფიტაზე ჩაწერილია სიმღერა „ადილა“, სადაც პირველ ხმას ასრულებს 94 წლის გიგო ერქომაიშვილი, „გამყივანს“ – 12 წლის დათიკო ერქომაიშვილი (მამაჩემი), და ბანს – 47 წლის არტემ ერქომაიშვილი (ბაბუაჩემი). მაშინ პირველად მოვისმინე ერქომაიშვილთა სამი თაობის მიერ შესრულებული სიმღერა, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

1983 წელს, „რუსთავთან“ ერთად, საგასტროლოდ მივემგზავრებოდი საფრანგეთში. კონოსტუდიასთან შემხვდა ძველი კონოდოკუმენტალისტი, ბატონი შალვა ხომერიკი. შენთვის სიურპრიზი მაქვს, – მითხრა მან, – მოსკოვში წავაწყდი 1934 წელს ჩემს მიერ გადაღებულ ამიერკავკასიის პირველი ოლიმპიადის კინომასალებს, სადაც გიგო ერქომაიშვილი შვილთან და შვილიშვილთან ერთად ასრულებს სიმღერა „ადილას“.


მე ვთხოვე ბატონ შალვას ეთქვა, თუ სად ინახებოდა ეს უნიკალური კინოფირი.

– რად გინდა, ერთ კვირაში მოსკოვში მივდივარ, იმ ფირს გადავაბეჭდინებ და ჩამოგიტან. – მიპასუხა რეჟისორმა.

საფრანგეთიდან ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი და მაშინვე ბატონ შალვას მივაკითხე კინოსტუდიაში. მითხრეს, რომ იგი ორი კვირის წინათ უეცრად გარდაიცვალა.



გიგო, არტემ და დათიკო ერქომაიშვილები, 1934 წელი



დავით (დათიკო) ერქომაიშვილი, უკანსაკნელი ფოტო

ამის შემდეგ რამდენჯერმე წავედი მოსკოვში და „ადილას“ ფონოჩანაწერს მივაკვლიე, კრასნოგორსკის კინო-ფოტო არქივში ის კინოფირი ვეძებე, მაგრამ ვერაფრით მივაგენი. ძალიან კი მაინტერესებდა კინოეკრანზე მენახა ჩემი წინაპრები, ვიმედოვნებ, იქნებ ოდესმე მაინც გამოჩნდეს სადმე.

* * *

თბილისში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში მუშაობდა ერთი შესანიშნავი პიროვნება, ბატონი სიმონ ბოლქვაძე. მე მასთან ხშირად დავდიოდი და იგი ყოველთვის მაწვდიდა ჩემთვის საჭირო მასალებს. ერთხელ, როცა სოსო ჩხაიძის ფილმ „შვიდკაცასათვის“ ძველ ფოტოსურათებს ვეძებდით, ბატონმა სიმონმა გვითხრა, რომ მან მიაკვლია 1934 წლისა ამიერკავკასიის პირველ ოლიმპიადაზე გადაღებულ ფოტონეგატივებს, რომლებზეც აღბეჭდილი არიან არტემ ერქომაიშვილის გუნდის წევრები: კარგად მახსოვს, რომ გიგო ერქომაიშვილმა შვილთან და შვილიშვილთან ერთად შეასრულა სიმღერა „ადილა“, რითაც მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია, ერთ-ერთ ფოტოზე სწორედ ეს სამეულია გადაღებულიო, – მითხრა ბატონმა სიმონმა და შემპირდა, რომ ამ ფოტოებს დამიბეჭდავდა და გადმომცემდა. როცა გადაღებიდან დავბრუნდით, ბატონი სიმონი ცოცხალი აღარ დაგვხვდა. რამდენიმე დღის შემდეგ მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნელიმ გადმომცა დიდი კონვერტი, რომელშიც სწორედ ის ფოტოები იდო, ბატონი სიმონი რომ დაპირდა. ეს კონვერტი თურმე მისი გარდაცვალების შემდეგ უნახავს ქალბატონ ნელის ბატონი სიმონის სამუშაო მაგიდაზე. კონვერტს მისივე ხელით ეწერა: „ბატონ ანზორ ერქომაიშვილს“.

ახლა ვუსმენ მოსკოვში მიკვლეულ ფონოჩანაწერს, სადაც ჩემი წინაპრები „ადილას“ მღერიან და მაგიდაზე მიდევს ბატონი სიმონ ბოლქვაძის მიერ ნაჩუქარი ფოტოსურათები. ამ სურათში მამაჩემი ჩემს შვილზე პატარაა, მას ჩაქურა აცვია და სევდიანი გამომეტყველება აქვს.

მე მამა მახსოვს როცა იგი არტემ ბაბუას გუნდის სოლისტი იყო. იგი – მთელს სოფელს უყვარდა. ერთ დილას სამსახურში მიმავალმა გამაღვიძა მომეფერა და მითხრა: საღამოს რომ მოვალ, ერთი კარგი სიმღერა უნდა გასწავლოო. საღამოს მამა აღარ დაბრუნდა, იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მაშინ მამა 32 წლის იყო. მთელი სოფელი გლოვობდა მამაჩემს. გლოვის ნიშნად, სოფელში 40 დღე რადიო არავის არ ჩაურთავს.

მაგიდაზე მიდევს მისი ბოლო ფოტოსურათიც, სწორედ ასეთი მახსოვს იგი, ახალგაზრდა, წარმოსადეგი. დრო გადის, მამაჩემი კი არ ბერდება, მე ახლა მამაზე უფროსი ვარ. მისგან ორი სიმღერის ფონოჩანაწერი შემორჩა მხოლოდ, ერთი სწორედ ის „ადილაა", სადაც თავის მამასთან და ბაბუასთან ერთად „გამყივანს" მღერის და, მეორეც, 1951 წელს ჩაწერილი „ხასანბეგურა", რომელშიც იგი ბანის პარტიას ასრულებს.

ბაბუაჩემი – არტემ ერქომაიშვილი დიდებული ლოტბარი და მგალობელ-მომღერალი იყო. იგი ნამდვილი „ხიდი" აღმოჩნდა ძველ და ახალ თაობებს შორის. მან, მგალობელთა სკოლის ბოლო წარმომადგენელმა, პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძის თაოსნობით, 104 საგალობლის ცალ-ცალკე ხმები ჩაწერა თბილისის კონსერავატორიაში, ეს არის ფასდაუდებელი საგანძური ფოლკლორისტებისათვის.

არტემმა თავის ძმებთან ლადიკოსა და ანანიასთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში. ძმებმა ერქომაიშვილებმა, საბჭოთა ტოტალიტარიზმის სასტიკ ხანაში, უდიდესი როლი შეასრულეს ძველი გურული სიმღერების მოძიება-გადარჩენა-აღორძინებაში და ახალგაზრდა თაობების აღზრდაში.

მათი მამა – გიგო ერქომაიშვილი მე-19 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მგალობელ-მომღერალი და ლოტბარი იყო. ბატონი სიმონ ბოლქვაძის მიერ ნაჩუქარი ფოტოებიდან გრძელი წვერით დამშვენებული მისი კეთილი სახე შემოგყურებთ. სწორედ ასეთი მახსოვს იგი. მან საუკუნეს გადააბიჯა და 107 წლის გარდაიცვალა.

ახლა, როცა ჩემი წინაპრების ფოტოებს ვუყურებ და მათ სიმღერებს ვუსმენ, მათთან გატარებული წლები მაგონდება. როგორ მომნატრებიან, როგორ მინდა ახლა



გრიკოლ ჩხიკვაძე და არტემ ერქომაიშვილი, 1965 წ.

მათთან სიმღერა და საუბარი. რამდენი რამ შეიცვალა მათ შემდეგ, მაგრამ მთავარი, რაც მათ ყველაზე მეტად გაახარებდათ, არის ის, რომ ქართული ხალხური სიმღერა გადარჩა და მსოფლიო აღიარებაც მოიპოვა. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს XX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე-მომღერლებმა, რომელთა შორის ჩემს წინაპრებსაც ღირსეული ადგილი უჭირავთ.

* * *

ჩვენს გვარს 300 წლის მუსიკალური ტრადიცია აქვს. მე მისი მეშვიდე თაობა ვარ. ბაბუაჩემის გადმოცემით, ჩვენი მუსიკალური მეხსიერება გიგო ერქომაიშვილიდან იწყება. მე იგი კარგად მახსოვს, ამიტომ შევეცდები, აღვადგინო ყველაფერი და გიამბოთ მის შესახებ, რაც ვიცი და რაც სხვებისგან გამიგონია.

როცა გიგო ერქომაიშვილი პირველად ვნახე, ალბათ, ხუთი წლის თუ ვიქნებოდი. მაშინ ჩვენ ბათუმში ვცხოვრობდით და სოფელ მაკვანეთში ჩამომიყვანეს. ჭიშკართან შემოგვეგება მოხუცი კაცი, რომელსაც გრძელი თეთრი წვერი ჰქონდა. იგი ცალი ხელით თითქმის თავის სიგრძე ჯოხს ეყრდნობოდა, ხოლო მეორეში ქარვის კრიალოსანი ეჭირა. მე დამამახსოვრდა მისი ღიმილიანი, კეთილი სახე. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცხელოდა, მას ტანზე თბილად ეცვა.

– რა არის, გიგო ბაბუა, ქვეყანა იწვის და შენ კიდევ პალტო ჩაგიცვამს, – უთხრა მამაჩემმა და გადაკოცნა.

– ეჰ, ჩემო ბაბუა, თქვენ ახალგაზრდები ხართ და სისხლი გიდუღთ, მე კიდევ სისხლი გამიშრა და ამიტომ მცივა, ხუმრობა ხომ არაა, 105 წელი შევასრულე, – თქვა მან. მე მაშინ არ ვიცოდი, რამდენი იყო 105 წელი, მაგრამ მის დამჭკნარ და ჭორფლიან ხელებს რომ დავხედე, მივხვდი, რომ იგი არტემ ბაბუაზე უფროსი იქნებოდა. იგი ჩემთან მოვიდა, დაიხარა და შუბლზე მაკოცა. მისმა თეთრმა წვერმა მთელი სახე დამიფარა, ამიტომ მას „თეთრი ბაბუ" შევარქვი.

– მამა, – უთხრა არტემ ბაბუამ, როცა ოდაში შევედით, – „გრამოფონის" ფირფიტები ჩამოგიტანე ბათუმიდან, სამუელი მღერის, ჩავლეიშვილი და მისი ჯგუფი. შენი ანსამბლის ჩაწერილი სიმღერებია კიდევ, – ჩემმა მომღერლებმა მომიტანეს ბათუმში.

„თეთრ ბაბუას" გაეღიმა და წვერზე ჩამოისვა ხელი, მერე ჯოხს დაეყრდნო, ადგა და თავის ოთახში შევიდა. იქ მაგიდაზე იდგა ყავისფერი ყუთი, რომელზეც უზარმაზარი „ძაბრი" იყო მიმაგრებული. ბაბუა არტემმა ეს „ძაბრი" ჩვენკენ შემოატრიალა, ქაღალდის კონვერტიდან ამოიღო შავი ფირფიტა, რომელსაც ფრთიანი ანგელოზი ეხატა და ყავისფერ ყუთზე დადო, მერე რკინის პატარა სახელური რამდენჯერმე გადაატრიალა და ფირფიტაც დატრიალდა. ჯერ შრიალი გაისმა, მერე ვიღაცის ხმა: „გიგო ერქომაიშვილო, ერთი მელქისედეკ მახარაძის ხელხვავი ბრძანე, მელქისედეკ მახარაძის", – და გაისმა სიმღერა. ასეთი რამ ჯერ არ მენახა, უცებ წარმოვიდგინე, რომ ყავისფერ ყუთში ჭინკებივით პატარა ადამიანები ისხდნენ და ჭყაოდნენ. შემეშინდა და მამაჩემს მივეკარი.

– ნუ გეშინია, ეს „გრამოფონია", ამაზე უკრავენ ფირფიტებს, რომლებზედაც გიგო ბაბუას და მისი ამხანაგების ხმებია ჩაწერილი, – მითხრა მამამ.

სიმღერა გათავდა და სანამ ბაბუა არტემი „გრამოფონზე" მეორე ფირფიტას დადებდა, მე „თეთრ ბაბუას" გავხედე, მას ჩამოსდიოდა ცრემლები, რომლებიც თეთრ წვერზე მიგორავდნენ. ჩვენ რამდენიმე სიმღერა კიდევ მოვისმინეთ და ოთახიდან გა-

მოვედით. მე პირველად ვნახე „გრამოფონი“ და იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ შიგ პატარა კაცები ისხდნენ, რომ მეშინოდა და სადაც „გრამოფონი“ იდგა, იმ ოთახში მარტო აღარ შევდიოდი.

ამასობაში სუფრა გაშალეს და სადილად მიგვიწვიეს. „თეთრ ბაბუას“ დაუდგეს პატარა ტუჩმოტეხილი დოქი, რომელსაც თავზე სიმინდის ფუჩეჩი ეხურა. ის ფუჩეჩი ღვინოს გაეწითლებინა. მან წელში გამოყვანილი პატარა ჭიქა აიღო, შიგ წითელი ღვინო დაისხა, პირჯვარი გადაიწერა, მაღლა აიხედა და „მშვიდობას გაუმარჯოსო“, – თქვა. მერე ღვინო მოსვა, წვერზე ხელი ჩამოისვა, ჩაახველა და „ჩვენ მშვიდობა“ წამოიწყო.

ბათუმში ჩვენს ოჯახში ბევრი სტუმარი მოდიოდა და ეს სიმღერა არაერთხელ მომისმენია, მაგრამ მიეხვდი, რომ „თეთრი ბაბუ“ რაღაც სხვანაირად მღეროდა. როგორ „სხვანაირად“ ამის გარჩევა მე არ შემეძლო, მაგრამ „დამწყებს“ რომ ყველასგან განსხვავებულად მღეროდა, ამას მივხვდი.

სიმღერა რომ დაამთავრეს, მამაჩემმა „თეთრ ბაბუას“ აკოცა და უთხრა: ღმერთმა კიდევ ასი წელი ნუ მოგვიშალოს შენი ტკბილი ხმაო, მერე თავი მოიწონა და ჩემზე მიანიშნა: – ახლა აი ბაღანა ვამღეროთო. – მოი, ბაბუა, ჩემთან, შენ დეიწყე და მე მოგეხმარები, – მითხრა მშვიდად „თერთმა ბაბუმ“ და მუხლზე დამისვა. მე პატიჟი არ დამიწყია, „მასპინძელსა მხიარულსა“ შემოვძახე. „თეთრმა ბაბუმ“ ცოტა მაცალა და მოგვიანებით მომაშველა „მოძახილი“, მამაჩემმა ბანი გვითხრა. „თეთრი ბაბუ“ ყურადღებით ისმენდა ჩემს სიმღერას, თან ისე მორგებულად მეუბნებოდა მოძახილს, ვიწრო ხიდზე მიმავალ კაცს რომ ხელს შეაშველებენ, ამიტომ სხვა ხმებისგან აცდენის არავითარი საშიშროება არ მიგრძვნია და სიმღერა ომახიანად დავამთავრე.

– „გეიზარდე, ბაბუა ჩემი ხნის“, – მითხრა „თეთრმა ბაბუმ“, – მერე შუბლზე მაკოცა, სუფრიდან ჯანჯუხა აიღო და მომცა. ეს იყო ჩემი პირველი ჯილდო სიმღერისათვის.

* * *

სოფელში რამდენიმე კვირა დავრჩით. „თეთრ ბაბუს“ გვერდიდან არ ვშორდებოდი, იგი მიყვებოდა საინტერესო ამბებს, რაც თავს გადახდენია და გაუგია. მიყვებოდა ზღაპრებს, თან ხილსა და ჯანჯუხას არ მაკლებდა (კანფეტი მაშინ არ იშოვებოდა). მე მას ძალიან შევეჩვიე. ერთ დღეს სიმღერა მასწავლა: „დიდი ხნიდან გაგიცანი, ღვთისგან ნუ მოგეცეს ვაი“, – ვკიოდი რაც შეიძლებოდა, ხმამაღლა. – ამ სიმღერას ღიღინი უხდება, ბაბუ, რაც უფრო ხმამაღლა იმღერებ, სხვის ხმებს ვერ გეიგონებ და სიმღერას გააფუჭებ, – მშვიდად მითხრა „თეთრმა ბაბუმ“ და თვითონვე მაჩვენა, როგორ უნდა მემღერა. მას სუსტი, მაგრამ ძალიან ტკბილი ხმა ჰქონდა. ამის შემდეგ აგერ ნახევარი საუკუნე გავიდა და მისი ღიღინი ახლაც ყურში მაქვს ჩაბეჭდილი.

მერე ჩვენთან ჩემი თანატოლი ბიძაშვილი – ირაკლი ჩამოვიდა. ახლა სამნი ვიყავით. „თეთრი ბაბუ“ ანბანს გვასწავლიდა. რომ დავიღლებოდით, ხის ძირში ჩამოჯდებოდა დაბალ სამფეხა სკამზე და გვამღერებდა, მერე ზღაპრებს გვიამბობდა, თან ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა. ხანდახან გამოცანებსაც გვეკითხებოდა. ერთხელ გვკითხა: აბა, თუ იცით, ვინ დადის დილით ოთხფეხზე, შუადღეს ორ ფეხზე, ხოლო საღამოს სამ ფეხზე? ჩვენ ვერ გამოვიცანით. „თეთრმა ბაბუმ“ გაიღიმა, წვერებზე ხელი ჩამოისვა და გვითხრა: ბავშვი რომ დეიბადება, ოთხზე დადის, როცა გეიზრდება, – ორ

ფეხზე, ხოლო როცა მოხუცდება, ჩემსავით მესამე ფეხად ჯოხს ხმარობსო.

პირველ კლასში რომ შემიყვანეს, ანბანი თითქმის ვიცოდი. მასწავლებელს – მარგალიტა სალუქვაძეს უკვირდა, ასე ადვილად როგორ ითვისებო, მე ვუთხარი – ასოები „თეთრმა ბაბუმ“ მასწავლა-მეთქი. როცა სკოლაში ყველა ანბანი შევისწავლეთ, „თეთრმა ბაბუმ“ მითხრა, აბა, ახლა მე გიკარნახებ და შენ ერთი ლექსი ჩაიწერეო. მე რვეული ავიღე და საწერ-კალამი მოვიმარჯვე. იგი მკარნახობდა, მე ჩემი ბატიფეხურით ნელ-ნელა გამომყავდა ასოები უჯრედებიან რვეულში. ასოები გლახად დათესილ ყანასავით მიმოფანტულიყო რვეულის ფურცელზე. ერთი სტროფი ლექსი ერთ გვერდზე დავტიე, წერას, ალბათ, ერთი საათი მოვუნდი. როცა დავამთავრე, „თეთრმა ბაბუმ“ მითხრა: ეს ლექსი შეინახე, ბაბუ, როცა დიდი გაიზრდები, სიმღერაში გამოიყენე და მერე მიხვდები მის მნიშვნელობასო. მე საჩვენებელი თითით ვეძებდი თითოეულ ასოს და დამარცვლით ნელ-ნელა ვკითხულობდი:

„რა კარგია საწუთრო, ასე გამატარებდეს,
ვინც მე მიყვარს, იმას რომ ჩემს თავს შეაყვარებდეს,
ვისაც მე არ ვუყვარვარ, ახლოს არ მაკარებდეს,
და უდროოდ სიბერეს რომ არ შემაპარებდეს“.

მას არ დაუზუსტებია, ეს ლექსი საიდან ისწავლა, მეორე დღეს ლექსი ზეპირად ვიცოდი და გაკვეთილზე მარგალიტა მასწავლებელს სხაპასხუპით წავუკითხე. მან თავზე ხელი გადამისვა და შემაქო.

* * *

ერთ საღამოს სიცხემ ამიწია. ძმრით დამზილეს, თავზე კეჟერა ფხალის ფოთოლი დამაფინეს, მაგრამ სიცხემ არ დამიწია და როცა მთელ ტანზე წითლად გამომაყარა დიაგნოზიც დამისვეს – „წითელა“ (წითელბატონები).

ჩემი საძინებელი ოთახი წითელი ნაჭრებითა და ფერადი ყვავილებით მორთეს, დამინთეს ბაზმა (შაქარმოყრილი ნიგოზი და საკმეველი), რომელიც წვის დროს სასიამოვნო სუნს გამოსცემდა. თავზე შემომავლეს „შესაწირავი“ – ჭრელი ყვინჩილა, რომელიც მამაჩემმა წაიყვანა და ეკლესიის ეზოში გაუშვა. მერე ბებიაჩემი მარიამი მოვიდა ჩემთან, ვარდისწყალი მაპკურა და ჩემი სიგრძის თაფლის სანთელი დამინთო, შემდეგ ჩემს სასთუმალთან მუხლებზე დადგა და ლოცვებს ბუტბუტებდა. სიცხემ იმდენად შემაწუხა, რომ ბოდვა დავიწყე. მახსოვს, ჩემთან მოვიდნენ „თეთრი ბაბუ“, არტემ ბაბუ და მამაჩემი. არტემ ბაბუს ხელში ჩონგური ეჭირა, ჩონგურის თავზე წითელი ბანტი იყო გამონასკვული. ისინი სასთუმალთან დაბალ სკამზე ჩამოსხდნენ. არტემ ბაბუმ ჩონგურის სიმებს ჩამოჰკრა ხელი და სიმღერა დაიწყეს;

„ბატონებო მოუოხეთ, მოუოხეთ, ბატონებო,
ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰფენია,
თეთრი ტანისამოსებით მობრძანდებიან ბიჭები,
ლამაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰფენია,
ბატონებს ეხვეწებიან, ეხვეწებიან ბატონებს,
შემოგწირავ იას და ვარდს და დაგინთებ წმინდა ბაზმას,
თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი მორბის, თიკანმა იხტუნა,
გაუხარდათ ბატონებსა და უცბად პირი იბრუნა“.

იწვოდა თაფლის სანთელი, იდგა ბაზმის საოცარი სურნელი, მომღერლები ღვთაე-



გიგო და არტემ ერქომაიშვილები. 1946 წ.

ბრივად მღეროდნენ. არ ვიცი, სიმღერის მელოდიამ იმოქმედა თუ სხვა რამემ, თანდათან დავმშვიდდი, მერე თვალები მიმელულა და ჩამეძინა. ძილში საოცარი სიზმარი ვნახე: ყვავილებით გადაპენტილ მინდორში ვიდექი, გრძელი თეთრი პერანგი მეცვა და ხელში ანთებული თაფლის სანთელი მეჭირა. ჩემს ირგვლივ თეთრი ბატკნები ძოვდნენ ბალახს. ციდან თეთრწვერა მოხუცი ჩამოეშვა, მას თავზე სანთლებით ანთებული

გვირგვინი ედგა და ხელშიც თაფლის სანთელი ეჭირა. ამ მოხუცში მე „თეთრი ბაბუ" შევიცანი. მან აუჩქარებლად გარეკა ჩემს ირგვლივ მყოფი ბატკნები, მერე სამჯერ პირჯვარი გადამწერა და გაუჩინარდა.

არ ვიცი, რამდენხანს მეძინა, მაგრამ, რომ გამომეღვიძა, სიცხე აღარ მქონდა, მალე სიწითლემაც გამიარა.

მოგვიანებით, როცა კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, ბაბუა არტემი მიამბობდა იმ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო სიმღერებთან და საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ. მაშინ გავიგე პირველად, რომ სიმღერა გურიაში ითვლებოდა ერთ-ერთ განმკურნებელ საშუალებად და რომ მას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ისეთი ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა „ყვავილი", „ყივანახველა", „წითელა" და სხვა. მე მაშინ გამახსენდა ის რიტუალი, რომელიც ჩემმა წინაპარმა გიგო ერქომაიშვილმა ჩაატარა ჩემს განსაკურნავად და ის საოცარი გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა.

მოგვიანებით, ჩემმა პედაგოგმა ბატონმა შალვა ასლანიშვილმა მითხრა: აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ბაბილონის კედელზე არსებულ ავგაროზის გამოსახულებასა და ზემოხსენებულ რიტუალს შორის არსებობს კავშირი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ბატონებო" ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

* * *

ბაბუა არტემი ბევრს მიამბობდა ჩვენს გვარზე, მიამბობდა, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წიანპრები და საიდან მოვიდა გიგო ერქომაიშვილი.

გიგოს თავისი მამისაგან გაეგონა, რომ მისი წინაპრები იყვნენ გიორგი და თომა ერქომაიშვილები (უფრო ადრე ვინ იყვნენ, არ ახსოვდა), რომ ისინი სოფელ ასკანაში ცხოვრობდნენ და სახელგანთქმული მომღერლები იყვნენ. გიორგი ადრე გარდაცვლილა, დარჩენია შვილი – თომა მეუღლითა და პატარა ივანეთურთ. ივანეს, თურმე, განსაკუთრებული ნიჭი დაჰყვა სიმღერაში. ჰქონდა იშვიათი ხმა – „გამყივანი" და სიმღერით ანცვიფრებდა მსმენელს. ერთხელ ასკანაში ქორწილი იყო, ტელემაკ ასათიანი ქალს ათხოვებდა ქვემო აკეთში, სოფრომ მგელაძეზე. მაშინ წესად იყო, მაყრად აგზავნიდნენ საუკეთესო მომღერლებს, რათა დამხვდურებს გაჯიბრებოდნენ, ამიტომ ლხინი უსიმღეროდ არ შეიძლებოდა და, თუ სოფელში კარგი მომღერლები არ იყვნენ, მასპინძელი მათ სხვა სოფლიდან მოიპატიჟებდა.

აკეთლებს ტრადიციულად კარგი მომღერლები ჰყავდათ, ასკანელებიც ღირსეულად დახვდნენ, მაგრამ აჯობეს აკეთლებმა. გაბრაზდა მასპინძელი ტელემაკ ასათიანი და ბრძანა: „სასწრაფოდ მომიძებნეთ პატარა ივანე ერქომაიშვილი და აქ მომგვარეთ!". შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ივანე მოიყვანეს ქორწილში. მისმა „გამყივანმა" შეძრა იქაურობა, განცვიფრდა სიძე, თავისთან მოიხმო ივანე და საკადრისად დაასაჩუქრა. ასკანელებმა აჯობეს აკეთლებს. შეზარხოშებულმა სიძემ შეჰკადრა სიმამრს, – ამისთანა მომღერალი ჯერ არ მომისმენიაო. თუ ასე მოგეწონა, შენი ფეშქაში იყოსო, – უთხრა ასათიანმა და აჩუქა სიძეს თავისი პატარა ყმა. ასე მოაშორეს ივანე მშობლებს და წაიყვანეს აკეთში, სოფრომ მგელაძის კარზე, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს. სოფრომ მგელაძის ოჯახში ივანეს ისე ზრდიდნენ, როგორც საკუთარ შვილს, ასწავლეს წერა-კითხვა, ხელსაქმე, მიაბარეს გამოცდილ მომღერლებს. მათთან

დაოსტატდა ივანე და უმისოდ, თურმე, აკეთსა და მახლობელ სოფლებში არც ერთი დღესასწაული არ ჩატარდებოდა.

დავაუკაცდა ივანე, ცოლად შეირთო პინაშვილის ქალი. მათ შეეძინათ სამი ვაჟი; ბეგლარი, მიხეილი და გიგო. ივანე შვილებს მომღერლებად ზრდიდა, მაგრამ არ დასცალდა. ჯერ ბეგლარი და მიხეილი დაიღუპნენ სახადით, მალე მათ მშობლებიც მიჰყვნენ და დარჩა გიგო უპატრონოდ. ნათლიამ, სოფრომ მგელაძემ, იკისრა მისი მეურვეობა, თავის ოჯახში გადაიყვანა და უპატრონა. გიგოს მამისაგან ჰქონდა სიმღერები შესწავლილი, მაგრამ, როცა წამოიზარდა, აკეთელ მომღერლებთან უფრო დაოსტატდა და მთელ სოფელში გამორჩეული მომღერალი გახდა. უხაროდა სოფრომ მგელაძეს, რომ გიგოს მამის ნიჭი დაჰყვა სიმღერაში, რადგან მან მეტად მტკივნეულად განიცადა თავისი ერთგული ყმის – ივანე ერქომაიშვილის ოჯახის ტრაგედია. სოფრომის მეუღლე დედობრივ ზრუნვას არ აკლებდა გიგოს, მაგრამ მას, ეტყობა, აქაც არ ჰქონდა ბედი. მისი დედობილი მალე გარდაიცვალა და გიგო ისევ უპატრონოდ დარჩა. სოფრომს ჰყავდა და, სახელად ჯაჯიკი, რომელიც სოფელ მაკვანეთში იყო გათხოვილი აზნურ ნაოსა იორაშვილზე. სოფრომმა სთხოვა თავის დას, აღეზარდა გიგო.

ჯაჯიკმა და ნაოსამ შვილივით მიიღეს გიგო. იგი ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა და ჯაჯიკის შვილებთან ერთად იზრდებოდა.

ჯაჯიკი ფრიად განსწავლული და მთელს სოფელში ჭკუასაკითხავი ქალი გახლდათ. იყო კარგი მწიგნობარი და მოლექსე. მას იმ დროისათვის შესაფერი ბიბლიოთეკაც ჰქონდა. კარგად იცოდა პოეზია და მეტად სასაიამოვნო მოსასმენი იყო თურმე, როცა ჩონგურზე დააღილინებდა ძველ ქართულ ლექსებს. ჯაჯიკი გიგოსაც ასწავლიდა წერა-კითხვას თავის შვილებთან ერთად და მათ „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა.

ჯაჯიკს გიგო ხშირად დაჰყავდა აკეთში, სადაც იგი თვეობით რჩებოდა და მღერადა აკეთელ მომღერლებთან. მათგან განსაკუთრებით კარგად შეისწავლა „ნადურები“.

გიგოს ბავშვობიდანვე ფათერაკები დაებედა: ერთხელ აკეთში პატარა გიგოს თხები გაატანეს მოსამწყემსად. საღამოს ქარბუქი ამოვარდა, გაწვიმდა კიდეც. გიგომ გზა ველარ გაიგნო და თხები დაკარგა, მერე მგლების ყმუილიც შემოესმა, ელვა-ჭექასა და ქარბუქში ერთი გამოქვაბული ნახა და იმას შეაფარა თავი. მთელი ღამე ეძებდნენ მას სოფრომი და მისი მეგობრები. დილით იპოვეს თხების გამოხრული ძვლები. სოფრომმა თავში შემოირტყა ხელი, – ეს რა მომივიდა, ალბათ, ბიჭიც მგლებმა დაგლიჯესო, – კაცის ხმა რომ გაიგონა, გიგო გამოქვაბულიდან გამოვიდა და დაიძახა, ნუ გეშინიათ, აგერ ვარო.

ერთხელ, როცა ნაოსა და ჯაკიკი სახლში არ იყვნენ, გიგოსთან მოვიდა კონია ცეცხლაძე და სთხოვა, – დათვმა სიმინდი გამიჩანაგა ზემო გოგიეთში და ღამის გასათევად ყანაში წამომყევიო.

კონიას ფლიდი კაცის სახელი ჰქონდა სოფელში, მას არ ენდობოდნენ, ვინაიდან უპირო კაცი იყო და ბევრი ცოდვაც ჰქონდა ჩადენილი, – მას ღალატსა და ახალგაზრდების ტყვედ გაყიდვაშიც სდებდნენ ბრალს. გიგომ ხათრი ვერ გაუტეხა და გაჰყვა კონიას ყანაში. როცა ნაოსა დაბრუნდა და გიგო მოიკითხა, უთხრეს კონიამ წაიყვანაო. გაცეცხლდა ნაოსა, – გამიყიდის ბაღანას მაგი შეჩვენებულიო – თქვა, შეკრიბა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და წავიდა ტყეში, სადაც კონიას ყანა ეგულებოდა. გოგიეთის ტყესთან ახლოსაა აჭარის მთები და იქიდან თურქეთში გადასვლაც იოლია. ნაოსა ჩქარობდა. ტყისპირას კოცონი შენიშნეს. ცხენები დაბლა დატოვეს და ფეხით

აუყვნენ ბილიკს. კონია და გიგო ცეცხლს მისხდომოდნენ და ჭყინტ სიმინდს წვავდნენ. მეორე მხარეს სამი თურქი იჯდა. ნაოსამ კონფლიქტს თავი აარიდა და გიგო დატუქსა, – როგორ წამოხვედი სახლიდან, როცა საქონელი ტყიდან ჯერ არ დაბრუნებულა, ახლავე წამომყევი და მომანახვინეო. კოწიამ როცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაინახა, ველარაფრის თქმა ველარ გაბედა. ნაოსამ წამოიყვანა გიგო.

ასე გადარჩა გიგო თურქეთში ტყვედ გაყიდვას. რაც შეეხება კოწიას, მან შემდეგშიაც ბევრი ცოდვა ჩაიდინა, მერე, ეტყობა, ცოდვებმა შეაწუხეს, ჭკუიდან გადადგა. სახლში ჩაიკეტა, თავზე ნავთი გადაისხა და სახლთან ერთად დაიფერფლა.

ერთხელ გიგო აკეთში იყო ნათესავებთან. იქიდან რომ ბრუნდებოდა, სოფელ შემოქმედთან შემოალამდა. გზა ტყეზე გადიოდა და გავლა საშიში იყო, რადგან ტყეში ბევრი ნადირი ბინადრობდა და კაცი არაფრისგან იყო დაზღვეული.

შემოქმედში ახლობლები ჰყავდა, მაგრამ აღარ გაჩერდა, ნაოსასგან ფილთა თოფი და სატევარი ჰქონდა ნათხოვარი, ცხენიც კარგი ჰყავდა, ეტყობა, ცოტა ბახუსმაც შეაგულიანა და გზა განაგრძო.

მთვარიანი ღამე იყო. გზა კარგად ჩანდა. შუაგზაზე არ იქნებოდა მისული, როცა მგლების ყმუილი შემოესმა. ცხენი შედგა. შორიახლო ციცინათელებივით აკიაფდნენ ცხოველების თვალები. აშკარა იყო, რომ მგლების ხროვა შეხვდა. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, ცხენი ერთიანად ცახცახებდა. გიგომ თოფი გადმოიღო და, სადაც მეტი თვალები ანათებდნენ, იქეთკენ გაისროლა. მგლები დროებით დაფრთხნენ. ამასობაში გიგო ჩამოქვეითდა, სატევრით მოჭრა დიდი ხმელი ტოტი, რომელსაც გურიაში „ფარჩხს" ეძახიან და ცხენს გამოაბა კუდზე, მერე სატევარი იშიშვლა და ცხენი გააჭენა. „ფარჩხმა" ისეთი ხმაური ატეხა, რომ მგლებმა უკნიდან თავდასხმა ველარ გაბედეს, წინ კიდევ სატევარს იქნევდა და შიგადაშიგ შეჰკივლებდა კიდეც. ცხენს გული მიეცა და ჭენებით გაიყვანა გიგო სამშვიდობოს. მგლებმა ცოტა ხანს სდიეს და თავი დაანებეს.

გიგო დავაჟკაცდა, 20 წლისა იქნებოდა, როდესაც გაიცნო ახალგაზრდა მომღერალი, რომელიც შესანიშნავად მღეროდა „გამყივანს", ეს იყო გიორგი ბაბილოძე, ისინი დამეგობრდნენ და სიკვდილამდე აღარ მოშორებიან ერთმანეთს. მათ შეიამხანაგეს თავიანთი სოფლელი გიორგი იობიშვილი და შექმნეს იშვიათი ტრიო, რომელიც მომავალი ანსამბლის ბირთვი გახდა.

გიორგი ბაბილოძეს ჰყავდა და, სახელად ეგვიტი, რომელიც კარგი მომღერალი და ჩონგურზე იშვიათი დამკვრელი გახლდათ. გიგომ ეგვიტი ცოლად შეირთო. ნაოსამ და ჯაჯიკმა თავიანთი მამულიდან გამოუყვეს ერთი ჰექტარი მიწა გიორგი ბაბილოძის მახლობლად, მერე ოდა სახლის აშენებაც გადაწყვიტეს და საშენი მასალის დამზადებასა და გამოტანაშიც დაეხმარნენ. რამდენიმე დღე ისმოდა გორმაღალის ტყეში „ელესა", რომელსაც გიორგი იობიშვილის „დამწყები" და გიორგი ბაბილოძის „გამყივანი" ამშვენებდა, ასე გამოჰქონდათ გიგო ერქომაიშვილისთვის საშენი მასალა („ელესას" ტყიდან საშენი მასალის ან საწნახელის გამოტანის დროს მღერიან).

ერთ საღამოს ტყიდან რომ დაბრუნდნენ, ეგვიტიმ უთხრა: გიგო, დათა იყო, იორაშვილი, რამდენიმე წაბლის ხე მოგიტანა და თქვა გიგოს ჩემგან ფეშქაშად ჰქონდესო. დათა იორაშვილი ნაოსას ძმა იყო, იგი განდეგილად ცხოვრობდა მარტოდმარტო. უცნაური კაცი იყო დათა, სახლიც ჰქონდა, კარიც, მაგრამ მაინც საწნახელში იძინებდა თივაზე. იგი მეტად გულმოწყალე კაცი იყო, უბოროტო, სამართლიანი, მშრომელი, მაგრამ საზოგადოებაში არ გამოდიოდა, თუ რატომ, დღემდე არავინ იცის.



გიგო ერქომაიშვილის დიდი ოჯახი

ააშენა გიგომ სახლი და აინთო ერქომაიშვილების კერა სოფელ მაკვანეთში. ჯა-ჯიკმა საოჯახო საჩუქრები მოუტანა გიგოს, ნაოსამ კარგი ცხენი აჩუქა, სოფრომ

მგელაძემ ერთი უღელი ხარი გამოუგზავნა აკეთიდან. ეგვიტი იშვიათი მეოჯახე ქალი გამოდგა და ცხოვრობდნენ ტკბილად, როგორც იმ დროს შეეფერებოდა.

გიგოს და ეგვიტის ათი შვილი შეეძინათ: კალმანე, პახუმა, მარიამი, ილიკო, ლისა, არტემი, ანეტა, ანანია, ლიზიკო და ლადიკო. ყველა არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული.

ბავშვებს სიმღერებს მამა და ბიძა – გიორგი ბაბილოძე ასწავლიდნენ. როცა წამოიზარდნენ, გიგოს ოჯახური გუნდის მოსმენას, თურმე, არაფერი სჯობდა.

* * *

1870-იან წლებში გიგოს, გიორგი ბაბილოძისა და გიორგი იობიშვილის ტრიო მთელ გურიაში იყო ცნობილი. გიგო სიმღერებს ასწავლიდა მეზობელ სოფლებში, საიდანაც ნიჭიერი მომღერლები შემოიერთა: კვირიკეთიდან ივლიანე კეჭაყმაძე შეემატათ, ბახვიდან – ერმილე მოლარიშვილი, ხოლო მაკვანეთიდან – ნანიკო ბურძგლა და შეიქმნა მომღერალთა ანსამბლი, რომელიც რეგულარულად მოქმედებდა, რასაც ხელი შეუწყო ანსამბლის წევრთა ნათესაობამ და მეზობლობამ. მაკვანეთში ან მეზობელ სოფლებში მათ გარეშე ნადი ან რომელიმე დღესასწაული არ ჩატარდებოდა. ანსამბლი დღითიდღე პოპულარული ხდებოდა. ისინი ამდიდრებდნენ რეპერტუარს სიმღერა-საგალობლებით და საეკლესიო დღესასწაულებზე წირვის დროს მაკვანეთის ეკლესიაში გალობდნენ.

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი დაკომპლექტებული იყო გლეხებით, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მათი სიმღერა ნატურალური, ნამდვილი გლეხური იყო და მიწის სურნელი დაჰყვებოდა. ეს იყო თვითმყოფადი ანსამბლი, საკუთარი ხელწერითა და საშემსრულებლო მანერით, რომელიც ტემბრალურადაც ყველასგან განსხვავდებოდა. მოგვიანებით, ცნობილი მკვლევარი, ბატონი ვანო შილაკაძე თავის წიგნში დაწერს: „გურიაში ერთად ერთი ანსამბლი იყო, რომელსაც არავისი გავლენა არ განუცდია, ეს იყო გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი სოფელ მაკვანეთიდან. ეს ანსამბლი მეტად პოპულარული იყო იმ დროისათვის და ამდიდრებდა რეპერტუარს სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოტანილი ახალი სიმღერებით, რომლებსაც საკუთარი ინტერპრეტაციით ასრულებდნენ“ (ვ. შილაკაძე „ხალხური მუსიკის მოამაგენი“).

ერთხელ ივლიანე კეჭაყმაძემ ამბავი მოიტანა: ქობულეთის რაიონში ახალი სიმღერა უმღერიათ, რომელიც ჯერ გურიაში არავინ იცისო. გადაწყვიტეს, წასულიყვნენ აჭარაში და ეს სიმღერა შეესწავლათ.

გაიგეს, რომ ქაქუთში დიდი ქორწილი იყო, ხუცუბნიდან მოჰყავდათ ქალი. ცხადი იყო, ქორწილი უსიმღეროდ არ იქნებოდა და აუცილებლად შეასრულებდნენ ახალ სიმღერას. გადაწყდა, სიმღერის „მოსაპარავად“ წასულიყვნენ გიგო, გიორგი ბაბილოძე და გიორგი იობიშვილი. შემდეგში გიორგი ბაბილოძე ხუმრობდა, – ქორწილში დაუპატიჟებლად მივედით, მასპინძლებს მაყრები ვეგონეთ, ხოლო მაყრებს – მასპინძლებიო.

გაიმართა სუფრასთან ტრადიციული შეჯიბრი სიმღერაში მაყრებსა და მასპინძლებს შორის. ეს სიმღერები გურულ-აჭარული იყო და ჩვენების კარგად იცნობდნენ. ცოტა ხანში გამოიკვეთა, რომ ქაქუთლები ჯობნიდნენ ხუცუბნელებს. ხუცუბნელებმა ახალი სიმღერა წამოიწყეს: ჩვენმა მომღერლებმა ყურები ცქვიტეს და ყველამ თავის ხმას მიაყურა. გიორგი იობიშვილმა – „დამწყებს“, რომელსაც სიტყვიერი ტექსტი მიჰყავდა, გიორგი ბაბილოძემ – „გამყივანს“, ხოლო გიგო ერქომაიშვილმა – ბანს. სიმღერა მართლაც ძალიან ლამაზი იყო. მასპინძლებმა ველარ გაიმეორეს იგი. ნაშუაღამევს



გიგო ერქომაიშვილი



გიორგი ბაბილოძე



გიორგი იობაშვილი

კიდევ ერთხელ შეასრულეს უცნობი სიმღერა მაყრებმა და როცა გათენებისას, სუფრის წევრთა თხოვნით, შეასრულეს ეს სიმღერა მესამედ განმეორდა, ჩვენმა მომღერლებმა იგი უკვე ზეპირად იცოდნენ. ეს იყო – „ალიფაშა“.

გიგო და მისი მეგობრები აღარ დაელოდნენ ქორწილის დამთავრებას და ინათა თუ არა, სახლისკენ გამობრუნდნენ. როგორც კი გამოსცდნენ მასპინძლის ეზოს, მაშინვე წამოიწყეს „ალიფაშა“ და სახლში მისვლამდე ხშირად იმეორებდნენ (ქაქუთიდან მაკვანეთამდე 15-20 კმ-ია). მაკვანეთში მათ ანსამბლის წევრები ელოდებოდნენ. იმავე საღამოს, ელისე ანთელიძის ქორწილში შესრულდა ეს სიმღერა, რომელიც სწრაფად გავრცელდა გურიაში.

ასე „მოიპარეს“ მაკვანეთელებმა „ალიფაშა“ ხუცუბნელებისაგან.

* * *

იმ პერიოდის მომღერალთა გადმოცემით, გიგო ერქომაიშვილი გურული სიმღერების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და მასწავლებელი ყოფილა. „გურიის ბულბულად“ წოდებული. სამუელ ჩაველეიშვილის აზრით, „1860-70-იან წლებში გურული სიმღერები მოიძია, აღადგინა და თავი მოუყარა გიგო ერქომაიშვილმა, თორემ ბევრი სიმღერა დაიკარგებოდა, იგი ამ სიმღერების ნამდვილი პატრონია“. – ამიტომ იმ დროისათვის გურიაში თითქმის არ დარჩენილა მომღერალი, ურთიერთობა რომ არ ჰქონოდა გიგო ერქომაიშვილთან. მას დიდ პატივს სცემდნენ მომდევნო თაობის მომღერლებიც. ბევრი მათგანი საკონსულტაციოდ ან სიმღერის შესასწავლად დადიოდა მასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მენადურეები. გიგომ ყველა გურული ნადური იცოდა თავისი ვარიანტებითურთ. იმ დროს ბევრ სოფელს თავისი ნადური, ან მისი განსხვავებული ვარიანტი ჰქონდა, მაგალითად: „ჩოჩხათურა“, „ნიგოეთურა“, „ასკანურა“, „გურიანთულა“, „შემოქმედურა“, „საჯავახურა“ და სხვ. ნადურის მცოდნე კაცს დიდი დაფასება ჰქონდა, რადგან კოლექტიური შრომა ტრადიციად იქცა. თუ ოჯახი ყანას ნადის გარეშე დაამუშავებდა, მას „უპუროს“ უწოდებდნენ, ხოლო თუ ნადურის შემსრულებლები თავიანთ სოფელში არ ჰყავდათ, მათ სხვა სოფლებიდან იწვევდნენ. ხალხი მენადურეებთან ერთად სიხარულით მიდიოდა სამუშაოდ, რადგან შრომა უფრო ხალისიანი ხდებოდა. გარდა იმისა, რომ ნადური შრომას აადვილებდა, მას გასართობი

მნიშვნელობაც ჰქონდა. მე-19 საუკუნის ბოლოს ნადური იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოშიც კი ასრულებდნენ. ბევრმა ცნობილმა მომღერალმა ნადური არ იცოდა, ასეთ მომღერლებს ნადზე არ ეძახდნენ, მათ მხოლოდ ნადის შემდეგ პურმარილზე დაპატიჟებდნენ. ყანაში მუშაობის დროს, ნადურის გარდა სხვა სიმღერას არ იმღერებდნენ.

დილით დილის ნადურებს ასრულებდნენ, შუადღე რომ მოატანდა ჯოხს დაარჭობდნენ მზის გულზე და, როცა ჯოხს ჩრდილი გაუქრებოდა, ე.ი. მზე ზენიტს მიაღწევდა, შუადღის ნადურებს იმღერებდნენ, მერე „ზარმლის“ ნადურებს ასრულებდნენ („ზარმელი“ კვების პერიოდია სადილსა და ვახშამს შუა), „ზარმლის“ შემდეგ, საღამოს ნადურებს შეუდგებოდნენ, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ „ელესას“ მეორე ნაწილს შეასრულებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმდენი მოსავალი მოგეწიოთ, რომ ყანიდან მის გასატანად „ელესა“ დაგჭირვებოდეთო. მოკლედ, მთელი დღის განმავლობაში ყანაში ისმოდა გაბმული ნადურები. ნადური გლეხი კაცის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ამიტომ ნადურის შესწავლას ყველა ცდილობდა და გიგო ერქომაიშვილთან მენადურეების „ცოცხალი რიგი“ იდგა.

გურიაში ნადურის შემსრულებელს მომღერალისაგან თავისებურად განასხვავებდნენ: ლომინ ნაცვალაძეზე ამბობდნენ, მაგარი „შემხმობარია“, ხუთი კაცის ხმა აქვსო. გიორგი ბაბილოძეზე კი იტყოდნენ, მაგი რომ ნადურში „გამყივანს“ შემოსძახებს, ცხონებაა, მთელი დღე რომ ვიმუშაოთ, არ დევიღლებითო.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ნადურების შესრულების ტრადიცია, ამიტომ 1907 წელს ჩაწერილი ნადურის მნიშვნელობა ფასდაუდებელია.

გიგოსა და გიორგი ბაბილოძეს მდინარე ჩოლოქის პირას საყანე მიწები ჰქონდათ აღებული. მათ, თავიანთი ანსამბლის წევრების გარდა, სხვებიც ეხმარებოდნენ. ჩოლოქის მეორე მხარეს იყო აჭარლების ყანები, რომლებსაც ასევე ნადურის თანხლებით ამუშავებდნენ. დასავლეთ გურიის ნადური უფრო აჭარულთან დგას ახლოს, გურული ნადურის კარგი მცოდნე აჭარლებთანაც თავისუფლად იმღერებდა. ხანდახან ჩოლოქის პირას გურულები და აჭარლები ნადურებს ანტიფონურად ასრულებდნენ, ეს საუკეთესო სანახაობა იყო. აჭარლებს ბევრი ნადურები ჰქონდათ და კარგი მომღერლებიც ჰყავდათ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოფლების ქაქუთის, აჭყვისა და ლეღვას მომღერლები.

ერთხელ გიგო ერქომაიშვილს ნადი ჰყავდა მოწვეული მაკვანეთში, – ნაოსა იორაშვილის ნაჩუქარი დიდი ნაკვეთი იყო გასათოხნი. ის იყო დაიწყეს მუშაობა და ჯერ დილის ნადურიც არ ჰქონდათ ნამღერი, რომ შორიდან სიმღერა გაისმა, ხმა თანდათან ახლოვდებოდა, – აჭარლების სიმღერას ჰგავს მაგი, – თქვა გიორგი იობიშვილმა. თოხნა შეაჩერეს და მიაყურადეს სიმღერას, რომელსაც მწყობრად ასრულებდნენ მომღერლები.

ისინი მალე გამოჩნდნენ. ალი ტაკიძეს გაეგო, გიგოს ნადი ჰყავსო და ოცამდე მენადურე წამოეყვანა მაკვანეთში. მათ თოხები იქვე მდგარ თხმელას ყუით რამდენჯერმე შემოჰკრეს და ნადური „თეთრი ქორი ჭანდარზე“ დაიწყეს, ამას მოჰყვა „ქალი ვიყავ აზნაური“ და აგუგუნდა ნადურები, რომლებსაც 40-ზე მეტი კაცი ასრულებდა ანტიფონურად. მეზობლებმა გაიგეს, გიგოს აჭარიდან მენადურეები ესტუმრნენო და შეუდგნენ თადარიგს, რომ სტუმრებს საკადრისად დახვედროდნენ. გიგომ ხარი დაკლა, მეზობლის ქალები ეგვიტის ეხმარებოდნენ, ხოლო კაცები და ბავშვები ნადურების

მოსასმენად წავიდნენ ყანაში. ასეთი რამ მაკვანეთლებს ჯერ არ ენახათ, თითქმის მთელი სოფელი მოვიდა, ბევრმა თავისი ყანა მიატოვა და მენადურებს შეუერთდა. 100-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი, ამბობენ, ნადურებს ისე ომახიანად მღეროდნენ, რომ ხმა რამდენიმე კოლომეტრზე ისმოდაო. ივლიანე კეჭაყმაძემ დიდი ჯოხი ჩაარჭო მიწაში მზის გულზე და როცა ჯოხს ჩრდილი გაუქრა, ნადურში ასეთი ტექსტი გაერია:

„მიმინოსა მწყერი უყვარს, შევარდენსა ნადირობა,

თუ მასპინძელს ნადი უყვარს, აწი ქეა სადილობა“.

და მოიტანეს ქალებმა სადილი. შეისვენა ნადმა, გაიგრილეს სიცხისგან გახურებული გულები, მერე გაგრძელდა შუადღის ნადურები და, სანამ „ზარმლის“ ნადურს იმღერებდნენ, – გიგოს ყანას მორჩნენ და სხვა ყანებში გადავიდნენ სამუშაოდ. საღამომდე მთელი იმ უბნის ყანები გათოხნეს. მუშაობა ოქროპირ აბაშმაძის ყანაში დაამთავრეს, მერე ტრადიციისამებრ თოხებით მოზრდილი თხმელის ხეს გამოუთხარეს ძირი და წააქციეს. ბოლოს „ელესა“ იმღერეს და ამით მთელს სოფელს ამცნეს მუშაობის დამთავრება.

საღამოს გიგო ერქომაიშვილის ეზოში, ცაცხვის ძირში გაიშალა სუფრა და იყო შეჯიბრი გურულებსა და აჭარელ მომღერლებს შორის. სიმღერას დაიწყებდა ერთი ჯგუფი, შემდეგ მეორე გაიტანდა და შეჯიბრი დილამდე გაგრძელდა ისე, რომ სიმღერა არ განმეორებულა. „ალიფაშას“ თავისებურმა ინტერპრეტაციამ აჭარლებიც კი განაცვიფრა.

ამ ამბის შემდეგ დიდი დრო გავიდა. მე მახსოვს, მაკვანეთელი მოხუცები რა დიდი სიამოვნებით იგონებდნენ იმ საოცარ ნადურებს, რომელთა მსგავსიც შემდეგ აღარ მოუსმენიათ.

* * *

ის ტერიტორია, სადაც ახლა ზემო მაკვანეთის სასაფლაოა, ადრე თავად ნაკაშიძეებს ეკუთვნოდათ. ეს იყო მათი საზაფხულო რეზიდენცია. იგი მართლაც ულამაზესი ადგილია. ერმილე ნაკაშიძე 1859 წელს დაიბადა. მან განათლება უცხოეთში მიიღო, საიდანაც აგრონომის სპეციალობით დაბრუნდა. ერმილემ პირველმა შემოიტანა ჩაის კულტურა საქართველოში. ჯერ თავის მამულში, ხოლო შემდეგ გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში გააშენა. სოფელ ზვანში, მიხეილ ნაკაშიძესთან ერთად, ჩაის ფაბრიკა ააგო, სადაც გამოუშვა პირველი ქართული ჩაი, სახელწოდებით „ერმილ-იტა“. გარდა ჩაისა, მან გააშენა ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, თამბაქო, დაფნა და სხვა სუბტროპიკული მცენარეები, უცხოეთიდან გამოიწერა და თავის საზაფხულო რეზიდენციაში დარგო სხვადასხვა ჯიშის სუბტროპიკული მარადმწვანე ხეები და იქაურობა ნამდვილ სამოთხეს დაამსგავსა.

ერმილე ნაკაშიძემ ჯერ სოფელ მაკვანეთში გახსნა პირველი ოთხწლიანი სკოლა, ხოლო შემდეგ ოზურგეთში დააარსა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მევენახეობა-მეღვინეობას და სხვა.

სოფელ მაკვანეთში ნაკაშიძეებს ჰქონდათ საზაფხულო დასასვენებელი სახლი, მრავალნაირი გასართობითა და სათამაშოებით: კეგლი, საქანელა და სხვ. ზაფხულობით იმ ეზოში ბევრი სტუმარი იყრიდა თავს, მათ შორის უცხოელებიც და იყო ერთი მხიარულება. გიგო ერქომაიშვილი ხშირად მონაწილეობდა ამნაირ ზეიმებში, რისთვისაც მას ნაკაშიძეებმა „აზატობა“ უბოძეს და ყოველგვარი გადასახადისგან



ერმილე ნაკაშიძე მეუღლესთან (ივლიტა ასათიანი) და შვილებთან (თინა და რუსუდანი) ერთად

გაათავისუფლეს. თავადი ნაკაშიძეები ზრუნავდნენ გლეხებზე და მათ ყოველნაირად ხელს უწყობდნენ.

ერთხელ გიგოს, თურმე, ნაკაშიძის კაცმა მოაკითხა, მეტად საპატიო სტუმრები ჰყავს პარიზიდან და გთხოვს, შენი მომღერლებით უნდა მასახელოო.

თამადის ყველა სადღეგრძელოს შესაბამისი სიმღერა მოსდევდა და როცა გიორგი ბაბილოძემ „შვიდკაცაში" „გამყივანი" შემოსძახა, სტუმრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ფრანგები სიმღერის კარგი შემფასებლები აღმოჩნდნენ, მათ შორის ერთი ქალბატონი პროფესიონალი მუსიკოსი იყო. მან თქვა, რომ მსგავსი რამ არასოდეს მოუსმენია და დასძინა, ეს სიმღერები საფრანგეთმა და მთელმა ევროპამ უნდა გაიცნოსო. მერე აიღო ქაღალდი, ზედ სანოტო ხაზები გაავლო და სცადა გიორგი ბაბილოძის „გამყივანის" დაფიქსირება, მაგრამ, როცა არაფერი გამოუვიდა, თქვა, ამ სიმღერის ნოტებზე ჩაწერა შეუძლებელიაო. იდგა 1890-იანი წლები, გრამოფონი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული. ფრანგების თხოვნით, მომღერლებმა არაერთხელ გაიმეორეს სიმღერები. მეორე დღეს ფრანგებმა მასპინძელს უთხრეს, რომ ეს იყო მათი საუკეთესო მუსიკალური შთაბეჭდილება, რაც კი ოდესმე განუცდიათ. გახარებულმა თავადმა გიგოს აჩუქა ერთი ჰექტარი მინა, ერთი უღელი ხარი, რამდენიმე ძროხა და ღორი, ასევე, საუკეთესო ფილთა თოფი და დამბაჩა. ასეთი საჩუქარი მრავალშვილიანი ოჯახისთვის დიდი შენაძენი იყო და გიგოს ოჯახმაც სული მოითქვა.



ლისა ერქომაიშვილი

დაიზარდნენ გიგოს შვილები, მათი ოჯახური გუნდის მოსმენას მართლა არაფერი სჯობდა, მაგრამ მათ ბედნიერებასაც დაედო ზღვარი. ჯერ პახუმა გარდაიცვალა სახადით, მერე – კალმანე და ილიკო. როცა პახუმას საფლავს თხრიდნენ, მეორე საფლავიც გაუთხრიათ, რადგან ლისა სასიკვდილოდ იყო გადადებული და იფიქრეს, ამაღამ მაინც ვერ გააღწევსო. სახლში რომ მობრუნდნენ, თურმე, ლისა ლოგინზე წამომჯდარი დახვდათ, იგი აღტაცებული უყვებოდა შინაურებს, რაც სიზმარში ნახა: მიდიოდა უდაბნოში მარტოდ-მარტო. ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო, მერე მიადგა ოაზისს, სადაც ლამაზი ხეები ყვაოდნენ და უცნაური ჩიტები გალობდნენ. ხეებს შორის არაჩვეულებრივი სილამაზის ფრთიანი ანგელოზები დაფრინავდნენ. ლისა შევიდა იმ ოაზისში და რას ხედავს: ხალხი პატარ-პატარა ეზოებში გამოფენილა, ეზოები ყვავილნარებით იყო დაფარული, ყველას სუფრა ჰქონდა გაშლილი და ისმოდა სიმღერები. ლისა მიდიოდა ამ ეზოებს შორის და თავის ძმას პახუმას ეძებდა. თავზე ფრთიანმა ანგელოზმა გადაუფრინა და წინ წარუძღვა, ლისა ბაღს მიადგა, ბაღი საოცრად ლამაზად ყვაოდა, ხეებზე სირინოზები ისხდნენ და გალობდნენ, ეზოში დაბალ სუფრასთან რამდენიმე

კაცი იჯდა და ქეიფობდა, ერთი მათგანი პახუმა იყო. ლისას დანახვაზე პახუმა ადგა და მისკენ წამოვიდა. – აქ რა გინდა შენ? – ვინ დაგპატიჟა, აქ შენი ადგილი არ არის, ახლავე უკან წადი, – შენთან მინდა, – უპასუხა ლისამ. ჩემთან ჯერ ადრეა, ჩემთან 72 წლის შემდეგ მოხვალ, – უპასუხა პახუმამ, მკლავში ხელი მოკიდა და ჭიშკრამდე გამოაცილა. ლისას გაეღვიძა და პახუმას დაუწყო ძებნა. – პახუმა აქ არაა, – უთხრა დედამ. – როგორ თუ არაა, ამ წუთში ერთად ვიყავით, – უპასუხა ლისამ და ტირილი დაიწყო.

მას შემდეგ ლისას სოფელში საიქიოდან მობრუნებულს ეძახდნენ და ბავშვებს მისი ეშინოდათ. თუმცა იგი არაჩვეულებრივად კეთილი და სათნო ქალი იყო. მახსოვს ამ ამბავს ლისა ბაბუდა ჩვენც გვიამბობდა, მე იგი ძალიან მიყვარდა, ვინაიდან თბილად გვექცეოდა და ბავშვებისთვის საჩუქრად სულ ჰქონდა ჯანჯუხა ან ხილი. რომ წამოვიზარდე, დავინტერესდი, თუ რატომ უთხრა პახუმამ ლისას, ჩემთან 72 წლის მერე მოხვალო და ბაბუა არტემთან დავადგინე პახუმას გარდაცვალების წელი. ლისა ზუსტად 72 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

* * *

ერთ დღეს გიგოს, მასიკო სალუქვაძე ესტუმრა. მასიკო წარმოშობით სოფელ ლიხაურიდან იყო, იმხანად თბილისში ცხოვრობდა, სამკერვალო ატელიები ჰქონდა და შეძლებულ კაცად ითვლებოდა. იგი სიმღერის დიდი ტრფიალი გახლდათ და ცოტას თვითონაც მღეროდა.

გიორგი ბაბილოძემ თავისი ბიჭი, სილოვანი, აფრინა გიორგი იობიშვილთან – გიგოს თბილისიდან კაცი ესტუმრაო. სანამ პურ-მარილი მზადდებოდა, მომღერლებმაც მოიყარეს თავი.

სუფრას გიორგი ბაბილოძე თამადობდა, ცხადია ყველა სადღეგრძელოს შესაფერისი სიმღერა მოჰყვა. როცა გიორგი იობიშვილმა „შვიკაცას“ რაღაც უცნაური ვარიანტი წამოიწყო და გიორგი ბაბილოძემ „გამყივანი“ შემოსძახა, მასიკო სალუქვაძემ აღტაცება ვეღარ დაფარა. ქეიფი დილამდე გაგრძელდა. დილით მასიკომ გიგო გვერდზე გაიხმო და უთხრა: – გიგო, თბილისში ინგლისელები არიან ჩამოსული და სიმღერებს იწერენ „გრამოფონის“ ფირფიტებზე, მერე ამ ფირფიტებს გრამოფონზე დადებთ და თქვენივე ხმას მოისმენთ. – რას არ მოიგონებს კაცის გონება?! – გაიკვირვა გიგომ. მე გადავწყვიტე, – გააგრძელა მასიკომ – თბილისში ჩაგიყვანოთ და სიმღერები ჩაგაწერინოთ, ყველა ხარჯს მე გავიღებ, თქვენ დარდი ნურაფრის გექნებათ, ამისთვის სპეციალურად ჩამოვედი მაკვანეთში, – დაამთავრა მასიკომ. მომღერლები ძალიან გაახარა მასიკოს წინადადებამ:

იდგა 1907 წლის იანვარი. ანსამბლი თბილისს გაემგზავრა მატარებლით. სადგურზე მათ მასიკო სალუქვაძე და კიდევ რამდენიმე კაცი დახვდათ, ისინი პატარა სასტუმროში მოათავსეს. სიმღერების ჩაწერა მეორე დღისთვის იყო დანიშნული. თბილისში ჩამოვიდნენ გიგო ერქომაიშვილი, გიორგი ბაბილოძე, გიორგი იობიშვილი, ივლიანე კეჭაყმაძე, ნანიკო ბურძგლა, არტემ ერქომაიშვილი, ერმილე მოლარიშვილი და ლუკა თოიძე. ლუკა ახალგაზრდა მომღერალი იყო, იგი გიგოსთან დაოსტატდა და მისი ქალიშვილი – ანეტა შეირთო ცოლად. არტემ ერქომაიშვილი ანსამბლის წევრთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ კარგად იცოდა სიმღერები და იშვიათი ბანი ჰქონდა. ხმის ჩამწერი სტუდია მოწყობილი იყო სასტუმრო „ორიენტში“, ძმების ფრედ



სოფელ მაკვანეთის (ოზურგეთის მაზრა) ანსამბლი, ხელმძღვანელი გიგო ერქომაიშვილი
I რიგი: არტემ ერქომაიშვილი, ერმილე მოლარიშვილი, ლუკა თოიძე;
II რიგი: გიორგი ბაბილოძე, გიგო ერქომაიშვილი, გიორგი იობიშვილი;
III რიგი: ნანიკო ბურძგლა, ივლიანე კეჭაყმაძე, მასიკო სალუქვაძე. 1907 წ.

და ვილი გეისბერგების მიერ. იმ პერიოდში თბილისი მთელს კავკასიაში უმნიშვნელოვანეს კომერციულ ცენტრად ითვლებოდა, ამიტომ – ბრიტანეთის სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონმა" გადაწყვიტა, ხმის ჩამწერი სტუდია და გრამოფონით სავაჭრო მაღაზიები თბილისში გაეხსნა. იგი მთელს კავკასიას ემსახურებოდა.

ხმის ინჟინერმა მაქს ჰამპემ მომღერლები სიმღერის ჩასაწერად მიიწვია. პირველად მიკროფონთან გიორგი ბაბილოძე, გიორგი იობიშვილი და გიგო ერქომაიშვილი დადგნენ. მათ გაკვირვება არ გამოუხატავთ და უზარმაზარ მიკროფონში „ადილა" ჩასძახეს. სასინჯი ვარიანტი კარგი გამოდგა. ხმის ინჟინერმა მოიწონა მომღერლები და მოამზადა ჩასაწერად, ოღონდ სთხოვა, რომ ჩაწერის წინ გამოეცხადებინათ სიმღერის დასახელება და შემსრულებელთა გვარები. ეს მოვალეობა, როგორც ყველაზე ენამჭევრს და მხიარულ კაცს, – ივლიანე კეჭაყმაძეს დაევალა. ისიც თამამად მივიდა მიკროფონთან და ხმამაღლა გამოაცხადა: „გიგო ერქომაიშვილო, ერთი მელქისედეკ მახარაძის ხელხვავი ბრძანე, მელქისედეკ მახარაძის". (ეს სიმღერა იგივე „ადილა" მელქისედეკ მახარაძის ოჯახში შეუთხზავთ სამუელ ჩავლეიშვილსა და მის მეგობრებს „კალოს ხელხვავის" ინტონაციებზე, ამიტომ მას მელქისედეკ მახარაძის ხელხვავს უწოდებდნენ).



ლოტბარი ძუკუ ლოლუა

სიმღერის ჩანაწერი კარგი გამოვიდა, მაქს ჰამპემ შეაქო მომღერლები და შემდეგი სიმღერის ჩაწერა სთხოვა, „ადილას“ „ჩვენ მშვიდობა“ მოჰყვა, იმას კიდევ „შვიდკაცა“ და პირველ დღეს ხუთი სიმღერა ჩაწერეს.

მაკვანეთლებმა თბილისში თითქმის ერთი თვე დაჰყვეს და „გრამოფონის“ ფირფიტებზე იანვარ-თებერვალში 49 სიმღერა ჩაწერეს, მათ შორის დღემდე უცნობი რამდენიმე სიმღერა და საგალობელი. საინტერესოა, რომ მათ ჩაწერეს აჭარული სიმღერა – „ვოისა რერა“. ეს სიმღერა დაკარგული იყო და აჭარაშიაც არავის ახსოვდა. მაკვანეთის ანსამბლის წყალობით დღეს იგი ამშვენებს ჩვენი ანსამბლების რეპერტუარს. „ვოისა რერა“ გადარჩა!

ასევე გადარჩა „კუჭხი ბედინერის“ დღემდე უცნობი ვარიანტი. ეს სიმღერა გიგო ერქომაიშვილს მეგრული სიმღერების იშვიათმა მცოდნემ ძუკუ ლოლუამ ასწავლა ფოთში. ისინი მეგობრობდნენ და გიგომ რამდენიმე მეგრული სიმღერა ისწავლა მისგან. ძუკუს რეპერტუარსაც ამშვენებდა გიგოსაგან ნასწავლი გურული სიმღერები.

გიგო მეტად აფასებდა ძუკუ ლოლუას მოღვაწეობას, მის ნიჭსა და თავდადებას მეგრული სიმღერების მოძიება-გადარჩენის საქმეში. ბაბუა არტემის გადმოცემით, როცა ძუკუ ლოლუას უდროოდ გარდაცვალების ამბავი გაუგია, გიგო ძალიან შეწუხებულა – ძუკუ შესანიშნავი პიროვნება იყო, – უთქვამს მას არტემისათვის, – მან კარდაკარ იარა, მოხუცებისგან შეისწავლა, მოიძია და თავი მოუყარა ადრე დაკარგულ მეგრულ სიმღერებს, მერე დახვეწა, გაამშვენა, თავის გუნდს შეასწავლა და სხვასაც ასწავლა. არცერთ კაცს არ გაუკეთებია იმდენი საქმე მეგრული სიმღერებისათვის, რაც ძუკუ ლოლუამ გააკეთა. ძუკუ რომ არა, დღეს მეგრული სიმღერების ბევრი იშვიათი ნიმუში დაკარგული იქნებოდა. მისი დამსახურება ისიცაა, რომ მან აღზარდა ახალგაზრდა თაობები; მარტო რემა შელეგია, კინი გეგეჭკორი და კირილე პაჭკორია რად ღირს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ! ძუკუ ლოლუამ მეგრული სიმღერები აღადგინა, პოპულარობა მოუტანა ხალხში და პრაქტიკულად უკვდავყო ისინი.

დიახ! თბილისში გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ ჩაწერილი „კუჭხი ბედინერის“ ეს ვარიანტი დაკარგული იყო და სამეგრელოშიც აღარავის ახსოვდა. იგი ჯერ „რუსთავმა“ შეასრულა, მერე „მართვემ“, „გეორგიკამ“ და ახლა თითქმის ყველა წამყვანი ანსამბლის რეპერტუარშია.

თბილისში ყოფნისას მასიკო სალუქვაძის მეშვეობით მაკვანეთის ანსამბლმა არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ რამდენიმე საქველმოქმედო კონ-

ცერტიც გამართეს. განსაკუთრებით დაამახსოვრდათ შეხვედრა აკაკი წერეთელთან, რომელიც ერთ-ერთ კონცერტს დასწრებია. კონცერტის შემდეგ მასიკო სალუქვაძეს გაუმართავს ვახშამი, რომელზედაც აკაკი მიუწვევიათ. ეს საღამო სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდათ მაკვანეთის ანსამბლის წევრებს, რომლებმაც თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს მხცოვანი პოეტი.

მასიკო სალუქვაძემ დიდი საქმე გააკეთა. მან სიმღერები ჩააწერინა ანსამბლს გრამფირფიტებზე, თან მშვენივრად უმასპინძლა, გამომშვიდობებისას ყველა დაასაჩუქრა, გიგო ერქომაიშვილს „გრამოფონი" აჩუქა და ისე გაისტუმრა მაკვანეთში.



დიდი მგალობელი ნესტორ კონტრიძე

* * *

1870-იან წლებში გიგო ერქომაიშვილი სოფელ ლიხაურის ხშირი სტუმარი იყო, იქ ახალგაზრდებს სიმღერას ასწავლიდა. ლიხაურში იგი დაუახლოვდა გამოჩენილ მგალობელ-მომღერალს, მღვდელს – ნესტორ კონტრიძეს. იმ პერიოდში ნესტორი მთელ გურიაში მეტად პოპულარული პიროვნება გახლდათ, როგორც მომღერალი და როგორც საზოგადო მოღვაწე. მას არაჩვეულებრივი ხმა – ბანი ჰქონდა და გურული სიმღერისა და გალობის იშვიათ მცოდნედ ითვლებოდა. ნესტორ კონტრიძე დაუახლოვდა გიგოს და ბევრი საგალობელი ასწავლა, რომლებსაც მისი ანსამბლი მაკვანეთის ეკლესიაში ასრულებდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი, 1907 წელს გრამფირფიტაზეც ჩაიწერა.

„ნესტორ კონტრიძე არა მარტო კარგი მომღერალი, იშვიათი პიროვნებაც იყო. ძველად მღვდლები თავიანთ სამრევლოში კომლზე ორ მანეთს ახდევინებდნენ (ეს დიდი ფული იყო). ამას ერქვა „დრამაფული", მაგრამ ნესტორ კონტრიძემ ლიხაურის მოსახლეობა სამუდამოდ გაათავისუფლა ამ გადასახადიდან, ხალხმა მას დიდი მადლობა გადაუხადა. სამაგიეროდ, ნესტორს სხვა სოფლის მღვდლებმა უსაყვედურეს: – ანი ჩვენც აღარ გადაგვიხდიან გადასახადსო, მაგრამ ნესტორმა მათ ასე უპასუხა – ჩემი სურვილი ასეთია და „თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქეცითო" (არტემ ერქომაიშვილის ხელნაწერებიდან).

იმ პერიოდში გურიაში გალობის შემსწავლელი ძლიერი სკოლა არსებობდა. ეს იყო ტრადიციული საეკლესიო მუსიკის სკოლა, რომელიც სათავეს საუკუნეების მიღმა იღებდა. ამ სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ ნესტორ კონტრიძე, იგი საგალობლების იმდენად კარგი მცოდნე იყო, რომ ივანე ხავთასთან და მელქისედეკ ნაკაშიძესთან ერთად თბილისში მიიწვიეს ნოტებზე საგალობლების გა-



დიდი მგალობელი მელქისედეკ ნაკაშიძე

დასაღებად.

„ჯერ კიდევ 1862-63 წლებში, ეგზარხოს ევსევის დროს, აღძრული იყო საკითხი ძველი საეკლესიო გალობის აღდგენის შესახებ. დაარდა კიდეც კომისია, რომლის თავმჯდომარედ კარგა ხანს ითვლებოდა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომლის თაოსნობითაც ამ საქმისთვის ფულის შეგროვებას შეუდგნენ და დაავალეს ყველა სამრევლო ეკლესიას, რომ გაეღოთ ყოველწლიურად თავიანთი წვლილი...

კომისიის აზრი ორად გაიყო: ერთი მათგანი არხიმარდრიტის მაკარისა და გრიგოლის ჩაგონებით ამტკიცებდნენ, რომ ძველი გალობა დარჩენილია მხოლოდ გურიაში, და რომ რვა ხმასაც მთელ საქართველოში ვითომ მხოლოდ იქ გალობენ, არც ღირსეული მცოდნე მგალობლები მოიპოვებიან ქართლ-კახეთშიო, ამიტომ იქიდან, გურიიდან უნდა დავიბაროთ მგალობლები და იმათი გალობა გადავიღოთ ნოტებზეო.

კომისიის წევრთა მეორე ნაწილი, ეპისკოპოს ალექსანდრეს თანამოაზრენი, უფრო თანაუგრძნობდნენ ქართლ-კახურ გალობას, ცდილობდნენ მათ აღდგენას და ხალხში გავრცელებას.

ეს უთანხმოება არხიმანდრიტ მაკარისა და გრიგოლის მომხრეთა გამარჯვებით დამთავრდა. დაადგინეს ჯერჯერობით გურული გალობა აღედგინათ. დაიბარეს იქაური გამოჩენილი მგალობლები, დაიქირავეს მუსიკის მცოდნე პირნი, რომლებსაც ეს საგალობლები ნოტებზედ უნდა გადაეღოთ, დაუნიშნეს მათ ჯამაგირი და მიჰყვეს ხელი გურული საგალობლების ჩაწერას“... (ზაქ. ფალიაშვილის №3 ქართული (ქართლ-კახური) საეკლესიო საგალობლები. წმ. იოანე ოქროპირისა წირვის წესისა, გვ. 2., ტფილისი, 21 ღვინობისთვე, 1909 წელი.)

ამ საქმისთვის 1878 წელს ძველი ქართული საგალობლების აღმდგენელ კომიტეტს გურიიდან თბილისში მიუწვევია სამი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, მელქისედეკ ნაკაშიძის მეთაურობით. მათგან დაიწყეს კიდეც ჩაწერა. დამსწრეებმა დაასკვნეს, რომ ამ ჯგუფის წევრები გამწესებულიყვნენ ძველი ქართული საგალობლების (გურული კილო) მასწავლებლებად, მათგან ერთ-ერთს, მელქისედეკ ნაკაშიძეს, დაენიშნა ხელფასი 20 მანეთი, ხოლო ორ დანარჩენს – ივანე (ნანე) ხავთასსა და ნესტორ კონტრიძეს – 10-10 მანეთი.

თავადი მელქისედეკ ნაკაშიძე მისიონერი გახლდათ. იგი სახელმწიფოსაგან ჯამა-

გირს იღებდა და გახსნილი ჰქონდა სკოლა, სადაც გალობას ასწავლიდა ახალგაზრდებს. იგი იყო ფრიად განსწავლული პიროვნება, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე.

ნესტორ კონტრიძე გიგო ერქომაიშვილის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. 1908 წლის შობა დღეს, წირვის შემდეგ ნესტორმა გიგოს ასტუმრა მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელიც იმ დროს მოსწავლეებს აგროვებდა გალობის შემსწავლელი სკოლისათვის. როგორც ჩანს, ნესტორმა რეკომენდაცია გაუწია გიგოს ვაჟს – არტემს.

მელქისედეკს ძალიან მოეწონა არტემის ხმა და გიგოს შესთავაზა:

– მომეცი ეს ბიჭი, წავიყვან ჩემთან ოზურგეთში, გალობას ვასწავლი უფასოდ და კაცს გამოვიყვანო.

ასე გადაწყდა არტემ ერქომაიშვილის მუსიკალური ბედი. არტემთან ერთად გალობას სწავლობდნენ სამუელ ჩხიკვიშვილი, დიმიტრი პატარავა, სამსონ ჭანუყვაძე, სამუელ ჩხიკვიშვილი, კონსტანტინე სალუქვაძე, ილია ხომერიკი, დომენტი ხინთიბიძე



გამოთხოვება მელქისედეკ ნაკაშიძესთან (მარჯვნივ – არტემ და გიგო ერქომაიშვილები), 1934 წ.

და სხვები. მელქისედეკი იშვიათი პიროვნება გახლდათ, გარდა იმისა, რომ უფასოდ ასწავლიდა, იგი თავისთან ზრდიდა მოწაფეებს, აჭმევდა, აცმევდა და ასაჩუქრებდა. როცა დღესასწაულებზე სახლში უშვებდა, არტემს ტკბილეულსა და საჩუქრებს ატანდა ოჯახის წევრებისთვის, ხშირად ფულსაც ჩაუდებდა ჯიბეში, – გიგოს მიეცი, ბავშვებს წუღები შეუკეროსო.

ეს დიდებული პიროვნება, რევოლუციის შემდეგ (1921 წ.) კომუნისტებმა ყველაფრისგან დაითხოვეს, იგი საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა და გაჭირვებულად ცხოვრობდა. ვინაიდან გალობა აიკრძალა, მელქისედეკ ნაკაშიძე სიმღერას ასწავლიდა ახალგაზრდებს, მის აღზრდილთაგან აღსანიშნავია ნესტორ ჯიბლაძე – შესანიშნავი



ფილიმონ ქორიძე

ლოტბარი. არტემ ერქომაიშვილი ბათუმში დიდ ყურადღებას იჩენდა თავისი აღმზრდელის მიმართ, რომელიც ყველაფრისგან გარიყეს, როგორც თავადი.

დიდი მგალობელი მელქისედეკ ნაკაშიძე 1934 წელს გარდაიცვალა, 76 წლისა. დაკრძალეს ბათუმის სასაფლაოზე.

გიგომ, არტემმა და დიმიტრი პატარავამ გალობით გააცილეს უკანასკნელ გზაზე.

* * *

XX საუკუნის დასაწყისში ოზურგეთში ჩამოსული იყო ცნობილი საოპერო მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომელიც მელქისედეკ ნაკაშიძესთან ცხოვრობდა და მისგან საგალობლებს იწერდა ნოტებზე. მან, ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, მაქსიმე შარაძის, ესტატე კერესელიძისა და ვასილ გრძელიძის ხარჯით, ოზურგეთში მგალობლების ანტონ და დავით დაუმბაძეების, მელიქისედეკ ნაკაშიძისა და სვიმონ მოლარიშვილისაგან ჩაიწერა ნოტებზე 1600-ზე მეტი საგალობელი, ზოგი სამივე ხმა, ზოგიც მარტო პირველი.

მოგეხსენებათ, ფილიმონი მეტად პოპულარული პიროვნება გახლდათ. მან იტალიაში მიიღო განათლება და იქაურ საოპერო თეატრებში გამოდიოდა. ბაბუა არტემის გადმოცემით, როცა ფილიმონი იტალიიდან დაბრუნდა, მარტო მის ნახვაზე თურმე ბილეთები იყიდებოდა.

ფილიმონს მოსწონებია ახალგარდა არტემის ხმა და შეუთავაზებია: – წამოდი თბილისში, ხმას დაგიმუშავებ და მუსიკალურ განათლებას მიგაღებინებო. არტემს, უსახსრობის გამო, უარი უთქვამს.

ერთხელ, აღდგომა დღეს, მელქისედეკ ნაკაშიძემ ფილიმონი წაიყვანა მაკვანეთში, გიგო ერქომაიშვილის საოჯახო გუნდი და მისი ანსამბლი უნდა მოგასმენინოო.

ფილიმონი ძალიან კმაყოფილი დარჩა გიგოსთან სტუმრობით, გიორგი ბაბილოძის ხმამ და მისმა განუსაზღვრელმა დიაპაზონმა პირდაპირ განაცვიფრა ცნობილი მომღერალი.

– ამ კაცს რომ იტალიაში ესწავლა და ხმა დაემუშავებინა, მსოფლიო მნიშვნელობის საოპერო მომღერალი დადგებოდაო. – უთქვამს ფილიმონს. მერე თვითონაც უმღერია რომელიღაც არია და თავისი უზარმაზარი ხმით იქ მყოფნი განუცვიფრებია. ის საღამო დაუვიწყარია ჩემთვისო, ხშირად იტყოდა ხოლმე ბაბუა არტემი, – ფილიმონ ქორიძეს ხშირად ვხვდებოდი მელქისედეკ ნაკაშიძის ოჯახში, იგი ყოველ დილას გამღერებას აკეთებდა და მთელს ოზურგეთს ესმოდა მისი ხმა, გეგონებოდათ ამ კაცს მკერდში ორთქლის მანქანა უდევს და ისე მღერისო.

ფილიმონ ქორიძე ბახმაროში გარდაიცვალა, 1911 წელს, იგი ოზურგეში დაასაფლავეს, ახლანდელი თეატრის წინ მდებარე პატარა ეკლესიის ეზოში. შემდეგ კომუნისტებმა ეს ეკლესია დაანგრიეს, იქ დიდი ბაღი გააშენეს და დაიკარგა ამ დიდებული

მომღერლისა და მამულიშვილის საფლავი...

გალობის სკოლა არტემმა 1911 წელს დაამთავრა და იგი მარტვილის მონასტერში გააგზავნეს, მგალობლად და გალობის მასწავლებლად. იმ დროს მონასტერში მოღვაწეობდა დიდი მგალობელი დიმიტრი ჭალაგანიძე.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გიგო ერქომაიშვილმა იმით გაიგო, რომ ჯერ თავადი ნაკაშიძის მიერ ნაჩუქარი მიწა ჩამოართვეს ბურღანაში, მერე ზედ ხარები და ცხენიც მიაყოლეს და დარჩა გიგო კოლმეურნეობის იმედით. ერთხელ გიორგი ბაბილოძისთვის უთქვამს, კიდევ კარგი კომუნისტებს სიმღერის წართმევა არ შეუძლიათ, თორემ იმასაც წაიღებდნენო.

მანამდე ერმილე ნაკაშიძეს, როგორც თავადს ყველაფერი ჩამოართვეს და ქუჩაში დატოვეს, 1937 წელს ერთადერთი ვაჟი დაუხვრიტეს, ამას ვეღარ გაუძლო და ორი თვის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა.

1924 წელს არტემ ერქომაიშვილი ბათუმში მიიწვიეს გუნდის ხელმძღვანელად, მან იქ ჩამოაყალიბა მუშათა გუნდი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ აჭარელი და გურული მომღერლები. გუნდის გასაძლიერებლად, არტემი ხშირად იწვევდა 90 წელს მიტანებულ მამასა და ბიძას – გიორგის. მან ამ გუნდში თავისი უმცროსი ძმები ანანია და ლადიკოც მიიყვანა და ერქომაიშვილები ამ გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ.

1927 წელს ქუთაისში ჩატარდა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც ბრწყინვალედ წარსდგა ბათუმის გუნდი. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გამოჩენილი კომპოზიტორები დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე და სხვები,



არტემ ერქომაიშვილი (ცენტრში) და აჭარის ეთნოგრაფიული გუნდი



პროფესორი შალვა ასლანიშვილი

დასავლეთ საქართველოს გუნდთაგან პირველი ადგილი და უმაღლესი ჯილდო მიაკუთვნა ბათუმის გუნდს არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებიდან ასეთი ჯილდო მარო თარხნიშვილის გუნდს ერგო.

პრესა აღნიშნავდა გიორგი ბაბილოძისა და გიგო ერქომაიშვილის ბრწყინვალე გამოსვლას: „გუნდს ამშვენებს ორი მოხუცი, რომლებიც იშვიათი ოსტატობით ასრულებენ გურულ სიმღერებს“, – წერდა ქუთაისის გაზეთი.

1929 წელს თბილისში გაიმართა მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც ასევე ბრწყინვალედ გამოვიდა ბათუმის გუნდი. 1929 წლის 3 ივლისის „ახალგაზრდა ლენინელი“ აქვეყნებდა მასალებს ამ ოლიმპიადის შესახებ:

„ჟიურის გადაწყვეტილებით გუნდებს შორის პრიზები ასე განაწილდა: პირველი პრიზი – 500 მანეთი გაინაწილეს აჭარის აკადემიურმა გუნდმა (კაპელამ) მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით და ბათუმის ხალხურმა გუნდმა არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

მეორე პრიზი – 600 მანეთი გაინაწილეს: გარეკახეთის გუნდმა მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით, კირილე პაჭკორიას, ვარლამ სიმონიშვილის, გალაქტიონ ჭელიძისა და არეთუნის გუნდებმა.

მესამე პრიზი – 400 მანეთი გაინაწილეს: სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გრიგოლ კოკელაძის ხელმძღვანელობით, ხალხურმა გუნდმა ავქსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით, ჭიათურის გუნდმა სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით და ხალხურმა გუნდმა მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით, მტკვრთავთა გუნდმა მახარაძიდან და ქუთაისის პროფბიუროს გუნდმა“.

გაზეთში დაბეჭდილია ფოტოსურათი, სადაც არტემ ერქომაიშვილი მამასთან და ბიძასთან ერთადაა გადაღებული, სურათს ქვემოთ აწერია: ოლიმპიადის საუკეთესო მომღერლები.

1930 წლის 6 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდების კონცერტი. მონაწილეობა მიიღეს არტემ ერქომაიშვილის გუნდმა ბათუმიდან, მიხო ჯიღაურის ქართლ-კახურმა გუნდმა და ძუკუ ლოლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს გუნდმა კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

აღნიშნული გუნდები მიიწვიეს პეტერბურგში, მოსკოვსა და ხარკოვში კონცერტების გასამართავად.

ჩემი პედაგოგი, გამოჩენილი მუსიკოსი, პროფესორი შალვა ასლანიშვილი უცრემლოდ ვერ იგონებდა არტემ ერქომაიშვილის გუნდის გამოსვლას პეტერბურგში;

– მაშინ კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, როცა ეს გუნდი იქ ჩამოვიდა – ამბობდა ბატონი შალვა. მათ ნამდვილი ფურორი მოახდინეს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ორი მოხუცის – გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის გამოსვლას, რომლებიც 90 წელს იყვნენ გადაცილებული. იქაურმა მუსიკოსებმა აღიარეს, რომ მს-

გავსი რამ არასოდეს მოუსმენიათ. ცნობილმა მუსიკოსმა ქრისტეფორე კუშნარიოვმა მათ გამოსვლას აღმოჩენა უწოდა, ეს მოხუცები ნამდვილი საოცრებაა, რომლებიც მსოფლიოს განაცვიფრებენო, – თქვა მან. რამდენიმე მუსიკისმცოდნე შეეცადა, რომ გურული სიმღერები ნოტებზე გადაეტანათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, მერე კუშნარიოვმა გამოთქვა აზრი – იქნებ ანსამბლის ახალგაზრდა წევრებს მუსიკალური განათლება მივაღებინოთ, რომ ნოტებზე ეს სიმღერები თვითონვე გადაიტანონო.

კუშნარიოვმა გურული სიმღერები ასე შეაფასა: „პირველად რომ მოვისმინე, გავკვირდი, მეორედ მომეწონა, ხოლო მესამედ უკვე შემიყვარდა“.

იმ დროს პეტერბურგში სტუმრად იყო, ცნობილი იტალიელი მუსიკისმცოდნე ქალი (გვარი ვეღარ გაიხსენა), რომელმაც სურვილი გამოთქვა, ნოტებზე გადაეტანა გურული სიმღერები. მომღერლები კონსერვატორიაში მიიწვიეს. ქალბატონმა მოიმარჯვა ნოტის ფურცელი და ფანქარი. გიგომ „ხასანბეგურა“ დაიწყო, გიორგი „გამყივანს“ მღეროდა, ხოლო არტემი – ბანს. როცა პირველი მუხლი იმღერეს, იტალიელს ხელში ფანქარი გაუშეშდა, ხოლო როცა მეორე მუხლში გიორგი ბაბილოძემ არნახული სარკაზმებით ჩაახვია „გამყივანი“, იტალიელმა მუსიკოსმა გადააგდო ფანქარი, მერე ბოლომდე მოისმინა სიმღერა და განცვიფრებულმა თქვა: ეს სიმღერები ჩემთვის აღმოჩენაა. ასეთი პოლიფონია არასოდეს მომისმენია, იმ მოხუცს ნამდვილი „კოლორატურული ტენორი“ აქვს (საუბარი იყო გიორგი ბაბილოძეზე). მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვერ შევძელი სიმღერის ნოტის ფურცლებზე გადატანაო.

ბატონმა შალვამ ერთი საინტერესო ფაქტიც გვიამბო: ევგენი გიპიუსმა (შემდეგში გამოჩენილმა ფოლკლორისტმა), მისმა მეუღლემ ზინაიდა ევალდმა, რომლებიც მაშინ ლენინგრადის კონსერვატორიაში მუშაობდნენ, იმ მოხუცების სიმღერები ფილფონოგრაფზე ჩაიწერეს, თითოეული მომღერლის ხმა ცალ-ცალკე, მაშინ მათთან ერთად იყო შვედი მუსიკისმცოდნე ერნსტ ემსჰაიმერი, რომელიც იმ დროს ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა და შესაძლოა, ეს ჩანაწერები მასაც ჰქონდესო, – დაამთავრა თხრობა ბატონმა შალვამ.


1980-იან წლებში მუშაობა მომიხდა პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში, ე.წ. „პუშკინის სახლში, სადაც გავიცანი შესანიშნავი პიროვნება, ბატონი გიორგი კორგუზალოვი. მან მითხრა, რომ იქ ინახება



ევგენი გიპიუსი



ქრისტეფორე კუშნარიოვი



ერნსტ ემსჰაიმერი

1930 წელს ჩაწერილი ძვირფასი კოლექცია, სადაც გასაოცარი მოხუცი მომღერლების ხმებია ჩაწერილი. ბატონმა კორგუზალოვმა მაჩვენა ერთ-ერთი სიმღერის პასპორტი, რომელიც ევგენი გიპიუსის ხელითაა შევსებული: „ხასანბეგურა“ №926, გამყივანი გ. ბაბილოძე, დამწყები – გ. ერქომაიშვილი, ბანი – არტ. ერქომაიშვილი.

4/II – 1930 წ. გიპიუსი.“

მიუხედავად იმისა, რომ ცვილის ლილვაკები საკმაოდ იყო დაზიანებული, გიგოს, გიორგისა და არტემის ხმები მაინც მკაფიოდ ისმოდა. მე ეს სიმღერები გადავიტანე მაგნიტოფონის ფირზე და თბილისში ჩამოვიტანე. ვფიქრობ, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ფოლკლორისტებს მომავალში.

კონორეჟისორი ბატონი სოსო ჩხაიძე იღებდა მრავალსერიიან მუსიკალურ ფილმს „შვიდკაცას“. ფილმის სცენარმა მიგვიყვანა ევგენი გიპიუსთან. იგი უკვე 85 წელს იყო მიტანებული. მოხუცმა პროფესორმა სიამოვნებით გაიხსენა ის დრო, როცა მოხუცების ანსამბლი ჩავიდა პეტერბურგში: „ეს იყო პეტერბურგის კონსერვატორიისთვის დიდი მოვლენა, რადგან ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერა ცოცხალი შესრულებით იქ არავის მოესმინა. გურულებმა აღაფრთოვანეს მსმენელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 90 წელს გადაცილებული ორი მოხუცი, რომლებმაც მოხიბლეს ლენინგრადის კონსერვატორიის მუსიკოსები. მიუხედავად ასაკისა, ისინი მხნედ გამოიყურებოდნენ და ხმებიც არაჩვეულებრივად უჟღერდათ. ისინი ისე იმპროვიზირებდნენ, ერთ მუსიკალურ ფრაზას ისე სხვადასხვანაირად აბრუნებდნენ, რომ ნოტებზე მისი გადატანა შეუძლებელი გახდა, ამიტომ გადავწყვიტე, მათი სიმღერები ფონოგრაფზე ჩამეწერა. ჩევინერე თითოეული ხმა ცალ-ცალკე. ამ საქმეში მეხმარებოდნენ ჩემი მეუღლე ზინაიდა ევალდი და შვედი მუსიკისმცოდნე ერნსტ ემსჰაიმერი, რომელიც იმხანად ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა. ემსჰაიმერი სტოკჰოლმში ცხოვრობს, მე მასთან მიწერ-მოწერა მაქვს. რამდენიმე თვის წინათ მივიღე მისი წერილი, სადაც სიამოვნებით იგონებდა იმ დროს, როცა გიგო ერქომაიშვილისა და მისი მეგობრებისგან სიმღერები ჩავიწერეთ. ამ ჩანაწერებმა დიდი სამსახური გაუწია სხვა ქვეყნების მუსიკოსებსაც, მან თვალი აუხილა და ფოლკლორზე სულ სხვა წარმოდგენა შეუქმნა სპეციალისტებს, ჩემი აზრით, ეს სიმღერები მსოფლიოში უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს. ახლა, როცა მთელ რიგ ქვეყნებში ხალხური სიმღერები, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, იგი კლასიკურმა მუსიკამ შთანთქა და როცა ქართულმა ფოლკლორმა მუსიკოსების დიდი ინტერესი გამოიწვია, ჩემს მაშინდელ ფონოჩანაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მე ის სიმღერები ჩავიწერე თითქმის 100 წელს მიტანებული მომღერლებისაგან, ამიტომ მათ მიერ შესრულებული ვარიანტების ასაკი, სულ ცოტა, ერთი საუკუნით მაინც უსწრებს შემსრულებელთა ასაკს. აი, ხომ ხედავთ, რა სიმდიდრესთან გვაქვს საქმე! ამ ფაქტის სისწორეში მომავალ საუკუნეებშიც ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რადგან მე დავაფიქსირე ჩაწერის თარიღი, შემსრულებელთა ასაკი და ვინაობა. ბოლოს და ბოლოს მე და ემსჰაიმერი ამის ცოცხალი მოწმეები ვართ“. სოსო ჩხაიძემ გადაწყვიტა, ფილმში ერნსტ ემსჰაიმერიც გადაეღო. ემსჰაიმერი ასე 85 წლის იქნებოდა და საკმაოდ მოტეხილი ჩანდა, მაგრამ ჩვენ მეტად მხნედ შეგვხვდა, იცოდა რა ჩვენი ჩასვლის მიზეზი, მოემზადებინა საჭირო მასალები.

„მას შემდეგ, რაც ლენინგრადიდან დავბრუნდი, პროპაგანდას ვუწევ ქართულ მუსიკას, – თქვა ემსჰაიმერმა, – ერქომაიშვილების ანსამბლის მოსმენა ჩემთვის იყო საუკეთესო შთაბეჭდილება, რაც კი ოდესმე მიმიღია. მე გავესაუბრე გიგო ერქო-

მაიშვილს, რომელმაც ჩემს შეკითხვებს ისეთი ღრმა ცოდნით უპასუხა, გეგონებოდათ, აკადემია ჰქონდა დამთავრებული, მათთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ამათ მართლა ჰქონდათ დამთავრებული აკადემია, ეს იყო ხალხური ტრადიციების უძველესი აკადემია. მათ არა მარტო სიმღერით, არამედ თავიანთი ქცევით და ზრდილობით განაცვიფრეს თანამოსაუბრენი. მე მათთან რამდენიმე დღე დავყავი და ის დღეები დაუვიწყარია ჩემთვის. გურულ სიმღერებზე მე არაერთი სტატია და გამოკვლევა დაეწერე, მათი ფონოჩანაწერები გავშიფრე და კომენტარებით გამოვეცი. ჩემი ლექციების დროს საილუსტრაციოდ გურული მოხუცების ფონოჩანაწერებს ვასმენინებდი და განცვიფრებაში მოვყავდა მსმენელი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ წავიკითხე იგორ სტრავინსკის წერილი, გურული სიმღერების შესახებ. გეუბნებით გულწრფელად, მას რომ მოესმინა გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის სიმღერა ცოცხალი შესრულებით, მისი აღტაცება მაშინ გენახათ და დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ უფრო მაღალ შეფასებას მისცემდა გურულ სიმღერებს, თუმცა მან იგი საუკეთესოდ შეაფასა“.

* * *

მოსკოვში ქართველების კონცერტს დაესწრო ცნობილი ფრანგი მუსიკისმცოდნე და მწერალი რომენ როლანი, რომელმაც თავისი აღფრთოვანება ასე გამოხატა: „ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმღერები აქვს“.

1931 წელს თბილისში გამართულ ოლიმპიადაზე არტემ ერქომაიშვილის გუნდმა კვლავ ისახელა თავი. იმდროინდელ პრესაში დაიბეჭდა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ოლიმპიადის მონაწილე გუნდები. ფოტოსურათს თან ახლდა ლექსი, რომლის ერთი სტროფი ერქომაიშვილებს ეძღვნებოდა:

„მარჯვნივ მათ უდგას, ვხედავთ, გურია,
ხელში უჭირავთ დოლ-ჩონგურია,
მოაქვთ სიმღერა მამებს და შვილებს,
ჯიშ-მაგარ გვარით ერქომაიშვილებს“...


ოლიმპიადის შემდეგ, როცა ოზურგეთში ბრუნდებოდნენ, 96 წლის გიორგი ბაბილოძე, რომელიც თავს ჩინებულად გრძნობდა და ხმაც ახალგაზრდულად უჟღერდა, მატარებელში გაცივდა და ფილტვების ან-



სამუელ ჩავლეიშვილი



გიორგი ბაბილოძე



ნესტორ კონტრიძე

თებით მალე გარდაიცვალა. გიგო ერქომაიშვილმა ძალიან მტკივნეულად განიცადა უდიდესი მომღერლისა და ერთგული მეგობრის დაკარგვა, რომელთან ერთად სიმღერაში 80 წელი გაატარა. „ჩემს სიმღერას აწი ფასი აღარ აქვს, მეც უნდა წევიდე, ვინც კაი მომღერალი და მეგობარი მყავდა ყველა იქეთაა, ახალგაზრდებთან ჩემი სიმღერა აღარ გამოდგება“, – უთქვამს გიგოს, გიორგი ბაბილოძესთან გამოთხოვებისას.

იმავე წელს გარდაიცვალნენ გურიაში პირველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი სამუელ ჩავლეიშვილი და იშვიათი ბანის პატრონი ნესტორ კონტრიძე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით არტემ ერქომაიშვილმა დაწერა ლექსი – „დავკარგეთ სამი მომლხენი“, რომელზეც შემდეგ ააგო სიმღერა. ეს სიმღერა მეტად პოპულარული გახდა და მას დღესაც სიამოვნებით მღერიან გურიაში. მოვიყვან რამდენიმე სტროფს ამ ლექსიდან:

„პირველ ხმაში ჩავლეიშვილი,
კაკანებდა ვით ბულბული,
წვრილს ეტყოდა ბაბილოძე,
სხვაფრივ ენამოქარგული,
ბანს კონტრიძე შესძახებდა,
დასტკბებოდა სული, გული,
სიხარულით აგავსებდათ
სამივეს ხმა ერთად თქმული“...

* * *

ერთ საღამოს ბაბუა არტემმა გიგოს უთხრა, – ვიცი, გაგეხარდება, ვარლამ სიმონიშვილი და დიმიტრი პატარავა გვესტუმრენო.

გიგოს ღიმილი მოეფინა სახეზე, ჯოხს დაეყრდნო, წამოდგა და სტუმრებს მიეგება. ვარლამმა ბოხოხი მოიხადა და გიგო გადაკოცნა, დიმიტრი პატარავამაც გადაკოცნა გიგო.

– რავა ბრძანდები, გიგო ბატონო? – შეეკითხა ვარლამი.

– ეჰ, ჩემო ვარლამ, თურმე კაცი მანამდე უნდა ცოცხლობდეს, სანამ რაღაცა შეუძლია, იმაზე დიდი უბედურება არ არსებობს, კაცი რომ აღარავის სჭირდება. ნამეტანი გამახარეთ თქვენი მოსვლით, მობრძანდით, – უთხრა გიგომ სტუმრებს და ოდაში შეუძღვა.


ჩვენს ოჯახში ვარლამ სიმონიშვილსა და დიმიტრი პატარავას ხშირად ახსენებდნენ. დიმიტრი მამაჩემის ნათლია იყო, მაგრამ ისინი ადრე არ მენახა: ვარლამი სასიამოვნო გარეგნობის კაცი იყო, ნაცრისფერი ხალათი ეცვა, წელზე ვერცხლით გაწყობილი ქამარი ერტყა, თავზე მაღალი ბოხოხი ეხურა და ფეხზე კარგად გაპრიალებული აზიური ჩექმები ეცვა. დიმიტრი პატარავას ჩვეულებრივი სამოქალაქო ტანსაცმელი, რუხი ფერის ძველი კოსტუმი ეცვა. გიგო ბაბუა და სტუმრები სასაუბროდ აივანზე დასხდნენ, გიგო დაბალ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, მე მასთან ახლოს მოვკალათდი, ბაბუა არტემი მარანში წავიდა.

– რავაა, ბატონო ვარლამ, თქვენი გუნდის საქმე? – შეეკითხა გიგო.

– ეჰ, გიგო ბატონო, ერთ ხანს არ ვაპირებდი ამ „ზაკაზნოი“ სიმღერების შესრულებას პარტიაზე, ბელადებზე, კოლექტივზე, მარა მერე ამის გულისთვის დამიჭირეს და



მგალობელი და ლოტბარი ვარლამ სიმონიშვილი



მგალობელი და ლოტბარი დიმიტრი პატარავა

კინაღამ გამაციმბირეს. კი იცით მაგი თქვენ. ე, მერე ვიკადრე და დავწერე ლექსი სტალინზე და პოლიტბიუროზე, ავაგე ზედ სიმღერა და ახლა ამ სიმღერით ვიწყებ ყველა კონცერტს. არ მომწონს მარა, რა ვქნა, სული მწარე ყოფილა, მომღერლებიც აღარ მყავს. თქვენ რომ გახსოვთ, იმფერი, ზოგი დეიჭირეს, ტროცკისტობა დასწამეს, ზოგიც ფრონტზე წეიყვანეს და უგზო-უკვლოდ დეიკარგა. აგერ, რუბენა ვასაძე ქერჩში დეიღუპაო, – თქვეს. მაგფერი „დამწყები“ ახლა ჩემს გუნდში კი არა მგონი, მთელ გურიაშიც აღარაა. ნამდვილი სიმღერა რომ მომენატრება, გიგო ბატონო, არტემთან მივდივარ ბათუმში. ამას წინათ ბათუმიდან ჩამოვედი და რეპეტიციაზე ცოტა დამაგვიანდა, – სად ბრძანდებოდი, ვარლამ ბატონოო, – მკითხეს გუნდის წევრებმა.

– ბათუმში ვიყავი არტემთან-მეთქი – ვუპასუხე.

– აბა, თქვენ იტყოდით, კაი სიმღერებსო, – მითხრა ღიმილით კოტე პაპავამ.

– ჩვენ კი ვიტყვით ბიძია, მარა ვინ მოგვეხმარებით-მეთქი, – ვუპასუხე (ისინი მომღერლებად არ ჩათვალა).

– ადრე მომღერალ კაცს ხალხში გამოარჩევდი, გიგო ბატონო. ზრდილობით სავსე უნდა ყოფილიყო, სუფრასთან ნაზად მჭამელი და ზომიერად მსმელი. მას სხვანაირი იერი ჰქონდა და სხვანაირადაც დადიოდა, – გააგრძელა ვარლამმა. ახლა გაგიგონია, ბატონო, ამას წინათ ერთმა მომღერალმა დააგვიანა რეპეტიციაზე, – სად იყავი, კაცო, ასე რომ ქშინავ-მეთქი, – ვკითხე.

– ბოდიში, ბატონო ვარლამ, მშიოდა და ბორშით გავძეხიო, – მიპასუხა.

წაბრძანდი, ბიძია, სახლში, ბორშით გამძღარი კაცი გურულ სიმღერას ვერ იმღერებს მეთქი, – ვუთხარი. გიგოს გაეღიმა და წვერზე ხელი ჩამოისვა.

– საგალობელს თუ ასრულებს ვინმე? – იკითხა მან.

– გალობა საერთოდ აიკრძალა, – თქვა დიმიტრი პატარავამ, – ღმერთი თუ კი იყო სადმე ნახსენები, ყველაფერი აკრძალეს, ეკლესიებში წირვა აღარ მიდის, ქრისტიანუ-

ლი დღესასწაულები აღარ ტარდება, და მიივიწყა ხალხმა ის, რაც აქამდე საუკეთესო ტრადიციად ითვლებოდა. მგალობლებიდან ბოლო ჩვენ დავრჩით: არტემი, ვარლამი და მე, 2000-ზე მეტი საგალობელი ვიცით, მარა რად გინდა მერე, იგალობებ და ციმბირი უკან დაგრჩება.

მგალობლები ხომ აღარაა, მომღერლებიც თანდათან კლებულობს, – ჩაერია საუბარში ვარლამი – სიმღერა მასიური უნდა გავხადოთო – იძახიან, გაგიგიათ, ბატონო? გურულ სიმღერაში კაი ტრიო და კაი „გადაძახილია" საჭირო, ასი კაცი რომ ერთად იმღერებს „სიმღერას პარტიაზე" და 50 კაცი ერთნაირ ბანს იტყვის, შევარცხვინე იმნაირი სიმღერა. ამას წინათ ერთი კაცი მომიყვანეს – დიდი ბანი აქვსო, – ბიძია მე ბანს კი არ ვწონი, ბანს მოქნილი სიმღერა უნდა-მეთქი – ვუთხარი. ეჰ, ამოიოხრა ვარლამმა, – ჩვენი თაობა რომ წავა, საგალობლების და ნადურების მცოდნე კაცი აღარ დარჩება გურიაში. მართლა, ნადურზე გამახსენდა, გიგო ბატონო, ჩემს გუნდს ნადური მინდა ვასწავლო, „შემოქმედურა" რომ იყო, იმასთან „ჩათხრობილა" მინდა შევაერთო, მარა ერთი ადგილი ვერ გევიხსენე და თქვენ მინდა გთხოვოთ... მერე ჩაახველა, ხმას დაუწია და ჩემთვის რაღაც უცნობი სიმღერა წაიმღერა.

გიგომ ყურადღებით მოუსმინა, მერე ცოტა ჩაფიქრდა და თქვა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ასე უნდა იყოსო და რამდენიმე მუხლი ჩაიმღერა. ვარლამს თვალები გაუბრწყინდა, მერე ადგა და გიგოს აკოცა. გიგოც წამოდგა და სტუმრები იმ ოთახში გაიყვანა, სადაც „გრამოფონი" იდგა. დატრიალდა ფირფიტა, ჯერ ნაცნობი შრიალი გაისმა გრამოფონიდან და მერე ვარლამ სიმონიშვილის ხმა: „ჩავლეიშვილი, ჩხიკვიშვილი და სიმონიშვილი, „ჩვენ მშვიდობა" ნამოსძახეთ" და დაიწყო სამუელ ჩავლეიშვილმა თავისი განუმეორებელი ხმით „ჩვენ მშვიდობა", მოძახილი სამუელ ჩხიკვიშვილმა უთხრა, ბანს ვარლამი ასრულებდა. სტუმრები სულგანაბული უსმენდნენ სიმღერას, ვიდრე ფირფიტიდან ვარლამმა არ შეაფასა სამუელის ნამღერი: „ვაშა, ჩავლეიშვილო!" სიმღერა დამთავრდა.

– მართლა ვაშა, ჩემო სამუელ, – თქვა ვარლამმა, – ამისთანა მომღერლები სადაა ახლა?!

1909 წელი იყო, – განაგრძო ვარლამმა, – სამუელ ჩავლეიშვილმა კაცი გამომიგზავნა, თურმე, ქუთაისში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ხალხი სიმღერებს იწერენ „გრამოფონის" ფირფიტებზეო. სამუელი ყველასთან არ იმღერებდა, კი იცით მაგი თქვენ. მოგვიყარა თავი რამდენიმე მომღერალს, ვისთანაც სიამოვნებდა სიმღერა. ქუთაისში წაგვიყვანა, ბესონიე ინწკირველი, ლადიკო დოლიძე, ილარიონ ჩავლეიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, სამუელ ჩხიკვიშვილი და მე. სამუელ ჩავლეიშვილი ძალიან პოპულარული კაცი იყო, ქუთაისშიც ბევრი ნაცნობი ჰყავდა, ჰოდა, ვინ გაცალა სიმღერის ჩაწერა, ერთი კვირა გვაქეიფეს, მერე ცოტა დევისვენეთ და ჩავწერეთ, მაშინდელია ეს ჩანაწერები. ეჰ, რა მომღერლები იყვნენ, ისე ვუწყობდით ხმებს ერთმანეთს, გეგონებოდათ, ერთად ვიყავით დაბადებული. სამუელი მაინც სასწაულებს ახდენდა, ასჯერ რომ ემღერა რომელიმე სიმღერა, ორჯერ ერთნაირად არ გეიმეორებდა, პირველი ხმის გარდა, სხვას არ იმღერებდა, მერე ბესონიე, – რა ტკბილი ხმა ჰქონდა, ილარიონ ჩავლეიშვილს, „ბანის განმამშვენებელი" უწოდეს – ეჰ, რა ხალხი წევიდა?! – დაასრულა ვარლამმა.

მერე გიგოს ანსამბლის სიმღერები მოისმინეს და მომღერლები შეაქეს. ბოლოს დიდი მადლობა გადაუხადეს მას ასეთი სიამოვნებისათვის.

ამასობაში ბაბუა არტემი შემოვიდა ოთახში და სტუმრები სუფრასთან მიიწვია, სხვა ოთახში გავიდნენ. ვარლამი მივიდა კედელზე დაკიდულ ფოტოსურათთან, რომელზეც გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი იყო გადაღებული და ქვევით ეწერა: „თბილისი, 1907 წელი. ვარლამი მომღერლებს დააკვირდა, მერე სინანულით გადააქნია თავი და თქვა: ნეტა კიდევ თუ დეიბადება გიორგი ბაბილოძის მსგავსი „გამყივანი“, ა?“

სტუმრები სუფრას მიუსხდნენ. არტემმა გიგოს სთხოვა, შენ გვითამადეო. ყველას გაუხარდა. გიგომ შორს დაიჭირა რაღა დროს ჩემი თამადობაა, ამ ხნის კაცის თამადობა ვინ გეიგონაო, მაგრამ როცა დიმიტრიმ და ვარლამმაც სთხოვეს, – დასთანხმდა. მე ოთახის კუთხეში მოვკალათდი ბუხართან.

– მაშინ, ჯერ ვიგალობოთ, – თქვა გიგომ და პატარა ხმით ჩემთვის უცხო სიმღერა დაიწყო. მას დიმიტრი პატარავა „წამოეშველა“, ბანი ვარლამმა უთხრა. ისინი სულ სხვა ყაიდაზე მღეროდნენ, მე მივხვდი, რომ რაღაც უცნაურ სიმღერას ასრულებდნენ. როცა სიმღერა დაამთავრეს, პირჯვარი გადაიწერეს და ღვინო ჩამოასხეს.

– ბატონო გიგო! რამდენი ხანია, აი გალობა აღარ გვითქვამს, აგაშენა ღმერთმა, – უთხრა ვარლამმა. მე მაშინ პირველად გავიგონე საგალობელი „დღეს საღვთო მადლმან შეგვკრიბა ჩვენ“.

ყველა სადღეგრძელოს შემდეგ მღეროდნენ. ბანს ხან ვარლამი ამბობდა, ხანაც – ბაბუა არტემი. მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები, რომ ყველაფერი „სუფრის წესის“ მიხედვით სრულდებოდა. იმ დღეს პირველად მოვისმინე ვარლამ სიმონიშვილის ბანი, რომელიც ძალიან მომეწონა.

მერე მეც მამღერეს, გიგო ბაბუამ მუხლზე დამისვა და „მასპინძელსა მხიარულსა“ დამაწყებინა, ბანი არტემ ბაბუამ გვითხრა. სიმღერა მომიწონეს, ვარლამი მომეფერა და ფული მაჩუქა, რამდენი იყო, არ ვიცი, რადგან ფულის ცნობა არ ვიცოდი.

როდის წავიდნენ სტუმრები, არ მახსოვს, როგორც ჩანს, ადრე ჩამეძინა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მათი ხმები ახლაც ჩამესმის თითქოს. ერთხელ, ძველ მომღერლებს რომ ვიხსენებდით, ცნობილმა მომღერალმა დიმიტრი იმედაიშვილმა მითხრა: „ვარლამს მეტად მოქნილი ბანი ჰქონდა, დაბლიდან მაღლა შევარდენივით მიდიოდა“.

ნამდვილად ასე იყო.

* * *

გიგო ერქომაიშვილისგან, თურმე, სიმღერას სწავლობდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათ შორის იყვნენ ფირალებიც. 1900-იანი წლების დასაწყისში გურიაში მომრავლდა მთავრობაზე განაწყენებული პირები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. გურიაში ცნობილია ასეთი გვარები: სისონა დარჩია, სიმონა დოლიძე, დათიკო შევარდნაძე, ბუღარა მამალაძე, გოგია დღონტი, ნიკოლოზ მეხუზლა და სხვები. ფირალობა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც გაგრძელდა, ბევრი ვერ შეეგუა საბჭოთა რეჟიმს და სამართლის საძებნელად იარაღი აიღო ხელში. ერთ-ერთი ასეთი ფირალი გახლდათ კარგი მომღერალი და ფრიად განათლებული კაცი მელქის (მელქისედეკ) გუნთაიშვილი. იგი ახალგაზრდობიდან მეგობრობდა არტემ, ანანია და ლადიკო ერქომაიშვილებთან. გიგო მას სიმღერებს ასწავლიდა. იგი რევოლუციამდე არაერთხელ იყო დაპატიმრებული მეფის ჟანდარმერიის მიერ რევოლუციური საქმიანობისათვის. სხვათა შორის, ცნობილი ფაქტია, რომ მელქის

გუნთაიშვილი სტალინთან ერთად იჯდა ქუთაისის ციხეში და მას გურულ სიმღერებს ასწავლიდა. ამის მოწმე გახლდათ ლუკა თოიძის ძმა – ალფესი, რომელიც მათთან ერთად იმყოფებოდა ციხეში.

1937 წელს, მოსკოვში საქართველოს ხელოვნების დეკადაზე, ქართველ ხელოვანთა პატივსაცემად, სტალინმა ვახშამი გამართა. იგი რიგრიგობით მიდიოდა მომღერალ ჯგუფებთან და მღეროდა სხვადასხვა კუთხის სიმღერებს. ამ ამბის მოწმე იყო გიგოს ვაჟი ანანია ერქომაიშვილი, რომელიც მაშინ კირილე პაჭკორიას გუნდში მღეროდა. სწორედ მან გვიამბო: სტალინი გურულებთან მისულა და მოუკითხავს ძველი მეგობრები, მათ შორის უკითხავს, სეფე ცინცაძე თუა ცოცხალიო, მერე დაუწყია „ალიფაშა“ ასეთი ტექსტით:

„ჩვენი სისონა დარჩია ნაქებია ბიჭობაში,
მივიდა და ძმა იტირა, არ შეშინდა იმტონ ჯარში,
ცალ ხელში თოფი ეჭირა, ცრემლი მოასხმიდა თვალში,
შენ მკტარი და მე ცოცხალი, რაფერ გევიარო ხალხში“.

სტალინს საკმაოდ მაღალ დონეზე უმღერია „ალიფაშას“ მშვენიერი ვარიანტი და უთქვამს, ეს სიმღერა, ციხეში მასწავლა მელქის გუნთაიშვილმაო.

ამ ფაქტის შემდეგ „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი ყველამ დაივიწყა და ამ სიმღერაში სტალინის მიერ ნამღერი ტექსტი დამკვიდრდა.

როცა ანანია დეკადიდან დაბრუნდა, მამამისს უამბო ამის შესახებ, გიგო დაინტერესდა თუ როგორი ტექსტით მღეროდნენ „ალიფაშას“, სანამ სტალინი იმღერებდა. ანანიამ წაიმღერა;

„ალიფაშამ გვიღალატა, ჩაგვიყვანა კვირიკეში,
თითონ ფულები ეიღო, ჩვენ ჩაგვტია მტრისა ხელში,
კაი არც მას დამართია, ბაწრით ჩეითრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა, სუფსას გაღმა ბაილეთში“.

„ალიფაშას“ ტექსტი, – თქვა გიგომ, – საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადააკეთეს, რადგან იგი ისეთი სახით არ იყო მათთვის მისაღები. პირველი სტროფი საერთოდ ამოიღეს, ხოლო სადაც რუსი იყო ნახსენები, ის ადგილი სხვა სიტყვებით შეცვალეს. „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი, რომელიც აჭარლებისაგან ვისწავლეთ, ასეთი იყო:

„თათარი და რუსი ჩხუბობს, იგინია ორივ ეში,
ალიფაშამ გვიღალატა ჩაგვიყვანა კვირიკეში.
თითონ ფულები ეიღო, ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში,
კაი არც მას დამართია, ჯაჭვით ჩეითრიეს გემში,
მისი ყვეირილი ისმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში“.

ახლა, როცა ამ ტექსტებს ვადარებთ, ჩანს, რომ სტალინმა იცოდა „ალიფაშას“ ნამდვილი ტექსტი, შესაძლებელია, მღეროდა კიდეც, მაგრამ არ ისურვა, რომ რუსე-

ბისათვის ძაღლი და მტერი ეძახნათ ქართველ მომღერლებს, ამიტომ მან სხვა ტექსტი შეარჩია, ან კიდევ, ბალადა სისონა დარჩიაზე იმ პერიოდში დაიწერა. ის გურულ ზეპირსიტყვიერებაში ნამდვილი შედევრია, შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ სტალინმა, სწორედ ეს ლექსი შეარჩია სიმღერისათვის. მოგვიანებით, 1945 წელს, ოქტომბერში, სტალინს სოჭში თავის აგარაკზე მიუწვევია აკადემიკოსები ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით. საუბარში, სხვათა შორის, მას უთქვამს, რომ ძალიან მოსწონს გურული სიმღერები, მაგრამ სინანული გამოუთქვამს იმის გამო, რომ გურულებს საგუნდო სიმღერები კამერული შესრულების დონეზე დაუყვანიათ. თურმე, სტალინს მოუგონებია სიმონიშვილი, როგორც კარგი მომღერალი. ასევე მოიგონა კარგი მომღერალი, გულწრფელი კაცი და კარგი ვაჟკაცი გუთნიაშვილი, – რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შევინარჩუნეთ და ჩვენს პერიოდში მოკლესო, – უთქვამს სტალინს (ეს გუთნიაშვილი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს მელქის გუნთაიშვილი, ალბათ, დაბეჭდვის დროს დაუშვეს შეცდომა, თორემ გვარი – გუთნიაშვილი გურიაში არ არსებობს – ა.ე.)

გასაბჭოების პერიოდში მელქის გუნთაიშვილი პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. მერე ბოლშევიკებმა ძმა მოუკლეს. ამის გამო მათთან უთანხმოება მოუვიდა, რის გამოც მისი დაჭერაც მოინდომეს. ეს გაიგო მელქისმა, აიღო იარაღი და „ფირალად გავარდა“. იგი რამდენიმე წელს იმალებოდა ტყეში და ბოლოს სხვებთან ერთად ისიც მოკლეს სოფელ ექადიასთან. მას დიდი ვაჟკაცისა და სამართლიანი კაცის სახელი დარჩა ხალხში.

ფირალებს ყველა სოფელში ჰყავდათ გამორჩეული ოჯახები, რომლებსაც ენდობოდნენ, მაკვანეთში ერთ-ერთი ასეთი, გიგო ერქომაიშვილის ოჯახი იყო, სადაც სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ სისონა დარჩია, დათიკო შევარდნაძე, გოგია ღლონტი, მელქის გუნთაიშვილი და სხვები.

მელქისი მათი ხშირი სტუმარი იყო. მას, თურმე, სამზადში ყოფნა და ძმებ ერქომაიშვილებთან ერთად სიმღერა უყვარდა. მელქისს იმდენად კარგი ხმა ჰქონდა, რომ ერთხელ მისთვის არტემს უთქვამს, შენ რომ მთავრობა შეგირიგდეს, აუცილებლად ჩემს გუნდში ჩაგრიცხავდიო.

– მე მთავრობას ცოცხალი არ შევურიგდებიო, – უპასუხნია მელქისს, – კობა (სტალინი) იმდენად ჭკვიანი კაცი იყო, რომ ვერ დავიჯერებ, ეს ყველაფერი იცოდეს, რაც დღეს ჩვენთან ხდება. ნეტავი ერთი შემახვედრა და მასთან გულახდილად მასაუბრაო, – უთქვამს ნაღელიანს.

გიგოს ოჯახში მელქისი ყველას უყვარდა. ერთ ზამთარს იგი რამდენიმე დღეს დარჩა ერქომაიშვილებთან. დღისით ოდის სახურავზე იმალებოდა, რომ არავის შეემჩნია, ხოლო ღამით ჩამოდიოდა და სამზადში დიდხანს უსხდნენ სუფრას და მღეროდნენ.

ერთ საღამოს გიგოსთან აღელვებული მოვიდა ალფესი თოიძე. მან თქვა, სტრაჟნიკები ამაღამ მაკვანეთში მოდიან და შესაძლებელია შენს ოჯახშიც მოვიდნენ, როგორც ჩანს, საიდანღაც გაიგეს, რომ მელქისი თქვენთან აფარებს თავსო, – გიგომ სასწრაფოდ აფრინა ბავშვები და მომღერლები მოაყვანინა. ამასობაში ძმები ერქომაიშვილები მელქისთან ერთად ტყეში გავიდნენ, ტყე ჩვენს ეზოს ზედ ეკვროდა. ღამე ბნელი იყო და სიარული ჭირდა, მაგრამ ძმებმა თითოეული ბილიკი იცოდნენ, ამიტომ მელქისთან ერთად მთელი ღამე იარეს და გამთენიას სოფელ გომში მიიყვანეს, ერთი თავიანთი მეგობრის ოჯახში.



ძმები ანანია, არტემ და ლადიკო ერქომაიშვილები

ერთი საათის წასული არც იქნებოდნენ მელქისი და ძმები ერქომაიშვილები, რომ მილიციელებიც მოვიდნენ, მაგრამ მათ დახვდათ რამდენიმე მომღერალი, რომლებიც სამზადში ქეიფობდნენ და არაჩვეულებრივად მღეროდნენ. მილიციის უფროსი მოჯადოებული უსმენდა სიმღერებს, უკაცრავად, ბატონო გიგო, ამისთანა მომღერლებთან ყაჩაღებს რა უნდა, – თქვა მან, მერე სუფრას მიუჯდა და დილამდე იქეიფა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მელქის გუნთაიშვილმა ლექსი მისწერა ძმებ ერქომაიშვილებს, რომლებმაც იგი სიკვდილს გადაარჩინეს. მოგვყავს ამ ლექსის ფრაგმენტი:

„იცოცხლეთ, ძმებო, სამთავემ, ლხინში ჩასწმინდეთ ყელები,
დასჭექეთ ქართულ ენაზე სიმღერა ძველთაძველები,
ლხენით დაატკბეთ ჩაგრული ძმები, სიმართლის მცველები,
ბანს შემოგძახებთ ღიმილით სამშობლოს მთა და ველები.
თქვენს ერთად იყოს დღეგრძელი, ვინც თქვენ დღემდე განეტარა,
გიგო, გიორგი, მომლხენნი მოხუცნი წვერებჭაღარა,
ჭირში და ლხინში ქებულმან, ვინც თქვენ აქამდე გატარა,
მათაც მივუძღვენ სალამი და მასთან ლექსი პატარა...“

ამ ლექსზე არტემ ერქომაიშვილმა შეთხზა სიმღერა, რომელსაც ძველი მომღერლები დღესაც მღერიან.

* * *

გიგო ერქომაიშვილმა 107 წელი შეასრულა. იგი თავს მშვენივრად გრძნობდა, მღეროდა, თავისი ტუჩმოტეხილი დოქიდან სადილზე რამდენიმე ჭიქა იზაბელასაც სვამდა.

ერთ საღამოს ჩემი ნათლია კვიროსი ბერსენაძე, ლუკა თოიძე და ფილიპე ბაბილოძე გვესტუმრნენ. ისინი კარგი მომღერლები იყვნენ და გიგოს სამივე ძალიან უყვარდა. ბაბუა არტემი, დედაჩემი და მამაჩემი კონცერტზე იმყოფებოდნენ. ბებია მარიამმა სუფრა სამზადში, შუაცეცხლთან გაშალა, გიგოს იქ უყვარდა ჯდომა. იგი კარგ გუნებაზე იყო და სტუმრებთან ბევრი იმღერა. როცა სტუმრები ნავიდნენ, გიგო ადგა და ოდაში მარტო წავიდა. გარეთ წვიმდა, მას ფეხი გაუცურდა, დაეცა და თავი ქვაზე დაკრა. ცოტა ხნით გონება დაკარგა. მერე გონს მოვიდა, მაგრამ ფეხზე ვეღარ დადგა. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, ბაბუა არტემმა თქვა, დიდხანს ვეღარ იცოცხლებსო. ერთ საღამოს გიგომ არტემი იხმო და უთხრა: „მე დიდხანს ვეღარ გავატან, მივდივარ, ბიჭო, და აბა, თქვენ იცით, სიმღერები შეინახეთ და გვარი არ ნაშალოთ“.

იმ დროს სოფლად ელექტრონის შუქი არ არსებობდა. არტემ ბაბუამ ბებია მარიამი და მე ნავთის სასესხებლად გაგვაგზავნა მეზობლებში, – გიგოს ღამე უნდა გავუთიოთო. ნავთი არავის ჰქონდა. საშა ბაბილოძემ გვასესხა მხოლოდ ერთი ლიტრა. სახლში რომ დავბრუნდით, არტემ ბაბუა ბუხართან იჯდა, ცეცხლი მკრთალად ანათებდა ოთახს. გიგო „ვილაცეებს“ ესაუბრებოდა: „გამარჯობა, გიორგი შენი, რამდენი ხანია, ბიჭო, შენთან აღარ მიმღერია, გიორგი სადაა, იობიშვილი, ხომ იცით, უთქვენოდ სიმღერას შნო არა აქვს“ – ბებიამ ლამფა აანთო, შუქზე ნათლად გამოჩნდა, რომ გიგო გამოკვეთილი ჟესტიკულაციით საუბრობდა. ჩანდა, რომ მას უკვე ჩვენთან კონტაქტი აღარ ჰქონდა. მე შემეშინდა და ბებოს მივეკარი.

„გიორგი, დამიწყე ერთი „ალიფაშა“ – თქვა გიგომ და თვითონ ბანი მიაშველა. იგი მღეროდა ხალისიანად და მომეჩვენა, რომ ხმა მოძლიერებოდა კიდეც. ეს სიმღერა თვითონ მასწავლა, ამიტომ არ გამომპარვია, თუ რა ლამაზად ჩაახვია „ალიფაშას“ ბანი. ახლა რომ ვიხსენებ ამ ფაქტს, მჯერა, რომ მას გიორგი იობიშვილის „დამწყები“ და გიორგი ბაბილოძის „გამყივანი“ ჩაესმოდა, ამიტომაც მათ ხმებს განსაკუთრებული

ბანი მიუსადაგა და არა ისეთი მარტივი, ჩემთან რომ მღეროდა. – თქვენთან სიმღერას სულ სხვა ეშხი აქვს, – თქვა გიგომ, როცა სიმღერა დაამთავრა და გადაიხარხარა. – თქვენ რომ დამტოვეთ, მერე ცხოვრებამ ინტერესი დაკარგა. გახსოვს, გიორგი, რაფერ „მევიპარეთ" „ალიფაშა" ქაქუთიდან? ეჰ, რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ. ბიჭო, ივლიანე, შენ აქანე რაღა გინდა, იქ არ დაგტიე?! – შეეკითხა გიგო ივლიანე კეჭაყმაძეს. ამ კითხვაზე ბაბუა არტემიც გამოერკვა; ღმერთო, დაგელოცა სახელიო, – თქვა და პირჯვარი გადაიწერა. საქმე ისაა, რომ ივლიანე კეჭაყმაძე ერთი კვირის წინ დაასაფლავეს, ისიც ას წლამდე იყო მიტანებული. გიგოს ამის შესახებ არ შეატყობინეს – გული ეტკინებაო. ისე კი ხშირად ამბობდა, თურმე: ივლიანე, რომ კარგად იყოს, უსათუოდ მნახავდაო და აგერ სად შეხვდა ახლა. ივლიანე, დამიწყე ერთი „ჩვენ მშვიდობა" – უთხრა გიგომ და „მოძახილით" გაჰყვა „დამწყებს". მერე ნანიკო ბურძგლა მოიკითხა; გიორგი, ერთი „ძველი შვიდკაცა" დეიწყე, თუ ძმა ხარ, შენ რომ იცი ისე, „გადაძახილზე" გამყივანს ნანიკო გვეტყვის.

„შვიდკაცას" რომ მორჩნენ, – თქვენ გეიხარეთ, ასე გემრიელად რამდენი ხანია აღარ მიმღერიაო, თქვა და უცებ ვიღაცას უპასუხა: – არტემი? – არტემი არ წამეცივანეო, ჯერ ბევრი საქმე აქვს, მერე, მოგვიანებით მოვა ჩვენთან. – თქვა და თვითონვე წამოიწყო „გრძელი ღიღინი", მაგრამ ვეღარ დაამთავრა, ხმა თანდათან დაუსუსტდა, მერე მიწყნარდა და სიმღერაც შეწყდა, ბაბუა არტემი ადგა, ფრთხილად დაუხუჭა თვალები და ხელები გულზე დაუკრიფა.

იდგა 1947 წლის 9 ოქტომბერი.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: კარგად მახსოვს, რომ გიგოს სიკვდილის წინ არცერთი გარდაცვლილი შვილი არ მოლანდებია, იგი მხოლოდ თავის მომღერლებს შეუერთდა სიმღერით.

დილით მეზობლები მოვიდნენ სამძიმარზე. ოთახიდან რომ გამოვიდნენ, ბათლომე ბერსენაძემ მელიტონ წივწივაძეს უთხრა, – ვისაც დიდი სიკეთე აქვს გაკეთებული, ღმერთი აუცილებლად სასუფეველს დაუმკვიდრებს, მადლიანი კაცი იყო გიგო, და აგერ ნახეთ, ნათელი ადგას თავზეო. – ხნიერი კაცები დაემოწმნენ, ზოგმა პირჯვარიც კი გადაიწერა.

ბავშვებს შეგვეშინდა, მაგრამ მერე ცნობისმოყვარეობამ გვძლია და ახალგაზრდებთან ერთად მაინც შევიჭყიტეთ ფანჯარაში.

გიგო ტახტზე ესვენა, ტანზე თეთრი ზეწარი ეფარა. ის ადგილი, სადაც თავი ედო, რაღაცნაირად იყო განათებული. შესაძლებელია, საიდანღაც მზის შუქი შემოდიოდა, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, გიგოს თავი მართლა იყო შუქმოფენილი. ღმერთმა აცხონოს!

ოქტომბრის თბილი დღე იყო. ჩვენი ეზოს შუაგულში დიდი ცაცხვის ხე იდგა, რომელიც მთელ ეზოს ჩრდილავდა, ამ ცაცხვის ქვეშ გაეკეთებინათ დიდი ფანჩატური, სადაც ჩვენი „თეთრი ბაბუ" ესვენა. დაძინებულივით იწვა კუბოში, თეთრი წვერი მკერდამდე ეფინა, მახსოვს, მიცვალებულს რუხი ფერის ჩოხა ემოსა, წელზე ქამარ-ხანჯალი ერტყა, ხოლო ფეხზე სქელძირიანი წუღები ეცვა, წვივებს პაჭიჭები უფარავდა, თავთან შავი ყაბალახი და პატარა წიგნი ედო, მე ყური მოვკარი, არტემ ბაბუამ თავის ძმას, ლადიკოს რომ უთხრა ჩუმად, – ლოცვების წიგნი ჩავატანოთო.

ოქტომბრის თბილი დღე იდგა. გიგოს დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი მოვიდა. საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა იგი. არტემ ბაბუამ მღვდელი მოიყვანა, რომელმაც წესი აუგო მიცვალებულს. ბავშვები ინტერესით მივჩერებოდით მღვდელს,

რომელიც ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა. მიცვალებულს თავზე ადგნენ ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა და არტემ ბაბუა. უცებ მათ ხმამაღალი სიმღერა დაიწყეს. ჩვენ გაკვირვებისაგან პირი დავაღეთ, – სატირალში მღეროდნენ. მე არ ვიცოდი, რას მღეროდნენ, მაგრამ სულ „ვაი-ვაის“ გაიძახოდნენ. მერე მეორე სიმღერაც იმღერეს, საიდანაც დღემდე დამამახსოვრდა ეს სიტყვები: „სულთათანა, აღსრულებულსა მართალთასა“. მერე კიდევ ბევრჯერ იმღერეს.

მახსოვს, სიმღერის გაგონებაზე, მოხუცები ახლოს მივიდნენ მომღერლებთან და დიდი ინტერესით უსმენდნენ. მერე მელიტონ წივწივაძემ ფილიპე ბაბილოძეს გადაულაპარაკა: რამდენი ხანია, „ზარი“ და „სულთათანა“ აღარ გამოგონია, ყოჩაღ, არტემს, ისე დაკრძალა გიგო, რავარც მას ეკადრებოდაო.

– მაი ყოლიფერი კაი, მარა ის მიკვირს, რაფერ გაბედეს გალობაო, – უპასუხა ფილიპემ.

გიგო ერქომაიშვილი დაკრძალეს ნაკაშიძის გორაზე, იმ ეკლესიის გალავანში, სადაც ბევრჯერ უგალობია თავის ანსამბლთან ერთად.

ეკლესია კომუნისტებმა დაანგრიეს, მაგრამ დარჩა ქვიტკირის გალავანი. გიგო დაკრძალეს გიორგი ბაბილოძის ახლოს, თავის ცოლ-შვილთან.

გიგოს დაკრძალვის მეორე დღეს, სკოლაში რომ მივედი, ბავშვები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, გუშინ გიგო ერქომაიშვილის დასაფლავებაზე, იმის მაგივრად, რომ ეტირათ, მისი შვილები თურმე მღეროდნენო.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ვფიქრობ: ნეტავი მაშინ ყოფილიყო დღევანდელი ფონო-ვიდეო ტექნიკა, რომ ის რიტუალი ვინმეს ჩაეწერა, რადგან ეს იყო ბოლო მიცვალებულის დაკრძალვა ტრადიციული წესით, ნამდვილი მგალობლების მიერ. მას შემდეგ იმ შესანიშნავ სამეულს აღარ შეუსრულებია სამგლოვიარო საგალობლები, რადგან ეს მკაცრად იკრძალებოდა.

ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა და არტემ ერქომაიშვილი იყვნენ ბოლო წარმომადგენლები მგალობელთა იმ მრავალსაუკუნოვანი სკოლისა, რომელსაც კომუნისტებმა დაუსვეს წერტილი.

* * *

როცა გიგო ბაბუა დავასაფლავეთ, ბაბუა არტემი ხშირად იჯდა გრამოფონთან და გიგოს ჩანაწერებს ისმენდა, ეტყობა, ძალიან განიცდიდა, ენატრებოდა ხანდაზმული მამა და მისი განუმეორებელი ნამღერი. ამ მონატრებას მისი სიმღერის მოსმენით იქარვებდა. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში.

ერთხელ, როცა „თეთრი ბაბუ“ ახალგარდაცვლილი იყო, ბაბუამ დამიძახა და გიგოს დარგულ ატმის ხესთან მიმიყვანა. ძველი წესის თანახმად, ორმოცამდე ყოველდღე გიგოს სახელზე საკურთხს უდგამდნენ, სუფრაზე მის საყვარელ ხილს – ატამს დებდნენ. გიგო ბაბუას ძალიან უყვარდა ხილი, ხელში განუყრელი ხისტარიანი დასაკეცი „ჯაყვა-დანა“ ეჭირა, რომელიც მამაჩემმა ჩამოუტანა ბათუმიდან. როცა მწიფე ვაშლი ან მსხალი ჩამოვარდებოდა ხიდან, მე და ირაკლი მივურბენინებდით, ბაბუა გათლიდა, ჯერ ჩვენ მოგვაწოდებდა თითო ნაჭერს და მერე თვითონ მიირთმევდა. ჩვენი საცივის წყალთან, ბაღჩის ბოლოში, ერთი ძირი მოზრდილი ატმის ხე იდგა, რომელიც უგემრიელეს ნაყოფს ისხამდა. „თეთრ ბაბუს“ ძალიან უყვარდა ის ატამი და მოუთმენლად ელოდა დამწიფებას, მერე, როცა გემოს გაუსინჯავდა, იტყოდა — ასეთი გემრიელი

ატამი გორშიც კი არ მოდისო.

იმ ატმის ძირში, ფესვზე რამდენიმე ახალი ამონაყარი, მოზრდილი ნერგი იყო. ბაბუამ ფესვი ცულით ფრთხილად გადაჭრა, მერე დაფესვილი ნერგი მე მომაწოდა და მოფერებით მთხოვა, გიგო ბაბუას საფლავზე წავყოლოდი. მე მხარზე გავიდე ბარი და ნაკაშიძის გორისაკენ ნელ-ნელა გავუყევით გზას. ნოემბერი იყო, მაგრამ საკმაოდ თბილი ამინდი იდგა. ჩვენ გიგოს საფლავთან მივედით, ბაბუამ ბარით დაახლოებით ორი მტკაველის სიღრმეზე მიწა ამოთხარა, ატმის ნერგი მე გადმომცა და მთხოვა, მე ჩამერგო. ფესვები კარგად ჩავალაგე ორმოში და ფხვიერი მიწა ხელით მივაყარე. მერე ბაბუამ ახალდარგულ ატამს სახლიდან წამოღებული ერთი დოქის წყალი დაუსხა და მიწა კარგად მოუტკეპნა.

გაზაფხულზე ატამმა იხარა, ტანი კარგად აიყარა და მეორე წელს უკვე ნაყოფი გამოისხა, რომელიც ზუსტად ისეთივე გემრიელი იყო, როგორც გიგოს ატმის ხის ნაყოფი.

ის ატამი გაიზარდა, ყოველ წელს ბლომად ნაყოფს ისხამდა, სასაფლაოზე ამოსულე-



ატმის ხე გიგოს საფლავზე

ბი გემრიელად შეექცეოდნენ მის ნაყოფს და გიგოს სულს ლოცავდნენ. გავიდა დრო, ატამი ნელ-ნელა გახმა, მაგრამ ძირზე ახალი ნერგი ამოვიდა. ახლა ამ ნერგმა იხარა, მერე ისიც გახმა, ისევ ახალი ნერგი ამოვიდა და ასე გრძელდება დღემდე. ატმის ხე გიგოს შთამომავლებივით ხარობს, ვინ იცის, უკვე მერამდენე თაობაა, მაგრამ გიგოს მოსაგონებლად და მისი სულის უკვდავსაყოფად დღესაც მის საფლავს ამშვენებს.

* * *

მაკვანეთის ანსამბლმა დიდი საქმე გააკეთა, გარდა საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობისა, მათ 1907 წლის ფონოჩანაწერებით უკვდავყვეს მაშინდელი სიმღერები. ეს სიმღერები, ორი საუკუნის წინანდელი ვარიანტებია, რადგან გიგო ერქომაიშვილისა და გიორგი ბაბილოძის პაპები და მასწავლებლები მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ჩაწერილი სიმღერების შესრულების დონე ჩვენთვის საზომია დღემდე, რადგან ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ძველი თაობის, საუკეთესო მომღერლების მიერაა ჩაწერილი, ამიტომ ახლა თითოეულ სასიმღერო ფრაზას, თუნდაც შემთხვევით გადარჩენილს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისათვის. ამიტომაც, რაც დრო გავა, მით მეტი ფასი დაედებათ, რადგან ეს ფონოჩანაწერები ქართული ხალხური სიმღერების



პასპორტია და მომავალში მის მითვისებასა და შებღალვას ველარავინ გაბედავს.

მეამაყება, რომ ამ სიმღერების გადარჩენაში, სხვა მოღვაწეებთან ერთად, ჩემს წინაპრებსაც მიუძღვით წვლილი.

გიგო ერქომაიშვილის გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ისტორიული ფაქტის მოწმენი გავხდით: საბჭოთა კავშირი დაიშალა, ფასეულობები გადაფასდა, წეს-წყობილებაც შეიცვალა, საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია, დღეს აღარ იკრძალება ღვთის სადიდებელი ჰიმნები და ტექსტები, მაგრამ ვინ დაგვიბრუნებს იმ სიმღერა-გალობებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში დაიკარგა და ჩვენმა წინაპრებმა თან წაიღეს?

გიგო ერქომაიშვილს ერთხელ ბაბუა არტემისთვის უთქვამს: „მე რომ მოვკვდები, ჩემთან ერთად ნელ-ნელა ჩემი ხსოვნაც დავიწყებას მიეცემა, ოდესმე ჩემი საფლავიც დაიკარგება, მერე მოვლენ სულ სხვა თაობები და აღარავის გავახსენდები, მომავალ თაობებს ჩემს თავს გაახსენებს მხოლოდ ჩემი ჩაწერილი სიმღერები, რომლებიც საუკუნეებს გაჰყვება შთამომავლობასთან ერთადო“.

მართლაც, დღეს ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარში მომრავლდა გიგო ერქომაიშვილის, სანდრო კავსაძის, ლევან ასაბაშვილის (დედას ლევანა), სამუელ ჩავლეიშვილის, ხუხუნაიშვილებისა და სხვა მომღერლების მიერ მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაწერილი სიმღერები, რომლებსაც ასრულებენ „რუსთავი“, „გეორგიკა“, „ლაშარი“, „ბათუმი“ და, რაც მთავარია, ბავშვთა ანსამბლები: „მართვე“, „მძლევარი“, „ბიჭები“ და სხვ.

რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი საქმე, რომ ჩვენი პატარა მომღერლები, XX საუკუნის ქართველები, სწავლობენ და მღერიან ქართული სიმღერების ორი საუკუნის წინანდელ ვარიანტებს. მომავალ საუკუნეში ისინი სხვას შეასწავლიან ამ სიმღერებს, ესაა სწორედ სიმღერის უკვდავება.

ჩემს სამუშაო მაგიდაზე გიგო ერქომაიშვილის დიდი ფოტოსურათი დევს, სიმონ ბოლქვაძის ნაჩუქარი. როცა ვუსმენ ჩემი წინაპრის მიერ ჩაწერილ „ძველ მაყრულს“ და მესმის „თეთრი ბაბუს“ სიმღერა მის საყვარელ ლექსზე, მოგონებებით, ბავშვობას ვუბრუნდები. ეს ის ლექსია, რომელიც ოდესღაც მან მიკარნახა და მე მონგრეული ასოებით გამოვიყვანე რვეულის ფურცელზე. სამწუხაროდ, ეს რვეული აღარ შემომრჩა. ახალგაზრდობის წლებში ეს ლექსები მიმავიწყდა კიდეც, მაგრამ, ახლა ვხვდები, თუ რატომ ჩამაწერინა გიგო ერქომაიშვილმა. ეს ლექსი ამეკვიატება უნებურად ხოლმე და, მელოდიასთან ერთად, თან დამდევს

„რა კარგია საწუთრო ასე გამატარებდეს,
ვინც მე მიყვარს, იმას რომ ჩემს თავს შეაყვარებდეს,
ვისაც მე არ ვუყვარვარ, ახლოს არ მაკარებდეს,
და უდროოდ სიბერეს რომ არ შემაპარებდეს“.

1999 წ.



ძველი სიმღერების ჯვაროსნული

ხელთ მაქვს თბილისში 1907 წელს გამოშვებული ერთ-ერთი პირველი გრამოფონის ფირფიტა. ეს ფირფიტა მეტად სქელი და მოუხეშავია. მასზე გამოსახულია ანგელოზი, ფირფიტის ნომერი, ფირმისა და სიმღერის სახელწოდებები, შემსრულებელთა ინიციალები და გვარები: გ. ბაბილოძე, გ. იობიშვილი, გ. ერქომაიშვილი. თბილისი.

დიდებულად მღერიან. დრო-ჟამს ვერ ნაუშლია მათი ხმები, ტემბრი და სილამაზე; თუმცა სიმღერა ზოგჯერ ძლივს ისმის, მაგრამ მცოდნე კაცი ადვილად გაარჩევს იშვიათ ხმებსა და საოცარ სიმღერებს.

ჩვენდა სასიხარულოდ, ზოგიერთმა ოჯახმა შეინახა გრამოფონის ფირფიტები, რომლებზედაც ჩაწერილია ძველი ხალხური სიმღერები. ეს არის საქართველოში ჩაწერილი პირველი ფირფიტები. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენს ოჯახში ბევრი ასეთი ფირფიტა ინახებოდა.

ბაბუაჩემი არტემ ერქომაიშვილი მათ სათუთად უვლიდა, თვითონაც მუდამ დიდი სიყვარულით ისმენდა და საპატიო სტუმარსაც ამ ფირფიტებს ასმენინებდა.

მაშინ ჯეროვნად ვერ ვაფასებდი მათ მნიშვნელობას, ახლა კი, როცა მათი შეგროვება და აღდგენა განვიზრახე, ჩვენს საოჯახო არქივში მხოლოდ რამდენიმე ცალი

ძველი ფირფიტაღა აღმოჩნდა.

ამ ფირფიტების აღდგენის იდეა მომაწოდა ჩემმა პედაგოგმა შალვა ასლანიშვილმა, რომელსაც რამდენიმე ფირფიტა მოვასმენინე. აღფრთოვანებულმა მეცნიერმა მირჩია უნიკალური ფირფიტები მოგვეძებნა ოჯახებში, არქივებსა და მუზეუმებში, ჩაწერილი სიმღერები გაგვეშიფრა და გადაგვეტანა სანოტო ფურცლებზე, აღგვენიშნა შემსრულებელთა გვარები ხმების მიხედვით, აღგვედგინა ფირფიტები თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით და გამოგვეცა განახლებული სახით, თანაც დასძინა, ამ გზით შევადგენთ ფირფიტების კრებულს, რომელიც ქართველი ერის მუსიკალურ კულტურას დიდ სამსახურს გაუწევსო. მართლაც, ეს იქნება ვალის მოხდა ხალხური სიმღერების მოამაგეთა წინაშე, რომელთა ნამოღვაწარსაც მივიწყება ემუქრება. ასე გაცოცხლდებიან დიდებული სიმღერები და მათი შემსრულებლები, რომლებიც პატიოსნად ემსახურებოდნენ ქართველ ხალხს და, დიდი წინაპრების მსგავსად, შემდეგ უკვალოდ ქრებოდნენ.

შ. ასლანიშვილმა სამართლიანად აღნიშნა ისიც, რომ რადგან ჩემი თაობის ხალხურ მომღერლებს მუსიკალური განათლება გვაქვს მიღებული და, შესაძლოა, ყური „გაფუჭებული გვქონდეს“ ტემპერირებული წყობის ინსტრუმენტებისაგან, მოსალოდნელია, ჩვენ მიერ შესრულებული სიმღერები შთამომავლობამ „შეკეთებულად“ მიიჩნიოს და ეჭვი შეეპაროს მათ ხალხურობაში. ამისათვის გვესაჭიროება კრებულები, რომლებიც დაადასტურებენ ხალხური სიმღერების სიწმინდესა და ხელშეუხებლობას. მეც სწორედ ამ მიზნით შევუდექი საკმაოდ რთულ საქმეს – პირველი ქართული გრამფირფიტებისა და მათ შესახებ არსებული მასალების შეგროვებას.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მთელს მსოფლიოს მოედო სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკელმა მეცნიერმა თომას ედისონმა გამოიგონა ფონოგრაფი – ბგერის ფიქსაციის აპარატი, რომელზედაც 1877 წლის დეკემბერში ჩაწერა მსოფლიოში პირველი ფონოგრამა.

1888 წელს გერმანელმა ინჟინერმა ემილ ბერლინერმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და მუშაობდა, ბგერის გამტარ მასალად გამოიყენა ცვილის თხელი აპკით დაფარული თუთიის დისკო, ხოლო ამ დისკოდან ბგერის გამოსაცემად – გრამოფონი. ე. ბერლინერის დისკოდან შეიძლებოდა ლითონის მატრიცის გადაღება ფირფიტების მასობრივი წარმოებისათვის. XIX საუკუნის ბოლოს კემდენში (აშშ) გაიხსნა მსოფლიოში პირველი გრამოფონების ფაბრიკა, რომლის ბაზაზეც შეიქმნა გრამოფონის უდიდესი კონცერნი.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში შეიქმნა გრამოფონებისა და მისი პორტატული სახეობის – პატეფონების წარმოების კომპანიები და ფირმები (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I. გვ. 251).

ამ ფირმებმა დაიწყეს გრამოფონის ფირფიტების გამოშვება სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ფირფიტებთან ერთად გრამოფონებსაც ასაღებდნენ. 1901-1902 წლებში ინგლისურმა სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონმა“ რიგაში ააშენა პირველი ფირფიტების ფაბრიკა. 1910 წელს მოსკოვის მახლობლად, აპრელევკაში აშენდა გრამფირფიტების ქარხანა. 1915 წელს რუსეთში უკვე 6 ფაბრიკა მუშაობდა და წელიწადში 20 მლნ. ფირფიტას უშვებდა. გამოდიოდა ჟურნალები „გრამოფონნი მირ“ (1910-1916 წწ.) და „გრამოფონნაია ჟიზნ“ (1911-1912 წწ.).

უცხოეთის ფირმები დაინტერესებული იყვნენ გრამოფონების გასაღებით, ამიტომ სხვადასხვა ქალაქებში ადგილზევე იწერდნენ სიმღერებს, შემდეგ ბეჭდავდნენ ფირ-

ფიტებზე და გრამოფონთან ერთად ყიდდნენ.

1901 წელს ინგლისურმა სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონმა“ თბილისში გახსნა ხმის ჩამწერი სტუდია. სტუდიასთან ერთად გაიხსნა მაღაზიაც, რომელიც გრამოფონებითა და გრამფირფიტებით ვაჭრობდა. ეს მაღაზია და ხმის ჩამწერი სტუდია მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტზე, №9-ში (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი), ქაშუეთის ეკლესიის ახლოს, სასტუმრო „ორიენტში“. თბილისის ხმის ჩამწერი სტუდია მთელს ამიერკავკასიას ემსახურებოდა. გრამფირფიტებთან ერთად გამოდიოდა უფასო კატალოგები, რომლებიც ფირფიტების შეძენით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ეგზავნებოდათ. ასეთ კატალოგებს, სამწუხაროდ, ვერც ერთ სახელმწიფო არქივში ვერ მივაკვლიეთ. სამაგიეროდ, ხელთ გვაქვს კერძო პირების კუთვნილი ორი კატალოგი.



გრამოფონის მაღაზია გოლოვინის №9-ში (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი)

გურიაში შეგროვილ ძველ ფირფიტებს სხვა კუთხის სიმღერებიც მივუმატე ცნობილ მომღერალთა შესრულებით და მივადექი მოსკოვში ფირმა „მელოდიის“ სარესტავრაციო განყოფილებას. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა საქმიანი კონტაქტი დაამყარა ფირმა „მელოდიასთან“ და სარესტავრაციო ხარჯების ანაზღაურება იკისრა.

ფირფიტების უმრავლესობა გაცვეთილიყო, ამიტომ, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მათი სრულყოფილი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

სარესტავრაციო განყოფილების გამოცდილი თანამშრომლის კლავდი კლავდის ძე ტიხონრავოვის რჩევით, მოსკოვში გლინკას სახელობის მუზეუმში მივედი, რათა შედარებით უკეთ შენახული იგივე ფირფიტები მეპოვნა.

გლინკას სახელობის მუზეუმში აღმოჩნდა არა რევოლუციამდელი, არამედ 1928 წლის შემდეგ ჩაწერილი ფირფიტები: სანდრო კავსაძის, ნიკო ქუმსიაშვილის, სანდრო ინაშვილის, ვარლამ სიმონიშვილის, არტემ ერქომაიშვილის, მარო თარხნიშვილისა და

სხვათა შესრულებით.

მე ვთხოვე, ჩემთვის მოესმენინებინათ ზოგიერთი მათგანი. ცალკე ოთახში, სადაც ფირფიტები ჩემ მიერ შერჩეული ნომრების მიხედვით მოიტანეს, შევუდექი მოსმენას.

ამ დროს ერთ-ერთი მუსიკალური სკოლიდან პედაგოგმა ექსკურსიაზე მოიყვანა ბავშვები, რომლებიც დაინტერესდნენ უჩვეულო სიმღერებით და მოსმენის ნებართვა გვთხოვეს.

მე, რასაკვირველია, დავთანხმდი.

ბავშვები დიდი ინტერესით ისმენდნენ ხალხურ სიმღერებს და მეკითხებოდნენ, რამდენხმიანი და რომელი კუთხის სიმღერებია, ვინ არიან შემსრულებლები, რა ჰქვია მაღალ „ჩახვეულ ხმას“ (კრიმანჭულს), როდის არის ჩაწერილი, მღერიან თუ არა ახლა ასეთ სიმღერებსო და ა. შ.

ექსკურსიისათვის განკუთვნილი დრო დამთავრდა, მაგრამ, სანამ მოსმენა არ დავამთავრე, ბავშვებს ფეხი არ მოუცვლიათ.

საინტერესო იყო ჩვენი რეაქციები სიმღერების მოსმენისას. ბევრ მათგანს მეც პირველად ვისმენდი.

ბავშვები ხანდახან ტაშსაც შემოკრავდნენ ხოლმე. მათი პედაგოგიც აღტაცებული იყო ქართული სიმღერებით და დიდი მადლობაც გადამიხადა.

მართალია, ამ აღმოჩენით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ, სამწუხაროდ, რევოლუციამდე ჩაწერილი სიმღერები მუზეუმში არ აღმოჩნდა, რის შესახებაც მუსიკალური სკოლის პედაგოგს ჩემი წუხილი გავუზიარე. როცა საქმის შინაარსი გაიგო, მან რამდენიმე კოლექციონერის მისამართი ჩამაწერინა, რომლებიც რჩევას მაინც მომცემდნენ, ჩემთვის საჭირო ფირფიტები თუ არ ექნებოდათ.

თბილისში გამოშვებული ფირფიტების პირველი კატალოგი გადმოგვცა მოსკოველმა კოლექციონერმა ლეოპოლდ იურის ძე კოტუხოვმა. ამ კატალოგიდან გადავიღეთ ასლები, რომლებიც ამჟამად ინახება თბილისში, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და მეცნიერებათა აკადემიაში. მასში შეტანილია ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც თბილისში ჩაიწერა 1907 წლიდან. კატალოგი შედგენილია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე, ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი შემსრულებელთა გვარები, ფირფიტების საწარმოო ნომრები და სიმღერების დასახელება.

კიდევ ერთი კოლექციონერი, ვლადისლავ ბელოგუბოვი, ავად იყო, საავადმყოფოში იწვა.

მარკ ძე შნაიდერი კი დიდი ძებნის შემდეგ ვიპოვნე სოკოლნიკებში, ერთ ძველ სახლში, კარი თვითონ გამიღო. იგი 80-85 წლისა იქნებოდა. ნახევრად მწოლიარე ავადმყოფი იყო, ლოგინზე ფეხებთან ორი კატა ეწვა, სასთუმალთან სკამი ედგა. სკამზე ჩაის ჭიქა და ლამბაქი ეწყო. მასპინძელი ენაწყლიანი აღმოჩნდა და სანამ მე რამეს ვთხოვდი, მიამბო, თუ ვის იცნობდა, ვინ უნახავს, ვისთვის მოუსმენია, რა უნიკალური ფირფიტები აქვს და ა. შ. კედლები ფირფიტებით სავსე თაროებსა და შალიაპინის, ჯილის, მილიცა კორიუსის, კარუზოსა და მაქსიმ გორკის სურათებს დაეფარა. ჩემს ფირფიტებს მაქსიმ გორკი ისმენდა, რომელიც თავისუფალ დროს ხშირად მოდიოდა ჩემთანო, – მითხრა მოხუცმა. თავისი სურათიც მაჩვენა, შალიაპინთან გადაღებული.

ჩემი იდეალი შალიაპინიაო, – დასძინა, შემდეგ ადგა, კედელთან მივიდა, და კარადის კარი გამოაღო. ეს რაღაც არაჩვეულებრივი გრამოფონი დავინახე. თაროდან

გადმოიღო ფირფიტა, ხსნარში დასველებული ბამბით ფრთხილად გაწმინდა და ასევე ფრთხილად დადო გრამოფონზე.

მასნეს ოპერიდან დონ კიხოტის სიკვდილის სცენას მღეროდა შალიაპინი. მე მონუსხულივით ვუსმენდი სიმღერის ამ ჯადოქარს. შალიაპინმა სიმღერა დაამთავრა. შნაიდერმა ფირფიტა ისე ფრთხილად აიღო და შეინახა, თითქოს ახალდაბადებული ბავშვი აეყვანოს ხელში.

როცა ჩემი მისვლის მიზეზი შეიტყო, გულდაწყვეტით მითხრა: სამწუხაროდ, ხალხურ სიმღერებს არ ვაგროვებ, არც ვინმე ისეთი მეგულება, ვინც ქართულ ხალხურ სიმღერებს აგროვებდესო. მაგრამ მაინც მირჩია, კრასნოგორსკის ფოტო-ფონო-კინო და მოსკოვის ცენტრალურ ხმისჩამწერ არქივებში მივსულიყავი. ფირფიტების ნომრებს რომ გაეცნო, უმალვე მითხრა: „ეს ფირფიტები 1907-1910 წლებშია ჩაწერილი. თქვენ ფირფიტები კი არა, მატრიცები ან მათი ასლები უნდა მოითხოვოთ. შესაძლოა, თვით არქივებშიც არ იცოდნენ ამ მასალის არსებობა, ამიტომ არ მოეშვათ და კატალოგებს გაეცანით. საზღვარგარეთული ფირმა, რომელიც ამ სიმღერებს იწერდა, აქ გრამოფონებით ვაჭრობდა და მატრიცებს ადგილზე ტოვებდა. მოსკოეს გარდა, მათ ფილიალები ჰქონდათ კიევში, რიგაში, თბილისში, ლენინგრადში, ვარშავასა და სხვა ქალაქებში“.

მადლობა გადავუხადე გულისხმიერ მასპინძელს და მის მიერ მითითებულ არქივებს მივადექი. კრასნოგორსკში შევიტყვე, რომ ფონოარქივი კარგა ხანია გადაუტანიათ მოსკოვში, ბაუმანის ქუჩაზე მდებარე ცენტრალურ ხმისჩამწერ არქივში, სადაც აუცილებლად საშვი იყო საჭირო. ამისათვის თბილისში დაბრუნება დამჭირდა, ცენტრალური არქივის დირექციამ, კერძოდ, ბატონმა ვახტანგ გურგენიძემ მომიმზადა საბუთი, რომლითაც შემეძლო, არქივებში მემუშავა.


ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაშურე კიევის, რიგისა და ლენინგრადის არქივებს, სადაც ჩემს პრობლემას დიდი გულისხმიერებით მოეკიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს რევოლუციამდელი ჩანაწერები გადაუგზავნიათ მოსკოვის „აპრელევკის“ ქარხანაში. ლენინგრადში დიდი დახმარება გამიწიეს თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორმა ლარისა ქუთათელაძემ და ლენინგრადის კონსერვატორიის ფონეტიკის კაბინეტის გამგემ ალექსანდრე გომართელმა, რომელსაც დაცული აქვს სანდრო კავსაძის, ლადო გერმესაშვილის, სანდრო ინაშვილის, პეტრე ამირანაშვილისა და სხვათა ფირფიტები.

დიდი სამსახური გამიწია ლენინგრადელმა კოლექციონერმა იური პერეპიოლკინმა (ლენინგრადი, ჩერნიშევსკის მოედანი, სახლი №9, ბ. 123). მასთან აღმოჩნდა ფირმა „გრამოფონის“ რიგაში გამოცემული მეორე სრული კატალოგი. ამ კატალოგის კავკასიის განყოფილების პირველი გვერდი მკითხველებს ამცნობს, რომ:

„Общество Граммофон согр. отв.
в Лондоне. Полный каталог
Кавказских граммофонных пластинок
Пишущий Амур
Траде Марк
Отделение Кавказа и Закаспийского края.
Тифлис
Головинский пр. №9



ლოტბარი კირილე პაჭკორია



ლოტბარი კიწი გეგეჭკორი

против Военного Собора.

Настоящий каталог содержит в себе все пластинки, выпущенные в продажу по 1-е октября 1914 года.

Тип. „Культура", Михайловский пр. „102."

როგორც ჩანს, ამ კატალოგში შეტანილია 1914 წლის 1 ოქტომბრამდე ჩაწერილი და გამოშვებული ყველა ნაწარმოები. პერეპიოლკინმა გვითხრა, რომ 1925 წლამდე ფირფიტის ბრუნის სიჩქარე მერყეობდა 75-დან 84-მდე წუთში და ფირფიტაზე არ აღინიშნებოდა. გრამოფონის დისკის ბრუნის სიჩქარე რეგულირდებოდა სპეციალური ბერკეტით, სმენის მეშვეობით. მანვე განმარტა თბილისის კატალოგზე თანდართული წარწერები:

1. ქართული პლასტინკები, „მიხაკისფერი ეტიკეტით" პატარა ზომა 7 დიუმიანი (17,5 სმ) „კ" ასოთი, ფასი 65 კაპ.

გრანდტ ზომა 10 დიუმიანი (25 სმ) „ლ" ასოთი, ფასი 1 მანეთი.

გიგანტი ზომა 12 დიუმიანი (30 სმ) „მ" ასოთი ფასი 1,50 მანეთი და ორი ნომერი 6, რომელთაგან ერთი ფირფიტის შუაშია ჩაბეჭდილი, მეორე – კიდეში.

პერეპიოლკინის აზრით, ფირფიტაზე დაბეჭდილი პირველი მრავალციფრიანი ნომერი შეკვეთისაა, ხოლო მეორე – ფირფიტის შუაგულში ჩაბეჭდილი – მატრიცის ნომერია.

საინტერესო მასალები აღმოჩნდა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. აქ წავაწყდით ცნობას, რომელიც გვატყობინებდა, რომ 1909 წელს ქუთაისში გახსნილა ხმის ჩამწერი სტუდიის ფილიალი, ა. რ. თაბაგარის გრამოფონისა და ფირფიტების მაღაზია.

„До 1 Мая 1908 г. состоял на службе Компаний Зингер; Был заведующим магазинами в Кутаисской губернии. Собственную торговлю начал только с 1 мая 1908 года под фирмой `Склад швейных и вязальных машин, граммофонов в Кутаисской губернии. Словом, несмотря на короткое время существования моей фирмы, она действует с успехом, и есть „Граммофон" будет громадный, как известный в целом мире своими превосходными качествами.

А. Р. Табагари"

(იხ. Альбом покупателей Акционерного общества `Граммофон. Март 1909 г. ლენინგრადი, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკა).

ქუთაისში პირველ ფირფიტებზე ჩაწერილია: ანსამბლი სამუელ ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით, ქუთაისის ქორო ნ. კიპორენკოს ხელმძღვანელობით, რამდენიმე



მარო და ეკატერინე თარხნიშვილები

ინდივიდუალური შემსრულებელი, ქალაქური სიმღერები გიტარისა და ფორტეპიანოს აკომპანიმენტით და სხვა.

აქვე შევიტყვე, რომ მოსკოვში, 30-იან წლებში ხელმეორედ დაბეჭდილია 1907-1910 წლებში გამოცემული მატრიცები, რაც იმის იმედს მაძლევდა, რომ მეორე ორიგინალები მაინც იქნებოდა შემორჩენილი.

ერთი სიტყვით, ყველა გზას მოსკოვის „აპრელევკის" ქარხანაში მივყავდი. იქ გაირკვა, რომ სხვადასხვა ქალაქიდან მიღებული მატრიცები სპეციალურ საცავებში ყოფილა დაცული, რომლებიც დამწვარა, გადარჩენილი მასალა კი გადაუგზავნიათ მოსკოვის ცენტრალურ ხმის ჩამწერ არქივში. არქივის დირექტორმა ოლეგ ბუდანოვმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა: მატრიცები და ფირფიტები კი გვაქვს, მაგრამ იმ პერიოდის, თქვენ რომ ეძებთ, აქ არ არისო. მოვითხოვე კატალოგები, სადაც მხოლოდ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, „გორდელასა" და „რუსთავის" ჩანაწერები იყო აღნიშნული.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ ვიპოვე 1928-1934 წლებში ჩაწერილი კირილე პაჭკორიას, კიწი გეგეჭკორის, ივანე მარგიანის, ვარლამ სიმონიშვილის, მარო თარხნიშვილისა და სხვათა გუნდების ჩანაწერები, რომელთა აღრიცხვას რამდენიმე დღე მოვანდომე.


განყოფილების უფროსმა პროხოროვამ მითხრა, რამდენიმე დღის წინ ძველი კატალოგის ერთი ყუთი ვნახეო, მაგრამ მისი შინაარსი არ იცოდა. შევუდექი ამ კატალოგის გადასინჯვას. სიმღერებს ვეძებდი 1907 წელს გამოშვებული ფირფიტების ნომრების მიხედვით. მართლაც, მივაგენი ორ ნომერს, მაგრამ ორივე რუსული სიმღერა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აქაური მატრიცის ნომრები არ ედრებოდა ჩემი ფირფიტებისას. მატრიცები არქივის ნომრების მიხედვით იყო აღნუსხული. იძულებული ვიყავი, მატრიცები მეძებნა სიმღერების დასახელებისა და შემსრულებელთა გვარების მიხედვით. მაგრამ ამ გახუნებულ ბარათებზე სიმღერის სახელწოდება ხშირად არ ეწერა ან ეწერა ზოგადად: „ქართული ხალხური სიმღერა", „გურული სიმღერა" და სხვა. როგორც იქნა, ვიპოვე ბარათი, რომელსაც ეწერა: „Гурийская песня, трио Бибилодзе, 1907 г." ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მივხვდი, რომ გურული სიმღერა ჩაწერილია ცნობილი მომღერლის გიორგი ბაბილოძის ტრიოს მიერ 1907 წელს. ეს გიგო ერქომაიშვილის გუნდის ტრიო იყო.

იმ დღეს კიდევ რამდენიმე ნომერი ვიპოვე, სადაც ეწერა: „კახური სიმღერა", „მედუდუკეთა ანსამბლი ბაგრატის ხელმძღვანელობით" და სხვა.

ალბათ, დიდხანს ვიქნებოდი იქ, რომ არ შეეხსენებინათ, სამუშაო საათები დამთავრდაო. თანდათან სხვა ნომრებიც ვიპოვე. ძალიან ბევრი იყო მედუდუკეთა ანსამბლის – კერძოდ, ბაგრატის დასტას მიერ ჩაწერილი სიმღერა.

განსაკუთრებით გამახარა ბარათმა, რომელსაც ეწერა „Д. Левана, кахетинская

песня". მივხვდი, რომ ეს იყო გამოჩენილი მომღერალი ლევან ასაბაშვილი, რომელიც ხალხში ცნობილია „დედას ლევანას" სახელით. იქვე მივაკვლიე „ჩაკრულოს" – დედას ლევანას, ბათო როსტომაშვილის, ალექსი ელოშვილის, სოლომონ ქურციკიძისა და კნიაზაშვილის შესრულებით. ესენიც ცნობილი მომღერლები არიან, განსაკუთრებით ბათო როსტომაშვილი და ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა), რომლებსაც ხალხი დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს.



ლოტბარი ივანე მარგიანი

თანდათან აღმოჩნდა: კავსაძეების, ხუხუნაიშვილების, ფაღავას, ტომაშევიჩის, ქუთაისის ქოროს (კიპორენკოს ხელმძღვანელობით), ჩავლეიშვილების ჩანაწერები... სრულიად მოულოდნელად წავაწყდი ბარათს, რომელზეც ეწერა: „ურმული" – ვ. სარაჯევი". ავღელდი და აღვფრთოვანდი, რადგან ჩემ წინაშე იყო ვანო სარაჯიშვილის – ამ ლეგენდარული მომღერლის ჩანაწერის ორიგინალი...

ამ მომღერალთა სახელები დღესაც ცოცხლობს, მაგრამ მათი უმეტესობის ხმა არ მოგვისმენია. მარტო დედას ლევანა რად ღირს, კახური სიმღერების დიდოსტატი, რომ არაფერი ვთქვათ ვანო სარაჯიშვილზე.

ძველი მატრიცების ნომრები ამოვწერე. ახლა საჭირო იყო პირველი ქართული ფირფიტების აღდგენა. მაგრამ სანამ ვ. სარაჯიშვილის, „დედას ლევანას", ს. ჩავლეიშვილის, გ. ბაბილოძისა და სხვათა აღდგენილ ხმებს გავიგონებდი, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, ამიტომ საბჭოთა პერიოდის მატრიცების ძებნა სხვა დროისათვის გადავდე.

თბილისში დაბრუნებისთანავე ამოწერილი ნომრები ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს გადავეცი. კომიტეტმა „მელოდიას" გაუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც ითხოვდა ზემოთ ჩამოთვლილი ნომრებით მატრიცების, როგორც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი განძის აღდგენას. ამ წერილის საფუძველზე „მელოდიამ" არქივიდან ძველი მატრიცები გამოიწერა. არქივის საცავში მეც შემიშვეს. სარდაფში თაროებზე ვერტიკალურად დალაგებული უამრავი მატრიცა ვნახე, რომლებშიც, ვინ იცის, კიდევ რამდენი ქართული სიმღერაა მიმალული – ბევრ მათგანს ხომ არც სიმღერის სახელწოდება აწერია და არც შემსრულებლის გვარი.

მატრიცები მივიტანეთ ფირმა „მელოდიაში", რომელმაც მოსკოვის საცდელ ქარხანა „გრამზაპისს" მატრიცებიდან მეორე ორიგინალების გაკეთება შეუკვეთა. ამ რთულსა და საინტერესო პროცესს მეც დავესწარი. ყოველიე ეს შევატყობინე კინორეჟისორ სოსო ჩხაიძეს, რომელიც მოსკოვში გადამლებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და ძველი მატრიცების აღდგენის მთელი პროცესი ფირზე აღბეჭდა.

მატრიცა ლითონის (სპილენძი ან თითბერი) სქელსა და მძიმე ფირფიტას წარმოადგენს. მისი პირველი ორიგინალი „ნეგატივია", მისგან ნამდვილი ხმა არ მიიღება. ხმა მიიღება მეორე ორიგინალისაგან, რომელიც მზადდება შემდეგი წესით: რამდენიმე საათის განმავლობაში ქიმიურ ხსნარებში სხვადასხვაგვარად ხდება მატრიცის გაწმენ-



ლეგენდარული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, 1905 წ.

და. თუ მატრიცას კიდეები დაბრეცილი ან გაფუჭებული აქვს, ხდება მისი რესტავრაცია. რესტავრირებული მატრიცა გადადის სააპარატოში, სადაც სპეციალურ ხსნარში ვერტიკალურად ჩაკიდებული მატრიცა ბრუნვას იწყებს და თანდათან ნიკელის ფენით იფარება. შემდეგ მატრიცას ფრთხილად აცლიან ნიკელის ფენას, დებენ ცენტრიდანულ აპარატზე, რომლის საშუალებითაც ზუსტად იხვრიტება ცენტრი, რომ დაკვრის დროს რხევა არ გამოიწვიოს. ყოველივე ამის შემდეგ ნიკელის ფირფიტას ამუშავებენ, წმენდენ, აშრობენ და გზავნიან ფირმა „მელოდიაში“. იქ სპეციალური აპარატის საშუალებით მიიღება ხმა, რომელიც ფილტრებში გადადის და ისე იწმინდება, რომ ხმის ხარისხი და ტემბრი არ დაზიანდეს. მიღებული ხმის გადაწერა ხდება თანამედროვე მაგნიტოფირზე. სპეციალური მოწყობილობით დგინდება სტაბილური სიჩქარე. მოგეხსენებათ, რომ მაშინდელი ფირფიტები ჩაწერილია გრამოფონისათვის, რომლის ბრუნვის სიჩქარე წუთში 78-დან 90-მდე აღწევდა. ამიტომ თანამედროვე ელექტროსაკრავზე მატრიცის სიჩქარე მერყეობს, რაც იწვევს ხმის ამაღლებას ან დადაბლებას. დიდი ყურადღება და გამოცდილებაა საჭირო, რომ ფირფიტის ბრუნვის სიჩქარე სიმღერის ტონალობას მიესადაგოს.

ფილტრებში გატარებული, მაგნიტოფირზე გადატანილი სიმღერებისაგან მზადდება ახალი მატრიცა, რომლისაგანაც იბეჭდება ფირფიტები.

აი, ასეთი რთული წესით იქნა აღდგენილი ძველი მატრიცების პირველი პარტია. „მელოდიის“ სააპარატოში გულის ფანცქალით ველოდებოდით ნიკელის ფირფიტების ახმოვანებას. პირველად მოვისმინეთ ერთ-ერთი გურული სიმღერის მატრიცა, რომელსაც არ ეწერა არც სიმღერის დასახელება და არც შემსრულებელთა გვარები. გაისმა ხმები, რომლებსაც მაშინვე იცნობ, თუკი ერთხელ მაინც მოგისმენია მათი სიმღერა. დიდებული გურული მომღერლები: სამუელ ჩავლეიშვილი, სამუელ ჩხიკვიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი ასრულებდნენ ძველ სუფრულ სიმღერას „წამოკრულს“ (ჩაწერილია 1909 წ.).

ეს სიმღერა იმპროვიზაციის დიდ საშუალებას აძლევს შემსრულებელს, მაგრამ



განუმეორებელი გურული ტრიო: სამუელ ჩავლეიშვილი, ბესარიონ ინწკირველი, ვარლამ სიმონიშვილი

ასეთი საშემსრულებლო ტექნიკა და გამომგონებლობა იშვიათია. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სიმღერის მეორე მუხლმა, სადაც მომღერლებმა შესრულების მწვერვალს მიაღწიეს. ვარლამ სიმონიშვილი ნამდვილი ვირტუოზია, ვერც კი წარმომედგინა, რომ „წამოკრულში" შეიძლებოდა ასეთი რთული ბანის მისადაგება დამწყებისა და მოძახილისათვის. ეს რომ შეაფასო, ამისათვის „წამოკრულის" ბევრი ვარიანტი უნდა გქონდეს მოსმენილი სხვა მომღერლების შესრულებით.

შემდეგი ფირფიტის მოსმენისას გაისმა ვარლამ სიმონიშვილის ხმა: „ბესარიონ ინწკირველო, ერთი, სტოლის ხელხვავი თქვი, სტოლის გურული" – ეს ძველი „სუფრის ხელხვავია", რომელიც ასევე უბადლოდაა შესრულებული ბესარიონ ინწკირველის, სამუელ ჩავლეიშვილისა და ვარლამ სიმონიშვილის მიერ.



„ოსტატი ალექსა" (ელოშვილი) და „დედას ლევანა" (ასაბაშვილი)

ვინაიდან მატრიცაზე შემსრულებელთა გვარები და სიმღერების დასახელება ხშირად არ იყო აღნიშნული, საჭირო გახდა სიმღერისა და შემსრულებლების გამოცნობა. გურულ სიმღერებში ეს არ გამჭირვებია, რადგან ფირფიტების საშუალებით თითქმის ყველა ძველი მომღერალი მყავს მოსმენილი, მაგრამ, უცბად გაისმა კახური „მრავალჟამიერი"... სახტად დავრჩი. ეს იყო ულამაზესი ტემბრის საოცრად მაღალი, ფართო მოცულობის ტენორი, რომლის მსგავსი ჯერ არ მომისმენია. ასეთი ხმა ნებისმიერ საოპერო მომღერალს შეშურდებოდა. ხმა თავისუფლად დაცურავდა „მრავალჟამიერის" მაღალ რეგისტრში და მივხვდი, ეს „დედას ლევანა" იყო, რომელმაც თავის დროზე დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილიც კი განაცვიფრა. ზაქარია მასზე წერდა:

„ორი-სამიოდე ჭიქა ღვინის გადაკვრის შემდეგ დაიწყეს სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა! მე ამისთანა მწყობრად შესრულებული კახური სიმღერა ჯერ არ გამიგონია. სანიორის მომღერლები ხომ კარგი იყვნენ, მაგრამ შილდელებმა ბევრად აჯობეს. განსაკუთრებით იმათში გამოირჩეოდნენ: ლევან ივ. ასაბაშვილი (მეტსახელად „დედას ლევანა"), ბათო დავითის ძე როსტომაშვილი, ალექსა გიორგის ძე ელოშვილი და ლაზარე სვ. კოკილაშვილი. ზედმეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვით გავაცნო მკითხველს ამ მომღერალთა ვინაობა. „დედას ლევანა" არის მაღალი ტანისა, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი გლეხი 43-45 წლისა. მღერის როგორც მოძახილს, ისე დამწყებსაც, მომეტებულად კი მოძახილს, მაგრამ ამ მდევ-კაცს ბუნებით ისეთი მშვენიერი გავარჯიშებული დიდი ხმა (ტენორი) აქვს, რომ მე ვგონებ, ბევრი ჩვენი ოპერაში მომღერალიც არ დაიწუნებდა და კიდეც ინატრებდა იმისთანა იშვიათ ხმას. ამას გარდა, მშვენიერი

გამოთქმაცა აქვს, საუცხოო მოლაპარაკეა, თამამი მიხვრა-მოხვრა, ერთი სიტყვით, ღმერთს მიუნიჭებია იმისათვის ყოველივე ის, რაც კარგი არტისტისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ბათო როსტომაშვილი 65 წლის მოხუცი გლეხია, ძლიერ დაბალი ტანისა, მაგრამ ესეც დიდი ხმის პატრონია, იმის თოვლივით გათეთრებულ თმას რომ არ უყუროთ და ისე მოისმინოთ მისი სიმღერა, თავის დღეში არ იფიქრებთ, რომ მღერის ასეთი მოხუცი და არა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, იმდენად სუფთა და გამჭრიახი ხმა აქვს. მღერის მარტო პირველ ხმას. ელოშვილიც მოხუცია. ამ უკანასკნელს, როგორც თვით მომღერლებმა გადმოგვცეს და თვითონაც იკვეხნიდა, ერთ დროს შესანიშნავი ხმა ჰქონია, მთელი ოჯახიც მომღერალი ყოფილა და ამ ზემოხსენებული მომღერლებისათვის ამას უსწავლებია სიმღერა, მაგრამ რაღაც მიზეზით ხმა ადრე დაჰკარგვია. თუმცა ამ „ოსტატ ალექსას“ (ასე ეძახდნენ) ხმა სრულებით აღარ აქვს, მაგრამ სიმღერები კი ზედმიწევნით იცის. გადამეტებით არ ვიტყვი და ამათთანა მომღერლებს პირადად მე არასდროს არ შევხვედრივარ, თუმცა ბევრი ქართველი მომღერლისათვის დამიგდია ყური“... („მოგზაურობა კახეთში“, გაზეთი „ამირანი“ №51, 1908 წ.).

ჩანაწერში, რომელიც მე მოვისმინე, მონაწილეობდნენ ქურციკიძე და კნიაზიშვილი, რომელთა ვინაობას ზაქარია არ გვამცნობს. მათი გვარები ფირფიტაზეა აღნიშნული.

შეიძლება, ეს ჯგუფი განსაკუთრებული ანსამბლურობით არ გამოირჩევა, მაგრამ იგი განცვიფრებას იწვევს ხმების სიძლიერითა და სილამაზით, ამაღლებული ტონუსით და განსაკუთრებული საშემსრულებლო მანერით ნამღერი „მრავალჟამიერის“ უჩვეულო



მსახიობი ვასო აბაშიძე



კომპოზიტორი და მომღერალი ია კარგარეთელი

ვარიანტით. შემდეგ მოვისმინე დედას ლევანასეული „ჩაკრულოს“ ვარიანტი, რომლის მსგავსი არაფერი მომისმენია.

„ჰარალე ჰარი ჰარალოოო“... გაისმა სანდრო კავსაძის სასიამოვნო ტემბრის ტენორი, რომელიც გულში ჩამწვდომად მღეროდა „ურმულს“. სიმღერა კარგად არის ჩაწერილი და შენახული. ეს ჩანაწერიც, ჩემი აზრით, განუმეორებელია (ჩაწ. 1909 წ.). იგი ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი უკვდავი ქმნილება ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნებისა.

ელექტროსაკრავზე მორიგი ნიკელის ფირფიტა დავდეთ. მას კიდეები ჰქონდა დაბრეცილი, ამიტომ დასაწყისიდან მისი აჟღერება ვერ მოხერხდა. მემბრანა ფირფიტის შუაში დავაყენე. მოისმა სახუმარო ლექსი, რომელსაც ვიღაცა სასიამოვნოდ კითხულობდა. გამოვუძახეთ ხელოსნებს, გაასწორეს ფირფიტის კიდე და გაისმა: „მოისმინეთ ძველი თბილისის სურათები, წაკითხული ვასო აბაშიძისაგან“ (ჩაწ. 1909 წ.). მონუსხულივით ვუსმენდი ქართული თეატრის ამ კორიფეს, თვალწინ დამიდგა კეთილშობილებით აღსავსე მისი სახე. რა ბედნიერებაა, რომ აღმოჩნდა მისი ჩანაწერი, რაც ქართველ კაცს ვასო აბაშიძის ხმის გაგონების საშუალებას მისცემს.

გაისმა რომანსი „შენ გეტრფი მარად“, რომელსაც 1903 წ. ეწერა. შემსრულებლის გვარი არ იყო მითითებული. ჯერ ვანო სარაჯიშვილი მეგონა, მაგრამ რამდენიმე ფრაზის შემდეგ მივხვდი, რომ სხვა მღეროდა. რომანსი მშვენივრად არის შესრულებული. მრავალგზის გადამოწმების შემდეგ დადგინდა შემსრულებელი – ია კარგარეთელი, რომელსაც, პროფ. გრ. ჩხიკვაძის გადმოცემით, ძალზე სასიამოვნო ტემბრის ლირიკული ტენორი ჰქონდა. ი. კარგარეთელის შესრულებით აღმოჩნდა კიდევ ერთი რომანსი – „ელეგია“ ილია ჭავჭავაძის ტექსტზე, მუსიკა გ. ჩუბინიშვილისა.

ისევ გურული სიმღერა. ხუხუნაიშვილების ანსამბლი „ხასანბეგურას“ მღეროდა. ეს ჩანაწერი, ასე თუ ისე, ცნობილია, მაგრამ სულ სხვაა პირველი ორიგინალიდან აღდგენილი სიმღერა. ალმასხან ხუხუნაიშვილი მაღალ რეგისტრში ბრწყინვალედ ასრულებს კრიმანჭულს. მშვენივრად არიან მასთან შეწყობილი კოწია, ბესარიონ, იოსებ, რაჟდენ ხუხუნაიშვილები და სერაპიონ კუკულავა. მატრიცის ნომერია 12696 (ჩაწ. 1914 წ.). მას აწერია „ხასანბეგურა. პაპალაშვილის გუნდი“, აქ შეცდომაა. უნდა იყოს ზაქარია ფიფაიშვილი. ეს იყო შეძლებული კაცი, რომელსაც თბილისში საკუთარი დუქნები ჰქონდა. მან მოაგვარა ხუხუნაიშვილების ანსამბლის ჩამოყვანა და მათი სიმღერების ჩაწერა ფირფიტებზე, შემდეგ კი დიდ პოპულარიზაციას უწევდა მას.

და აი, როგორც იქნა, გაისმა ვანოს განუმეორებელი ტემბრის ხმა. ნიკელის ფირფიტა იმდენად უხარისხო აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქნა ხელახალი ანაბეჭდის გაკეთება, რომელიც ქარხანამ საგულდაგულოდ დაამზადა. მაგრამ ფირფიტის დასაწყისი მაინც დაზიანებული იყო. როგორც ჩანს, მატრიცის არხები იყო დაწყვეტილი. ამიტომ მემბრანის ნემსი წინ გადადიოდა და ერთ ადგილას ჩერდებოდა. ეს განსაკუთრებით ემჩნეოდა რომანსის დასაწყისს. მაშინ ასეთ ხერხს მივმართეთ: მემბრანის წინა ნაწილი საგრძნობლად დავამძიმეთ (ხტუნვა რომ არ დაეწყო) და ფირფიტა ორჯერ ნაკლებ სიჩქარეზე დავატრიალეთ. დაზიანებული ფრაზები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩავწერეთ მაგნიტოფონზე. ამან შედეგი გამოიღო. ხმის ოპერატორმა ნადია ტერპუგოვამ აღდგენილი ფრაზები ერთმანეთს მიაბა, ფირი ნორმალურ სიჩქარეზე გაუშვა და მივიღეთ ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რომანსი „დავრდომილი სნეული“ (№13445, ჩაწ. 1912 წ.).

რა სუნთქვა, რა ფრაზირება, რა ინტონაციური სისუფთავე იგრძნობოდა 1912 წელს ჩაწერილ მის ულამაზეს სიმღერაში. ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ პირველად მე მომეცა საშუალება, მომესმინა ვანოს ჯადოსნური სიმღერა, აღდგენილი პირველი ორიგინალიდან, თუმცა ჟღერადობას ჯერ კიდევ სჭირდებოდა გასუფთავება. ფილტრებში გატარების შემდეგ ხმა კიდევ უფრო გაიწმინდა. გრამოფონის სიჩქარე 78-ზე მეტი იყო, ამიტომ სიმღერა ცოტა მაღლა ჟღერდა. საჭირო გახდა შესაბამისი სიჩქარის მოძებნა, რათა ტონალობა დაზუსტებულიყო.

ისევ ფორტეპიანოს აკომპანიმენტი. ისმის ლამაზი ტემბრის იშვიათი ბანი. როგორც გაირკვა, ეს სოსო (იოსებ) ტომაშევიჩია. იგი ახალციხიდან გახლდათ. ჯერ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე გამოდიოდა, შემდეგ კი რუსეთისა და ევროპის საოპერო თეატრებში და ნიუ იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“ მღეროდა.

როგორც იქნა, გამოჩნდა ის ნომერი, სულ პირველად რომ შემხვდა კატალოგში და რომელსაც ეწერა „მუმლი მუხასა“, ასრულებს ბიბილოძის ტრიო. 1910 წ. ივნისი (№4589, პირველი ორიგინალი და სამუშაო მატრიცა №2966 3 მაისი, 1907 წ.). „გიორგი იობიშვილო, ერთი „სტოლის ხელხვავი“ თქვი, სტოლის“. გამოცნობა არ გამჭირვებია, ეს ივლიანე კეჭაყმაძეა. „ჩვენ მშვიდო-დოო-ბა“... დაიწყო გიორგი იობიშვილმა, მოძახილი ივლიანემ უთხრა, ხოლო ბანი – 20 წლის არტემ ერქომაიშვილმა. ეს ფირფიტა მეცა მაქვს, თუმცა იგი უკვე ძალზე გაცვეთილია. ეს ის ფირფიტაა, ბაბუამ სიკვდილის წინ რამდენმეჯერ რომ მომასმენინა, – „დააკვირდი, როგორი ვარიანტია და როგორ გვაქვს ნამღერი“. – მართლაც, საოცრად მღერიან. ეს ახლა გამოჩნდა, როცა სიმღერამ პირვანდელი სახე მიიღო. ეჰ! ნეტავ ამას ახლა ბაბუა ისმენდეს და იცოდეს, რომ მათი ნამღერი არასოდეს წაიშლება – ვიფიქრე.

„ადილა-ა და-ა-ა,“ – აგრძელებს იმავე ფირფიტაზე გიგო ერქომაიშვილი. მას ეხმარებიან გიორგი იობიშვილი და გიორგი ბაბილოძე.

ეს მატრიცა მშვენივრად არის შენახული. აქ პირველად გამოჩნდა მთელი სიცხადით გიორგი ბაბილოძის „წვრილი“, რომელსაც ლენინგრადში მუსიკოსებმა „კოლორატურული ტენორი“ უწოდეს. მართლაც, რა წმინდად ჟღერდა მისი ხმა, განსაკუთრებით მაღალ რეგისტრში. როცა ეს სიმღერა ჩაიწერა, მოხუცები 70 წელს იყვნენ გადაცილებულნი. ამ მატრიცის დასათაურებაში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული. ჯერ ერთი, გიორგი ბაბილოძე და არა ბიბილოძე, ტრიო მღერის არა „მუმლი მუხასას“, არამედ „ჩვენ მშვიდობას“ და „ადილას“. შემდეგ აღმოვაჩინე იგივე სიმღერა – „ადილა“ – ჩაწერილი 1934 წელს არტემ ბაბუას, მამამისის, გიგოსა და მამაჩემის, 12 წლის დავით (დათიკო) ერქომაიშვილის შესრულებით, რომელიც „გამყივანს“ ასრულებს.

იგივე სიმღერა ჩვენმა ანსამბლმაც ჩაწერა 1977 წელს. ვასრულებთ ბადრი თოიძე, ანზორ ტუღუში და მე. ვინაიდან „ადილას“ მობრუნება შეიძლება რამდენჯერმე, ამიტომ 1907, 1933 და 1977 წლის ჩანაწერები ერთმანეთს გადავაბით და მივიღეთ „ადილა“, რომელშიც ერქომაიშვილების ოთხი თაობა მონაწილეობს: გიგო, არტემ, დავით ერქომაიშვილები და მე. ვფიქრობ, ეს უნიკალური შემთხვევაა.

ნაპოვნ მატრიცებს შორის აღმოჩნდა ანსამბლი თ. და ლ. ჯაფარიძეების, ნ. საყვარელიძის, ა. ჩახუნაშვილისა და გ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით. ისინი ასრულებენ ქალაქურ სიმღერებს „ნინა, ნინა“, „ხუჭუჭა ქალო“ და სხვა, რომლებსაც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ.

აღმოვაჩინეთ ჩანაწერები მედუდუკეთა შესრულებით – ეს არის, ძირითადად, ქა-



მომღერალი ვანო მჭედლიშვილი



ლოტბარი რემა შელეგია



ლოტბარი ავქსენტი მეგრელიძე

ლაქური მელოდიები, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ბაგრატას დასტა. ყველა ამ ჩანაწერის აღდგენა შეუძლებელია. ჟღერს ქუთაისის ქორო კიპორენკოს ხელმძღვანელობით; ისინი „მრავალჟამიერს" ასრულებენ (ჩაწ. 1911 წ.).

მატრიცებზე სათაურებისა და ნომრების არევამ საგონებელში ჩამაგდო. მე ვთხოვე არქივის დირექციას, მოეცათ უფლება, უკვე დაზუსტებული და გამოცნობილი სიმღერების დასათაურება და შემსრულებელთა გვარები სწორად დამეწერა. უარი მითხრეს, – ამას სპეციალური კომისია სჭირდებაო. მაშინ სათაურები დავაწერე აღდგენილი დედნების ფირებს, რომლებიც „მელოდიაში" დარჩა. ვფიქრობ, ეს მკვლევრებს მუშაობას გაუადვილებს.

სამწუხაროდ, რევოლუციამდე ჩაწერილი სიმღერების ყველა მატრიცა არ აღმოჩნდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს მატრიცები 70 წელზე მეტ ხანს იყო სხვადასხვა არქივში, რომლებსაც ბევრი განსაცდელი დაატყდა თავს – პირველი მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომი, ევაკუაცია, ბლოკადა. მატრიცებს რამდენჯერმე შეუცვალეს ადგილი. ხანძარი, ჟანგი, გულგრილი დამოკიდებულება, – ყოველივე ამის შედეგად ბევრი სიმღერა დაიკარგა. მათ უკვე ველარასოდეს აღვადგენთ. ნაპოვნიც უმეტესწილად უხარისხოა, დრომ თავისი დაღი დააჩნია. ერთი რამ მაინც მანცვიფრებს – აქამდე რატომ არ მოხერხდა ამ ჩანაწერების მოძებნა? თავი დავანებოთ ხალხურ სიმღერებს. ლეგენდადქცეული ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების მოკვლევა ხომ მაინც შეიძლებოდა? ნუთუ არავის უფიქრია, რა იქნა მისი ჩანაწერები, სად გაქრა? მით უფრო, რომ მისი ფირფიტები ოჯახებშია შემორჩენილი. ეს ფირფიტები დროთა ვითარებაში გაცვდა, გატყდა, გაიცრიცა და ვერ გაიგებ, ეს ხმა ვანოსია თუ ვინმე სხვისი.

გაზეთი „თეატრი და ცხოვრება" (№29) 1915 წლის 19 ივლისს წერდა:

„ქართული სიმღერები გრამოფონის ფირფიტებზე „ამურის" საზოგადოების თხოვნით დაამღერა ვ. სარაჯიშვილმა. გადაღებულია: ირაკლის არია, „ახ, მთვარევ, მთვარე", არაყიშვილის „ურმული", „ბუნდოვან გულსა", „მარი", „მშვენიერთა ხელმწიფავ – ია კარგარეთელისა„ და „გენაცვალე„ (მეორედ), ჰონორარად მიუღია 1200 მანეთამდე".

მაშ, რა იქნა მათი მატრიცები? თუკი 1907 წელს ჩაწერილი „ადილა“ და „ფერხული“ 1930-იან წლებში ხელმეორედ გამოსცა „აპრელევის ქარხანამ“, რატომ ვანოს სიმღერებს არ გამოუჩნდათ პატრონი? მით უფრო, რომ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წლის №3-ში წერდა:

„მოსკოვის ცენტრალურ არქივთან არსებულ ფოტო-ფონო-კინო არქივში გიორგი ტოროშელიძის მიერ აღმოჩენილ იქნა გრამოფონის ფირფიტების მატრიცები, რომელიც მეფის დროს აქციონერულ საზოგადოება „გრამოფონის“ მიერ იყო დამზადებული. ამ მატრიცების საშუალებით შეიძლება გრამოფონის ფირფიტების აღდგენა. აღმოჩენილ მატრიცებს შორის აღსანიშნავია ვ. სარაჯიშვილის „ოთხი სიმღერა“ და ვ. აბაშიძის „სცენები“.



მომღერალი ილარიონ ჩავლეიშვილი

როგორც ჩანს, 1935 წელს რამდენიმე ცალი მატრიცა ჯერ კიდევ არსებობდა ვანო სარაჯიშვილისა და ვასო აბაშიძის ჩანაწერებით. ახლა კი მხოლოდ თითო-თითო აღმოჩნდა. ერთ-ერთს აწერია: „ურმული, სარაჯევი“. მაგრამ ამ მატრიცაზე სხვა სიმღერაა ჩაწერილი. იქნებ ეს მატრიცა თვალს მიეფარა? როგორც ბატონმა ვახტანგ გურგენიძემ მითხრა, ვანოს მატრიცები მარტო ქართულ კატალოგებში არ უნდა მომენახა. შესაძლებელია, იგი ქართველად არ მიიჩნიეს და სხვა ეროვნებათა კატალოგებში მოათავსეს. ამასაც შევამოწმებ. საკვირველი ისაა, რომ რამდენიმე ათეული წელი ჩანაწერები უპატრონოდ ეყარა და არავინ აღმოჩნდა, რომ ამ მატრიცებისათვის მიეხედა.


არქივში ჩემ მიერ შეგროვილი ფირფიტების შესატყვისი ყველა მატრიცა არ აღმოჩნდა. ამიტომ ისევ გაცვეთილი ფირფიტების აღდგენას შევუდექი, ვიპოვე „ხასანბეგურას“ უნიკალური ჩანაწერები გიორგი ბაბილოძის შესრულებით. მაგრამ ფირფიტა იმდენად გაცვეთილიყო, რომ მისი აღდგენა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. სათანადო მუშაობა მაინც ჩავატარეთ. ვინაიდან არხები ძალიან დაზიანებულიყო, ხმას შიშინი გასდევს. მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ჩვენი სახელოვანი წინაპრების ხელოვნებაზე და მკვლევრებისათვის ძვირფას მასალას იძლევა.

ხალხური სიმღერების გულშემატკივარმა რეზო რამიშვილმა მომაწოდა ფირფიტა, რომელსაც ეწერა: „მე რუსთველი“. შემსრულებელთა გვარები წაშლილი იყო. ფირფიტა ძალიან გაცვეთილი და რამდენიმე ადგილას გატეხილი აღმოჩნდა. ვინაიდან სხვა ასეთი ფირფიტა ვერ ვიშოვეთ და მისი შესატყვისი მატრიცაც არ გამოჩნდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ფირფიტის აღდგენა.

ჯერ ფირფიტის ნატეხები მივაწებეთ ერთმანეთს. მერე ჩავატარეთ ყველა ის მანიპულაცია, რომელსაც ვანარმოებდით ვანო სარაჯიშვილის სიმღერის აღდგენისას. ტერპუგოვამ ფირი ნორმალურ სიჩქარეზე გაუშვა. „ილარიონ ჩავლეიშვილო, ერთი კაი სიმღერა, კაი“, – გაისმა ვარლამ სიმონიშვილის ხმა და ილარიონმა ხავერდოვანი



ლოტბარი პლატონ ფანცულაია



მომღერალი მიხო ჯიღაური

ბანით დაიწყო „მე რუსთველი“. აქამდე ვიცოდი, რომ ილარიონ ჩავლეიშვილი, რომელსაც ჩინებული ბანი ჰქონდა, სიმღერის ჩასაწერად ანსამბლს ავადმყოფობის გამო არ წაჰყოლია, ამიტომ მისი ხმის აღმოჩენამ დიდად გაგვახარა.

არ მოხერხდა მეორე სტროფის აღდგენა. ამიტომ იგი ფირიდან ამოვჭერით და პირველი კუპლეტი პირდაპირ მესამეს მივაწებეთ – „გადაძახილის“ შემდეგ. მსმენელი ამას ვერც კი შეამჩნევს. მხოლოდ გამოცდილი მომღერლები დაეჭვდებიან – რატომ გამოტოვა ილარიონმა მეორე კუპლეტიო. აღვადგინეთ ასევე ორი საგალობელი ჩავლეიშვილის ანსამბლის, შესრულებით – „შენ რომელმან განანალე“ და „სიყვარულმა მოგიყვანა უფალო“, აგრეთვე „ადილას“ იშვიათი ვარიანტი, რომლის მატრიცა არ აღმოჩნდა.

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლს ჩაწერილი აქვს ოთხხმიანი გურული ნადური „საჯავახურა“. ნადური დიდია და ამიტომ ორ ნაწილად ჩაუწერიათ. როგორც ჩანს, ხმის ინჟინრებს დავიწყებიათ მათი გაერთიანება და „საჯავახურა“ სხვადასხვა ფირფიტაზე დაუბეჭდავთ. არქივში აღმოჩნდა მხოლოდ მეორე ნაწილის მატრიცა, ამიტომ იძულებული გავხდით, პირველი ნაწილი ჩვენი ფირფიტიდან აღგვედგინა. როგორც ირკვევა, ნადური ჩაწერილი ყოფილა სხვადასხვა დღეს, ამიტომ მომღერლებს ვერ გაუთვალისწინებიათ სიმღერის ტონალობა – მეორე ნაწილი ერთი ტონით დაბლა ჩაუწერიათ. გარდა ამისა, მაშინდელი ტექნიკის გამო ნადურის პირველი ნაწილი უხერხულ ადგილას მთავრდება – ფირფიტის ბოლოს მოხვედრილა მეორე ნაწილის დასაწყისი. ამიტომ პირველ ნაწილს დამაბოლოებელი ფრაზა მოვაცილეთ, მეორე ნაწილი ხელოვნურად ავაჩქარეთ და პირველის ტონალობას გავუტოლეთ, ორივე ნაწილი ერთმანეთს გადავაბით და ამ გზით მივიღეთ „საჯავახურა“, მაგრამ ფირფიტიდან აღდგენილი პირველი ნაწილი თავისი ხარისხით ჩამოუვარდება მატრიციდან აღდგენილ მეორე ნაწილს.

ყველაზე მეტი მატრიცა აღმოჩნდა გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის შესრულებით, თუმცა მათი რეპერტუარის შესავსებადაც მოგვიხდა ფირფიტების შეკონწიწება.

ვესწრებოდი ყველა ფირფიტისა თუ მატრიცის აღდგენას. ჩემი დასწრება აუცილებელი იყო, რადგან საჭირო გახდა არა მარტო სიმღერებისა და შემსრულებლების გამოცნობა, არამედ სწორი სიჩქარის შერჩევაც, რათა დადგენილიყო სიმღერის ტონალობა.

გარდა ამისა, გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ ჩაწერილ სიმღერებს სხვადასხვა თარიღი აწერია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველა სიმღერა მათ მიერ ჩაწერილია თბილისში 1907 წლის იანვარში, რაც ბაბუა არტემისაგან ვიცი. ამასვე ადასტურებს ვლადიმერ ერქომაიშვილიც. თარიღების აღრევა გამოიწვია მატრიცების გადაბეჭდვამ – პირველი ორიგინალიდან გადაბეჭდილ მეორე ორიგინალს მიაწერდნენ ხოლმე გადაბეჭდვის თარიღს. ამან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მკვლევარი. ასევე აწერია ჩავლეიშვილისა და სხვათა ჩაწერილ სიმღერებს. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ-ერთ ბარათს, რომელსაც აწერია: „მუმლი მუხასა“ №4589, 1910 წლის ივნისი და №2968, 1907 წ. 3 მაისი, სამუშაო მატრიცა.

ძველი ფირფიტებიდან და მატრიციდან აღვადგინეთ ორასამდე სიმღერა, ჩაწერილი 1902-1914 და 1928-1936 წლებში.

1902-1914 წლებს მიეკუთვნება ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, აკაკი წერეთელი, ია კარგარეთელის, დავით ფაღავას, სოსო ტომაშევიჩის, ანა პოლოსოვას, ძმები კავსაძეების, ხუხუნაიშვილების, სამუელ ჩავლეიშვილის, გიგო ერქომაიშვილის, დედას ლევანას ანსამბლების, ქუთაისის ქოროს – კიპარენკოს ხელმძღვანელობით, ბაგრატას მედუდუკეთა დასტისა და სხვათა მიერ შესრულებული სიმღერები.



მომღერალი ნოკო ხურცია

1928-1936 წლებში აღსანიშნავია: სანდრო და მიხეილ კავსაძეების, მარო თარხნიშვილის, ვანო მჭედლიშვილის, მიხა ჯიღაურის, რემა შელეგიას, კიწი გეგეჭკორის, პლატონ ფანცულაიას, ბეგლარ აკობიას, ნოკო ხურციას, კირილე პაჭკორიას, ავქსენტი მეგრელიძის, ძმების – არტემ, ანანია, ლადიკო ერქომაიშვილების, ვასო კობახიძის, შოთა ორაგველიძის, გიტო აროშიძის, ლევან მახარაძის, ძმების – ევგენი და მიხეილ კოროშინაძეების, ბიჭია ბურდილაძისა და სხვათა ანსამბლების ჩანაწერები.



მომღერალი ლადიმე ბერძენიშვილი

ცალკე უნდა გამოვყოთ სვანეთის პირველი ფოლკლორული ანსამბლის (ხელმძღვანელი ივანე მარგიანი) ფონოჩანაწერები. აი, რას წერს ბატონი თამაზ ლეჟავა თავის წიგნში „ივანე მარგიანი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ თბ., 2008 წ. „ანსამბლის შექმნის იდეა შესაძლოა ივანე მარგიანს გაუჩნდა 1903 წელს, როდესაც მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა სვანეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად იმოგზაურა ლეჩხუმ-სვანეთში პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილთან და კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილთან ერთად. პოლიექტოვ კარბელაშვილის ექს-

პედიციას გარკვეულ მონაკვეთზე მეგზურობას უწევდა იმ დროს ლაშხეთის ოლქის ბლაღოჩინი ივანე მარგიანი".

ჩვენ მიერ მიკვლეული 1928 წელს მოსკოვში ჩაწერილი სვანური სიმღერები ივანე მარგიანის გუნდის შესრულებით ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მაშინდელ სვანურ მუსიკალურ ფოლკლორზე.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო სიმღერები მიხა ჯიღაურისა და ნოკო ხურციას შესრულებით. ჯიღაური განუმეორებელი გამომსახველობით ასრულებს „ბერიკაცს"; ნოკო ხურცია კი მეგრული სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახლდათ. მღელვარებას ინვევდა მისი ხმა, შესრულების მანერა, იმპროვიზაციის ნიჭი და უნარი. მისი „ჰარირა", ალბათ, დიდხანს დარჩება ამ სიმღერის შესრულების ეტალონად.

დღეს ეს აღდგენილი ჩანაწერები ინახება საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, ფირმა „მელოდიაში", სახელმწიფო არქივში.

საქმე ამით არ დამთავრებულა. ცენტრალურ მუსიკალურ არქივში იმდენი ნომერია არეული, რომ შესაძლებელია, უნიკალური ჩანაწერები კიდევ აღმოჩნდეს.

კონორეჟისორმა სოსო ჩხაიძემ მაცნობა, რომ ლენინგრადში ძველი ჩანაწერები ინახება არა არქივებში, სადაც მე ვეძებდი, არამედ რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლი). ანსამბლ „რუსთავის" გასტროლების დროს მივაკითხე ამ ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ბუშმინს, რომელმაც ყურადღებით მომისმინა და მითხრა: მატრიცები აქ არ არის, ფირფიტები და ფილფონოგრაფიის სანთლის ლილვაკები კი ფონოგანყოფილებაში ინახებაო.

ფონოგანყოფილების გამგე, კორგუზალოვი, ცოტა ცივად შემხვდა, შემდეგ გადმომიღო კატალოგი, სადაც ფირფიტები იყო აღრიცხული. 30-იან წლებში ჩაწერილმა 40-მდე ფირფიტამ ახალი ვერაფერი მომცა, სამაგიეროდ, ჩემი ყურადღება მიიქცია



სოფელ ზემო აკეთის ანსამბლი

I რიგი: სერაფიონ კუკულავა, კონია ხუხუნაიშვილი (ანსამბლის ხელმძღვანელი), ალმასხან ხუხუნაიშვილი.

II რიგი: ზაქარია ფიფაიშვილი, რაჟდენ ხუხუნაიშვილი, ბესარიონ ხუხუნაიშვილი, ესოფე ხუხუნაიშვილი

ლილვაკების თაროებმა და კატალოგში ჩაწერილმა მათმა პასპორტებმა. ეს სიმღერები ჩაწერილია ფონოგრაფზე 1910 წელს ნიკოლოზ დერჟავინის, ხოლო 1927 წლიდან იოსებ შილინგერისა და ევგენი გიპიუსის მიერ. აქვე ინახება ჩვენი მხცოვანი მეცნიერების – შალვა ასლანიშვილისა და გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი კოლექცია, აგრეთვე, სერგეი მაგიდისა და იოსებ მეგრელიძის კოლექციები. მე ვთხოვე კორგუზალოვს ამ ჩანაწერების მოსმენა. ეს ის კაცია, ვისი თაოსნობითაც გამოგონებული იქნა ლილვაკის ხმის აღმდგენი ელექტროაპარატი. ამ აპარატის შექმნას, როგორც თვითონ გვიამბობდა შემდეგ, ათი წელი მოანდომეს.

კორგუზალოვმა მაცნობა, რომ ეს სიმღერები თავის დროზე გადაუწერია ცნობილ ლოტბარს ვლადიმერ ბაბილუას და ამჟამად თბილისის ცენტრალურ არქივში ინახებაო. აღმოჩნდა, რომ სიმღერები გადაწერილია პირდაპირ ლილვაკებიდან მიკროფონით აღდგენის გარეშე, ამიტომ მათი გარჩევა შეუძლებელია. ახლა კი უკვე გვაქვს საშუალება, თანამედროვე აპარატურის მეშვეობით ეს სიმღერები მაღალ დონეზე აღვადგინოთ და ფირფიტაც გამოვუშვათ.

მოვისმინეთ რამდენიმე სიმღერა. აღმოჩნდა, რომ ევგენი გიპიუსსა და ზინაიდა ევალდს 1930 წლის დამდეგს ჩაუწერიათ სიმღერების ცალ-ცალკე ხმები. მოვისმინე გიორგი ბაბილოძის „გამყივანი. ეს გახლავთ 95 წლის მოხუცის ბოლო ჩანაწერი (ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა). დღეს უკვე აღარ მიკვირს, რატომ განაცვიფრა მან რომენ როლანი და რატომ გაუსინჯეს ყელი სიმღერის შემდეგ. ასევე ცალ-ცალკეა ჩაწერილი სხვა მომღერლების ხმებიც. გიპიუსის ხელითაა შევსებული ერთ-ერთი სიმღერის პასპორტი („ხასანბეგურა“ №926, კრიმანჭული – გიორგი ბაბილოძე და თეოფილე დოლიძე 4/II, 1930 წელი, გიპიუსი).

გამახსენდა ბაბუა არტემის მონაყოლი: „1929 წლის ბოლოს საგასტროლოდ მიგვიწვიეს მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც ჩვენს კონცერტებს ბევრი ხალხი დაესწრო. ლენინგრადელმა მუსიკოსებმა ჩვენი სიმღერების ნოტებზე გადატანა ფონოგრაფის საშუალებით სცადეს, მაგრამ გაუჭირდათ. შემდეგ თითოეულს ცალ-ცალკე დაგვიდგეს ფონოგრაფები და ისე გვამღერეს“. ეს სწორედ ის ჩანაწერები იყო, რომელზედაც ბაბუა მიამბობდა.

ახლა საჭირო გახდა ამ ლილვაკების აღდგენა და მაგნიტოფირზე გადაწერა, მაგრამ აქაც წავაწყდით წინააღმდეგობას. მუზეუმიდან ფონდების გადაწერა თურმე აკრძალულია და ამას სპეციალური ნებართვა სჭირდება...

კორგუზალოვი დამეხმარა იმ პიროვნებათა ბიოგრაფიული ცნობების შეკრებაში, რომლებმაც ქართული ხალხური სიმღერები ჩაიწერეს.

ამ სიმღერების ჩაწერაში მონაწილეობდა გერმანელი მუსიკოსი ერნსტ ემსჰაიმერიც. იგი იოსებ მეგრელიძესთან ერთად იმყოფებოდა ექსპედიციაში. ამჟამად სტოკჰოლმში ცხოვრობს. 1977 წელს ჩამოვიდა ლენინგრადში, აღადგინა და გადაწერა 12 გურული სიმღერა, რომელიც შვეიცარიაში წაიღო. კორგუზალოვმა მითხრა, რომ აპირებდა წიგნის გამოცემას ამ სიმღერების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ წერილი მისწერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და მიიღო თანხმობა ლენინგრადის „პუშკინის სახლიდან“ ქართული სიმღერების გადაწერის შესახებ.

ეს ფონდიც ნაწილობრივ აღდგენილია და ამჟამად ხმის რეჟისორ მიხეილ კილოსანიძესთან ერთად ფირმა „მელოდიაში“ ვმუშაობთ ამ ჩანაწერების ფირფიტების სახით

გამოსაცემად. საქმე ისაა, რომ თუ, ე. გიპიუსისა და ზ. ევალდის მიერ ჩაწერილ ცალ-ცალკე ხმებს გავასუფთავებთ და თანამედროვე აპარატურის მეშვეობით შევაერთებთ, მივიღებთ 1930 წლის სტერეოჩანაწერებს, რაც უნიკალური შემთხვევაა (პირველი სტერეოჩანაწერი ამერიკელებმა 1950-იან წლებში მიიღეს).

* * *

1902-1914 წლების გრამფირფიტებზე აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები ჩაწერილია ია კარგარეთელის, აპოლონ ცამციშვილის, სანდრო და მიხეილ კავსაძეების და ლევან ასაბაშვილის გუნდების შესრულებით.

დასავლეთ საქართველო წარმოდგენილია: სამუელ ჩავლეიშვილის, კონია ხუხუნაიშვილისა და გიგო ერქომაიშვილის გურული ანსამბლებით, ქუთაისის გუნდი უმეტესად ქალაქურ ფოლკლორს ასრულებს.

ამ ანსამბლების მოსმენისას თვალშისაცემია ერთი და იგივე კუთხის სიმღერების სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია და შესრულების მანერა. ერთნაირ სიმღერებსაც კი ყველა თავისებურად ასრულებს. ვერ ვიტყვით, რომელი სჯობს, მაგრამ ერთი კი ცხადია: ყველა ანსამბლი თავისებურად საინტერესოა. 1902-1930 წლებში ჩაწერილი საქართველოს ყველა კუთხის 500-ზე მეტი სიმღერა აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი სოლისტები და ლოტბარები, რომლებმაც სიმღერები ჩაწერეს 1902-1914 წლებში, 30-იანი წლების ფონოჩანაწერებშიაც გვხვდებიან. მაგალითად, სანდრო კავსაძის ახალმა გუნდმა სწორედ იმ წლებში ჩაწერა ქართლ-კახური სიმღერები. გურული მომღერლები – გიორგი ბაბილოძე და გიგო ერქომაიშვილი მაკვანეთის ანსამბლიდან, უკვე 90 წელს გადაცილებულნი, არტემ ერქომაიშვილის გუნდის შემადგენლობაში გვხვდებიან, როგორც სოლისტები.

ვარლამ სიმონიშვილმა თავად ჩამოაყალიბა ეთნოგრაფიული გუნდი და ორ ათეულზე მეტი გურული სიმღერა ჩაწერა ფირფიტებზე.

1930-იანი წლების ფონოჩანაწერები უკვე აღდგენილია ჩვენ მიერ და საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და საქართველოს რადიოს ფონდებში ინახება.

მე-20 საუკუნის დასაწყსში ჩაწერილი სიმღერები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმ პერიოდის შემსრულებელთა სასიმღერო ხელოვნებაზე. ამ სიმღერების უმეტესობა თამამად შეიძლება ჩაითვალოს სულ ცოტა მე-19 საუკუნის დასაწყისის ვარიანტებად. რადგან მე-20 საუკუნის მომღერალთა უმრავლესობა იმ დროისთვის უკვე ხანდაზმული იყო, ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ, ეს სიმღერები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მომღერლებისაგან ჰქონდათ შესწავლილი.

ჩვენ მიერ მიკვლეული სიმღერების უმეტესობა უკვე გამოვიდა ფირფიტების სახით. კერძოდ, გამოვუშვით ფირფიტების კრებული „პირველი ქართული გრამფირფიტები საქართველოში. 1901-1914 წწ.", რომელშიაც შევიდა ლ. ასაბაშვილის, ს. კავსაძის, მ. კავსაძის, ს. ჩავლეიშვილის, კ. ხუხუნაიშვილის, გ. ერქომაიშვილის გუნდების მიერ ჩაწერილი სიმღერები; ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, აკაკი წერეთლის ხმები და ქალაქური სიმღერებისა და ინსტრუმენტული მუსიკის ნიმუშები.

გამოშვებულია აგრეთვე 30-იანი წლების ჩანაწერები ფირფიტებზე. კერძოდ, ს. კავსაძის, ა. მეგრელიძის, ვ. სიმონიშვილის, არტ. ერქომაიშვილის, მ. თარხნიშვილის, ნ. ხურციას, ნ. ქუმსიაშვილის, ევგ. მიქელაძის ფირფიტები.

ფირფიტების გამოშვება გრძელდება.

ინგლისში ყოფნის დროს, იქაურ კოლეგებს ვთხოვე, დამხმარებოდნენ ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების მოძებნაში. დახმარებას შემპირდნენ; პარიზში „გრანდ ოპერის“ სცენაზე 1900-იან წლებში გამოდიოდა ჩვენი თანამემამულე, შესანიშნავი ტენორი მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი). დახმარება ვთხოვე იქაურ ქართველს, ორესტი გორდელაძეს, რომელმაც საქმეში ჩარია ქართული სიმღერების დიდი თაყვანისმცემელი, პროფესორი ივეტ გრიმო. იქნებ მათი დახმარებით ამ შესანიშნავი ქართველი მომღერლის ჩანაწერებიც აღმოჩნდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში ჩვენ მიერ მოპოვებული ფონოჩანაწერებით დაინტერესდნენ თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ანსამბლები, მათ რეპერტუარში თანდათან საპატიო ადგილს იკავებს უძველესი ფონოჩანაწერებიდან აღდგენილი სიმღერები.

სწავლობენ არა მარტო დიდები, ეთერში ხშირად გაიგონებთ ხალხურ სიმღერებს ბავშვების შესრულებით. მათ რეპერტუარს მხოლოდ ძველი ქართული ხალხური სიმღერები შეადგენს. ასეთი ანსამბლები საქართველოში უკვე მომრავლდა. უნდა ნახოთ, რა დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან ბავშვები ამ საქმეს, რა შესაშური სიყვარულით მღერიან ხალხურ სიმღერებს.

დიახ, საქართველოში უნდა შეიქმნას ბავშვთა ბევრი ანსამბლი, ჩატარდეს შეჯიბრებები მათ შორის, დაწესდეს ცნობილ ხალხურ მომღერალთა პრიზები კუთხეების მიხედვით და გადაეცეს იგი საუკეთესო მომღერალ ბავშვებს. მაშინ აღარ წაიშლება ლევან ასაბაშვილის, სამუელ ჩავლეიშვილის, გიგო ერქომაიშვილის, მიხო ჯიღაურის, სანდრო კავსაძის, მარო თარხნიშვილის, აპოლონ ცამციშვილის, ნოკო ხურციას, ვანო მჭედლიშვილის, ვარლამ სიმონიშვილისა და სხვათა გვარები. ბავშვები ისწავლიან ხალხურ სიმღერებს, შეინახავენ მათ და შემდეგ მომავალ თაობას გადასცემენ. ეს უკვდავყოფს ქართულ სიმღერას, ქართველ მომღერლებს და მათს უძველეს საშემსრულებლო ტრადიციებს.

1980 წ.



პირველი ქართული გრამფირფიტები ლონდონში

საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის არქივებში ფონოჩანაწერებზე მუშაობის დროს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წერილებში უნებლიეთ ზოგიერთი უზუსტობა გაიპარა, ვინაიდან მაშინ უცხოეთთან ურთიერთობა ჭირდა და ინფორმაცია ნაკლები გვქონდა. მოგვიანებით ჩვენ მიერ მიკვლეულმა ახალმა ცნობებმა ნათელი მოჰფინა მანამდე უცნობ ბევრ ფაქტს. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ისეთ სახელოვან ფირმას, როგორიც იყო ბრიტანეთის სამეფოს გრამოფონის კომპანია, არ შეიძლება, არ ჰქონოდა მუზეუმი და არქივი, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში, გამოცემულ გრამფირფიტებთან ერთად, დაცული უნდა ყოფილიყო პირველი ქართული გრამფირფიტებიც.


კინორეჟისორ სოსო ჩხაიძის ფილმის „შვიდკაცას" გადაღების დროს (სადაც დიდი ადგილი ეთმობოდა ძველ მომღერლებს), გავიცანი ფირფიტების კოლექციონერები – სანკტ-პეტერბურგელი იური პერეპიოლკინი და მოსკოველი ალექსანდრე შილოვი, რომლებმაც დაადასტურეს ლონდონში გრამოფონის კომპანიის არქივის არსებობა,

მხატვარმა ვახტანგ რურუამ კი ამ არქივის მისამართსაც მიაკვლია. სოსო ჩხაიძემ ლონდონში ყოფნის დროს გაიგო, რომ იქ მართლა არსებობს ქართული ჩანაწერები, რომელთა შესახებ ადრე არაფერი ვიცოდით.

1990 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ანსამბლ „რუსთავის“ მოგზაურობის დროს შევხვდით გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებს ალან ლომაქსსა და ტედ ლევინს. ალან ლომაქსი ქართული ხალხური სიმღერების დიდი მოყვარული იყო. მას ჰქონდა მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორის საუკეთესო კოლექცია, რომელშიც ქართულ სიმღერებს ღირსეული ადგილი ეკავა (ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში ბატონმა ლომაქსმა განაცხადა: „საქართველო მსოფლიოს ხალხური მუსიკის დედაქალაქია“).

ალან ლომაქსს ინგლისში არსებული ჩანაწერების შესახებ ვუამბე და დახმარება ვთხოვე. ლომაქსი ამ ამბით დაინტერესდა და დაუკავშირდა თავის კოლეგას ლონდონში, რომელმაც დახმარება აღუთქვა.

ამ საქმით სერიოზულად დაინტერესდა ბატონი ტედ ლევინიც. იგი დაუკავშირდა საფრანგეთის ცნობილ ფირმა „აკორას“ და აცნობა ლონდონში არსებული ჯერაც გამოუმზეურებელი ქართული ფონდის შესახებ. „აკორას“ ხელმძღვანელობამ აღუთქვა, რომ თუ ჩვენ ინგლისის არქივებში ვიპოვიდით 1900-იან წლებში ჩაწერილ ქართულ სიმღერებს, ფირმა მზად იყო, გამოეცა კომპაქტური დისკი ამ ჩანაწერებით. „აკორასთან“ მოლაპარაკების ერთი პირობა ისიც იყო, რომ „რუსთავს“ ამ ფირმისთვის



ანზორ ერქომაიშვილი და კოლექციონერი ალექსანდრე შილოვი



ერთი კომპაქტდისკი უნდა ჩაეწერა, რაზედაც სიამოვნებით დავთანხმდით. ლონდონში ჩვენი მუშაობის ხარჯები მთლიანად ტედ ლევინმა გაიღო...

1991 წლის 7 ივლისს ინგლისში გავემგზავრე. აეროპორტში ტედი დამხვდა. ბინა მისი მეგობარი მხატვრების – ჯეინ და ჯეფრი ჰორების ოჯახში ტემზის ნაპირას დავიდეთ. მასპინძლებმა ორი ოთახი გამოგვიყვეს და მშვენიერი სამუშაო პირობები შეგვიქმნეს.

არქივის შესასვლელის მარცხენა მხარეს შავი მარმარილოს აბრაზე ეწერა: „National Sound Archive", British Institute of Recorded Sound Exhibition Rd. London.

არქივში უკვე გველოდნენ. ჯერ სპეციალური ბლანკები შეგვავსებინეს, მერე ჟურნალში ჩაგვწერეთ ჩვენი ვიზიტის მიზანი, ამის შემდეგ სპეციალური საშვი გამოგვიწერეს, მკერდზე მიგვამაგრეს და მეორე სართულისაკენ გაგვისტუმრეს.

კიბის მოსახვევში კედელზე გაკრულია უზარმაზარი ფოტო, რომელიც ასახავს ბერლინერის აპარატზე ხმის ჩაწერის ერთერთ პირველ ეპიზოდს.

მეორე სართულზე გრამოფონების საუცხოო კოლექციაა გამოფენილი. აქ იხილავთ ყველა მოდელს პირველიდან უკანასკნელამდე.

მესამე სართულზე ლუსი დურანის განყოფილებას მივადექით. ეს ის ლუსი დურანი გახლავთ, რომელსაც ბატონმა ალან ლომაქსმა ჩვენთვის დახმარება სთხოვა. ლუსიმ ზრდილობიანად მოგვიკითხა და თავისი სამსახური შემოგვთავაზა. შემდეგ არქივის ხელმძღვანელობასთან შეგვახვედრა.

არქივს საქართველოდან წაღებული ხალხური სიმღერის 60-მდე თანამედროვე ფირფიტა ვაჩუქეთ. მათ, ცხადია, სათანადო პასპორტიზაციაც გავუკეთეთ. ქართულმა ფირფიტებმა ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა ფირფიტებს შორის. ლუსიმ და არქივის ხელმძღვანელობამ ამ საჩუქრისათვის დიდი მადლობა გადაგვიხადეს და მადლობის ნიშნად ნება დაგვრთეს უფასოდ გვემუშავა არქივში. ეს ჩვენთვის დიდი შეღავათი იყო.

ლუსის ვთხოვეთ, ეჩვენებინა კატალოგები, რომლებშიც შეიძლება ქართული სიმღერებიც ყოფილიყო შეტანილი.

მან მეორე სართულზე ჩაგვიყვანა, მოიძია „რუსეთის განყოფილება" და კავკასიას მიადგა. მოგვიტანეს 13 ცალი პატარა მრგვალი კოლოფი, რომელშიც კინოფირები ინახებოდა. ამ ფირებზე გადაღებულია თბილისში გამოცემული სრული კატალოგი 1902 წლიდან 1915 წლამდე. შემდეგ დაგვსვეს „Canon"-ის ფირმის ტელეეკრანთან და გვასწავლეს უცნაური კატალოგით სარგებლობა:

პატარა კინოფირი სპეციალურ ბუდეში იდება. ღილაკს ხელს აჭერთ და ეკრანზე

გამოჩნდება კატალოგის გვერდები, რომლებიც საჭიროების მიხედვით შეგიძლიათ, ეკრანზე ნებისმიერი სიჩქარით გაატაროთ, საინტერესო გვერდი გააჩეროთ, ჩაიკითხოთ და თუ იგი თქვენთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს, ხელს აჭერთ სპეციალურ ღილაკს და ეს გვერდი „ქსეროქსით“ დაბეჭდილი ჩამოცურდება მაგიდაზე.

მასალები კატალოგში დალაგებულია ქრონოლოგიურად. პირველ ყოვლისა, ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ თბილისში პირველი კატალოგი დაბეჭდილა არა 1907 წელს, როგორც ადრინდელ ნაშრომებში აღვნიშნავდი (სხვა მასალები მაშინ არ გაგვაჩნდა), არამედ 1902 წელს. ამასთან დაკავშირებით, ლუსიმ მეტად საინტერესო მასალა მოგვაწოდა. ეს აღმოჩნდა 1982 წლის 10 იანვარს შედგენილი ძველი ფირფიტების ხელახალი გამოცემის პროექტი – „გრამფირფიტების ჩაწერა თბილისში 1901-1914 წლებში“.

ეს პროექტი შეუდგენია პეკა გრონოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განხორციელება ვერ მოხერხებულა უსახსრობის გამო. პეკა გრონოვი კი მალე გარდაცვლილა.

მოგვყავს პროექტის ტექსტის ქართული თარგმანი სრულად (მთარგმნელი – ქალბატონი მაია დოქსოპულო):

„გრამფირფიტების ჩაწერა თბილისში 1901-1914 წლებში“.

ხელახალი გამოცემის პროექტი.

10 იანვარი, 1982 წელი.

„ამ პროექტის მიზანია ხელახლა გამოიცეს გრამოფონის კომპანიის მიერ კავკასიაში და რუსეთის თურქესტანში პირველი მსოფლიო ომის წინ ჩაწერილი ფირფიტები.

ბრიტანეთის სამეფოს გრამოფონის კომპანია დაარსდა 1898 წელს, რათა განეხორციელებინა ევროპაში ემილ ბერლინერის გამოგონება – ფირფიტების ჩაწერა.

კომპანიამ სასწრაფოდ დასახა გეგმა, დაეარსებინა დამხმარე, მეორადი შტო ძირი-



ფილიმონ ქორიძის გუნდი, 1902 წელი

თად ევროპულ ქვეყნებში. ასეთი დამხმარე შტო – „გრამოფონი“ ჩამოყალიბდა რუსეთში, 1901 წელს.

მისი ვაჭრობის ძირითად ნაწილს, ბუნებრივია, რუსული ჩანაწერები შეადგენდა, მაგრამ კომპანიამ უცებ აუღო ალღო ქვეყნის ურიცხვი ეთნიკური უმცირესობის მნიშვნელობას.

მისი ფილიალი საქართველოში, თბილისში გაიხსნა 1901 წელს, იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო გრამოფონებისა და ჩანაწერების რეალიზაციისათვის კავკასიაში და რუსეთის თურქესტანში (ცენტრალური აზია).



ლოტბარი მიხეილ კავსაძე

რეგიონის ბევრი ნაწილი რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, მუსიკალური ტრადიციების დიდი მრავალფეროვნება არსებობდა: საქართველო ანტიკური ქრისტიანული ქვეყანაა. ქართულ ენას არა აქვს კავშირი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ. მას გააჩნია პოლიფონიური სიმღერის ძველი ტრადიციები.

სომხეთიც ქრისტიანული ქვეყანაა. აქვს მუსიკალური ტრადიციები, რომლებიც ამჟღავნებენ როგორც თურქულ, ისე ევროპულ გავლენას.

აზერბაიჯანში კლასიკური ტრადიციები ძირითადად სპარსული იყო.

ჩრდილო კავკასიის მთიან ველებს გააჩნიათ მცირე ტომების საოცარი მრავალფეროვნება, რომლებიც ლაპარაკობენ თურქულ, ინდოირანულ, კავკასიურ (ქართულის მონათესავე) ენებზე.

მიუხედავად ლინგვისტური სხვაობისა, ოსების, ინგუშების, ყაბარდოელების, კუმიკების გუნდური სიმღერები ქართული პოლიფონიის გავლენას განიცდიან.

კასპიის ზღვის გასწვრივ, ბუხარის ემირისა და ხივის ხანის მიწები ახალი ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ და ემირს ჯერ კიდევ ჰყავდა თავისი კარის მომღერალი.

სარტების (უზბეკები), ტეკინების (თურქმენები), ყირგიზებისა და ადგილობრივი ქურთების მუსიკალური ტრადიციები დასავლეთის გავლენას ჯერ კიდევ არ განიცდიდნენ. ეს ტერიტორია იყო მოწმე დიდი გრამოფონული ბუმისა 1905-1910 წლებში.

თბილისის განყოფილებამ დაამყარა კონტაქტი ბევრ ადგილობრივ ვაჭართან და კომპანიის ხმის ჩამწერი ინჟინრები რეგულარულად იგზავნებოდნენ ექსპედიციებში ისეთ ადგილებში, როგორიც იყო ბაქო, ქუთაისი, პეტროვსკი (მახაჩკალა), სამარყანდი, ტაშკენტი და ბუხარა.


1901-1914 წლებში გრამოფონის კომპანიამ ჩაწერა დიდი რაოდენობით კავკასიური და ცენტრალური აზიის მუსიკა. გაკეთდა შედარებით პატარა ტომების (ოსები, ინგუშები, კუმიკები) მუსიკალური ჩანაწერები. კომპანიამ დიდი ჯაფის შედეგად გამოუშვა კატალოგები, მათ შორის – ოსური თემატიკითაც.

გრამოფონის მოღვაწეობა რუსეთის იმპერიით არ იზღუდებოდა. არსებობდა სავაჭრო კავშირები მეზობელ ქვეყნებთან და კომპანიამ ასევე ჩაიწერა ავღანელი მუსიკოსები

შონგკიანგის კაშგარის ოაზისიდან (ახლა ჩინეთის ნაწილი) და სპარსული მუსიკის ფართო რეპერტუარიც.

ყოველივე ეს შეწყდა პირველი მსოფლიო ომის დროს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ჩანაწერთაგან საბჭოთა კავშირში ცოტა შემორჩა. საბედნიეროდ, მდიდარი კოლექცია არსებობს BIRS-ში (ბრიტანეთის ჩაწერილი ბგერების ინსტიტუტი ლონდონში, იგივე არქივი, სადაც კატალოგები ინახება) და EMI-ს (ფირფიტების არქივი ლონდონში) მუსიკალურ არქივებში ჰეიესში.

BIRS-ს ასევე მოეპოვება ჩანაწერთა კატალოგების ფართო კოლექცია. ისინი იმ პერიოდში დაიბეჭდა თბილისის განყოფილებაში. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოძიებულ იქნეს Gramophone Co-ს ჩანაწერების წიგნში (მიკროფილმები BIRS-ში) და იმჟამინდელ ანგარიშებში (მაგ. ფრედ გეისბერგის მემუარებსა და მასალებში, რომლებიც დაიბეჭდა სავაჭრო პრესაში 1910-იან წლებში).



მომღერალი და ლოტბარი სანდრო კავსაძე

ხელახალი გამოცემის პროექტი:

მასალის უნიკალურობის გამო გთავაზობთ: BIRS-მა ხელახლა დაბეჭდოს მრავალფეროვანი ჩანაწერები. არის საკმარისი მასალა ორმაგი დიდი დისკისათვის: ერთი – კავკასიური, მეორე – ცენტრალური აზიის ჩანაწერებისათვის. ჩანაწერებს თან უნდა დაერთოს ილუსტრირებული ბუკლეტი, რომელშიც იქნება კომენტარი როგორც ჩანაწერებზე, ისე მუსიკაზე. უნდა წარმოჩნდეს მოკლე ისტორია ფირფიტების წარმოებისა ამ რეგიონში, დისკოგრაფიული ინფორმაცია ყველა ჩანაწერებზე და შენიშვნები ამ ჩანაწერების შესახებ. შესაძლებელია დავიხმაროთ ექსპერტები საბჭოთა კავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან, რათა ტრანსკრიპირებულ იქნეს სიმღერების ტექსტები ისეთ ენებზე, როგორიცაა ქართული, სომხური, ოსური, უზბეკური, უიგურული და სხვა.

ილუსტრაციებში შეიძლება ჩაირთოს მუსიკოსების სურათები თანამედროვე კატალოგებიდან, ისევე როგორც იმ რეგიონის 1910-იანი წლების ისტორიული ფოტოები.

სადემონსტრაციო ფირების (გაუწმენდავი) კომპლექტი უკვე მომზადებულია პეკა გრონოვის მიერ".

გარდა ამ პროექტისა, ლუსიმ გადმოგვიბეჭდა 1981 წელს გამოცემული ჟურნალი „ეთნომუსიკოლოგია" (Ethnomusicology). ქალბატონმა მაია დოქსოპულომ ამ ჟურნალიდან გვითარგმნა ის თავი, რომელიც ჩვენ გვეხება. მისი სათაურია „რუსეთი". ჩვენი მკითხველისათვის ეს მასალა ალბათ საინტერესო იქნება:

„ეთნომუსიკოლოგია". მაისი. 1981 წელი.

„რუსეთის იმპერია იყო ფირფიტების მნიშვნელოვანი ბაზარი. პირველი რუსული დისკები გამოჩნდა ბერლინერის დღეებში 1890-იან წლებში. დარბი და გეისბერგი ჩაწერას ახორციელებდნენ პეტერბურგში 1900-1901 წლებში.

რუსეთის სააქციონერო საზოგადოების „გრამოფონის" განყოფილება ჩამოყალიბდა 1901 წელს. ამავე წელს კომპანიამ დაიწყო ფირფიტების, კატალოგებისა და დანარ-

თების რეგულარული გამოშვება.

ბიზნესი სწრაფად იდგამდა ფეხს. რუსეთში 1915 წლისათვის 20 მილიონი ფირფიტა გაიყიდა. რუსეთიდან და დასავლეთ ევროპიდან იმპორტირებული ფირფიტები შეადგენდა რუსული ვაჭრობის დიდ ნაწილს. თავდაპირველად კომპანია სისტემატურად იყენებდა ყოველ შესაძლებელ ბაზარს იმპერიაში. არარუსული ფირფიტები უკვე 1901 წელს გამოჩნდა. ფრედ გეისბერგის ძმა ვილი უკვე იყო თბილისში, რათა ჩაეწერა ქართული და სომხური მუსიკა. მას მალე ფრედიც მიჰყვა.

...ძირითადი ნაწილი ფირფიტებისა ჩაწერილი იქნა კავკასიაში. თბილისში, სადაც ვნახეთ ქართველი და სომეხი მომღერლები. ჩვენ ასევე გამოვიყენეთ ბაქო, ქუთაისი, პეტროვსკი (მახაჩკალა) – დაღესტნელი მომღერლებისათვის და გეორგიევსკი – ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზი მომღერლების ჩასაწერად.

ჩვენ ასევე ჩავწერეთ თბილისში კაზაკების გუნდი მეფისნაცვლისა – მშვენიერი გუნდი მამაკაცების, ღირსშესანიშნავი სოლისტებით...“

ეს ჩაწერა მოხდა სასტუმრო „ორიენტში“ (თბილისში) (გეისბერგი, დღიურები, 1942 წ. გვ. 74-75).

პირველი ქართული გრამფირფიტების შესახებ საინტერესო მასალა მოგვაწოდა აგრეთვე ლონდონის არქივის თანამშრომელმა ვილ ფრენთისმა. – „1901 წელს თბილისში გაიხსნა ფირმა „გრამოფონის“ ოფისი და შტაბბინა, რომელსაც ჩამწერ სტუდიადაც იყენებდნენ.

ხმის ჩამწერი ინჟინრები, ექსპედიციების სახით, პერიოდულად ჩამოდიოდნენ თბილისში და სიმღერებს იწერდნენ გრამოფონის ფირფიტებისათვის. თბილისის „გრამოფონის“ ფირმა მთელ ამიერკავკასიას ემსახურებოდა. იწერდნენ სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, სპარსულ, ოსურ, ჩრდილოეთ კავკასიისა და შუა აზიის ხალხთა



მიხეილ კავსაძის (II რიგში, შუაში) გუნდი 1900-იანი წლები

სიმღერებს. „გრამოფონის“ კატალოგები თბილისში რამდენიმე ენაზე გამოდიოდა. კომპანიის კატალოგიზაციას საფუძველი ჩაეყარა 1898 წელს ლონდონში...

1903 წლამდე ყველა კავკასიური გრამფირფიტა გერმანიაში, ქ. ჰანოვერში მზადდებოდა, 1903 წლის შემდეგ კი – რიგაში, თუმცა მეტალის მატრიცა მაინც ჰანოვერში იწარმოებოდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ზოგიერთი გამოუყენებელი მატრიცა ჯერ კიდევ ჰანოვერში იდო. მოგვიანებით ისინი ინგლისში გადაგზავნეს.

კავკასიის უმნიშვნელოვანეს კომერციულ ცენტრში, თბილისში, პირველი სომხური დანართი გამოჩნდა 1901 წელს; კატალოგი – „თბილისის და ბაქოს გრამფირფიტები“ – 1902 წელს.

1904 წელს კატალოგი დამატებით უკვე შეიცავდა ოსურ და ცენტრალური აზიის მუსიკის ჩანაწერებსაც.

მომდევნო წლებში თბილისის ოფისის ახალი ბაზრები გაიხსნა ზედიზედ ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში, სადაც ჩეჩნების, ინგუშების, ყაბარდოელების, კუმიკების და „მთის ებრაელების“ მუსიკა იქნა გამოცემული.

1911 წელს ჩერქეზების რეპერტუარი მნიშვნელოვნად გაიზარდა და საკმარისი იყო იმისათვის, რომ გამოცემულიყო სპეციალური ჩერქეზული კატალოგი.

კასპიის გასწვრივ, რუსეთის თურქესტანში წერდნენ ცნობილ მსახიობებს ტაშკენტიდან, სამარყანდიდან, ბუხარიდან, ხივიდან, კოკანდიდან და მერვიდან. ჩაწერილი ეთნიკური ჯგუფები, თბილისის ოფისში გამოშვებული კატალოგების მიხედვით, მოიცავდა უზბეკურს, ტაჯიკურს, ყირგიზულს, სპარსულს, ქურთულს, ავღანურს, კაშგარულს (უიგურულს) და ტეკინურს (თურქმენულს).

ამ დროს ირანი თბილისის ოფისს ეკუთვნოდა და პირველი სპარსული კატალოგი გამოჩნდა 1906 წელს.

1917 წლის ბოლშევიკურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო ამ საქმიანობას. ნაციონალიზაციის შემდეგ ფირფიტების წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა და საბჭოთა ინდუსტრიამ მხოლოდ 1920-იანი წლების ბოლოს განაახლა მცირე ერების მუსიკის ჩაწერა, ისიც შეზღუდულად.

ირანი უკვე თავის საკუთარ გზაზე დადგა...

* * *

არქივში მუშაობის დროს გვითხრეს, რომ არსებობს აგრეთვე ფრედ გეისბერგის მეტად საინტერესო წიგნი. ეს წიგნი დღიურების სახით ყოფილა დაწერილი. მასში XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ხმის ჩამწერი სტუდიის მუშაობაც იქნება აღწერილი; ამიტომ მას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ფრაგმენტი ამ დღიურებიდან პეკა გრონოვის პროექტშიც არის მოხსენიებული.

სანამ აქაურ კატალოგებს უშუალოდ გავეცნობოდი, მე მქონდა ვილ ფრენთისის ცნობა იმის შესახებ, თუ 1901-1915 წლებში ხმის ჩამწერი რომელი ინჟინრები იმყოფებოდნენ თბილისში. ახლა საშუალება მომეცა, გამერკვია, რომელ წელს რომელი მომღერლები ჩაიწერეს.

1901 წელი. ჩაიწერა ქართული და სომხური მუსიკა (ხმის ჩამწერი ინჟინერი ვილი გეიზბერგი).

1902 წლის კატალოგი. უმეტესად, ჩაიწერა ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები და ია კარგარეთელის გუნდის სიმღერები (ხმის ინჟ. ფრედ გეიზბერგი).

1904 წლის კატალოგში შეტანილია მხოლოდ წინა წელს გამოშვებული ფირფიტების დასახელებები, სადაც ქალაქურ ფოლკლორთან ერთად ია კარგარეთელის ახალ ნაწარმოებებსაც ვხვდებით. გამოჩნდა აგრეთვე ახალი ანსამბლი ბატონ ცამციევის (აპოლონ ცამციშვილის) ხელმძღვანელობით (ხმის ინჟ. ფრანც ჰამპე).

1905 წლის კატალოგში გამეორებულია წინა წლების ჩანაწერები.

1906 წლის კატალოგში შეტანილია მხოლოდ წინა წლებში ჩაწერილი ქართული სიმღერები.

1907 წლის კატალოგში პირველად გამოჩნდა სანდრო კავსაძის გვარი.

აქვეა შეტანილი გურულების გუნდი სოფელ მაკვანეთიდან (ოზურგეთის მაზრა) გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით (ხმის ინჟ. მაქს ჰამპე).

1908 წლის კატალოგში ქართული ნაწარმოებები არ გვხვდება.

1909 წლის კატალოგში პირველად გამოჩნდა ცნობილი საოპერო მომღერალი – ბანი იოსებ (სოსო) ტომაშევიჩი. მისი შესრულებით, კატალოგში შეტანილია შვიდი ნაწარმოები (ხმის ინჟ. ფრანც ჰამპე).

1910 წლის კატალოგში პირველად გამოჩნდა გურულების ახალი ანსამბლი სამუელ ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით. მას სიმღერები ქუთაისში ჩაუწერია 1909 წელს. ამავე კატალოგში შეტანილია აგრეთვე 1909 წელს ჩაწერილი სანდრო კავსაძის კვარტეტის, მსახიობების – ვასო აბაშიძისა და გედევანოვის (იოსებ გედევანიშვილის) ჩანაწერები (ხმის ინჟ. ფრანც ჰამპე). 1910 წელს თბილისში ჩამოსულ ხმის ჩამწერ ინჟინერს ედმუნდ პერსს ქართული სიმღერები არ ჩაუწერია.

1911 წლის კატალოგში გამოჩნდა ახალ გვარები: ქუთაისის გუნდი ნ. კიპორენკოს ხელმძღვანელობით და მომღერალი დავით ფალავა, რომელიც რომანსებს ასრულებს. ამავე წლის კატალოგში შეტანილია კვარტეტი ქუთაისიდან დ. ჯაფარიძის, ნ. საყვარელიძის, ა. ჩახუნაშვილისა და გ. ჩეჩელაშვილის შემადგენლობით, რომლებიც, გიტარის თანხლებით, რამდენიმე ქალაქურ სიმღერას არულებენ (ხმის ინჟ. ედმუნდ ჰამპე).

ამავე კატალოგში დაბეჭდილია მომღერალ რ. ხაჩიძის ფოტო გიტარით და ასევე მომღერალ ქალთა ჯგუფი გიტარებით. როგორც ჩანს, იმ დროს ქუთაისში გიტარა ძალზე პოპულარული ყოფილა.

ვანო სარაჯიშვილის გვარი მხოლოდ 1912 წლის კატალოგში გამოჩნდა. კერძოდ, კატალოგის მე-6 გვერდზე დაბეჭდილია ფოტო, რომელსაც აწერია: „მომღერალი ვანო სარაჯიშვილი“.

ხალხში დღემდეა გავრცელებული აზრი, რომ ვანო სარაჯიშვილს თურმე ჩაუწერია ბევრი სიმღერა, რომლებიც მერე დაკარგულა. ჩვენ ყურადღებით გადავათვალიერეთ ლონდონის კატალოგები, მაგრამ ვანოს მიერ ჩაწერილი ზემოაღნიშნული სიმღერების გარდა სხვა არაფერი აღმოჩნდა, რადგან 1915 წლის „თეატრსა და ცხოვრებაში“ მითითებული სიმღერები თბილისურ კატალოგში არაა შეტანილი, ვიფიქრეთ, ხომ არ ჩაიწერა ისინი პეტერბურგში ან მოსკოვში?

გადავათვალიერეთ რუსული კატალოგებიც. 1915 წლის კატალოგის გვ. 375 მიუთითებს:

„ამ კატალოგში ალფავიტის მიხედვით ჩამოთვლილია ყველა 560-ვე შემსრულებლის გვარი“. სამწუხაროდ, ამ სიაში ვანო სარაჯიშვილი არ აღმოჩნდა.

გაჩნდა ვარაუდი: ვინაიდან მან ეს ნაწარმოებები 1915 წელს ჩაწერა, იქნებ ფირ-

ფიტების დაბეჭდვა ვეღარ მოასწრეს და კატალოგში ამიტომაც ვერ მოხვდა. თუკი ფირფიტები დაიბეჭდა და კატალოგში მაინც ვერ მოხვდა (ასეთი შემთხვევები იყო, მაგ., ხუხუნაიშვილების, ჩავლეიშვილების გუნდი და სხვ.) ან კატალოგი და მისი დამატება დაკარგულია, მაშინ, ჩვენი აზრით, ისინი გაიყიდებოდა და რამდენიმე მათგანი ოჯახებში მაინც აღმოჩნდებოდა, მათ ისევე შემოინახავდნენ, როგორც სხვა ფირფიტებს.



ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი

რუსულ კატალოგებში ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების ძებნის დროს 1911 წლის კატალოგებში ლევ ტოლსტოის, ლეონიდ ანდრეევის, ბორის ბორისოვის, ალექსანდრა იაბლოჩკინას და სხვათა გვერდით წავაწყდი დიდი დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის გვარს.

1912 წლის კატალოგში დაბეჭდილია სიმღერები შილდელი მომღერლების შესრულებით, ლევან ასაბაშვილის (დედას ლევანა) ხელმძღვანელობით (ხმის ჩამწერი ინჟ. ედმუნდ პერსი ამ წელს ორჯერ ყოფილა თბილისში); იანვარში ჩაიწერა ოთხი სიმღერა ვანო სარაჯიშვილის შესრულებით, ხოლო შემდეგ – ლევან ასაბაშვილის კახელ მომღერალთა ჯგუფი.

1913 წლის კატალოგში შეტანილია აკაკი წერეთლის ფირფიტა – მგოსანი აკაკი. აქვეა შეტანილია რომანსი დავით ფაღავას შესრულებით, აკომპანემენტი ლ. წერეთლისა.

1914 წლის კატალოგში შეტანილია ქართული სიმღერები ვ. სარაჯიშვილის, მიხეილ კავსაძის, ი. კარგარეთელის, გ. ერქომაიშვილის, ნ. კიპორენკოს გუნდებისა და სხვათა შესრულებით (ხმისჩამწერი ინჟინერი ედმუნდ პერსი). ამავე წელს არის ჩაწერილი კოწია ხუხუნაიშვილის ანსამბლი სოფელ ზემო აკეთიდან, რომელიც მხოლოდ 1915 წლის კატალოგში გამოჩნდა.

1915 წელს თბილისში ჩამოსულა ხმის ჩამწერი ინჟინერი ფრედ გეიზბერგი, მაგრამ მაშინ უკვე პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა და გრამოფონის ფირმამ სწრაფად დატოვა თბილისი.

როგორც ვხედავთ, 1903-1906 წლებში „გრამოფონი" თბილისში ჩაწერებს არ აწარმოებდა, შესაძლებელია, ექსპედიცია საქართველოში არ შედგა იმჟამინდელი არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო. ხმის ჩამწერი ინჟინერი მაქს ჰამპე თბილისში მხოლოდ 1907 წელს ჩამოვიდა და ჩაწერების შემდეგ მალევე გაემგზავრა პეტროვსკში (დღევანდელი მახაჩკალა).

შესაძლებელია, სხვა სიმღერების შეტანა კატალოგში მომდევნო წლებისთვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ ფირმა ისე დაიხურა, რომ კატალოგების დაბეჭდვა ვეღარ მოესწრო. გამორიცხული არც ისაა, რომ სიმღერები სხვა კატალოგში ან დამატებაში იყო დაბეჭდილი, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.



ორი დიდი ტენორი – მიშელ დარიალი (მიხეილ ნანობაშვილი) და ვანო სარაჯიშვილი

ამ არქივში (BIRS), კატალოგების გარდა, მცირე რაოდენობით ფირფიტებსაც ინახავენ. ჩვენთვის საინტერესო რეპერტუარიდან სულ რამდენიმე ფირფიტა აღმოჩნდა, მათ შორის „ახ, მთვარევ, მთვარევ", „ახლანდელი ქალები", ასრ. მომღერალი ტენორი ნიკოლ ბავეიანცი, „ვანოს სალამური" – ქუთაისის გუნდი, „ლეკური" – ასრ. ბაგრატა (ბაგრატ ბაგრამოვი, ა. ე.), ავეტ. (ავეტიკა, ა. ე.) და გიგოა; დუდუკი – ტრიო და რამდენიმე სიმღერა გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის რეპერტუარიდან.



აკაკი წერეთელი

კატალოგებში სიმღერებთან ერთად დაბეჭდილია პოპულარული მომღერლების: ვ. სარაჯიშვილის, ბაგრატას, რ. ხაჩიძის და სხვათა ფოტოები. გაირკვა, რომ ლონდონში ყოფილა სპეციალური ფოტოარქივი, სადაც „გრამოფონის" მრავალი ფოტოა დაცული, მაგრამ იქ წასვლის არც დრო გვქონდა და არც საშუალება, ვინაიდან არქივიდან ფოტოსურათების გადაბეჭდვას საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდება. შესაძლოა მომავალში ფოტოარქივში ჩვენთვის საინტერესო ბევრი ფოტომასალა აღმოჩნდეს.

კატალოგების დათვალიერებას მოვანდომეთ 3 დღე. საოცარი აპარატურა რომ არა, ალბათ ამ კატალოგების წაკითხვას და ჩვენთვის საინტერესო გვერდების გადმოწერას რამდენიმე თვეს მოვუნდებოდით.

თბილისური კატალოგები, როგორც ვთქვით, რამდენიმე ენაზე იბეჭდებოდა. ჩვენ თითქმის ყველა ქართულენოვანი გვერდი ამოვბეჭდეთ. შესაძლოა, დაგვრჩა ქალაქური ფოლკლორის ჩანაწერები.

აღსანიშნავია, რომ კატალოგში მითითებული ჩაწერის თარიღი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ სიმღერა ამ წელს არის ჩაწერილი. ს. კავსაძის, გ. ერქომაიშვილის, აპ. ცამციშვილის გუნდების, ი. კარგარეთელის, ვ. სარაჯიშვილის და სხვათა სიმღერები გაფანტულია სხვადასხვა წლების კატალოგებში. ფირფიტები, რომლებიც კარგად იყიდებოდა, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს რამდენჯერმე იბეჭდებოდა, ამიტომ მათი საწარმოო ნომრებიც მომდევნო წლების კატალოგებში უცვლელად არის შეტანილი (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ კატალოგში ბევრი საინტერესო მასალაა. ამჯერად მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ მათი სრულად დაბეჭდვა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, გაეცნონ ანზორ ერქომაიშვილის მიერ შედგენილ კატალოგს „ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში", 2007 წ., გამომცემლობა „საქართველოს მაცნე".

აღსანიშნავია, რომ ლონდონის არქივში ხდება ძველი ჩანაწერების რესტავრაცია უახლესი ტექნიკით.

დავემშვიდობეთ ჩვენს კეთილ მასპინძელს, ქალბატონ ლუსის და კატალოგების არქივიდან ბრიტანეთის ნაციონალურ ხმოვან არქივში გადავინაცვლეთ, სადაც „გრამოფონის“ ფირმის ძველ საუცხოო კოლექციაში სწორედ იმ სიმღერების ფირფიტები ინახებოდა, რომლებიც წინამდებარე კატალოგშია წარმოდგენილი.

ეს არქივი მდებარეობს კატალოგების არქივისაგან საკმაოდ მოშორებით – ჰეიესში. მისი მისამართია: 1-3 uxbridge Road. Hayes. London. england.

იქ უკვე გველოდებოდა ახალგაზრდა სიმპათიური თანამშრომელი სარა ჰობსი, რომელმაც შეგვიყვანა არქივის ბიბლიოთეკაში, სადაც ახალ კატალოგებს უნდა გავცნობოდით. აქაური კატალოგები ჩვეულებრივი ხელნაწერი ჟურნალებია, რომლებიც არქივში შენახული იმ ფირფიტების საწარმოო ნომრების (და არა სიმღერის დასახელების) მიხედვით არის შედგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არქივი ეკუთვნის უზარმაზარ ფაბრიკას, სადაც მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლების უახლესი ფირფიტები იბეჭდება.



მსახიობი ნატო გაბუნია

იქაური კატალოგების ნომრები შევადარეთ ჩვენი ადრინდელი კატალოგების ნომრებს. ფირფიტების არქივში საქართველოში 1901 წლიდან 1914 წლამდე ჩაწერილი 170-ზე მეტი ქართული სიმღერის საწარმოო ნომერი აღმოჩნდა.

სარა ჰობსი ძალიან დაგვეხმარა. მისი გულმოდგინების შედეგად შეგროვდა ის ფირფიტები, რომელთა ნომრებიც ჩვენ გადავეცით. სამწუხაროდ, ამ სიმღერებიდან ადგილზე მხოლოდ 105 აღმოჩნდა. დანარჩენი ფირფიტები, ეტყობა, სადმე სხვა განყოფილებებშია გაფანტული. დროთა განმავლობაში შეიძლება ისინიც აღმოჩნდეს.

ფირფიტების საცავში მე თვითონ გახლდით. იგი რკინის უზარმაზარი კარით იკეტება, შიგნით დაცულია მუდმივად თანაბარი ტემპერატურა, თაროებზე მუყაოს კონვერტებში ჩადებული ურიცხვი ფირფიტა აწყვია. ყველა თაროს თავისი ნომერი აქვს და ფირფიტები რეგიონების მიხედვითაა დალაგებული. ჩვენ ისევ რუსეთის განყოფილებას ვეკუთვნით.

საცავში სანიმუშო სისუფთავეა, ყველა პირობაა შექმნილი ფირფიტების შესანახად.

პირველ რიგში, ვანო სარაჯიშვილის ფირფიტები მაინტერესებდა. სარა ჰობსმა კავკასიის განყოფილების მეორე სართულიდან ოთხი კონვერტი მომაწოდა. მე ფრთხილად ავიღე საუცხოოდ შენახული ფირფიტები: „ურმული“, „მზე აღარ ბრწყინავს“, „ოდესაც გიმზერ“, თანდათან გამოჩნდა ვანო სარაჯიშვილის მიერ ჩაწერილი რვა სიმღერა. იქ დაცული ფირფიტების საწარმოო ნომრებიც ემთხვევა თბილისურს. როგორც ჩანს, ფირფიტისა და კატალოგების თითო (თუ მეტი არა) ასლი ფირმა „გრამოფონს“ ლონდონში მიჰქონდა და თავის არქივში ინახავდა. ასე მოაღწია 100 წლის წინათ



უბადლო მოკრიმანჭულე
ალექსანდრე მახარაძე

ჩაწერილმა სიმღერებმა ჩვენამდე, როგორც რელიკვიამ.

ვანო სარაჯიშვილის ფირფიტებს სხვებიც მოჰყვა. ნელ-ნელა გამოჩნდა ია კარგარეთელის, სანდრო კავსაძის, სამუელ ჩავლეიშვილის, დედას ლევანას, ვასო აბაშიძის და სხვათა გვარები.

რა ბედნიერებაა, რომ უცხო ქვეყანაში შენს წინაპართა სახელებს ამოიკითხავ და მათ ხმებს ისმენ, და რა გულსატკენია ჩვენი გულგრილი დამოკიდებულება ყველაფრისადმი. ჩვენი სათაყვანებელი კერპების სიმღერებიც კი ვერ შევინახეთ, აქაც უცხოელები წამოგვეშველნენ.

დადგა ფირფიტების გადაწერის დრო.

ოთხი დღე ვიწერდით ძველ ფირფიტებს თანამედროვე ციფრულ აპარატურაზე, ოთხი დღე ისმოდა ლონდონის არქივში ჩვენი წინაპრების ხმები. არქივის თანამშრომლები ხშირად შემოდიოდნენ და განცვიფრებულები უსმენდნენ ამ საოცარ მომღერლებს. ზოგიერთი სიმღერის გამო აღტაცებას ვერ ფარავდნენ. რაოდენ სასიხარულო იყო, რომ ჩვენი გამომგზავრების დღეს ერთ-ერთი რედაქციიდან დედას ლევანას დიდებული ხმა ისმოდა.

სამწუხაროდ, კატალოგებში დასახელებულ ჩვენთვის უცნობ რამდენიმე სიმღერას და საგალობელს ვერ მივაკვლიეთ. ისინი ნამდვილად სხვა ფირფიტებში უნდა იყოს შერეული. ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. კატალოგი-ჟურნალები ხომ სწორედ არქივში დაცული ფირფიტების მიხედვით არის შედგენილი. ფირფიტები გატეხილი რომ იყოს, ამას აუცილებლად აღნიშნავდნენ ჟურნალში (ისევე როგორც ხუხუნაიშვილების „ხასანბეგურას“ და „ნანინას“ ფირფიტას აწერია: „გატეხილია“).

ჩვენ მოვისმინეთ შეგროვილი ფირფიტების ძველი კოლექცია. ბევრი მათგანი სრულიად ხელუხლებელია. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი ჩაწერის ტექნიკას და იმას, რომ „გრამოფონის“ სრულიად ახალ ფირფიტასაც კი მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი შიშინი გასდევდა, შეიძლება ითქვას, რომ ფირფიტები შესანიშნავად არის შენახული და შემსრულებელთა ხმები კარგად ისმის.

მოსმენილი მასალიდან ბევრი სიმღერა ჩვენთვის უცნობი აღმოჩნდა, მაგ., „ზღვითა ღელვითა“ და „იადონის მარანში“ (დედას ლევანას გუნდი), „მხოლოდ ერთხელ, ჩემო ტურფავ“ და „მამაო ჩვენო“ (ს. კავსაძის გუნდი), „ვანოს სალამური“ და „ნაცარქექია“ (ქუთაისის გუნდი), „შენ გიგალობ“ (აპ. ცამციშვილის გუნდი), „ოდელია“ (ი. კარგარეთელი), „ვახა ხეი“ (გ. ერქომაიშვილის გუნდი) და ბევრი სხვა.

ზოგიერთი სიმღერა, რომელიც დღესაც იმღერება საქართველოში, ძველ ფირფიტებზე სხვა სახელწოდებით არის დაბეჭდილი. მაგალითად:

„ჩემო ნათლიდედაო“ – „ლალე, ლალე“ (გ. ერქომაიშვილის გუნდი).

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ – „ქართული მარში“ (აპ. ცამციშვილის გუნდი);

„თებრონე მიდის წყალზედა“ – „კოხტა გოგო“ (ს. კავსაძის გუნდი);

„ერთხელ ვიხილე“ – „სიზმარი“ (ს. კავსაძის გუნდი);

„მგზავრული“ – „გზის სიმღერა“ (გ. ერქომაიშვილის გუნდი);

„ვახტანგური“ – „დედოფლის სიმღერა“ (კ. ხუხუნაიშვილის გუნდი);

„მოდი, აქ დაჯექ, შვილო“ – „შარი-შური“ (ს. კავსაძის გუნდი);

„ცოლი გამიდიდგულდა“ – „ქალო, მომეც ნუგეში“ (ს. კავსაძის გუნდი) და სხვა.

1901-1914 წლების ჩანაწერების ბევრი ვარიანტი დღევანდელი სიმღერებისაგან განსხვავებულია. მაგალითად, სიმღერა „დაიგვიანეს“ საქართველოში მეტად პოპულარული გახლავთ. მას სხვადასხვა თაობის რამდენიმე საუკეთესო შემსრულებელი ჰყავდა, საკმარისია დავასახელოთ მარო თარხნიშვილი, გიორგი ქუფარაშვილი და ჰამლეტ გონაშვილი. ეს სიმღერა იმდენად გაითავისა ხალხმა, იგი იმდენად ხალხური გახდა, რომ მისი ავტორი დაავიწყდათ კიდეც. დღეს ბევრმა არ იცის, რომ „დაიგვიანეს“ ეკუთვნის ნიკო სულხანიშვილს. ამ სიმღერის ჩანაწერიც აღმოჩნდა ლონდონის ფირფიტების მუზეუმში. მას სანდრო კავსაძე ასრულებს.



არტემ ერქომაიშვილი, 1912 წ.

„დაიგვიანეს“, ს. კავსაძის შესრულებით, დიდად განსხვავდება ამ სიმღერის გვიანდელი ვარიანტისაგან. როგორც ჩანს, სიმღერამ სახე იცვალა, დროთა განმავლობაში უფრო გართულდა, მრავალფეროვანი გახდა. კავსაძისეული ვარიანტი უთუოდ ზუსტია; იმ დროს სიმღერის ავტორი ნიკო სულხანიშვილი ხომ ცოცხალი იყო (მან პირადად შეასწავლა ეს სიმღერა სანდრო კავსაძეს). ამიტომ, დღევანდელისაგან განსხვავებული ეს ვარიანტი მეტად საინტერესოა. ასევეა რამდენიმე სხვა სიმღერაც, მაგალითად, „მეტივური“ და „გუთნური“ ს. კავსაძის შესრულებით, მისივე გუნდის მიერ შესრულებული „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, მიხეილ კავსაძის გუნდის მიერ ჩაწერილი „შაშვი კაკაბი“, გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის



დიდი ლოტბარი და მგალობელ-მომღერალი ვარლამ სიმონიშვილი

„ფერად შინდი“ და „პატარა საყვარელო“, დედას ლევანას ანსამბლის „მრავალჟამიერ“, „ჩაკრულო“, „ბერიკაცი ვარ“, „მაყრული“ და სხვა.

საინტერესოა, რომ მაშინდელი სიმღერების სიტყვიერი ტექსტები, უმეტეს შემთხვევაში, დღევანდელისაგან დიდად განსხვავდება, მაგალითად, ს. კავსაძე „მეტივურს“ ასეთი ტექსტით ასრულებს:

„ქალო, ეგ რა შემოგიკრავს,
შუბლი დაგიმშვენებია,
ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისი გაგიხარებია“

დედას ლევანა და ბათო როსტომაშვილი „ჩაკრულოსა“ და „ბერიკაცში“ იმპროვიზებულ სიტყვიერ ტექსტებს იყენებენ, ხოლო კონია ხუხუნაიშვილისა და გიგო ერქომაიმვილის ანსამბლები „ხასანბეგურას“ შოთა რუსთაველისა და სიმონ გუგუნავას ტექსტებზე მღერიან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა შემსრულებლებზეც. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ მომღერლები მაშინ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სიტყვიერ ტექსტს. ისინი მხოლოდ მელოდიის დიდოსტატურ შესრულებაზე ფიქრობდნენ.

ძველი ჩანაწერები საინტერესოა იმითაც, რომ ისინი წარმოდგენას გვიქმნიან მაშინდელი ახალდაბადებული პროფესიული გუნდების შემოქმედებაზე. ასეთებია აპ. ცამციშვილის, მ. კავსაძის, ი. კარგარეთელის გუნდები, ი. კარგარეთელისა და ს. კავსაძის ვოკალური კვარტეტები, რომლებიც იოსებ რატილის რეპერტუარსაც ასრულებენ.

უნდა აღინიშნოს იმ ხანის შემსრულებელთა მაღალი დონე, მათი შესანიშნავი ხმები და ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობა. ჩვენი აზრით, ყველა დროის საუკეთესო ქართველ მომღერლებად რჩებიან: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო კავსაძე, ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა), გიორგი ბაბილოძე, სამუელ ჩავლეიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, ვარლამ სიმონიშვილი, ბესარიონ ხუხ-

უნაიშვილი, არტემ ერქომაიშვილი და სხვ.

პირველ ქართულ ფონოჩანაწერებში აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორი ძირითადად წარმოდგენილია სანდრო კავსაძის, ლევან ასაბაშვილის, აპოლონ ცამციშვილის, მიხეილ კავსაძის და ია კარგარეთელის გუნდების მიერ. დასავლეთ საქართველოს წარმოადგენენ გურული მომღერლები; კერძოდ, ანსამბლი სამუელ ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით, კოწია ხუხუნაიშვილის ანსამბლი სოფელ ზემო აკეთიდან (ლანჩხუთის რაიონი) და სოფელ მაკვანეთის (ოზურგეთის რაიონი) ანსამბლი გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. დასავლეთ საქართველოს ქალაქური ფოლკლორი ჩაუწერია რამდენიმე ჯგუფს; ქუთაისის გუნდი ნ. კიპორენკოს ხელმძღვანელობით ასრულებს როგორც ხალხურ, ისე ქალაქურ სიმღერებს. იგი თავისი საშემსრულებლო მანერით პროფესიული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქუთაისში და თბილისში ჩაწერილ ფირფიტებს ეტიკეტებზე აწერია – „ქუთაისი“ და „ტიფლისი“. ზოგიერთი ფირფიტის ერთ გვერდზე ქუთაისში ჩაწერილი სიმღერებია, ხოლო მეორეზე – თბილისში. დასანანია, რომ არ ჩაიწერა მეგრული ანსამბლები და ამ კუთხის ცნობილ მომღერალთა ხმები. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ იმ პერიოდში მოღვაწეობდა მეგრული სიმღერების პატრიარქი ძუკუ ლოლუა, რომელსაც შესანიშნავი გუნდები ჰყავდა. ასევე საწყენია, რომ არ არის ჩაწერილი რაჭა-ლეჩხუმის, სვანური და აჭარული სიმღერები და აღმოსავლეთ საქართველოს მთის მუსიკა.

გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ქუთაისში, სადაც ხმის ჩამწერი სტუდიის ფილიალი არსებობდა, ადგილობრივი მომღერლების მიერ შესრულებული არც ერთი იმერული ხალხური სიმღერა არ ჩაწერილა; იმერეთი წარმოდენილია ქუთაისის ნ. კიპორენკოს გუნდისა და ქალაქური სიმღერების შემსრულებლებით.

თბილისური ფონოჩანაწერების დიდი ნაწილი ასახავს ქალაქურ ფოლკლორს. ქუთაისური ქალაქური სიმღერებისაგან განსხვავებით, თბილისურს აღმოსავლური მუსიკის ძლიერი გავლენა ეტყობა.

პირველი ქართული გრამფირფიტების კოლექცია საინტერესოა იმითაც, რომ მსმენელს წარმოდგენა ექმნება მაშინდელ სოლისტებზე, გუნდებზე, მხატვრული კითხვის ოსტატებზე, ხალხურ ინსტრუმენტებზე. ეს უნიკალური მასალა შესაძლებელს ხდის, თვალნათლივ შევადაროთ ერთმანეთს მაშინდელი და დღევანდელი საშემსრულებლო დონე, სიმღერების ძველი და ახალი ვარიანტები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ მაშინ ბევრი შემსრულებელი უკვე ხანდაზმული იყო (გიორგი ბაბილოძე დაბადებულია 1835 წელს, გიგო ერქომაიშვილი – 1840 წელს, გიორგი იობიშვილი – 1849 წელს, სამუელ ჩავლეიშვილი – 1857 წელს, ლევან ასაბაშვილი – 1859 წელს, სანდრო კავსაძე – 1874 წელს). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათი მასწავლებლები XIX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, ცხადი ხდება, რომ 1901-1914 წლებში ჩაწერილი სიმღერები ორი საუკუნის წინანდელ საშემსრულებლო კულტურას წარმოაჩენს. სიმღერის ცოცხლად შემონახული ეს ვარიანტები უძვირფასესი განძია ახლანდელი და მომავალი თაობის მკვლევრებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი მომღერლებისა და ანსამბლების შესახებ მასალებს მკითხველი შეიძლება გაეცნოს ჩვენს ადრინდელ ნაშრომებში, ესენია: ბუკლეტი ფირფიტების კრებულისა „პირველი გრამფირფიტები საქართველოში 1907-1914 წწ.“ („ხელოვნება“, თბილისი, 1987 წ.), წიგნი „ბაბუა“ („საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980 წ.). კატა-

ლოგი „ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში“ („საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2007 წ.).

გთავაზობთ წარმოდგენილი კატალოგებისა და კარტოთეკების ჩამონათვალს:

1. თბილისის კატალოგი, 1907 წ. (გადმოგვცა მოსკოველმა კოლექციონერმა ლეოპოლდ კოტუხოვმა);
2. თბილისის კატალოგი 1914 წ. (გადმოგვცა ბატონმა ნოშრევან თავხელიძემ);
3. რიგის კატალოგი 1914 წ. (ქართული მასალა გადმოვწერეთ სანკტ-პეტერბურგელი კოლექციონერის იური პერეპიოლკინისაგან);
4. სანკტ-პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლი) დაცული ცვილის ლილვაკების კარტოთეკა;
5. რუსეთის ფონოდოკუმენტების სახელმწიფო არქივის კარტოთეკა 1901-1914 და 1930-1940-იანი წლების ფონოჩანაწერები;
6. ლონდონის (ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ხმოვანი არქივის) კარტოთეკა;
7. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული სიმღერების ჩამონათვალი და ფონოჩანაწერები (მოძიებული მასალის გადმოცემაში დაგვეხმარნენ ქ-ნი ნათელა ლაღიძე და ბ-ნი ფრანკ კეინი);
8. ბერლინის ფონოგრამარქივში დაცული ქართული სიმღერების აღწერილობა (გადმოგვცა ეთნომუსიკოლოგმა ქ-ნმა სუზან ციგლერმა);
9. ვენის ფონოგრამარქივში, დაცული ქართული მასალის აღწერილობა (გადმოგვცა ეთნომუსიკოლოგმა, ქალბატონმა ნონა ლომიძემ);

ზემოაღნიშნულ პიროვნებებს მადლობას მოვახსენებთ გაწეული დახმარებისათვის;

გთავაზობთ ლონდონის არქივებში ჩვენ მიერ მოძიებული და გადმოწერილი სიმღერების ნუსხას, ჩაწერილს თბილისსა და ქუთაისში, 1902-1914 წლებში:

ია კარგარეთელი, 1902–1903წწ.

1. დღეს მერცხალი შემოფრინდა
2. შენ გეტრფი მარად
3. მკრთალი ნათელი
4. რენო რანუნი
5. შევკრათ წითელ-წითელი
6. ნეტავი, გოგოვ, მე და შენ
7. მინდორშია თეთრი ქვა

აპოლონ ცამციშვილის გუნდი, 1903 წ.

8. ნანა (კახური)
9. შენ გიგალობ
10. რა კარგი რამ ხარ
11. მრავალჟამიერ
12. ქართველო, ხელი ხმალს იკარ
13. მშვენიერი

სანდრო კავსაძე, 1907–1909 წწ.

14. ღმერთო, მეც გადმომხედე
15. მამაო ჩვენო

16. ბუბა ქაქუჩელა
17. ვარადო
18. გუთნური
19. შენ გეტრფი მარად
20. დაიგვიანეს
21. სულო ბოროტო
22. მხოლოდ ერთხელ, ჩემო ტურფავ
23. ცოლი გამიდიდგულდა (ქალო, მომეც ნუგეში)
24. ბრძანა სოლომან
25. თებრონე მიდის წყალზედა
26. ჭონა
27. ურმული
28. მთებში (მთაო, გადმიშვი)
29. ერია, ბიჭო (ნამგლური)
30. ლალო ვაი არალო.

მიხეილ კავსაძის გუნდი, 1914 წ.

31. ძლიერ სტიროდა
32. შაშვი კაკაბი
33. აღსდექ, გმირთ-გმირო
34. შარიშური

ლევან ასაბაშვილის (დედას ლევანა) ანსამბლი, 1912 წ.

35. კახური მრავალჟამიერი
36. ახალი სუფრული
37. ძველი შროშანა
38. ბერიკაცი ვარ
39. მაყრული
40. ზღვითა ღელვითა
41. იადონის მარანში
42. ჩაკრულო

სამუელ ჩავლეიშვილის ანსამბლი, 1909 წ.

43. სვანეთში ნათქვამი ხორო (მგზავრული)
44. შენ, რომელმან განანათლე
45. სიყვარულმა მოგიყვანა, უფალო
46. ჩვენ მშვიდობა
47. წამოკრული
48. შვიდკაცა
49. მივალ გურიაში
50. ალავერდი
51. ლატარია
52. სუფრის ხელხვავი
53. მე რუსთველი
54. მგზავრული

კოწია ხუხუნაიშვილის ანსამბლი, 1914 წ.

55. მგზავრული
56. ნანინა
57. დედოფლის სიმღერა (ვახტანგური)
58. ხასანბეგურა

ვანო სარაჯიშვილი, 1912–1913 წწ.

59. დავრდომილი სნეული
60. ვარსკვლავო
61. ისევ შენ და ისევ შენ
62. ურმული
63. ოდესაც გიმზერ
64. საყვედური (გენაცვალე)
65. მზე აღარ ბრწყინავს
66. მხოლოდ შენ ერთს

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი, 1907 წ.

67. ელესა
68. მადლობელი
69. ფირუზი
70. ჩვენ მშვიდობა
71. ადილა
72. ალილო
73. პატარა საყვარელო
74. ფერად შინდი (ინდი-მინდი)
75. ორირა
76. ფერხული
77. დელი-დელა
78. მაყრული
79. მურვან-მურვან
80. ჩემო ნათლიდედაო
81. საცეკვარი
82. ვოისა რერა
83. ნადური, II ნაწილი
84. მაყრული (აჭარული)
85. კუჩხი ბედინერი
86. ხასანბეგურა
87. ჩარი-რამა
88. დიდება ღმერთსა
89. მრავალჟამიერ
90. ბრევალო
91. იარამაშაიდა
92. მოსალხენი
93. ადესას ლექსი
94. მგზავრული

ვასო აბაშიძე

95. კუპლეტები თბილისის ცხოვრებიდან, 1909 წ.,
96. ვ. აბაშიძე, ი. გედევანოვი – ვაი, ვაი

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი.

97. ოტელოს მონოლოგი (რუსულად)

უცნობი შემსრულებლები, 1902-1914 წწ.

98. ვანოს სალამური
99. ლეკური
100. ახ, მთვარევ, მთვარევ
101. უცნობი სიმღერა
102. მუმლი მუხასა (ქუთაისის ხორო)
103. ნაცარქექია (ქუთაისის ხორო)
104. ინსტრუმენტული ანსამბლი
105. ბაიათი

ერქომაიშვილების საოჯახო გრამფირფიტების კოლექციიდან ალდგენილი სიმღერები (ჩაწერილი 1902-1914 წწ.)

1. ფაცხა – ია კარგარეთელის გუნდი, 1902 წ.
2. ახ, სულო, სულო – ბაგრატ ბაგრამოვი, 1902 წ.
3. სიყვარულმა ფრთა გაშალა, 1902 წ.
4. ალავერდი, 1902 წ.
5. ყველანი შენთვის ტირიან – ამირიძე, 1903 წ.
6. როს არშიყნი, 1903 წ.
7. გაფრინდი შავო მერცხალო – აპოლონ ცამციშვილის გუნდი, 1903 წ.
8. ქართული მარში, 1903 წ.
9. სიმინდსა თოხნა დავუწყოთ, 1903 წ.
10. მტკვარი, 1903 წ.
11. შობა შენი უხრწნელ არს – გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი, 1907 წ.
12. კალოს ხელხვავი, 1907 წ.
13. ჩარი-რამა, 1907 წ.
14. გურული აბადელია, 1907 წ.
15. ორირა, 1907 წ.
16. მრავალჟამიერ ცედურნი – ქუთაისის ხორო, 1911 წ.
17. ერთხელ ვიხილე, 1911 წ.
18. სადაც ვშობილვარ, 1911 წ.
19. მრავალჟამიერ – იოსებ ტომაშევიჩი, 1909 წ.
20. მხოლოდ შენ ერთს, 1909 წ.

* * *

მას შემდეგ ბევრი ახალი მასალაა მიკვლეული. ჩვენი აზრით, ეს სტატია დააზუსტებს, შესწორებებს შეიტანს ჩვენს ადრინდელ ნაშრომებში. გარდა ამისა, შეიძლება სხვა მასალებიც გამოჩნდეს. მაგალითად, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ

ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ მეტად საინტერესო ცნობებს გაზეთი „Закавказье" (№ 175) წერს: „იყიდება პატეს უახლესი ფირფიტები, მდიდარი არჩევანი პარიზიდან, კარლ შუმანის მიერ გამოგზავნილი". მეორე ცნობა: „პატეს მაღაზია არსებობს თბილისში, გოლოვინსკის პროსპექტზე № 10-ში, 1908 წლის აგვისტო".

ფრანგული ფირმა „პატე" თბილისში იწერდა სიმღერებს, სავარაუდოდ, 1906 წლიდან. ჩვენს, ერქომაიშვილების, საოჯახო კოლექციაში არსებობს ამავე ფირმის მიერ გამოშვებული 35 სმ. დიამეტრის ფირფიტა-გიგანტი 25522 Диск Пате, Патент – 3485056 30228 E. R. (აღსანიშნავია, რომ „პატემ" ამ ზომის ფირფიტები გამოუშვა 1908 წელს). ამ ფირფიტის ერთ გვერდზე ჩაწერილია სიმღერა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი". სიმღერის დასახელება ხელითაა ამოტვიფრული, ფირფიტის მეორე გვერდი კი ცარიელია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი 1909 წლამდეა გამოცემული. სამწუხაროდ, ფირფიტაზე არ არის აღნიშნული სიმღერის შემსრულებელთა გვარები.

თბილისში ფირმა „პატეს" საქმიანობას ნათელი მოჰფინა პარიზში ჩვენ მიერ ახლახან მიკვლეულმა ფილიმონ ქორიძის, იოსებ ტომაშევიჩის, ნატო გაბუნიას და სხვადახვა გუნდების ფონოჩანაწერებმა.

ვენიდან მივიღეთ იშვიათი მასალა ფონოგრამარქივში დაცული ქართული ჩანაწერების აღწერილობით.

ბერლინის ფონოარქივიდან მივიღეთ მასალები იქ დაცული ქართული ჩანაწერების შესახებ.

ეს ჩანაწერები 40 წლის კვლევა-ძიების შედეგადაა მოპოვებული. მაშინ მასალების მოპოვება ძალიან ჭირდა, უცხოეთთან კონტაქტები შეზღუდული იყო. ახლა ყველაფერი გაადვილდა. 2002 წელს გამოვიდა პ. ნ. გრიუნბერგისა და ვ. ლ. იანინის წიგნი „История начала грамзаписи в России" და „Каталог вокальных записей Российского отделения компании Граммофон", სადაც ბევრი ჩვენთვის საყურადღებო მასალაა თავმოყრილი.

თბილისის, რიგის, სანკტ-პეტერბურგის, ლონდონის, პარიზისა და მოსკოვის ზემოთ ჩამოთვლილი კატალოგებში შეტანილი ქართული სიმღერების უმრავლესობა აღდგენილია. იგი აღვადგინეთ რუსეთის ფონოდოკუმენტების სახელმწიფო არქივის, პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონოარქივის, სანკტ-პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის ფონოარქივის, ლონდონის „ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ხმოვანი არქივის" და ჩვენ მიერ საქართველოში მოძიებული ძველი ფირფიტების კოლექციიდან.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, მეტი ვერ მოვახერხეთ.

აღდგენილი ფონოჩანაწერები, ფირფიტები და კომპაქტური დისკები ინახება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საარქივო დეპარტამენტის აუდიოფონდში, თბილისის სახელმწიფო კინო-ფოტო-ფონო არქივისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ფონდებში. მოსაძიებელი ჯერ კიდევ არის, ვფიქრობთ, ახალგაზრდა თაობა დაინტერესდება და გააგრძელებს უცხოეთის არქივებში ქართული სიმღერების მოძიებასა და აღდგენას. ეს გადაარჩენს ძველ ხალხურ სიმღერებს და უკვდავყოფს მათს შემსრულებელთა სახელებს, ხოლო მეცნიერებს დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ხალხური სიმღერის შესწავლის საქმეში.

ჭკვიან კაცს უთქვამს: ადამიანი სულ რაღაცის ძიებაშია. ბევრ რამეს შორს, ძალიან შორს პოულობს. იპოვის და მოისვენებს. მერე გაივლის დრო და ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ სხვა უძვირფასესი განძი შორს კი არა, ძალიან ახლოს, ხელის გაწვდენაზე ყოფილა მოსაძიებელი...



არტემ ერქომაიშვილი თეკლათელ მგალობელ-მომღერლებთან, 1911 წ.

ცოტა ხნის წინათ არტემ ერქომაიშვილის პირად არქივს ვალაგებდი. აუარებელ მასალაში ვნახე 1911 წელს გადაღებული ერთი ფოტოსურათი, რომელზეც 24 წლის ბაბუაჩემი ახალგაზრდა მეგრელ (თეკლათელ) მგალობლებთან ერთად არის აღბეჭდილი. ამ სურათს ზუსტად განმარტავს ჩემს საოჯახო არქივში დაცული არტემ ერქომაიშვილის ხელითვე დაწერილი ავტობიოგრაფიის ერთი ფრაგმენტი:

„1911 წელს გამგზავნეს სიმღერა-გალობის მასწავლებლად მაშინდელ სენაკის მაზრაში (ახლანდელ ცხაკაიას, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონებში), სადაც დავყავი 1917 წლამდე. სიმღერა-გალობას ვასწავლიდი სოფლებში, თითოეულ სოფელში ვრჩებოდი სამი თვიდან ექვს თვემდე. ხელფასს ეკლესიის შემოსავლიდან მაძლევდნენ თვეში 45 მანეთს. პირველად დავიწყე მუშაობა თეკლათში (ცხაკაიას რაიონშია), მეორედ – სოფ. ნოსირში, 3. წყემში, 4. გეჯეთში, 5. ძონძირში, 6. ისულაში, 7. საკიზირიოში, 8. საოდიშარიოში, 9. საგამსახურდიოში, 10. კოტიანეთში, 11. ნოქალაქევში, 12. სუჟუნაში, 13. აბაშაში, 14. მარტვილში (გეგეჭკორის რაიონი). 1917 წელს გადმოვედი გურიაში და იქ დავიწყე სიმღერის მასწავლებლობა.“

ნათელი ხდება, ქართული საეკლესიო საგალობლების შევიწროებისა და დევნის ჟამს, როგორ უზრუნიათ მათ გადარჩენაზე ჩვენს დიდ მოღვაწეებს. სამეგრელოში რა მისიაც არტემ ერქომაიშვილს დაეკისრა, ცხადია, გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ეს კარგად გააზრებული და ორგანიზებული დიდი საქმის ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო. მსგავსი მისიით საქართველოს სხვა კუთხეებშიც იქნებოდნენ მივლინებულნი ქართული გალობის სხვა გამოჩენილი ოსტატები.

თუ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, ქართული საგალობლების ახალგაზრდა მკვლევრებს წინ ნაყოფიერი სამკალი ელით.

1992 წელი

კარი II

საკვანძო სიტყვა

კარგი სიმღერა სიყვარულის მეკვლეა



ტრიუმფი „ოლიმპიაში"

საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ლუქსემბურგი

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი" საფრანგეთში პირველად 1970 წელს გაემგზავრა. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის „რკინის ფარდა იყო დაშვებული", ამიტომ საბჭოთა ანსამბლებს ამ ქვეყნებში იშვიათად უშვებდნენ. ერთადერთი კოლექტივი, რომელმაც ფურორი მოახდინა საფრანგეთში, სუხიშვილების ანსამბლი იყო.

ჩვენ ვიცოდით, რომ საფრანგეთში დიდი ქართული დიასპორა ცხოვრობდა, მათი ერთი ნაწილი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1921წ.) წავიდა და



პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა, სხვები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო დარჩნენ. მათთან ურთიერთობა და მიწერ-მოწერა აკრძალული იყო, ვინაიდან ისინი მოღალატეებად და სსრ კავშირის მტრებად იყვნენ შერაცხულნი.

1970-იანი წლებიდან საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ნელ-ნელა დაჩლუნგდა და

წნეხიც შედარებით შერბილდა, ამიტომ ჩვენ უცხოეთში თანამემამულეებთან შეხვედრას მაინც ვახერხებდით, თუმცა, ვისაც კი შეამჩნევდნენ მათთან ახლო ურთიერთობას, საზღვარგარეთ აღარ გაუშვებდნენ.

1970 წელს, როცა საფრანგეთში პირველად ჩავედით, იქ მცხოვრები ქართველების სამი თაობა გავიცანით: მეორე მსოფლიო ომამდე წასულები, ომის შემდეგ იძულებით დარჩენილები და იქ დაბადებული ქართველები.

ჩვენთან მოვიდნენ: ტარიელ ჟღენტი, ვიქტორ ხომერიკი, ბაგრატ წულაძე, ვალიკო წილოსანი, რეზო გოგიტიძე, ბიჭიკო ახვლედიანი, ლევან ზურაბიშვილი, თათარხან და აპოლონ ანთაძეები, გაიოზ ბერიკაშვილი, გურამ წულაძე, შალიკო და შოთა თაყაიშვილები, კოლა გელაშვილი, ორესტი გორდელაძე და მისი მეუღლე ნუცა თაყაიშვილი, აბაშიძეები, მაჩაბლები, ბერძენიშვილები, რამიშვილები, დადიანები და სხვები.

ისინი ნამდვილად „გულდამწვარი" ქართველები იყვნენ, რომლებიც სამშობლოზე ფიქრით აღამებდნენ და ათენებდნენ. ათეული წლების განმავლობაში ყოველდღე ელოდებოდნენ, როდის მისცემდნენ საქართველოში დაბრუნების უფლებას, მაგრამ ამაოდ.

მათ აინტერესებდათ ჩვენთან ურთიერთობა, მოდიოდნენ ჩვენს კონცერტებზე, ისმენდნენ დიდი ხნის მონატრებულ სიმღერებს და თვალცრემლიანები უკრავდნენ ტაშს, მათი აცრემლებული სახეები დღემდე დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

ისინი გვეკითხებოდნენ საქართველოს და მისი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ, აინტერესებდათ, ხომ არ ვიცნობდით მათ ახლობლებსა და ნათესავებს.

ჩვენთან პოლიტიკაზე საუბარს გაურბოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ შეიძლება ამით ჩვენთვის ზიანი მოეყენებინათ. თავიდან ვნერვიულობდით, როგორ მიიღებდ-



„რუსთავის" წევრები პარიზელ ტარიელ ჟღენტთან (მარცხნიდან მეორე)

ნენ ჩვენს კონცერტს ფრანგები, ნერვიულობდნენ ჩვენი თანამემამულეებიც, მაგრამ, როცა ქართულმა სიმღერამ და ცეკვამ უდიდესი წარმატება მოიპოვა, იქაური ქართველები სიამაყით უხსნიდნენ ფრანგებს, რომ ჩვენ რუსები არა ვართ და თვითონაც იმ ქვეყნიდან არიან, საიდანაც ეს ანსამბლი ჩამოვიდა.

მაშინ ჩვენი კონცერტი პირველად ნახა ბატონმა ილია ჯაბადარმა. იგი ჭაბუკობაში ბელგიაში სწავლობდა და რევოლუციამ იქ მოუსწრო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, საფრანგეთში დასახლდა და ცნობილი იმპრესარიო გახდა. ბატონი ილია ძალიან დაინტერესდა ჩვენი ანსამბლით და სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა ჩვენთან და დღეს თუ „რუსთავი“ მსოფლიოში სახელგანთქმული ანსამბლია, ამაში ბატონი ილიას დიდი ღვაწლია.

მან 1970-იან წლებში რამდენჯერმე მიგვიწვია საგასტროლოდ ესპანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, მაროკოში და სხვ.

გასტროლების დროს იგი სულ ანსამბლთან ერთად იყო და საქართველოსთან განშორების სევდას ჩვენთან ურთიერთობით იქარვებდა.

„რუსთავის“ მომღერალთა ანსამბლი საფრანგეთში მეორედ 1972 წელს გაგზავნა ჩვენმა კულტურის სამინისტრომ, სადაც მონაწილეობა მივიღეთ ფოლკლორულ ფესტივალში. მოსკოვის „გოსკონცერტი“ და საქართველოს კულტურის სამინისტრო ფესტივალებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე „რუსთავის“ მომღერლებს ევროპაში ხშირად აგზავნიდნენ.

1974 წელს ზურაბ სოტკილავასთან ერთად ვიმოგზაურეთ საფრანგეთის ქალაქებში – ნანტში და ანჟერში, სადაც კამერული ანსამბლის თანხლებით შევასრულეთ გამოჩენილი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის სუიტა „მეგრული სიმღერები“, რომელსაც დიდი თეატრის ახალგაზრდა დირიჟორი ალექსანდრე (საშა) ლაზარევი ხელმძღვანელობდა. მოსკოვიდან გამგზავრების წინ დიდ თეატრში დავესწარით ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდას“ მილანის „ლა-სკალას“ საოპერო თეატრის შესრულებით, რომელიც საგასტროლოდ ჩამოვიდა მოსკოვში. სპექტაკლი შესანიშნავად ჩატარდა, მონაწილეობდნენ იმ დროისთვის ყველაზე გამოჩენილი იტალიელი მომღერლები, წარმატება მართლაც დიდი იყო და მეორე დღეს ჩემი შთაბეჭდილება საშა ლაზარევს თვითმფრინავში გავუზიარე. უდავოდ შესანიშნავი სპექტაკლი იყო, მაგრამ ვისაც უნახავს „აიდა“ 1960-იან წლებში დიდ თეატრში, ალექსანდრე მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით, სადაც მონაწილეობდა საბჭოთა საოპერო ხელოვნების სამი ყველაზე გამოჩენილი მომღერალი: ზურაბ ანჯაფარიძე (რადამესი), გალინა ვიშნევსკაია (აიდა) და ირინა არხიპოვა (ამნერისი) დამერწმუნება, რომ ყველა საოპერო თეატრი, მათ შორის „ლა სკალაც“ ინატრებდა ასეთ სამეულს. სამწუხაროდ, ასეთი სპექტაკლები მას შემდეგ დიდ თეატრში აღარ მინახავს, – მითხრა საშა ლაზარევმა.

ანჟერში გვიან ღამით ჩავედით. დილის 6 საათზე გამეღვიძა, ახალგათენებული იყო, ქუჩაში ცხენის ფეხების „პაკა-პუკი“ გავიგონე. ჩვენს სასტუმროს უახლოვდებოდა ორი ცხენი, ერთზე მხედარი იჯდა უბელოდ, მეორეც თოკით მოჰყავდა. ისეთი ლამაზი ცხენები დღემდე არ მინახავს. ერთი იყო კუპრივით შავი, წვრილ მაღალფეხებზე იდგა, ვიწრო წელით, გრძელი კისრითა და პატარა თავით. შუბლზე პატარა თეთრი ნიკორა ჰქონდა. მეორე ტყუპისცალივით ჰგავდა შავ ბედაურს, ოღონდ იგი წაბლისფერი იყო, ისიც შუბლზე თეთრი ნიკორით. კარგა ხანს ვიდექი აივანზე, სანამ ბუნების ეს უმშვენიერესი ორი ქმნილება თვალს არ მიეფარა.

საღამოს კონცერტი შესანიშნავად ჩატარდა. იქაურ მაღალი კლასის კამერულ ორკესტრთან ერთად გამოვდიოდით. „მეგრულ სიმღერებს“ და მის შემსრულებლებს ზურაბ სოტკილავასა და ანსამბლ „რუსთავს“ დიდი წარმატება ხვდათ წილად. ბოლო ნომერი „კუჭხი ბედინერი“ სამჯერ გავიმეორეთ.

ანჟერიდან ქ.ნანტში გავემგზავრეთ, სადაც მე-2 კონცერტი ჩავატარეთ. „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა. დირიჟორმა საშა ლაზარევმა აღიარა, – წარმატება რომ დიდი იქნებოდა ვიცოდი, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად არ მოველოდიო. – ასე იცის ბიძია მეგრულმა სიმღერამ, – უპასუხა ზურაბ სოტკილავამ.

* * *

1979 წელს ბ-ნი ილია ჯაბადარი „რუსთავისთვის“ ამზადებდა ერთთვიან ტურნეს. იგი მოსკოვში ჩამოვიდა კონტრაქტის გასაფორმებლად. „გოსკონცერტი“ ყველა იმ-პრესარიოს სთავაზობდა რუსულ კოლექტივებს, ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ ესპანე-თის გასტროლის შემდეგ მიხვდნენ, რომ ჯაბადარი სხვა ანსამბლს არ წაიყვანდა და ამ თემაზე საუბარი შეწყვიტეს. მოსკოვიდან ბატონი ილია თბილისს ჩამოვიდა და რამ-დენიმე დღე დარჩა. მოინახულა ნათესავები, იყო თავის მშობლიურ სოფელ საბუეში, სადაც სულ ცრემლებად იღვრებოდა, დაათვალიერა ძველი თბილისი, იყო მცხეთაში, შეიარა ხელოვნების მუზეუმში და თქვა: „საქართველო რომ ისეთი დამოუკიდებელი ქვეყანა იყოს, როგორიც არის თუნდაც ბელგია, მსოფლიოში უდიდესი სახელი ექნე-ბოდა, სამწუხაროდ, დღეს ცოტამ იცის საქართველოს შესახებ, იგი ყველას რუსეთის შემადგენელი ნაწილი ჰგონია, ამიტომ მინდა, რომ თქვენი ანსამბლის მეშვეობით ბევრ ქვეყანას ვუთხრა: – ჩვენ რუსეთიდან კი არა იმ უძველესი კულტურის მქონე ქვეყნი-დან ვართ, რომელსაც საქართველო ჰქვია“.

ბატონი ილია მოსკოვამდე გავაცილეთ. – აბა, პარიზში შეხვედრამდე, – გვითხრა მე და რეზო მორჩილაძეს (ანსამბლის დირექტორს) და ცრემლმორეული დაგვშორდა.

25 ივლისს „რუსთავი“ მოსკოვიდან პარიზში გაფრინდა, იქედან მარსელში გავემგ-ზავრეთ მატარებლით, სადაც ხუთ დღეს დავრჩით. აღსანიშნავია, რომ ფრიდონ სუ-ლაბერიძე კგბ-მ მოსკოვში დატოვა, რატომ? არავინ იცის, რადგან კგბ-ში მიზეზს არ გვეუბნებოდნენ. ფრიდონი ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე და ქორეოგრაფი იყო (მთა-ვარი ქორეოგრაფი მაშინ რეზო ჭოხონელიძე გახლდათ). მის გარეშე ძალიან გაგვი-ჭირდებოდა. საქმეში საქართველოს კულტურის მინისტრი, ბატონი ოთარ თაქთაქიშ-ვილი.მან თავის მხრივ, ცენტრალური კომიტეტის მდივანს გურამ ენუქიძეს სთხოვა დახმარება. ორივემ მოსკოვში თავიანთ კოლეგებს დაურეკა რამდენიმე დღის შემდეგ ფრიდონი მარსელში შემოგვიერთდა. შესანიშნავ წყვილს – იამზე დოლაბერიძესა და ფრიდონ სულაბერიძეს მთელი გასტროლის განმავლობაში აღტაცებაში მოჰყავდათ ფრანგი მაყურებელი.

მარსელსა და მის გარეუბნებში სამი კონცერტი გავმართეთ ძალიან დიდი წარმატებით, რადგან „მკვდარი“ სეზონი იყო კონცერტები ღია ცისქვეშ ტარდებოდა. სხვებთან ერთად სომხური დიასპორაც გვესწრებოდა, როგორც გვითხრეს, მარსელში 80000 სომეხი ცხოვრობდა.


დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, კატარღით გაგვიყვანეს კუნძულზე, გვაჩვენეს ციხე რომელშიც ოდესღაც გრაფი მონტე-კრისტო იჯდა. ვნა-ხეთ ის საკანი, სადაც მან პატიმრობა გაატარა, მერე გავძვერით ხვრელში, რომელიც

კედელში იყო გამოჭრილი. მაშინ ძალიან გამხდარი გახლდით და მანიც ძლივს გავეტიე, მოცეკვავეები უფრო იოლად გაძვრნენ. მერე გადავიხედეთ ციხიდან ზღვაში და წარმოვიდგინეთ რა სიმაღლიდან გადააგდეს გრაფი მონტე კრისტო.

მარსელში საღამოობით სასტუმროში ვიკრიბებოდით ბატონ ილია ჯაბადართან ერთად. იგი მაშინ საკმაოდ ასაკოვანი იყო, ამიტომ ცოტას სვამდა (რასაკვირველია, „ქინძმარაულს“).

ერთ დღეს კონცერტის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდით, კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო და დიდი წარმატებით ჩატარდა, ამიტომ ბატონი ილია ძალიან გახარებული იყო და გვთხოვა მასთან შევსულიყავით. სუფრასთან, თამადად თვითონ დადგა და დაიწყო სადღეგრძელოები, მოიგონა თავისი ძმა ერეკლე და ბევრი იტირა, – ამდენი წელი გავიდა, რომ აღარ მყავს და უიმისობას მაინც ვერ შევეჩვიეო, – თქვა. იმას რომ აქამდე ეცოცხლა, მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორი გახდებოდაო.

იგი ლაპარაკობდა და თან ცრემლებად იღვრებოდა. მერე საქართველოს სადღეგრძელო შესვა, მოიგონა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული სხვა გმირები. ილიას სადღეგრძელოები უმეტესად პატრიოტული ხასიათისა იყო. იგი ბოლომდე ცლიდა სასმისებს და ახალგაზრდებს ტოლს არ გვიდებდა. მერე თანდათან „შეჭიკჭიკდა“, კარგ გუნებაზე დადგა და ჩვენთან ერთად იმღერა: „ზამთარიო“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „აღსდექ გმირთ-გმირო“ და სხვა. ამასობაში გათენდა კიდეც. – რამდენი წელი იქნება ამდენი ღვინო აღარ დამილევია და ასე



„რუსთავი“ პარიზში

არ მიქეიფიაო, – გვითხრა. ბატონი ილია ნასვამი ისეთი საყვარელი იყო, როგორც არასდროს, ყველას გვეფერებოდა, გვესიყვარულებოდა და ისე დაგვემშვიდობა. იმ დღეს კონცერტი არ გვქონდა და ისევ ექსკურსიაზე წავედით. ავედით იმ მთაზე, სადაც მარსელის ცნობილი ღვთისმშობლის ფიგურა დგას. იქიდან ხელისგულივით მოჩანს ქალაქი, რომელიც ულამაზესი სანახავია.

ზღვისპირა სავაჭრო უბანში ბიჭებმა გაიცნეს ერთი არაბი, სახელად აზიზა, რომელიც ტყავის ქურთუკებით ვაჭრობდა. ბიჭებმა აზიზას რამდენიმე ქართული სიტყვა შეასწავლეს, მათ შორის უწმაწურიც, მერე ცოტა დაალევინეს და აზიზა ჩვენი მეგობარი გახდა. მან მთელი ანსამბლისთვის მოიტანა ტყავის ქურთუკები, რომელიც საკმაოდ იაფად შევიძინეთ. იმ დროს თბილისში ასეთი ქურთუკები არ იშოვებოდა ან ძალიან ძვირი ღირდა.

* * *

მარსელიდან ნიცაში გავემგზავრეთ, დავბინავდით ზღვისპირა სასტუმროში, საიდანაც ზღვაზე საოცარი ხედი იშლებოდა. იმ საღამოს ჩვენი კონცერტი ღია დარბაზში ჟუანის ნაძვნარში მდებარე ტურიზმის სახლში გაიმართა, დარბაზი სიმწვანეში იყო ჩაფლული. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ: ვიქტორ ხომერიკი, ბაგრატ წულაძე, ვალიკო წილოსანი და სხვები. აღმოჩნდა, რომ მთელი პარიზის ქართველობა დასასვენებლად ნიცაში იყო ჩამოსული.

ყველაზე უფროსი – ძმები ანთაძეები იყვნენ. აპოლონი 90 წელს იყო გადაცილებული. ვიქტორ ხომერიკმა გვითხრა, რომ აპოლონი თავისი მანქანით წამოსულა, საჭესთან თურმე თვითონ იჯდა და 700-ზე მეტი კილომეტრი გამოუვლია, მერე თვითონვე დასძინა ხუმრობით, – აპოლონი ბალკონიდან ბინოკლით ათვალიერებს პლაჟს და რომელი ქალიც მოეწონება, თავისთან ეპატიჟებოდა. იმ ღამეს ბევრი ვიხუმრეთ, მეორე დღეს „ბერიკაცებმა“ რესტორანში დაგვპატიჟეს, თამადად ვიქტორ ხომერიკი აირჩიეს და იყო ერთი მხიარულება, სიმღერა, მოფერება, ხუმრობა, სევდა და ცრემლები. – „სამშობლოს გარეშე არ შეიძლება კაცი ბედნიერი იყოს, კარგ ქვეყანაში ცხოვრება მაშინაა კარგი, თუ ის შენი სამშობლოა, აბა ჩვენ სიცოცხლეს რა ფასი აქვს“, – თქვა ბაგრატ წულაძემ. მერე თავისუფალი საქართველოს ჰიმნი – „დიდება“ იმღერეს, ხოლო შემდეგ – „აღსდექ გმირთ-გმირო“. ახლაც ყურში მესმის ვიქტორ ხომერიკის გამყინავი პირველი ხმა, თვალწინ მიდგას მათი ცრემლიანი თვალები.

მოგეხსენებათ, ნიცა არაჩვეულებრივი საკურორტო ქალაქია, დამსვენებლები განებივრებულები არიან მრავალნაირი ანსამბლების ხელოვნებით. „რუსთავის“ ორი კონცერტის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობამ სთხოვა ბატონ ილიას კიდევ ერთი კონცერტი ჩაეტარებინა ნიცაში. ეს კონცერტი 8 აგვისტოს გაიმართა, იქაური პრესა მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლებს:

გაზ. „ნიცე-მატინი“. 9 აგვისტო.

სასიამოვნო მოგზაურობა საქართველოში რუსთავის ანსამბლის სახით.

„უტყუარი პროფესიონალური დონითა და აუწერელი სილამაზის სახით წარმოგვიდგინა სპექტაკლი ხუთშაბათს საღამოს რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

50 კაცისაგან შემდგარმა ანსამბლმა, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან 30 კილომეტრით დაშორებული ქ.რუსთავის სახელს ატარებს, წარმოგვიდგინა ისეთი საუცხოო სპექტაკლი, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა ქებას.

კოსტიუმების სილამაზემ, მოცეკვავეთა სიმსუბუქემ, მომღერალთა არაჩვეულებრივმა ხმებმა, რაინდთა, მეომართა, გლეხთა და ქალაქურმა ცეკვებმა ყველას იქ საფრანგეთი, დამსწრე საზოგადოებიდან წარუშლელი შთაბეჭდილება შეუქმნა იმ შორეული ქვეყნის საუკეთესო ბუნებასა და ტრადიციებზე. მსუბუქი ტყავის ჩექმებიანი მოცეკვავე მამაკაცები, რომლებზედაც ამბობენ, რომ მხოლოდ მათ შესწევთ ცერებზე დგომა, ვირტუოზული ტექნიკის არსენალს დაუზოგავად აფრქვევდნენ.

ამ ქვეყნის მთელი მშვენიერება გამოვლინდა ხუთშაბათს საღამოს ფრეჟუსში. მნახველებმა კარგად შეიგრძნეს ქართველი ხალხის თავისუფლების სიყვარული და რაინდული სულისკვეთება.

მათი საამო და გულშიჩამწვდომი უძველესი სიმღერები თითქოსდა გრილ სიოსავით ესალმუნებოდა გულს.

ვინც ვერ დაესწრო ამ კონცერტს, შეცდომა დაუშვა, რადგანაც ძალიან კარგი იყო ამ შორეულ და პოეტურ საქართველოში მოგზაურობა, სადაც მდინარეები და ნაკადულები წმინდა, ანკარა სახით მოედინება“.

ნიცაში ჩატარებული სამი კონცერტის შემდეგ მონტე-კარლოში გავემგზავრეთ. ულამაზესია გზა მონტე-კარლომდე. იგი ზღვიდან იწყება და მთებში მიიკლაკნება, რომლის კალთებზე გაშენებულია პატარა სახელმწიფო მონაკო და მისი დედაქალაქი მონტე-კარლო. ეს არის მდიდრების ქალაქი, იშვიათი მდებარეობით, არაჩვეულებრივი არქიტექტურით, ძეგლებით, ულამაზესი თეატრით, ღია საკონცერტო დარბაზით, სტადიონებით, აუზებით, კორტებით, უმდიდრესი ბანკებით, კაზინოებით. მოკლედ, აქ არის ყველა საშუალება, რომ ადამიანმა მიიღოს უდიდესი სიამოვნება.

მონტე-კარლოში კონცერტი ღია საკონცერტო დარბაზში გავმართეთ. დარბაზი გადაჭედილი იყო. კონცერტს დაესწრენ მონაკოს პრინცი რენე III და ქალაქის მერი ჟან ლუი მედესინი. კონცერტზე მოვიდა უმდიდრესი საზოგადოება, უძვირფასესი სამკაულებით. კონცერტის წინ, როცა შუქი ჩაქრა, ბატონმა ილია ჯაბადარმა მაყურებლისკენ გამახედა, იგი სამკაულებისაგან ბრჭყვიალებდა, ასეთი რამ მართლა არ მენახა.

კონცერტმა თავიდანვე აღაფრთოვანა მაყურებელი, ფინალი სამჯერ გავიმეორეთ.

მონაკოს პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლას:

გაზეთი „მონაკო“. მონაკო. 13 აგვისტო. ნიკოლო ლაფონტი.

წარმტაცი და ჰარმონიული საქართველო.

„საბჭოთა ანსამბლი საქართველოდან გამოდიოდა თეატრ „ლეზ ეტუალში“, სადაც მრავალრიცხოვან დამსწრეთა შორის მოიკალათეს უფლისწულმა რენე III-მ და ჟან ლუი მერსენმა, ქალაქ მონაკოს მერმა.

ორიგინალური ანსამბლი დიდი, დახვეწილი კოლორიტით, იმ ქვეყნიდან ჩამოვიდა, რომელმაც წარსულში მრავალი უცხო ქვეყნის სხვადასხვა სახის ცივილიზაციის გავლენა განიცადა.

რაინდთა, მეომართა, გლეხთა ან ქალაქის ხელოსანთა სახით წარმოდგენილმა ცეკვებმა საომარი ტემპერამენტი გამოააშკარავეს, რასაც თან ახლდა სიფაქიზის, სინარნარისა და გრაციულობის სიჭარბე. ეს იყო სადარბაზო თუ სხვა ხალხური ლეგენდარული თაებრუდამხვევი ცეკვები. სიმკვირცხლესთან ერთად გამოსჭვიოდა აღმოსავლური ელფერი, რაც ძალზე უხდებოდა მშვენიერ ლამაზნაკვთებიან ქართველ ქალებს. ქალთა ხელების მოძრაობა, მათი ფეხებით სრიალი, ბრწყინვალე კოსტიუმები, საოცარი ქალური სინარნარე, მამაკაცთა ცეკვები აუღწერელი ტექნიკის წყალობით

სრულდებოდა. ცეკვა „ფარიკაობა“ დიდი ოსტატობისა და ჰარმონიულობის ნიმუშია.

სვანეთიდან თუ საქართველოს სხვა მაღალმთიან მხარიდან მოსულმა უძველესმა სიმღერებმა საოცრად გაგვაკვირვა. გაგვაოცა მათმა არქაულობამ, პოლიფონიურობამ, მუსიკალურობამ და ვაჟკაცურმა ჟღერადობამ. ძალზე მოგვეწონა ინსტრუმენტული ტრიოს მიერ შესრულებული მელოდიები, რამაც დიდი პატივისცემა და მოწონება დაიმსახურა.

ეს სპექტაკლი მეტად დახვეწილი გახლდათ, ასე ვთქვათ, მისი უმცირესი დეტალებიც კი ძალზე დამუშავებული იყო. მოცეკვავეთა და მომღერალთა პროფესიონალური მხარე მაღალია და დიდი ტალანტით გამოირჩევა. მოდით და პატივი დავდოთ ამ საუცხოო ანსამბლს, მეგობრებო, რომელმაც მოაჯადოვა ყველა აქ დამსწრე საზოგადოება თავისი დიდი ჯაფითა და ოსტატობის წყალობით. ანსამბლი საკმაოდ დოზირებულია პოეზიით, საოცარი უნარიანობითა და ვირტუოზობით“.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ და ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მოხუცმა. მაღალი, გამხდარი, სპორტული აგებულების, მხრებში გაშლილი სიმპათიური მამაკაცი ხელჯოხით, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მოგვიახლოვდა და გამოკვეთილი კახური აქცენტით წარსდგა ჩვენ წინაშე: თავადი გიორგი ჯორჯაძე გახლავართ სოფელ საბუედან, ბოლშევიკებს განვერიდე და აგერ თითქმის 60 წელია საფრანგეთში ვცხოვრობ; ძალიან მომეწონა თქვენი კონცერტი, მან ახალგაზრდობის წლები გამახსენა და წუთიერად ჩემს სამშობლოში დამაბრუნა. მერე



პარიზში, რეჟისორ იოსებ თუმანიშვილთან (დგას ცენტრში)

ილია ჯაბადარი მოიკითხა, ბიჭებმა მოიყვანეს. ისინი ძმებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს. გიორგი მსოფლიოში გამოჩენილი ავტომრბოლელია, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი პრიზები, – გვითხრა ბატონმა ილიამ და დაამატა: ეს იყო ულამაზესი ვაჟკაცი, ასეთი კი არა, ახლა რომ უყურებთ, იყო ქალების ნამდვილი რისხვა. გიორგიმ გაიცინა. – ხვალ კონცერტი თუ გაქვთ? – იკითხა და, უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, გვითხრა: მაშინ 6 საათზე ჩემს ოჯახში გელოდებით უკლებლივ ყველას, ჩვენ 50-ნი ვართ, მორიდებით შევკადრე, – უკლებლივ ყველას, თუ გნებავთ, სხვა ვინმეც წამოიყვანეთ. იქ მონაკოს პრინცი მეუღლით, კიდევ რამდენიმე ჩემი მეგობარი იქნება, 5 საათზე თქვენთვის ავტობუსები მოვა.

აბა, ნახვამდის, ხვალ საღამომდე, გვითხრა ბატონმა გიორგიმ და სწრაფი, ახალგაზრდული მოძრაობით და ბეჭების რხევით გაგვშორდა.

86 წლისაა, – გვითხრა ბატონმა ილიამ, – ძალიან მდიდარი კაცია, იმდენი ფული იშოვა, რომ მონაკოში დიდი სასახლე იყიდა და იქ დასახლდა, სტადიონთან ახლოს ცხოვრობს.

მეორე დღეს ჩვენი გოგოები „გაიპრანჭნენ“, ბიჭებიც სადღესასწაულოდ გამოეწყვნენ და ველოდებოდით 5 საათს. გახდა 5, 6 საათი, ავტობუსი კი არ ჩანდა. რაღაც ცუდად მენიშნა. – ეს ისეთი ამაყი კაცია, თავს არაფრით არ შეირცხვენს, – გვითხრა ბატონმა ილიამ და როცა 7 საათი დაიწყო, გიორგისთან დარეკა.

ყურმილი მისმა მოახლემ აიღო.

– ბატონი გიორგი წუხელ ქართველების კონცერტზე წავიდა, – იყო პასუხი, – იქიდან რომ მოვიდა ღამე ცუდად გახდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ამბობენ, ძალიან ცუდად არისო. მეორე დღეს გავიგეთ, რომ იგი მძიმე „ინფარქტით“ გარდაცვლილიყო.

* * *

დღეს 5 აგვისტოა. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „რუსთავს“ ავტოკატასტროფა შეემთხვა ყირიმში. ფეოდოსიაში კონცერტი გვქონდა, კონცერტის შემდეგ სასტუმროში ვბრუნდებოდით, გზად მთიანი მონაკვეთი უნდა გაგვევლო. ჩვენს ავტობუსს მუხრუჭებმა უმტყუნა და ღამის პირველ საათზე მანქანა ხრამში გადაიჩეხა. საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ანსამბლის ექვსი წევრი – მოცეკვავეები: ვასიკო გეგელიშვილი, კარლო ღარიბაშვილი, ნოდარ მაზიაშვილი; მუსკოსები: ლერი თავაძე, ედუარდ გაბოიანცი და ჟანი მირკოვიჩი ადგილზევე დაიღუპნენ. დანარჩენი 32 კაცი მძიმედ დაჭრილი მიგვიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში. ინფორმაცია ელვის სისწრაფით გავრცელდა. დილის 6 საათზე მოსკოვიდან ჩამოიყვანეს ქირურგები, ამასთანავე, სხვადასხვა ქალაქიდან ვერტმფრენებით მოჰყავდათ საუკეთესო სპეციალისტები. მეორე დილას 9 საოპერაციო მაგიდა მუშაობდა და რომ არა ექიმების დიდი პროფესიონალიზმი და ძალისხმევა, ბევრი ანსამბლის წევრი დაიღუპებოდა.

5 აგვისტო „რუსთავის“ ისტორიაში შავი ასოებით შევიდა, ამ დღეს ანსამბლი ყოველთვის აღნიშნავს და დიდი გულისტკივილით ვიგონებთ ჩვენს შესანიშნავ სოლისტებს. ახლა სტრასბურგში ვართ და გადავწყვიტეთ ჩვენი დღევანდელი კონცერტი მათ ხსოვნას მივუძღვნათ. კონცერტის წინ გამოცხადდა ამის შესახებ და ხალხი მდუმარედ ადგა ფეხზე. ჩვენც საგალობელი შევასრულეთ დაღუპულთა მოსახსენებლად. მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნა ფარდა.

ყველა მონაწილემ მაქსიმალურად მოინდომა, რომ კონცერტი მაღალ დონეზე შესრულებულიყო. ალბათ, დაღუპულთა სულებიც იმ დროს იქ დაგვტრიალებდნენ და თავის წილ წარმატებას ინაწილებდნენ.

კონცერტი, რომელიც „რუსთავის“ დაღუპულ წევრთა მოგონებას მიეძღვნა, ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. „ბისებს“ ბოლო არ უჩანდა, მადლიერი მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს. კონცერტის შემდეგ რესტორანში ავწიეთ გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი.

7 აგვისტოს პრესამ ასეთი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლას:

გაზ. „დერნერ ნუველ დ' ალზანსი“. ქ.სტრასბურგი. 1979, 7 აგვისტო.

ანსამბლი საქართველოდან: სრულყოფილი ხელოვნების დიდი შთაგონება.

„ისინი ბედნიერები არიან! ბედნიერები არიან, რომ მღერიან და ცეკვავენ, მაყურებელი კი მათი ქვეყნის სულის ნაწილს უკრავს ტაშს. კვირა საღამოს ქართველმა მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა საზაფხულო თეატრის სცენის კედლები გასწიეს. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ტაშს მხოლოდ ათასი წყვილი ხელი უკრავდა!

კვირა საღამოს ჩვენ გვიამბეს დღევანდელ საქართველოზე. ეს არის საქორწილო ლხინი, აკვნის „ნანას“ სინაზე, მებრძოლთა მხურვალე, თავდავიწყებული როკვა, შრომის სიმღერების რიტმი. მიუხედავად მრავალგზის შემოსევებისა, ფოლკლორი უცვლელი დარჩა – სერიოზული, თითქმის ველური, რომელმაც შეინარჩუნა ქვეყნის გამომწვევი ხასიათი მიმართული დამპყრობთა წინააღმდეგ. თუ წინათ საქართველოს მიწაზე სხვები ბატონობდნენ, ქართველების სული უცვლელი რჩებოდა. სწორედ ეს სული დაეშვა ჩვენთან კავკასიის თოვლიანი მწვერვალებიდან, როგორც სიხარულისა და სიწმინდის მძლავრი სუნთქვა, და თეატრი აავსო.

მაყურებელი არ შემცდარა: წარმოდგენა, რომელიც მან კვირას იხილა, არ იყო ტურისტებისათვის განკუთვნილი უბრალო ფოლკლორული გამოსვლა; ეს თვით ხალხის სულია, ხალხისა, რომელიც ისევე ცეკვავდა აქ, როგორც თბილისის, სვანეთის ან ოსეთის მოედნებზე. ცეკვა ხანჯლებით თუ ხმლებით – ნამდვილი ფოლკლორია. მოცეკვავეები ახდენენ ბრძოლის იმიტაციას. აქ ისევე იბრძვიან, როგორც მომაკვდინებელ ომში, მაგრამ მოწინააღმდეგე თავბრუდამხვევ რიტმში უსხლტება მთელი ძალით მოქნეულ ხმალს. ქართული ქორწილი, – სცენაზე ორმოცდაათამდე მოცეკვავე და მომღერალია ყველა ბედნიერია მეგობრის ბედნიერებით ისევე, როგორც საქართველოში, სადაც ქორწილში ღვინო წყალივით იღვრება. შესაძლოა, ამანაც განაპირობა მათი და ელზასელების ურთიერთგაგება, რადგან ისინი ხომ ღვინის ბაზრობაზე იყვნენ მოსულნი, ღვინის ზეიმზე“.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ ფესტივალის წარმომადგენლები და გვთხოვეს კიდევ ერთი კონცერტი გაგვემართა, მაგრამ ჩვენ მეორე დღეს შვეიცარიაში მივემგზავრებოდით.

მეორე დილა თავისუფალი გვქონდა და ჩვენ სტრასბურგი დავათვალიერეთ. იგი ძალიან ლამაზი ქალაქია, მისი „სობორო“ ერთ-ერთი უძველესია საფრანგეთში (XI-XVI საუკუნე). აშენებდნენ 400 წელი. ერთი კოშკი მაინც ვერ აუშენებიათ. გარედან „სობორო“ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გრანდიოზულობით. შიგნით აღსანიშნავია ძველი საათი, საიდანაც გამოდიან ქრისტეს მოციქულები და ნაჩვენებია სხვადასხვა სცენები ქრისტეს მოძღვრებიდან. „სობოროში“ უხვადაა გობელენები და ულამაზესი ვიტრაჟები.

შვეიცარიაში კონცერტი დაგეგმილი იყო მონტრეს კაზინოში. კაზინო ჰქვია, თორემ ეს არის ულამაზესი საკონცერტო დარბაზი, რომელიც კაზინოს შენობაშია განთავსებული.

კონცერტის ბოლოს მაყურებელმა ოვაცია გაგვიმართა.

შვეიცარიის პრესამაც მაღალი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლებს, თუმცა „რუსთავის" მომღერალთა ჯგუფი ადრეც გამოსულა ამ ქვეყანაში. 1979 წელს ჩვენმა მომღერლებმა დიდი წარმატება მოიპოვეს აქ გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე.

შვეიცარია, მონტრე. გაზ. „ლესტ ვოდუა". 8 აგვისტო.

აღმაფრთოვანებელი ქართული ბალეტი მონტრეში.

სიმღერები და ცეკვები საბჭოთა საქართველოს ანსამბლ „რუსთავისა".

„მოქნილ ტყავის ჩექმებში გამოწკეპილი ჭაბუკები, რომლებიც მსოფლიოში ერთადერთნი არიან ცერებზე მოცეკვავენი, შაბათს იმყოფებოდნენ მონტრეში".

საქართველოს აღმაფრთოვანებელი სიმღერები და ცეკვები

„ზეადამიანები? არა, უბრალოდ შესანიშნავი მომღერლები და მოცეკვავეები მაღალი ნიჭის გარდა, შემოქმედებაში აქსოვენ სითბოსა და კეთილშობილურ გრძნობებს. ამავე დროს ისინი ძალზე თავდაჭერილნიც არიან.

ქართულმა ანსამბლმა შაბათ საღამოს დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მათი ფოლკლორი ისე ორგანულადაა შერწყმული ცხოვრებასთან, წარსულთან, ქვეყნის ისტორიასთან და ყოფასთან, რომ მაყურებელთაგან ვერავინ შეძლო, გულგრილი დარჩენილიყო მის მიმართ.

ვარიაციებით მდიდარი მათი ცეკვები ასაზრდოებს ჯერ სულს და არა თვალს. აღუწერელია სიზუსტე და სირთულე მოძრაობებისა, რომელთაც თან ახლავს ღიმილი, გამომხატველი ქართველთა სიამაყისა. ეს ღიმილი ყოველთვის თან ახლავს მოცეკვავეებს სხვადასხვა სახის სცენების შესრულების დროს, იქნება ეს საქორწინო, სადღესასწაულო თუ სამშობლოსათვის ბრძოლის სცენები. ფეხის წვერებზე დაყრდნობილი მოხდენილი მანდილოსნები თითქოს დაცურავენ, მამაკაცები კი უფრო დაფრინავენ, ვიდრე ცეკვავენ. სპექტაკლში ბევრია სინატიფე და სინაზე.

რაც შეეხება სიმღერებს, ისინი იბადებიან ჩუმად ამოსუნთქვასთან ერთად, და მქუხარებამდე აღწევენ. ეს სიმღერები უნიკალურია, ხოლო მათი შემსრულებელთა ხმის ჟღერადობა და შესრულების სტილი – განუმეორებელი.

საჭიროა ვილაპარაკოთ კოსტიუმებზეც. არავითარი მყვირალა, თვალში უხეშად მოსახვედრი, არავითარი საერთო უცხოურთან.

უნდა ითქვას სიტყვა დარბაზზეც. ადგილი ამ სპექტაკლზე ღირდა 40 შვეიცარიული ფრანკი და დარბაზში ტევა არ იყო. ამიტომ მაყურებელთა ნახევარი იძულებული გახდა, სპექტაკლი ფეხზე მდგომს ენახა. რა დიდი პატივი იქნებოდა მათთვის ამფითეატრის სკამი, არა?"

7 აგვისტოს გრენობლში ჩამოვედით, ძალიან ცხელოდა. კონცერტი გაიმართა ღია საკონცერტო დარბაზში, რომელიც ულამაზეს პარკში მდებარეობს. კონცერტს დაესწრო ქალაქის მერი. კონცერტის შემდეგ მერმა თავის რეზიდენციაში მიგვიწვია რეზო ჭოხონელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, მე და დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კულტურის სამინისტროს თანამშრომელი ქალბატონი ზინა კოლხიდაშვილი. მერმა თავის კაბინეტში შეგვიყვანა და მაცივრის კარი გამოაღო, იქიდან შამპანურები გამოიღო და ჩამოგვისხა. ძალიან ცხელოდა, ამიტომ ცივი შამპანური სულმოუთქმელად

გამოვცალეთ. – კარგია, მაგრამ ცოტა მჟავეა, ჩვენი შამპანური შედარებით უფრო ტკბილიაო, – თქვა რეზო ჭოხონელიძემ. თარჯიმანმა იმ წუთში თარგმნა. შამპანური აქაურია და თქვენთან რანაირს ასხამენ, არ ვიცით, თანაც ეს შამპანური ერთი ბოთლი 700 ფრანკი ღირს, – თქვა ქალაქის მერმა. შემდეგ აქაური შამპანური ყველამ შევაქეთ და რამდენიმე ბოთლი გამოვცალეთ.

გრენობლის პრესა ასე გამოეხმაურა ჩვენს გამოსვლას:

ქ.გრენობლი. გაზ. „ლე დოფინე დიშერე“. 1979, 8 აგვისტო. როჟენ ვინიორი.

საქართველოს სიმღერები და ცეკვები – დიდებული ფოლკლორი.

„ანსამბლმა საქართველოდან გუშინ საღამოს დახურა სეზონი საციგურაო მოედანზე. მაყურებელი, რომელიც სხვა სპექტაკლებზე ზღვად ასკდება, ამჯერად შედარებით მცირე იყო. ეს, რა თქმა უნდა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფოლკლორი, საერთოდ, ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. სამწუხარო ფაქტია, რადგან ამჯერად სწორედ ეს ფოლკლორი იყო დიდებული და კეთილშობილი.

საქართველო, ზუსტად არ ვიცით, სადაა იგი. როგორც გვაჩვენეს, სადღაც აღმოსავლეთში მდებარეობს იქ, სადაც დასავლეთის ცივილიზაცია აღმოსავლეთის მრავალ მიმდინარეობას ესაზღვერბა.

აჰ! რა დიდებული გუნდია!

ქალები? მათზეც ვთქვათ: ტანწერწეტნი, პირმშვენიერნი, როგორც ჩინური თოჯინები, იდუმალნი, როგორც იეროგლიფები, მოძრაობენ ჰაერის ბალიშებზე, თითქოს სიზმარში. ქალები კი არა, მონარნარე ოცნებანი არიან! (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ჩვეულ მკვირცხლ რუსებს არ ჰგვანან).

მშვენიერია, როგორც აღმოსავლური ზღაპარი“.

მომდევნო დღეებში კონცერტები ჩავატარეთ მონპელიეში, ბეტიუნში, რუანში, არასაში და სხვაგან. ჩვენი ბოლო კონცერტი გაიმართა ბორდოში. მოგეხსენებათ, ბორდოს ღვინოები მთელ მსოფლიოში განთქმულია. ჩვენი ანსამბლის სოლისტი ჰამლეტ გონაშვილი კახელი კაცია, ღვინის კარგი მცოდნე. ამიტომ დიდი ინტერესით ელოდებოდა ბორდოში ჩასვლას. მისი თხოვნით, ვენახში წაგვიყვანეს, ყურძენი უკვე მწიფდებოდა, ჰამლეტმა ყურადღება მიაპყრო ვაზის ძირს, რომელიც ძალიან მსხვილი იყო, იგი დაბალზე გადაეჭრათ და მასზე მხოლოდ ერთი „ნაყარი“ დაეტოვებინათ, რომელზედაც სავსე, ჯანმრთელი მტევნები ესხა.

- „ძირზე რატომ ორი ან სამი ნაყარი არ დატოვეთ? მაშინ ხომ მეტ მოსავალს მიიღებდით,“ – შეეკითხა ჰამლეტი მეღვინეს, რომელიც თან გაგვაყოლეს.

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ ხარისხი! ძირიდან წამოსული „მთელი ბარაქა“ როცა ერთ „ნაყარს“ ამარაგებს, ყურძნის მთელი სიკეთე მხოლოდ ამ ნაყარში მიდის, ამიტომ ყურძენიც საუკეთესო გამოდის და ღვინოც, ხოლო, როცა იგი რამდენიმე ნაყარზე ნაწილდება, შესაბამისად, ხარისხიც იკლებს.

ჰამლეტი ვერ მოვაშორეთ ვაზს, მას უნდოდა ყურძნის მოყვანისა და ღვინის დაყენების მთელი ტექნოლოგია გაეგო და იგი საქართველოში დაენერგა.

იმ დღეებში გაზეთებში სკანდალი იყო ატეხილი. პრესა ქარხანას ადანაშაულებდა ღვინის ფალსიფიცირებაში. ქარხანა დახურეს, დაიწყო გამოძიება, სახელი გაუტყდა ფრანგულ საუკეთესო ღვინოს. თუ ეს ფაქტი დადასტურდებოდა, ქარხნის მფლობელებს დიდი ფულადი ჯარიმა და ციხე ემუქრებოდათ.

– „ღვინის ფალსიფიცირება რომ საქართველოში შეამოწმონ, ყველა ღვინის ქარხანა



პარიზში, კოსმონავტ სვეტლანა სავიცკაიასთან ერთად

დაიხურება და ნახევარ საქართველოს დაიჭერენ", – თქვა ჯუმბერ ყოლბაიამ.

ბოლო კონცერტი კარგად ჩატარდა. სასტუმროში გვიან დავბრუნდით. ბატონ ილია ჯაბადარს ეზოში აუზთან გამოსათხოვარი სუფრა გაეშალა. თბილი, წყნარი საღამო იყო, სასტუმროში ყველას ეძინა.

„დალიეთ და ჭამეთ რამდენიც გნებავთ, ოღონდ არ იხმაუროთ, თორემ შეიძლება პოლიცია გამოიძახონ", – თქვა ბატონმა ილიამ.

თამადად ანსამბლის დირექტორი რეზო მორჩილაძე ავირჩიეთ. იგი ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა სუფრას, სადღეგრძელოებს წყნარად გამოვთქვამდით, რომ ზედმეტი ხმაური არ გამოგვეწვია.

ბორდოს შესანიშნავმა „არაფალსიფიცირებულმა" ღვინომ გაჭრა, ბიჭები შეზარხოშდნენ და ჰამლეტ გონაშვილმა „წინწყარო" წამოიწყო. ანსამბლი გაისუსა. ჰამლეტის ხავერდოვანი ხმა მალამოსავით ედებოდა იქაურობას. შუა სიმღერაში ჯერ ერთი ფანჯარა გამოაღეს, მერე – მეორე, მესამე და სიმღერის ბოლოს სასტუმროდან ტაში გაისმა, ისინი კიდევ თხოულობდნენ სიმღერას.

- „ნახევარ საუკუნეზე მეტია, საფრანგეთში ვცხოვრობ და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს", – თქვა ბატონმა ილიამ.

„რუსთავი" მღეროდა, ფანჯრებიდან ტაში თანდათან მატულობდა, მერე რამდენიმე მათგანი ძირს ჩამოვიდა და ჩვენს სუფრას შემოუერთდა, გამთენიისას გაიმართა ცეკვა-თამაში. როცა ინათა, სუფრა დაიშალა და ჩვენ ტაშის გრიალსა და „ბრავოს" ძახილში დავტოვეთ იქაურობა. ეს იყო დაუვიწყარი საღამო.

მეორე დღეს მოსკოვში გავფრინდით.

ტურნე მართლაც მაღალ დონეზე ჩატარდა, მაგრამ ერთ რამეზე გვწყდებოდა გული: პარიზში არ გამოვსულვართ და თუ პარიზი არ გიცნობს, ისე აღიარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რადგანაც იგი მთელ მსოფლიოში წარმატების გარანტია. ეტყობა, ბატონი ილია „რუსთავის" წარდგენას პარიზში დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, ამისთ-

ვის სათანადო ნიადაგის მომზადება იყო საჭირო, თორემ პარიზში წარუმატებლობა ანსამბლის დაღუპვას ნიშნავდა.

* * *

1981 წლის იანვრის ბოლოს ილია ჯაბადარმა „რუსთავი" ისევ მიიწვია საფრანგეთში.

21 იანვარს მოსკოვიდან პარიზში გავფრინდით. ჯაბადარი აეროპორტში დაგვხვდა, შევატყვეთ, რომ ჯანმრთელობა შელახული ჰქონდა.

საფრანგეთში გასტროლების წინ ცნობილმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა დამირეკა, – „თუ შეგიძლია წამოიღე გუდის ყველი, გლეხურად დაწურული საფერავი და კახური ჩურჩხელები, პარიზში ბურბონების სასახლეში მინდა რუსთავის მომღერლების კონცერტი ჩავატარო და ფრანგებს ქართულ სიმღერასთან ერთად ქართული ღვინო და ყველი გავასინჯო, გავაცნო ის, რითაც ფრანგები მთელ მსოფლიოში არიან განთქმულები".

გლეხური საუკეთესო საფერავი კახეთში ვიშოვეთ, რამდენიმე გუდის ყველი კინორეჟისორმა სოსო ჩხაიძემ მწყემსებს ალვანიდან ჩამოატანინა.

მოსკოვის საბაჟოდან გუდის ყველს არ გვატანდნენ, – „ხომ ხედავთ გაფუჭებულია, სად მიგაქვთ", – გვითხრა საბაჟოს უფროსმა, როცა გუდა გახსნა, ყველამ ცხვირსახოცი აიფარა ცხვირზე. მე ძლივს დავარწმუნე მებაჟეები, რომ ეს სპეციფიკური სუნია.

22 იანვარს ბურბონების სასახლეში კონცერტს დაესწრო ამ სახელოვანი გვარის ასზე მეტი წარმომადგენელი, იყვნენ სხვებიც; პარიზში გამოჩენილი ადამიანები – მწერლები, რეჟისორები, მუსიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლები. კონცერტი სალონურ სიტუაციაში ჩატარდა და თითქმის ორ საათს გაგრძელდა. იგი მიჰყავდა ოთარ იოსელიანს. ვიმღერეთ 30-ზე მეტი სიმღერა. იყო ბევრი შეკითხვა. მაყურებელს ყველაფერი აინტერესებდა საქართველოსა და ხალხური სიმღერის შესახებ. კონცერტის შემდეგ ოთარმა ყველა გვერდით დარბაზში მიიწვია, სადაც გაშლილი იყო სუფრა. სუფრაზე მხოლოდ საფერავი, გუდის ყველი და ჩურჩხელა იდო. ფრანგები აღფრთოვანდნენ. – „ამ ღვინოს და ყველს რომ კარგი რეკლამა ჰქონდეს, იგი მსოფლიო სახელს მოიპოვებსო", – თქვეს.

კონცერტის შესახებ გაზეთი „მონდი" წერდა: „ქართულ ხალხურ სიმღერას ახასიათებს საოცარი პოლიფონიურობა. „რუსთავი", რომელსაც ა.ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს, შესანიშნავად ჟღერს, არაჩვეულებრივია ბანი. სოლისტები თითქოს დიალოგს უმართავენ სხვა ხმებს.

ყველაფერი ეს დიდებულია".

შემდეგ „რუსთავი" ბრიუსელის სამეფო ცირკში გამოვიდა.

ბრიუსელიდან კანში გავემგზავრეთ. კანი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია. იგი ჩვენთან ცნობილია კინოფესტივალებითა და კონკურსებით. იქ ერთხელ უკვე ვიყავით, ვცხოვრობდით თეატრის წინ მდებარე სასტუმრო „მოდერნში". კანი ძალიან სუფთა და მოწესრიგებული ქალაქია. ზაფხულში აქ უამრავი დამსვენებელი ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

კანში ამჯერად ორი კონცერტი ჩავატარეთ. თეატრში ტევა არ იყო. მაყურებელმა ოვაცია გაგვიმართა.

მეორე დღეს პატარა გემით გაგვასეირნეს. იქიდან შესანიშნავად მოჩანდა ეს ულამაზესი ქალაქი. გემის კაპიტანი და ხელმძღვანელობა ხილით, ნამცხვრებითა და

ფრანგული შამპანურით გაგვიმასპინძლდა. ჩვენ ისინი კონცერტზე დავპატიჟეთ. კონცერტის შემდეგ ვესაუბრეთ. როგორც ჩანს, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

7 თებერვალს რეიმსში გავემგზავრეთ. ავტობუსით გავიარეთ 390კმ. საღამოს გაიმართა კონცერტი. მეორე დილით მიგვივნია ქალაქის მერის მოადგილემ, შემდეგ თვითონვე წაგვიყვანა ექსკურსიაზე. ვნახეთ მშვენიერი ღვთისმშობლის ტაძარი. აღსანიშნავია, რომ ტაძრის შესასვლელთან, მარცხენა მხარეს დგას ანგელოზის სტატუა. მას აქვს არაჩვეულებრივი ღიმილი და იგი ქალაქის ემბლემას წარმოადგენს, ტაძარში აღსანიშნავია აგრეთვე ფრესკები, სტატუები და ვიტრაჟები. ზევითა ვიტრაჟები ძალიან ძველია. იგი XIV-XVII საუკუნეებს ეკუთვნის. ქვევითა ვიტრაჟები XX საუკუნეშია გაკეთებული და ავტორს შედარებით მუქი ფერის გაუკეთებია, რომ ზევითამ თავისი პეწი არ დაკარგოს.

დავათვალიერეთ მუზეუმი, სადაც ღვთისმშობლის ტაძრის სტატუებია გამოფენილი. აქ არის აგრეთვე მეფეთა პირადი ნივთები და ტანსაცმლები, აქვეა დიდი შანდალი, რომელიც ნაპოლეონის ჯვრისწერის დროს ენთო.


საღამოს გაიმართა ჩვენი კონცერტი, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო, დილით წაგვიყვანეს შამპანურის ქარხანაში. იქ უკვე გველოდებოდა მშვენიერი ქალბატონი მარლენი, რომელმაც მოგვატარა მთელი ქარხანა და აგვიხსნა შამპანურის დამზადების წესი. პირველად კრეფენ შამპანურისთვის განკუთვნილ ყურძენს, რომელსაც წურავენ და ასხამენ სპეციალურ ქვაბებში – შეფარდებით: 2/3-ზე წითელი და 1/3 თეთრი ღვინო. ოღონდ ჭაჭაზე არ ადუღებენ და დაწურვისთანავე იღებენ სუფთა წვენს. 5-6 თვის შემდეგ, როცა თხლე დაილექება, ყურძნის წვენს ფრთხილად ჩაასხამენ ბოთლებში და თითქმის თავდაყირა ჩაამაგრებენ სპეციალურ ხის დაფის სამაგრში. შეიძლება დაუმატონ 2 ან 4 გრამი შაქარი და განსაკუთრებული ფერმენტები, რომლებიც მას სპეციფიკურ არომატს აძლევს. რამდენიმე თვის განმავლობაში ბოთლებს ნელ-ნელა აბრუნებენ თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობაში. საცობთან მოგროვდება თეთრი ნალექი, ბოთლის თავს საცობით თავდაყირა ამაგრებენ სპეციალურ მაცივარში, რომელიც იყინება 20-25 გრადუსზე. ამის შემდეგ გაყინული თეთრი ნალექის „საცობს" ამოაძრობენ, თავს სპეციალური საცობით (რომელიც აფრიკიდან ჩამოაქვთ) დაუცავენ და დებენ ხის მაგიდაზე, სადაც ბოთლებს წლების განმავლობაში ნელ-ნელა ატრიალებენ, 20-გრადუსით ყოველდღე. რაც უფრო ძველდება შამპანური, მით უფრო ფასობს, რადგან სიძველით იგი ღვინის საუკეთესო თვისებებს იძენს.

ექსკურსიის შემდეგ შეგვიყვანეს სპეციალურ სადეგუსტაციო დარბაზში, სადაც საუკეთესო შამპანური გაგვასინჯეს.

პარიზი. გაზ. „უნიონი". 1981, 10 თებერვალი.

„რუსთავი" ეწვია რეიმსს. წარმოდგენა გამართა კულტურის სასახლეში".

„ევროპაში თავისი ვრცელი ტურნეს განმავლობაში სიმღერისა და ცეკვის ქართული ანსამბლი შეჩერდა რეიმსში. ანდრე მალროს სახელობის კულტურის სასახლეში მათ გამართეს სამი შესანიშნავი წარმოდგენა. შაბათს და კვირას, სპექტაკლების შემდეგ პუბლიკა ერთსულოვანი იყო თავის შეფასებაში. ორი საათის განმავლობაში ორმოცდახუთმა მოცეკვავემ და მომღერალმა ბრწყინვალედ წარმოადგინეს თავიანთი ხელოვნება. „რუსთავის" წარმოდგენა – ეს შორეული ქვეყნის ცოცხალი, მფეთქავი გულია... წარმოდგენის უმცირესი დეტალებიც კი სკრუპულოზურად არის დამუშავებული, რაც არტისტიზმის სრულყოფილად გამოვლენას განაპირობებს. მუსიკალური



იამზე დოლაბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე – ცეკვა „ქართული"

რიტმები შეხამებულია მოცეკვავე ქალების გრაციოზულობასა და მათი პარტნიორების მამაცურ ნახტომებთან.

დასვენების დღეს ანსამბლმა „რუსთავმა" სრული შემადგენლობით დაათვალიერა ქალაქის მიდამოები და წმინდა ადგილები. გუშინ მოცეკვავეთა და მომღერალთა ჯგუფი მერიის შენობაში მიიღო ჩვენი ქალაქის მერის თანაშემწემ ბატონმა დელეტრმა...

რეიმსიდან „რუსთავი" ნანტში გაემგზავრა".


ნანტში მესამედ ვიყავით. როგორც ძველ მეგობრებს, ისე შეგვხვდნენ. საღამოს 7 საათზე ქალაქის მერმა, ბატონმა შერარმა ჩვენს პატივსაცემად მიღება მოაწყო. მიღებას დაესწრო ქალაქის ხელმძღვანელობა და ინტელიგენცია. სიტყვით გამოვიდა ბატონი შერარი. მან გვითხრა, რომ ნანტი და თბილისი ძმები არიან და თქვენ შეგიძლიათ თავი იგრძნოთ ისე, როგორც საკუთარ სახლშიო. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, ბატონი ოთარ გიგინეიშვილი. მან მერს გადასცა თბილისიდან წამოღებული საჩუქრები და კონცერტზე დაპატიჟა. კონცერტი ნანტის სპორტის სასახლეში ჩატარდა და 4000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ჩვენთან მოვიდა ბატონი შერარი და გვითხრა, რომ ამ ქალაქში ასეთი წარმატება არ ახსოვს, შემდეგ მიგვიწვია ვახშამზე, რომელიც არაჩვეულებრივად თბილად ჩატარდა.

ნანტის გაზეთები ასე გამოეხმაურნენ „რუსთავის" კონცერტს:

საქართველოს სიმღერები, მუსიკა და ცეკვები

„სპექტაკლს, რომელიც ნანტსა და თბილისს შორის მეგობრობის ეგიდით იყო წარმოდგენილი უმაღლეს სამსახიობო დონეზე და რომელსაც ესწრებოდნენ მერი, დეპუტატი და მუნიციპალური საბჭოს წევრები, დიდი წარმატება ჰქონდა. ჩვენ შემოგვთავაზეს საუცხოო წარმოდგენა, რომელიც გვაცნობს გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის

ისტორიასა და ხალხის ცხოვრებას. ქართველმა ხალხმა აიღო საუკეთესო ორივე ცივილიზაციისაგან. ამით აიხსნება მათი სიმღერების, მუსიკისა და ცეკვების სიმდიდრე, მრავალმხრივობა და გამომსახველობა. სოლისტები ფლობენ ძლიერ ხმებს, გუნდი კი – არაჩვეულებრივ ერთიანობასა და განუმეორებელ პოლიფონიას. რაც შეეხება მოცეკვავეებს, ისინი ყველაზე არაჩვეულებრივნი არიან ყველა იმათთან შედარებით, ვინც ჩვენ გვინახავს აღმოსავლეთის რესპუბლიკებიდან. აღმოსავლელი პრინცესებივით მშვენიერი (ტურფა) ქალიშვილები მდიდრულ კაბებში არიან გამოწყობილნი და პატარა ნაბიჯებით, სრიალით მოძრაობენ დახვეწილი ნარნარით და ხატავენ ცეკვის დიდებულ ფიგურებს, რომელთა სიმბოლიკა ძალიან ახლოსაა შორეული აღმოსავლეთის საკრალურ ცეკვებთან. ჭაბუკები მუქ ტანსაცმელში და ფეხებზე შემოტკეცილ თხელ ტყავის ჩექმებში, რომლებითაც ცერებზე ახერხებენ ცეკვას (ამ მხრივ ისინი ერთადერთნი არიან მსოფლიოში) – საოცრებებს აკეთებენ სიჩაუქესა და სიმარჯვეში: მოძრაობებს ჰაერში, თავბრუდამხვევ ნახტომებს... შესანიშნავადაა მომზადებული ჯგუფური ნომრები, რომლებშიც მოცეკვავეები გააფთრებულ (შლეგ) რიტმებში ასრულებენ სახიფათო და ექსტრავაგანტულ შეიარაღებულ სცენებს შიშველი ხმლებით, მათი ფოლადის პირთა დარტყმის ანადენი ნაპერწკლებით გარშემორტყმულნი. აი, ყველაზე ფანტასტიკური ცეკვა ხმლებით!"



მოცეკვავე რენცო ბახტაძე

11, 12 და 13 თებერვალს ვიმყოფებოდით შვეიცარიაში, პირველი კონცერტი ჩავატარეთ ჟენევაში. დარბაზი გაჭედილი იყო. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ჩვენი თანამემამულე გოგი კალატოზიშვილი გურჯაანიდან, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ სამუშაოდ ჟენევაში მიავლინეს. იგი მუშაობს „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში". გოგიმ დაგვათვალიერებინა ღამის ჟენევა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მეორე დღეს დავათვალიერეთ გაერთიანებული ერების ორგანი-

ზაცია და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობები.

საღამოს გაიმართა ჩვენი მეორე კონცერტი. კონცერტის შემდეგ გოგი კალატოზიშვილმა ოჯახში მიგვიწვია და ქართულად გაგვიმასპინძლდა. იყო საუკეთესო მასპინძელი.

რიგით მესამე კონცერტი ჟენევის უდიდეს კაზინოში გავმართეთ.

14 თებერვალს გავემგზავრეთ ლუქსემბურგში, გზად გავიარეთ სტრასბურგში, გადავლახეთ შვეიცარიის ალპების გადასასვლელი, სადაც ორ მეტრამდე თოვლი იდო, იქ ბევრი მოთხილამურე შეგვხვდა.

15 თებერვალს ჩავედით ლუქსემბურგში. ეს პაწაწინა სახელმწიფო რამდენიმე საათში გადავლახეთ. მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ლუქსემბურგი ტიპური გერმანული ქალაქია, სადაც ბევრია ხიდი და ეკლესია.

საღამოს გაიმართა ჩვენი კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ სტუმრები თბილისის დაძმობილებულ ქალაქ საარბრიუკენიდან, მათ შორის იყო ცნობილი რეჟისორი, საქართველოს დიდი მეგობარი ბატონი ჰერმან ვედეკინდი, მეუღლითურთ. იყო ძალიან თბილი შეხვედრა. კონცერტის წინ ვედეკინდმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას, მან სიყვარულით ისაუბრა თბილისსა და საარბრიუკენის მეგობრობაზე, ისაუბრა ქართულ კულტურაზე და ანსამბლ „რუსთავის“ ხელოვნებაზე. კონცერტის შემდეგ ვედეკინდმა სათითაოდ დაასაჩუქრა ანსამბლის წევრები და თბილად დაგვემშვიდობა.

მეორე დღეს, რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ბრიუსელში. დავბინავდით იმ სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდით 1973 წელს. საღამოს გავმართეთ კონცერტი სამეფო ცირკში, სადაც ერთხელ უკვე გამოვედით, 1979 წელს. მაშინ კონცერტს დაესწრნენ იქაური ქართველები: მამა-შვილი ირაკლი და ყარამან ოთხმეზურები მეუღლეებით, ნათელა წერეთელი (ფოლკლორისტ ელენე წერეთლის და), მარინა ობოლაძე და სხვები.

ელენე წერეთელი უკვე ცოცხალი აღარ იყო. მე მახსოვს მასთან პირველი შეხვედრა, 1973 წელს. იგი არაჩვეულებრივად განათლებული მუსიკოსი და შესანიშნავი ადამიანი გახლდათ. მან მიგვიწვია ოჯახში, სადაც ქართულად გაგვიმასპინძლდა. მას ჰქონდა ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ჩანაწერები. გვიან ღამემდე დავრჩით ქალბატონ ელენესთან. იქ იყო ჩვენი დიდი მეგობარი ვიქტორ ხომერიკი. მოვისმინეთ ბევრი ფონოჩანაწერი, მერე ვიმღერეთ, ვისაუბრეთ საქართველოზე, ქართულ ფოლკლორზე და გამთენიისას დავემშვიდობეთ ჩვენს კეთილ მასპინძელს. ქალბატონ ელენესთან ხშირად მქონდა მიწერ-მოწერა, იგი მიგზავნიდა მასალებს მსოფლიო ფოლკლორზე, აგრეთვე იშვიათ ფონოჩანაწერებს. ბოლოს იგი მუშაობდა „ნანებზე“, რამდენიმე ქვეყნის „ნანას“ მსგავსებაზე, მან გამომიგზავნა რამდენიმე „ნანას“ სანოტო ჩანაწერი, მათ შორის იყო ესპანური „ნანა“, რომელიც მართლა ჰგავდა ქართულს. ქალბატონი ელენე მწერდა თავის მოსაზრებას ამის შესახებ.

* * *

გამახსენდა ჩვენი პირველი გასტროლი ბელგიაში, 1973 წელს. მაშინ ახალგამოსული იყო გახმაურებული ფილმი „ექიმი ჟივაგო“ ომარ შერიფის მონაწილეობით. ეს იყო ბორის პასტერნაკის შესანიშნავი რომანის პირველი ეკრანიზაცია. ჩვენ მოსკოვში კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, რომ ვინც ამ ფილმს ნახავდა ბელგიაში, მას უცხოეთში აღარ გაუშვებდნენ.

კინოთეატრი, სადაც ეს ფილმი გადიოდა, ზუსტად ჩვენი სასტუმროს გვერდით იყო. ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ბატონი გივი მაისურაძე, შესანიშნავი პიროვნება, ფრანგული ენის კარგი მცოდნე. უშიშროების კომიტეტიდან გვახლდა ბატონი გივი სეხნიაშვილი.

ჩვენ ყოველდღე ვუყურებდით „დოქტორ ჟივაგოს“ რეკლამებს. ერთ დღეს ბატონმა გივი სეხნიაშვილმა მითხრა, წაიყვანე რამდენიმე კაცი და ნახეთ ეს ფილმი, მაგრამ მე ვითომ ამის შესახებ არაფერი ვიციო. წავედით მე, ჰამლეტ გონაშვილი, რეზო ჭოხონელიძე და ომარ კელაპტრიშვილი. ფილმმა მართლა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, მაგრამ არავისთვის გვითქვამს.

რომანი „ექიმი ჟივაგო“ უცხოეთის რომელიღაც ქვეყანამ წარადგინა ნობელის პრემიაზე. ეს იყო ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში. ეს პრემია პასტერნაკმა მიიღო, მაგრამ იგი აიძულეს, რომ პრემიაზე უარი ეთქვა. შემდეგ გაგრძელდა პასტერნაკის მიმართ რეპრესიები, რომელიც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მოგვიანებით, როცა ხრუშჩოვი გადააყენეს, იგი მოსკოვთან ახლოს აგარაკზე ცხოვრობდა. მას დაცვა მიუჩინეს, რომელსაც პრაქტიკულად შინაპატიმრობაში ჰყავდა ყოფილი სახელმწიფოს მეთაური. ხრუშჩოვი აღარ იყო ცოცხალი როცა, მე მოსკოვში ერთ სუფრასთან შევხვდი მისი პირადი დაცვის ყოფილ წევრს. მან გვითხრა, რომ თურმე ხრუშჩოვი ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობდა თავის შეცდომებზე. მათ შორის იყო რეპრესიები გამოჩენილი პიროვნებების მიმართ: – „მაგალითად, ავიღოთ ბორის პასტერნაკი, იგი რეპრესირებულ იქნა და მალე დაიღუპა, მე ახლახან წავიკითხე „ექიმი ჟივაგო“, იქ არაფერია ისეთი ანტისაბჭოთა, რომ ამისთვის კაცი გაგვეწირა“, – უთქვამს ნიკიტა ხრუშჩოვს. ჩანს, პასტერნაკი ისე აწამეს, რომ სახელმწიფოს მეთაურს მისი ნაწარმოები წაკითხულიც კი არ ჰქონდა.

ბრიუსელში ჩვენ სასტუმროსთან ახლოს ვიწრო ქუჩა გადიოდა, რომელზედაც განლაგებული იყო „ბორდელები“, ჩვენ იმ ქუჩაზე გავლაც კი გვეკრძალებოდა. ჩვენი შესანიშნავი მომღერალი გაიოზ არაბაშვილი ერთ საღამოს გაიპარა სასტუმროდან და იმ ქუჩაზე გაიარა. თურმე ქალები ეპატიჟებოდნენ, მაგრამ გაიოზმა ყველას უარი უთხრა (საბჭოთა მორალიდან გამომდინარე), ქალები დაინტერესდნენ, რომელი ქვეყნიდან იყო ეს ხუჭუჭთმიანი შავგვრემანი ახალგაზრდა, რომელსაც არც ერთი ქალი „არ მოეწონა“. „არაბ, არაბ“ დაუძახიათ აქეთ-იქიდან. გაიოზმა ამის შესახებ ჩუმად უამბო ანსამბლის წევრებს. ომარ კელაპტრიშვილს მეტი რა უნდოდა, მაშინვე ექსპრომტი დაუწერა:

„შენ, გაიოზა არაბაშვილო,
გატაცებული რომ ხარ ინტიმით,
ჩვენი ანსამბლის მარცხენა ფრთავ და
ტაშის მომგვრელო „მესხის ფინტივით“,
უცხო ქალებმა ვერ შეგაცდინეს,
კინაღამ თოკით დაგაბიაო,
ქართველობასაც გედავებიან,
ასე ამბობენ „არ აბიაო“.

ამჯერად ჩვენი მეორე კონცერტი ბრიუსელის „სამეფო ცირკში“ 18 თებერვალს გაიმართა. უამრავი ხალხი დაგვესწრო, მათ შორის იქაური ქართველებიც. ანტვერპენიდან ჩამოვიდნენ ქართველი ებრაელები, ერთ-ერთი მათგანი იყო ისააკ ნანიკაშვი-

ლი, რომელმაც კონცერტის შემდეგ დაგვპატიჟა რესტორანში. ნანიკაშვილი მახარაძიდან ყოფილა. მან გვთხოვა დიდი მოკითხვები გადაგვეცა მისი მეგობრების თამაზ სალუქვაძისა და გური გოლიაძისათვის.

ბელგიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა „რუსთავის" კონცერტს.

ბელგია. ბრიუსელი. გაზეთი „და ლიბრ ბელჟიკი". 1981, 18 თებერვალი.

საქართველოს სიმღერები და ცეკვები.

„ანსამბლი საქართველოდან გამოდის ბრიუსელის სამეფო ცირკში ხუთშაბათამდე. იშვიათად განგვიცდია მსგავს ფოლკლორულ საცეკვაო ანსამბლების კონცერტებზე ისეთი ცხოველმყოფელი ჭეშმარიტება, რომლითაც ჭაბუკები და ქალიშვილები მსჭვალავენ თავიანთი უძველესი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან სიმღერებსა და ცეკვებს. მოყოლებული „მთიულური სიუჟეტიდანვე", რომლითაც გაიხსნა პროგრამა, ჩვენს თვალწინ წარმოსდგნენ არტისტები, რომლებიც ჩინებულად, სპორტული გაწაფულობით „თამაშობენ" ხანჯლებით. პირველი განყოფილება მთავრდება ცეკვა „ფარიკაობით", რომლის შესრულების დროს ხმლებს ნაპერწკლები სცვივა. გურიის უძველეს მეომრულ ცეკვა „ხორუმში" გამოსჭვივის წარმოუდგენელი გულადობა, გზნება. სიძლიერისა და სიმსუბუქის გასაოცარ შეგრძნებას ქმნის ფეხთა მოძრაობა სხვადასხვა – სწრაფ და ნელ რიტმებში; ლითონისებური კუნთებითა და წარმოუდგენელი ვირტუოზობით ისინი „ილიადას" გმირებს მოგვაგონებენ. ამ თავბრუდამხვევი ცეკვის მონანილენი რიგრიგობით გამოეყოფიან ვნებიანი მგზნებარებით აღსავსე მწკრივებს და სხარტად, დახვეწილად ასრულებენ პირუეტებს, ტრიალებს მუხლებზე დაცემით, დაფრინავენ ნახტომებში, ელვისებურად ბზრიალებენ, ვით დაცვენილი ფოთლები კავკასიონის ხეობებში.

ეს არის მამაკაცური გულადობის მშვენიერი გამოვლინება გამოხატული არა მარტო ცეკვებში, არამედ მრავალხმიან სიმღერებში, რომლებსაც ვაჟთა გუნდი არაჩვეულებრივად ასრულებს. შესანიშნავია იმერული „ნანა", პირქუში სამონადირეო სიმღერა, სევდიან-ლირიკული, ამაღლებული პატრიოტული და შრომის სიმღერები, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ შუა საუკუნეების საქართველო არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიას.



მუსიკოსი ზურაბ საღირაშვილი

კიდევ ერთი ელემენტი: სილამაზით მბრწყინავი ქალთა ჯგუფი მშვიდი, მაგრამ ამაყი კდემამოსილებით უერთდება ვაჟებს. ლირიკულ ცეკვა „სიმდში" შავჩოხოსანი, შავ ნაღებსა და ბოხოხებში შემოსილი ვაჟები და თეთრ კაბებსა და მაღალ თეთრ თავსაბურავებში გამოწყობილი ქალები უნებურად XIV

საუკუნის უფლისწულებსა და დედოფლებს მოგვაგონებენ.

შეუძლებელია არ აღფრთოვანდე მაღალი კულტურის ტრადიციებით, რომლებსაც ასე სათუთად უფრთხილდებიან საქართველოში. შეუძლებელია აღტაცების გარეშე უყურო და უსმინო ამ შესანიშნავ „ანსამბლს!“ და აპლოდისმენტებით არ დააჯილდოვო მსახიობები, წაღებით ცერებზე რომ ცეკვავენ“.

ბელგია. ბრიუსელი. გაზეთი „ლა დერნიერი“. 1981, 18 თებერვალი.

პარიზის საკონცერტო დარბაზ „ოლიმპიაში“ გამოსვლის წინ, ბრიუსელში ბატონი ილია ჯაბადარი ავად გახდა. იგი მთელი გასტროლის განმავლობაში არ მოგვშორებია, სულ ჩვენთან იყო, ჩვენთან ერთად მგზავრობდა, გვეფერებოდა, გვამღერებდა, ძველ ამბებს გვიყვებოდა.

ბატონი ილიას მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. იგი პარიზის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

* * *

20 თებერვალს პარიზში გავემგზავრეთ. მეორე დღეს დილით რეპეტიცია ჩავატარეთ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დარბაზ „ოლიმპიაში“, სადაც ჩვენი ორი კონცერტი იყო დაგეგმილი. „ოლიმპიის“ თეატრი ძველი შენობაა, 2500 კაციანი დარბაზით. სცენა დარბაზთან შედარებით პატარაა, იგი აშკარად რეკონსტრუქციას მოითხოვს. რეზო ჭოხონელიძეს ცეკვების გადაკეთება მოუხდა, რომ სცენას კარგად მოვრგებოდით. რეპეტიცია გვიანამდე გაგრძელდა. საღამოს დარბაზი ხალხით გაივსო. ჩვენი კონცერტი უდიდესი წარმატებით ჩატარდა. ხალხი ფეხებს აბრაგუნებდა და „ბრავოს“ გაიძახოდა. ტაშს ბოლო არ უჩანდა. ფარდა რამდენჯერმე აიწია. ფინალი სამჯერ გავიმეორეთ.



ვერსალში

კონცერტს დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში და საელჩოს სხვა წარმომადგენლები. ჩვენ გავიმარჯვეთ, მითხრა რეზო ჭოხონელიძემ.

კონცერტის შემდეგ საბჭოთა საელჩოში მიგვიწვიეს. იქ ვნახე ჩემი ძველი მეგობარი, ბატონი გოჩა ჩოგოვაძე. ელჩი გულთბილად მოგვესალმა. შემდეგ გაიმართა ვახშამი. პარიზიდან მოსკუვურ გაზეთ „იზვესტიაში“ გაიგზავნა ასეთი წერილი.

„პარიზის სახელგანთქმულ დარბაზ „ოლიმპიაში“ გამართულმა ორმა ტრიუმფალურმა კონცერტმა დააგვირგვინა ქართული ფოლკლორული ანსამბლის „რუსთავის“ გასტროლები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ შესანიშნავმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი საქართველოს სახალხო არტისტი ა.ერქომაიშვილი) საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგის ათიათასობით მსმენელს გააცნო თვითმყოფადი ქართული ხალხური შემოქმედება. ხელოვნების ოსტატები საბჭოთა კავშირიდან ყველგან გადაჭედილ დარბაზებში გამოდიოდნენ და მქუხარე აპლოდისმენტებს იმსახურებდნენ. ბევრ ნომერს რამდენჯერმე ამეორებინებდნენ. ქართულ ანსამბლს ქალაქ რეიმსის გაზეთმა „იუნონმა“ ხალხთა შორის „მშვიდობისა და მეგობრობის დესპანი“ უწოდა“. „იზვესტია“, სსრ კავშირი. 8.03.1981წ.

კონცერტის მეორე დღეს მე და ჩვენი მშვენიერი მოცეკვავე სოლისტი, მარინა ჯალაღანია, რომელიც კარგად ლაპარაკობს ფრანგულად, იმპრესარიომ კოკანასმა, საავადმყოფოში წაგვიყვანა ილია ჯაბადარის სანახავად. ბატონი ილია აპარატზე იყო მიერთებული. ცოლმა გვითხრა, მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მას ფილტვების ანთება აქვსო. თურმე ბატონი ილია ფილტვების ანთებით დაჰყვებოდა „რუსთავს“ რამდენიმე კვირის განმავლობაში.

იგი ძალიან დასუსტებული იყო. მიუხედავად ამისა, გაგვიღიმა და თავისთან ახლოს დაგვსვა. იგი დაინტერესდა, როგორ მიდიოდა გასტროლი, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგვექმნა, მერე ანსამბლის წევრები მოიკითხა და გვითხრა, – თუ ცოცხალი დავრჩი, 1983 წელს ისევ წამოგიყვანთ საფრანგეთში, კოკანასს უკვე დავავალე, ამაზე იმუშაოს, ჩვენი ანსამბლი ყველას მოსწონს და რახან ახლა „ოლიმპიაში“ კარგად გამოხვედით, საქმე აუცილებლად გამოვაო“. – ბატონი ილია მისუსტებული ხმით ლაპარაკობდა, თან ხელებზე გვეფერებოდა. მე განმაცვიფრა იმან, რომ მას მაგნიტოფონი ჰქონდა ჩართული და ჩვენს „ზამთარიოს“ ისმენდა, – დღედაღამ თქვენს ჩანაწერებს უსმენსო, – გვითხრა მისმა მეუღლემ. ჩვენ დავემშვიდობეთ ბატონ ილიას და დამძიმებული გულით გამოვედით საავადმყოფოდან.

მოხდა სასწაული, ექიმებმა უშველეს ბატონ ილიას. იგი ერთი თვის შემდეგ გამოჯანმრთელდა და საავადმყოფოდან გამოწერეს.

23 თებერვალს მოცეკვავეები გავაცილეთ მოსკოვში. მომღერლები დარჩნენ, რადგან მათ ოთარ იოსელიანის თაოსნობით კონცერტი ჰქონდათ პარიზის რადიოში. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა, შევასრულეთ 27 სიმღერა, რომელიც პარიზის რადიომ ჩაიწერა. ეს კონცერტი პირდაპირი ეთერით გადაიცა მთელ საფრანგეთში.

რადიოს წარმომადგენლებმა გვთხოვეს, ერთი კონცერტი კიდევ გაგვემართა რადიოს თანამშრომლებისათვის. ტელევიზიამ ჩვენი კონცერტის გადაღება მოისურვა.

პარიზის მუსიკალური ფესტივალის დირექტორმა მიგვიწვია მომავალ წელს თავის ფესტივალზე.

მოგვყავს კიდევ რამდენიმე ამონაწერი გაზეთებიდან.

გაზ. „ვეჩერნი ტბილისის“ სპეციალური კორესპონდენტი პარიზიდან. 1981.

„რუსთავი“ ევროპას იპყრობს“

პარიზი. „უპრეცედენტო ტრიუმფი“, „სრულყოფილების მწვერვალი“, „გამაოგნებელი, დაუვიწყარი სპექტაკლი“, – ასეთი კომენტარები გაუკეთა ადგილობრივმა პრესამ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ ტურნეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში – საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და ლუქსემბურგში.

გასტროლები დასრულდა პარიზის დარბაზ „ოლიმპიაში“, სადაც ანსამბლმა ორი კონცერტი გამართა. ძნელია, სიტყვებით გადმოიცეს მათ მიერ იქ მიღწეული წარმატება. პარიზში დღემდე განაგრძობენ აღფრთოვანებით საუბარს ამ კონცერტების შესახებ“.

საფრანგეთი. 1981. გაზ. „პრესს-ოკეანი“

„რუსთავის“ გამოსვლა საფრანგეთში საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის ცხოვრების ყველაზე შესანიშნავი ილუსტრაციაა. მისი სიმღერების, მუსიკისა და ცეკვების სიმდიდრე უბრალოდ განსაცვიფრებელია. პუბლიკა აღფრთოვანებული და დატყვევებულია შესანიშნავი დასით“.

ასე დამთავრდა ჩვენი საგასტროლო ტურნე საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და ლუქსემბურგში 1981 წელს. მოვიარეთ ამ ქვეყნების მრავალი ქალაქი, 38 დღეში ჩავატარეთ 32 კონცერტი. კონცერტები მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა და მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურა. პრესამ უმაღლესი შეფასება მისცა „რუსთავის“ გამოსვლებს, გვქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრები მუსიკოსებთან და ხელოვნების სხვა მოღვაწეებთან.

25 თებერვალს დავბრუნდით სამშობლოში.

* * *

1983 წელს, ჯაბადარის მიწვევით, 15 თებერვალს ისევ გავემგზავრეთ საფრანგეთში. აეროპორტში მარტო ჟილბერტ კოკანასი დაგვხვდა. იანვარში ბატონი ილია ისევ ცუდად შეიქნა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა უიმედობა გამოთქვეს. იგი ძალიან დასუსტებული იყო და პრაქტიკულად ჟანგბადის აპარატზე იყო მიერთებული. სამი-ოთხი კვირა კიდევ მაცოცხლეთ, მერე „ჩემი ბიჭები“ ჩამოვლენ და აღარაფერი გამიჭირდებაო, – უთქვამს ბატონ ილიას ექიმებისთვის. ვერ აცოცხლეს. იანვრის ბოლოს იგი გარდაიცვალა. ჩვენ მის მეუღლესთან, ვიქტორ ხომერიკთან და კოკანასთან ერთად სასაფლაოზე წავედით, ბატონი ილიას საფლავს ქართული მიწა მოვაყარეთ და „ქინძმარაული“ ვაპკურეთ, მერე რამდენიმე საგალობელი ვუგალობეთ, მისი საყვარელი „ზამთარიო“ ვუმღერეთ და გამოვეთხოვეთ. ჩვენ რთული გასტროლი გველოდა, ხუმრობა ხომ არ არის, მარტო პარიზის „ოლიმპიაში“ 12 კონცერტი იყო დაგეგმილი.

ჩვენი პირველი კონცერტი 1 მარტს გაიმართა. დარბაზი გადაჭედილი იყო (2500 კაცი). პირველივე კონცერტზე მოხდა კურიოზი.

მაყურებელი აღფრთოვანებით შეგვხვდა. პირველი განყოფილების შუაში, როცა „სიმდი“ სრულდებოდა, უეცრად გაიღო დარბაზის კარი და შავ მანტიებში ჩაცმული 20 კაცი ნიღბებით და რუპორებით ხელში ხმაურით შემოიჭრა დარბაზში, სცენაზე ავიდნენ, ჯერ შეავიწროვეს ჩვენი მოცეკვავეები და მერე საერთოდ გაყარეს სცენიდან. ისინი თან რაღაცას ყვიროდნენ გაუთავებლად. ცეკვა შეწყდა. გოგოები ატირდნენ. დარბაზიდან სცენაზე ამოვარდნენ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ბატონი ვალერი



ჟერარ დეპარდიესთან

ასათიანი და ვიქტორ ხომერიკი. ვალერიმ ძლივს დაამშვიდა აღელვებული ანსამბლის წევრები, რომლებმაც „ხმალზე გაიკრეს ხელი“, ესენი სიონისტები არიან, გვითხრა ბატონმა ვიქტორმა, – ვინაიდან საბჭოთა კავშირიდან ხართ, თქვენც რუსები ჰგონიხართ, ამიტომ კონცერტის ჩაშლით იმუქრებიან. ყვირიან, რომ ციხიდან გაათავისუფლონ ებრაელი პოლიტპატიმრები. მდგომარეობა დაიძაბა. მსახიობთა უსაფრთხოების მიზნით სცენაზე რკინის ფარდა ჩამოუშვეს. მაყურებელი ხმაურობდა, ყვიროდა, ილანძღებოდა, ისინი სიონისტების სცენიდან გაყრას მოითხოვდნენ. სიონისტები კი აინუნშიაც არ აგდებდნენ ხალხის მოთხოვნას, იარუსებიდან ანტისაბჭოთა პროკლამაციები გადმოყარეს.

ამ დროს სცენაზე ავიდა ერთი ბრგე ვაჟკაცი, ეს იყო შალიკო თაყაიშვილი. იგი მივიდა მეგაფონიან სიონისტთან (როგორც ჩანს, ის იყო მათი ხელმძღვანელი, რადგან ყველაზე მეტს ის ყვიროდა) და სთხოვა სცენა დაეტოვებინათ. მან ხელი აუქნია შალიკოს და ყვირილს მოუმატა, მაშინ შალიკომ ერთი ისეთი შემოჰკრა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომ შავნიღბიანი საორკესტრო ორმოს იქეთ გადავარდა და სკამებს შორის გაიჭედა. შალიკო ისე დაერია სიონისტებს, ქორი რომ ყვავებს დაერევა ხოლმე. სცენაზე კიდევ რამდენიმე ქართველი ამოვარდა და შალიკოსთან ერთად სულ ტყაპატყუპით გაყარეს შავმანტიანი სიონისტები სცენიდან.

ბატონი ვიქტორ ხომერიკი ერთ-ერთ მათგანთან მივიდა და ჰკითხა, რა გინდათო. რუსეთში ებრაელებს ავიწროებენ და პროტესტის ნიშნად კონცერტი უნდა ჩავშალოთო. – ესენი ქართველები არიან და რუსეთში მათ ებრაელებზე მეტად ავიწროებენო, – უთხრა ბატონმა ვიქტორმა. უკაცრავად, ეს არ ვიცოდით, ესენი რუსები გვეგონაო, – თქვა სიონისტმა, მერე დაუძახა თავისიანებს და ხმაურით დატოვეს დარბაზი. კონცერტი განახლდა. მაყურებელი ტაშის გრიალით შეგვეგება. ბოლოს ისეთი ოვაცია გაგვიმართა, რომ შეიძლება ჩვეულებრივ პირობებში არც ყოფილიყო. ფინალი რამდენჯერმე გავიმეორეთ, ვინ იცის, რამდენჯერ აიწია და დაიხურა ფარდა. გარდა იმისა, რომ მაყურებლებს ძალიან მოეწონათ ჩვენი კონცერტი, ისინი ცოტა შეურაცხყოფილადაც გრძნობდნენ თავს და ტაშის გრიალით ცდილობდნენ ამ უხერხულობის გამოსწორებას.

კონცერტის შემდეგ ბატონმა ვიქტორმა ანთაძეების რესტორანში წაგვიყვანა, სადაც გველოდნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები: ბაგრატ და გურამ წულაძეები, ვალიკო წილოსანი, ბიჭიკო ახვლედიანი, ორესტი გორდელაძე, შალიკო და შოთა თაყაიშვილები და სხვები. თამადად ბატონი ვიქტორ ხომერიკი აირჩიეს. გვიან ღამემდე გაგრძელდა სამშობლოს მონატრებული ხალხის გულისამაჩუყებელი სადღეგრძელოები, მოგონებები და სიმღერები. თამადამ ჩემი სადღეგრძელო შესვა და ალავერდი ბაგრატ წულაძესთან გადავიდა. მანაც ბევრი საქებარი სიტყვა მითხრა და დასძინა, მე მინდოდა შენთვის საჩუქარი მომეძღვნა, მაგრამ ვერაფერი შევარჩიე და გადავწყვიტე, გაჩუქო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი, შენი ნათესავის, დათიკო ერქომაიშვილის ნაქონი „პარაბელუმი“. დათიკოზე ვაუკაცი ჩვენს სათვისტომოში არ იყო, ამიტომ ეს იარაღი შენ უნდა გქონდესო. ამოიღო გაპრიალებული „პარაბელუმი“ და გადმომცა. სუფრაზე ტაში დასცხეს. მე გამოვართვი ეს მართლაც იშვიათი საჩუქარი და გულდაწყვეტილმა დავუწყე თვალიერება. რა იცოდა ბატონმა ბაგრატმა, რომ ჩვენ ასეთი საჩუქრის აღების უფლება არ გვქონდა, მას საბჭოთა თვითმფრინავშივე ჩამომართმევდნენ. უფრო მეტიც, ამასაც არ დასჯერდებოდნენ და მოსკოვში სატუსაღოში მიკრავდნენ თავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბატონი ბაგრატისთვის ამის თქმის უფლებაც არ მქონდა.

მე მადლობა გადავუხადე მას იშვიათი საჩუქრისათვის და დავძინე, რომ ვინაიდან გახშირდა ტერორისტების მიერ თვითმფრინავის გატაცების ფაქტი, ამიტომ ამ იარაღს ჩამომართმევენ და დაიკარგება ეს იშვიათი საჩუქარი-მეთქი. ამ მიზეზით ბატონ ბაგრატს დავუბრუნე „პარაბელუმი“. შეწუხდნენ ჩვენი თანამემამულეები. შეწუხდა ბაგრატიც. მან ჭრელი ტყავის ქისა გახსნა, იქიდან თუთუნი ამოიღო, ქაღალდში გაახვია და კაუის ქვას კვესი გაჰკრა. კვესს ნაპერწკლები დასცვივდა.

ბაგრატი მანამ აკვესებდა კვესს კაუის ქვაზე, სანამ აბედს ნაპერწკლებისაგან ცეცხლი არ მოეკიდა. მერე სული შეუბერა, ცეცხლი გააღვივა და იქიდან პაპიროსს მოუკიდა. ბაგრატ ბიძია, რას წვალობ ამდენს, აგერ ჩემი სანთებელა იხმარე, – უთხრა შალიკო თაყაიშვილმა. შენ ვერ გაიგებ ამის გემოს, – შეუღრინა ბატონმა ბაგრატმა და თუთუნის კვამლი ღრმად შეისუნთქა. ეს კვეს-აბედი ბატონ ბაგრატს მე ჩავუტანე. წინა გასტროლების დროს ვკითხე, – ბატონო ბაგრატ, რა ჩამოგიტანო საქართველოდან, ყველაზე მეტად რა გაგიხარდება-მეთქი. თუ იშოვი, თუთუნის ქისა და კვეს-აბედიო, – მიპასუხა. ეტყობა, კვეს-აბედი იმდროინდელ საქართველოს აგონებდა, მან რომ დატოვა. მაშინ იმას ხმარობდნენ, ამიტომ სწორედ ის მოენატრა. სათუთუნე ჭრელი ტყავის ქისა ბიცოლაჩემმა ჟუჟუნამ შემიკერა. კვეს-აბედის შოვნა მართლა ძალიან გაჭირდა; აჭარიდან, ხიხაძირიდან ენვერ ხალვაშმა გამომიგზავნა ძველებური კვეს-აბედი.

ბატონი ბაგრატი არ იშორებდა ამ „ძვირფას რელიკვიას“ და ყველგან, ოჯახში თუ საზოგადოებაში, ქისიდან ამოიღებდა თუთუნს, ქაღალდში გაახვევდა და კვეს-აბედით უკიდებდა.

ბატონი ბაგრატი მეტად კოლორიტული პიროვნება გახლდათ. მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ ვმეგობრობდით. მისი ახლო მეგობრები იყვნენ ბატონი რეზო თაბუკაშვილი და ოთარ იოსელიანი (რომელმაც იგი ფილმშიც გადაიღო). ოთარმა მიამბო, – ბაგრატი ბოლო დღეებში ვინახულე, დილა იყო, ბაგრატი იწვა და თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. ახლა გამომეღვიძა, მთელი ღამე გურიაში გა-

ვატარე, ჩემს ეზოში, მშობლებთან, მეზობლებთან და ნათესავებთან. საქონელიც კი მახსოვს. ქათმებიც, ყველაფერი ისე იყო, როგორიც დავტოვე. უბედნიერესი კაცი ვიყავი. გამომეღვიძა და გული დამწყდა, რატომ ძილში არ გევიპარე. ჩემიანებთან არ დავლიე სული-მეთქი. ასე მემართება ამ ბოლო დროს, თითქმის ყოველდღე ჩემი ეზოკარი და ჩემიანები მესიზმრებიან. ეტყობა, ჩემი აღსასრულიც მოვიდაო.

გათენებას აღარაფერი აკლდა, როცა ანთაძეების რესტორანი დავტოვეთ.

* * *

საფრანგეთის ქართული დიასპორიის წარმომადგენლები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, ისინი ყველა კონცერტს ესწრებოდნენ „ოლიმპიაში“, ძველი თაობის გარდა მოდიოდნენ აგრეთვე ახალგაზრდები: სალომე და ოთარ ზურაბაშვილები, ნიკო ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ნელი ხომერიკი და მრავალი სხვა. ისინი გვეხმარებოდნენ ყველა პრობლემის მოგვარებაში, გვაცნობდნენ იქაურ ახალგაზრდა ქართველებს და სხვა.

ერთხელ ვიქტორ ხომერიკმა წაგვიყვანა ლევილში, სადაც ქართული სასაფლაოა. ლევილში ვნახეთ ბ-ნი მამია ბერიშვილი, გავიცანით ქალბატონი ნამეტია ბერძენიშვილი. იგი ვალოდია გოგუაძის მეუღლე გახლდათ. ვალოდია ნიჭიერი მეთაური იყო. დღემდე ლეგენდად რჩება გოგუაძის ჯავშანიანი მატარებელი, რომელმაც სოფელ ნატანებთან, მოჩვენებითი მანევრების დროს, თურქეთის რამდენიმეათასიანი ჯარისკაცი გაწყვიტა. ერთხელ თბილისის ცენტრალურ არქივში ძველ მასალებს ვეძებდი, იქ ვნახე კინოკადრი ვალოდია გოგუაძის გამოსახულებით. იგი იარაღშია ჩამჯდარი და განკარგულებებს იძლევა. ამის შესახებ ვუამბე ქ-ნ ნამეტიას, მას ძალიან გაუხარდა, – ნეტავ ერთი მანახვაო-თქვა. ქალბატონი ნამეტია გურული ქალია. იგი თითქმის 60 წელია საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ შეუნარჩუნებია გურული კილო. ჩემი გვარი რომ გაიგო, გამომკითხა, ვისი შტო ვარ. მე ვუთხარი, რომ ბებიაჩემი მარიამი ბერძენიშვილის ქალი იყო შემოქმედიდან-მეთქი, ვისი შვილი იყოო, – მკითხა, მარკოზ ბერძენიშვილის-მეთქი ვუპასუხე. უი, რა მითხარი, – შეიცხადა ქალბატონმა ნამეტიამ, მაგინი ჩემი ნათესავები იყვნენ, მარკოზი და მისი ცოლი სოფიო კარგად მახსოვსო. – „ახლა ნენა, შემოით ჩემთან, კაი კეცის ჭადს გამოგიცხობთ, ჭყინტი ყველიც მაქ, ლობიოც, კაი მწნილი და სხვაი ყოლისფერი სიკეთე, მე აქ სულ ქართულ საჭმელებს ვაკეთებ“.

მართლაც, ქალბატონმა ნამეტიამ მშვენიერი ქართული სუფრა გაგვიშალა, ოღონდ ქართული ღვინო არ მაქ და კაი ფრანგულ ღვინოს დაგალევინებთო, გვითხრა. დათიკო ერქომაიშვილი რა იყო შენიო – მკითხა ნამეტიამ. ბაბუას ახლო ნათესავი იყო-მეთქი, – ვუთხარი. „ოჰ, რა ვაჟკაცი იყო, ხუთი კაცი ვერ მოკიდებდა ხელს, თანაც იყო საოცრად ოხუნჯი, ისეთ რამეს მეიგონებდა, კაცი რომ ვერ მეიფიქრებს, სიცილით გვხოცავდა ყველას. ნამეტანი არ უყვარდა რუსები, რამდენჯერმე იყო გადასული საქართველოში, მარა იქ რომ ვეფერი მოუხერხეს რუსებმა, აგერ მოკლეს პარიზში, თანაც რაფერ ვერაგულად თუ იცი, რუსული საელჩოს მანქანა ავარდა ტროტუარზე და დათიკოს „შემთხვევით“ დაეჯახა“.

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ ძველ გურიაზე, აღმოჩნდა, რომ ქალბატონ ნამეტიას ძმები ერქომაიშვილების სიმღერები მოუსმენია თურმე.

ჩვენ მალე კონცერტი გვეწყებოდა „ოლიმპიაში“, ამიტომ ავდექით და დიდი სიყვარულით დავემშვიდობეთ ჩვენს „ენაკვიმატ გურულს“. დღეს ვერ მოვახერხებთ, მარა



რაჭული „სუიტა“

ხვალ აუცილებლად მოვალ თქვენ კონცერტზეო, – გვითხრა ქალბატონმა ნამეტიამ.

ლევილის სასაფლაომ სევდა მოგვგვარა. პარიზში დარდიანი ვბრუნდებოდით.

„ოლიმპიაში“ კონცერტების დროს ბევრი შეხვედრა გვქონდა გამოჩენილ მუსიკოსებთან, ჟურნალისტებთან. თეატრის დირექციამ ჩვენი აფიშა დაკიდა მუზეუმში, სადაც ყველას აფიშაა, ვინც კი „ოლიმპიის“ სცენაზე გამოსულა. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლებს.

გაზეთი „ფიგარო“, ხუთშაბათი, 3 მარტი. რენე სირვინი. ოლიმპია. საქართველოს ანსამბლი „რუსთავი“. „ოქრო და ცეცხლი“.

„ისინი ჩამოვიდნენ შორეული კოლხეთიდან, მედეასა და ოქროს საწმისის ქვეყნიდან, დღევანდელი აზიისა და ევროპის საზღვართან მდებარე საბჭოთა საქართველოდან. ისინი ჩამოვიდნენ, რათა წარმოგვიდგინონ თავიანთი ერის მრავალსაუკუნოვანი (ათასწლიანი) შემოქმედებითი ტრადიციები. ოქრო მართლაც უხვად ეფინება



ქალების კაბებს, ამ ლეგენდიდან მოვლენილ უმანკო და წმინდა პრინცესებს, მორთულებს ისევე, როგორც მე-15 საუკუნეში – ძვირფასი დიადემით დამშვენებული უმწიკვლო მანდილებით.

თუ ქალთა კოსტიუმებში თეთრი ფერი დომინირებს, მამაკაცი მოცეკვავენი, სამჯერ უფრო მრავალნი და კეთილშობილნი, უმეტეს შემთხვევაში შავი, ვერცხლისფერი მასრებით გაწყობილ ეროვნული კოსტიუმებით ცეკვავდნენ, ხელთათმანივით რბილი ტყავის ფეხსაცმელებში გამოწყობილნი და საუკეთესო კონტრასტს ქმნიდნენ.

სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს ცვლის საოცარი ცეკვები. რიტმები ორიგინალურია, დასი – ვირტუოზული, ფორმა – სრულყოფილი, ქორეოგრაფიის მწვერვალები – მაქსიმუმი.

მოცეკვავე ქალები ნაზად და ფაქიზად დასრიალებდნენ, გაუნძრევლად, როგორც გედები წყალში. ყოველი მათი მოძრაობა კეთილშობილების სიმბოლოა. მათი მარდი

პარტნიორები, მოცეკვავე ვაჟები, ლომისებური იერის მქონენი, საოცრად მარდად ტრიალებდნენ და სასწაულს ახდენდნენ ფეხის წვერებზე, რაც ქართველი ვაჟკაცების დამახასიათებელი ნიშანია. ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა, ნახტომი თუ მუხლებზე დაცემა ძალზე მამაცური და ვაჟკაცურია. ფინალური ფანტაზია მაყურებლის აღტაცებას იწვევს: ცეკვა „მხედრულმა", ისევე როგორც ძველმა საბრძოლო ცეკვა „ფარიკაობამ", რომელიც მოლურჯო, ოდნავ ჩაბნელებულ სინათლეზე მიმდინარეობდა, საოცარი ეფექტი გამოიწვია. მოცეკვავეები ცეცხლივით იბრძვიან, ხმლებით ნაპერწკლების შადრევნებს აფრქვევენ და ანათებენ სცენას. ეფექტი უაღრესად ძლიერია.

ამ მოელვარე ცეკვებს შორის მამაკაც მომღერალთა გუნდს შემოაქვს პოეტური სიმშვიდე, განმუხტავს მოცეკვავეთა დაუოკებელ მგზნებარებას. ცხრა მომღერლის ყოველი სიმღერა წარმოადგენდა საუკეთესო მუსიკალური ხელოვნების გვირგვინს. თბილი, რბილი, ნაზი, მელოდიური, ზოგჯერ ჯადოსნური „პიანისიმოთი" შესრულებული მელოდიური სერენადები და უცნაურად სევდიანი მელოდიები, ხანაც მჭექარე „ფორტეთი" შესრულებული პატრიოტული და ბრწყინვალე ანტიკური დროის სიმღერები ჯავარიანი შეძახილებით, რომელთა ჰარმონია და მელოდია ჩვენთვის უცნობი, მაგრამ ძალზე მომხიბლავია, – წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

აი, ნამდვილი ტრადიციული ხელოვნება, რომელსაც არც ფერი აკლდა და არც ორიგინალურობა. ვნახეთ მხნე, სიცოცხლით სავსე სპექტაკლი.

12 ტრიუმფალური გამოსვლით დაამთავრა „რუსთავმა" კონცერტები „ოლიმპიაში". ეს იყო დიდი გამარჯვება, ვინაიდან „ოლიმპია" მეტად პრესტიჟული საკონცერტო დარბაზია და იქაური წარმატება საგზურია მსოფლიოს უდიდესი საკონცერტო დარბაზებისკენ".

ამით დამთავრდა ჩვენი ტურნე საფრანგეთში, 1983 წელს.



ეხ, ამერიკა, ამერიკა

კანადა – აშშ

კონცერტი დამთავრდა. დარბაზში სინათლე აინთო. მაყურებელი ფეხზე დგას და ოვაციას უმართავს მსახიობებს. ბევრი მათგანი ცდილობს, მიუახლოვდეს ავანსცენას, რომ ახლოდან ნახონ იმ მომღიმარი გოგო-ბიჭების სახეები, რომლებმაც დღეს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. ყვავილებით გაივსო სცენა: ისმის შეძახილი: „ბრავო“, თენქ-იუ, ჯორჯიენს“, „ბაი-ბაი“, ხელს იქნევენ დარბაზიდან მადლიერი მაყურებლები და ფეხებს აბრაგუნებენ. ფარდა ნელ-ნელა ეშვება. ანსამბლის გახარებული წევრები ერთმანეთს ეხვევიან, ულოცავენ. დღეს რაღაც განსაკუთრებული საზეიმო განწყობილება

სუფევს. გასახდელისკენ არავინ ჩქარობს, კოსტიუმს არავინ იხდის. სცენაზე ამოდის იმპრესარიო და სათითაოდ ჰკოცნის ანსამბლის ყველა წევრს, ხელმძღვანელებს, შემდეგ მისი თხოვნით, სცენის საფარზე (რომელიც გაკეთდა თხელი ფიცრებისაგან და ყოველი კონცერტის დროს სცენაზე აგებდნენ) ანსამბლის წევრები დიდი ასოებით, ზეთის საღებავებით აწერენ ავტოგრაფებს. მერე სცენას კოცნიან და იატაკზე სხდებიან დაღლილები და კმაყოფილები. ხუმრობა ხომ არაა: ოთხთვიანი საგასტროლო ტურნე დამთავრდა. ანსამბლის წევრები ცრემლებს ვეღარ იკავებენ. რა ქნან, მოენატრათ ოჯახები, ნათესავები, მეგობრები, სამშობლო მოენატრათ.

ქართველებმა სულ სხვანაირი მონატრება ვიცით.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ – „რუსთავის" საგასტროლო ტურნემ კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით ჩაიარა და, რაც მთავარია, პირველად ჩვენი ანსამბლის ისტორიაში, მთელი საგასტროლო შემოსავალი ვალუტით საქართველოში წამოვიღეთ.

ეს გასტროლები სამი წლის წინათ დაიგეგმა. მაშინ „რუსთავი" იტალიაში გამოდიოდა. ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა ერთ-ერთ კონცერტზე დაპატიჟა თავისი მეგობარი, ვენეციის მერი, რომელმაც გვთხოვა, რომ ერთი კონცერტი ვენეციაშიც გაგვემართა.

ივლისის ბოლო იყო. ამ დროს იტალია სავსეა ტურისტებით.

ამბობენ, თუ ვენეცია არ გინახავთ, იტალია არ გინახავთო. ამიტომ მთელი მსოფლიოს ტურისტები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ვენეციისაკენ და, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ „სან-მარკოს" მოედანზე ყოველთვის ხალხმრავლობაა, ის ვენეციის გულია. ამ მოედანზე ყოველგვარი კონცერტი და სხვა სახალხო წარმოდგენები კანონითაა აკრძალული. იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი მაყურებლის თხოვნა დაეკმაყოფილებინათ, ვენეციის მუნიციპალიტეტმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა, რომ როგორც გამონაკლისი, ანსამბლ „რუსთავის" კონცერტი „სან-მარკოს" მოედანზე გამართულიყო, ააგეს სპეციალური საკონცერტო ესტრადა. კონცერტზე 15 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა, მაგრამ ამაზე მე აღარ შევჩერდები, რადგან იგი შესანიშნავად აღწერა ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა, რომელიც მაშინ თან ახლდა ანსამბლ „რუსთავს", როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი.

კონცერტის შემდეგ ჩემთან მოვიდა საშუალო ხნის კაცი, კანადელი იმპრესარიო ჯორჯ ცუკერმანი. იგი თურმე ტურისტად იმყოფებოდა იტალიაში და შემთხვევით დაესწრო ჩვენს კონცერტს. მან შემომთავაზა ანსამბლ „რუსთავის" საგასტროლოდ მიწვევა კანადაში. მე, რასაკვირველია, თანხმობა განვუცხადე, მაგრამ ვთხოვე, რომ მოწვევის წერილი გაეგზავნა მოსკოვში საკავშირო ორგანიზაცია „გოსკონცერტში" (იმ პერიოდში ე.წ. „გოსკონცერტის" გარეშე ფეხს ვერსად გაადგამდით. ეს იყო ორგანიზაცია, რომელიც უმოწყალოდ ჰყვლეფდა მსახიობებს და ანსამბლებს).

როდესაც მოსკოვში დავბრუნდით, წერილი უკვე „გოსკონცერტში" იდო. ჯორჯ ცუკერმანი დაკავშირებოდა თავის კოლეგას – დონ ჰიუზს აშშ-დან და ერთობლივად გვიწვევდნენ რამდენიმე თვით გასტროლებზე კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ როგორ წარიმართა ამ მიწვევის ბედი „გოსკონცერტში" ამაზე შეიძლება სათავგადასავლო რომანიც დაიწეროს, მაგრამ მე მოკლედ მოგახსენებთ: „გოსკონცერტმა" ყოველი ღონე იხმარა, რომ ეს გასტროლები არ შემდგარიყო. ჯერ იყო და, იმპრესარიოს ძალიან დიდი თანხა მოსთხოვეს, მერე მოიმიზეზეს, რომ ანსამბლი

„რუსთავი“ დაკავებულიაო და სანაცვლოდ რუსული ანსამბლები შესთავაზეს, მაგრამ იმპრესარიოები დაჟინებით მოითხოვდნენ ანსამბლ „რუსთავს“. ამ „გულთბილ“ მიწერ-მოწერაში თითქმის ორმა წელმა განვლო, ბოლოს „გოსკონცერტმა“ მისცა წერილობითი თანხმობა იმპრესარიოებს, დაიდო კონტრაქტი და ისინიც შეუდგნენ გასტროლების დაგეგმვას.

გასტროლები იმპრესარიოებისგან დიდ ხარჯებს მოითხოვს: ანსამბლის რეკლამა, ტრანსპორტირება, საკონცერტო დარბაზებისა და სასტუმროების დაქირავება და სხვა. ყოველივე ეს ძალიან ძვირი ჯდება, როცა იმპრესარიოებმა ყველაფერი მოამზადეს და გასტროლების დაწყებამდე ორი კვირა რჩებოდა, „გოსკონცერტმა“ ისევ რაღაც მოიმიზეზა და იმპრესარიოებს უარი უთხრა. მე ამ მოლაპარაკებას დავესწარი და არასოდეს დამავიწყდება დონ ჰიუზისა და ჯორჯ ცუკერმანის სასოწარკვეთილი სახეები. ამ გასტროლებისათვის ჩვენც საგულდაგულოდ ვემზადებოდით და, მართალი გითხრათ, ძალიან დაგვწყდა გული. „გოსკონცერტის“ დირექტორს ამ მოლაპარაკებაზე თავი ისე ეჭირა, როგორც „ტიპურ რუს ბიუროკრატს“. (ლენინის თქმისა არ იყოს). მას ვუთხარი, რომ სწორედ ასეთი საქციელისათვის ეჯავრება რუსები მთელ მსოფლიოს; მერე ორიოდე „ალერსიანი“ სიტყვაც მივაყოლე და სამუდამოდ გავწყვიტე კავშირი ამ ორგანიზაციასთან, თუმცა ჩვენი გულისთვის არც მათ ჩაუცვამთ შავები. ეს იყო 1989 წლის დეკემბერი.

„გოსკონცერტიდან“ გამოსული სასწრაფოდ დავუკავშირდი ჩვენს კულტურის მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს, ავუხსენი საქმის ვითარება და დახმარება ვთხოვე. მან ყველაფერი გააკეთა, რომ გასტროლი არ ჩაშლილიყო და მთელი ფინანსური ხელშეკრულებები იმპრესარიოებთან საქართველოს კულტურის სამინისტროზე გადაეიფორმეთ. განსაკუთრებით დიდი მისია იტვირთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და დარჩენილ ორ კვირაში მოახერხა ანსამბლის წევრთა საბუთების გაფორმება მოსკოვის გარეშე. ამ საქმეში დიდი ქებისა და მადლიერების ღირსია მთელი საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგრამ მაინც გამოვყოფდი ალექსანდრე ბაქრაძეს. იგი თვითონ კურირებდა ამ საქმეს და შეუძლებელი შეძლო.

„გოსკონცერტი“ საქმის ასე შემობრუნებას აშკარად არ ელოდა (ასეთ მოკლე დროში პრაქტიკულად ასეთი საქმე არა კეთდება), გასტროლები მათ ჩაშლილად მიაჩნდათ. როდესაც დირექტორმა გაიგო საქმის ვითარება, სპეციალურად გამომიგზავნა თავისი წარმომადგენელი სასტუმრო „მოსკოვში“ და მთხოვა, ოღონდ „გოსკონცერტის“ ხაზით წავსულიყავით და მთელ შემოსავალს საქართველოში გამოგვატანდნენ. „ეს საკენკი თქვენს ქათმებს დაუყარეთ-მეთქი“, შევუთვალე და თან რამდენიმე „მოსაფერებელი“ სიტყვაც მივაყოლე. ზუსტად ისეთი, როგორც თვითონ „გვეფერებიან“ ხოლმე.

მოკლედ, „რუსთავის“ გასტროლები კანადასა და აშშ-ში შედგა და 1990 წლის 14 იანვრს ანსამბლი მონრეალში ჩაფრინდა. მონრეალის ახალ საერთაშორისო აეროპორტში დაგვხვდა ჩვენი კანადელი იმპრესარიო ჯორჯ ცუკერმანი და წაგვიყვანა კანადის დედაქალაქ ოტავაში, სადაც ჩვენი პირველი კონცერტი იყო დაგეგმილი. გზაზე დიდი თოვლი იდო; ყინვაც 30 გრადუსამდე აღწევდა. ოტავაში საუკეთესო სასტუმროში მოგვათავსეს. მეორე დილით სპეციალურად ჩამოფრინდა ამერიკელი ჩვენი იმპრესარიო დონ ჰიუზი, რომელიც ჩვენს პირველ კონცერტს დაესწრო. კონცერტი გაიმართა ოტავის ერთ-ერთ ულამაზეს საკონცერტო დარბაზში, რომელსაც 2200 კაცი



ანსამბლი „რუსთავი"

დაესწრო. კონცერტს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ჩვენმა წარმატებამ დიდად გაახარა ჩვენი იმპრესარიოებიც.

მეორე დღესვე დაიბეჭდა რეცენზიები ჩვენი კონცერტის შესახებ. ოტავის ცენტრალური გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ანსამბლის ხელოვნებას: „... საქართველო ულამაზესი მთიანი მხარეა; ნუთუ ასეთი მდიდარი ფოლკლორი, ასეთი მაღალი ხელოვნება მარტო სუფთა ჰაერისა და მთიანი ბუნების შედეგია... – არა, ეს ჰიპნოზური სიმღერები და ცეცხლოვანი ცეკვები ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში გენებში აქვთ, – დიახ, ეს ასეაა. ეს დაადასტურა ანსამბლმა „რუსთავმა", რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ხელოვნება, ურთულესი და ულამაზე-



სი პროგრამის სახით, ერთი ამოსუნთქვით წარმოგვიდგინა, – რითაც მაყურებელს სახსოვრად დაუტოვა უდიდესი შთაბეჭდილება".

„.... ულვაშებიანი, ლამაზი მამაკაცები, ტყავის ჩექმებში, მკერდგამოწეულნი, ამაყად შემოდიან სცენაზე, ისინი ბევრ სხვა მამაკაცურ ღირსებასთან ერთად ავლენენ მთავარს: ეს არის მათი დამოკიდებულება და ყურადღება იმ ათი ჰაეროვანი ქალის მიმართ, რომლებიც ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე დასრიალებენ სცენაზე, როგორც ცისფერი ფერიები. ქართველი ქალები ბორბლებზე შემდგარი თოჯინების გრაციოზულ ჯგუფს მოგვაგონებენ..."

ჩვენმა იმპრესარიოებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რომ გასტროლები მაღალ დო-

ნეზე ჩატარებულიყო, გამოიცა სპეციალური ბუკლეტი, სადაც დაიბეჭდა საკონცერტო პროგრამა და მასალები ანსამბლის შესახებ. ბუკლეტში მოთავსებულია, აგრეთვე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის – ილია II-ის დიდი პორტრეტი. გარდა ამისა, ბუკლეტში მოცემულია მოკლე ინფორმაცია კულტურის ძეგლების, ქართული ტრადიციების, კერძოდ, ქართული ღვინოების, სამზარეულოს და სხვათა შესახებ; ილუსტრირებულია ფერადი ფოტოებით, ბუკლეტი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. ერთ-ერთმა ფირმამ გამოუშვა სპორტული მაისურები წარწერით „რუსთავი“, გამოსცეს ფირფიტები, კასეტები და კომპაქტური დისკები ანსამბლ „რუსთავის“; სიმღერებით. ამ ფირფიტებს აწერია: „გაიყიდოს ყველგან, გარდა საბჭოთა კავშირისა“. როგორც ჩანს, ჩვენი ფული იმათ ჩალადაც არ უღირთ. ჩვენს ჩანაწერებზე იქ დიდი მოთხოვნილება იყო. ისინი კონცერტის დროსვე საკმაოდ ძვირად იყიდებოდა (კასეტები 15, ხოლო ფირფიტები და კომპაქტური დისკები 25 დოლარი ღირდა, სხვათა შორის, მაისურებიც წარწერით „რუსთავი“ 25 დოლარად იყიდებოდა.

ჩვენი მეორე კონცერტი ქ. კვებეკში გაიმართა. იგი ერთერთი ულამაზესი ქალაქია კანადაში. ქუჩები დახატული გეგონებათ. შენობების ფერთა გამა გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. გვიან ღამემდე მუშაობენ ათასნაირად გაფორმებული რესტორნები, პატარა ბარები, კაფეები, ცივი ზამთრისა და დიდთოვლობის მიუხედავად, ცხოვრება გვიან ღამემდე არ წყდება.

კვებეკში კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. კონცერტის შემდეგ თეატრის ფოიეში ქალაქის მერმა და თეატრის დირექტორმა მიღება მოგვინყეს, რომელსაც, ანსამბლის წევრების გარდა, დაესწრო კვებეკის საუკეთესო საზოგადოება. ისინი გულთბილად მოგვესალმნენ და დიდი მადლობა გადაგვიხადეს კონცერტზე მიღებული სიამოვნებისათვის, „ათი წელია, ჩვენს ქალაქს მსგავსი რამ არ უნახავს. გმადლობთ, საქართველოვ“, თქვა თავის გამოსვლაში ქალაქის მერმა.

ჩვენი მომდევნო გამოსვლები ქალაქ ტორონტოში გაიმართა. ტორონტო კანადის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, 2,9 მილიონი მცხოვრებით. აქ ერთხელ უკვე გახლდით 1967 წელს, „ექსპო-67“-ზე, ანსამბლ „გორდელას“ შემადგენლობაში. მას შემდეგ ქალაქი თითქმის არ შეცვლილა. საერთოდ, უცხოეთში ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ქალაქის ძველებური იერის შეცვლას. ჩემი იქ ყოფნის შემდეგ აუგიათ 553მ სიმაღლის ტელეანძა. ამ ანძის გადმოსახედიდან საოცარი პანორამა იშლება და ტორონტო ხელისგულივით მოჩანს. ვცხოვრობდით შესანიშნავ სასტუმროში, სადაც მთელი ღამე მუშაობდა ტელევიზიის რამდენიმე არხი. სწორედ იმ დღეებში ტელევიზია გადმოსცემდა აზერბაიჯანის ამბებს, საბჭოთა ჯარის ნაწილებმა როგორ დახოცეს რამდენიმე ასეული მომიტინგე, რამაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. ჩვენ ვნახეთ ისეთი კადრები, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, სსრ კავშირში არ უჩვენებდნენ. მიუხედავად ამისა, კანადისა და ამერიკის მთავრობა თავს იკავებდა კომენტარებისაგან.

ტორონტოში კონცერტებზე მოვიდნენ ქართველი ებრაელები. ისინი ჩვეული სითბოთი მოგვესიყვარულნენ, მოგვეფერნენ, საკადრისი სუფრაც გაგვიშალეს და გვითხრეს, რომ ქართულ ტრადიციას არ ჰკარგავენ, შვილებსაც ქართველებად ზრდიან. კონცერტებზე მოვიდნენ აგრეთვე ქართველი სტუდენტები, რომლებიც იქ სტაჟირებას გადიოდნენ. მათ უკვე ისე მონატრებოდათ სამშობლო, რომ უცრემლოდ ვეღარ უყურებდნენ კონცერტის თითოეულ ნომერს.

ტორონტოს საკონცერტო დარბაზი თანამედროვე სტილის ულამაზესი ნაგებობაა. ფოიეში იდგა უკანასკნელი მოდის თეთრი ამერიკული ავტომანქანა „კრაისლერი“, რომელიც რეკლამას უწევდა თავის ფირმას. მსურველს შეეძლო იქვე შეეძინა ეს მანქანა, თუნდაც განვადებით. კონცერტის შემდეგ ჩვენი ბიჭები დიდხანს უტრიალებდნენ ამ ულამაზეს მანქანას, რომლის მსგავსი ჩვენ არსად გვინახავს.

ტორონტოსთან ახლოს მდებარეობს ნიაგარას ჩანჩქერი. ჩვენ ვთხოვეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ სიამოვნებით დაგვათვალიერებინეს ეს საოცარი სანახაობა. ჯერ კიდევ ნიაგარასთან ახლოს მისვლამდე, რამდენიმე კილომეტრი (დაახლოებით 10 კმ) დაშორებითაც ისმის წყლის უცნაური გუგუნი. მეორედ გახლდით ნიაგარაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. უზარმაზარი წყლის მასა ვერტიკალურად ეშვება და ქმნის მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ჩანჩქერს (48 მ). ჩანჩქერის ახლოს გამაყრუებელი გუგუნია, ხოლო შხეფებისაგან გაჩენილი უზარმაზარი ღრუბლის მსგავსი სვეტი ცამდეა აღმართული. ნიაგარაზე რამდენიმე გადასახედია, მათ შორის ერთ-ერთი ჩანჩქერის ქვეშ, სადაც სპეციალურად გაყვანილია გვირაბი, რომლის ფანჯრიდანაც შენს წინ ვარდება წყლის უზარმაზარი მასა. მას მართლაც უდიდესი დამანგრეველი ძალა აქვს. დაგვირიგეს ცელოფანისაგან დამზადებული სპეციალური ლაბადები (შხეფებისაგან რომ არ დავსველებულიყავით) და დაგვათვალიერებინეს ნიაგარას ჩანჩქერის ყველა გადასახედი, ამ სანახაობამ ჩვენზე მართლა ნარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

სულ სხვაა აქაურობა ზაფხულში. ზამთარში ყველგან ყინულის უზარმაზარი ლოლუები ჰკიდია და შხეფების „ღრუბლისაგან“ მთელი გარემო დაფარულია. ზაფხულში ირგვლივ თვალწარმტაცი სანახაობაა, რომლის მსგავსს ალბათ სხვაგან ვერ ნახავთ. თურმე ნიაგარას ჩანჩქერმა თავისი არსებობის ისტორიაში 10-11 მეტრით უკან დაიხია. ჩანჩქერი ორ ნაკადად იყოფა, ერთი, უფრო ვიწრო, აშშ-ის ტერიტორი-



ცეკვა „აჭარული“

აზეა, მისი სიმაღლე 51 მეტრია. ორივე ჩანჩქერი გვერდიგვერდ მდებარეობს, ცოტა ქვევით, მდინარე ნიაგარაზე ხიდია, რომელიც ყოფს კანადისა და აშშ-ის საზღვარს.

ჩვენი საგასტროლო მარშრუტი ისე იყო დაგეგმილი, რომ თითქმის მთელი კანადა უნდა შემოგვევლო. რაც უფრო შევდიოდით ქვეყნის სიღრმეში, თოვლი და სიცივე უფრო მატულობდა. ანსამბლს გამოუყვეს ტექნიკური პერსონალის პატარა ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთი ნაწილი დანიშნულების ადგილზე ჩვენზე გაცილებით ადრე მიემგზავრებოდა სატვირთო მანქანით; მათ გადაჰქონდათ და წესრიგში მოჰყავდათ კოსტიუმები და რეკვიზიტი; საკონცერტოდ ამზადებდნენ სცენას (განათებას, მიკროფონებს, კულისებს, ფარდებს და სხვ.); გასაყიდად გამოჰქონდათ ანსამბლის ფირფიტები, ბუკლეტები, აფიშები, მაისურები წარწერით „რუსთავი" და სხვ. ამ ჯგუფში შედიოდნენ: სცენის რეჟისორი (კენი – 56 წლის მამაკაცი) და მტვირთავები, ხოლო ჩვენთან ერთად მოგზაურობდა კომერციული დირექტორი ბიბსი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ანსამბლის ტრანსპორტირებაზე, სასტუმროში მოწყობაზე და სხვ. ბიბსი მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად, საბჭოთა კავშირშიცაა ნამყოფი, პროფესიით მუსიკოსია, კარგად უკრავს მანდოლინაზე, გამოშვებული აქვს საკუთარი ფირფიტა, რომელსაც კონცერტის დროს ყიდის ჩვენს ფირფიტებთან ერთად.

ავტობუსის მძღოლი რობერტი ფერადკანიანია. იგი დაუზარელი და გულკეთილი ადამიანია. მას ყოველდღე უხდებოდა ანსამბლის წევრთა (56 კაცი) პირადი ბარგის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, ხან უთენია, ხანაც გვიან ღამით, რაც, დამერწმუნებით, ერთი კაცისთვის ადვილი საქმე არაა. რობერტი მაღალი კლასის პროფესიონალი მძღოლია. იგი ისე გრძნობს ამ უზარმაზარ ავტობუსს, როგორც საკუთარ სხეულს. მანქანა ყოველთვის მოვლილი ჰყავს. მთელ თავისუფალ დროს ავტობუსის დასუფთავებას ანდომებს.

რობერტის ავტობუსი ორსართულიანია, ზედა სართულით ანსამბლის წევრთა უმრავლესობა მგზავრობს. პირველი სართული ორ ნაწილად იყოფა: წინა ნაწილი საბარგოა, ხოლო უკან ათიოდე ადგილია, რომელსაც ძირითადად მოცეკვავეები იკავებენ. ამ ადგილს ბიჭები ხუმრობით „პოლიტბიუროს" ეძახიან. ზედა და ქვედა „პალატებს" შორის კიბეა, რომლითაც ზედა „პალატის" წევრები „პოლიტბიუროს" უკავშირდებიან.

ანსამბლს გასტროლებზე თან ახლდა თბილისელი ახალგაზრდა ფიზიკოსი გიორგი თოფურია, რომელიც თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. გიორგი ნიჭიერი, განათლებული და ენერგიული ახალგაზრდაა. იგი ახალისებდა ანსამბლს ამ ფრიად ძნელი მოგზაურობის დროს. „გუდ მორნინგ" – მოგვესალმებოდა გიორგი ყოველ დილით ავტობუსის მიკროფონით, მერე გვაწვდიდა უკანასკნელ ცნობებს, რომელსაც იქაური პრესა, რადიო და ტელევიზია აშუქებდა, ამიტომ ანსამბლი დიდი ინტერესით ელოდებოდა გიორგის გამოჩენას. ანსამბლს თან ახლდა ცნობილი ოპერატორი იური ბარამიძე. მან ფირზე აღბეჭდა ჩვენი გასტროლები თავისი კონცერტებით თუ ყოველდღიური ცხოვრებით.

აი, ასეთ სიტუაციაში გვიხდებოდა მგზავრობა. თავდაპირველად ქალაქებს შორის მანძილი დიდი არ იყო და ავტობუსი ამ გზას 4-5 საათში ფარავდა; რაც უფრო შევდიოდით კანადის სიღრმეში, ქალაქებს შორის მანძილმა იმატა და მგზავრობაც უფრო გაძნელდა.

მორიგი კონცერტი კინგსტონში გავმართეთ. კინგსტონი საუნივერსიტეტო ქალაქია, სულ 60 000 მცხოვრებით. მიუხედავად ამისა, აქვს დიდი საკონცერტო დარბაზი, რო-

მელიც კონცერტზე სავსე იყო სტუდენტებით. თითქმის ყოველი ნომრის შემდეგ ისინი კიოდნენ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) და გვიმართავდნენ ოვაციებს.

იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. დილით ქალაქი დავათვალიერეთ. ქუჩებს თოვლისგან წმენდნენ ხელის პატარა ტრაქტორებით, რომელიც დაახლოებით სკამისოდენი თუ იქნებოდა. ეს ტრაქტორები ისე უზადოდ ასუფთავებდნენ ქუჩებს, რომ ჩვენ გაკვირვებული მივჩერებოდით. ამან გამახსენა რუსეთში, დაბამბულ ტანსაცმელში გამოწყობილი, თავპირახვეული ქალები დიდი ხელთათმანებით, ბარებით რომ წმენდნენ თოვლისგან ჭუჭყიან ქუჩებს. რა მძიმე შრომაა, პირდაპირ აუტანელი! ქალებს კი არა, კაცებსაც უჭირთ ასეთი სამუშაოს შესრულება. საერთოდ უცხოეთში ქალებისათვის შედარებით მსუბუქი სამუშაოა გამოძებნილი.

კინგსტონიდან ქალაქ სადბერში გავემგზავრეთ. დიდი გზა გვქონდა გასავლელი. ამიტომ ანსამბლის წევრები დასის გამგემ ტარიელ ამაშუკელმა დილით 5 საათზე გააღვიძა. უძინარები, წინა ღამის კონცერტით დაღლილი „რუსთაველები“, სიცივისაგან მობუზულები, უხალისოდ ადიოდნენ ავტობუსში.

ყინვა 40 გრადუსამდე აღწევს. ყველა ფანჯარა ყინულითაა დაფარული, ირგვლივ არაფერი ჩანს, მარტო მძღოლის ფანჯარა იწმინდება. მთელი დღე მივდივართ ტაიგაში, არც ერთი დასახლებული პუნქტი არ ჩანს გზაზე. სადმე რომ დანაყრდე, იმისი საშუალებაც კი არ არის. მადლობა ღმერთს, რომ ზოგიერთს გუშინდელი ვახშმის სარეზერვო ფონდიდან წამოუღია საგზალი. გზა თუმცა კარგია, მაგრამ მოლიპული. ხშირად გვიხდება მანქანის გაჩერება და შუშებიდან ლოლუების ჩამოფხეკა. წინააღმდეგ შემთხვევაში გზას მძღოლიც ვერ დაინახავს. ნეტავ სადმე შეიძლებოდეს გაჩერება, რომ ფეხები მაინც გავმართოთ, მაგრამ გარეთ 40 გრადუსი ყინვაა.

მთელი დღე თოვლის მეტი რომ ვერაფერი დავინახეთ, მომღერალმა ამირან გოლიაძემ იხუმრა: „ბატონო, ნამდვილად გაგვაციმბირეს და გვიმალავენო“.

საღამოს ანსამბლ „რუსთავის“ წევრები ღიმილით უკრავენ თავს აღტაცებულ მაყურებელს, რომელმაც არ იცის, რომ ამ ღიმილიანმა გოგო-ბიჭებმა დღეს 700 კმ გამოიარეს და ავტობუსში 12 საათი დაჰყვეს.

ასეთი შემთხვევა გამონაკლისი არ იყო. მთელი დღე ავტობუსით ვმგზავრობდით, მერე სასტუმროში მოწყობას ვერ ვასწრებდით და ისევ სცენა, რეპეტიცია და მაყურებელთან შეხვედრა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ხანდახან ყინვა 30-40 გრადუსამდე აღწევდა. ასეთ ამინდში მთელი დღე ავტობუსში ყოფნა და მერე მაღალ დონეზე კონცერტის გამართვა, დამერწმუნებით, მეტად ძნელია, ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობა სულის მოსალხენი გასეირნება იყოს. ეს წარმატებაც თავდაუზოგავი შრომის, უდიდესი დატვირთვისა და ენერგიის ხარჯვის შედეგია. ჩვენი გოგო-ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავს არ ზოგავდნენ, ვინაიდან სტიმულს გვაძლევდა ორი რამ: საქართველოსა და მისი ხელოვნების პოპულარიზაცია უცხოეთში და პირველად ანსამბლის არსებობის ისტორიაში მთელი საკონცერტო შემოსავლის (ვალუტით) საქართველოში წამოღება.

ახლა ისევ პრესას მივმართოთ:

„გუშინდელ კონცერტზე მომღერლებისა და მოცეკვავეების მიერ წარმოდგენილი ურთულესი მასიური სცენები უდიდესი შრომის შედეგია და ალბათ შექმნილია იმისათვის, რომ მაყურებელი სასიამოვნო შოკში ჩააგდონ, რასაც ანსამბლის წევრები დიდებულად ახერხებენ“.

„... იყო საქორწილო სიმღერები და ცეკვები. სცენა სანთლებით იყო განათებული. სიმღერა – არაჩვეულებრივად საზეიმო, ხოლო ცეკვა – გრაციოზული და ნაზი. ყოველივე ამან წარმოდგენა შეგვიქმნა ქართველი ხალხის უძველეს და ულამაზეს ტრადიციებზე."

ეს პრესა ბიბსს მოაქვს ხოლმე და ავტობუსში გიორგი გვიკითხავს, რომ ხალხი გაამხიარულოს. ბიბსი მხიარული და კეთილი კაცია. მას თან დააქვს თავისი მან დოლინა და ხშირად იმპროვიზებულ კონცერტს გვიმართავს, ანსამბლი ტაშისცემით ეგებება მის ყოველ ნომერს.

მანდოლინა ბიბსს საბჭოთა კავშირში შეუძენია. ამასთან დაკავშირებით მან უსიამოვნო ამბები გაიხსენა: „საბჭოთა კავშირში სულ ერთხელ ვიყავი და მეტს აღარ ჩავალ, – თქვა ბიბსმა, – ერთხელ გორკის ქუჩაზე ვიღაცას სცემდნენ: ხუთი ურტყამდა ერთს. მე გამოვესარჩლე და ვაშველებდი. ამ დროს მოვიდნენ მილიციელები და „დუბინკებით" დაგვიწყეს ცემა მე და დაზარალებულს, დანარჩენები გაიქცნენ; ქალები კიოდნენ, ყვიროდნენ; როცა მცემდნენ, ხალხი თანამიგრძნობდა, მაგრამ ახლოს არავინ მოდიოდა. იძულებული ვიყავი ინგლისურად დამეყვირა, რომ „ბი-ბი-სის" კორესპონდენტი ვარ-მეთქი. მილიციამ თავი დამანება, მაგრამ გამაკვირვა ხალხმა, რომელთაც საშინელი სახეები გაუხდათ. მათ ჩემში მტერი დაინახეს და საყვედურსაც გამოთქვამდნენ, რომ კიდევ არ დამიმატეს. ასეთი რამ ჯერ არ მინახავს. მხოლოდ ერთი მოხუცი მოვიდა ჩემთან, წამომაყენა. მომასულიერა და მითხრა: „არა უშავს, შვილო, ჩვენთან უარესიც ხდებაო". მერე ბალალაიკის ოსტატთან წავედი და მოვუყევი, რაც შემემთხვა. მან მე გამამტყუნა და მითხრა, რომ რაც შენი საქმე არ არის, იქ ცხვირი არ უნდა ჩაჰყოო. იგი თავგამოდებით იცავდა საბჭოთა მილიციას და საბჭოთა ხელისუფლებას. როგორც გამოირკვა, 18 წელი გადასახლებული ყოფილა. მასთან სახლში დამხვდა სარატოვის ხალხური საკრავების ანსამბლის დირიჟორი. ჩვენ ერთად წამოვედით. იგი „ნაციონალის" ბარში დავპატიჟე. დავლიეთ ერთი ბოთლი ვისკი, ვლაპარაკობდით რუსულ ენაზე. დირიჟორის გვერდით ვიღაც იჯდა, ძალიან ჰგავდა ჩემს მექსიკელ მეგობარს. ისიც დავპატიჟე, როცა ცოტა დავლიეთ, დირიჟორმა მთხოვა, ერთი ქილა ხიზილალა მიყიდეო. მე ვუყიდე, მან ჩანთაში შეინახა, ამ დროს ტუალეტში გავედი და, როცა დავბრუნდი, ჩემი მეგობრები იქ აღარ დამხვდნენ. სანამ გავერკვიე სიტუაციაში, ვიღაცის მძლავრმა ხელმა გვერდით ოთახში შემიყვანა. ჯერ ვინაობა მკითხეს, მერე მათ შესახებ შემეკითხნენ, თუ საიდან ვიცნობდი და ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ იმ დღეს გაცნობილები ერთად ვსვამდით. მერე მათ წაართვეს ხიზილალაც და სხვადასხვა რაღაცებიც, მათ შორის ნოტებიც. მე გამომიშვეს, როგორც უცხოელი, ხოლო ისინი დაიტოვეს. სასტუმროში წავედი, მაგრამ ვინაიდან ჯიბეზე პასპორტი არ აღმომაჩნდა, არ შემიშვეს. ამ დროს ორი გოგონა მოვიდა, ისინი უპასპორტო შეუშვეს. ერთი მათგანი მომიახლოვდა, თავისი თავი შემომთავაზა 50 დოლარად და სასტუმროში შეყვანას შემპირდა.

მეორე დღეს ქუჩაში ისევ დამიჭირეს, ვინაიდან ამერიკელ ტურისტებს გავესაუბრე და, სანამ არ გაარკვიეს ვინ ვიყავი, არ გამიშვეს.

მესამე დღეს „ბერიოზკაში" შევედი. ვიფიქრე, რუსულ სუვენირებს ვიყიდი-მეთქი. გამყიდველს რუსულად დავუწყე ლაპარაკი და როცა სუვენირების ფული დოლარებით გადავიხადე, , უცნობი პირები გვერდში ამომიდგნენ და следуйте за нами -ო მითხრეს; მერე დამიწყეს დაკითხვა, თუ საიდან მაქვს ამდენი დოლარი და სანამ არ გაარკვიეს ვინ ვიყავი, არ გამომიშვეს

* * *

ბიბსის ნაამბობმა გამახსენა ერთი ამბავი, რომელიც ბატონმა ლევან საღარაძემ მიამბო. იგი სირიაში ცხოვრობდა და დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. როცა საზღვრები გაიხსნა, ბატონი ლევანი საქართველოში ჩამოვიდა. უკან დაბრუნებისას ნათესავებმა მოსკოვამდე გააცილეს. ლევანმა ისინი „ბერიოზკაში" შეიყვანა და საჩუქრები უყიდა. როდესაც დოლარებით საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა, იგი გვერდით ოთახში შეიყვანეს და დაუწყეს დაკითხვა, თუ ქართველს საიდან აქვს ამდენი ვალუტა. არც კი ჰკითხეს, რომელი ქვეყნის მოქალაქე იყო, ისე ლანძღავდნენ უშვერი სიტყვებით, მერე წონასწორობა დაკარგეს და მილიციაც კი გამოიძახეს თურმე; მანქანას კიდევ რამდენიმე „გადაცმულიც" მოჰყვა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელზე ბორკილების დადება დაუპირეს, მაშინ ბატონმა ლევანმა ამოიღო თავისი სირიული პასპორტი, და რომელიც უფროსად შეიცნო, იმას მიარტყა ცხვირში, ისე, „დურაჩკაში" წაგებულებს რომ უკეთებენ კარტით, თანაც სასწრაფოდ მოითხოვა სირიის საელჩოსთან დაკავშირება. მაშინ კი დაფრთხნენ და პატიება ითხოვეს. ბატონი ლევანი ჯერ კატეგორიულ უარზე იდგა, მაგრამ მერე უთხრა: „რუსი ამას გაპატიებდათ? ბედი თქვენი, რომ ქართველი ვარ, ქრისტიანი და მიმტევებელიო".

მძღოლმა, რობერტმა, გამოგვიცხადა, რომ ვუახლოვდებით სასაუზმე „მაკდონალდსს", და იქ შევისვენებთ 45 წუთს. „მაკდონალდსი" მთელს მსოფლიოში ყველაზე იაფფასიანი სასაუზმეა, ამიტომ საბჭოელები, როგორც წესი, იქ ესაუზმობდით ხოლმე.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია მოდებული „მაკდონალდსის" სასაუზმეები. რამდენიმე დღის წინათ იგი მოსკოვშიც გახსნეს. კანადის ტელევიზიამ აჩვენა მოსკოვში „მაკდონალდსის" გახსნის ცერემონიალი, აჩვენა უწყვეტი რიგები. ასეთი რიგები ლენინის მავზოლეუმში მინახავს მხოლოდ, შემდეგ კომენტარი გაუკეთეს მოსკოვურ „მაკდონალდსს" და აღნიშნეს ამ ფაქტის მნიშვნელობა: ათი წელი მოვუნდით მოსკოვში „მაკდონალდსის" გახსნას, – თქვა ტელევიზიით ფირმის კომერციულმა დირექტორმა. – რუსებს ვასწავლეთ კარტოფილის სპეციალური ჯიშის მოყვანა, სპეციალური ჯიშების საქონლის გამოყვანა და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ვერაფრით ვერ ვასწავლეთ გაღიმება, რაც ასე აუცილებელია მოსამსახურე პერსონალისთვის".

გზაზე ძალიან დიდი თოვლია, ამიტომ ტრასებზე ყოველ წუთს მოძრაობენ დიდი სატვირთო მანქანები, რომლებიც ასეულ ტონობით მარილს ჰყრიან, რომ მოძრაობა არ შეფერხდეს. გარდა ამისა, მოძრაობენ ავტომანქანები, რომლებიც გზას ძალიან სწრაფად და კარგად ასუფთავებენ თოვლისაგან. მიუხედავად ამისა, დიდი ყინვებისაგან მოძრაობა მაინც ძნელდება.

გავიარეთ რამდენიმე ქალაქი. ყველა მათგანის შესასვლელში დიდი აბრაა გამოკრული. აბრას დიდი ასოებით აწერია ქალაქის დასახელება და მოსახლეობის რაოდენობა. ქალაქების სახელები რომ ვათარგმნინეთ, იგი დაახლოებით ასეთი იყო: „წითელი ირემი", „ვარდი", „მიხაკი", „ბულბულის ბაღი", „ატმის რტო" და სხვ. „საბჭოეთის ქალაქების დასახელება სხვანაირია, – თქვა ბიბსმა, – „ვლადივოსტოკ", „ვლადიკავკაზ", „ვლადიმირ" და სხვ. ჩვენს დროშაზე ჭადრის ფოთოლი ახატია, საბჭოთაზე კი – ნამგალი და ურო". ბიბსმა ეს მოვლენა ასე ახსნა: „ჩვენ, კანადელები, უფრო პოეტურები ვართო".

საღამოს ქ. სანდერბეის ბრწყინვალე დარბაზში (ტევადობა 2200 კაცი) გამოვედით ისე, რომ სასტუმროში მოწყობა ვერც მოვასწარით. ის კი არა, რეპეტიციის დროც

არ იყო. ფრიდონ სულაბერიძემ სახელდახელოდ აითვისა სცენა და მალე კონცერტიც დაიწყო. ფინალის გამეორება რამდენჯერმე მოგვიხდა. ნარმოიდგინეთ 10 საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩვენი მოცეკვავეები როგორ დატვირთვას უძლებდნენ. შესვენების დროს გასახდელში ცოტა წათვლიმეს, რომ ენერგია აღედგინათ.

კონცერტს დაესწრო უკრაინელ ემიგრანტთა დიდი ჯგუფი. ამ ქალაქში უკრაინელების დიდი დიასპორაა. კონცერტის შემდეგ ნაგვიყვანეს თავიანთ კლუბში და მშვენიერი შეხვედრა მოგვიწყეს. „ჩვენ ამ შეხვედრისათვის დიდი ხანია ვემზადებოდით“, – გვითხრა დიასპორის მეთაურმა, ჭარმაგმა უკრაინელმა, რომელიც ნაციონალურ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ძალიან მაგონებდა ტარას ბულბას. მან გაიხსენა ტრადიციულად თბილი დამოკიდებულება ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის, არც დავით გურამიშვილი გამორჩენია. „ატამანმა“ მოიგონა 9 აპრილი, მოგვისამძიმრა და დიდი შეფასება მისცა საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი მალე მიაღწევს დამოუკიდებლობასო.

შემდეგ მიგვიწვიეს მშვენიერ სუფრასთან; გვემსახურებოდნენ ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი უკრაინელი ქალები.

მათ გვითხრეს, რომ უკრაინელ ემიგრანტთა დიასპორა კანადაში მრავალრიცხოვანია (475 ათასი). ისინი არ ივიწყებენ თავიანთ ენას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

ასეთი კარგი მიღების შემდეგ დაღლილობამ გადაგვიარა. გაიმართა ცეკვა-თამაში, გაისმოდა უკრაინული და ქართული სიმღერები, საღამომ მეტად გულთბილად ჩაიარა.



ქალთა ცეკვა

თითქმის თენდებოდა, როცა დავიშალენით, ამიტომ სასტუმროში შესვლას აზრი აღარ ჰქონდა და ჩვენც ბოშების ბანაკივით ავიყარენით და გეზი სხვა ქალაქისაკენ ავიღეთ.

* * *

ჩვენი გასტროლები ისე იყო დაგეგმილი, რომ ზოგჯერ კონცერტებს ვმართავდით კანადის სამხრეთ-დასავლეთით, ამერიკის საზღვრებთან ახლოს. კანადის გასტროლების დროს ორჯერ მოგვიწია ამერიკის ქალაქებში გამოსვლა. დღეს, შუადღისას, პირველად გადავლახეთ აშშ-ის საზღვარი. საბჭოეთისაგან განსხვავებით, აქ თითქმის არავითარი საზღვარი არ ჩანს. იგი გურია-სამეგრელოს საზღვარს მოგვაგონებს. მარტო ერთი წარწერა – „კანადა“ მიგვანიშნებს, რომ იმის იქით იწყება აშშ-ს ტერიტორია, სადაც დგას პატარა ერთსართულიანი შენობა. აქ არავინ ჩერდება, გარდა საბჭოელებისა. ჩვენ იძულებული ვართ გავჩერდეთ, რათა პოლიციას პასპორტებში ბეჭდები ჩავარტყმევინოთ, დავაფიქსიროთ თარიღი და აშშ-ის საზღვრის გადაკვეთა, თორემ ჩვენებური კანონის მიხედვით, ანსამბლის წევრებს დღიურ ანაზღაურებას ვერ გადავუხდით. პოლიციელებს ეზარებათ გარეთ გამოსვლა. ჩვენ ვეხვეწებით, რომ გამოვიდნენ და პასპორტებში ბეჭედი ჩაგვირტყან; ახლა ამათ ხომ ვერ ავუხსნით ყველაფერს. მოკლედ, ამათ არაფრად მიაჩნიათ ჩვენი პასპორტები. ვისაც უნდა, თავისუფლად გადადის და გადმოდის საზღვარზე. პოლიციელები ზედაც არ უყურებენ.

ამ ფაქტმა გამახსენა ერთი ამბავი, რომელიც ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა მიამბო: მას ამერიკელი სტუმრები ჰყავდა. ბატონმა რეზომ გადაწყვიტა მათთვის ვარძია ეჩვენებინა, მაგრამ ახალციხის სასაზღვრო ჯარების უფროსმა ნება არ მისცა, აქ თურქეთის საზღვარი ახლოსაა და უცხოელების შეყვანა არ შეიძლებაო. ბატონმა რეზომ უთხრა: როგორ გგონიათ, ამერიკელებს რომ თურქეთში გადასვლა უნდოდეთ, აქ ჩამოვიდოდნენ? აიღებდნენ ბილეთს და პირდაპირ თურქეთში ჩაფრინდებოდნენო. – უფროსი დაფიქრდა და უპასუხა თურმე: „მაგაზე არ გვიფიქრიაო“.

ერთი ამბავიც გამახსენდა: 70–იან წლებში გერმანიაში, ქ. საარბრიუკენში ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები. როცა საარბრიუკენიდან მოსკოვში ჩამოვფრინდით, თვითმფრინავის ტრაპთან ავტომატმომარჯვებული მესაზღვრეები დაგვხვდნენ. მაშინ ასე ხვდებოდნენ თვითმფრინავს. ჩვენ შეიარაღებულთა „კორიდორი“ გავიარეთ და „ტრაპთან“ ახლოს მდგომ ავტობუსს მივაშურეთ. თვითმფრინავი დიდია, ავტობუსი – პატარა. ამიტომ ავტობუსში ყველა ვერ ჩავეტიეთ. კარები დაიხურა, მე და ჩვენი სახელოვანი სიმებიანი კვარტეტის წევრი კონსტანტინე ვარდელი გარეთ დავრჩით. „რატომ არ გაჰყევით ავტობუსს?“ – დაგვიყვირა მესაზღვრე კაპიტანმა, „ვერ ჩავეტიეთ“ – მშვიდად უპასუხა კონსტანტინემ. „Что, обожрались, да?“ – იყო „ზრდილობიანი“ პასუხი.

აშშ-ის პირველი ქალაქი, სადაც კონცერტი გავმართეთ, იყო ქ. ფარგო. კონცერტი გაიმართა სპორტის სასახლეში, რომელსაც 4000-მდე მაყურებელი დაესწრო. წარმატება მართლაც დიდი იყო, ფეხზე დამდგარმა მაყურებელმა ოვაცია გაგვიმართა. რამდენჯერმე მოგვიხდა ფინალის გამეორება და როცა მაყურებელს ეგონა, რომ ანსამბლმა ამოწურა თავისი შესაძლებლობა, სწორედ მაშინ შევასრულეთ პოპულარული ამერიკული სიმღერა „ამერიკა, ამერიკა“, ეს იყო მათთვის ძვირფასი საჩუქარი. სიმღერას მთელი დარბაზი აჰყვა.

კონცერტის შემდეგ ბევრი ამოვიდა სცენაზე (სხვათა შორის, ეს ხშირი შემთხვევა

იყო). ისინი თხოულობდნენ ავტოგრაფებს, გვეკითხებოდნენ საქართველოს შესახებ. მაყურებლის უმრავლესობამ ცოტა ან საერთოდ არაფერი იცოდა ჩვენს ქვეყანაზე. უმეტესობას საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელი ყველა რუსი ჰგონია, ამიტომ დიდი ჯაფა დაგვადგა, რომ სწორი ინფორმაცია მიგვეწოდებინა, მაგრამ მარტო შიშველი სიტყვებით ხალხს ვერ დაარწმუნებ, აუცილებელია მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოიცეს ალბომი, რომელშიც მოკლედ აისახება საქართველოს ნამდვილი ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და კულტურა, დასურათებული ჩვენი იშვიათი ძეგლებით.

ახლა ეს ისეა საჭირო, როგორც არასდროს. ასეთი ალბომები ყველა ანსამბლმა და ყველა ტურისტმა უნდა წაიღოს საზღვარგარეთ.

მეორე დღეს ისევ კანადაში დავბრუნდით. დილით ბიბსმა ავტობუსში ამოიტანა პრესა, გიორგიმ გვითარგმნა.

„...უმაღლეს დონეზე გაწაფული ვირტუოზის – ომარ კელაპტრიშვილის მიერ მგზნებარე ქართულ ფლეიტა-სალამურზე ნაზი ტემბრითა და ულამაზესი ბგერებით შესრულებული მელოდიები ბერძნული ღმერთების საკრავების ჟღერადობას მოგვაგონებს. იგი უკრავს ორ უძველეს სიმებიან საკრავთან – ჩონგურთან და ფანდურთან ერთად, რომელთა ტემბრი ანდების ქვეყნების ინსტრუმენტულ ჟღერადობას ჩამოჰგავს...“

„...ქართველებმა გვიჩვენეს ურთულესი და ულამაზესი ცეკვები, რომლებშიაც აისახა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ქართველი ქალები ფერიებივით დასრიალებენ სცენაზე და არაჩვეულებრივი სინქრონულობით ასრულებენ ლირიკულ ცეკვებს. განსაკუთრებული ქების ღირსია მასიური ცეკვები. როგორც საქორწილო, ისე მთიულურ ცეკვებში ყველა დეტალი გათვლილია. აქ ერთი ზედმეტი ელემენტიც კი არ არის ისეთი, რომელიც დისონანსს შეიტანდა ამ შესანიშნავ წარმოდგენაში. აშკარად იგრძნობა ქორეოგრაფის (ფ.სულაბერიძე) დახვეწილი, მაღალი გემოვნება.

განსაცვიფრებელია ცეკვა ხმლებითა და ხანჯლებით. მოცეკვავეები თავბრუდამხვევ ტემპში ისეთი სიზუსტით აკეთებენ მოძრაობებს, რომ მაყურებელი სუნთქვაშეკრული უცქეროდა ამ საოცარ სანახაობას.

გუშინდელმა კონცერტმა საუკეთესო შთაბეჭდილება შეგვიქმნა ქართულ ხელოვნებასა და საქართველოზე...“

„...არაჩვეულებრივია ვოკალურად სრულყოფილი მამაკაცთა გუნდი, რომელიც გვთავაზობს გულიდან ამოხეთქილ პატრიოტულ სიმღერებს, სიცოცხლით სავსე სამგზავრო და საბრძოლო სიმღერებს, რომლებიც სავსეა განსაცვიფრებელი იოდლებით (რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან). შესანიშნავია ნაზი ლირიკული სიმღერები და უმდიდრესი საეკლესიო საგალობლები...“.

„მამაკაცთა გუნდი, აკომპანიმენტის გარეშე (აკაპელა), წარმოუდგენელი მგრძნობელობით მღეროდა ურთულეს მრავალხმიან სიმღერებს. მათი ხმები დიდი დიაპაზონის ყველა რეგისტრში შეუდარებელი სილამაზით ჟღერდა.“

რეცენზიების გვერდით, ერთ-ერთ გაზეთში მოთავსებული იყო ასეთი რეკლამა: „იყიდება ყველა მარკის ავტომანქანა. თუ თქვენ ჩააბარებთ თქვენს მანქანას, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, დაგიკლებენ შესაბამისად 2000 და მეტ დოლარს. თუ გაატარებთ ჩვენს მანქანას და მოგეწონებათ, კიდევ დაგიკლებენ 500 დოლარს.

დღეს პირველი თებერვალია. დავბრუნდით ისევ „მშობლიურ“ კანადაში და კონცერტი გავმართეთ ქ. ედმონტონში. ედმონტონი შედარებით პატარა ქა-

ლაქია, მაგრამ აქვს შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი 2700 კაცზე. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ედმონტონელ მენეჯერთა ერთი ჯგუფი, რომელიც ცოტა ხნის წინათ საქართველოში ყოფილა. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ჩვენი სტუმართმოყვარეობით, საერთოდ საქართველოთი. კონცერტის შემდეგ მათ მოგვიწყეს მშვენიერი შეხვედრა, სადაც დაპატიჟეს ედმონტონის საუკეთესო საზოგადოება, გვაჩვენეს ვიდეოფილმი „ქრისტე", რომელიც ქართულად იყო გახმოვანებული კინოსტუდია „ქართულ ფილმში" (გახმოვანების რეჟისორი სოსო ჩხაიძე). გვიან ღამით ჩვენ გულთბილად დავემშვიდობეთ კეთილ მასპინძლებს, შეხვედრის ინიციატორს ჯერი კლემკეს.

მეორე დღეს გაზეთი „ედმონტონ ჟურნალი" წერდა: „... ხმლების ნაპერწკლები ზეცას აღწევდა. მამაკაცები თავგანწირვით იბრძვიან და გვიჩვენებენ ტრადიციულ გაწვრთნილობას. როგორც ჩანს, თავისი ისტორიული წარსულის გამო ქართველები იარაღს კარგად ფლობენ. ხანჯლები გასაოცარი სისწრაფით ერჭობოდნენ იატაკში. ფეხის წვერებზე მამაკაცების ცეკვა და მათი გრძელი, მაღალი ნახტომები ირმის ნახტომს მოგვაგონებდა.

იშვიათი სიმღერებისა და ცეკვების კორიანტელი ტრიალებდა თეატრის სცენაზე, როცა „რუსთავის" მომღერლები და მოცეკვავეები ურთულესი და ულამაზესი ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების უძველეს ტრადიციებს აცნობდნენ ედმონტონელებს და თანაც როგორ ტრადიციებს! ეს საღამო დიდხანს არ დაგვავიწყდება".

იანვრის ბოლოს, თავისი პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კონგრესის წინაშე. ეს გამოსვლა ტელევიზიით გადაიცა მთელ ცივილიზებულ სამყაროში.

ბუშის გამოსვლა ძალიან ეფექტური იყო. მას ხშირად ტაშით აწყვეტინებდნენ, რამდენჯერმე ფეხზეც კი ადგნენ. მან თითქმის ყველა სფერო მიმოიხილა.

„...ამერიკა, – თქვა მან, – არის იდეა თავისუფლებისა, რომლისკენაც ილტვის ყველა ცივილიზებული ხალხი.

ამერიკას აქვს სამი ძირითადი პრინციპი, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს: 1. ადამიანის სიცოცხლის უფლება; 2. თავისუფლების უფლება, 3. ბედნიერებისკენ ლტოლვის უფლება.

ამ იდეების გარშემო შემოიკრიბა მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, ამერიკა გახდა მამოძრავებელი ძალა დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ. ამისკენ მიილტვის მსოფლიოს პროგრესული ნაწილი. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ის მოვლენები, რომლებიც ხდება აღმოსავლეთ ევროპაში. მოვლენები აქ ელვის სისწრაფით განვითარდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ერიკ ჰონეკერი ამბობდა, რომ „ბერლინის კედელი" სულ ცოტა 100 წელი მაინც იდგებაო. დღეს „ბერლინის კედელი" უკვე ისტორიაა. ან კიდევ ჩეხოსლოვაკიელი დრამატურგი ვაცლავ ჰაველი, რომელიც პოლიტიკური პატიმარი იყო, უცბად, ერთი წლის შემდეგ, პრეზიდენტი გახდა. ან კიდევ რუმინეთი, რომელმაც ჩაუშესკუს დიქტატურა დაამხო. პოლონეთი, უნგრეთი... ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს საბჭოთა კავშირშიაც, მაგრამ ჯერ კიდევ არა ვართ ბოლომდე დარწმუნებული საბჭოთა კავშირის მომავალში, რომელიც მართალია, დიდი შემცირებით, მაგრამ მაინც ახდენს თავისი სტრატეგიული შეიარაღების მოდერნიზაციას. ამიტომ ჩვენც იძულებული ვართ, არ შევწყვიტოთ და გავაგრძელოთ ჩვენი სტრატეგიული შეიარაღების მოდერნიზაცია და კერძოდ, „სოი" უნდა გავატაროთ ცხოვრებაში.

ამავე დროს, ჩვენ მზად ვართ, შეიარაღება ევროპაში მინიმუმამდე დავიყვანოთ. დღეს დილით მე ველაპარაკე პრეზიდენტ გორბაჩოვს და შევთავაზე, ევროპაში ჯარის რაოდენობა ორივე მხრიდან თითოეულმა დავიყვანოთ 195 ათასამდე (ტაში). დარჩენილი ჯარების ძირითადი მასა განლაგებული იქნება გერმანიის ორივე მხარეს. გარდა ამისა, ჩვენ გვეყოლება მცირეოდენი ჯარი ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. ეს წინადადებები ემყარება ჩვენი სამხედრო ექსპერტების რჩევას...“

* * *

ედმონტონში ერთი დღე თავისუფალი გვქონდა და წაგვიყვანეს ექსკურსიაზე. ჯერ გვაჩვენეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, რამაც ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მერე, როცა გვითხრეს, უნივერმაღი უნდა გაჩვენოთო, შევყოყმანდით, მასპინძლებს გაეცინათ და გვითხრეს: ეს ჩვეულებრივი უნივერმაღი არ გეგონოთ, ღირს იქ ექსკურსიაზე წასვლაო.

როცა ლაპარაკია უცხოურ უნივერსალურ მაღაზიაზე, ალბათ, უმეტესობას თვალწინ წარმოუდგება სხვადასხვა საქონლით გადატენილი დახლები. ეს თავისთავად, მაგრამ იმას, რაც ედმონტონის უნივერმაღში ვნახეთ, ალბათ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა. როგორც გვითხრეს, მაღაზიას უჭირავს დაახლოებით მთელი ქალაქის 1/10 ფართობი. იგი რამდენიმესართულიანია. სხვადასხვა სექციაში სხვადასხვა სანახაობაა წარმოდგენილი. ერთ სექციაში გაყვანილია უშველებელი არხი, რომლის ერთ ბოლოში დგას საკმაოდ დიდი, ძველებური (XVIII ს.) იალქნიანი ულამაზესი გემი, გაწყობილი ძველებური ნივთებით. ამ გემთან ახლოს, არხის ფსკერზე დევს ასევე ძველებური ჩაძირული გემი, რომელიც კარგადაა განათებული, დაფარულია ჟანგითა და წყალმცენარეებით. აქ დაცურავენ ოკეანისა და ზღვის ბინადარნი. არხში დაცურავს წყალქვეშა ნავი, რომელიც პერიოდულად ზედაპირზეც ამოდის. მსურველებს შეუძლიათ, ამ არხში ექსკურსია მოაწყონ. ყოველივე ეს საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს. თქვენ შეგიძლიათ ივაჭროთ, თანაც ზემოდან უყუროთ ამ იშვიათ სანახაობას.

სხვა სექციებში მოწყობილია მანქანების გამოფენა, სადაც იყიდება მსოფლიოს თითქმის ყველა ფირმისა და მარკის ავტომანქანა.

სხვაგან კიდევ ისეთი გასართობი ატრაქციონები და სათამაშოებია ბავშვებისა და დიდებისთვისაც, რომლის მსგავსი მხოლოდ დისნეილენდში თუ მინახავს. საოცარი სისწრაფით დადიან პატარა ვაგონებიანი მატარებლები, კოსმოსური ხომალდები, თვითმფრინავები, სათამაშო მანქანები, მოტოციკლები და სხვ. თვალს მოგჭრით ათასნაირი ელექტროსათამაშო კომპიუტერები თუ მულტფილმები, საშინელებათა ფილმები და მრავალი სხვა. ყოველივე ამის გვერდზე იყიდება ყველანაირი საქონელი და პროდუქტი, ალბათ, რაც კი მსოფლიო ცივილიზაციას შეუქმნია. სხვა სექციებში გარეული ცხოველები და ფრინველებია. ბავშვები სიამოვნებით ეთამაშებიან ხოხბებს, ფარევანგებს, სირაქლემებს, შვლებს, პატარა ცხენებს – „პონებს“ და სხვა.

უნივერმაღის ერთ განაპირა მხარეს გაკეთებულია ხელოვნური ზღვა. აქ ნამდვილი ზაფხულის კლიმატია შექმნილი, საოცრად ლამაზი პლაჟებით, ხელოვნური პალმებით და სხვა მცენარეებით. ეს პლაჟები მუდამ სავსეა ბანაობის მოყვარულებით. მოკლედ, ამ უნივერმაღში მოდიან ახლომახლო ქალაქებიდანაც არა მარტო სავაჭროდ, არამედ დასათვალიერებლად და დასასვენებლადაც.

შემდეგი ქალაქი, სადაც კონცერტი გავმართეთ, იყო კალგარი. გზას დიდი დრო მოვან-



„სამაია“

დომეთ, ამიტომ ბიბსმა ჩვენი ავტობუსი პირდაპირ საკონცერტო დარბაზთან მიიყვანა. აქაური საკონცერტო დარბაზი, ისევე როგორც სხვები, სადაც კი კონცერტები გავმართეთ, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს; ვერ იტყვით, რომ გარედან დიზაინი რაღაც განსაკუთრებულია და თავისი არქიტექტურით თვალს გჭრით, პირიქით, გარედან საკონცერტო დარბაზების უმრავლესობა ერთი შეხედვით საკმაოდ უფერულადაც გამოიყურება, მაგრამ შეხვალთ თუ არა შიგნით, იმ წუთში შეგეცვლებათ შთაბეჭდილება და აღტაცებული რჩებით. დარბაზების უმეტესობა 2900-ზე მეტ მაყურებელს იტევს. პარტერი საოცარი გემოვნებითაა გაფორმებული. იშვიათი რბილი სკამები, ფართე გასასვლელები, უხმაურო კონდენციონერები, კარგი განათება. ყველა ადგილიდან საოცარი ხილვადობა. სცენა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, საუკეთესოა მიკროფონები და გახმოვანება, ტევადი გასახდელები, იშვიათი მომსახურება, ბრწყინვალე ფოიეები, ბარებითა და ესკალატორებით, მოკლედ, ასეთია კანადისა და აშშ-ის საკონცერტო დარბაზების უმრავლესობა, ასეთია ქ. კალგარის საკონცერტო დარბაზიც, სადაც ჩვენი კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

მეორე დღე თავისუფალი გვქონდა და ნაშუადღევს ქალაქი დავათვალიერეთ. კალგარი ერთ-ერთი თანამედროვე ქალაქია კანადაში, ულამაზესი ცათამბჯენებითა და საერთოდ იშვიათი არქიტექტურით. ორ ერთნაირ შენობას ვერ ნახავთ, ყველა მათგანი ხელოვნების ნიმუშია. ამ ქალაქში, ისევე როგორც სხვაგან, შესაშური სიწყნარე და სიმშვიდეა. თუმცა საკმაოდ დიდი თოვლი იდო და ძალიანაც ციოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით დავდიოდით ქალაქის ქუჩებში, რომლებიც სავსეა რესტორნებით, ბარებითა და მაღაზია-გასტრონომებით, სადაც ათასნაირი საჭმელ-სასმელი იყიდება. მაღაზიებში ხალხი კანტიკუნტად დადის და მე სულ ერთი აზრი მაწუხებდა: ვინ ყიდულობს და როდის საღდება ამდენი პროდუქტი?! სამწუხაროდ, როცა უცხოეთში კარგ რამეს ვნახავ, მაშინვე ჩვენსას ვადარებ და სინანულისაგან იმდენს ვაქნევ თავს, რომ ამ ბოლო დროს მგონი თავის ქიცინი დამჩემდა.

თუმცა ყინვა 30 გრადუსამდე აღწევდა და ბარები სავსე იყო ხალხით, მაგრამ ჩვენ იქ მთვრალი არავინ გვინახავს. ხალხი ბარებსა და რესტორნებში დროს გასატარებლად შედის, სმა-ჭამაც ზომიერი იციან და ქუჩაში აყალმაყალსაც ვერსად ნახავთ. რუსეთში მიმტკიცებდნენ – აქ იმიტომ სვამენ, რომ სიცივეაო. დალოცვილო, კანადაშიც არაა ნაკლები სიცივე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იქ ქუჩაში მთვრალი კაცი არ გვინახავს. ერთხელ მოსკოვში მილიციის პოლკოვნიკმა მითხრა, ზამთარში ყოველღამე, მარტო მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქში 100-მდე მთვრალი კაცი იყინებაო ქუჩაში. დადიან მთელი ღამე მილიციის მანქანები და აგროვებენ მთვრალებს. მე თვითონ რამდენჯერ მინახავს: ქუჩაში მთვრალი კაცი წევს, იყინება, ხალხი კი ზედაც არ უყურებს. ყველა თავის საქმეზე მიეშურება.

ღმერთო, შენ დაგვიფარე!

ჩემთან ერთად კალგარის ქუჩებში ომარ კელაპტრიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე სეირნობდნენ. ჩავუარეთ ერთ გასტრონომიულ მაღაზიას, რომელიც სავსე იყო ათასნაირი სასმელით. გასტრონომიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, ხელში რამდენიმე მოზრდილი ღვინის ბოთლი ეჭირა. უცებ ახალგაზრდას ფეხი დაუცურდა, ბოთლები ხელიდან გაუცვივდა და დაიმსხვრა. ახალგაზრდა მშვიდად დაიხარა, ნამსხვრევები ფრთხილად აკრიფა და ნაგვის ურნაში ჩაყარა.

ამ ფაქტმა ერთი ამბავი გამახსენა: მოსკოვში, დიდ თეატრში დაიდგა ოთარ თაქ-

თაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“. პრემიერის დღეს ბატონმა ოთარმა გადაწყვიტა თეატრის დასისათვის ვახშამი გაემართა. თბილისიდან გამოუგზავნეს ღვინო და პურმარილი. ბატონმა ოთარმა გვთხოვა მე და თენგიზ ჯანგავაძეს, რომ დავხვედროდით მატარებელს და ბარგი სასტუმრო „მოსკოვში“ მიგვეტანა.

ღვინით სავსე ბოცები და რამდენიმე ყუთი ურიკაზე დავაწყეთ და მუშებს ვთხოვეთ, ტაქსის გაჩერებამდე მიეტანათ. თებერვლის თვე იყო, ციოდა, მოსკოვში თოვლი იდო, მოგეხსენებათ, ასეთ დროს მოსკოვში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ქუჩები რა ჭუჭყიანია. სადგურის შენობიდან გამოვედით და როცა ერთ მუშას ურიკა ტროტუარის ბორდიურიდან ქუჩაზე გადმოჰყავდა, ერთი 20 ლიტრიანი ბოცა ურიკიდან გადმოვარდა, გატყდა და კახური ღვინო ნაკადულივით ჩუხჩუხით წამოვიდა ტალახიანი ბორდიურის კუთხეში. მუშამ მიატოვა ურიკა, მიწაზე გაწვა, ბამბიანი „ტელეგრეიკის“ სახელოთი ღვინოს გზა გადაუღობა, შეაგუბა და ხვრეპა დაუწყო. ამის დამნახავმა სხვა მუშებმაც მიატოვეს თავიანთი ურიკები, გვერდით მიუწვნენ თავიანთ მეგობარს და კოლექტიურად დაუწყეს ღვინოს ხვრეპა. მერე ჩხუბი მოუვიდათ და ზუსტად ისე ურტყამდნენ თავებს ერთმანეთს, ძაღლებმა რომ იციან, როცა ერთ ჭურჭელში ჩაუსხამენ სალაფავს.

არა, ამის აღწერა არ შეიძლება, ეს უნდა გენახათ.

– აი, ხომ ხედავ, აბა კანადაში ერთი მთვრალი თუ გინახავს? – მითხრა ომარმა. ამის პასუხად ერთი ამბავი მოვუყევი, რომელიც 1967 წელს შეგვემთხვა. მაშინ „გორდელა“ გამოფენა „ექსპო-67“-ზე გამოდიოდა მონრეალში. კონცერტის შემდეგ გვიან ღამით სასტუმროში ებრუნდებოდით. ქუჩაში სიჩუმე სუფევდა. უცებ ქუჩის განაპირას, ბუჩქებში, ვიღაც მთვრალმა ღრიალი მორთო.

– აკი მთვრალ კაცს ვერ ნახავთ კანადაშიო? – თქვა ბადრი თოიძემ.

– მაგი თუ რუსი არ იქნება, ეს ყურები მომაჭერით, – უთხრა გომარ სიხარულიძემ და ბუჩქებში გაგორებულ მთვრალს რუსულად „მიესიყვარულა“.

მთვრალი წამოიწია და ისეთი ცხრასართულიანი დაუხურდავა რუსულად გომარს, რომ, ცხონებული მიხეილ ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, „რუსის სალდათიც კი სირცხვილისაგან გაწითლდებოდა“.

7 თებერვალს გადავიარეთ „როკი მაუნთინი“ (კლდოვანი მთები), ეს მთები „ბრითიშ კოლუმბიას“ პროვინციაში მდებარეობს. დილით გზა ძალიან მძიმე და სახიფათო იყო. მთელ გზაზე თოვდა. ბურუსისაგან ხანდახან წინ არაფერი ჩანდა, ამიტომ მძღოლს, რობერტს, რამდენჯერმე მოუხდა ავტობუსის გაჩერება. დღის მეორე ნახევარში თოვა შეწყდა. განათდა. გამოჩნდა მთები და მდინარეები, გზაზე ბევრი გარეული ცხოველი დავინახეთ. განსაკუთრებით ბევრია ლოსები, ირმები, ტურები, მელიები. დავინახეთ გზის პირას ჩაცუცქული მგლებიც. ერთ მათგანს სულ ახლოს ჩავუარეთ. იგი არც განძრეულა. გზაზე რამდენიმე ადგილას ვნახეთ ირმები, რომლებიც მანქანას გაეტანა, ზოგს ტურები ეხვეოდნენ, ზოგსაც – ყვავები...

კანადაში ნადირობა სეზონურია. იყიდება ლიცენზიები. იგი იმდენად ძვირია, რომ ნადირობა შეზღუდულია. ამიტომ მგლები იმდენად მომრავლდნენ, რომ დიდ ზიანს აყენებდნენ გარეულ ცხოველებს. მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა სპეციალური კანონი და მგლებს ვერტმფრენებიდან ხოცავდნენ.

ყოველივე ეს რობერტმა გვითხრა. მანვე გვიამბო ერთი საინტერესო ამბავიც:

ტერი ფოქსი – 23 წლის ახალგაზრდა, დაავადდა ავთვისებიანი სიმსივნით, რის

გამოც ცალი ფეხი მოჰკვეთეს. ცალფეხა ტერიმ გადაწყვიტა, პროტეზით შემოევლო მთელი კანადა, შეეგროვებინა თანხა და ჩაერიცხა იგი კიბოს სამკურნალო ინსტიტუტისათვის. ფოქსმა განვლო 3000 კმ, რასაც წელიწადზე ნაკლები დრო მოანდომა. იგი მივიდა ტანდერბეიმდე და შეწყვიტა სვლა, ვინაიდან მეტასტაზები ფილტვებშიც გავრცელდა. ფოქსი მალე გარდაიცვალა. მისი დაწყებული საქმე გააგრძელა მეორე ახალგაზრდამ, ისეთივე ავადმყოფმა – სტივენ ფონიომ, რომელმაც წელინად-ნახევარში 5800 კმ გაიარა და დაამთავრა თავისი წინამორბედის დაწყებული საქმე. ყველა დაბაში, სადაც კი შედიოდნენ ტერი და სტივენი, ამ კეთილშობილური საქმისათვის ფულს უგროვებდნენ ხალხიც და მთავრობაც. სულ 25 მილიონი დოლარი შეაგროვეს და ჩარიცხეს კიბოს საწინააღმდეგო ცენტრში. ტერი ფოქსის პატივსაცემად, ერთ-ერთ მთას დაარქვეს მისი სახელი, ასევე ფოქსის სახელი ეწოდა 10 კილომეტრიან ტრასას ნიპიგონიდან ტანდერბეიმდე, ხოლო კანადის დასავლეთით ერთ-ერთ სანაპიროს სტივენ ფონიოს სახელი ეწოდა.

8 თებერვალს ქ. პენტიკტონამდე 12 საათი ვიარეთ ავტობუსით და ღამის 9 საათზე ჩამოვედით. ქალაქი გაშენებულია მთებში, იგი სავსეა წიწვოვანი ტყითა და ტბებით. სამწუხაროა, რომ აქ კონცერტი არ იყო დაგეგმილი, მარტო ღამე გავათიეთ, რომ მეორე დილით გზას გავდგომოდით აშშ-კენ. იმ ღამეს ტელევიზიის ფრანგულმა პროგრამამ აჩვენა ლანა ღოღობერიძის ფილმი 9 აპრილზე; სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა; აჩვენეს ის საშინელი კადრები, რომელთაც ამ ბოლო დროს გონებიდან ვერ ვიცილებთ. შემდეგ ვნახეთ აშშ-ის სატელევიზიო გადაცემა – „ნეშენელ ჯიოგრაფიკ" ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალის შესახებ, რომელიც 100 წელზე მეტია გამოდის. წაიკითხეს ერთი სტატია ამ ჟურნალიდან და აჩვენეს დოკუმენტური კადრები:

ორი საუკუნის წინათ, ალასკის ნაპირებთან ეძებდნენ გზებს, თუ როგორ შეიძლებოდა ჩრდილოეთ ამერიკის შემოვლით ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გადასვლა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ინგლისური გემი ყინულებში



ცეკვა „კინტაური"

გაიჭედა. მეზღვაურები რამდენიმე ხნის შემდეგ დაიღუპნენ. შარშან იპოვეს ეს გემი, გახსნეს საფლავები და იპოვეს 200 წლის წინათ დაღუპული მეზღვაურები, რომლებიც ყინულის საფარში იდეალურად იყვნენ შენახული. მერე გაათბეს გვამები და ჩაატარეს ექსპერტიზა, აღმოჩნდა, რომ მეზღვაურების ნაწილი დაიღუპა ვიტამინების ნაკლებობით, ხოლო ნაწილიც მოიწამლა, რადგან კონსერვები, რომლითაც მეზღვაურები იკვებებოდნენ, ტყვიით იყო მოხუფული. 6 თვის განმავლობაში ტყვიამ გაჟონა საჭმელში და მონამლა მეზღვაურები. დაადგინეს დაღუპულ მეზღვაურთა ვინაობაც.

ასეთი საინტერესო გადაცემები ხშირადაა. ტელევიზიით გადმოსცემენ სხვა შემთხვევებსაც, მაგალითად, ერთმა მუსიკის მოყვარულმა ჩაატარა ასეთი ცდა: ქათმებს რადიოყურთსაცვამები გაუკეთა და დღე და ღამე მუსიკა ასმენინა. ქათმები თურმე სიამოვნებით უსმენდნენ მუსიკას და დღეში ორ-ორ კვერცხს დებდნენ. ამით დაინტერესდნენ ფირმები და დაიწყეს ამ მეთოდის მასიური დანერგვა. როგორც კომენტატორმა აღნიშნა, შედეგი მეტად მაღალია.

ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენეს სხვადასხვა ბეწვეულის ქურქში გამოწყობილი ქალები, ნაირ-ნაირ მოდაზე შეკერილი ქურქებიდან თქრიალით გამოდიოდა სისხლი. ეს იყო შემზარავი სანახაობა. ამით რეკლამას უკეთებდნენ კამპანიას, რომელიც კრძალავს ნადირის მოკვლას და ბეწვეულის დამზადებას. „აიკრძალოს ცხოველების დახოცვა!“ – ასეთი იყო გადაცემის ლოზუნგი.

ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენეს ლუდის ფირმა, რომელიც განთქმულია იმით, რომ ლუდის ბუნებრივად გასაცივებლად ვერტმფრენებით შორეული მთებიდან ჩამოაქვთ თოვლი. ამ გადაცემამ ერთი ამბავი გამახსენა:

გასტროლებზე წამოსვლის წინ, იანვარში, მოსკოვის რესტორანში ოფიციანტს ცივი ლუდი ვთხოვეთ.

– მაცივარი გაგვიფუჭდა და ყინული არა გვაქვსო – გვითხრა.

– დალოცვილო, მთელი რუსეთი შაქარყინულს ჰგავს, გაყავი ფანჯარაში ხელი და იმდენ ყინულს იშოვი, მთელ შენს საგვარეულოს ეყოფა მიცვალებულების შესანახად-მეთქი, ვუთხარი. ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი, ამ ქვეყანაში ყოველნაირად ცდილობენ პრობლემები მოსპონ, ჩვენთან კიდევ, სადაც არ გვიჭირს, იქაც ხელოვნურად ვქმნით პრობლემებს.

* * *

9 თებერვალს აშშ-ის ქ. იაკიმაში გადავედით. კონცერტი გავმართეთ ძველებურ საოპერო თეატრში, მეორე დღეს გავემგზავრეთ ქ. სიეტლში, სადაც ორი კონცერტი გავმართეთ. გზა იაკიმადან სიეტლამდე ძალიან ლამაზია. იგი კარგა ხანს მიჰყვება მდინარე კოლუმბიას. გზის პირას ვხვდებით ჩანჩქერებს, ტბებს, რომელიც სავსეა გარეული ფრინველებით.

ქ.სიეტლი ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა. მან ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი აშშ-ის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. სიეტლი თანამედროვე ქალაქია ცათამბჯენებითა და თვალისმომჭრელი რეკლამებით. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს იგი ღამით. ავტობუსი აღმართზე ადის, საიდანაც უცბად იშლება მთელი ქალაქის ხედი. აბრდღვიალებული ცათამბჯენებით საოცარ სანახაობას ქმნის. სიეტლში ჩვენს კონცერტებს დაესწრო რუსი ემიგრანტების დიდი ჯგუფი. მათ კონცერტის შემდეგ ოჯახებში მიგვიწვიეს და გულითადი შეხვე-

დრები მოგვიწყეს.

ქ. სიეტლიდან ისევ გავემგზავრეთ კანადაში, სადაც ბოლო რამდენიმე კონცერტი უნდა გაგვემართა და შემდეგ გასტროლებს ისევ აშშ-ში გავაგრძელებდით.

ქ. კალგარამდე 15 საათი მოვანდომეთ. მგზავრობა მეტად ძნელი იყო. ეს ქალაქი მთაში მდებარეობს, როგორც ჩვენი ბაკურიანი, ამიტომ დიდთოვლობის დროს ავტობუსებს ძალიან უჭირდათ მოძრაობა. მთელი გზა თოვდა, გავიარეთ ზვავსაშიში ზონები, მადლობა ღმერთს, რომ ყოველ წუთს გვხვდებოდნენ სპეციალური მანქანები, რომლებიც მარილს ყრიდნენ და თან გზას არაჩვეულებრივი სისწრაფით წმენდნენ, თორემ ნამდვილად ვერ მივაღწევდით ქ. კალგარს.

ასეთი ხანგრძლივი და მძიმე გადასვლების დროს ანსამბლის წევრები სხვადასხვანაირად ერთობოდნენ. ყოველ დილით, როცა ავტობუსში ვსხდებოდით, გიორგი თოფურია გვაცნობდა უკანასკნელ ცნობებს, მერე ბიბსი გვიკითხავდა გაზეთებიდან საინტერესო მასალებს, შემდეგ ბიჭები მორიგეობით ყვებოდნენ საინტერესო ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან; ამ მხრივ გამოირჩეოდა ფრიდონ სულაბერიძე, რომელსაც საოცარი იუმორის გრძნობა აქვს და იყო ერთი სიცილ-ხარხარი. მერე იწყებოდა „ლექცია" ქართულ სამზარეულოზე. როცა ქართულ საჭმელებზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, ცხადი იყო, ბიჭებს უკვე შიოდათ. ნასადილევს ზოგი ძილს ამჯობინებდა, ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგიც წიგნს კითხულობდა. რამინ მიქაბერიძე, ბორის სორდიასა და ამირან გოლიაძესთან ერთად, სევდიან სიმღერებს აღიღინებდა ჩონგურზე; ანსამბლში ყველაზე უმცროსს, – ნესტან ტოგონიძეს ხანდახან ცრემლები ადგებოდა თვალებზე: – დედა მომენატრაო. ნესტანი, რომელსაც სიყვარულით ნეცოს ვეძახით, მთელი გზა ქარგავდა და უკვე საკმაოდ კარგი კოლექციაც შეაგროვა, ამაზე ამირან გოლიაძემ ექსპრომტიც მიუძღვნა:

„ვერსად ნახავთ ამგვარს,
სხვა გოგოებს არ ჰგავს, –
ნეცო ზის და ქარგავს,
უქმად დროს არ კარგავს".

ლექსების წერა ყველაზე მეტად ომარ კელაპტრიშვილს და მაია დარჩიაშვილს ეხერხებათ. ისინი ხშირად მიმართავენ ერთმანეთს შაირით. მაიას კარიკატურების ხატვაც ემარჯვება. იგი სათითაოდ ხატავს ანსამბლის წევრთა მეგობრულ შარჟებს, რომელთაც სამახსოვრო ლექსსაც მიაწერს ხოლმე. განსაკუთრებით ამწარებს ამირან გოლიაძეს. მაია მრავალმხრივ ნიჭიერი გოგონაა. იგი მშვენივრად მღერის კიდეც. ცეკვა „ხანჯლურში" მომღერლებთან მისი გაშაირება ყოველთვის მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

შაირობა, დამღლელი მგზავრობის დროს, „რუსთავის" წევრებისათვის გართობისა და მხიარულების ერთ-ერთი უებარი საშუალებაა.

„კახურ შაირში" ბადალი არ ჰყავს მალხაზ ყარყარაშვილს, რომელთანაც „სამკვდრო-სასიცოცხლო ომი" აქვთ ტარიელ ამაშუკელს, ბონდო გუგავასა და ამირან გოლიაძეს. „პოლიტბიუროს" თავისი ფალავანი ჰყავს – ავთო მაზანაშვილი, რომელიც პოლიტბიუროს სახელით რამდენიმე „ტკბილ" ლექსს მიუძღვნის მალხაზ ყარყარაშვილს და მერე იწყება კოლექტიური ლექსებით მიმოწერა ზედა და ქვედა „პალატებს" შორის.

ლექსებში მაინც ომარ კელაპტრიშვილი ჯობნის ყველას. მას ანსამბლში არავინ დარჩენია გაუკილავი, მათ შორის ჩვენი სულმნათი ჰამლეტ გონაშვილიც კი. ცნობილი



ამერიკელ იმპრესარიო დონ პიუსთან

ფაქტია, ჰამლეტს დაგვიანება უყვარდა. ერთხელ, რუსეთში გასტროლების დროს, ერთი ქალაქიდან მეორეში ვერტმფრენებით გადავყავდით. ჰამლეტმა დაიგვიანა და გამოჩნდა იმ დროს, როცა ვერტმფრენი აფრინდა. ბიჭებმა სთხოვეს პილოტს, ვერტმფრენი ჰაერში გაეჩერებინა და ჰამლეტი ამოეყვანათ. პილოტმა დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლეზე გააჩერა ვერტმფრენი. ბიჭებმა თოკის კიბე ჩამოუშვეს და ჰამლეტი ბორტზე აიყვანეს. იყო ერთი სიცილი და საერთო მხიარულება.

ამის შემდეგ საფრანგეთში გახლდით გასტროლებზე. ერთ-ერთ ქალაქში გამგზავრების წინ ჰამლეტმა ავტობუსზე დაიგვიანა, რაც ომარ კელაპტრიშვილის მუზის საბაბი გახდა:

„თვით კარუზოს და ტიტო გობის შეშურდებოდა
შენი ხმის ტემბრი და სილამაზე.
კაცო კაცურო, ტკბილმოუბარო,
„სიტყვაძვირო“ და გასაოცარო.
„ნეტავი ერთი დამანია და“...
ამბობს ჰამლეტი „არაგვიანი“,
ვით ჭიანჭველამ თავის ძმობილსა,
ისე ჩაუგდეს თოკი ტიალი,
და ამის შემდეგ, ამის ჩამდენი
ჰამლეტი მოსვლას კვლავ აგვიანებს,
ახლა კი მივხვდი, თუ ასე ტკბილად
ის რატომ მღერის „დაიგვიანეს“.

როგორც იქნა, 15 საათის მგზავრობის შემდეგ, ძლივს მივაღწიეთ კალგარს. ქალაქი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ბუნებრივი პირობებით ბაკურიანს ვერ სჯობს, მაგრამ არაჩვეულებრივად კეთილმოწყობილია. რა იქნებოდა, ბაკურიანი რომ ასე მოეწყოთ...

მეორე საღამოს კონცერტი სპორტის სასახლეში გაიმართა. აბა სასახლე სწორედ ამას ჰქვია – 4 უზარმაზარი დარბაზი ორ სართულად: კალათბურთის, ჰოკეის, მძლეოსნობისათვის და ერთიც საცურაო დარბაზი. მოკლედ, ეს მთელი სპორტული კომპლექსია.

ჩვენს კონცერტს დაესწრნენ „დუხობორები“, ოდესღაც ჩვენგან გადასახლებულები. აქ მათ დიდი კოლონია აქვთ. კონცერტის შემდეგ მიგვიწვიეს თავიანთ კულტურის სასახლეში და მოგვიწყეს საოცრად გულთბილი შეხვედრა. „დუხობორები“ კანადაში 1898 წელს გადმოუსახლებიათ საქართველოდან. მათი წინაპრები, როგორც თვითონ გვითხრეს, თბილისიდან და ბოგდანოვკიდან ყოფილან. ისინი გემით გამოუსახლებიათ ბათუმიდან. კულტურის სახლში მთელი ერთი კედელი უჭირავს პანოს, რომელზედაც სწორედ მათი გადმოსახლების მომენტია დახატული. შეხვედრამ მეტად გულთბილად ჩაიარა. „დუხობორები“ ღვინოს არ სვამენ, ხორცს არ ჭამენ და სიგარეტს არ ეწევიან, ამიტომ ჩვენც ვეგეტარიანული ვახშამი მოგვიმზადეს. ჩვენს პატივსაცემად გალობდა გუნდი, მისი წევრები ნაციონალურ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი და რუსულ სიმღერა-საგალობლებს ასრულებდნენ.

„დუხობორების“ დევიზი ასეთია: „მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული და თავისუფლება“. უკეთესს კაცი ვერც ინატრებ, ასე უნდა იყოს ყველა ცივილიზებულ ერში.

გვიან ღამემდე გაგრძელდა შეხვედრა. ჩვენმა ბიჭებმაც იმღერეს, იცეკვეს და ძალიან კმაყოფილები დავშორდით ერთმანეთს. მათ სასტუმრომდე მიგვაცილეს და ბოდიში მოგვიხადეს, რომ ხორციანი კერძებით ვერ გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჭამენ ხორცს, გვიპასუხეს: ცხოველების დაკვლას რომ უყურონ, ბავშვები სადისტები გაიზრდებიანო.

მე გამახსენდა ერთი ფაქტი:

ჩემი ბიძაშვილის – ირაკლის ვაჟი, პატარა ანზორ ერქომაიშვილი ხორციანი კერძის სუნზეც კი ცუდად ხდებოდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჭამს ხორცს, სამი წლის ანზორმა მიპასუხა:

– ხოლცი ლომ შევჭამო, ხომ უნდა დაკლან? მელე ცოდო ალ ალის?

კანადაში ჩვენი ბოლო კონცერტი ქ. ვანკუვერში იყო დანიშნული. კალგარიდან ვანკუვერამდე ძალიან დიდი მანძილია, ამიტომ იმპრესარიომ გადაწყვიტა ჩვენი თვითმფრინავით გამგზავრება. მთიანი ლანდშაფტის გამო, პატარა თვითმფრინავები დაფრინავენ, ამიტომ ვანკუვერში ორ რეისად გავფრინდით. ერთი ჯგუფი უთენია გაფრინდა, მეორე თვითმფრინავმა კი უამინდობის გამო დაიგვიანა. ავიაკომპანიამ ბოდიში მოგვიხადა, მერე გვასადილეს და ამ დროს თვითმფრინავიც მოფრინდა.

ვანკუვერამდე გზას თითქმის ორი საათი მოვუნდით. ცუდი ხილვადობის გამო თვითმფრინავი კიდევ ნახევარ საათს ვერ დაჯდა. ამიტომ თვითმფრინავში დაგვალევინეს კონიაკი, ლუდი, დაგვირიგეს ტკბილეული და, როგორც იქნა, კონცერტამდე ორი საათით ადრე ჩამოფრინდა ჩვენი ჯგუფი.

კონცერტი გაიმართა ვანკუვერის უდიდეს საკონცერტო დარბაზში, სადაც 2800 კაცი ეტევა. ამ კონცერტის წინ დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. კონცერტს დაესწრო ვანკუვერის საუკეთესო საზოგადოება.

როცა ფარდა დაიხურა, სცენაზე გამოვიდნენ ბიბსი, კენი და რობერტი. ისინი თვალცრემლიანი დაგვემშვიდობნენ, ვინაიდან ხვალიდან ამერიკის იმპრესარიოს საკონცერტო მომსახურების ახალი ჯგუფი მოჰყავდა ჩვენთვის.

მართლაც, ძალიან დაგვწყდა გული ამ შესანიშნავ ადამიანებთან განშორებით. ხუმრობა ხომ არაა, მთელი თვე ჩვენ ერთად ვიმუშავეთ. ისინი თანაბრად იზიარებდნენ ჩვენს გაჭირვებასა და წარმარტების სიხარულსაც.

გამოსათხოვარი სიტყვა კენმა ქართულად წარმოთქვა. თურმე, ამ ტექსტს რამდენიმე დღე სწავლობდა. მან თქვა, რომ ჩვენთან გატარებული დრო მათთვის დაუვიწყარია და ისინი კვლავ დიდი სიამოვნებით იმუშავებენ ჩვენთან. გმადლობთ, ქართველებო! – ასე დაამთავრა კენმა თავისი სიტყვა და თვალცრემლიანმა გადაკოცნა მთელი ანსამბლი. ბიბსმა, ჩვენს პატივსაცემად, მანდოლინაზე შეასრულა „სულიკო“.

ამის შემდეგ იმპრესარიომ – მიგვიწვია ვახშამზე, რომელიც იქვე თეატრში გაგვიმართა. მან მოგვილოცა გასტროლების წარმატებით დამთავრება კანადაში და გვისურვა ასეთივე წარმატებები აშშ-შიც. თავისი გამოსვლის ბოლოს ცუკერმანმა იხუმრა: საქართველოში თოვლი არ არის, ხომ ხედავთ, მე რა თოვლიანი ქვეყანა გაჩვენეთო. ამაზე ჩვენ ვუთხარით, – დალოცვილო, თოვლი რომ გვდომებოდა, რუსეთში წავიდოდით გასტროლებზეო. გამოსათხოვარ ვახშამზე იმპრესარიომ მოიწვია ვანკუვერის გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც ბევრი თბილი და საქებარი სიტყვა გვითხრეს. თითქმის ყველა გამომსვლელმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გმადლობ, საქართველოვ!“.

მეორე დღეს ისეთი თოვლი დადო, რომ ვანკუვერი ვეღარ დავათვალიერეთ, ამიტომაც ჩავალაგეთ ჩვენი ბარგი და გეზი აშშ-კენ ავიღეთ.

ვანკუვერიდან გავემგზავრეთ ამერიკის შეერთებული შტატების ქ. იუჯინში (ორეგონის შტატი). მთელი დღე გზაში გავატარეთ, შეუწყვეტლად თოვდა. კანადის საზღვარზე ერთხელ კიდევ „დაველრიჯეთ“ პოლიციელებს, რომ პასპორტებში ბეჭდები ჩაერტყათ და გადავედით აშშ-ში.

ღამის 10 საათზე, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ქ. იუჯინში. მეორე დღეს ჩვენს კონცერტს 2500 კაცი დაესწრო. იუჯინში ახალი დამხმარე ჯგუფი შემოგვიერთდა. ესენი იყვნენ: გრეტჩენი (გერმანელი ქალი, სცენის რეჟისორი), ტერი (ხანდაზმული ქალბატონი, კომერციული დირექტორი) და შელი (ახალგაზრდა, მომხიბლავი ამერიკელი გოგონა, მეგარდერობე).

ავტობუსებს, ამჯერად, ყოველ ქალაქში გვიცვლიდნენ. იუჯინიდან გავემგზავრეთ ქ. პორტლენდში, სადაც ჩვენს კონცერტს 3400 კაცი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ კონცერტის ბოლოს მაყურებელი ფეხზე ადგა და ჩვენთან ერთად იმღერა „ამერიკა, ამერიკა“. ასე იყო ქ. იუჯინშიც.

* * *

18 თებერვალს გეზი კალიფორნიისაკენ ავიღეთ. თოვლი აქა-იქ თუ გვხვდებოდა, საკმაოდ დათბა. ავტობუსიდან ხარბად ვათვალიერებდით მიდამოს. გაგვაკვირვა საძოვრების სიმრავლემ. იქ საძოვრებს საუკეთესო მიწები უჭირავს. საავტომობილო ტრასას მთელ სიგრძეზე გასდევს მავთულის ღობე, რომ გზაზე ცხოველები არ გადმოვიდნენ. დასახლებულ ადგილებში უკვე შესდგომოდნენ საგაზაფხულო სამუშაოებს. ყველა ოჯახის ეზოში იდგა სხვადასხვა ზომის რამდენიმე ტრაქტორი, აგრეთვე, საბარგო და მსუბუქი ავტომანქანები: ამ შტატში, როგორც შევნიშნეთ, ძირითადად, მეცხოველეობა იყო განვითარებული. შემოღობილ საძოვრებზე საუკეთესო ჯიშის საქონელი ძოვდა. ხეხილიდან ძირითადად ვაშლის ხეები იყო მოშენებული. ვაშლებს უკვე სხლავდნენ, მათ კენწეროებს აჭრიდნენ, რის გამოც ვაშლი იტოტება დაბალზე.

სიმაღლეში აღარ იზრდება, მეტ მზეს იღებს, მოსავალიც მეტი მოდის და ხარისხიც უკეთესიაო, გვითხრეს. აქაური ვაშლები, თურმე, ერთ-ერთი საუკეთესოა ამერიკაში. საინტერესოა, რომ ამერიკის რეგიონებში მოჰყავთ მხოლოდ ის კულტურა, რომელიც კარგად ხარობს. ამიტომ მოსავალი კარგი და ხარისხიანია.

გზაზე ჩვენი ავტობუსი გაჩერდა სასაუზმესთან, სადაც ყველა წევრზე სუფრა უკვე გაშლილი დაგვხვდა. საინტერესოა, რომ სასაუზმემდე ნახევარი საათის სავალზე, გზაზე დგას სპეციალური ჯიხურები, მძღოლს შეუძლია შეუკვეთოს საუზმე (როგორი მენიუც სურს), ან საგზალი; როცა სასაუზმესთან მიხვალ, სუფრა უკვე გაშლილი გხვდებათ, ხოლო საგზალი – გამზადებული, ამიტომ დრო ცოტა იკარგება. დრო ამერიკაში ყველაზე ძვირად ფასობს.

ეშლენდი პატარა საკურორტო ქალაქია. იგი მთებში მდებარეობს. კალიფორნიის საზღვართან. „ეშლენდი" ნიშნავს ფერფლიან მიწას. ეს სახელი დაკავშირებულია ჩამქრალ ვულკანთან – „შახტასთან", რომელიც ამ ქალაქთან ახლოს მდებარეობს. ეშლენდში ღამე გავათენეთ და დილით გავემგზავრეთ კალიფორნიის ქ. სან-ხოსეში. გზა მთებში მიდიოდა. გზაც სწორედ ამას ჰქვია – ფართო, ცალმხრივი, რამდენიმე მწკრივი ტრანსპორტისათვის განსაზღვრული. ძალიან ლამაზია „შახტა", რომელიც აქაური ინდიელებისათვის „წმინდა მთაა".

კალიფორნიის საზღვართან გაგვაჩერეს. ავტობუსში ამოვიდა პოლიციელი ქალი და გაგვაფრთხილა, ვისაც ხილი გვქონდა, სასწრაფოდ უნდა გადაგვეყარა იქვე მდგომ ნაგვის ყუთში. კალიფორნიაში სხვა შტატებიდან ხილის შეტანა სასტიკად აკრძალულია.

ჩვენ სამხრეთისაკენ მივიწევდით. თანდათან დათბა. მერე გამოჩნდა ევკალიპტები, მაგნოლიები და პალმები, იგრძნობოდა ზღვის სიახლოვე. ნაშუადღევს გზაში შევისვენეთ. ბიჭებმა პირველად გაიხადეს თბილი ტანსაცმელი და პიჯაკის ამარა გამოვიდნენ ავტობუსიდან. რამდენიმე საათში ზამთრიდან ზაფხულში მოვხვდით. გამოჩნდა მსხმოიარე მანდარინისა და ლიმონის ხეები.

მივუახლოვდით სან-ხოსეს. იგი ლამაზი ქალაქია, მარადმწვანე ხეებით, ქუჩებში და ეზოებშიც მსხმოიარე ციტრუსების ხეები დგას, გაცილებით დიდები, ვიდრე ჩვენთანაა.

მეორე დღეს შევხვდით კომპოზიტორ რეი ჩარლზს, რომელმაც დაწერა სიმღერა „თავისუფლება". ეს სიმღერა 11 მარტს უნდა შეესრულოთ საზეიმო საღამოზე, საქვეყნოდ განთქმულ „ჰოლივუდის" საკონცერტო დარბაზში. სიმღერის ნოტები ორი კვირით ადრე მოგვიტანეს და ავტობუსში შევისწავლეთ.

კომპოზიტორ რეი ჩარლზს შევხვდით დილით, ჩვენი სასტუმროს გვერდით, რესტორანში, რადგან როიალი მხოლოდ იქ იდგა. იგი ასე, 60 წლის სიმპათიური მამაკაცია; მან მიგვიწვია ესტრადაზე. როიალს თვითონ მიუჯდა და, როცა სიმღერა დავამთავრეთ, თქვა: ეს რა კარგი სიმღერა დამიწერიაო, – თანაც დაუმატა: – მე ჩამოველი იმისთვის, რომ თქვენთან მემუშავა, თქვენ კი უკვე ყველაფერი გისწავლიათო.

კომპოზიტორი ქართული სიმღერით დაინტერესდა. ჩვენ რამდენიმე სიმღერა შევასრულეთ. მან მაღალი შეფასება მისცა ხალხურ სიმღერებს და თქვა, ამის მსგავსი არაფერი მომისმენიაო.

როცა რეპეტიცია დავამთავრეთ, ჩვენთან მოვიდა რესტორნის დირექტორი და გვითხრა: „მე ბერძენი ვარ, გამიგონია, რომ ჩვენსავით უძველესი კულტურა გაქვთ, ამიტომ საქართველოს დიდ პატივს ვცემ. დღეს საღამოს თქვენს კონცერტს დიდძა-

ლი მაყურებელი დაესწრება. კონცერტის შემდეგ, აი, ის ორი ჯენტლმენი (ხელი გაიშვირა მათკენ), ანსამბლის მთელ შემადგენლობას გეპატიჟებათ ჩვენს რესტორანში".

კონცერტის შემდეგ მაყურებელი დიდხანს არ იშლებოდა. ჩვენმა მასპინძელმა ძვირფასი სუფრა გაგვიშალა. მათ მასაჟისტიც კი მოგვიყვანეს სპეციალურად, – კონცერტიდან დაღლილები მოვლენ და ენერგია უნდა აღვუდგინოთო.

ქეიფი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. მასპინძლებს ჩვენთან განშორება ეძნელებოდათ, ცეკვა-თამაშს ბოლო არ უჩანდა, ამერიკელები სიამოვნებით ცეკვავდნენ ქართულად, როგორც შეეძლოთ.

ჩვენს მასპინძლებს (რომელთაც, ვინ იცის, რამდენი დაუჯდათ ჩვენი მიპატიჟება) ისე დავშორდით, სახელებიც კი არ გვითხრეს: რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ჩვენს სახელებს, რიგითი ამერიკელები ვართ, რომელთაც ძალიან მოგვეწონა თქვენი ხელოვნება და იმიტომ დაგპატიჟეთო.



ირმა დუნდუა – ანსამბლის გაუნელებელი ტკივილი (ტრაგიკულად დაილუპა 1992 წ.)

მეორე დღეს სან-ფრანცისკოში გავემგზავრეთ. ქალაქში გზა მაღლობიდან შედის. ამ მაღლობზე აშენებულია სპეციალური გადასახედი, საიდანაც მთელი სან-ფრანცისკო ხელის გულივით მოჩანს. როგორც სახლები, ისე მათი სახურავები, სხვადასხვაფერადაა შეღებილი, ფერთა იშვიათ გამას ქმნის და განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევს ამ ქალაქს. ქალაქში ბევრი ულამაზესი პარკია. იშვიათი ხეებითა და ყვავილთა სიმრავლით ისინი უფრო ბოტანიკურ ბაღებს მოგვაგონებენ. ეს პარკები სავსეა ქალაქის მცხოვრებლებითა და უცხოელი ტურისტებით.

ქალაქის ცენტრი წარმოადგენს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ცათამბჯენების ჯარს, რომელშიც ფინანსური ცენტრებია მოთავსებული. ქალაქში ერთ ვაკე ადგილს ვერ ნახავთ, ქუჩები სულ აღმართ-დაღმართებზეა გაშენებული, შენობებიც რელიეფის შესაფერისი დგას. ბევრი მათგანი არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ქალაქის ასეთი რელიეფი ამერიკაში სხვაგან არ შეგხვედრია. საინტერესოა, რომ სან-ფრანცისკოს ქუჩებში შუქნიშნებს იშვიათად შეხვდებით, მიუხედავად ამისა, ავტომობილების მოძრაობა ფრიად მოწესრიგებულია.

სან-ფრანცისკოში დიდი ადგილი უჭირავს ჩინურ კვარტალს, სადაც მხოლოდ ჩინელები ცხოვრობენ. აქ არის ჩინური მაღაზიები, რესტორნები და სავაჭრო უბნები ჩინური და ინგლისური წარწერებით.

ქალაქის მშვენებაა სან-ფრანცისკოს ყურე. იგი მართლაც ულამაზესი სანახავია. სანაპიროზე ცხოვრება დუღს ათასნაირი გასართობით.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სან-ფრანცისკოს ხიდები. მათ შორის ერთი ცნობილი ხიდია, რომელიც შარშან მიწისძვრის დროს დაინგრა, თუმცა იგი მალე აღადგინეს. ხიდი ორსართულიანია, ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივია. ქალაქში შედიხართ ზედა სართულით, საიდანაც საოცარი სანახაობა იშლება. ხიდი დაკიდული კონსტრუქციითაა ნაგები. მისი სიგრძე 7,2 კილომეტრია. უფრო გრძელი ხიდი მარტო იაპონიაში მინახავს.

შარშან, მიწისძვრის დროს, სან-ფრანცისკოში ბევრი შენობა დაზიანდა. დაზიანდა თეატრის ულამაზესი შენობაც. ამიტომ სან-ფრანცისკოს ნაცვლად, ჩვენი კონცერტები ქ. ოკლენდში გაიმართა, რომელიც მისგან ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული. აქ ადრე, 1906 წელს ყოფილა საშინელი მიწისძვრა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი დაანგრია.

ოკლენდში სამი კონცერტი გავმართეთ. იქ ჩამოვიდნენ ქართველები ქ. სანტა-როსადან: ბ-ნი შოთა დუმბაძე მეუღლით, ძმები მირიან და ნოშრევან გალაშვილები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბოლო შეფიცული – ბ-ნი ალექსანდრე სულხანიშვილი. მათთან გვქონდა საინტერესო შეხვედრები, გვიამბეს ბევრი საინტერესო ამბავი, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათები.

„ვიცი, ქაქუცას საქართველოში გადაასვენებთ, მეც მინდა ბოლომდე მისი ერთგული დავრჩე, ამიტომ გთხოვთ, ჩემი ბებერი ძვლებიც ქართულ მიწაში ჩაფლათო", – გვითხრა ბ-ნმა ალექსანდრემ.

მადლობა ღმერთს, ალექსანდრე სულხანიშვილს თხოვნა აუსრულდა. როგორც იცით, იგი საქართველოში გარდაიცვალა და თავის მშობლიურ სოფელში დაკრძალეს.

ოკლენდში ჩვენს კონცერტებს დაესწრო ამერიკელ მომღერალთა გუნდი გრიგორი სალომონის ხელმძღვანელობით. ისინი ქართულ სიმღერებს მშვენივრად ასრულებდნენ. ჩვენ მათ გადავეცით საჭირო ფონოჩანაწერები, ვაჩუქეთ ფირფიტების კრებული „100 ქართული ხალხური სიმღერა" და სათანადო კონსულტაციაც გავუწიეთ.

ზაფხულში ეს გუნდი ჩამოსული იყო თბილისში და ბევრმა თქვენგანმა, ალბათ, მოისმინა ქართული სიმღერები მათი შესრულებით. ჩვენს კონცერტს დაესწრო მოცეკვავეთა ჯგუფიც, რომელიც ქართულ ხალხურ ცეკვებს სწავლობს. მათ მიიწვიეს ჩვენი ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე, რომელსაც სთხოვეს ცეკვის გაკვეთილის ჩატარება. ფრიდონმა თან წამოიყვანა მუსიკოსებიც და გაკვეთილი ქართული ხალხური მუსიკის თანხლებით ჩაატარა.

ფრიდონის ბევრი რეპეტიცია მინახავს, მაგრამ ასე ანთებული არასოდეს ყოფილა, მან ბრწყინვალედ ჩაატარა გაკვეთილი, რითაც აღტაცებაში მოიყვანა ამერიკელი მოცეკვავეები. მათ მადლობა გადაგვიხადეს და საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვეს.

* * *

25 თებერვალს, დილით, სან-დიეგოში გავემგზავრეთ. ბიჭებმა მერცხალი დაინახეს პირველად, რამაც ძალიან გაგვამხიარულა. გზა მართლაც საუცხოოა, ცალმხრივი, ოთხრიგა მოძრაობით. რიგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია თეთრი ხაზებით, მათში ჩაბეტონებულია ლითონის ნახევარსფეროები, რომლებიც ღამით ანათებენ. ავტო-

მობილი როცა ერთი რიგიდან მეორეში გადადის, მისი ბორბლები ეხება რიგების გამყოფ ლითონის ხაზებს, ბორბლები ახმაურდება და მძღოლი, ჩაძინებულიც რომ იყოს, გამოფხიზლდება. ბეტონის გზას ამობურცული წვრილი ხაზები გასდევს მთელ სიგრძეზე, რაც ცუდ ამინდში გამორიცხავს ავტომობილების მოცურებას. მოკლედ, გზაზე ყველა პირობაა შექმნილი, რომ ავტოავარია არ მოხდეს. იქაურ გზებზე ყველანაირი ტრანსპორტი მოძრაობს: უზარმაზარი გაწკრიალებული სატვირთო მანქანები, რომლებსაც პროდუქტი და სხვა ტვირთი გადააქვთ, ავტობუსები, მსუბუქი მანქანები... რომელი ქვეყნის, ფირმისა და მოდელის მსუბუქ ავტომანქანებს არ ნახავთ. თვალს გტაცებენ დიდი სისწრაფით მიმავალი სხვადასხვა ფერის უახლესი მოდელის ავტომანქანები. პირდაპირ გამოფენა გეგონებათ, ვერ იტყვით, რომელი რომელს სჯობს და არის ამაზე ანსამბლის წევრებს შორის დავა. ზოგიერთი მანქანა ჩვენს ავტობუსს ისეთი სისწრაფით ჩაუქროლებს, რომ მისი სილამაზის აღქმასაც ვერ ვასწრებთ.

ერთ-ერთ მანქანას, რომელსაც ლამაზი გოგონა მართავდა, უკანა შუშაზე დიდი ასოებით ეწერა: „ამ ქვეყანაზე ყველა მამაკაცს რატომ აქვს ასე ცოტა დრო". რამდენ მანქანას იტევს ეს გზები! 1970 წლის აღწერით, აშშ-ის ავტოპარკებში 117 მილიონი ავტომანქანა იყო. აქედან მსუბუქი – 96 მილიონი, სატვირთო და ავტობუსი – 21 მილიონი.

ჰიტლერს უთქვამს, „გზა ქვეყნის სასიცოცხლო არტერიააო", რადგან ჰიტლერმა თქვა, ალბათ, იმიტომ არ აგებენ საბჭოთა კავშირში კარგ გზებს. მაგრამ ერთი ხალხური სიბრძნეც უნდა გავისხენოთ: „ჭკვიანური რჩევა მტრისგანაც უნდა მიიღო".

სან-დიეგოში საღამოს ჩავედით. იგი წყნარი ოკეანის პირას, ამერიკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ქალაქი ზღვის სანაპირო ფერდობზეა შეფენილი. ჩვენი სასტუმროდან ხელისგულივით ჩანდა მთელი სანაპირო, სადაც უამრავი პატარა კატარღა და მოზრდილი გემი იდგა.

გასული წლის ოქტომბერში ამ ქალაქში ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, შესანიშნავად გამოვიდნენ ჩვენი კულტურის წარმომადგენლები, კერძოდ, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ბატონი ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით.

27 თებერვალს სან-დიეგოში ჩვენს სანახავად ვაშინგტონიდან ჩამოვიდა ბ-ნი ლადო ბაბიშვილი. მე იგი ორი წლის წინათ გავიცანი ვაშინგტონში, როცა ოზურგეთის ანსამბლ „ელესას" ვახლდი ფოლკლორის ფესტივალზე. მას შემდეგ ბ-ნ ლადოსთან მაქვს მიწერ-მოწერა. ბატონ ლადოსთან ერთად ჩვენთან მოვიდა მისი მეგობარი ახმედი, ძველი ემიგრანტი ხარკოვიდან, რომელიც ომში ტყვედ ჩავარდა და მერე იძულებული იყო, სამშობლო დაეტოვებინა. ახმედი სან-დიეგოში ცხოვრობს, ხალისიანი კაცია და მშვენიერი მოსაუბრე. ჩვენ ქალაქგარეთ გავისეირნეთ. ვნახეთ ძალიან ლამაზი, არაჩვეულებრივად მოწყობილი კურორტები. აქაურ კურორტებზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიან დასასვენებლად. ახმედმა გვაჩვენა სასტუმრო, სადაც ერთი თვის წინათ იაპონიის პრეზიდენტი ისვენებდა. შემდეგ მიგვიყვანა ერთ-ერთ ულამაზეს სახლთან, რომელიც მწვანეში იყო ჩაფლული და გვითხრა, ეს სახლი ეკუთვნოდა ამ მხარეში სიმდიდრით განთქმულ ერთ სომეხ ემიგრანტს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება ახალგაზრდა საყვარელს დაუტოვაო.

ამ სახლის გვერდით ყვავილნარში იყო ჩაფლული ასევე თვალწარმტაცი ვილა, რომელშიაც თურმე ერთი მილიონერი ქალი ცხოვრობდა. მას 10 კატა ჰყავდა. სიკვდი-



„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტთან
ლადო ბაბიშვილთან

ლის წინ მთელი თავისი ქონება ანდერძით კატებს დაუტოვა... კატებს დაუნიშნეს მომვლელები, რომლებიც მათ მაღალ დონეზე ემსახურებოდნენ. ახლახან ბოლო კატა გარდაიცვალა და მთელი ქონება სახელმწიფოს დარჩა.

ჩვენ რესტორანში ავედით, იქიდან მთელი სანაპიროს ხედი იშლებოდა ჩვენ თვალწინ.

„პირველად ქართველებს მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში შევხვდი, მას შემდეგ ამ ხალხს უდიდეს პატივს ვცემ, – თქვა ახმედმა და ერთი ამბავი გაიხსენა: – მაუტჰაუზენში საშინელ დღეში ვიყავით; გერმანელები საჭმელს იმდენს გვაძლევდნენ, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავით. ჩვენთან იყვნენ ქართველები, შესანიშნავი ვაჟკაცები – გიორგი და შოთა, სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს. როცა ძალიან გვიჭირდა, ქართულ სიმღერას წამოიწყებდნენ და ყველას გვამხნევებდნენ, რამდენჯერ თავიანთი ისედაც მცირე ულუფა გაჭირვებულისთვის გაუნაწილებიათ. ჩვენ სულ ერთად ვიყავით.

ერთ ღამეს ერთი ჩვენი ნაცნობი ებრაელი ატირდა: აი, იმ რუსმა იცის, რომ მე ებრაელი ვარ და ყოველდღე მემუქრება, თუ ჩემს მთელ ულუფას არ მივცემ, გერმანელებთან დამაბეზღებს და იმწამსვე დამხვრეტენ. უკვე ორი კვირაა ლუკმა არ მიჭამია და ხვალაც უნდა ნამართვას საჭმელიო. ებრაელი ცხარედ ტიროდა, შიმშილისაგან ფეხები უკვე დასიებოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ დიდი დრო აღარ დარჩენოდა. ჩვენ ავენთეთ. შოთამ და გიორგიმ უთხრეს: არ მისცე საჭმელი, მაგას ჩვენ მოვუვლითო. მერე შოთა მივიდა იმ რუსთან და რაღაც ელაპარაკა.

მეორე დღეს ებრაელი დავაპურეთ და, რაც შეგვეძლო, მოვუარეთ. ნაშუადღევს გერმანელებმა ჩვენი ებრაელი წაიყვანეს და დახვრიტეს.

იმ ღამეს, როცა ყველამ დაიძინა, გიორგიმ და შოთამ ის ახმახი რუსი გაგუდეს. დილით, როცა გერმანელებმა სამუშაოზე გაგვრეკეს და მიცვალებული ნახეს, არც უკითხავთ, რისგან გარდაიცვალა, ისე აჰკიდეს პატიმრებს და კრემატორიუმში წაათრიეს“.

საღამოს სან-დიეგოში ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა. დარბაზში 2300 კაცი იჯდა. კონცერტზე მოვიდა ქალაქის საუკეთესო საზოგადოება, რომელმაც გულწრფე-

ლი ტაშით დაგვაჯილდოვა. მეორე დღეს პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ ხელოვნებას.

სან-დიეგო ჩვენი იმპრესარიოს – დონ ჰიუზის მშობლიური ქალაქია, დონი დიდად გახარებული იყო ჩვენი წარმატებით, რადგან მისმა ავტორიტეტმა ძალიან აიწია ქალაქის თვალში.

კონცერტის შემდეგ დონი მეუღლითურთ მოვიდა ჩვენთან და ანსამბლის ხელმძღვანელობა რესტორანში მიგვიპატიჟა.

რესტორანი ჰქვია, თორემ ეს არის ზღვის პირას გაშენებული პატარა სოფელი, არაჩვეულებრივად ლამაზი ძველებური ხის სახლებით, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტილშია გადაწყვეტილი. „სოფლის“ შესასვლელში დიდი რუკაა გამოკრული, რომელზედაც აღბეჭდილია ყველა სახლი წარწერით, თუ რომელი ქვეყნისაა იგი და როგორი მენიუ აქვს. მენიუში მხოლოდ თევზეულობაა. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სახლი, რომელშიაც თქვენთვის სასურველი თევზეულობით გაგიმასპინძლდებიან. ჩვენ ამოვარჩიეთ სახლი ჰავაის კუნძულებიდან. ეს სახლი იყო ხის, ლერწმით გადახურული. შიგნით არაჩვეულებრივი სისუფთავე და სიმშვიდე სუფევდა. კედლები მოხატული იყო იქაური პეიზაჟებით, რომელიც განსხვავებულად იყო განათებული და ბუნებრივ ეფექტს ქმნიდა. სადღაც შორიდან ჰავაის კუნძულების მუსიკა ისმოდა. მაგიდები, სკამები და საერთოდ ყველა ნივთი, რაც კი რესტორანში იდგა, იმ ქვეყნის ეთნოგრაფიულ ნიმუშს წარმოადგენდა. გვემსახურებოდნენ ჰავაის კუნძულებისათვის დამახასიათებელ ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ოფიციანტები. რესტორ-



ემიგრანტებთან

ნის მენიუ ძალიან მდიდარი იყო. იქ ყოველდღიურად შემოჰქონდათ თევზი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან და მენიუც ყოველდღიურად იცვლებოდა. მოგვართვეს საუცხოო ღვინოები და ჰავაის კუნძულებისთვის დამახასიათებელი თევზეულობა. მერე სხვა ქვეყნის თევზიც მოგვიტანეს: ეს თევზი ფილიპინებიდანაა, იგი უცნაური ჯიშისაა და მხოლოდ იქაა გავრცელებული. მეორე ბრაზილიიდანაა, მესამე იაპონურია, ეს კი-ბორჩხალები კი კორეისაა, – გვითხრა მომტანმა.

გავსინჯეთ ზვიგენის ხორციც, იგი მომჟავო გემოსია და უსიამოვნო მეჩვენა.

მოკლედ, რესტორანს მთელი მსოფლიოდან ამარაგებენ თევზეულით. მერე რა მომსახურება და რა სისუფთავეა! თანაც, რესტორანი დილამდე იღებს სტუმრებს.

სან-დიეგოში 10 დღე ვცხოვრობდით და საშუალება გვქონდა, კარგად გავცნობოდით იქაურობას.

იქაური ზოოპარკი, როგორც გვითხრეს, ერთერთი საუკეთესოა ამერიკაში. რომელი ქვეყნის ცხოველს, ფრინველსა და თევზს არ ნახავთ იქ! საინტერესოა, რომ ცხოველთა და ფრინველთა დიდი უმრავლესობა (გარდა მტაცებლებისა) თავისუფლად დანავარდობენ „თავიანთ მოედანზე" დამთვალიერებლებთან ერთად.

დავათვალიერეთ სან-დიეგოს ცნობილი პარკი, რომელიც ქალაქის მშვენებაა. ამ პარკში თითქმის მთელი დღე დავყავით, ეს პარკი კი არა, ნამდვილი ბოტანიკური ბაღია. პარკში შეგიძლიათ ნახოთ რამდენიმე ატრაქციონი. ჩვენ ვნახეთ გაწვრთნილი ზვიგენების ჯგუფი. 6 ზვიგენი სინქრონულად აკეთებდა ათასნაირ ტრიუკს. მწვრთნელებთან ერთად ცეკვავდნენ, ხტუნავდნენ, ბრუნავდნენ, ზურგზე შეისვამდნენ მწვრთნელს და დიდი სიჩქარით დააქროლებდნენ. ასეთი სინქრონი გოგონების წყალქვეშა სინქრონულ ვარჯიშებშიაც არ მინახავს.

უფრო დიდი შთაბეჭდილება მეორე ატრაქციონმა მოახდინა. აქ უზარმაზარი აუზია იარუსებით, სადაც 5 ათასამდე კაცი ეტევა.

3 გაწვრთნილი მტაცებელი ვეშაპი, „კასატკები", რომელთა სიგრძე 10 მეტრამდე აღწევს, საოცრებებს ახდენს; აბა, რა უნდა უწოდო, როცა მწვრთნელი ვეშაპს ყურში ჩასჩურჩულებს რაღაცას და იგი სიმღერას იწყებს, დიახ, სიმღერას. ნახევრად ამოდის წყლიდან, მწვთრნელს ხელში მიკროფონი უჭირავს და ვეშაპი „მღერის".

მერე მწვრთნელი ახალ დავალებას აძლევს; ვეშაპი თითქმის მთლიანად ამოდის წყლიდან, კუდზე დგება და იწყებს ცეკვას მუსიკისა და დასარტყმელი ინსტრუმენტების აკომპანემენტის თანხლებით.

მერე „კასატკები" სინქრონულად ბრუნავენ, ამოხტებიან წყლიდან დიდ სიმაღლეზე, ბურთებს ათამაშებენ, შემდეგ აკეთებენ საოცარ ტრიუკებს, ახლოს მოდიან ნაპირთან და ეხუმრებიან მაყურებელს, თითქოს მათთან ლაპარაკი სურთ. როცა მაყურებელი ფეხზე წამოდგება და ყურს მიუგდებს, ფარფლებით წყალს ამოასხამენ და მაყურებელს გაწუწავენ, თვითონ კი მხიარულად „ხარხარებენ". ყველაფერ ამას აკეთებენ მწვრთნელის დავალებით, რომელიც ყოველი ჩატარებული ნომრის შემდეგ ვეშაპებს კოცნის და თევზს უდებს პირში.

ერთი ასეთი ნომერიც შეასრულეს: მწვრთნელი წყალქვეშ ჩავიდა, ვეშაპმა მას დინგი ფეხის გულებზე მიაბჯინა, მერე დიდი სიჩქარით გააქანა და იმ სიმაღლეზე ამოხტა წყლიდან (მწვრთნელი ისევ დინგზე ჰყავდა), რომ მაყურებელს ოხვრა აღმოხდა. „კასატკები" თითოეულ ნომერს საოცარი „არტისტიზმით" ასრულებდნენ; ტაშის ხმაზე წყლიდან ამოდიოდნენ, ფარფლებს ხელებივით გულზე დაიდებდნენ და მაყურებელს

თავს მდაბლად უკრავდნენ. მერე გულაღმა გაგორდებოდნენ წყალზე და სიამოვნებისაგან ფარფლებს გულზე იტყაპუნებდნენ.

არა, ასეთი რამ არ მინახავს. ის კი არა, რომ ეთქვათ, ნამდვილად არ დავიჯერებდი. მე არ ვიცი, რამდენი დროა საჭირო, რომ ასე ცხოველი გაწვრთნა, თანაც, „მარტო წვრთნა რას უზამს“, როგორც ჩანს, ბუნებაში კიდევ ბევრი საიდუმლოებაა და მარტო ადამიანი არაა ნიჭიერი. რაც ვნახეთ, ნამდვილი საოცრება იყო, ამის აღწერა არ შეიძლება, იგი უნდა ნახოთ.

* * *

სან-დიეგოდან გავემგზავრეთ ქ. პალმსპრიმგში. ეს ქალაქი უდაბნოშია აშენებული. იქ პირველი სახლი 1893 წელს აიგო. ეს სახლი ახლა სამუზეუმო ექსპონატია. იმ უდაბნოში აღმოუჩენიათ სამკურნალო ცხელი წყლები. ქალაქიც იმიტომ აუშენებიათ.

ქალაქს ერთი მხრიდან მოტიტვლებული მთები აკრავს. შენობები ერთ ან ორსართულიანია. სახლები საოცარი გემოვნებითაა აშენებული. ქუჩების გასწვრივ უზარმაზარი პალმები დაურგავთ. ეზოებში დაუფენიათ ბალახიანი მიწა და სახლები ყვავილნარებშია ჩაფლული. რა არ შეუძლია კაცის ხელს, უდაბნოში ასეთი ქალაქი? საოცარია პირდაპირ.

პალმსპრიმგი საკურორტო ქალაქია, სადაც მხოლოდ მდიდრები ისვენებენ და მკურნალობენ. ახლა აქ შუა ზამთარია, ჰაერის ტემპერატურა კი პლუს 30 გრადუსამდე აღწევს.

ქალაქის ქუჩებში დადიან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ძველებური ავტობუსები. ამ ავტობუსს, რატომღაც, ტრამვაის ეძახიან, რომელიც ჩვენებურ „კონკას“ მოგვაგონებს. ავტობუსში უკრავს ძველებური მუსიკა. მძღოლები გიდის ფუნქციასაც ასრულებენ. ისინი სიამოვნებით გვიყვებიან ქალაქის შესახებ.

ამ ქალაქში მხოლოდ პრესტიჟული მარკის ავტომანქანები მოძრაობენ: „როლს – როისები“, „იაგუარები“, „მერსედესები“, „ლინკოლნები“ და სხვ. ერთხელ ასეთი სურათი ვნახე: ახალგაზრდა წყვილმა „როლსროისი“ გააჩერა და ჩვენთან ერთად „ტრამვაით“ გასეირნება არჩია. ამაშიაც არის რაღაც ეგზოტიკური.

„ტრამვაის“ მძღოლმა მიგვიყვანა ქალაქის ყველაზე მაღალ შენობასთან. იგი 4 სართულიანი, უმაღლესი კლასის სასტუმროა. ამ სასტუმროში, – გვითხრა მძღოლმა, – ღამე გაათია და პრეზიდენტ ბუშს შეხვდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი. ბუში კერძო სახლში ცხოვრობდა. პალმსპრიმგში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ადამიანმა კარგად დაისვენოს. აქ ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება. ამან ერთი ანეკდოტი გამახსენა: დეპუტატი ჩუქჩა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კონსტანტინ ჩერნენკომ სახლში მიიწვია. როცა ჩუქჩა თავისიანებთან დაბრუნდა, კრებაზე სიტყვით გამოვიდა: „Я убедился, что у нас в СССР всё делается для человека, я видел этого человека“,

ჩვენი კონცერტი გაიმართა პალმსპრიმგიდან ნახევარი საათის სავალზე. იქ კი ნამდვილი ოაზისია. ამ ხელოვნურ ოაზისში დგას ერთ-ერთი ულამაზესი თეატრი, რაც კი ოდესმე მინახავს. ხასხასა მწვანე ბალახით, ყვავილებითა და პალმებითაა მორთული თეატრის მთელი შემოგარენი. თეატრის წინ დიდი, ფერადი შადრევანია, რომელიც აგრილებს და ალამაზებს იქაურობას. ყოველივე ეს თეატრთან ერთად ქმნის საოცარ ანსამბლს. ბალახებში დახტიან შაშვები, გვრიტები, ისინი ადამიანს არ უფრთხიან. აქვე, პალმებზე გალობენ ბულბულები, ერთი სიტყვით, ჩიტების საოცარ კონცერტს



„ხორუმი“

შევესწარი. მზე ჩადიოდა და მისი სხივები ლამაზ ფერებში ანათებდა აქაურობას, რომელიც ამ თვალუწვდენელ უდაბნოში სამოთხის პატარა კუნძულივით ჩანდა.

თეატრის გარშემო ხომ ოაზისია, თეატრის უზარმაზარი ფოიე ნამდვილი სამოთხის ბაღი გეგონებათ: ფერადი შადრევნებით, ულამაზესი მცენარეებითა და ყვავილებით შემკული.

ეს თეატრი საქველმოქმედო მიზნით აუშენებია ერთ-ერთ ცნობილ ამერიკელ კომიკოსსა და კინოვარსკვლავს ბობ ჰოუპს.

თეატრი ხალხით გაიჭედა. მოვიდა უმდიდრესი მაყურებელი. ისინი მოდიოდნენ ძვირფასი მანქანებით, რომელთაც თეატრის შესასვლელთან ხვდებოდნენ სპეციალური მოსამსახურეები. ისინი მანქანის პატრონებს გასაღებს ართმევდნენ და მანქანა ავტოსადგომზე მიჰყავდათ, პატრონს კი ტალონს უტოვებდნენ. კონცერტის შემდეგ იმავე ტალონით უკან უბრუნებდნენ მანქანებს. რა მომსახურებაა!

* * *

მეორე დილით ლოს-ანჟელესში გავემგზავრეთ. გზად გაგვატარეს „კოვბოის" მუზეუმში, რომელიც ცნობილმა „კოვბოის" როლების შემსრულებელმა, მომღერალმა და კომპოზიტორმა ჯინ ოტრიმ დააარსა. მუზეუმს უზარმაზარი შენობა აქვს დათმობილი. აქ წარმოდგენილია კოვბოური საბრძოლო იარაღების ნიმუშები: ძველი ინდიელების აბჯარკაზმულობა, შუბები, დანები, მშვილდ-ისრები, თოფები, მუშკეტები და სხვ. წარმოდგენილია, აგრეთვე, სამეურნეო იარაღიც: სახნისი, ბარი, თოხი, ურემი, უღელი და სხვ. უღლის შესახებ ექსკურსიამძოღლი შეგვეკითხა: თუ იცით, რა არის ეს? – ჩვენ თუ არ ვიცით, აბა ვინ იცის. აგერ ორასი წელია კისერზე გვადგას, – გაიცინა ამირან გოლიაძემ.

მუზეუმში ბევრია „კოვბოური" ყოფის ამსახველი ფოტოსურათები და ტილოები, ბევრია ვიდეოფილმებიც. საინტერესოა ინდიელების კოსტიუმები. იგი გაწყობილია სპილოს ძვლებითა და ათასნაირი ზიზილ-პიპილოებით, ქუდები კი – არწივის ფრთებით. არწივს თურმე შემდეგნაირად იჭერდნენ: ინდიელი მთაზე ამოთხრიდა ორმოს და შიგ ჩაჯდებოდა. თავზე გადაიფარებდა ტოტებს და ზედ კრავს ან შინაურ ფრინველს დააბამდა. არწივი შეამჩნევდა თუ არა მსხვერპლს, შურდულივით დაეძგერებოდა მას. ამ დროს ინდიელი ფეხებში სტაცებდა ხელს, ორმოში ჩაითრევდა და მოგუდავდა, შემდეგ მის ფრთებს სამკაულებისა და საომარი იარაღისათვის იყენებდა.

უკვე მერამდენედ ვხვდებით, რომ კერძო პირები, გამოჩენილი პიროვნებები თავიანთ ფულს საქველმოქმედო საქმისათვის იყენებენ, აშენებენ თეატრებს, მუზეუმებს და სხვ. უზრუნველყოფილი სიბერეც განაღდებული აქვთ; პენსიაზე გასვლის შემდეგ იწყებენ ტურისტულ მოგზაურობას და ახალგაზრდობაში დაგროვილი ფულით დროს ატარებენ.

„კოვბოის" მუზეუმიდან ლოს-ანჟელესამდე მისვლას ორი საათი მოვუნდით. გზაზე ხშირად ვხვდებოდით სხვადასხვა სიდიდისა და მარკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას: ამწეებს, ტრაქტორებს, სასხლავებს, სარწყავებსა და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, კერძოდ, სატვირთო მანქანებს, მსუბუქ მანქანებს, შეგიძლიათ ისინი დაიქირავოთ მძღოლის გარეშე და წაიყვანოთ ნებისმიერ ქალაქში, გამოიყენოთ და იქვე დაუტოვოთ სპეციალურ ფირმას. მძღოლის გარეშე მანქანის დაქირავება გაცილებით იაფი ჯდება.

ლოს-ანჟელესში დღის 3 საათზე ჩავედით. იგი სიდიდით აშშ-ის მესამე ქალაქია

(ნიუ იორკისა და ჩიკაგოს შემდეგ), მისი მოსახლეობა გარეუბნებიანად რვა მილიონს შეადგენს.

ლოს-ანჟელესში ათასი ჯურის ხალხი ცხოვრობს. აქ ნახავთ ჩინურ კვარტალს, კორეულს, მექსიკურს, არაბულს, იტალიურს, სომხურს (600 000 კაცი) და სხვ. როგორც ამერიკის სხვა დიდ ქალაქებში, აქაც, ცენტრის გარდა, ყველგან დაბალსართულიანი სახლებია. ცენტრში თავმოყრილია ცათამბჯენები, სადაც ქალაქის ფინანსური ცენტრებია განლაგებული. ერთ-ერთი ასეთი ცათამბჯენის (50-ზე მეტი სართულით) პირველ სართულზე საკონცერტო დარბაზია (დიდ ქალაქებში ესეც ჩვეულებრივი ამბავია). იგი აუშენებიათ 1931 წელს.

ჩვენმა კონცერტებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საკონცერტო დარბაზის შესასვლელში მოთავსებული ლამაზი რეკლამა მოსახლეობას ამცნობდა, რომ ანსამბლი „რუსთავი" კონცერტებს 18 მარტამდე გამართავდა.

ჩვენი სასტუმრო საკონცერტო დარბაზიდან სულ ორასიოდე მეტრის დაშორებით მდებარეობდა, ამიტომ კონცერტებზე ფეხით დავდიოდით. ჩვენს პირველ კონცერტს დაესწრნენ სან-ფრანცისკოს პრესისა და ტელევიზიის, ქალაქის მუნიციპალიტეტის და სხვა ოფიციალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქალაქის რჩეული საზოგადოება.

კონცერტი წარმატებით ჩატარდა. ფინალი, როგორც სხვაგან, აქაც რამდენჯერმე განმეორდა, ფეხზე ამდგარი მაყურებლის ტაშის გრიალში.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის ცენტრალური გაზეთი წერდა: „... თეატრის სცენაზე მარჯვნიდან შემოდის ანსამბლ „რუსთავის" 20 მოცეკვავე ერთ მწკრივად, სახეები პროფილშია, ხელები – ერთმანეთის მხრებზე, ხოლო ფეხები სწრაფად მოძრაობენ წინ და უკან.

როდესაც ისინი ლაგდებიან ხუთკაციან მწკრივებში და შემდეგ ქმნიან წრიულ ფორმაციებს, მოცეკვავეები ისეთნაირად მოძრაობენ, რომ არ არღვევენ ცეკვის ფორმას, მის სიმკაცრეს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ერთი გონი მართავს ერთ სხეულს.

სცენიდან გასვლისას კი თითოეული მოცეკვავის თავი და ტანი აბსოლუტურად უძრავია, ეს მაშინ, როდესაც ისინი ერთდროულად აკეთებენ ნახტომებს, რომლის დროსაც ჰაერს მიაპობენ.

იდუმალ გურულ-აჭარულ ცეკვას, რომელსაც „ხორუმი" ჰქვია, შესაძლებელია არა აქვს იმდენი ვირტუოზული ბრუნვები და მუხლზე დაცემები, როგორსაც „რუსთავი" აკეთებს „მთიულურის" ფინალის დროს, არც ისეთ ნაპერწკლებს აფრქვევს, როგორც ეს ხმლებით შერკინებისას ხდება „ფარიკაობაში", მაგრამ „ხორუმი" ამკვიდრებს უბადლო ერთიანობას, ამაში მას თითო-ოროლა ანსამბლი თუ გაუტოლდება.

„ხორუმის" თავდაჭერილობასა და საკუთარი ღირსების შეცნობაში ყველაზე მეტად მჟღავნდება „რუსთავის" პატივისცემა მშობლიური ფესვებისადმი, კულტურული ტრადიციებისადმი. ასეთი დამოკიდებულება აღსაფრთოვანებელია განსაკუთრებით დღეს, როცა, ხშირად, ყალბ შარადებს ხალხურ შემოქმედებად ასაღებენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილი ზოგიერთი ანსამბლი ახდენს ეროვნული ქორეოგრაფიის ბალეტიზებას და ხალხურ ქორეოგრაფიას ავსებს მაქსიმალური რაოდენობის ტრიუკებით. „რუსთავი" კი ნაღდია, ესაა ჭეშმარიტად ფოლკლორული ანსამბლი.

„რუსთავი" გრძნობს, რომ ამერიკელ მაყურებელს მოსწონს ნამდვილი ხალხური

სიმღერა და ცეკვა და, რომ მას იზიდავს ჭეშმარიტი ხელოვნება და არა ფსევდო-ხალხურ სტილში დადგმული საბალეტო დივერტისმენტებისა და ტანვარჯიშის ჩვეულებრივი საღამო".

„ჩვენ ვიღებთ იმას, რაც გვჭირდება – ვესწრებით ქართული ვოკალური ხელოვნების „სემინარს", რომელსაც ატარებს ანსამბლ „რუსთავის" მამაკაცთა გუნდი. ისინი მღერიან, აკომპანემენტის გარეშე, მღერიან შრომის სიმღერებს, ტრიოტულ ჰიმნებს, ლირიკულ ბალადებს, იუმორისტულ სიმღერებს. თითოეული მათგანი მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკას...

„რუსთავი" პასუხობს ახალ მსოფლიო ინტერესს ანტიკური ქორალური მუსიკისადმი. იგი გვაცნობს რეგიონულ სპეციფიკასაც. მაყურებელიც გამოხატავს თავის კმაყოფილებას ამერიკული ვოკალური ტრადიციის შესაბამისი შეძახილებით.

შესვენების შემდეგ ბევრ მაყურებელს უკვე ხელთა აქვს „რუსთავის" კომპაქტდისკები და კასეტები. ისინი ცნობისმოყვარეობით უსმენენ უცხო ენის ყოველ სიტყვას, თუმცა თვითონ ვერასოდეს შეძლებენ ამ ენაზე ლაპარაკს.

ინსტრუმენტული მელოდიები გვაცნობენ ხალხურ საკრავებს: სალამურს, დოლს, სიმებიან ინსტრუმენტებს. ცეკვის აკომპანემენტი კი უფრო ხშირად გარმონზე სრულდება, თვით ყველაზე თავბრუდამხვევი ცეკვებიც კი ბგერათა მსუბუქი ნაკადის თანხლებით სრულდება. ქალები ისე დასრიალებენ სცენაზე, როგორც ჰაერის ბალიშებზე, ხოლო კაცები დაქრიან ფეხის წვერებზე. თითქოს ეს-ეს არის უნდა გაფრინდნენო.

ინფორმაციის ნაკადმა, რომელიც წინ უსწრებს „რუსთავის" გამოსვლებს, არ უნდა შთანთქოს ამ ღირსშესანიშნავი ანსამბლის მიღწევები: ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე გვაჩვენებს ილეთებს, რომლებიც აღგვაფრთოვანებს კუნთოვანებით, ასიმეტრიულობით და ქართველთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციით. მამაკაცთა ქორეოგრაფიული ლექსიკონი უაღრესად მდიდარია და მრავალფეროვანი. მას არ სჭირდება ახსნა-განმარტებები...

ზოგჯერ ბალეტიც გვაგონდება: მაგალითად, „მთიულურ სიუიტაში" ქალთა კოსტიუმები გვახსენებენ ნიჟინსკის მიერ დადგმულ „კურთხეულ გაზაფხულს".

მთავარია, რომ „რუსთავმა" მიაგნო ჭეშმარიტებას და ისე გამოიტანა სცენაზე, რომ მისი არსი არ დაამახინჯა... ასეთი შედეგი აღმაფრთოვანებელია.

„ლოს-ანჟელეს ტაიმსი".

ლუის სეგალი – კრიტიკოსი.

* * *

10 მარტს დასვენების დღე გვქონდა. საღამოს 5 საათზე ანსამბლის წევრები თავიანთ ოჯახში მიგვიწვიეს ჩვენმა მეგობრებმა – ჩარლიმ და ინგრიტმა. ისინი ცხოვრობენ ლოს-ანჟელესის გარეუბანში, ქალაქიდან 50 კმ-ის დაშორებით, სან-დიეგოს მიმართულებით. ეს არის პატარა დაბა თუ სოფელი, ლამაზი ეზოებითა და სახლებით. ყველა ეზო ყვავილებშია ჩაფლული, ჭიშკართან დგას ძვირფასი მანქანები.

ჩარლის სახლი ლამაზი არქიტექტურით გამოირჩევა. იგი ორსართულიანია, გაწყობილია მაღალი გემოვნებით. იატაკზე ფაფუკი, თეთრი ხალიჩებია დაფენილი, იმდენად თეთრი, რომ ზედ ფეხის დადგმა დაგენანებათ. ჩარლის სახლში გამოფენილია საქართველოდან წამოღებული სუვენირები. მისაღებში გაშლილი ჰქონდათ სუფრა მრავალნაირი სასმელითა და მსუბუქი საჭმელით. იქ დავყავით თითქმის ერთი საათი, და-



მოცეკვავე თამაზ კობახიძე

ვათვალიერეთ ჩარლის ეზო-კარი, მისი ფირფიტებისა და ფოტოების მდიდარი კოლექცია. ამის შემდეგ წაგვიყვანეს მახლობლად მდებარე სახლში, რომელსაც თურმე საბანკეტოდ იყენებენ. ჩარლის დაექირავებინა მზარეულები და ქართული საჭმელები დაემზადებინათ დედაჩემისაგან წაღებული რეცეპტების მიხედვით.



მოცეკვავე ნინო ლაზიშვილი

ჩარლიმ სუფრასთან მიგვიწვია და გამოაცხადა: თქვენ რომ მიგვიღეთ, ისე მე ვერ მოვახერხებ, მაგრამ მაინც შევეცდები, საკადრისად გაგიმასპინძლდეთო. თქვენი წესის თანახმად, თამადა მე ვიქნები, ხოლო ჩემს მოადგილედ ანზორს ვნიშნავო. მან პირველად საქართველოს და მისი ტრადიციების სადღეგრძელო შესვა. ამ სადღეგრძელოს ჩვენი „მრავალჟამიერი" მოჰყვა.

მერე დაილია ჩვენი ოჯახების, მანდილოსნების, მშობლების, ბავშვების, დაღუპულებისა და კიდევ რა ვიცი რამდენი სადღეგრძელო. ჩარლი გამოტყდა, რომ მას თურმე ჩემს ოჯახში ჩაუწერია და შეუსწავლია ქართული სადღეგრძელოები (მაშინ თამადა ბ-ნი რეზო თაბუკაშვილი გახლდათ).

„საერთოდ, – თქვა მან, – თამადობა და ქართული სუფრა მთელი მსოფლიოსათვის იშვიათი მონაპოვარია და იგი ცალკე შესწავლის საგანია. ამაზე დისერტაციები უნდა დაიწეროს".

ჩარლიმ განსაკუთრებით შესვა ანსამბლის დირექტორ-განმკარგულებლის – ალეკო ლორთქიფანიძის სადღეგრძელო. – ეს ის კაცია, – თქვა მან, – რომლის მომღიმარი სახე პირველად დავინახეთ მოსკოვში ამდენი მოღუშული რუსების შემდეგო (ალეკო ამერიკელებს მოსკოვში დავახვედრეთ).

ცეკვა-სიმღერა დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს ჩარლი გამოეწყო თოვლის ბაბუას ტანსაცმელში, დაჯდა სუფრის ბოლოში, ანსამბლის თითოეული წევრი მუხლზე დაისვა და მათთან სამახსოვრო სურათები გადაიღო.

მერე „თოვლის ბაბუამ" ყველას სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა. მათ შორის, თბილისში გადაღებული საუცხოო ხარისხის ფოტოსურათები.

სუფრა გვიან ღამით დამთავრდა. ჩარლი, ინგრიტი და მათი ქალიშვილი ქრისტინა სათითაოდ გვკოცნიდნენ და გვემშვიდობებოდნენ. ეს იყო საოცრად კეთილშობილი ოჯახი, რომელმაც დაუვიწყარი საღამო გაგვიმართა.

სასტუმროში აღფრთოვანებული დავბრუნდით.

* * *

მსოფლიოში სახელგანთქმული კინოსტუდია „ჰოლივუდის" უდიდესი საკონცერტო დარბაზიდან, ამერიკის ცნობილი ტელეკომპანია „სიბიესი" ყოველწლიურად აწყობს გადაცემას სახელწოდებით „ჯილდო ხალხისმიერ არჩეულ საუკეთესო არტისტებს". გადაცემის დიდი ნაწილი ეძღვნება საზოგადოებრივ აზრს წინა წელს მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ.

გადაცემას ყოველწლიურად აწყობს „გელოპის ინსტიტუტი". „გელოპმა" დააარსა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი. იგი ყოველ წელს ახდენს საზოგადოების გამოკითხვას: პოლიტიკურ, სოციალურ, მუსიკალურ, კინოს და სხვა ნებისმიერ თემაზე. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ ეს ინსტიტუტი და იგი ნებისმიერ თემაზე ჩაგიტარებთ გამოკითხვას ამერიკის სხვადასხვა რეგიონის 50 000 მცხოვრებისაგან.

ეს გადაცემა მეტად პოპულარულია და მას ისმენს მსოფლიოს დიდი ნაწილი: ორი წლის წინათ „გელოპის ინსტიტუტმა" ჩაატარა ასეთი გამოკითხვა: „საყვარელი სიმღერა". გამოკითხულთა უმრავლესობამ დაასახელა სიმღერა ფილმიდან „ექიმი ჟივაგო".

ამჯერად, ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აჯილდოებდნენ საუკეთესო ტელე და კინომსახიობებს. გამოკითხვის შედეგად გასული წლის საუკეთესო მსახიობი ქალი აღმოჩნდა მერილ სტრიპი, ხოლო რაც შეეხება აზრს მსოფლიოში მომხდარი მოვლენების შესახებ, ამჯერად, ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, იყო თავისუფლება.

სწორედ ამ თემას მიუძღვნა ცნობილმა ამერიკელმა კომპოზიტორმა რეი ჩარლზმა ახალი სიმღერა „თავისუფლება".

მას შემდეგ, რაც ჩვენდა საქებრად კანადასა და აშშ-ში ბევრი წერილი დაიწერა, ტელეკომპანია „სიბიესმა" გამოგვიგზავნა ნოტები და გვთხოვა ამ სიმღერაში მონაწილეობის მიღება უნგრეთის, ბულგარეთისა და ამერიკის გუნდებთან ერთად. ჩვენ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ეს სიმღერა ადრევე შევისწავლეთ. სიმღერის შინაარსი ასეთია:

„თავისუფლება არ არის შტატი, როგორც მეინი ან ვირჯინია, თავისუფლება არ მდებარეობს რომელიმე ტერიტორიული საზღვრის მიღმა. თავისუფლება ცეცხლია, რომელიც შენში იწვის, თავისუფლება სულისა და გონების მდგომარეობაა. თავისუფლება არ არის გემი, რომელიც უშენოდ მიდის, თავისუფლება არ არის ადგილი, რომლის პოვნასაც ცდილობ. თავისუფლება ის არის, თუ როგორ ფიქრობ საკუთარ თავზე. თავისუფლებას ვერ მიაღწევ მატარებლით მგზავრობით, ერთადერთი გზა თავისუფლებისაკენ უნდა იპოვო საკუთარი გონების საშუალებით. თავისუფლება ცნებაა, რომელიც აერთიანებს ყველა ერს, თავისუფლება ყველა ადამიანის უფლებაა. ჩემი ქვეყანა, თავისუფლების ტკბილი მიწა – შენიცაა, ამ მიწას ვუმღერ, პილიგრიმების სიამაყის მიწას, სადაც ჩვენი მამა-პაპები მოკვდნენ. დაე, ყოველი მთიდან ჩამოკრას თავისუფლების ზარმა".

11 მარტს დილიდანვე წაგვიყვანეს „ჰოლივუდში".

კონცერტი შედგა უდიდეს საკონცერტო დარბაზში, რომელსაც გადაღების დროს პავილიონად იყენებენ (დარბაზის ფართობი დაახლოებით 6400 კვ. მ-ია).

რეპეტიცია დილის 11 საათზე დაიწყო.

დარბაზის შესასვლელთან რამდენიმე კარიკატურა და განცხადება იყო გამოკრუ-

ლი, აი ერთ-ერთი მათგანი: „ვეძებ კარგ ქალს, რომელმაც იცის: საჭმლის მომზადება, გარეცხვა, დაკერება, ჭიაყელების მოძებნა და თევზის დამზადება. ჰყავს მანქანა და იახტა.

გთხოვთ გამომიგზავნოთ მანქანისა და იახტის ფოტოსურათი (ქალის საჭირო არ არის)".

სპეციალურად აგებულ ესტრადაზე იდგა საუცხოო დეკორაცია თეთრად შეფერილი ორი საყრდენი სვეტით. ამ სვეტში ჩამონტაჟებული იყო 15 უდიდესი მონიტორი. სვეტების გვერდით ეკიდა ორი დიდი ეკრანი. ამ მონიტორებსა და ეკრანებზე შოუს დროს აჩვენებდნენ ნაწყვეტებს სხვადასხვა ფილმიდან, რომლებშიც დღევანდელი პრიზის მფლობელები მონაწილეობდნენ. დარბაზში სამი მოძრავი ვიდეოკამერა მუშაობდა (უძრავი, ვინ იცის, რამდენი იყო)... ისინი დამაგრებული იყო უზარმაზარ ამწეებზე, რომელთა მოძრაობის ამპლიტუდა მთელ ამ უზარმაზარ დარბაზს სწვდებოდა. საკონცერტო ესტრადა საოცრად იყო განათებული, იმდენნაირი ფერი თამაშობდა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ განათებას ამდენი შესაძლებლობა ჰქონდა.

ხმის სააპარატო დამონტაჟებული იყო მანქანაზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ პავილიონთან დააყენებდნენ. სააპარატო სამ ნაწილად იყო გაყოფილი: ხმის სააპარატო, ვიდეოფირების განყოფილება და რეჟისორის სამონტაჟო, სადაც 50 სხვადასხვა ზომის მონიტორი დავთვალეთ. სამონტაჟო კომპიუტერებზეა მოწყობილი და ათასნაირ მანიპულაციას აკეთებს.

„ჰოლივუდი" აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

მთელი სამუშაო დღე ზუსტად იყო დაგეგმილი, მოსამსახურე პერსონალი ჩუმად და თავაუღებლად მუშაობდა.

ჩვენ რამდენიმე რეპეტიცია გავიარეთ. პირველად შევხვდით სოლისტს, ტელე და კინოვარსკვლავს, ახალგაზრდა მომღერალს ჯონ შნაიდერს, რომელსაც მიჰყავდა პროგრამის ნაწილი და ჩვენს სიმღერაში სოლო პარტიას ასრულებდა.

ეს ახოვანი, ულამაზესი „ვარსკვლავი" ძალიან თავმდაბალი და უბრალო ადამიანი აღმოჩნდა. ჩვენ პირველსავე რეპეტიციაზე დავიმსახურეთ პროგრამის რეჟისორებისა და სხვა მონაწილეთა სიმპათია. როგორც კი ჩვენმა ბიჭებმა ქართულად დასჭექეს სიტყვა „თავისულება", დარბაზს ტაში მოსწყდა. მერე სხვა გუნდები ამღერეს, მერე ჩვენ – მათთან ერთად. შემდეგ მიზანსცენები მიგვანიშნეს, გვასადილეს. საინტერესოა, რომ რეპეტიციაზე არც ერთი „ვარსკვლავი" არ მოსულა. მათ მაგივრად რეპეტიციას „დუბლიორები" გადიოდნენ.

ნასადილევს (კონცერტამდე რამდენიმე საათი რჩებოდა) ჩაგვსხეს ძველებურ ტრამვაის მსგავს ავტობუსში, რომელიც რამდენიმე ვაგონისაგან შედგებოდა და დაგვათვალიერებინეს „ჰოლივუდი".

ექსკურსია დამთავრდა. „ტრამვაიმ" საკონცერტო დარბაზთან მიგვიყვანა, სადაც ერთ საათში კონცერტი უნდა დაწყებულიყო. მთელ იმ პატარა „ქუჩაზე", რომელიც დარბაზისკენ მიდიოდა, გაწყობილი იყო სუფრები ათასნაირი საჭმელ-სასმელით (სუფრა უფასო იყო). აქ თავი მოეყარათ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ კინოვარსკვლავებსა და ხელოვნების სხვა რჩეულთ. მამაკაცები გამოწყობილნი იყვნენ შავ სმოკინგებში, ქალებს რა ეცვათ, ამის აღწერა ნამდვილად შეუძლებელია.

ჩვენი ჩოხიანი ბიჭების გამოჩენამ ამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მსოფლიოს „ვარსკვლავები" ტაშის გრიალით შეეგებნენ ქართველ ჩოხოსნებს, რომ-

ლებმაც განსაკუთრებული კოლორიტი შეიტანეს მსოფლიო უმაღლეს ცივილიზაციაში.


კინაღამ წაგვლეკა ფოტორეპორტიორებისა და ჟურნალისტების ტალღამ, რომლებმაც გამოჩენილ კინოვარსკვლავებთან ერთად ჩვენი გადაღებაც დაიწყეს. მერე ამ რეპორტიორებმა მოინდომეს კონცერტზე შესვლა, მაგრამ პოლიციამ არ გაუშვა და იყო ერთი ამბავი.

კონცერტის დაწყებამდე ვნახეთ დარბაზი, რომელიც უკვე საკონცერტოდ გაემზადებინათ. მაყურებელი გაწყობილ სუფრასთან იჯდა და ისე უყურებდა შოუს. მაგიდაზე გადაეფარებინათ ნაირფერი სუფრები, რომლებზეც სხვადასხვა ფერის ყვავილები ელაგა. ყვავილებში ვარდები სჭარბობდა. სუფრაზე ეწყო იშვიათი ჭურჭელი და ზედ ათასნაირი ტკბილეულითა და სასმელით. ყოველივე ეს ისეთ ფერებში იყო გადაწყვეტილი და ისე მდიდრულად გამოიყურებოდა, რომ მაყურებელს თვალს მოსჭრიდა.

ამ ფაქტმა გამახსენა ერთი ამბავი: საქართველოში, ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს, როცა ქეიფის სცენას იღებდნენ, ფილმის დირექტორმა გოჭსა და ქათმებს ნავთი გადაასხა, მოშიებულ მსახიობებს რომ არ შეეჭამათ, ვინაიდან გადაღება მეორე დღესაც უნდა გაგრძელებულიყო.

დარბაზი ნელ-ნელა გაივსო ხალხით, დადგა შანელის სუნი, ბრილიანტებში აბრჭყვიალდა მთელი დარბაზი. დაიწყო კონცერტი სახელწოდებით: „ჯილდოები ხალხის რჩეულებს", რომლის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა ამერიკასა და მთელს ევროპაში (გარდა სსრ კავშირისა).

მსახიობებს ჯილდოებს გადასცემდა 1990 წლის „მისს ამერიკა" ქერელ გისტი. ეს ულამაზესი „მისი" მულატია, მაღალი, ტანკენარი, ნამდვილი შავი ბრილიანტი, მისი



ჰოლივუდის ტელევარსკვლავი ტომი შნაიდერი

სილამაზის აღწერას მე ვერ შევძლებ, რადგან ამისთვის არც ნიჭი მეყოფა და არც ნერვები. ვიტყვი მხოლოდ, რომ უცბად ვერდის ოპერა „აიდა“ გამახსენდა. მისი მთავარი გმირი სწორედ ისეთი წარმომედგინა, როგორიცაა ქერელ გისტი.

სათითაოდ გამოდიოდნენ მსახიობები და, სანამ ჯილდოს მიიღებდნენ, უზარმაზარ ეკრანებსა და მონიტორებზე აჩვენებდნენ ფრაგმენტებს მათი კინოფილმებიდან. მერე ისინი ყვებოდნენ კურიოზულ ამბებს თავიანთი ცხოვრებიდან და იყო ერთი სიცილ-ხარხარი.

მსოფლიოში სახელგანთქმული „ვარსკვლავების“ გრძელი სიიდან აქ იყვნენ: მერილ სტრიპი, ლუთერ ვანდროსი, ვალერი ბერტინელი, არსენიო ჰოლდი, არმი აჩერდი, ფრედ სევიჯი, სალლი კელერმანი, ბრონსონ პინჩოტი, ჯემი ლიი კურტისი, ანტონი ფალსო, როზან ბარი, ალან რაჩენსი, კენი როჯერსი, ბობი ბრაუნი, პაულა აბდული, კომიკოსი – ბილ ქოსბი, 14 წლის ნეილ პეტრიკ ჰარისი (მამაკაცის საუკეთესო როლისათვის პრიზის მფლობელი), 13 წლის ტელევარსკვლავი, მსახიობი და წამყვანი ფრედ სევიჯი, რომელსაც სხვებთან ერთად დღევანდელი საღამოც მიჰყავდა გასაოცარი ოსტატობით. კინო-ტელე-„ვარსკვლავთა“ სიას რომ გაეცნო, ფრიდონ სულაბერიძემ მითხრა: ეს რა „ვარსკვლავებია“, ნახევარის გვარი პირველად მესმისო. რა ვქნათ, ჩემო ფრიდონ, ჩვენთან ამათ ფილმებს არ აჩვენებენ-მეთქი“, – ვუპასუხე და გამახსენდა, ფრაგმენტი ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“.

„... ბალზაკი, რომენ როლანი, პროსპერ მერიმე, ჰიუგო, ჯავახიშვილი, დიკენსი, ომარ ხაიამი, გალაკტიონ ტაბიძე...

– ეგნატე ნინოშვილი რა უყავი, შე უპატრონო.

- ეგნატეს არაფრით არ ჩამოუვარდებიან მაგენი, – ვამშვიდებ ილარიონს.

- რომელი ერთი დოუდგება გვერდში... ნახევარის გვარი პირველად მესმის“.

სცენაზე გამოვიდა რუსი ემიგრანტი სმირნოვი, რომელმაც ახსნა, თუ როგორ ესმის მას თავისუფლება და დასძინა: „სამშობლო მივატოვე იმიტომ, რომ ყველაფერს თავისუფლება ვარჩიე“.

ჩვენი ბიჭები გამოვიდნენ თუ არა სცენაზე და გაისმა ქართულად „თავისუფლება“, დარბაზს ერთსულოვანი ტაში მოსწყდა.

სიმღერას დიდი მოწონება ხვდა წილად. მეორე დღეს პრესა აღნიშნავდა, რომ ეს ნომერი მთელს შოუში საუკეთესო იყო.

მოკლედ, კონცერტმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მეორე დღეს მთელი ლოს-ანჟელესი გვიცნობდა.

ჩვენს კონცერტზე დავპატიჟეთ პროგრამის ერთ-ერთი წამყვანი და ჩვენი სიმღერა „თავისუფლების“ სოლისტი ჯონ შნაიდერი. კონცერტის შემდეგ იგი აღფრთოვანებული ამოვიდა სცენაზე და თქვა, რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და გაიცნობს იმ ხალხს, რომელმაც ეს შესანიშნავი კულტურა შექმნა.

მეორე დღისთვის შნაიდერმა მთელი ანსამბლი მიიწვია სადილად. ჩვენმა ბიჭებმა და გოგოებმა მასთან სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღეს და ერთხელ კიდევ შეასრულეს სიმღერა „თავისუფლების“ ფინალი.

ჯონი არაჩვეულებრივად მომხიბვლელი პიროვნებაა. უბრალო, პატარა ბავშვივით მიამიტი. ქუჩაში ყველა ცნობს, მეტად პოპულარული კაცია. სცენაზე პირველად 8 წლისა გამოსულა, მონაწილეობა მიუღია სპექტაკლში „მევიოლინე სახურავზე“.

12 წლის წინათ მიიპატიჟეს შოუში, რომელიც 7 წელი გადიოდა დიდი წარმატებით.

ეს შოუ ლოს-ანჟელესსაც ეწვია და კარგა ხანს დარჩა იქ. შოუსთან ერთად დარჩა ჯონიც. მერე ტელეფილმები, კინო და ტელეპროგრამები, „ჰოლივუდი", კონცერტები, წარმატებები... ცოლად შეირთო მაშინდელი „მისს ამერიკა", ამჯერად, მარტო ცხოვრობს „ჰოლივუდიდან" 65 კმ-ის დაშორებით, მთებში; ჰყავს ცხენი, ძაღლი, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები, ძვირფასი მოტოციკლი. სწორედ ამ მოტოციკლით მოვიდა ჯონი ჩვენთან, კოვბოურად ჩაცმული, გაცვეთილი ჯინსებითა და ყელიანი ფეხსაცმლით. ისინი ჩაცმულობით არავის აკვირვებენ. ჩვენ დავხვდით კოსტიუმებში გამოპრანჭულები. ჯონი უბრალო მოსაუბრეა; დემოკრატია კარგიაო, – გვითხრა, მაგრამ ცუდია, როცა კაცის მკვლელსა და ჩვეულებრივ მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვთო.

ჯონმა სადილი გაგვიმართა რესტორანში, რომელიც მდებარეობს იმ სასტუმროს წინ, სადაც სენატორი რობერტ კენედი მოკლეს.

რესტორანში ჯონი, რასაკვირველია, იცნეს. გვიცნეს ჩვენც, რადგან ბევრს უკვე ენახა ჩვენი კონცერტი. ნახეს ჩვენი გამოსვლაც ტელევიზორით, ასე რომ, ჯონ შნაიდერი და ჩვენ ავტოგრაფების გაცემას ვერ ავუდიოდით.

მერე ბიჭებმა იმღერეს, რესტორანი მქუხარე ტაშით გამოგვეხმაურა. სადილის შემდეგ ჯონი თბილად დაგვემშვიდობა, ჩვენი მისამართები ჩაიწერა და შეგვპირდა, აუცილებლად გეწვევითო საქართველოში.

რესტორნიდან სასტუმრომდე ფეხით გავიარეთ. ქუჩაში ვაშლის ხეებს სხლავდნენ. სასხლავი რამდენიმემეტრიანი იყო, წვერზე მობმული კაუჭა მაკრატლით მოჭრილ ტოტებს იქვე მდგომი მანქანის ძარაში ყრიდნენ, რომელიც ერთი წამის განმავლობაში ფქვავდა და მტვრად აქცევდა. ქუჩაში ერთი ფოთოლიც კი არ რჩებოდა.

როცა ამ სანახაობას ვუყურებდით, საყვირებით გაიარეს სახანძრო მანქანებმა.

მანქანები სხვადასხვა ზომისანი იყვნენ, ძალიან დიდებს გრძელი მისაბმელი ებათ. მისაბმელებს ბოლოში საჭეები ჰქონდათ (ადვილად მანევრირებისათვის), რომლებთანაც ცალკე მძღოლები ისხდნენ. სახანძრო მანქანებს უმაღლეს დონეზე აღჭურვილი სასწრაფო დახმარების მანქანები მიჰყვებოდა.

მეორე დილით, 10 საათზე ერთ-ერთ კოლეჯში კონცერტი გავმართეთ ბავშვებისათვის. კოლეჯის საკონცერტო დარბაზი, რომელიც სიდიდით ჩვენი ფილარმონიის დარბაზს არ ჩამოუვარდება, სავსე იყო ბავშვებით. წინა რიგებში ინვალიდი ბავშვები ისხდნენ, რომლებიც სპეციალური ბორბლებიანი სკამებით თვითონ ბავშვებმა მოიყვანეს.

ორი საათის განმავლობაში ბავშვები გასუსულნი უსმენდნენ კონცერტს. ბოლოს ჩვენთან ერთად იმღერეს „ამერიკა, ამერიკა".

კონცერტის შემდეგ ბევრი მათგანი სცენაზე ამოვიდა და საინტერესო შეკითხვები დაგვისვეს. მათ აინტერესებდათ ჩვენი ბავშვების შესახებ, მღერიან და ცეკვავენ თუ არა ისინიც; როგორები არიან – თეთრები თუ შავკანიანები, სკოლაში თუ დადიან და სხვ. მერე ავტოგრაფები გვთხოვეს. აქაურ ბავშვებს აცვიათ ის, რაც უნდათ, საჭმელ-სასმელი აქვთ ყველანაირი, რასაც კი ინატრებენ, სათამაშოები და გასართობები აქვთ ისეთი, რომ ჩვენი ბავშვები ვერც იოცნებებენ.


ბავშვებს ამერიკაში განსაკუთრებულ პირობებში ზრდიან. შრომის სიყვარულს უნერგავენ. როცა წამოიზრდებიან, დამოუკიდებელ შრომას აჩვევენ, ფულით არ ანებივრებენ. მახსოვს, ერთმა მილიონერმა მითხრა, ჩემი ბიჭი 18 წლისაა და გემზე

მუშაობს მტვირთავ მუშადო. როცა გაკვირვება შემატყო, დაუმატა: არა უშავს, შრომის ფასს გაიგებსო.

როცა განათლებას მიიღებს, ახალგაზრდა დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს და მშობლებს „კისერზე არ აზის“.

ახლა აქ ზამთარია, მაგრამ ფორთოხლებითა და ლიმონებით დახუნძლულია ხეები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ წელიწადში ორჯერ იღებენ მოსავალს.

აქაური ციტრუსის ხეები ჩვენებურზე უფრო დიდი და მოსავლიანია, თუმცა ჩვენებური ციტრუსი გემოთი არაფრით ჩამოუვარდება კალიფორნიულს.



ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე

ქალაქგარეთ სულ ციტრუსისა და ხეხილის თვალუწვდენელი ბაღებია. როგორც ჩარლიმ გვითხრა, თურმე აქაურ ხეხილს გაუჩნდა რაღაც მწერი, რომელიც ანადგურებს მას ყვავილობის პერიოდიდანვე: ეს მწერები ძალიან მომრავლდნენ და დიდი ზიანი მიაყენეს ხეხილს. გამოიყენეს ათასნაირი მწერსაწინააღმდეგო მომწამლავი პრეპარატი, მაგრამ ვერც ერთმა შედეგი ვერ გამოიღო. გარდა ამისა, შხამქიმიკატებს ვერტმფრენით ასხურებდნენ ყოველღამე, რითაც მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვიეს (ხმაურის გამო).

ბოლოს მიაგნეს, თუ როგორი გემოს ნივთიერება უყვართ მწერებს და გამოიგონეს ისეთი გემოს „წამალი“, რომელიც მამლებს გამრავლების უნარს უკარგავს. ამის შემდეგ მწერების გამრავლებამ იკლო და, როგორც ტელეგადაცემებში ამბობენ, მალე ისინი სრულიად ამოწყდებიან.

აი, თურმე რატომ იკრძალება კალიფორნიაში ყოველგვარი ხილის შემოტანა.

* * *

18 მარტს ლოს-ანჟელესში ჩვენი ბოლო კონცერტი ჩატარდა. დილით მოვიდნენ ჩვენი მეგობრები – ინგრიტი და ჩარლი ქალიშვილთან – ქრისტინასთან ერთად... და ფრიდონი, გიორგი და მე წაგვიყვანეს ქალაქში სასეირნოდ. ჩარლიმ მიგვიპატიჟა ერთ ფეშენებელურ სასტუმროში, სადაც რეიგანი ცხოვრობდა იმ დროს, როცა იგი პრეზიდენტად აირჩიეს. პირველი საპრეზიდენტო ბანკეტიც იქ გადაიხადა. მართლაც, საუცხოო სილამაზის სასტუმროა პალმებით, ყვავილებით, აუზებით, ათასნაირი სავარჯიშოთი, გასართობებით, ბარებით, რესტორნებით და კიდევ რა ვიცი...

ჩვენ რესტორანში შევედით. ერთი მომხიბლავი მომღერალი ქალი, როიალთან იჯდა და შესანიშნავად მღეროდა. მარტო იმ მომღერლის მოსასმენად ღირდა იქ შესვლა. რესტორანში შვედური სუფრა იყო გაშლილი, ნამდვილი საპრეზიდენტო სუფრა.

რესტორნიდან ჩარლიმ გაგვატარა ლოს-ანჟელესის ყველაზე მდიდარ უბანში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობს (მდიდრები ქალაქის ცენტრში იშვიათად ცხოვრო-

ბენ). იმ უბანში ცხოვრობენ გამოჩენილი მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები, თვითონ რეიგანიც, ეს გახლავთ მწვანეში ჩაფლული უბანი, რომელსაც „სუფთა ჰაერი" ჰქვია.

სახლები ორსართულიანზე მაღალი არ არის, მაგრამ თითოეული მათგანი არქიტექტურის ნიმუშია. აქ მართლაც სუფთა ჰაერია. ერთი სახლი, თავისი ეზოთი, თურმე რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს.

რეიგანი ახლა პენსიაზეა. მას დაუტოვეს პრეზიდენტის ხელფასი, დაცვა და საპრეზიდენტო მომსახურება. ამით პატივი სცეს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო პრეზიდენტს.

ჩარლი და ინგრიდი რეიგანს მიიჩნევენ საუკეთესო პრეზიდენტად, რადგან იგი ბრწყინვალედ ფლობდა ხალხის მართვისა და მასთან ურთიერთობის ხელოვნებას. ამაში მას „ჰოლივუდიც" დაეხმარა (იგი ხომ ცნობილი კინომსახიობი იყო). გარდა ამისა, რეიგანმა თითქმის მოსპო უმუშევრობა. გადაწყვიტა ქვეყნის ეკონომიკური საკითხი. იგი ხელისუფლების სათავეში მოვიდა იმ დროს, როცა ქვეყნის ეკონომიკა დაღმართზე იდგა; რეიგანის დროს დაიწყო სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაცია („სოი") და, რაც მთავარია, რეიგანმა პირველმა დააჩოქა რუსეთი თავისი სწორი პოლიტიკით.

* * *

ჩვენი ბოლო კონცერტი ლოს-ანჟელესში დიდი წარმატებით ჩატარდა. კონცერტის შემდეგ გულთბილად დაგვემშვიდობნენ ინგრიდი და ჩარლი. ეს უზარმაზარი დევკაცი პატარა ბავშვივით იცრემლებოდა და რა ვიცოდით, რომ თურმე იგი სამუდამოდ გვეთხოვებოდა.

ჩვენი გასტროლების შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა გულის ინფარქტით.

მეორე დილით გავფრინდით ქ. ბოიზიში. აეროპორტში გაგვაცილეს შოთა დუმბაძემ და მისმა ოჯახმა. ბ-ნი შოთა ლოს-ანჟელესში სულ ჩვენთან იყო მთელი ოჯახით. მას ჰყავს ხუთი შვილი (2 ვაჟი და 3 ქალიშვილი) და არაჩვეულებრივად მომხიბლავი მეუღლე. ბ-ნი შოთა ქართულ ტრადიციებს არ კარგავს, მისმა ვაჟიშვილმა ქრისტეფორემ ცოლად შეირთო ჩვენი ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე ქეთინო ბარამიძე, რომელიც ერთი წუთითაც არ მოსცილებია ჩვენს გოგონებს.

ბოიზი იდანოს შტატის დედაქალაქია, მდებარეობს მთებში. აქვთ შესანიშნავი საკონცერტო დარბაზი 3 200 მაყურებლისათვის. აქ სულ 6 კონცერტი გავმართეთ, აქედან 4 – ბავშვებისათვის.

ამ ქალაქში მდებარეობს ძველი ლამაზი შენობა – „ბასკების ცენტრი", სადაც ერთ საღამოს შეხვედრა მოგვიწყეს. გამოვიდნენ ადგილობრივი ინდიელები ნაციონალურ კოსტიუმებში და ცეკვები შეასრულეს.

ბოლოს გამოვიდნენ ბასკები, ისინიც ნაციონალური კოსტიუმებით, შეასრულეს ბასკური სიმღერები და ცეკვები.

მეორე დღეს წაგვიყვანეს მუზეუმში, რომელიც „ბასკების ცენტრის" გვერდით მდებარეობს. მუზეუმი აშენებულია 1964 წელს. აქ გამოფენილია ბასკური წიგნები, კოსტიუმები, თოჯინები, ფოტოსურათები, ბასკური ყოფის ამსახველი ტილოები, ნაციონალური დროშა და სხვ. ბასკები სულ 10 000-მდე თუ იქნებიან. ამ რაიონში ჩამოსახლებულან XIX საუკუნის 80-იან წლებში. ეწეოდნენ მეცხვარეობას. დასახლდნენ მოსავლიან ადგილებში. გამდიდრდნენ და საკუთარი ბანკები აქვთ გახსნილი. მათ შეინარჩუნეს საკუთარი ენა, დამწერლობა, ცეკვა, სიმღერა, ძველებური ბასკური

ადათ-წესები, ეროვნული დროშა, კოსტიუმები და სხვ. ისინი ყოველ წელს იკრიბებიან ქ. ბოიზიში და „პიკნიკს“ მართავენ. იღებენ სამახსოვრო ფოტოსურათებს, არიან ქრისტიანი კათოლიკები. დღესასწაულებზე ბავშვებსაც ბასკური ტანსაცმელი აცვიათ, საქართველოზე და მასთან ნათესაურ კავშირზე არაფერი იციან.

მუზეუმიდან სასტუმრომდე შუახნის ბასკმა წაგვიყვანა მანქანით. იგი დაინტერესებული იყო ჩვენით და ბევრი გვესაუბრა. ხრუშჩოვი ქართველი იყო თუ არაო, მკითხა. მე ვუთხარი, ჩვენ მარტო სტალინიც გვეყოფა, ახლა ხრუშჩოვი და ბრეჟნევიც რომ არ მოგვაკეროთ-მეთქი.

– სტალინი სასტიკი პიროვნება იყო, – თქვა მან, – ბევრი ხალხი დახოცა და ციხისებური იმპერია შექმნა.

– თუ ამისთანა ცუდი იყო, რატომ გახდით მეორე მსოფლიო ომში მისი მოკავშირე-მეთქი, – ვკითხე.

– მოკავშირეთა კოალიცია შეიქმნა იმისათვის, რომ რუსეთს დახმარებოდნენ ფაშიზმის მოსპობაში, რაც მსოფლიოს სიმახინჯედ მიგვაჩნდაო, – გვიპასუხა და ცოტაოდენი პაუზის შემდეგ დაუმატა: – არ მიყვარს რუსეთი, ჩვენ უნდა ვილოცოთ, რომ ამერიკელები ვართ, ჩვენ კიდევ ვერ ვაფასებთ თავისუფლებას. ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმემ ამიკრძალოს, სადაც მინდა, იქ წასვლა და, რაც მინდა, იმის კეთება. ხომ შეიძლება, გაგიჟდე კაცი.

ვერ წარმომიდგენია, როგორ უძლებთ თქვენ ყოველივე ამას. მე ერთხანს ლოთობას დავეჩვიე, ვერავინ მომარჩინა. მერე ერთმა კაცმა ქრისტეს მოძღვრებას მაზიარა. მე ვირწმუნე ქრისტე და გადავეჩვიე სმას. ახლა შესანიშნავი ცოლ-შვილი მყავს. თქვენ ირწმუნეთ ლენინი. გადაგაჩვიათ მან სმას? მაშ რატომ არის რუსეთში ამდენი ლოთი, როგორც თქვენი გაზეთები წერენ, ა?

ჯობია, თავი დაანებოთ მარქსიზმს, კომუნიზმს, ლენინს და იწამოთ ქრისტე, იგი თქვენ ჭუშმარიტებისაკენ წაგიყვანთ, – თქვა მძღოლმა, მერე სავიზიტო ბარათები ამოიღო და სათითაოდ დაგვირიგა. ბარათს მისი სახელის, გვარისა და მისამართის შემდეგ ეწერა:

„გაიღიმეთ, თქვენ ქრისტეს უყვარხართ“.

* * *

ქ. ბოიზიდან, „დელტას“ ფირმის თვითმფრინავით, დილაუთენია გავფრინდით ტეხასის შტატში – ქ. ამარილოში. აშშ-ში მოკლე ტრასებზე ეს თვითმფრინავები დაფრინავენ. ისინი დიდები არ არიან (100 კაციანია), მაგრამ ძალიან მოქნილები და, ავტობუსივით, ყველა ქალაქში ჩერდებიან. ქ. ამარილომდე ჩვენი თვითმფრინავი რამდენჯერმე დაჯდა, ყველა ქალაქში აგებულია შესანიშნავი თანამედროვე აეროპორტი, მიუხედავად იმისა, იგი საერთაშორისოა თუ არა. ისინი სწორი ან ოვალური ფორმის გრძელი შენობებია, რათა მეტი თვითმფრინავი მიადგეს შენობას. აეროპორტში მისვლისთანავე გარეთ აბარებთ თქვენს ბარგს, რომელიც თვითმფრინავში შეაქვთ და გამოაქვთ ესკალატორიანი მანქანებით. ამიტომ გამორიცხულია, რომ იგი დაზიანდეს და, რაც მთავარია, თვითმფრინავიდან აეროპორტში რომ გამოდიხართ, ბარგი უკვე იქ გხვდებათ. აეროპორტის გრძელი შენობიდან გამოდის რამდენიმე ათეული ავტომატური გასასვლელი, რომლის მეშვეობით მგზავრები პირდაპირ თვითმფრინავში შედიან და გამოდიან უბარგოდ, ხელცარიელნი. მგზავრს არ უხდება თვითმფრინავისკენ

ფეხით გავლა აეროპორტის ტერიტორიაზე. ასეთი გასასვლელები ჩვენში მხოლოდ შერემეტიევოს საერთაშორისო აეროპორტშია.

ახლა თვითმფრინავში მომსახურებას არ იკითხავთ?! მომხიბლავი ბორტგამცილებლები ღიმილით გთავაზობენ სხვადასხვაგვარ საჭმელსა და სასმელს. იმის მიხედვით, თუ დღის რა დროა. ამერიკის აეროპორტები სავსეა ბარებით, სასაუზმეებითა და რესტორნებით. იყიდება ათასნაირი სუვენირი. ის კი არა, საუკეთესო მარკის ავტომანქანაც იყიდება. აქვეა მანქანების გასაქირავებელი პუნქტი, წარადგენთ მართვის მოწმობას, გადაიხდით ფულს და შეგიძლიათ უცხო ქალაქში აეროპორტიდან ბრწყინვალე მანქანით შეხვიდეთ.

ქ. ამარილოში სიურპრიზი გველოდებოდა. გაზეთებმა დაბეჭდეს ჩვენი ანსამბლის დიდი რეკლამები ასეთი წარწერით: „რუსები მოდიან". საოცარია პირდაპირ, ყოველი კონცერტის წინ ვაცხადებთ, თუ საიდან ვართ, ბუკლეტებში წერია, რადიოში, ტელევიზიაში ყველგან ხაზს ვუსვამთ ჩვენს ვინაობას, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულებს მაინც ყველას რუსებს ეძახიან. და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიხდება იმის მტკიცება, რომ რუსები არა ვართ.

კატეგორიული პროტესტი განვაცხადეთ და კონცერტზე უარი ვთქვით, თუ ტელევიზიით ბოდიშს არ მოიხდიდნენ და ზუსტად არ გამოაცხადებდნენ ჩვენს ვინაობასა და სადაურობას.

ტელევიზიით გამოვედით მე და გიორგი თოფურია და ჩვენთან ინტერვიუს საბაბით გამოვაცხადეთ, თუ ვინ და საიდან ვართ. „მაინც რა განსხვავებაა თქვენსა და რუსებს შორის"? – შემეკითხა დიქტორი.

- იგივე, რაც თქვენსა და რუსებს შორის-მეთქი, – ვუპასუხე.

საბოლოოდ ტელევიზიამ და გაზეთებმა ბოდიში მოიხადეს და საღამოს მთელი ქალაქი მიიწვიეს ქართველების კონცერტზე.

ტელევიზიაში მიგვიყვანა ასე 40-45 წლის ამერიკელმა, სახელად ჯონმა. მან რუსული იცოდა და, ტელეინტერვიუს შემდეგ, მე და გიორგის ქალაქში გასეირნება შემოგვთავაზა.

ამარილო დაარსებულა 100 წლის წინათ. შემონახულია ის სახლი, რომელიც პირველად აშენდა. აქ შეიქმნა სარკინიგზო კვანძი, რამაც გამოიწვია ქალაქის დაარსების აუცილებლობა.

ამარილოში 1917 წელს აღმოაჩინეს ქვანახშირი და გაზი. მაშინ გაზის წარმოებით ამარილო მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო და ამერიკის ბევრ შტატს ამარაგებდა. ამჟამად ამარილოში 150 000 მცხოვრებია.

ამარილო ტიპური ამერიკული ქალაქია. ქალაქიდან 30 წუთის სავალზე დაშლილი მაღალი „კანიონებია" (დაშლილი ნითელმიწა მთები). ჯონმა წაგვიყვანა ამ „კანიონების" დასათვალიერებლად. თუ გინახავთ კოვბოურ ფილმებში შიშველი წითელმიწა კლდეები და მთები, სწორედ ის ვნახეთ. როგორც ჯონმა გვითხრა, იქ ხშირად იღებენ კოვბოურ ფილმებს. ეს მთები და უდაბნო ჩვენ დავით გარეჯის უდაბნოს მოგვაგონებს.

მეორე დილით მე და გიორგი თოფურია წაგვიყვანეს რადიოს მუსიკალურ რედაქციაში და გვთხოვეს ინტერვიუ. ბევრი საინტერესო შეკითხვა დაგვისვეს საქართველოზე, მის ისტორიულ წარსულზე, ხელოვნებაზე, გვითხრეს, რომ აქ ცოტა რამ იციან საქართველოს შესახებ. ძალიან აინტერესებდათ ჩვენი ფოლკლორი. მერე თანამედროვე ხელოვნებაზე გადავედით და ბოლოს პოლიტიკური შეკითხვებიც დამისვეს.

ისინი ძალიან დაინტერესა საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ. აქ ახლა დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ლიტვის შესახებ. ყოველდღე გადმოსცემენ საოცარ ფაქტებს. ლიტვა ყოველდღე თხოულობს დახმარებას, იმართება დემონსტრაციები ლიტვის დასაცავად. მიუხედავად ამისა, ბუში და სხვა ქვეყნების ლიდერები თავს იკავებენ ამ ფაქტის პოლიტიკური შეფასებისაგან. ერთადერთი, ვინც სწორი დიაგნოზი დასვა, ხაზი გაუსვა გორბაჩოვის ძალადობას, რუსეთის დამპყრობლურ, მზაკვრულ იმპერიალისტ პოლიტიკას და სწორად შეაფასა ახლანდელი მდგომარეობა, ნორვეგიის პრესა იყო.

დღის მეორე ნახევარში წაგვიყვანეს ჯონ კენედის მუზეუმში იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, სწორედ იმ სახლში, საიდანაც სასიკვდილო ტყვია ესროლეს პრეზიდენტს. მუზეუმში უხვადაა წარმოდგენილი კენედების ოჯახის ამსახველი ფოტოები: დედ-მამის, ცხრა და-ძმის, სამამულო ომისდროინდელი, მერე პრეზიდენტის საარჩევნო პერიოდი, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მათ შორის ხრუშჩოვთანაც; თეთრ სახლში ჯონ კენედის პირველი შესვლა პატარა ბავშვებით, ჟაკლინ კენედი – პრეზიდენტის ულამაზესი მეუღლე და სხვა. უხვადაა წარმოდგენილი კინო და ვიდეომასალა, მისი პრეზიდენტობის დროის ამსახველი კადრები. დალასისწინა კონფერენცია, სადაც ურჩიეს, რომ დალასში არ წასულიყო, მერე ის საბედისწერო მარშრუტი, რომელიც კენედიმ გაიარა 1963 წლის 22 ნოემბერს. გზა, სადაც უამრავი ხალხი გამოფენილა, რომლებიც ყვავილებითა და ტაშით ხვდებიან პრეზიდენტს; გასროლამდე რჩება 20, 10, 5 წუთი. პრეზიდენტი ღიმილით ესალმება ხალხს, ხელს უქნევს და საბედისწერო გასროლა...

მერე ლი ჰარვი ოსვალდი გამოჰყავთ დასაკითხად. მას ფოტოკორესპონდენტები და ჟურნალისტები აყრიან შეკითხვებს. იგი ყვირის, რომ პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ არაფერი იცის. ამ დროს მას მივარდება ჯონ ვუდი და პისტოლეტის რამდენიმე გასროლით კლავს. ოსვალდმა ინსტინქტურად ხელი აიფარა და მარტო ერთი შეყვირება მოასწრო.

ერთ ოთახში აჩვენებენ პრეზიდენტის დაკრძალვას, ჟაკლინს, რობერტ და ედვარდ კენედებს, პრეზიდენტის პატარა შვილებს. კუბოს ამერიკის დროშა აქვს გადაფარებული. პროცესიას უმხედროდ მიჰყვება პრეზიდენტის შეკაზმული ცხენი.

კუბოდან ამერიკის დროშა აიღეს, დაკეცეს, იქუხა ზალპმა, ამ დროს პრეზიდენტის თვითმფრინავმა გადაიარა საფლავის თავზე. გამოსათხოვარი სიტყვები. ოჯახის წევრები ემშვიდობებიან პრეზიდენტს.

მერე კუბოს თავი არ აუხდიათ, ისე ჩაუშვეს საფლავში. მუზეუმის ერთი კუთხე უჭირავს იმ ადგილს, საიდანაც ოსვალდმა ტყვია ესროლა პრეზიდენტს. იქ ყველაფერი ისევეა შემონახული, როგორც იმ მომენტში: წიგნის ყუთები, შაშხანა, ღია ფანჯარა. მოკლედ, ყოველივე ეს მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

როგორც მუზეუმში გვითხრეს, კენედის საქმეს იძიებდა სპეციალური კომისია. იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ განაცხადა: „მე თუ პრეზიდენტი გავხდი, ყველაფერს გავაშუქებ, იმდენი მასალა აღმოჩნდაო".

ამბობენ, რობერტ კენედის სიცოცხლე სწორედ ამ სიტყვებმა შეიწირაო. იგ საარჩევნო კამპანიის დროს ლოს-ანჟელესში მოკლეს.

მუზეუმიდან გულდათუთქული გამოვედით.

თუმცა ამ ამბის შესახებ ბევრი წაგვიკითხავს და მოგვისმენია, მაგრამ ნანახმა



ემიგრანტებთან

მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს ხალხით გადაჭედილ დარბაზში გაიმართა ჩვენი კონცერტი. დალასელი მაყურებლის ტემპერამენტი დაუოკებელი აღმოჩნდა. ჩვენი ბიჭები გამეორებებისაგან ქანცგაწყვეტილები იდგნენ სცენაზე და იღიმებოდნენ. გოგონები პირდაპირ ყვავილებით „შემოსეს".

როგორც იქნა, ფარდა დაიხურა.

მეორე დღეს მიგვიწვიეს ქალაქის მუნიციპალიტეტში. მთელი მოსამსახურე პერსონალი გამოვიდა შენობის წინ მოედანზე და ყვავილებით შეეგება ანსამბლ „რუსთავს". ჩვენი გოგო-ბიჭები, საზეიმოდ გამოწყობილნი, მართლაც მეტად მომხიბლავად გამოიყურებოდნენ. ეს მხედველობიდან არ გამოპარვიათ იქაურებს, განსაკუთრებით ქალებს, რომლებმაც აღნიშნეს ქართველების ჩაცმულობის მაღალი კულტურა და გემოვნება როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში.

ჩვენი გოგონები პირდაპირ ყვავილებში „შეფუთეს" მუნიციპალიტეტელებმა.

შეხვედრა დღის 12 საათზე დაიწყო. მუნიციპალიტეტის დარბაზში დამხვდურები ფეხზე ამდგარი, ტაშით შეგვეგებნენ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დალასის მერის მოადგილე. მან აღნიშნა ჩვენი ანსამბლის მაღალი პროფესიული დონე, რამაც განსაზღვრა ის წარმატება, რომელიც წილად ხვდა „რუსთავს" აშშ-ში და რომლის მოწმეც იყო დალასის მომთხოვნი მაყურებელი. მან აღნიშნა, რომ ჩვენ არა მარტო დალასელების, არამედ მთელი ამერიკის სტუმრები ვართ. თქვა, რომ ამერიკის მიწა მისიც არის და ჩვენიც. რომ ამერიკა მსოფლიოში ყველას მეგობარია, განსაკუთრებით ჩვენი, ქართველების.

საპასუხო სიტყვაში მადლობა გადავუხადე დალასელებს გულთბილი მიღებისათვის, მადლობა გადავუხადე იმ მიწისათვის, რომელსაც „გეჩუქნიდნენ" და ვუთხარი, რომ საქართველოში რაც რამ გვებადა, ყველაფერი წაგვართვეს და გააჩუქეს, ამიტომ ჩვენ

შეგვიძლია კავკასიონს იქით, ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე მთელი ტერიტორია გაჩუქოთ-მეთქი.

ატყდა ტაშისცემა, ბევრი იცინეს.

მერე წაგვიკითხეს ოფიციალური წერილი, რომელიც დალასის მერმა გადმოგვცა ქალაქის სახელით.

„ტეხასის შტატი. ქ. დალასის მერის ოფისი. ვინაიდან ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სხვა ერებთან კულტურულ გაცვლებს ხელოვნების დარგში, ვინაიდან ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და მუსიკოსებმა საქართველოს რესპუბლიკიდან აირჩიეს დალასი ჩრდილოეთ ამერიკაში გასტროლების ნაწილად, ვინაიდან „რუსთავმა“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა, აღადგინა და დაიცვა უძველესი ქართული ფოლკლორი და ამით წარმოგვიდგინა ტრადიციები, ათასწლეულებს რომ ითვლის, ვინაიდან მათი ხელოვნება წარმოადგენს სულისშემძვრელი შემოქმედებისა და უზადო ტექნიკის მაგალითს, რომელიც შეიცავს თვითმყოფად ეროვნულ მუსიკას, ვინაიდან ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და მეგობრის ხელი გავუწოდოთ ამ უაღრესად ნიჭიერ შემსრულებლებს, ამიტომაც მე, ანეტ შტრაუსი, ქალაქ დალასის მერი, დალასის მუნიციპალიტეტის სახელით ვაცხადებ 1990 წლის 29 მარტს ანსამბლ „რუსთავის“ დღედ ქ. დალასში და მოვუწოდებ დალასის ყველა მოქალაქეს, შემოგვიერთდნენ ამ ხელოვანთა პატივსაცემად ჩვენს ქალაქში.

დალასის მერი ანეტ შტრაუსი.“

ეს სიგელი ტაშის გრიალში გადმოგვცეს. ჩვენ საპასუხოდ ქართული სუვენირები და ანსამბლ „რუსთავის“ „100 ქართული ხალხური სიმღერის“ ფირფიტების კრებული ვაჩუქეთ. მომღერლებმა „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს.

არის დღე, რომელიც არ გვავიწყდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ერთ-ერთი ასეთი დღე ანსამბლ „რუსთავის“ ცხოვრებაში გახლდათ 29 მარტი.

საღამოს, კონცერტის წინ, იმპრესარიომ ფული მოგვიტანა. ეს იყო ნაწილი იმ დიდი თანხისა, რომელიც საქართველოში უნდა წამოგვეღო პირველად ჩვენი არსებობის ისტორიაში. თვალებს არ ვუჯერებდით, რადგან ადრე, იმპრესარიო ფულის მოტანას ვერ ასწრებდა, რომ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი სულთამხუთავივით გვადგა თავზე. ამან გამახსენა ერთი ექსპრომტი, რომელიც ჩემს მეგობარს, გურამ თენიეშვილს მოვწერე ამერიკიდან 2 წლის წინათ:

„მთელი ქალაქი ფეხზე დგას,
კონცერტებს ვმართავთ დალასში.
ფული სულ რუსმა ნაიღო,
ერთი დოლარი „დალ“ ასში“.

მეორე დღეს დავათვალიერეთ გამოჩენილი ინგლისელი მწერლის – ემურ რივსის კოლექციის გამოფენა. რივსის გარდაცვალების შემდეგ კოლექციის დიდი ნაწილი მისმა მეუღლემ, რომელიც დალასიდან გახლდათ, თავის მშობლიურ ქალაქს უსახსოვრა.

აქ არის შესანიშნავი ტილოები, სხვადასხვა მხატვრების ორიგინალები, იაპონური ლითონისა და ხის ნაკეთობანი, საძინებელი ოთახის გარნიტური, ბრწყინვალე ვაზები, სასადილო და სხვა.

რივსის კოლექციაში დიდი ადგილი უჭირავს უინსტონ ჩერჩილის პირად ნივთებს, ალბათ, ბევრმა ჩვენგანმა არც იცის, რომ ჩერჩილი გატაცებული ყოფილა მხატვრობით. იგი მშვენივრად ხატავდა. გამოფენაზე წარმოდგენილია მისი ოთხი ტილო,

ნატურმორტები და პეიზაჟები. იქვეა ჩერჩილის სიგარები, ტროსტი, საფულე, ფუნჯები, საღებავები, მისი პატარა ბიუსტი – მარმარილოს ქანდაკება, ფოტოსურათები. თოჯინა-კურდღელი თეფშებით, რომელიც თურმე ჩერჩილის შემოსვლაზე თეფშებს შემოჰკრავდა ხოლმე.

ყოველივე ეს ჩერჩილს რივსისთვის უჩუქნია. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ჩერჩილი მაღალ შეფასებას აძლევდა რივსის ნაწარმოებს „მშვიდობის ანატომია“. ამ ნანარმოებში აღსოლისტი ნინო ლაზიშვილი წერილია, როგორ უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1940 წელს, რივსი საფრანგეთში ცხოვრობდა. მას ჩერჩილი დაეხმარა, რომ ინგლისში გადასულიყო საცხოვრებლად და ინგლისის მოქალაქეობა მიეღო.

1953 წელს რივსი დაბრუნდა თავის ვილაში იტალია – საფრანგეთის საზღვარზე, „ლა-პაუზაში“, სადაც ჩერჩილი რამდენჯერმე ჩამოვიდა სტუმრად. სწორედ ის კურდღელი იდგა „ლა-პაუზას“ მისაღებში, ჩერჩილის გამოჩენაზე თეფშებს რომ დაჰკრავდა ხოლმე.

წიგნებით, ახლობლების ფოტოსურათებით, რომელთა შორის აინშტაინიც არის, დიდ ინტერესს იწვევს რივსის სამუშაო კაბინეტიც, აქ ნახავთ ალბერტ აინშტაინის წერილსაც:

„მე წავიკითხე „მშვიდობის ანატომია“ და მიმაჩნია, რომ ეს არის მეგზური. როგორ ავიცილოთ ომი? – წიგნი ამის პასუხს გვაძლევს“.

იმ საღამოს, კონცერტის შემდეგ, ღამის დალასი დავათვალიერეთ. მშვენიერია დალასის ცენტრი ღამით.

* * *

1 აპრილს დალასიდან გავემგზავრეთ ქ. ტულუზაში. გზაში რვა საათი დავყავით, მაგრამ არ დავღლილვართ, იმდენი საინტერესო სანახაობაა, რომ მოსაწყენად ვერც მოიცლით. გზა აქაც საუცხოოა. გზის პირას ჯიშიანი საქონელი ძოვს.

მანცვიფრებს იმათი საძოვრები, რისთვისაც საუკეთესო მიწები აქვთ გამოყენებული. სამაგიეროდ, ძროხებს სხვა საკვები არ სჭირდებათ. ჩვენთან საძოვრები აღარ არის და ძროხებს პურს აჭმევენ.

ქ. ტულუზაში, კონცერტის წინ, ჩვენთან ერთი კანადური ოჯახი მოვიდა. კაცი საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა რუსულად, მე წარმოშობით ბელორუსი ვარო, – გვითხრა. მერე მკითხა, საქართველო სად არისო. მან გაიხსენა, რომ ვანკუვერში რამდენიმე წლის წინათ წითელი არმიის ანსამბლი გამოვიდა ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. ძალიან მოგვეწონაო, – თქვა მან, – თქვენს „რუსთავშიც“ წითელარმიელები ხომ არ არიან? – პირიქით, თეთრგვარდიელები-მეთქი, – ვუპასუხე.

დარბაზში ტევა არ იყო. წესისამებრ, კონცერტის წინ მაყურებელს ორიოდე სიტყვით ვუამბეთ საქართველოს შესახებ.

კონცერტი ბრწყინვალედ ჩატარდა.

კონცერტის შემდეგ ერთი კაცი მოვიდა ჩვენთან და აღფრთოვანებულმა მითხრა: როგორ მომწონს რუსის ქალებიო. – რუსის ქალები მეც მომწონს, მაგრამ ესენი რუსები არ არიან-მეთქი, – ვუპასუხე. რა განსხვავებაა თქვენსა და რუსებს შორის? – ისევ შემეკითხა მაყურებელი. ამის ასახსნელად დიდი დრო დამჭირდა...

მეორე დღეს ქ. მილიაპოლისში გავემგზავრეთ. ეს არის ქალაქი, სადაც თეატრალუ-



მუსიკოსი ომარ კელაპტრიშვილი

რი ფესტივალები ტარდება.

კონცერტი გაიმართა უზარმაზარ დარბაზში, სადაც 4 800 კაცი ეტევა, მართლაც, საუცხოო დარბაზია.

კონცერტზე მოვიდნენ ქართველები, მამა-შვილი – დათო და ალიკო ასათიანები. ისინი ნოემბერში ჩამოვიდნენ თბილისიდან. ალიკოს თირკმლებმა უმტყუნეს. შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა, მილიაპოლისის ორგანოთა გადანერგვის კლინიკაში მამის თირკმელი შვილს გადაუნერგეს. ამ კლინიკის უფროსია 60 წლის ჯონ ნაჯარიანი, წარმოშობით სომეხი. ამ კაცმა უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ქართველების მიმართ. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ოპერაციის პირველ დღესვე ავადმყოფები ფეხზე დააყენეს. ხოლო მეორე დღიდან ყველაფრის ჭამისა და დალევის უფლება მისცეს (გარდა სპირტიანი სასმელებისა). მამა-შვილი თავს კარგად გრძნობდნენ, თუმცა ამის შესახებ საქართველოში უკვე დაიწერა.

* * *

4 აპრილს ჩავედით ნიუ იორკში. დავბინავდით ცნობილ „ბროდვეიზე", სასტუმრო „ბიკონში", იქვე ახლოს მდებარეობდა თეატრი „ბიკონი" (3000 მაყურებელს იტევს), სადაც ჩვენი კონცერტები უნდა გამართულიყო.

ჩასვლისთანავე დაგვხვდა სასიამოვნო ამბავი: ნიუ იორკში უდიდესი წარმატებით გამოდიოდა რუსთაველის თეატრი. მეორე დღეს ჩვენი პირველი კონცერტი უნდა გამართულიყო. ამერიკაში ერთი ასეთი წესი არსებობს: თუ ნიუ იორკში წარმატება

ვერ მოიპოვეთ და პრესამ მაღალი შეფასება არ მოგცათ, ჩათვალეთ, რომ დამარცხდით. ნიუ იორკის პრესა საზომია არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

სწორედ ამიტომ ვნერვიულობდით კონცერტის წინ. იმ დღეს განსაკუთრებული დღე იყო. „რუსთავი", რომელსაც მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყანა მოუვლია წარმატებით, პირველად გამოდიოდა ნიუ იორკში, მსოფლიოში სახელგანთქმულ „ბროდვეიზე", რომელსაც კონცერტისა და წარმოდგენის უდიდესი ტრადიციები აქვს, ჰყავს მეტად განებივრებული მაყურებელი.

დილიდანვე შევუდექით რეპეტიციას. მთელი ანსამბლი გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას და თავდაუზოგავად მეცადინეობდა. ხუმრობა ხომ არ იყო, უკვე სამთვიანი მოგზაურობის გამო ანსამბლი დაიღალა. ამას დაემატა ისიც, რომ ტრავმების გამო დროებით გამოგვაკლდა რამდენიმე წამყვანი მოცეკვავე.

ფრიდონ სულაბერიძემ გაითვალისწინა ყველა დეტალი, რაც კი შეიძლებოდა კონცერტის დროს მომხდარიყო, და ყველაფერი გააკეთა, რომ ანსამბლი „რუსთავი" ნიუ იორკში გამართულ პირველ კონცერტზე წარმატებით გამოსულიყო.

თავის მხრივ, ანსამბლის თითოეულ წევრს – მოცეკვავეს, მომღერალსა თუ მუსიკოსს თავი არ დაუზოგავს.

კონცერტის პირველი წუთებიდანვე ვიგრძენით, რომ მაყურებლის სიმპათია დავიმსახურეთ. ნიუ იორკის განებივრებული მაყურებელი, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო ანსამბლები და წარმოდგენები უნახავს, მთელი კონცერტის განმავლობაში აღფრთოვანებული ტაშით გვაჯილდოებდა. კონცერტის ბოლოს მაყურებელი ფეხზე ადგა და ოვაცია გაგვიმართა. აი, რას წერდა გაზეთი „ნიუიორკ თაიმსი" ამ კონცერტის შესახებ:

„ფოიერვერკი საქართველოდან

ანსამბლ „რუსთავის" მოფარიკავეები ერკინებიან ერთმანეთს... ისმის ომახიანი შეძახილები. ხანჯლები ზედიზედ ერჭობა სცენის ზედაპირს და ნაპერწკლები ცვივა ჰაერში, მაგრამ ეს ახალი, სენსაციური ანსამბლი საქართველოდან წარმოგვიდგენს გაცილებით უფრო მრავალფეროვან პროგრამას, ვიდრე უბრალო პიროტექნიკას.

ამერიკელებმა ამ ოცდაათი წლის წინათ გაიცნეს ქართული ცეკვა, რომელსაც ასახიერებდნენ მოსრიალე ქალთა ნაკადები და ფეხის წვერებზე შემდგარი ამაყი მეომრები.

ნიუ იორკის დებიუტის დროს, რომელიც ხუთშაბათს ბროდვეიზე შედგა, აშკარა გახდა, რომ „რუსთავს" თავისი თვითმყოფადი სახე აქვს. იგი სიმღერას ისეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ცეკვას. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი მამაკაცები მამაცნი და ძლიერნი არიან, ქალები კი ლამაზნი, ნაზნი და ლირიკულნი...

თუ თქვენ არასოდეს მოგისმენიათ ქართული სიმღერის გამაოგნებელი პოლიფონიური ჟღერადობა, „რუსთავის" ათწევრიანი გუნდი დიდ მრავალფეროვნებას გთავაზობთ.

ანტიფონური სიმღერების ინდივიდუალიზებული კითხვა-პასუხები, ისევე როგორც ჩახლართული კონტრაპუნქტები, სრულდება სუფთად. ამ ნიჭიერი მომღერლების გალობა გვაგონებს მთის კრიალა ჰაერს.

ქართველები მთის ხალხია. მათ ცეკვებში ჩანს საზოგადოდ კავკასიელებისათვის დამახასიათებელი თვისებები: მამაკაცური სიმამაცე და ქალური კდემამოსილება, მაგრამ „რუსთავი" თავს აღწევს სტერეოტიპს. ხაზს უსვამს ეროვნულ საწყისებს, ავლენს ქართული ხასიათის თვისებებს...

„რუსთავის" პროგრამა ბრწყინვალე და მრავალფეროვანია. მასში შესულია საქარ-

თველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები და ცეკვები. იმერეთი – ჯორჯ ბალანჩინის სამშობლო – წარმოდგენილია შრომის სიმღერით, რითაც იწყება მეორე განყოფილება. კონცერტის პირველი ნომერი კი აჭარული „განდაგანაა“, რომელიც გვთავაზობს უნიკალურ ილეთებს. მისგან განსხვავებით, „დავლური“ სადარბაზო ცეკვაა.

„ფარიკაობა“ ბრწყინვალედ აგვირგვინებს კონცერტის ფინალს...

აღმაფრთოვანებელია ტალანტი და ოსტატობა, რომელსაც ამჟღავნებენ ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლები, მოცეკვავეები, ინსტრუმენტალისტები...“

„ნიუიორკ თაიმსი“. 7 აპრილი,

ანა კისელჰოფი

ნიუ იორკში ყოფნის დროს ჩვენთან მოვიდნენ იქაური ქართველები: ბონდო კეკელია, ვალიკო ძამია, ნიკო თოფურია, თურქეთიდან ჩამოსული ქართველი ჰაკან შაველიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, 97 წლის პროფესორი გიორგი ნაკაშიძე და სხვები. კონცერტს დაესწრო ბ-ნი როლან ჯიქია (ჩვენი წარმომადგენელი საკონსულოში).

ვაშინგტონიდან სპეციალურად ჩამოვიდა ლადო ბაბიშვილი, რომელიც კონცერტზე მოვიდა მოქანდაკე ლადო გუჯაბიძესთან ერთად.

ლადო ბაბიშვილს ამერიკაში ჩასვლისთანავე ვთხოვე, დამხმარებოდა საქართველოს შესახებ უნიკალური მასალების შეგროვებაში. მან მართლა დიდი შრომა გასწია. დაუკავშირდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს და დიდძალი მასალა ჩამომიტანა ნიუიორკში. ერთი კვირის განავლობაში ჩვენთან ერთად იყო ბატონი ბონდო კეკელია. ამ 80 წელს გადაცილებულმა ჭარმაგმა კაცმა შემაგროვებინა ნიუ იორკში არსებული დიდძალი მასალა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან (1918-1921) დღემდე: წიგნების, ფოტომასალების, ფონოჩანაწერების, ჟურნალ-გაზეთების, წერილების, პირადი არქივებისა და სხვათა სახით.

ამ საქმეში დიდად დაგვეხმარა ბატონი ნიკო თოფურია, რომელმაც თავისი ოჯახური არქივიდან დიდძალი მასალა მოგვაწოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბ-ნი ვახტანგ ჯობაძის ღვაწლი. მან უნიკალური მასალა გამომიგზავნა უცხოეთში არსებული ქართული ძეგლების შესახებ.

ბატონ გიორგი ნაკაშიძისაგან ავიღეთ ოთხსაათიანი ინტერვიუ, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა, – იგი რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა. კარგი მასალები მოგვაწოდეს ბ-ნმა გივი კობახიძემ ვაშინგტონიდან, ძმებმა – მირიან და ნოშრევან გალაშვილებმა სანტა-როზადან, ბ-ნმა შოთა დუმბაძემ და სხვებმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი თანამემამულე თურქეთიდან – ჰაკან (ჰენრი) შაველიძე (თურქული გვარი – შაპინი). იგი სამსუნიდან გახლავთ. ნიუ იორკში ცხოვრობს უკვე 10 წელია. საქართველოში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ქართული მშვენივრად იცის. ლაპარაკობს ზემოაჭარულ კილოზე. იგი საოცრად მომხიბლავი და გულკეთილი ადამიანია. ჰაკანი ტაქსის მძღოლი გახლავთ. მთელი ჩვენი იქ ყოფნის დროს ჰაკანმა მიატოვა სამსახური და თავისი მანქანით, ბ-ნ ბონდო კეკელიასთან ერთად, გვეხმარებოდა იმ უნიკალური მასალების შეგროვებაში, რომელიც ბოლო დღეს ნიუ იორკის აეროპორტში მოგვიტანეს ყუთებში ლამაზად შეფუთული. აღსანიშნავია, რომ რვა ყუთი, რომელშიაც ეს მასალები იდო, რამდენიმე ასეულ კილოგრამს იწონიდა. ბარგის ფული (საკმაოდ დიდი თანხა), ჩვენს პატივსაცემად იმპრესარიო დონ ჰიუზმა გადაიხადა.

ეს მასალები ახლა საქართველოს კინო-ფოტო-ფონო ცენტრალურ არქივში ინახება.



„ფერხული“

* * *

8 აპრილს გაიმართა რუსთაველის თეატრთან გამოსათხოვარი შეხვედრა. მოვიდნენ ცნობილი მსახიობები, თეატრმცოდნეები, საზოგადო მოღვაწეები, ამერიკელი ქართველები. იმ შეხვედრაზე მეც გახლდით.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა დელეგაციის ხელმძღვანელმა ბ-ნმა ნოდარ გურაბანიძემ. სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი რეჟისორები და თეატრმცოდნეები. შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა 97 წლის გიორგი ნაკაშიძემ. იქაურმა ქართველებმა გამართეს მშვენიერი ვახშამი, რომელიც ქართული სიმღერით დაამშვენეს ჩვენი სახელოვანი თეატრის მსახიობებმა: გურამ საღარაძემ, ჯემალ ღაღანიძემ, სოსო ლაღიძემ, ჟანრი ლოლაშვილმა და სხვებმა.

რუსთაველის თეატრმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

მეორე დილით, იქაური ქართველების დახმარებით, უკრაინულ ეკლესიაში გაიმართა წირვა თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად. წირვას დაესწრო მღვდელი ალექსი თანდილაშვილი, რომელიც საქართველოდან სასწავლებლად მიავლინეს ნიუ იორკში.

წირვაზე ბევრი საგალობელი შესრულდა გარდაცვლილთა პატივსაცემად. ბ-ნმა ბონდო კეკელიამ წაიკითხა დაღუპულთა სია.

წირვის შემდეგ გამოვედით ეკლესიიდან და დავჭექეთ „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „დიდება“ და სხვა. ქუჩაში ხალხი შეგროვდა. გაჩერდა მოძრაობაც. ჩვენი ვინაობით დაინტერესდნენ. ნიუიორკელმა ქართველებმა ყვე-

ლას გააცნეს 9 აპრილის ტრაგედიის ამბავი. ხალხი თანაგრძნობას გვიცხადებდა და შეწუხებული სახეებით მისჩერებოდა აცრემლებულ მომღერლებს, რომლებმაც ღირსეული პატივი მიაგეს სამშობლოსათვის წამებულ მამულიშვილებს.

საღამოს, კონცერტის წინ, მაყურებელს ვაუწყეთ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის შესახებ. მაყურებელი ფეხზე ადგა და წუთიერი დუმილით პატივი სცა დაღუპულთა ხსოვნას.

იმ საღამოს კონცერტს დაესწრნენ ცნობილი ფოლკლორისტები – მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ალან ლომაქსი და ტედ ლევინი. ამ უკანასკნელმა ჩვენი ფირფიტები გამოსცა ამერიკაში.

კონცერტის შემდეგ მათ დიდი შეფასება მისცეს ქართულ ხალხურ ხელოვნებას. ალან ლომაქსმა გაიმეორა ადრე ნათქვამი ფრაზა: „საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქია“.

ახლა ისევ „ნიუ იორკის“ პრესას მივმართოთ.

„ძალზე შთამბეჭდავი წარმოდგენა!

ბიკონის თეატრი ჯერ კიდევ დგას თავის ადგილზე, თუმცა სცენის იატაკი, „რუსთავის“ ანსამბლის წყალობით, რომელმაც თავისი გასტროლები წინა ოთხშაბათს დაიწყო, შესაძლოა, გამოსაცვლელი გახდეს.

მოცეკვავე მამაკაცები, სატანური ტრიალის დროს, იატაკში ხანჯლებს ისეთი ძალით არჭობდნენ, რომ სცენის ზედაპირზე ერთი გაუჭრელი ადგილი არ დარჩებოდა.

ღმერთო ჩემო! რა საოცარი ენერგია მიანიჭეს ქართველებმა თავიანთ წარმოდგენას! ეს ეხება ქალებსაც, რომლებიც, როგორც წესი, გედებივით დაცურავენ ხოლმე უკანა პლანზე, მაგრამ დროდადრო მათაც ეძლევათ თავის გამოჩენის საშუალება. ერთ-ერთ ნომერში მათ კინაღამ დაჩრდილეს კიდეც მამაკაცები. მაყურებლებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა მომღერალ მამაკაცთა გუნდმა. ცეკვებს შორის შთაგონებით ჟღერდა ათი ძლიერი ხმა, დარბაზს ავსებდა ამ მართლაც საოცარი გუნდის სიმღერა.

„რუსთავის“ კონცერტი არაჩვეულებრივია თავისი ენერგიით, სისხარტით, უზარმაზარი სულიერი და ფიზიკური ძალებით. განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელია ქართველ მოცეკვავეთა ფეხების მოძრაობა. ერთ-ერთ ცეკვაში თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მიეგება თავის მიჯნურს და სულ ბოლომდე ფეხის წვერებზე იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ქალები და მამაკაცები ცეკვის დროს არ ეხებიან ერთმანეთს, მათი ურთიერთობიდან მაინც გამოსჭვივის მგრძნობელობა. იგი თითქმის ხელშესახებიცაა, იმდენად მსჭვალავს მთელ წარმოდგენას.

დასანანია, რომ „რუსთავის“ კონცერტები მარტო გუშინდლამდე გაგრძელდა. ეს ანსამბლი გაცილებით უფრო ხანგრძლივ გასტროლებს იმსახურებს.

* * *

„კონცერტის შემდეგ თავის სახელოსნოში მიგვიწვია მოქანდაკე ლადო გუჯაბიძემ. მან თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა (თოფურიძის კლასი). 15 წელია ცხოვრობს ამერიკაში, აქვს ბრწყინვალე სახელოსნო ნიუ იორკში. იღებს შეკვეთებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან; შექმნილი აქვს ბევრი საინტერესო ნამუშევარი.

ლადო გუჯაბიძის სახით ქართულ ხელოვნებას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ნიუ იორკში, რომელიც თავდაუზოგავი შრომით თანდათან სახელს იხვეჭს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

10 აპრილს მე და გიორგი თოფურია ალან ლომაქსმა მიგვიწვია თავის ლაბორატო-

რიაში, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ლაბორატორია აღჭურვილია საუცხოო ტექნიკით, ბრწყინვალე აპარატებით. ყველაფერი კომპიუტერებზეა შეერთებული. ალან ლომაქსი სწავლობს მსოფლიო ხალხთა ფოლკლორს, იკვლევს მას და ეძებს მათ შორის ნათესაურ კავშირებს. მას შეგროვებული აქვს მსოფლიოს ხალხთა სიმღერების უნიკალური კოლექცია. კომპიუტერის მეშვეობით შეგიძლიათ მოისმინოთ და ნახოთ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ხალხური სიმღერები და ცეკვები.

სამწუხაროდ, ქართველმა ფოლკლორისტებმა თითქმის არაფერი ვიცით მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის შესახებ, „რკინის ფარდა" და უსახსრობა ამის საშუალებას არ გვაძლევდა.

ჩემთვის, მაგალითად, სრულიად მოულოდნელი იყო, რომ აფრიკაში მცხოვრებ ჯუჯა პიგმეების ტომს, თურმე, მეტად საინტერესო ფოლკლორი, კერძოდ, მრავალხმიანი სიმღერები აქვთ. უფრო მეტიც, მათი შრომის სიმღერები, „კრიმანჭულის" მსგავსი უცნაური ხმებით, გურულ სიმღერებს მოგვაგონებს, ოღონდ მეტად მარტივ ფორმებში.

ალბათ, დადგა დრო, რომ ქართველმა ფოლკლორისტებმა შეისწავლონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მუსიკა და ქართული ხალხური სიმღერების ფენომენი მათ ფონზე განიხილონ.

ეს აუცილებელია განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები (სტრავინსკი, ალან ლომაქსი და სხვები) უმაღლეს შეფასებას აძლევენ ქართულ ხალხურ სიმღერას.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან პრესიდან. აი, რას წერდა მუსიკის მიმომხილველი 4 თებერვლის „ნიუ იორკ თაიმსში", როცა კომენტარს უკეთებდა ანსამბლ „რუსთავის" მიერ ამერიკაში გამოშვებულ ფირფიტებს:

„საქართველოს ტრადიციული სიმღერები კავკასიის მთებიდან წარმოადგენს ევროპისა და აზიის ტრადიციული სიმღერების საძირკველს.

„რუსთავის" მამაკაცთა ანსამბლი ჟღერს, როგორც საეკლესიო გუნდი, რომელიც ზოგიერთ სიმღერაში ანგელოზების ხმების ექოს მოგვაგონებს. ცეკვა „ხორუმი" ზოგიერთ შემთხვევაში გაბმული ბანი ფონს აძლევს სოლო ხმებს. ზოგიერთ სიმღერაში ხმები სწრაფად ვითარდება, ემატება სიძლიერე და თავდება მხიარული შეძახილებით.

ამ სიმღერებს შორის ყველაზე გამორჩეული და დიდებულია სიმღერები, სადაც ჰარმონიები ფეთქდება გადახლართული ხმების გამო. ამას თან ერთვის ცალკეული ხმა-იოდლი, რომელიც საოცრად სწრაფად მოძრაობს ზევით და ქვევით, იგი კიდევ უფრო ალამაზებს ამ დიდებულებას.

„რუსთავის" გუნდი დახვეწილია, მიუხედავად ამისა, მის სიმღერებს არ დაუკარგავს თავისი ორიგინალური ღირსება, სურნელი, კოლორიტი.

ცუდია, რომ სიმღერების ტექსტები არაა თარგმნილი."

საღამოს, ნიუ იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში", შტრაუსის „ღამურას" დავესწარით.

შესანიშნავი დირიჟორი, გასაოცარი ორკესტრი, ლამაზი ხმები, სოლისტების ბრწყინვალე ანსამბლი, მაღალი დონის გუნდი, იშვიათი ინტონაციური სისუფთავე, მსახიობთა ვირტუოზული თამაში, რეჟისორის მაღალი გემოვნება, ძვირფასი კოსტიუმები, მდიდრული დეკორაციები, საერთოდ, დიდი პროფესიონალიზმი და შესრულების აკადემიური დონე.

ხომ ხედავთ, ერთი ჩვეულებრივი სიტყვაც კი ვერ ვიხმარე, იმდენად არაჩვეულებრივი სპექტაკლი ვნახეთ.

„მეტროპოლიტენ ოპერა“ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი თეატრია. მას აქვს უდიდესი დოტაცია სახელმწიფოსაგან, გარდა ამისა, ჰყავს მდიდარი სპონსორები, ამიტომ თეატრს შეუძლია მოიწვიოს მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლები და მუსიკოსები, დახარჯოს სპექტაკლის დასადგმელად განუსაზღვრელი თანხა. ჩვენი თანამემამულეებიდან „მეტროპოლიტენ ოპერაში“ დიდი წარმატებით გამოდიან მაყვალა ქასრაშვილი და პაატა ბურჭულაძე.

ნიუ იორკიდან ჩიკაგოში გავემგზავრეთ. მოვთავსდით მშვენიერ სასტუმრო „ბისმარკში“. ჩვენი კონცერტები დაგეგმილი იყო საოპერო თეატრში, რომელიც ჩვენს სასტუმროსთან ახლოს მდებარეობდა. იგი მოთავსებულია ცათამბჯენის პირველ სართულზე. „ჩვენი“ ცათამბჯენი მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის გვერდით მდებარეობს. თეატრში 3 500 მაყურებელი ეტევა. მის გვერდით, იმავე შენობაში, თეატრალური დარბაზია, სადაც ჩვენს პარალელურად გასტროლებს მართავდა მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრი, რომელიც თამაშობდა ერთადერთ სპექტაკლს, შატროვის პიესას „ბრესტ-ლიტოვსკის ზავი“. ამ სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის მსოფლიოში სახელგანთქმულ რეჟისორს რობერტ სტურუას, რომელიც თან ახლდა ვახტანგოველებს.

თეატრთან ორი რეკლამა იყო, ერთი „რუსთავის“, – დიდი ლუმინისცირებული ასოებით და მეორე ვახტანგოვის თეატრისა, – ლენინ-სტალინის პორტრეტებით.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა როგორც მათ, ისე ჩვენს გამოსვლებს.

„უწმინდური ლენინი მოსკოვიდან“ – ასეთი სათაურით დაიბეჭდა ვახტანგოველების სპექტაკლისადმი მიძღვნილი რეცენზია.

„ფეთქებადი ბრესტის ზავით იწყება საბჭოთა ისტორია; ლენინი არც ისეთი წმინდანი ყოფილა, როგორც ზოგიერთებს ეგონათ..“ – წერდნენ გაზეთები „ბრესტ-ლიტოვსკის ზავის“ შესახებ.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა მსახიობების: მიხეილ ულიანოვის, ვასილ ლანავოის და სხვათა თამაშს; განსაკუთრებით ბევრი დაიწერა რეჟისორ რობერტ სტურუას შესახებ, რომელიც ამერიკელებს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო რეჟისორად მიაჩნიათ.

ჩვენი კონცერტები და ვახტანგოველთა სპექტაკლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთდროულად მიმდინარეობდა. რამდენჯერ ვნახე ეს სპექტაკლი და ფრიად კმაყოფილი დავრჩი. სპექტაკლს მართლაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

„ბრესტ-ლიტოვსკის ზავი“ ადრე მთავრდებოდა, ამიტომ მსახიობებს საშუალება ჰქონდათ ჩვენი კონცერტების ნაწილი ენახათ. კულისებში ხშირად ნახავდით მიხეილ ულიანოვს, ვასილ ლანავოის და სხვებს, რომლებიც უკვე მერამდენედ უყურებდნენ ჩვენს გამოსვლებს.

ჩიკაგოს პრესა ასე გამოეხმაურა ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტებს:

„ქართველი მსახიობების ტრიუმფი!

ანსამბლი „რუსთავი“ საქართველოდან ერთგვარად აბოლოებს ხალხური ანსამბლების ნაკადს, რომელმაც ლამის წალეკა მიმდინარე სეზონის საკონცერტო პროგრამები, მაგრამ „რუსთავი“, უდავოდ, ერთერთი ყველაზე საუკეთესო ანსამბლია. მან წარმოგვიდგინა ამაღელვებელი შემოქმედებითი მთლიანობა, რომელსაც მაღალი

კულტურის ბეჭედი აზის.

ანსამბლი შედგება როგორც მოცეკვავეების, ისე მომღერლების და ინსტრუმენტალისტებისაგან. მათი პროგრამის თითქმის ნახევარს (22 ნომერს) სიმღერები შეადგენს, რომლებსაც მამაკაცთა ათწევრიანი გამოჩენილი გუნდი ასრულებს. მათი საგუნდო მუსიკა ძველი საუკუნეების არამიწიერი, მომაჯადოებელი სულიერი ცხოვრების ექოა. სამი ნომერი სრულდება ინსტრუმენტული ტრიოს მიერ. მუსიკოსები გვანცვიფრებენ თავიანთი ოსტატობით. ისინი უკრავენ ორ სიმებიან საკრავზე და ათასწლიანი ისტორიის მქონე სალამურზე – ფლეიტის მსგავს ჩასაბერ საკრავზე, რომელსაც ძალუძს ჩიტების გალობის მსგავსი ბგერების გამოცემა.

მრავალი წინამორბედი ანსამბლისგან განსხვავებით, რომლებიც ცეკვებს გაყინული ღიმილითა და ალპიური კაზმულობით ასრულებდნენ, ეს დახვეწილი ანსამბლი გვთავაზობს უაღრესად მრავალფეროვან პროგრამას, რომელსაც მაღალი ოსტატობით და დიდი ღირსებით წარმოგვიდგენს. მათი კოსტიუმები დიდი გემოვნებით არის შესრულებული. იქ, სადაც სხვა ანსამბლები მყვირალა და უგემოვნონი არიან, „რუსთავი“ მკაცრი და დახვეწილია. შეიძლებოდა, რომ მოცეკვავეები ჩაკეტილიყვნენ მარტივ სტრუქტურებში, – ეს ხომ ძალიან ბევრი ფოლკლორული ანსამბლის სენია, მაგრამ „რუსთავი“ ახერხებს ტრიუმფის მოხდენას თავისი ტექნიკური ვირტუოზულობისა და ქორეოგრაფ ფრიდონ სულაბერიძის წყალობით, რომელსაც ქართული ტრადიციებისა და თანამედროვე გემოვნების ფაქიზი შეგრძნება ახასიათებს. იგი უფლებას აძლევს მოცეკვავეებს გვიჩვენონ თავიანთი შეუდარებელი ოსტატობა, უსწრაფესი ტრიალი და ფეხთა სრიალი, რომლის მსგავსი არ გვინახავს წლების მანძილზე.

ყველაზე შთამბეჭდავ მომენტთა შორის პირველი განყოფილების სუნთქვისშემკვრელი ფინალია „მთიულური სიუიტა“, რომელშიც მამაკაცები წრეზე მოძრაობენ და ხანჯლებს არჭობენ სცენის იატაკში წარმოუდგენელი სისწრაფით ტრიალის დროს. ასეთივე შთამბეჭდავია „ფარიკაობა“, რომელშიც ორ მწკრივად გაყოფილი შუასაუკუნოვანი იარაღით აღჭურვილი მოცეკვავე მამაკაცების ხმლები ნაპერწკლებს აფრქვევენ ორთაბრძოლების დროს. სინამდვილეში კი ეს მინი-ბალეტია, რომელშიც ქალი მშვიდობის დამამყარებლის როლს ასრულებს.

ამ ანსამბლს ისიც გამოარჩევს, რომ მისი წარმოდგენა მხოლოდ სანახაობათა პარადი არ არის. „დავლური“, რითაც იწყება მეორე განყოფილება, ფაქიზი ზღაპარია კეთილშობილებისა და რომანტიულობის შესახებ.

ეს ცეკვები სრულდება დიდი ოსტატობით, ღირსეული ელეგანტურობით“.

„ჩიკაგო ტრიბუნი“, 18 აპრილი.

სიდ სმიტი – საშემსრულებლო ხელოვნების მიმომხილველი“

* * *

ერთ საღამოს, ჩიკაგოში, ჩემს ნომერში, სტუმრად იმყოფებოდნენ რობერტ სტურუა, მიხეილ ულიანოვი, ვასილ ლანავოი და კიდევ რამდენიმე მსახიობი, როცა ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა „ჰოლივუდის“ კინოვარსკვლავი, მსოფლიოში ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი და პოპულარული მსახიობი გრეტა გარბო.

ვასილ ლანავოიმ ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი გვიამბო:

თურმე ერთ დღეს, როცა გრეტა გარბო თავის შემოქმედებით ზენიტში იყო და



„განდაგანა"

ყველაზე პოპულარულ კინომსახიობად ითვლებოდა, მორიგი კინოგადაღების შემდეგ, როცა ფილმი დამთავრდა, გრეტა გარბომ მოიშორა გრიმი, დაემშვიდობა ყველას და წავიდა. წავიდა და სადღაც უკვალოდ გაქრა. იმ დღიდან იგი აღარავის უნახავს.

ეს იყო სენსაცია. გრეტა გარბოს შესახებ წერდნენ გაზეთები, აცხადებდა რადიო, ეძებდნენ პოლიციელები, გამოცხადდა ძებნა მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ მის კვალს ვეღარავინ მიაგნო. რას არ ფიქრობდნენ, რანაირ ჭორებს არ ავრცელებდნენ გაზეთები. პოლიციამ დაიწყო გამოძიება, დაკითხეს ყველა მისი ახლობელი, ეგონათ, რომ იგი მოკლეს, მაგრამ არა და არა, გრეტა გარბო უკვალოდ გაქრა.

მერე ნელ-ნელა ყველას დაავიწყდა მისი ამბავი, – პოლიციამ საქმე დახურა, გაზეთები იშვიათად იხსენიებდნენ, ხალხს მხოლოდ მისი ფილმები თუ აგონებდა ამ ერთ დროს ყველაზე პოპულარული და საყვარელი მსახიობის სახეს. გრეტა გარბოს დაკარგვიდან დაახლოებით 35 წლის შემდეგ, შვეიცარიაში, პარკში, ფოტოგრაფმა ყურადღება მიაქცია ერთ ქალბატონს, რომელსაც დიდი შავი სათვალე ეკეთა. ფოტოგრაფს იგი უცნაურად მოეჩვენა და შორიდან დაუწყო გადაღება. მეორე საღამოსაც მოვიდა ის ქალბატონი პარკში სასეირნოდ. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ფოტოგრაფი სურათს კი უღებდა, მაგრამ ქალბატონს შავი სათვალე სახეს უფარავდა. ერთ დღეს მან პროვოკაცია მოუწყო უცნაურ ქალბატონს. მისი მეგობარი იმ ქალს „შემთხვევით" დაეჯახა, ქალს სათვალე ჩამოუვარდა, ფოტოგრაფმა მოასწრო უსათვალოდ რამდენიმე კადრის გადაღება და, თურმე ნუ იტყვით, ის ქალბატონი გრეტა გარბო აღმოჩნდა.

მთელ მსოფლიოს მოედო სენსაციური ამბავი. მართალია, გრეტა გარბო ვეღარ დაიყოლიეს, რომ რომელიმე ფილმში ეთამაშა, მაგრამ ამის შემდეგ სიკვდილამდე „დამალვა" ვეღარ მოახერხა.

ის ფოტოგრაფი კი მილიონერი გახდა.

* * *

ჩიკაგოში ცოლ-შვილით ჩამოვიდა და ჩვენს კონცერტს დაესწრო ექიმი დათა ჩხატარაშვილი. იგი დიდად განათლებული და ფრიად საინტერესო პიროვნება გახლავთ. შესანიშნავი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები ჰყავს.

ბატონი დათა ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა. უმუშავნია ექიმად, ბევრი ტყვე ქართველის სიცოცხლე უხსნია განსაცდელისაგან. როცა ომი დამთავრდა, იგი სახლში დაბრუნებას აპირებდა თურმე, მაგრამ „საბჭოთა ზონასთან" მოსულმა თავისი თვალით დაინახა, როგორ აწამებდნენ, აშიმშილებდნენ, სცემდნენ ტყვედ ნამყოფ წითელარმიელებს.

– თუ ვინმეს შეგიძლიათ თავს უშველოთ, ახლავე გაეცალეთ აქაურობას, თავი არ დაიღუპოთ, – შემოთვალეს უბედურებმა. ცრემლმორეული ბატონი დათა გაბრუნდა და წავიდა იმ უკიდეგანო დუნიაზე ბედის საძებნელად. დაიკარგა კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი.

ახლა ბატონი დათა სახელგანთქმული ექიმია, ხშირად ჩამოდის საქართველოში ძმებთან, მეგობრებთან. ბატონი დათა ორი დღე დარჩა ჩვენთან. მოგვიტანა ძვირადღირებული უნიკალური წამლები, გულუხვად გაგვიმასპინძლდა და ბევრი საინტერესო ამბავიც გვიამბო, მათ შორის იქაური ქართველების შესახებ.

აშშ-ში ცხოვრობენ ძმები შალიკაშვილები. ოთარ შალიკაშვილი პოლკოვნიკის ჩინით პენსიაზე გავიდა; არის კონსულტანტი ატომური ელექტროსადგურების უშიშროების დარგში. მისი ძმა – ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი ამჟამად უცხოეთში ერთადერთი მოქმედი ქართველი გენერალია. მათი მამა იყო პოლკოვნიკი დიმიტრი შალიკაშვილი.

დამოუკიდებლობის პერიოდში, როცა საქართველოს მთავრობა თურქეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, დიმიტრი შალიკაშვილი გახლდათ სამხედრო კონსულტანტი. მან დაწერა მოგონებები, რომელიც უცხოეთში არ გამოსცეს, იგი ამჟამად ინახება მის მეუღლესთან. ბატონი დათა შემპირდა, რომ შეეცდება დიმიტრი შალიკაშვილის ხელნაწერი მოგონებების კრებული საქართველოში გამომიგზავნოს.

დიმიტრის ძმა – დავით შალიკაშვილი მსახურობდა საფრანგეთის ლეგიონში, ამილახვართან ერთად. იყო მეტად პოპულარული პიროვნება.

ვესაუბრები ბატონ დათას, ამ იშვიათ ინტელიგენტს, და ვფიქრობ, ვინ იცის, რამდენ ასეთ ღირსეულ მამულიშვილს დაუკარგეს სამშობლო, რამდენ სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ ისინი საქართველოსათვის, თუმცა მათ ერთი დღეც არ უცხოვრიათ საქართველოს გარეშე, მთელი მათი შეგნებული ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მე გამახსენდა 97 წლის პროფესორის, ბ-ნი გიორგი ნაკაშიძის სიტყვები, რომელიც მან ინტერვიუს დროს მითხრა:

„სამშობლოდან გამომაძევეს იმისთვის, რომ ვქადაგებდი: ლენინი და სტალინი დაღუპავენ-მეთქი ქვეყანას. რუსეთს 72 წელი დასჭირდა, რომ დარწმუნებულიყო ჩემი ნათქვამის სიმართლეში, მაგრამ მე ვინ დამიბრუნებს იმ დაკარგულ 72 წელიწადს, რომელიც საქართველოს გარეშე გავატარე".

აღდგომას ჩიკაგოში შევხვდით. ის დღეს თავისუფალი გვქონდა და შეძლებისდაგვარად აღვნიშნეთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული.

ჩვენს გოგოებს სააღდგომო სუფრა გაემზადებინათ, კვერცხები წითლად შეეღებათ, სუფრა ლამაზად მოერთოთ, სანთლები დაენთოთ. ნინო ლაზიშვილი სცენაზე ხომ მაღალი რანგის პროფესიონალია, როგორც დიასახლისმაც უმაღლესი შეფასება

დაიმსახურა. ჩვენს სუფრას არ აკლდა არც „საცივი“ და ღომი, არც ჩახოხბილი, მწვადი, ნიგვზიანი ბადრიჯანი, ლობიო, აჯიკა, მწვანილი, ტყემალი და, რა ვიცი კიდევ რამდენი რამ. თამაზ კობახიძემ სუფრასთან მიგვიწვია და დაიძახა: „ქრისტე აღსდგა!“ – „ჭეშმარიტად!“ – სამჯერ გავიმეორეთ და „მამაო ჩვენო“ წავიკითხეთ. მერე ვიგალობეთ „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ და მხოლოდ ამის შემდეგ მივუსხედით სუფრას.

თამადამ, ამირან გოლიაძემ, სუფრა ძველებური ტრადიციის მიხედვით წარმართა. ვიგალობეთ სააღდგომო საგალობლები, ვიმღერეთ შესაფერისი სიმღერები. ჩვენმა ოპერატორმა იური ბარამიძემ ფირზე აღბეჭდა ყოველივე.

მერე „მეზობელი“ ამერიკელებიც მოვიპატიჟეთ სუფრასთან, ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ ჩვენებური „სუფრის წესითა“ და საერთოდ ქართული ტრადიციებით.

საღამოს თავის ოჯახში ნაგვიყვანა ქრისტეფორე მაზეიკამ, წარმოშობით შვედმა, რომელსაც ბებია ქართველი ჰყავდა – იმნაძის ქალი; ქრისტეფორე ბებიას გაზრდილი ყოფილა, ამიტომ ქართულიც იცის და ქართული ტრადიციებიც. ცხოვრობს ჩიკაგოს გარეუბანში, ჰყავს მეუღლე ლანა (საოპერო მომღერალი) და ორი ვაჟი – ტარიელი და ნიკო. აქვს ნამდვილი ქართული ოჯახი. სახლიც ისე აქვს მოწყობილი, იმდენი ქართული სუვენირი აქვს გამოფენილი, რომ თავი საქართველოში გეგონებათ. მის ოჯახში ბებიის კულტია. სასტუმრო ოთახში, კედელზე, ბებიის სურათი ჰკიდია. ბებია ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთიდან ყოფილა. მოჯირითე, რომელიც 1911 წელს, სხვა



„ფარიკაობა“

ცხენოსნებთან ერთად, დასა და სიძეს სრულიად ახალგაზრდა წამოუყვანიათ საქართველოდან. მერე ცხენოსანთა დიდი ნაწილი დარჩენილა, შეუქმნიათ ქართული ოჯახები და მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ამერიკაში, ბევრი მათგანი იმ საღამოს ჩვენთან ერთად იყო. ისინი ამაყობენ თავიანთი ქართველობით, გვარებიც ქართული აქვთ, მაგრამ ქართული თითქმის აღარ იციან. ოჯახში მრავლადაა ძველ ქართველ ცხენოსანთა ფოტოები, რომლებსაც ამერიკაში. დიდი მოწონება დაუმსახურებიათ. ქართველ ცხენოსანთა გამოსვლებს პრესა „სასწაულს“ უწოდებდა.

სუფრა ქართულად გაგვიშალეს. ითქვა ბევრი სადღეგრძელო და სიმღერა. მერე მასპინძლის ბავშვებმა იცეკვეს ქართულად, განსაკუთრებით მოგვეწონა პატარა ნიკო (8 წლის), რომელიც ჩიკაგოში ჩვენი ყოფნის დროს ყოველდღე მეცადინეობდა ჩვენს ბიჭებთან ქართულ ცეკვაში. ქართული სუფრა დილამდე გაგრძელდა. გვაჩუქეს ქართველ ცხენოსანთა რამდენიმე ფოტოსურათი.

ჩიკაგომ თავისი სისუფთავით, წესრიგით და სილამაზით, ამერიკის დიდ ქალაქებს შორის, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვიყავით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის „მწვერვალზე“, საიდანაც არა მარტო მთელი ჩიკაგო, მგონი, მთელი ამერიკაც მოჩანს. ღმერთო, რას არ გააკეთებს კაცის ხელი!

ჩიკაგოს შემდეგ უკანასკნელი კონცერტები გავმართეთ ქ. შარლოტში. ამ კონცერტის ფინალს ჩვენი წერილის დასაწყისში შევეხეთ. კონცერტის შემდეგ, ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა, რომლებიც მთელი გასტროლის განმავლობაში თან გვახლდნენ, საზეიმო ვახშამი გაგვიმართეს.

ჩვენი მასპინძლები იყვნენ გრეტჩენი, ტერი და შელი. ისინი სადღეგრძელოებს ქართულად ამბობდნენ და ცრემლებს ვეღარ იკავებდნენ. გიორგი თოფურიას თარგმნა აღარც კი სჭირდებოდა. ზეიმი დილამდე გაგრძელდა. დილით ავტობუსებში ჩავალაგეთ ბარგი და ნიუ იორკისაკენ გავემგზავრეთ, საიდანაც სამშობლოში უნდა გამოვფრენილიყავით. ტერიმ ავტობუსში ქ. შარლოტის გაზეთები მოიტანა, სადაც უკანასკნელი რეცენზია იყო დაბეჭდილი:

„ქართველებმა გვაჩვენეს შეუდარებელი, აღმაფრთოვანებელი წარმოდგენა!

ნუ შეიწუხებთ თავს ამ წერილის წაკითხვით. სიტყვებს არ ძალუძთ ამ შთამბეჭდავი წარმოდგენის აღწერა. ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებმა და მოცეკვავეებმა „აიწყვიტეს“ ოთხშაბათს, „ოკენი აულტორიუმის“ სცენაზე. ეს მოხდა ენთუზიაზმით სავსე 1000 კაციანი აუდიტორიის წინაშე.

გადადეთ თქვენი საქმეები, აიღეთ ტელეფონის ყურმილი და შეუკვეთეთ ბილეთები, რათა დღეს საღამოს ოკენში, კაროლინის ოპერის სცენაზე ნახოთ ეს საოცარი ფენომენი!

დღეს შეერთებულ შტატებში მათი ბოლო კონცერტია.

გულადი მოცეკვავე მამაკაცები, ძველებურად სადა და მომხიბვლელი მოცეკვავე ქალები, იდუმალებით მოცული მომღერალ ვაჟთა გუნდი – ყველა ერთად ქმნის განუმეორებელ წარმოდგენას, რომლის მსგავსი არ უნახავს ჩვენს ქალაქს.

რა გნებავთ? ათლეტიზმი? მამაკაცები აკეთებენ ორმაგ პირუეტებს და მუხლებზე ეცემიან. არ გყოფნით? მაშინ ნახეთ პირუეტი, რომელიც ჩამუხვლით იწყება და მთავრდება ფეხის ცერზე დადგომით! რა გაინტერესებთ? ცეკვები? ბალეტის მოცეკვავეებს შერცხვებათ, როცა ნახავენ მამაკაცთა ცეკვას ფეხის წვერებზე.

საინტერესოა, რას იტყვით იმ 25 ყმაწვილზე, ხმლებით რომ იბრძვიან? არანაირი თეატრალური სიყალბე! ეს მეომრები დერვიშებივით ბზრიალებენ და თავიანთ ხმლებს ისეთი ძალით აჯახებენ ერთმანეთს, რომ ნაპერწკლები ცვივა 20 ფუტის სიმაღლეზე. თუ წინა რიგებში ზიხართ, უმჯობესია აზბესტის ტანსაცმელი ჩაიცვათ.

რა გნებავთ? სიმღერები? გუნდის ხმები ისეთნაირადაა ჰარმონიზებული, მზად ხარ დაიჯერო, რომ იმყოფები მთიანი ხეობის შუაგულში და შენს თავზე კოსმოსური ხომალდი მიფრინავს. ო, კიდევ კითხულობთ ამ წერილს? გადააგდეთ გაზეთი და გაეშურეთ ოკენის დარბაზისაკენ.

„შარლოტ ობზერვერი“ (ხუთშაბათი, 26 აპრილი)“.

* * *

ჩვენი გასტროლები კანადასა და აშშ-ში დამთავრდა. საქართველოში ჩამოვიტანეთ მეტად მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ამჟამად თბილისში კინო-ფოტო-ფონო ცენტრალურ არქივში ინახება, ჩამოვიტანეთ დიდძალი ვალუტა, რომელსაც კულტურის სამინისტრო ბევრ საჭირო საქმეს მოახმარს. გარდა ამისა, ვიდეოგადამღები აპარატურა შევუძინეთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრასა და საქართველოს ფოლკლორის ცენტრს; ჩამოვიტანეთ დიდძალი პრესა, რომელიც მოგვითხრობს ანსამბლ „რუსთავის“ წარმატებებსა და ქართული ფოლკლორის უნიკალურობაზე.

დავბრუნდით თბილისში შთაბეჭდილებებით აღსავსენი, დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები. ანსამბლის წევრებმა არაფერი დაიშურეს იმისათვის, რომ თავისი ხალხის, თავისი ერის კულტურა, ხელოვნება და ტრადიციები უცხოეთში მაღალ დონეზე გაეტანათ.

უცრემლოდ ვერ ვიგონებ იმ გაჭირვებას, ფიზიკურ დატვირთვას, რომელიც ანსამბლს გადახდა ამ უძნელესი გასტროლების დროს. მიუხედავად ამისა, მის თითოეულ წევრს ღირსეულად ეჭირა თავი, ისე როგორც ეკადრება უდიდესი კულტურისა და ტრადიციების მქონე საქართველოს შვილებს.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, მე მინდა, თქვენთან ერთად მადლობა ვუთხრა ანსამბლ „რუსთავის“ მთელ შემადგენლობას: ბატონ ფრიდონ სულაბერიძეს, ჩვენს სახელოვან ქორეოგრაფს, წარსულში ლეგენდარულ მოცეკვავეს, რომელმაც მთელი თავისი ენერგია, ნიჭი და პროფესიონალიზმი „რუსთავის“ მოცეკვავეების მაღალ დონეზე მომზადებას მოახმარა.

მადლობა ანსამბლის დირექტორ-განმკარგულებელს, ბატონ ალეკო ლორთქიფანიძეს, რომელმაც თავისი თავდადებული შრომით დიდი წვლილი შეიტანა ანსამბლის წარმატებაში.

პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ჩვენს გოგონებს, რომლებსაც თავიანთი პროფესიონალიზმით, ქცევითა და სილამაზით აღტაცებაში მოჰყავდათ უცხოეთის საზოგადოება. მადლობა მინდა გადავუხადო: ნინო ლაზიშვილს, მაია დარჩიაშვილს, ირინე მახარაძეს, ნინო აბურჯანიას, მარინე გელაშვილს, ხათუნა სამხარაულს, ნესტან ტოგონიძეს, ნანა მჭედლიშვილს, ტატა ფიცხელაურსა და მაკა ქორიძეს.

დიდი წარმატება ხვდა წილად სალამურის უზადო შემსრულებელს, „ვირტუოზ ფლეიტისტს“, როგორც ისინი უწოდებენ – ომარ კელაპტრიშვილს.

ჩვენმა მომღერლებმა შორს გაუთქვეს სახელი ქართულ ხალხურ სიმღერას.

მუსიკოსებმა აღიარეს, რომ ქართული სიმღერა ისეთი ფენომენია, რომლის ბადალი მსოფლიოს მუსიკალურ ფოლკლორში არ მოიპოვება. მადლობა ანსამბლის მომღერალ სოლისტებს: ბონდო გუგავას, რამინ მიქაბერიძეს, ბორის სორდიას, ნუგზარ გელაშვილს, ტარიელ ონაშვილს, ვლადიმერ თანდილაშვილს, სალიერ ვადაჭკორიას, ამირან გოლიაძეს, ზურაბ ნინუას, ქორმეისტერ ბადრი თოიძეს.

დიდი წარმატება ხვდათ წილად ჩვენს მოცეკვავე ვაჟებს, რომელთა ხელოვნებას კანადელი და ამერიკელი მაყურებლები ოვაციებს უმართავდნენ, ხოლო პრესა მათ გამოსვლებს ფანტასტიკურს უწოდებდა. მაღალი პროფესიონალიზმის, საუკეთესო ქცევისა და ვაჟკაცური თვისებების გამო მადლობას იმსახურებენ: თამაზ კობახიძე, მალხაზ მანაგაძე, შალვა პაპიაშვილი, გელა წოწორია, სერგო მუშკუდიანი, გელა ყაველაშვილი, ტარიელ ამაშუკელი, ზაურ ბასილაშვილი, მამუკა ქართველიშვილი, ნოდარ აბულაძე, გურამ აფციაური, ლერი გრძელიშვილი, ზურაბ გვანცელაძე, ზურაბ გურასაშვილი, გია განუგრავა, შოთა ყარალაშვილი, გოჩა ჯოხაძე, ვასო ხუტაშვილი, ზაზა სეხნიაშვილი, ირაკლი კიკილაშვილი, გელა ძებოშვილი, გოჩა ძოწენიძე, ბესიკ ხუხუნაიშვილი, შალვა რაზმაძე, ალეკო გაბრიელაშვილი.

ანსამბლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მუსიკოს-აკომპანიატორებმა: თენგიზ გოგავამ, ავთანდილ მაზანაშვილმა, ზურაბ საღირაშვილმა, მალხაზ ყარყარაშვილმა და გივი ქონიაშვილმა.

მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი თოფურიას, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია გასტროლების დროს. მადლობა იური ბარამიძეს, რომელმაც მთელი გასტროლის ღირსშესანიშნავი მომენტები ფირზე აღბეჭდა.

ამერიკიდან დაბრუნების მეორე დღეს, გადავწყვიტეთ, დაღლილი ანსამბლი ათი დღე დაგვესვენებინა. დასვენების წინ, „საზეიმო" შეკრებაზე, პროფკავშირის თავმჯდომარემ, ტარიელ ამაშუკელმა ანსამბლის წევრებს შაქრის, კარაქის, ყველისა და ზეთის ტალონები დაურიგა.

„ეხ! ამერიკა, ამერიკა..." ამოიოხრებდნენ ბიჭები და ხელს აწერდნენ ტალონების სიას.

... რამდენიმე დღეში მეც გავემგზავრები ოზურგეთში, ჩემს მშობლიურ სოფელ მაკვანეთში, მოვინახულებ ჩემს ნათესავებს, მეგობრებსა და მეზობლებს, რომლებიც აუცილებლად დამიწყებენ საუბარს პოლიტიკაზე, მომაყოლებენ ამერიკის ამბებს. მერე ჩემი მეზობელი შოთა ცელაძე აუცილებლად მკითხავს:

– მაი ყოლიფერი კაი, მარა თუ იცი, დევეწევით ამერიკას?

ამ შეკითხვის პასუხად, შოთას ალბათ ერთ ამბავს მოვუყვები, ჩემმა მეგობარმა, მომღერალმა ირაკლი კვირკველიამ რომ მიამბო. ირაკლი მეგობრებთან ერთად ქორწილში წასულა გურიაში. მათ სხვადასხვა ვაგონით იმგზავრეს და დილით ჯგუფის ერთი ნაწილი ასცდა მეორეს.

თემშარაზე 4-5 წლის ტიტლიკანა ბიჭი წკეპლით ბატებს მი„რეკავდა.

– ბიძიკო! ასეთ და ასეთ ხალხს ამ გზაზე ხომ არ გამოუვლია? – შეეკითხა ირაკლი ბიჭუნას.

– კი, ბიძია, – უპასუხა ბიჭმა ისე, რომ მათკენ არც მიუხედავს.

– დევეწევით თუ იცი?

– კი, თუ დაჯდებიან, – ჩაილაპარაკა ბიჭუნამ სერიოზული სახით და ბატს წკეპლა გადაჰკრა.

1991 წ.

კარი III

დაკუთხული შეხვედრები

მოგონებებით შეიძლება, კაცის სახელი უკვდავყოთ



ჯასი მთვარიდან

ჯეიმს ირვინი საქართველოში

ჩემს პატარა ბიჭობაში ვოცნებობდი, მფრინავი გავმხდარიყავი, მომწონდა მფრინავის რისკიანი, საინტერესო პროფესია. ვაგებდი თვითმფრინავის მოდელებს, ვკითხულობდი წიგნებს ჩკალოვზე, მერესიევზე, აგრეთვე ფანტასტიკურ მოთხრობებს მთვარისა და სხვა პლანეტების შესახებ, მერე ამ მოთხრობების გმირებთან ერთად ოცნებით დავფრინავდი უკიდეგანო სამყაროში.

ფრენის სურვილი უფრო გამიძლიერდა მას შემდეგ, რაც ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში“ წავიკითხე წერილი-ფანტაზია კაცობრიობის ისტორიაში პირველად საბჭოთა მეცნიერების ჯგუფის მთვარეზე მოგზაურობის შესახებ. წერილში წერდნენ, რომ მთვარეზე არ არის სიცოცხლე, რომ იგი მთაგორიანია და იქ მიზიდულობის ძალა

დედამიწასთან შედარებით ხუთჯერ ნაკლებია და თუ ფეხზე „ტყვიის ჩექმები“ არ ჩაიცვი, აუცილებლად გადაყირავდები; რომ მთვარეზე გადადგმული ერთი ნაბიჯი აქაურ ხუთ ნაბიჯს უდრის და ა.შ.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ოცნებით დავფრინავდი მთვარეზე, ვაგებდი შენობებს, მიმყავდა ცოცხალი არსებები და, ჩემი ჭკუით, იქ სიცოცხლეს ვამკვიდრებდი.

დრო გადიოდა, ბავშვობა ისე სწრაფად დავტოვე, როგორც თვითმფრინავი ტოვებს ხოლმე ასაფრენ ბილიკს. მერე, ბედის ირონიის გამო, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მფრინავის ნაცვლად მუსიკოსი გავხდი, მაგრამ ქართულ ხალხურ სიმღერას ისეთი ძლიერი ფრთები აღმოაჩნდა, რომ ჩემდენი მგონი ჩკალოვსაც არ უფრენია.

ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებასა და ტექნიკაში დიდი ძვრები მოხდა, ცხოვრება წინ მიიწევდა, ჯერ იყო და, რუსებმა პირველი დედამიწის თანამგზავრი გაგზავნეს კოსმოსში, მერე ცხოველები და ადამიანები, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ამერიკელები საერთოდ „დასახლდნენ“ მთვარეზე.

როცა ამერიკელი ასტრონავტები პირველად გაფრინდნენ მთვარეზე, მე მაშინ ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად გერმანიაში ვიყავი საგასტროლოდ. ამერიკული ტელევიზია მთელ მსოფლიოში (გარდა საბჭოთა კავშირისა) გადასცემდა სენსაციურ რეპორტაჟებს: როგორ დააბოტებდნენ მთვარის ზედაპირზე სკაფანდრებითა და „ტყვიის ჩექმებით“ შემოსილი ასტრონავტები.

ადამიანმა პირველად დაადგა ფეხი მთვარეს. ეს გახლდათ ამერიკელი ასტრონავტი ნეილ ამსტრონგი, რომელმაც თქვა: „მე გავაკეთე პატარა ნაბიჯი მთვარეზე და დიდი ნაბიჯი კაცობრიობის ისტორიაში“.

ამ კადრების ნახვის შემდეგ ჩემში ისევ გაიღვიძა ბავშვურმა ოცნებებმა; საოცრად მომინდა მათთან საუბარი, ვინც მთვარეზე იმყოფებოდა, რათა დამეკმაყოფილებინა ის ცნობისმოყვარეობა, რომელიც ბავშვობაში ღამეების განმავლობაში მოსვენებას არ მაძლევდა.

დრო გადიოდა. ჩვენ უკვე აღარ გვაკვირვებდა საბჭოთა კოსმონავტების „გასეირნება“ ღია კოსმოსში და „მშვიდობიანი მიზნით“ იქ გატარებული თვეები (ზოგიერთი მგონი დღემდე იქ დაფრინავს).

საკვირველი ის იყო, რომ ამერიკელები თითქმის „დასახლდნენ“ მთვარეზე, რუსები კი „პასიურობდნენ“. უფრო მეტიც, ისინი აცხადებდნენ, ამერიკელი მილიტარისტები ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ, რადგან იგი არაფრად ულირთ, თორემ მთვარეზე ადამიანის გაშვებას რა უნდაო.

ჩვენ ბავშვობიდან შეჩვეული ვიყავით რუსეთის პირველობას ყველა სფეროში. სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ რაც კი საუკეთესოა ტექნიკაში, ყველაფერი პირველად რუსებმა გამოიგონეს, რომ რუსეთში სხვა ქვეყნის მეცნიერებზე ორი დღით ადრე გამოიგონეს ორთქლის მანქანა, რადიო, „ილიჩის ნათურა“ და სხვ.

კიდევ კარგი, ახლა საინფორმაციო საშუალებები ისეთ დონეზეა განვითარებული, რომ მსოფლიოს ვეღარ მოატყუებ, თორემ ადამიანის პირველი ნაბიჯი მთვარეზე რუსებს შეიძლება თავისადაც კი მოენათლათ.

მერე შევიტყვეთ, რომ 1977 წელს ამერიკელებმა გალაქტიკაში გაგზავნეს ადამიანთა მოდგმის მიერ შექმნილი შედევრები, რომელთა შორის ქართული „ჩაკრულოც“ იყო. ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ უცხოური წყაროებიდან გავიგეთ. ამ საქმის მოწმესა და მონაწილეს, სახელგანთქმულ ამერიკელ ფოლკლორისტ ალან ლომაქსს კი მოგვი-

ანებით შევხვდით, მან დაწვრილებით გვიამბო ამ ფაქტის შესახებ.

რუსეთს, რასაკვირველია, ამაზე კრინტიც კი არ დაუძრავს, არც არაფერი დაუწერია, სამაგიეროდ, მოგვიანებით, „ამერიკელების ჯიბრზე" მათ კოსმოსში გაუშვეს საბჭოთა ვიმპელებით და ლენინის გამოსახულებით დატვირთული ხომალდი.

* * *

1990 წელს ანსამბლი „რუსთავი" საგასტროლოდ იმყოფებოდა კანადაში, კვებეკში. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა მღვდელი ჯერი შერმანი, მისიონერი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი. მან გვითხრა, რომ ახლახან დაბრუნდა საქართველოდან, სადაც მისი ინიციატივით ქართულად გაახმოვანეს საქვეყნოდ ცნობილი ფილმი „იესო". ჯერი სიამოვნებით გვიყვებოდა ნიჭიერი ქართველი კინოჯგუფისა და მისი შესანიშნავი რეჟისორის სოსო ჩხაიძის შესახებ, იგი აღტაცებული იყო ქართული სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებით და ქართული კულტურის უძველესი ძეგლებით.

ჯერი შერმანი ერთ-ერთი ხელმძღვანელია იმ ორგანიზაციისა, რომელიც, გარდა მისიონერობისა, ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას და ჰუმანიტარულ დახმარებებს უგზავნის გაჭირვებულთ.

კონცერტის მეორე დღეს ჩვენმა კანადელმა მეგობარმა სტუმრად მიგვიწვია მისიონერთა საზოგადოების კლუბში, სადაც ჩვენთან შესახვედრად მოვიდა ქალაქის საუკეთესო საზოგადოება; მოვიდნენ ოჯახებით, შვილებითა და შვილიშვილებით. წინა დღის წარმატებული კონცერტის შემდეგ, ბუნებრივია, ყველას უნდოდა ჩვენთან შეხვედრა.

შეხვედრაზე მოსულთ ვუამბეთ საერთოდ საქართველოს, კერძოდ კი, მისი კულტურისა და ისტორიის შესახებ. გავმართეთ სახელდახელო კონცერტიც.


მასპინძლები გულთბილად შეგვხვდნენ, დაგვირიგეს შვეიცაში ქართული შრიფტით გამოცემული „ახალი აღთქმა", გვიჩვენეს „იესოს" ქართული ვარიანტი, რომელმაც ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

გამომშვიდობებისას ჯერი შერმანმა გვითხრა, რომ იგი კარგად იცნობს ტრიო „საუნჯეს", ჯემალ ბაღაშვილსა და თემურ წიკლაურს, – თურმე მათ ჩვენს ჩასვლამდე კანადაში იმავე მარშრუტით ჩაატარეს გასტროლები, ჯერიმ ჩემი მისამართიც ჩაინერა და მითხრა, აუცილებლად ჩამოვალ თბილისშიო.

1991 წლის 9 ივნისს თბილისის ფილარმონიის დირექტორის, ბატონ დორიან კიტიას კაბინეტში ვისხედით: ჯემალ ბაღაშვილი, თემურ წიკლაური და მე ამ დროს შეგვატყობინეს, რომ ჩვენი ნახვა სურდათ უცხოელებს. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კაბინეტში შემოვიდა ჯერი შერმანი. მას თან ახლდა საშუალო ტანის გამხდარი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი.

- გაიცანით ჩემი მეგობარი, ამერიკელი ასტრონავტი, „აპოლონ 15"-ის ეკიპაჟის წევრი ჯეიმს ირვინი. იგი მთვარეზე იყო, მას შემდეგ კი მისიონერი გახდა, – გვითხრა ჯერი შერმანმა, – ახლახან ჩამოვფრინდით მოსკოვში, კიევის თეოლოგიურ კონფერენციაზე დასასწრებად. ორი დღე თავისუფალი გვქონდა, ჩემს მეგობარს ვუამბე უძველესი ქრისტიანული ქვეყნის – საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ და შევთავაზე: მოდი, თბილისში გადავფრინდეთ, იქ მეგობრები მყავს, დარწმუნებული ვარ, ქალაქში იქნებიან-მეთქი და აი, ხომ ხედავთ, არის რაღაც მისტიკური იმაშიც, რომ ყველა ერთად დაგვხვდით ფილარმონიაში.


Anzor
Ranch
For
Aim
Hunt!
Tom
Dennis



ჩვენ „დაუპატიჟებელი“ სტუმრების საკადრისად მიღების თადარიგს შევუდექით: წავიყვანეთ მცხეთაში, ვაჩვენეთ თბილისის ძველი უბნები, სიონში დაანთეს სანთლები, საღამოს კი მივიყვანეთ ბავშვთა ფოლკლორის სასახლეში, სადაც ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“ შეხვედრას უწყობდა ჩვენს ფრანგ თანამემამულეს, ბატონ ვიქტორ ხომერიკს. ჩვენი სტუმრები აღფრთოვანებული დარჩნენ პატარების ხელოვნებით.

საღამოს დასასრულს ჯეიმს ირვინი სცენაზე ავიდა და პატარა მომღერლებს მთვარეზე მოგზაურობის შესახებ ესაუბრა.

მერე ვახშამი გაიმართა. კოსმონავტმა მდიდრული ქართული კერძებით გაწყობილ სუფრაზე მხოლოდ ხილი, მწვანილი და ბორჯომი მიირთვა. სხვა საჭმელს ხელი არ ახლო. რას ინატრებდით-მეთქი, რომ ვკითხე, ქართული მაწონი მოითხოვა, რომელიც მხოლოდ მეორე დილით მივუტანეთ.

ნავახშმევს სტუმრებმა თბილისის ქუჩებში ფეხით გასეირნება გადაწყვიტეს. მთვარიანი ღამე იყო, შემთხვევით ვისარგებლეთ და ჯეიმსს ვთხოვეთ ეამბა, როგორ გაფრინდა მთვარეზე.

- ეს მღვდელი ჩემი სულიერი მამაა, – დაიწყო ჯეიმსმა – ღმერთი მანამდეც მწამდა, მაგრამ რაც მთვარიდან დავბრუნდი, ღრმა მორწმუნე გავხდი და მისიონერობაც დავიწყე.

ერთ საღამოს, შვიდი წლის რომ ვიყავი, მშობლებთან ერთად ვსეირნობდი. მამა მთვარის შესახებ მიამბობდა, საუბრის ბოლოს მშობლებს დაბეჯითებით განვუცხადე, როცა გავიზრდები, მთვარეზე გავფრინდები-მეთქი. მამაჩემს გაეცინა. მაშინ კოსმოსში გაფრენის შესაძლებლობაზე არავინ ფიქრობდა.

მოსწავლეობისას სულ თვითმფრინავის მოდელებს ვაკეთებდი და ყველას ვუმტკიცებდი, მთვარეზე უნდა გავფრინდე-მეთქი. ჩემიანებს ეს ამბავი, უბრალოდ, ბავშვურ ახირებად მიაჩნდათ.

ჩემი სურვილი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაცა რუსებმა კოსმოსში იური გაგარინი გაუშვეს.

ამერიკაში შეიქმნა ასტრონავტთა ჯგუფი, რომლებსაც საუკეთესო მფრინავებიდან არჩევდნენ. ჩავეწერე საფრენოსნო სასწავლებელში და რამდენიმე წელიწადში პროფესიონალი მფრინავი გავხდი. მფრინავ-გამომცდელად ვმუშაობდი უმაღლესი კლასის სამხედრო თვითმფრინავებზე. ასტრონავტთა რიგებში მოხვედრის სურვილი მოსვენებას არ მაძლევდა.

შერჩევა წელიწადში ერთხელ ხდებოდა; ვემზადებოდით ჩემთვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის გამოცდისათვის, მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა:

ერთ-ერთი გაფრენის დროს, როცა აეროპორტში ვბრუნდებოდით, ცუდი ხილვადობის გამო, ავარია მოგვიხდა. მე და მეორე მფრინავი სასწაულად გადავრჩით, მაგრამ მძიმედ დავშავდით. დამიზიანდა კიდურები, ხერხემალი, თავი; ექიმები ეჭვობდნენ, რომ თუკი გადავრჩებოდი, სიარულს მაინც ვერ შევძლებდი. კარგა ხანს უგონოდ ვიყავი. როცა გონს მოვედი, ექიმებმა მითხრეს, რომ ვერასოდეს ვიფრენდი. პირველად სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, მერე ნელ-ნელა დავძლიე უიმედობა და ღმერთს შევფიცე: თუ გამოვჯანსაღდებოდი და ასტრონავტთა რიგებში მოვხვდებოდი, მარად მასზე მლოცველი ვიქნებოდი.

დავიწყე ლოცვები. ერთ-ერთი ლოცვის დროს ყურში ჩამესმა იდუმალი ხმა: „საჭიროა მოთმინება და ბევრი ვარჯიში“. მე ყოველდღე ვლოცულობდი.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ განძრევა არ შემეძლო, მკურნალ ექიმს გავანდე ჩემი გადაწყვეტილება. მან მითხრა: ფრენაზე საერთოდ არ იფიქროთ, ნეტავი, ის შევძლოთ, რომ როგორმე ფეხზე დაგაყენოთო.

ოთხი-ხუთი თვის შემდეგ ჩემი ჯანმრთელობა სწრაფად გაუმჯობესდა, რითაც ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი ექიმებიც კი გავაკვირვე.

შემდეგ საწოლში მცირე ვარჯიშის უფლება მომცეს. ვარჯიშს თანდათან ვუმატე და რამდენიმე თვეში, როგორც ექიმებმა მითხრეს, ფანტასტიკურ შედეგს მივაღწიე.

ენერგიისა და ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვის ფასად, თითქმის ერთი წლის ავადმყოფობის შემდეგ, ფეხზე დავდექი, ხოლო კიდევ ექვსი თვის შემდეგ სამედიცინო კომისიამ ფრენის უფლება მომცა.

როცა ერთი წლის შემდეგ ასტრონავტთა რიგებშიც ჩამრიცხეს, მუხლებზე დავემხე და ღმერთს შევღაღადე, რომ სიკვდილამდე მისი თაყვანისმცემელი ვიქნებოდი.


1969 წლის ივლისიდან 1972 წლის დეკემბრამდე მთვარეზე ექვსი ექსპედიცია შედგა. მე შემიყვანეს „აპოლონ-12“, „აპოლონ-13“, „აპოლონ 14“-ის ეკიპაჟში, მაგრამ არც ერთხელ არ გამაფრინეს. ჩვენ საგულდაგულოდ გვამზადებდნენ და მხოლოდ სტარტის დღეს გვეუბნებოდნენ, ვინ გაფრინდებოდა. როგორც ჩანს, ამით ამოწმებდნენ ნებისყოფის სიმტკიცეს, ფსიქოლოგიურ მდგრადობას, მოთმინების უნარს, რომ განსაკუთრებული ეკიპაჟი შეერჩიათ „აპოლონ-15“-ისათვის, რომელმაც მთვარეზე ყველაზე მეტი დრო – სამი დღე დაჰყო. ლაპარაკია მისი ეკიპაჟის განსაკუთრებულ თვისებებზეა, რადგან სხვა ხომალდებისაგან განსხვავებით, ეს ხომალდი ე.წ. „აპენინის მთებში“ უნდა დამჯდარიყო – ესაა მთვარის „მთიანი რაიონი“, სადაც „მთვარის მოდულის“ დაშვება განსაკუთრებით რთული იყო და არაერთი მოულოდნელი შემთხვევა შეიძლებოდა მომხდარიყო.

მოგეხსენებათ, ცამეტი რიცხვი თარსადაა მიჩნეული, ამიტომ მას ათასნაირ გართულებას მიაწერენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს რწმენაში ასეა გამჯდარი, რომ ყოველივე ცამეტს უნდა ერიდო. ეს რწმენა „აპოლონ 13“-მაც განამტკიცა: სტარტის აღებიდან ცოტა ხნის შემდეგ აფეთქდა ჟანგბადის ავზი, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა ელექტრობა, მკვებავი ბატარიები და რეალური საფრთხე შეუქმნა ასტრონავტების სიცოცხლეს. ისინი გადავიდნენ მთვარის პატარა მოდულში. ამის შემდეგ ჰიუსტონში მდებარე მართვის ცენტრს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ხომალდი დედამიწაზე დაებრუნებინა.

დადგა „აპოლონ 15“-ის გაფრენის დღეც. დეივ სკოტთან და ალ უორდენთან ერთად ეკიპაჟის შემადგენლობაში ჩემი გვარიც გამოაცხადეს. როგორც იქნა, ასრულდა ჩემი ოცნება, რისთვისაც ღმერთს კიდევ ერთხელ შევწირე მადლობა.

კანავერალის კონცხიდან სტარტი ყოველგვარი გართულების გარეშე ავიღეთ, მერე ჩვენი ხომალდი კოსმოსში გავიდა და მთვარისაკენ გაემართა.

ხომალდი საათში 25000 მილის სიჩქარით მიფრინავს. როცა მანქანით მიემგზავრები და გზაზე სხვადასხვა საგნებს ჩაუვლი, სიჩქარის მომატება ამ საგნებთან შედარებით იგრძნობა, ხოლო ხომალდის კოსმიურ სიჩქარეს საერთოდ ვერა გრძნობ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს იგი ადგილზე დგას. მთვარე ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა; როცა მთვარის ორბიტაზე გავედით, ჩვენი მთვარის მოდული, რომელსაც „ფელკონი“ (შევარდენი) ერქვა, მატარებელ-ხომალდს – „აპოლონ-15“-ს გამოეყო და მთვარეზე იწყო დაშვება. მოდულში ორნი ვიყავით: დეივ სკოტი და მე. ალ უორდენი მატარებ-



სტუმრად „მართვესთან“
ჯეიმს ირვინი, კოტე მშვიდობაძე, ვიქტორ ხომერიკი

ელ-ხომალდს მართავდა, რომელიც მთვარის ირგვლივ ორბიტაზე მოძრაობდა. ჩვენ მას ისევ უნდა შევერთებოდით, უკან, დედამიწაზე დასაბრუნებლად.

... ცოტა ხნით ვწყვეტ ჯეიმსის მონათხრობის გადმოცემას და მინდა შემოგთავაზოთ ერთი ამბავი, რაც მისმა ნაამბობმა წამოატივტივა ჩემს მეხსიერებაში:

1989 წელს აშშ-ში საგასტროლოდ ვახლდი ოზურგეთის ანსამბლ „ელესას“, რომელიც მონაწილეობდა სმითსონის ინსტიტუტის მიერ გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში. ფესტივალი ვაშინგტონში ჩატარდა. თავისუფალ დროს ქალაქში ვსეირნობდით, ვათვალიერებდით მუზეუმებს.

ვაშინგტონში არსებობს ასტრონავტიკის მუზეუმი, სადაც გამოფენილია ამერიკული წარმოების თვითმფრინავებისა და რაკეტების ყველა, დღემდე გამოშვებული მოდელის უკვე გამოყენებული და სამუზეუმო ექსპონატად ქცეული ორიგინალი. მათ შორის გამოფენილია ის ხომალდები, რომლებიც მთვარეზე „ისხდნენ“.

მუზეუმში თქვენ შეგიძლიათ ჩაჯდეთ მთვარის მოდულში, სადაც ვიდეო და ფონომასალის საშუალებით ხდება მთვარეზე დაშვების სრული იმიტაცია.

კაბინაში ორნი შევედით: „ელესას“ ხელმძღვანელი, ბატონი ამირან თოიძე და მე.

სავარძლებში მოხერხებულად ჩავსხედით, ჩვენ წინ ათასნაირი ელექტრომაჩვენებელი აინთო. ნამდვილი პილოტებივით გაგვიკეთეს ყურსასმენები.

რაკეტა დაიძრა. ყრუდ ისმოდა მოტორების გუგუნი. ვიდეო და ფონოაპარატურაზე სრულადაა ჩაწერილი მთვარაზე დაშვების დეტალებიც კი.

ილუმინატორში აისახა მთვარის მონაცრისფრო ზედაპირი, რომელიც ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა; გამოჩნდა კრატერები, მთვარის კლდოვანი მთები, გლუვი ბორცვები, უდაბნოსმაგვარი ბუნება, რომელზედაც სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ იგრძნობა (მსგავსი პეიზაჟი სირიისა და აფრიკის უდაბნოებში მინახავს მხოლოდ). მთვარის ზედაპირი რაღაც უცნაური ნაცრისფერია, განსაკუთრებულ ბრწყინვალებას იგი მზის სხივებისაგან იღებს.

ყურსასმენში ისმის ხომალდის მეთაურის ხმა: „მთვარემდე დარჩა 100 მეტრი“, მოდული ნელ-ნელა ირხევა. „დარჩა 50..10,9,8... 1 მეტრი, მთვარე!“ – გაისმა ხომალდის მეთაურის ხმა, მოდული შეტორტმანდა, მისი „ფეხები“ რბილად შეეხო მთვარის ზედაპირს და დადგა.

ყოველივე ისე დამაჯერებლადაა გაკეთებული, რომ უნებლიეთ ეკიპაჟის წევრი ხდებით.

ახლა ისევ ჯეიმსის მონათხრობს მივყვეთ:

- ჩვენი „ფელკონი“ მთვარეს საკმაოდ უხეშად დაებერტყა და დადგა. ლუკი მე უნდა გამეხსნა და მთვარის ზედაპირზე პირველი გადავსულიყავი. მოხდა საოცარი რამ: მე, პრაქტიკულად უშიშარ კაცს, (მშიშრებს მთვარეზე არ აგზავნიან), რომელიც ყოველ წამს მზად ვიყავი სიკვდილთან შესახვედრად, ხელები ამიკანკალდა და ლუკი ვეღარ გავაღე. გაოგნებულად ვიდექი და არ ვიცოდი, რა მექნა. ამ დროს ყურში ჩამესმა ჩემი გარდაცვლილი ძმის ხმა: „ჯეიმს, გააღე კარი და ჩადი ძირს; ყველაფერი კარგად იქნება, ნუ გეშინია, ჩვენ ყველანი აქა ვართ“, – მაგრამ ვინ იყო ეს „ყველანი“, არ დაუკონკრეტებია. ამის გაგონება იყო და... შიშიც მაშინვე გაქრა, თამამად მოვწიე სახელურს, ლუკი გავაღე და მთვარეზე მარჯვენა ფეხი დავდგი. რომ ჩამოვდიოდი, წავიბორძიკე. ჩემს ყველა მოძრაობას ვიდეოკამერა აფიქსირებდა. არ მინდოდა წაქცეული დავენახე ჩემს ხალხს, ამიტომ, რომ არ შევრცხვენილიყავი, იმდენი მოვახერხე, რომ გვერდზე გადავვარდი, რათა კამერის გადაღების არეალის მიღმა აღმოვჩენილიყავი და ჩემი წაქცევა კამერას არ დაეფიქსირებინა, ასეც მოხდა.

როცა წამოვდექი, ჩვენს „ფელკონს“ შევხედე. მას ცალი „ფეხი“ შეკეცილი ჰქონდა და საკმაოდ დიდი გრადუსით გადახრილი იდგა მთვარის ზედაპირზე. თუ „ფეხი“ არ გასწორდებოდა და მთვარის მოდული ვერტიკალურ მდგომარეობას არ მიიღებდა, იგი ვეღარ აფრინდებოდა და სამუდამოდ დავრჩებოდით მთვარეზე. მე და ჩემმა პარტნიორმა დეივ სკოტმა ყველაფერი ვცადეთ, რომ „ფელკონის“ „ფეხი“ გაგვესწორებინა, დედამიწაზე ნასწავლი ყველა ვარიანტი გამოვიყენეთ, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელებს მხედველობიდან გამორჩათ ეს მომენტი.

მე და დეივი სასოწარკვეთილნი ვიდექით და ვერაფერი მოგვეფიქრებინა. მაშინ პირჯვარი გადავიწერე და ღმერთს შევევედრე: ღმერთო, რამდენჯერ დამეხმარე და ახლაც მიშველე-მეთქი. – დადექი მუხლებზე, ილოცე და გეშველება, – ჩამესმა ყურში იდუმალი ხმა.

მე მუხლებზე დავვარდი და ლოცვას შევუდექი, ამ დროს შევამჩნიე, რომ სპეციალური ზონარის ბოლო, რომელიც „ფეხს“ ელექტროავტომატთან აერთებდა, გამოვარდნილიყო; იოლი შესამჩნევი იყო, როგორ შეიძლებოდა მექანიკური ხერხით მდგომარეობის გამოსწორება: მოვუშვით სათანადო ჭანჭიკი და ზონარი შევაერთეთ, რის შემდეგაც „ფელკონმა“ ფეხი გამართა და ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო.

ღმერთს მადლი შევწირეთ. ამის შემდეგ კიდევ უფრო გამიმტკიცდა მისდამი რწმენა.

როცა შვებით ამოვისუნთქეთ, მთვარის ზედაპირი დავათვალიერეთ. კაშკაშა მზე თვალისმომჭრელად ანათებდა.

ჩვენი 3 დღე მთვარის ერთ დღეს უდრის, მომდევნო 3 – ღამეა. დღის განმავლობაში მთვარის ზედაპირზე ტემპერატურა + 100 გრადუსს აღწევს, ღამე იგი ეცემა – 100 გრადუსამდე. მთვარეზე ჩვენებური სამი დღე დავრჩით და მთელი იმ დროის განმავლობაში მზე სულ ზენიტში იმყოფებოდა.

ჩვენი მთვარის მოდული, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, დაეშვა ე.წ. მთვარის „აპენინის მთებში“, სადაც მანამდე არც ერთი ხომალდი არ დამჯდარა.

ჩვენ ირგვლივ მთაგორიანი ლანდშაფტი იშლებოდა.

„ფელკონიდან“ გადმოვიტანეთ კარავი და მის ახლოს გავშალეთ, იგი ჰერმეტულადაა დახურული, ამიტომ მუშაობის შემდეგ, როცა კარავში შევდიოდით, სკაფან-

დრებს ვიხდიდით და ისე ვიძინებდით.

მთვარის მოდულიდან გადმოვიღეთ აგრეთვე მთვარემავალი (პატარა ავტომობილი) და შევუდექით „სეირნობას“.

მთვარის ზედაპირი ქვიშიანი და ქვაღორღიანია. ჩვენი დღის რეჟიმი მკაცრად იყო განსაზღვრული. დავდიოდით მთვარემავლით, ვიღებდით ვიდეო და ფოტომასალებს, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა შრეებიდან ვიღებდით მთვარის გრუნტის ნიმუშებს, ვაგროვებდით და მოგვქონდა მთვარის მოდულში.

ჩვენგან ასიოდე მეტრში აღმართულიყო მთა, რომლის სიმაღლე ერთ კილომეტრს აღწევდა. იქვე ახლოს ღრმა ხევში ჩასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ ჰიუსტონის საკომანდო პუნქტმა ასეთ რისკზე წასვლის უფლება არ მოგვცა. დედამინას დღეში რამდენჯერმე ვუკავშირდებოდით: მოვახსენებდით ჩატარებული სამუშაოს შედეგებისა და ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხოლო „აპოლონ-15“ ყოველ საათში ერთხელ გვიკავშირდებოდა. საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო მიგვეცა სიგნალი – SOS! დაუყოვნებლივ ავფრენილიყავით და მას შევერთებოდით.

ვაგროვებდით მთვარის ქვების ნიმუშებს, რომელთა შორის მომწვანო, რუხი, ყავისფერი და ნაცრისფერი ფერები დომინირებდა.

თითოეულ ნიმუშს ჯერ ფირზე აღვბეჭდავდით, შემდეგ სპეციალური სამარჯვით ფრთხილად ვიღებდით ქვას და ვინახავდით.

დავალებული გვქონდა, მთვარიდან ჩამოგვეტანა თეთრი ფერის ქვა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ასეთი ქვა ვიპოვეთ. იგი „კვარცხლბეკზე“ იდო, თითქოს ვიღაცას სპეციალურად დაედო ნიმუშად. ამ ქვას შემდეგ „გენეზისის ქვა“ დაერქვა. იგი დედამიწაზე არსებულ ყველა ქვაზე უძველესი აღმოჩნდა (ჯეიმსმა ჩანთიდან ამოიღო ქათქათა თეთრი, მოზრდილი მსხლის ფორმის ქვა); აი, იმ თეთრი ქვის ასლი, რომელიც



ჯეიმს ირვინი, თემურ წიკლაური, ჯემალ ბაღაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი და ჯერი შერმანი

მთვარიდან ჩამოვიტანეთ.

ძალიან ლამაზია დედამიწა მთვარიდან. იგი ჰგავს მოლურჯო ბროლის სფეროს, რომელიც იერს იცვლის და ულამაზეს ფერებში გადადის. ამ სილამაზეს საქართველოსნაირი ქვეყნები ქმნის.

უყურებ ამ მშვენიერ სანახაობას, რომლის მსგავსი, ალბათ, ღმერთს არაფერი შეუქმნია და ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ამ მოლურჯო ფერის ბროლის სფეროს დიდი გაფრთხილება სჭირდება. კენჭის შეხებითაც კი იგი უმცირეს ნამსხვრევებად იქცევა და გალაქტიკაში გაიფანტება პატარა თანამგზავრებად. ამიტომ ადამიანებმა ყველაფერი უნდა იღონონ ამ ულამაზესი, სათუთი ბროლის სფეროს უსაფრთხოებისათვის.

დიდი დატვირთვის გამო დახარჯული კალორიების რაოდენობა გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელმა მეცნიერებმა გაიანგარიშეს. იგი გაცილებით მეტ სითხეს მოითხოვდა, ვიდრე გათვლილი იყო. ბლომად ვკარგავდით სითხეს, ამიტომ სასმელი წყალი არ გვეყო და ბოლო სამუშაო დღე თითქმის უწყლოდ გავატარეთ.

შეგვეძლო საავარიო სიგნალით გამოგვეძახებინა „აპოლონ-15“, ავფრენილიყავით ვადაზე ადრე და დედამიწაზე დაებრუნებულიყავით, მაგრამ გავითვალისწინეთ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ გვეკისრებოდა, ის ხარჯები, ექსპედიციაზე რომ დაიხარჯა, და სანამ დავალება ბოლომდე არ შევასრულეთ, მთვარიდან არ გამოვფრინდით. როცა ყველაფერს მოვრჩით, ჩვენი „ფელკონი“ მთვარიდან აფრინდა, „აპოლონ 15“-ს შეუერთდა და რამდენიმე დღეში მშვიდობით დავბრუნდით დედამიწაზე. ეს კია, უწყლობის გამო ორგანიზმი სითხისაგან დაგვეცალა და სულ მალე მიოკარდის ინფარქტით დავავადდით.

შეკითხვაზე – ხომ არ შეუნიშნავთ რაიმე უცხო სხეული, ე.ნ. „მფრინავი თეფშები“, – ჯეიმსმა გვიპასუხა, რომ მსგავსი რამ არ შეუნიშნავს, მას საერთოდ არ სწამს ასეთი სხეულების არსებობა და ის მითქმა-მოთქმა, რაც ამ სხეულების ირგვლივ არსებობს მსოფლიოში, მხოლოდ ჭორიკანების ფანტაზიის ნაყოფია.

საუბარმა გვიან ღამემდე გასტანა. ჩვენ სასტუმრო „ივერიის“ წინ, იმჟამინდელ რესპუბლიკის მოედანზე ვიდექით. სავსე მთვარე თავზე გვადგა და ჯეიმსი გვაჩვენებდა, დაახლოებით რომელ უბანზე იმყოფებოდა მათი ხომალდი. კაცი, რომლის ნაფეხურები მთვარეს სამარადისოდ დააჩნდა, ახლა ჩვენ წინაშე იდგა და გვიამბობდა პირადად ნანახსა და განცდილს.

ჯეიმსმა თან ჩამოიტანა მის მიერ გადაღებული ფილმი „მოგზაურობა მთვარეზე“, რომელიც უნდოდა ეჩვენებინა საქართველოს ტელევიზიით. მეორე დილით ბატონი ჯემალ ბაღაშვილი და მე მივედით საქართველოს ტელევიზიაში იმ იმედით, რომ ქართველი ტელემაყურებლის წინაშე წარსდგებოდა კაცი, რომელიც სამი დღე იმყოფებოდა მთვარეზე, მოგვიყვებოდა თავისი მოგზაურობის შესახებ და გვაჩვენებდა ამ კადრების ამსახველ დოკუმენტურ ფილმს. იმ დროს (1991) საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო, ტელევიზიაში საშინელ კადრებს აჩვენებდნენ.

გვეგონა, რომ ეს ფილმი ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელობის უდიდეს ინტერესს გამოიწვევდა და დიდ სიამოვნებას მიანიჭებდა ჩვენს ტელემაყურებელს.

ჩვენდა გასაკვირად, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ უდროობა მოიმიზეზა და უარი გვითხრა.

* * *

ჩემს პატარა ბიჭობაში ჟურნალ „პიონერში" იბეჭდებოდა წერილები ცნობილი მოგზაურის – მიკლუხო-მაკლაის პაპუასებში ყოფნაზე. ერთ-ერთი ასეთი მოთხრობა იყო „კაცი მთვარიდან". მასში მოთხრობილი იყო იმის შესახებ, რომ პაპუასებს მანამდე თეთრკანიანი ადამიანი არ ენახათ, ხოლო როცა მიკლუხო-მაკლაი იხილეს, მას უწოდეს „კაცი მთვარიდან" და დიდი ინტერესი გამოიჩინეს მის მიმართ. ახლა ჩვენ წინაშე იდგა ნამდვილი „კაცი მთვარიდან", დიახ, მთვარეზე ნამყოფი და მთვარიდან ჩამოსული კაცი, რომელიც არაჩვეულებრივი განცდით გვიყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორია მთვარე, როგორ ჩანს დედამიწა სხვა პლანეტიდან და რაოდენ დიდია ადამიანთა მოდგმის პასუხისმგებლობა, რომ გაუფრთხილდნენ დედამიწას – სამყაროს იშვიათ ქმნილებას.

ასეთი კაცი პირველად ჩამოვიდა საქართველოში და მის მიმართ ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელობამ არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა. ვინ იცის, კიდევ როდის ჩამოვა საქართველოში „კაცი მთვარიდან", როდის უამბობს ჩვენს ტელემაყურებელს იმ საინტერესო ფაქტებისა და ზღაპრული სამყაროს შესახებ, რომელიც ჩვენთვის დღემდე ამოუცნობია.

ეს კი მოვახერხეთ, რომ ჯეიმსი ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს შევახვედრეთ და გაზეთ „თბილისში" დაიბეჭდა ერთადერთი სტატია. გარდა ამისა, ჩვენი შეხვედრის ამსახველი კადრები ვიდეოკამერით გადაიღო კინოოპერატორმა იური ბარამიძემ. ეს კადრები შემდეგ დალი ფრიდონაშვილმა აჩვენა ტელეგადაცემაში „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!".

მეორე დღეს, როცა ჩვენს სტუმრებს სასტუმროში მივაკითხეთ და საუზმეზე დავპატიჟეთ, აღმოჩნდა, რომ ჯეიმსი სასტუმრო „ივერიიდან" ფეხით ასულიყო ფუნიკულიორზე. მანძილი „არ ეყო" და ფუნიკულიორს რამდენჯერმე შემოაუარა.

სასტუმრო „ივერიის" რესტორანში სტუმრებს უჩვეულო საუზმე გავუმართეთ. გავითვალისწინეთ მათი გემოვნება და ბაზრიდან მოვზიდეთ საუკეთესო ხილი და მაწონი. გარდა ამისა, სუფრაზე იყო ხაჭაპური და ბორჯომი.


ჩვენი მეზობელი მაგიდიდან ნაცნობებმა შეამჩნიეს, რომ უცხოელებისათვის შესაფერისი სუფრა არ გვქონდა გაშლილი, ჩემმა ოზურგეთელმა მეგობარმა ია სურგულაძემ ყურში ჩუმად წამჩურჩულა: თუ რამე გიჭირთ, აგერ ვართო. ავუხსენი, რომ ჩვენი სტუმრები სხვას არაფერს მიირთმევდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ დაწყნარდნენ ჩვენი სტუმართმოყვარე მეგობრები.

ჯეიმსმა გვაჩუქა თავისი სურათები ავტოგრაფებით, შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნები, რომლებიც მან მთვარიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა და თავის შვილებს – ჯოშუასა (ქართულად – იესო) და ჯესის მიუძღვნა.

შუადღემდე ძველი თბილისის ქუჩებში ვისეირნეთ, მერე ჯეიმსი და ჯერი თემურ წიკლაურმა და მე სიმღერებით მივაცილეთ თვითმფრინავის ტრაპამდე. ისინი დიდად კმაყოფილები დაგვემშვიდობნენ და შეგვპირდნენ, რომ უფრო დიდი ხნით ჩამოვიდოდნენ საქართველოში. თვითმფრინავმა გეზი კიევისაკენ აიღო.

ერთი წლის შემდეგ მივიღეთ სამწუხარო ცნობა, რომ ჯეიმს ირვინი გულის უკმარისობით გარდაცვლილიყო.

1992წ.



მოლოტოვი უიბენტროპად

„პერესტროიკის“ ანუ ე. წ. „ადამიანური სახის მქონე სოციალიზმის“ მშენებლობის ჟამს, ჟურნალ-გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აკრძალული, სენსაციური მასალების გამოქვეყნებაში. ერთმანეთის მიყოლებით იბეჭდებოდა რეპრესირებული საბჭოთა ლიდერების – ტროცკის, ბუხარინის, ბერიას და სხვათა სტატიები, ჩანაწერები, დღიურები; ბოლოს XX საუკუნის ყველაზე შავბნელი წიგნის – ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამპფის“ თარგმანიც დაისტამბა დიდი ტირაჟით. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, დღის სინათლე მოლოტოვ-რიბენტროპის გასაიდუმლოებული აქტის ტექსტსაც ეხილა...

ხალხში ასეთი ხუმრობა გავრცელდა: დავიღუპე! ყველაფრის თქმა და წერა შეიძლება. სიმართლემ ფასი დაკარგა, ფასი!“

ჩემს მონათხრობში განსაკუთრებული და სენსაციური არაფერია, მაგრამ მასში შეიძლება ზოგიერთი ისეთი ცნობა აღმოჩნდეს, რაც მკითხველს დააინტერესებს.

ა. ე.

სტალინის უერთგულეს თანამედროვეს, ბოლშევიკური რეჟიმის ერთ-ერთ საიმედო ბურჯს, ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვს (სკრიაბინს) საინტერესო ბიოგრაფია

აქვს. იგი ერთადერთი კაცი იყო ძველი მთავრობის წევრთაგან, რომლის თვალწინაც გაიარა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთელმა ისტორიამ. იგი მოწმე იყო მე-20 საუკუნის უდიდესი მოვლენებისა. 50-იანი წლების ბოლომდე, როგორც მთავრობის წევრს, ურთიერთობა ჰქონდა XX საუკუნის მსოფლიოს ყველაზე დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებთან; მონაწილე იყო არა მარტო დიდი გამარჯვებების, არამედ რეპრესიებისა და სხვა უარყოფითი მოვლენებისაც.

მოლოტოვი ბოლომდე ერთგული დარჩა კომუნისტური პარტიისა და მაშინდელი საბჭოთა მთავრობის იდეებისა. მისი პოზიცია მაშინდელი მთავრობის პოზიციაა. ამიტომაა მისი აზრი საინტერესო, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენების შეფასებისას.

მე საშუალება მქონდა, 1985 წელს პირადად შევხვედროდი მოლოტოვს და მესაუბრა მასთან. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა შედგა იმ დროს, როცა ბევრი რამ, რაც დღეს ნათელია, მაშინ ჩვენთვის უცნობი იყო. ამიტომ ბევრი საჭირო შეკითხვა ვერ დავუსვი.

1985 წლის 8 მაისს, მოსკოვში, სასტუმრო „ბუდაპეშტში" სუფრას ვუსხედით: აკადემიკოსი ალექსანდრე ილიას ძე პაჩესი (რომელმაც ჩემს ბიძაშვილს რთული ოპერაცია გაუკეთა), ბატონი ნოშრევან ჯორჯაძე, თამაზ ანდღულაძე, ზაურ კონტრიძე და მე.

სამამულო ომში დაკარგულების სადღეგრძელოსთან დაკავშირებით, აკადემიკოსმა პაჩესმა გაიხსენა, რომ იგი სამედიცინო ინსტიტუტიდან გაიწვიეს ფრონტზე, ომის დამთავრების შემდეგ კი დემობილიზაციაში არ უშვებდნენ. მაშინ მან წერილი მისწერა მოლოტოვს და სთხოვა, რომ სწავლის გაგრძელების მიზნით გაეთავისუფლებინათ საბჭოთა არმიის რიგებიდან. მალე მიიღეს პასუხი და პაჩესი გაათავისუფლეს. ახლა იგი სახელგანთქმული მეცნიერია, მას ევროპის მრავალ ქვეყანაში იწვევენ, როგორც ერთ-ერთ შესანიშნავ დასტაქარს.

- ნეტავ სად არის ახლა მოლოტოვი და როგორაა მისი ჯანმრთელობა? – იკითხა პაჩესმა.

- მოლოტოვი თავის აგარაკზე ცხოვრობს მოსკოვთან ახლოს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, თავს კარგად გრძნობს. თუ გაინტერესებთ, შემიძლია შეგახვედროთ, – გვითხრა თამადამ, ბატონმა ნოშრევან ჯორჯაძემ.

ჩვენ ყველამ მასთან შეხვედრის დიდი სურვილი გამოვთქვით.

ბატონმა ნოშრევანმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

- გამარჯობათ, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ! ნოშრევან ჯორჯაძე გილოცავთ დამდეგ დღესასწაულს – 9 მაისს. როგორ ბრძანდებით, ქართველები არ მოგენატრათ?.. ჰოდა აგერ ჩემთან არიან სტუმრად და, თუ ნებას დართავთ, დიდი სურვილი აქვთ ხვალ მოგილოცონ დღესასწაული. ...კეთილი, ნახვამდის.

- ხვალ, 16 საათზე, მოლოტოვი გველოდება თავის აგარაკზე, საშვი დაშვებული იქნება, – გვითხრა ბატონმა ნოშრევანმა.

მართლაც, მეორე დღეს, ქართული პურმარილით ხელდამშვენებულნი, გავემგზავრეთ მოლოტოვის აგარაკზე.

მთელი გზა ბავშვობის მოგონებებმა შემიპყრო. ჩვენ მაშინ სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი და ბერია ღმერთებად მიგვაჩნდა. სკოლაში მათზე სიმღერებს გვამღერებდნენ:

„გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს – მტკიცეს, ფოლადიანსა,
მოლოტოვს და ვოროშილოვს, საბჭოთა არმიასა,

სწორი ხაზის გამტარებელს, ლავრენტი ბერიასა“.

ან კიდევ:

„გაუმარჯოს დიდ საბჭოეთს – შეურყეველ სადარაჯოს,

საბჭოეთის დიდ მთავრობას და მოლოტოვს გაუმარჯოს“.

ასეთი სიმღერებით ყველა საზეიმო დღესასწაულზე ქანცი გვქონდა გაცლილი.

მოლოტოვის ორმეტრიანი სურათები დღესასწაულებზე რამდენჯერ წელში გაწყვეტამდე გვიტარებია მე და გურამ თენიეშვილს. მისი სურათი სტალინთან ერთად თითქმის ყველა ოჯახში იყო და პირველად მათ სადღეგრძელოებს სვამდნენ. როგორ წარმოვიდგენდი მაშინ, რომ მე ოდესღაც პირადად შევხვდებოდი იმ კაცს, რომელიც სტალინის შემდეგ ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

მოსკოვიდან დაახლოებით 40 კმ-ის დაშორებით, მთავარი გზიდან გადავუხვიეთ და მივადექით რკინის ჭიშკარს, რომელიც რკინის მესრით შემოღობილ არყისა და წიწვოვანი ხეების ტყეს კეტავდა.

კარისკაცმა ვინაობა გვკითხა, საშვი გადმოგვცა და გაგვატარა.

ჭიშკრიდან 200 მეტრის მოშორებით, ხელმარჯვნივ, წიწვოვან ტყეში, ფინური სახლი იდგა, ჩვენ ამ სახლისაკენ გავემართეთ. როცა სახლს მივუახლოვდით, ჩვენს შესახვედრად წამოვიდა მოხუცი ქალბატონი.

- ეს სარა მიხაილოვნა გახლავთ, მოლოტოვის ყოფილი მდივანი. იგი ახლა 87 წლისაა და დღემდე ასრულებს თავის მოვალეობას, – გვითხრა ბატონმა ნოშრევანმა, ქალბატონს მიესალმა და ჩვენი თავი წარუდგინა.

- უმორჩილესად გთხოვთ, ღვთის გულისათვის, დიდხანს ნუ გაჩერდებით, ბევრი შეკითხვით არ შეაწუხოთ და ისეთი შეკითხვა არ მისცეთ, რომ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი უხერხულობაში ჩააყენოთ, იგი მალე იღლება, – გვითხრა სარა მიხაილოვნამ და სახლში შეგვიძღვა. ჩვენ ვიწრო კორიდორი გავიარეთ და მისაღებში გავჩერდით.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი თავის ოთახშია, ხელმარჯვნივ შებრძანდით, – გვითხრა სარა მიხაილოვნამ, მერე ხელი მომკიდა და ოთახის კარებთან მიმიყვანა.

ისევ ბავშვობის წლები გამახსენდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

წარმოსადეგი, სიმპათიური, სათვალით, პირმრგვალი, ვიწროდ შეკრეჭილი ულვაშებით, მუქი კოსტიუმითა და ჰალსტუხით, – ასე ხატავდნენ მის პორტრეტებს, ასეთი მახსოვდა ფოტოსურათებიდან მოლოტოვი.

სარა მიხაილოვნამ კარები გააღო.

ოთახის შუაში, მაგიდასთან, პატარა ტანის გამხდარი მოხუცი იდგა, თავშიშველი, მელოტი, უსათვალოდ, დამჭკნარი სახის კანით, თაფლისფერი თვალების ზემო ქუთუთოები ოდნავ შეშუპებული ჰქონდა. ნიკაპიდან, ღაბაბის მაგივრად, დამჭკნარი კანის ორი მსხვილი ზოლი ჩადიოდა ჭრელი, გახუნებული პერანგის საყელოში, რომელზეც წითელი ფერი ჭარბობდა. პერანგის სახელოები გახსნილი ჰქონდა, კალთები – ძველი, შავი შარვლის ზემოდან გადმოშვებული. ფეხები ძველ ტყავის ჩუსტებში ჰქონდა წაყოფილი, რომელსაც ქუსლები ჩაჰკეცოდა. იგი სამუშაო მაგიდასთან იდგა და, როგორც შემდეგ გვითხრეს, ფეხზე დამდგარი მუშაობდა. მარცხენა ხელი საგრძნობლად უცახცახებდა (პარკინსონით იყო დაავადებული), ამიტომ პერანგის ღილებს შორის ჰქონდა შეყოფილი ისე, როგორც სტალინმა იცოდა ხოლმე.

- თქვენი სახელი და გვარი? – ბოხი, რბილი ტემბრის ბუხუნა ხმით შემეკითხა მოლოტოვი.

მე დავუსახელე.

- სპეციალობა? – შემეკითხა ისე, რომ ჩემი ხელი ხელიდან არ გაუშვია.

- მუსიკოსი გახლავართ, – ვუპასუხე.

- ოო, მუსიკა ძალიან მიყვარს, ბავშვობაში საკმაოდ კარგი ხმა მქონდა, დისკანტი, ეკლესიის გუნდში ვმღეროდი. უფრო მოგვიანებით, ხანდახან პოლიტბიუროშიც გვამღერებდნენ, – დააყოლა ღიმილით მოლოტოვმა.

ჩემ შემდეგ ბატონ ნოშრევანს მამაშვილურად მოეხვია, ეტყობოდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

- თქვენი გვარი, სახელი და სპეციალობა? – შეეკითხა მოლოტოვი პაჩესს.

პაჩესმა დაუსახელა და უთხრა, რომ 1945 წელს მას წერილი მისწერა, რის შემდეგაც იგი ჯარიდან გაათავისუფლეს.

- აა, გამახსენდა, მე მაშინ თქვენ შესახებ თავდაცვის სამინისტროს ვთხოვე, – უთხრა მოლოტოვმა.

ასე გამოჰკითხა თითოეულ ჩვენგანს გვარი, სახელი, სპეციალობა და, როცა ჩვენში საეჭვო პირი და ჟურნალისტი ვერ ნახა, მისაღებ ოთახში შეგვიძღვა (ჟურნალისტებს არ იკარებდა).

სანამ მოლოტოვი გვესაუბრებოდა, მასთან მოსულიყვნენ მისი სიძე, პოეტი ფელიქს ჩუევი, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

მოლოტოვს ერთი ქალიშვილი ჰყავდა. მეუღლე 10 წლის წინათ გარდაცვლოდა.

მალე სადღესასწაულო სუფრა გაიშალა.

მოლოტოვი მაგიდის თავში დაჯდა. მარჯვნივ მე მომისვა, მარცხნივ – აკადემიკოსი პაჩესი.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, მიირთვით სტალინის საყვარელი ღვინო „ქინძმარაული" – ვუთხარი მე და ჭიქა შევუვსე.

- ახალგაზრდავ, არა ხართ მართალი, სტალინი არასოდეს წითელ ღვინოს არ სვამდა, – ჩაიბუბუნა მოლოტოვმა, – ის მხოლოდ „ციცქასა" და „შამპანურს" შეექცეოდა.

- აბა, წითელ ღვინოებს რომ უგზავნიდნენ? – ჩავეძიე მე.

- „ქინძმარაულს", „ხვანჭკარას", „ოჯალეშს", „საფერავს" უგზავნიდნენ სტუმრებისათვის, თვითონ კი მხოლოდ „ციცქასა" და „შამპანურს" სვამდა.

მოლოტოვი ფეხზე წამოდგა, ჭიქა ასწია, წელში გაიმართა, აკანკალებული მარცხენა ხელით პერანგის ბოლოები გაისწორა, სტუმრებს გადახედა და საზეიმოდ წარმოთქვა:

- ამხანაგებო, მოდით დავლიოთ დიდი სტალინის სადღეგრძელო, – შემდეგ პაუზა გააკეთა, თავი დახარა და დაუმატა – ლენინსაც გაუმარჯოს.

- ქართული ტრადიციის თანახმად, ალავერდს შენთან გადმოვდივარ, ახალგაზრდავ, – მითხრა მოლოტოვმა და მკითხა: რა მდგომარეობაშია ახლა სტალინის სახლმუზეუმი გორში?

მე ვუთხარი, რომ შენობას რემონტი გაუკეთდა, მუზეუმი შეივსო ახალი ექსპონატებით. ჩამოიტანეს სტალინის პირადი ვაგონი და სხვა...

მოლოტოვს ესიამოვნა ჩემი ნათქვამი და დაამატა: დიდი შეცდომა იყო სტალინის მოსპობის ცდა. ამით საბჭოთა კავშირს დიდი ზიანი მიაყენეს, ეს შეცდომა მომავალში გამოიღებს ნაყოფს.

სტალინი მარად იცოცხლებს, მოვა დრო და მის თითოეულ სიტყვას მოძებნიან, ამიტომ მისი მუზეუმი და საბუთები უნდა შევუნახოთ მომავალ საუკუნეებს.

- ახლა 9 მაისს გაუმარჯოს, – ისევ წამოდგა ფეხზე მოლოტოვი, – ეს იყო მსოფლიოში ყველა დროის უდიდესი მოვლენა. ჩვენ გავიმარჯვეთ ურთულეს პირობებში სტალინის ხელმძღვანელობით. სტალინი რომ არ ყოფილიყო, მისი დიდი ტალანტი, მომთხოვნელობა, სიმკაცრე, დიდი მხედართმთავრული ნიჭი და პოლიტიკური ვითარების შეფასების საოცარი უნარი, გარწმუნებთ, ვერ გავიმარჯვებდით, თუმცა ეს გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, თქვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში რომელ გამოჩენილ პიროვნებებს შეხვედრიხართ, ვისთან გქონდათ კონტაქტები, გვაინტერესებს, – შევეკითხე მე.

- სრულიად ახალგაზრდამ დავიწყე მუშაობა ლენინთან. პირველად იგი ვნახე ფინეთის სადგურზე, როცა ფინეთიდან ჩამოსულმა ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ ცნობილი სიტყვა წარმოთქვა. მე მასთან სულ ახლოს ვიდექი. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. იგი იყო შთამბეჭდავი, დამაჯერებელი. საერთოდ, ლენინი დიდი ორატორული ნიჭით, განათლებითა და მოვლენათა ზუსტი ანალიზის უნარით გამოირჩეოდა, მე ყურადღება მივაქციე მის ჩაცმულობას. ლენინს უბრალოდ ეცვა და ძალიან გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ შარვლის მარჯვენა ტოტი გაცვეთილი და ამოკემსილი ჰქონდა, ფეხსაცმელიც ძველი და გაცვეთილი ეცვა. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, მანამდე წერილებით მივმართავდით ერთმანეთს, – თქვა მოლოტოვმა და ზეპირად გაიხსენა ლენინის პასუხი მის წერილზე, რომელიც 1912 წელს მისწერა.

- წლების განმავლობაში ვმუშაობდი ტროცკისთან, ზინოვიევთან, კამენევთან, ბუხარინთან და სხვებთან. ესენი რევოლუციის აღიარებული ბელადები იყვნენ, – გააგრძელა მოლოტოვმა – ხოლო სტალინთან მუშაობა, როგორც იცით, მისი სიცოცხლის ბოლომდე მომიხდა. მერე ცოტა ხანს მალენკოვთან ვიმუშავე, ცოტაც ხრუშჩოვთან, რომელმაც დაუსვა კიდეც წერტილი ჩემს მოღვაწეობას.


უცხოელებიდან თითქმის ყველა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებსა და პრეზიდენტებთან მქონდა შეხვედრები, რომელთანაც კი დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირს. ყველა მათგანის ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანს, დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე მეთაურს: რუზველტს, ჩერჩილს, ტრუმენს, ეტლის, დე გოლს, ეიზენჰაუერს, ადენაუერს, იდენს, მაო-ძე-დუნს, შევხვედრივარ მუსოლინის, ჰიტლერს ოთხჯერ შევხვდი.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, თითქმის მთელმა მე-20 საუკუნემ თქვენ თვალწინ გაიარა, მომსწრე ხართ უდიდესი მოვლენების, იცნობდით თითქმის ყველა სახელმწიფო მოღვაწეს. თქვენი აზრით, ვინ მიგაჩნიათ მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ პიროვნებად? – შევეკითხე მე.

- რასაკვირველია, სტალინი. იგი არა მარტო მე-20 საუკუნის, არამედ მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი პიროვნებაა. მოვა დრო და ისტორია სათანადოდ დააფასებს მას, ისე, როგორც დააფასა ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი და სხვები, დააფასებს და უპირველესთა შორის ყველაზე წინ დააყენებს. თანამედროვეების მიერ დიდი პიროვნების შეფასებას აზრი არა აქვს. ამას საუკუნეები სჭირდება. დიდი პიროვნება ისაა, ვინც რამდენიმე საუკუნის შემდეგ აღსდგება.

- რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ჰიტლერმა პირველად?

- პირველი ნახვისთანავე ჩემზე არანორმალურის შთაბეჭდილება დატოვა. ხელი რომ ჩამომართვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ხელში ბაყაყი ჩამიდეს, ხელი



მარცხნიდან: ზაურ კონტრიძე, პოეტი ფელიქს ჩუევი, ანზორ ერქომაიშვილი, ვიაჩესლავ მოლოტოვი შვილიშვილთან ერთად, აკადემიკოსი ალექსანდრე პაჩესი, თამაზ ანდღულაძე და ნოშრევან ჯორჯაძე

ცივი და ოფლიანი ჰქონდა, თვალები – ტყვიისფერი, გამოხედვა – სუსხიანი და რენტგენივით გადიოდა სხეულში.

მოსკოვში რომ ჩამოვედი, სტალინს ვუთხარი: ეს კაცი ნამდვილი გიჟია და მსოფლიოს დაღუპავს-მეთქი.

- როდის ირწმუნეთ საბოლოოდ, რომ ომი გერმანიასთან გარდუვალი იყო?

- 1940 წლის 13 ნოემბერს, როცა საბჭოთა დელეგაცია ჩემი მეთაურობით უკანასკნელად ჩავიდა გერმანიაში და შეხვდა გერმანიის მთავრობას.

გერმანია ამ დროს ჩაბმული იყო მეორე მსოფლიო ომში. ბერლინში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რადგან ინგლისის თვითმფრინავები ბომბავდნენ, ამიტომ ჰიტლერმა რაიხსკანცელარიის ნაცვლად ბუნკერში მიგვიღო. იქ იყვნენ ჩემი კოლეგა რიბენტროპი და სხვა ოფიციალური პირები.

სიტყვა ჰიტლერმა აიღო. მოკლე მისალმების შემდეგ მან თქვა, რომ ინგლისი უკვე დამარცხებულია და დადგა დრო, რუსეთმა და გერმანიამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები გაინაწილონო.

ჩვენ სტალინისაგან მკაცრი დირექტივა გვქონდა: არ ავყოლოდით ჰიტლერის ავანტიურას და კატეგორიულად მოგვეთხოვა პასუხი, რატომ იყრიდნენ თავს გერმანული შენაერთები რუმინეთსა და ფინეთში საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით.

ამ შეკითხვას ჰიტლერმა ყურადღება არ მიაქცია და საუბარი განაგრძო. იგი ლაპარაკობდა მშვიდად, ყოველგვარი „შპარგალკის" გარეშე. წინადადებებს შორის პაუზებს აკეთებდა თარჯიმნისათვის, რომელიც ჩემსა და ჰიტლერს შორის იჯდა. ეს გახლდათ

გერმანული ენის ბრწყინვალე მცოდნე ვალენტინ ბერეჟკოვი.

ჰიტლერმა 2 საათი ილაპარაკა. ზეპირად დაასახელა ყველა გერმანული სამხედრო შენაერთი, სხვადასხვა ქვეყნებში რომ იდგა; ზეპირად ჩამოთვალა ჯარის, თვითმფრინავების, ტანკებისა და სხვა ტექნიკის რაოდენობა და განლაგება, რუკაზე ამა თუ იმ წერტილს ისე აჩვენებდა ჯოხით, რომ იქით არც კი იყურებოდა.

უდავო იყო, ჰიტლერს ავადმყოფურად განვითარებული მეხსიერება ჰქონდა.

თავისი ორსაათიანი მონოლოგით მას უნდოდა ჩვენი ყურადღება სხვაგან გადაეტანა და მთავარ საკითხზე, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებდა, პასუხი არ გაეცა.

როგორც კი სათანადო მომენტი დავიჭირე, ისევ ვკითხე: ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ იყრის თავს გერმანული შენაერთები საბჭოთა კავშირის საზღვრის მიმართულებით, კერძოდ, რუმინეთსა და ფინეთში?

- ეს ისე, მანევრების მიზნით, – უხალისოდ ჩაიბურტყუნა ჰიტლერმა და პათეტიკურად დააყოლა: როგორც ვთქვი, ინგლისი უკვე დამარცხებულია, ახლა გერმანიასა და რუსეთს ისღა დარჩენიათ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები გაინაწილონ.

- თუ ინგლისი დამარცხებულია, მაშინ რატომ ვზივართ ბუნკერში, რატომ რაიხსკანცელარიაში არ მიგვიწვიეთ? – შევეკითხე ჰიტლერს.

ამ სიტყვებზე ყველა გაშეშდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. რიბენტროპმა უხერხულობისგან თავი ჩაღუნა და პიჯაკის ღილს დაუწყო წვალება.

ჰიტლერი ჯერ გათეთრდა, მერე აენთო და ალბათ საბჭოთა დელეგაცია რომ არ ვყოფილიყავით, მთელ რისხვას თავზე დაგვატეხდა, მაგრამ თავი შეიკავა. მერე ადგა, საათს დახედა და თქვა: აუცილებელი საქმე მაქვს, საუბარს რიბენტროპი გააგრძელებსო, და არც კი დაგვემშვიდობა, ისე წავიდა.

ბერლინიდან გულდამძიმებულები ვბრუნდებოდით, ვერაფერზე შევთანხმდით. სწორედ მაშინ მივხვდით, რომ გერმანია დღეს თუ ხვალ თავს დაგვესხმოდა.

როცა მოსკოვში დავბრუნდით, სტალინმა მომხდარი ამბის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. მან მხარზე ხელი გადამისვა და ღიმილით მითხრა, – აბა, მითხარი, ვიაჩეს (ასე მეძახდა შინაურულად), როგორ იყო, ჰიტლერმა რომ კინაღამ გცემა?

მოლოტოვის შემდეგ სიტყვა აკადემიკოსმა პაჩესმა აიღო:

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, გილოცავთ 9 მაისს, ამ დიდ დღესასწაულს, რომელშიც თქვენ უდიდესი წვლილი მიგიძღვით. მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ თქვენ შეგხვდით. ჩემს შთამომავლობას გადავცემ, რომ სუფრასთან ვიჯექი ისეთ გენიალურ პიროვნებასთან ერთად, როგორიც თქვენა ხართ.

ამ სადღეგრძელოზე მოლოტოვმა გაიცინა და ჩაიბუბუნა: გენიოსი მარქსი იყო მხოლოდ. მან დაწერა გენიალური შრომა „კაპიტალი", რომელიც ბოლომდე მგონი არავის წაუკითხავს, მათ შორის მეც...

ყველას გულიანად გაგვეცინა.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, ამბობენ, რომ სტალინი პირველად თქვენს სადღეგრძელოს სვამდა, მერე – მშობლებისას, მართალია? – ჰკითხა თამაზ ანდღულაძემ.

- Было такое дело – ჩაიბუბუნა მოლოტოვმა, – სახელით მხოლოდ რამდენიმე კაცს მოგვმართავდა, დანარჩენებს – გვარებით. იგი მთვრალი არავის უნახავს. დალევდა რამდენიმე ჭიქას და მერე სხვებს ასმევდა. სადღეგრძელოები ქართული წესით იცოდა, ჩვენც ასე დაგვაჩვია. მშობლების სადღეგრძელოს აუცილებლად იტყოდა. სუფრაზე იუმორი უყვარდა. საერთოდ, იგი იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდოე-

ბული, ოლონდ მისი იუმორი ყოველთვის რაიმე მიზანს ისახავდა.

მხოლოდ ერთხელ ვნახე, პირველად და უკანასკნელად, რომ სტალინმა ბევრი ღვინო დალია. ეს იყო ომის დაწყების პირველ თვეებში, როცა მოსკოვში ჩერჩილი ჩამოვიდა მოსალაპარაკებლად.

სტალინმა ქართული სუფრა გაშალა. სუფრასთან სამნი ვისხედით. სტალინი, ჩერჩილი და მე. სტალინი თამადობდა, სუფრა ქართულად წაიყვანა. მამაპაპური სადღეგრძელოები წარმოთქვა, თვითონაც ყველა ჭიქა დალია, ჩვენც ბოლომდე გვასმევდა; ჩვენ დაგვათრო, თვითონ თავი კარგად ეჭირა. მერე ჩერჩილს ისეთ საბუთებზე მოაწერინა ხელი, რომ მის ფასს ალბათ ინგლისში გაიგებდა.

აი, მაშინ დავრწმუნდი, რომ თურმე სტალინს ღვინის სმა კარგად შეეძლო.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, სტალინთან ყველაზე დაახლოებული პირი თქვენ იყავით, როგორ მოხდა, რომ თქვენი მეუღლე 10 წელი გადასახლებული იყო? – შევეკითხე მე.

Она проболталась – მიპასუხა მოლოტოვმა. – მის ამბებს ხშირად ბერია მატყობინებდა. ჩემი ცოლი გამონაკლისი არ იყო. მთავრობის ბევრი წევრის ცოლი გადაასახლეს, რომლებმაც ენას კბილი ვერ დააჭირეს. ამაში სტალინს არავითარი ბრალი არ მიუძღვის; დამნაშავე განურჩევლად ისჯებოდა, ასეთი იყო ჩვენი წესი.

- როგორ გგონიათ, მილიონობით რეპრესირებული ხალხიდან ყველა დამნაშავე იყო? – არ ვეშვებოდი მე, მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ მისთვის უხერხული შეკითხვები არ დაგვესვა.

- იცით რა გითხრათ, ახალგაზრდავ, ეს რეპრესიები არ იყო, პარტია ებრძოდა თავის იდეურ მტრებს. ეს ბრძოლა 1917 წელს დაიწყო, მაშინ ძნელი დრო იყო, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბევრი ბოროტი ძალა მოქმედებდა. იყო დივერსიები: აფეთქებდნენ ხიდებს, საწყობებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, მწყობრიდან გამოჰყავდათ ელსადგურები. გადამჭრელი ზომები რომ არ მიგვეღო 1937 წელს, როცა გერმანიასთან ომი კარზე იყო მომდგარი, დღეს 9 მაისს ვერ ვიზეიმებდით.

შეიძლება დაღუპულთა სიაში უდანაშაულონიც მოხვდნენ, მაგრამ რა უნდა გვექნა. ჩვენ ასიათასობით დამნაშავეთა სიები მოგვდიოდა, რომელთა გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამიტომ იძულებული ვიყავით დავყრდნობოდით ადგილობრივ ხელისუფლებას.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, მითხარით, ვინ უფრო სასტიკი იყო, ლენინი თუ სტალინი? – ვკითხე მოულოდნელად.

- თქვენ რა, ხუმრობთ? – გაკვირვებით შემომხედა მოლოტოვმა, – რასაკვირველია, ლენინი. როგორ გგონიათ, იმნაირი რბილი კაცი, როგორსაც ახლა ლენინს ხატავენ, ამოდენა რევოლუციას მოახდენდა?

ლენინი იყო უსასტიკესი პიროვნება მათ შორის, ვისაც მე ვიცნობდი, საოცრად მომთხოვნი, დავალების შეუსრულებლობას არავის აპატიებდა, მოწინააღმდეგეებს სასტიკად სჯიდა, იდეური მტრების მიმართ დაუნდობელი იყო.

მახსოვს, ერთხელ ტროცკის წინააღმდეგ შექმნა სარევიზიო ჯგუფი და ჯგუფის ხელმძღვანელად მე დამნიშნა, თანაც დამიბარა და მითხრა: ტროცკის საქმეები კარგად გამოიკვლიე, იგი უნდა მოვთხაროთო. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ენერგიულად შევუდექი დავალების შესრულებას. შევადგინე ტროცკის საწინააღმდეგო, ჩემი აზრით, გამანადგურებელი საბუთები და პოლიტბიუროს სხდომაზე მოხსენებით გამოვედი. ლენინი მაგიდის თავში იჯდა, მე – ბოლოში. ჩემი მოხსენების წინ ლენინმა პატარა ქაღალდზე ფანქრით დაწერილი ბარათი გამომიგზავნა:

„ამხ. მოლოტოვს!

აბა, თქვენ იცით ახლა, ისე უნდა დაარტყათ ტროცკის, რომ მისგან აღარაფერი დარჩეს, არ დაინდოთ, ამხილეთ ყველაფერში.

პ.ს. ამ ბარათს რომ წაიკითხავთ, დახიეთ, ხელში რომ არავის ჩაუვარდეს.

ლენინი“.

მე გამოვედი მოხსენებით და დარწმუნებული ვიყავი, რომ ტროცკი მიწასთან გავასწორე, მაგრამ სხდომის შემდეგ ლენინმა მითხრა: ეგ რა ჰქენით, იმისთვის დახარჯეთ ამდენი დრო, რომ ტროცკის მოფერებოდით? მე თქვენ უფრო პრინციპული მეგონეთ, თქვენ კი ლოიალური ყოფილხართ. შემდეგში ასე გაგიჭირდებათ ჩვენთან მუშაობა.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, თქვენ თქვით, რომ სტალინი ძლიერი პიროვნება და მოქნილი პოლიტიკოსი იყოო. დაგვისახელეთ ამ აზრის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი – სთხოვა პაჩესმა.

- სტალინი რომ ძლიერი პიროვნება იყო, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, თუ როგორ აჯობა მან რევოლუციის აღიარებულ ბელადებს: ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს, რომ არაფერი ვთქვათ სხვებზე, – მათთან ბრძოლის მოგება არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე სამამულო ომში გამარჯვება.

მახსოვს ერთი ასეთი ფაქტიც: ახალგაზრდა საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოლაპარაკებაში. მე მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდით და დელეგაციას ვმეთაურობდი. სხდომის პირველ დღეს უცხოეთის რამდენიმე ქვეყანამ წარმოგვიდგინა საბუთები, რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა გადაგვეხადა ნიკოლოზ II-ის დროინდელი რუსეთის ვალები.

თანხა ძალიან დიდი იყო და მე პანიკაში ჩავვარდი. ჩვენს ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას ამ ვალის გადახდა არაფრით არ შეეძლო. არა და, ფაქტი სახეზე იყო – ხელი უნდა მომეწერა როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ მეთაურს, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მეფის რუსეთი. ამას კატეგორიულად მოითხოვდნენ ჩემგან და გამოსავალიც არ ჩანდა.

შესვენების დროს დავურეკე სტალინს და მოვახსენე საქმის ვითარება.

- მოაწერეთ ხელი, – მითხრა მან მცირეოდენი პაუზის შემდეგ, – ოღონდ სხდომაზე 15-20 წუთი დააგვიანეთ.

- თქვენ გესმით რამოდენა თანხაზეა ლაპარაკი? – მეგონა, ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი.

- მოაწერეთ ხელი, – გამიმეორა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

სხდომაზე შესვლა დავაგვიანე. ამ 15-20 წუთის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოვიფიქრე, რა გადაწყვიტა სტალინმა. ფიქრი ტვინს მიღრღნიდა, ათასნაირმა ვარიანტმა გამიელვა თავში, მაგრამ გამოსავალი ვერაფრით ვერ მოვნახე.

სხდომაზე 20 წუთის შემდეგ შევედი. თავმჯდომარემ გამოაცხადა: ამ რამდენიმე წუთის წინ მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა – ბატონი მოლოტოვი 2 საათის წინ გადაუყენებიათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, ამიტომ მის ხელმოწერას ძალა აღარა აქვს და შეუძლია დატოვოს დარბაზი.

სიხარულისაგან მინდოდა მეყვირა! ეს როგორ მოიფიქრა, ყველაფერი რა უბრალოდ გადაწყვიტა... აღელვება რომ დამეფარა, სასწრაფოდ დავტოვე დარბაზი.

ასე გადამიყვანეს სხვა თანამდებობაზე. მაგონდება ასეთი ფაქტიც:

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ჩვენი მოკავშირეები დიდ წინააღმდეგობას

წააწყდნენ და დახმარებაც გვთხოვეს. სტალინმა გასცა ბრძანება და აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელებს სასტიკად შევუტიეთ, ვაიძულეთ დასავლეთის ფრონტიდან მოეხსნათ ჯარები და ჩვენს ფრონტზე გადმოესროლათ. მოგვიანებით გერმანელები მიხვდნენ, რომ ომის ბედი გადაწყვეტილი იყო და, სეპარატული ზავის იმედით, დასავლეთის ფრონტზე პრაქტიკულად შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

შეიქმნა საშიშროება, რომ ბერლინს მოკავშირეთა ჯარები აიღებდნენ, მაგრამ ჯარები ელბასთან გაჩერდნენ და ერთი ნაბიჯიც აღარ გადაუდგამთ წინ, სანამ ჩვენები არ შეუერთდნენ.

ამ ფაქტის გამო, ჩერჩილი გაშმაგებული სწერდა რუზველტს: ბერლინიდან რაც უფრო შორს ჩამოვართმევთ ხელს რუსეთს გამარჯვებისათვის, მით უკეთესი იქნება ევროპისთვისო.

რუზველტმა ამ წერილს ყურადღება არ მიაქცია. მაშინ ჩერჩილმა მოკავშირეთა ჯარების სარდალს, გენერალ ეიზენჰაუერს მიმართა თხოვნით, რომ სასწრაფოდ დაეწყოთ შეტევა.

ეიზენჰაუერმა უპასუხა, რომ მას რუზველტის გარეშე ამ საქმის გადაწყვეტა არ შეუძლია.

ახლა ჩერჩილი სთხოვს ინგლისის ჯარების სარდალს, გენერალ მონტგომერს, რომ სასწრაფოდ დაიწყონ შეტევითი ოპერაციები, მაგრამ მონტგომერმაც ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი, ვინაიდან გაერთიანებულ ჯარებს ეიზენჰაუერი სარდლობდა.

როგორ გგონიათ, რატომ არ დაიძრა მოკავშირეთა ჯარები ბერლინის ასაღებად?

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სტალინმა რუზველტს მისწერა საიდუმლო წერილი, დაახლოებით ასეთი შინაარსის: ამ ომში რუსეთმა ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, ამიტომ ისტორიის კანონზომიერება მოითხოვს, რომ ბერლინი რუსებმა აიღონ. თქვენ თუ ამაში მხარს არ დაგვიჭერთ, მაშინ ჩვენ მეორედ მოგვიწევს ბერლინის აღება და, შესაძლოა, სხვა ქვეყნების გათავისუფლებაც. თუ მხარს დაგვიჭერთ, როცა ბერლინს ავიღებთ და გერმანიასთან ომს დავამთავრებთ, მერე დაგეხმარებით იაპონიასთან ომის მალე დამთავრებაში.

ჩერჩილმა ამ წერილის შესახებ იაპონიასთან ომის დამთავრების შემდეგ გაიგო და მიხვდა, რომ სტალინმა ერთხელ კიდევ გააცურა.

– ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, როდის გაიგეთ, რომ ამერიკელებმა ატომური ბომბი გამოსცადეს?

– პოტსდამის კონფერენციაზე, 1945 წელს, როცა ბომბი გამოსცადეს, მეორე დღესვე. ეს ასე მოხდა:

დილით ჩერჩილმა და ტრუმენმა მოითათბირეს, როგორ შეეტყობინებინათ ეს ამბავი სტალინისათვის. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სტალინს გული შეუწუხდებოდა.

როცა პირველი შესვენება გამოცხადდა, ტრუმენმა ხელკავი გამოსდო სტალინს და ფანჯარასთან მიიყვანა. ჩერჩილი შორიახლოს იდგა, სტალინის რეაქცია აინტერესებდა.

– მართლა? – შეეკითხა სტალინი ტრუმენს ისე, რომ წარბიც არ შეუხრია.

როგორ წარმოიდგენდნენ ჩერჩილი და ტრუმენი, რომ სტალინმა მათზე ადრე შეიტყო ატომური ბომბის გამოცდის შესახებ და უკვე დაურეკა კურჩატოვს, დაეჩქარებინათ ატომურ ბომბზე მუშაობა.

განა სტალინის პოლიტიკურ ნიჭზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთელი ომის გან-

მაელობაში გერმანიამ ვერაფრით ომში ვერ ჩააბა იაპონია?

15 წუთი ესაუბრა სტალინი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს – მაცუოკოს და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ იაპონია, გერმანიასთან ერთად, ომში აღარ ჩაბმულიყო.

– მაინც რა უთხრა ასეთი მაცუოკოს?

– ეს აზრი აწვალებდა ჰიტლერსაც; მან კატეგორიულად მოსთხოვა კანარისს, გაეგო სტალინისა და მაცუოკოს საუბრის შინაარსი, მაგრამ ამას ვერ მიაღწია.

მაცუოკო 1945 წელს დახვრიტეს, ვინ იცის, იქნებ სადმე მემუარებში მოიხსენიებს კიდეც ამ ფაქტის შესახებ.

თვითონ სტალინი, რაც საჭირო არ იყო, ღმერთსაც არ გაანდობდა.

– ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, რატომ გაათავისუფლა სტალინმა ძერჟინსკი თანამდებობიდან? – შევეკითხე მე.

- ეს ასე არ იყო, ახალგაზრდავ. ძერჟინსკი უდიდესი ავტორიტეტი იყო. მაშინ ყველაზე მეტად ხე-ტყის დამამზადებელ სამინისტროს უჭირდა, ამიტომ საქმის გამოსასწორებლად გადაიყვანეს იქ მინისტრის პოსტზე.

- ცნობილია, რომ ბოლო წლებში სტალინი განაწყენდა ძერჟინსკიზე, განსაკუთრებით „ქართული ინციდენტის" შემდეგ; გარდა ამისა, ძერჟინსკიმ სტალინს გვერდი აუარა და თბილისიდან დაბრუნებულმა, კრუპსკაიას დახმარებით, პირველი ინფორმაცია ლენინს მიაწოდა. იქნებ ამან გაანაწყენა სტალინი? – არ ვეშვებოდი მე.

- ახალგაზრდავ, თქვენ ეგ საკითხი კარგად გცოდნიათ, – მომიჭრა მოლოტოვმა. სარა მიხაილოვნამ შეგვახსენა, რომ უკვე 2 საათზე მეტხანს ვისხედით სუფრასთან. ჩვენ არ ვთმობდით პოზიციებს, ვინ იცის, ოდესმე კიდევ შევხვდებოდით მოლოტოვს?

ეტყობა, მოლოტოვიც კარგ ხასიათზე იყო, მოეწონა ჩვენი ჯგუფი და ამიტომაც გვიყვებოდა გატაცებით საინტერესო ამბებს, რაც თურმე იშვიათი შემთხვევა იყო. სხვა დროს იგი თავს არიდებდა უხერხულ შეკითხვებს.

- რას გვეტყვით ხრუშჩოვის შესახებ? – შევეკითხე მოულოდნელად.

- იგი უდავოდ ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ გაუნათლებელი და საშინელი თავხედი.

- ბერიას შესახებ?

- ბერია უნიჭიერესი კაცი იყო, არაადამიანური ენერგიის მქონე და შრომისმოყვარე. შეეძლო კვირების განმავლობაში დაუძინებლად ემუშავა, მაგრამ ერთი ცუდი თვისება ჰქონდა: ორპირი იყო. ჩემთან ერთს იტყოდა, მიქოიანთან – მეორეს, ხრუშჩოვთან – მესამეს, სტალინთან – მეოთხეს და ისე გადახლართავდა ძაფებს, რომ იქიდან გამოძრომას დიდი ხანი ვუნდებოდით.

რაც შეეხება ბრალდებას, რომ ბერია უცხოეთის აგენტი იყო – მტკნარი სიცრუეა. მას დანაშაულის გარდა საბჭოთა კავშირის წინაშე დიდი დამსახურებაც ჰქონდა.

- რატომ არ დაუჭირეთ მხარი ბერიას, როცა სტალინის შემდეგ პოლიტბიუროში დაჯგუფება დაიწყო? – დროს არ ვკარგავდი მე.

- ბერიამ დამირეკა და შემომთავაზა მათ ჯგუფს მივმხრობოდი, მე პირიქით ვურჩიე, – ჩვენი პოზიცია დაეჭირა. არ დამიჯერა და ყურმილი დამიკიდა, ეგონა, ხრუშჩოვის ჯგუფს ადვილად გაუსწორდებოდა, მაგრამ ხრუშჩოვი მასზე უფრო ეშმაკი აღმოჩნდა. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ისტორიის ჩარხი სხვანაირად დატრიალდებოდა.

- მოგწონთ თუ არა ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკა? – არ ამოვასუნთქე მოლოტოვი.

- არა, სწორი გზით არ მიჰყავთ სახელმწიფო. ხრუშჩოვმა და ბრეჟნევმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. არაფრით არ შეიძლებოდა ჩინეთისა და ამერიკის დაკარგვა, ჩვენ

სანთელივით ვუფრთხილდებოდით მათთან ურთიერთობას.

მე ყველა მომხდარ ფაქტზე ჩემს აზრს ვწერ, ერთ ცალს ცენტრალურ კომიტეტს ვუგზავნი, მეორეს ჩემთვის ვიტოვებ, მაგრამ ჩემს ნათქვამს არავინ ანგარიშს არ უწევს.

- როგორ გექცევიან მთავრობის წევრები?

- აქამდე ყურადღებას არავინ მაქცევდა. პენსია დამინიშნეს 160 მანეთი. ეს იყო და ეს. მე ბევრჯერ მივწერე ბრეჟნევს, რომ მიველე, მინდოდა ზოგიერთი რჩევა მიმეცა, მაგრამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღო. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ მითხრეს: ცენტრალურ კომიტეტში მიგიღებენო, მანქანაც გამომიგზავნეს. მე საგანგებოდ მოვემზადე, ახალი კოსტიუმი ჩავიცვი, ვიფიქრე, ბრეჟნევი თუ არა, ცენტრალური კომიტეტის რომელიმე მდივანი მაინც მიმიღებს-მეთქი. მიმიღო ვიღაც ცხვირმოუხოცავმა სექტორის გამგემ. მე, რასაკვირველია, მასთან საუბარი ვითაკილე, დავიხურე ქუდი და სახლში წამოვედი. ეს იყო და ეს. მერე არავის ჩემთვის აღარ მოუკითხავს.

- რაზე გწყდებათ ყველაზე მეტად გული? – ცაიტნოტში ჩავარდნილ მოჭადრაკესავით ვჩქარობდი.

- პარტიიდან რომ გამრიცხეს. მე ლენინის ხელმოწერილი მანდატი მაქვს. კომუნისტურ პარტიას მთელი ჩემი არსებით ვემსახურებოდი, მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე და არავის ჰქონდა უფლება, მე პარტიიდან გავერიცხე და № 1 მანდატი ბრეჟნევისათვის მიეცათ.

მე თავს დღემდე ლენინური პარტიის წევრად ვთვლი, საწევროსაც ყოველთვიურად წესის მიხედვით ვიხდი. ახლა, მადლობა ღმერთს, ანდროპოვმა აღმადგინა პარტიის რიგებში, ბოლო წლებში ეს იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი წუთები.

ამჟამად პენსიაც მომიმატეს, 300 მანეთი გამიხდა, მანქანაც მემსახურება, თუ დამჭირდა.

- ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ! – ახლა პაჩესი შეეკითხა, – აგერ 100 წელს უახლოვდებით, მითხარით, გეთაყვა, როგორც ექიმს, რით იკვებებოდით და ნერვიულობდით თუ არა.

- ვიკვებებოდი ყველაფრით, რისი საშუალებაც მქონდა. რაც შეეხება ნერვიულობას, ნერვიულობა არ შემხვედრია – თქვა ღიმილით და დაუმატა: რევოლუციის წინ დაჭერები, მერე სამოქალაქო ომი, მერე ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, კოლექტივიზაცია, 37 წელი, ცოლის გადასახლება, მერე ომი, დანგრეული ქვეყნის აშენება, მძიმე საგარეო პოლიტიკა, სტალინის შემდეგ სამსახურიდან გაგდება, პარტიიდან გარიცხვა... არა, ნერვიულობა არ შემხვედრია, – ისევ ჩაიღიმა და წამოდგა.

მოლოტოვი დაიღალა, ხუმრობა ხომ არ იყო, ჩვენთან ერთად სუფრასთან ორსაათნახევარი დაჰყო.


ჩვენი ბოლო თხოვნა – ჩვენთან სამახსოვრო ფოტოსურათი გადაეღო – მასთან ყველაზე დაახლოებულმა პირმა, ბატონმა ნოშრევანმა გადასცა.

ეზოში გამოვედით. მოლოტოვი შუაში ჩავიყენეთ და ფოტოსურათი გადავიღეთ.

იგი გულთბილად დაგვემშვიდობა: გადაეცით ჩემი სალამი და გულწრფელი სიყვარული ქართველ ხალხს – გვითხრა მან ბოლოს და მე გუმანით მივხვდი, რომ ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა.

ერთი წლის შემდეგ, ნოემბერში, იაპონიაში გახლდით, როცა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა მოლოტოვის გარდაცვალების შესახებ.

1987წ.



,,სიონში შევალ...“

ვიქტორ სომერიკი

1970 წელს ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ გაემგზავრა საფრანგეთში. ეს იყო ჩვენი პირველი მოგზაურობა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მანამდე რამდენჯერმე ვიმოგზაურეთ სოციალისტურ ქვეყნებში; პოლონეთში, ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ ქვეყნებში არც ერთი ქართველი არ შეგვხვედრია. ჩვენ ვიცოდით, რომ საფრანგეთში ქართველების დიდი დიასპორა ცხოვრობდა. მათი უმეტესობა საქართველოს მთავრობას გაჰყვა 1921 წელს, ხოლო ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს წითელ არმიაში იბრძოდა გერმანიის წინააღმდეგ და ტყვედ ჩავარდა. მერე, ულმობელი საბჭოთა კანონების გამო, იძულებული გახდა უცხოეთში დარჩენილიყო. მათი უმრავლესობა საფრანგეთში ცხვორობდა.

ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით იქაური ქართველების შესახებ, რადგან ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ მათი მშობლები, ნათესავები და მეგობრები.

იმ პერიოდის ანსამბლებიდან იშვიათად თუ გადიოდა ვინმე საგასტროლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდი ინტერესით ველოდით საფრანგეთში გამგზავრებას. პარიზში დილით ჩავფრინდით. იქიდან, ავტობუსით მთელი

დღის მგზავრობის შემდეგ, საფრანგეთის გასკონიის ერთ პატარა ქალაქში ჩავედით და პირდაპირ ღია საკონცერტო დარბაზს მივადექით. ეს დარბაზი ქალაქის განაპირა პარკში მდებარეობდა. უკვე დაღამებული იყო, მაყურებელი შეკრებილიყო და გველოდა. დიდი სიცხის გამო კონცერტი გვიან ღამით იწყებოდა. საფრანგეთში პირველად გამოვდიოდით. თანაც ჩვენს კონცერტს უცხოელი ტურისტებიც ესწრებოდნენ. პირველ კონცერტზე ბევრად იყო დამოკიდებული ჩვენი შემდგომი წარმატება. სწორედ ამიტომ ნერვიულობდა ჩვენი იმპრესარიო. ჩვენც, მთელი დღის მგზავრობით დაღლილ-დაქანცულები, ძალზე ვღელავდით. ჰამლეტ გონაშვილს ყელი გაუშრა, ომარ კელაპტრიშვილი ანგარიშმიუცემლად ათამაშებდა თითებს სალამურზე. არ ვიცოდით, როგორ მიიღებდა ქართულ სიმღერას საფრანგეთის მომთხოვნი მაყურებელი. ცეკვების წარმატებაში ეჭვი არ გვეპარებოდა, რადგან მანამდე ჩვენმა სახელოვანმა სუხიშვილების ანსამბლმა საფრანგეთში ფურორი მოახდინა.

ჩვენი ეჭვი მალე გაქარწყლდა. პირველ ცეკვას მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა, ხოლო როცა ჰამლეტ გონაშვილის ღვთაებრივი ხმა გაისმა, ხალხით გაჭედილი დარბაზი მონუსხულივით გაშეშდა და სუნთქვაშეკრული უსმენდა ამ მართლაც გასაოცარ მომღერალს. სიმღერას გამაყრუებელი ტაში და „ბრავოს“ შეძახილები მოჰყვა და როცა ომარ კელაპტრიშვილის ხელოვნებაც მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს, მივხვდით, რომ კონცერტი წარმატებით ჩაივლიდა. ასეც მოხდა. სცენაზე მოსალოცად პირველად ჩვენი იმპრესარიო ამოვარდა, მერე მოვიდა საშუალო ტანის სიმპათიური მამაკაცი, მორიდებით შორიახლო დადგა. თვალებში ცრემლი უკიაფებდა. მივხვდით ქართველი იყო.

– ტარიელ ჟღენტი გახლავართ, – გვითხრა და წარმატება მოგვილოცა, – რამდენი ხანია ქართული სიმღერა აღარ მომისმენია, ღმერთმა გაგახაროთ, დიდი სიამოვნება მივიღეო.

ბატონი ტარიელი საქართველოს ფილარმონიის თანამშრომლის ილია ჟღენტის ძმა აღმოჩნდა, რომელსაც კარგად ვიცნობდით და ბატონ ტარიელს ბევრი რამ ვუამბეთ ძმის შესახებ. იგი ხარბად გვიმენდა და დროდადრო თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა.

ტურისტული სეზონის გამო სასტუმროები დაკავებული აღმოჩნდა, ამიტომ დასაძინებლად ოჯახებში დაგვანაწილეს. მე და გენო მუჯირი ერთი მეყვავილის ოჯახში მოვხვდით. მასპინძელს ჟანი ერქვა. შიმშილისა და დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექით. მისაღებ ოთახში სუფრა იყო გაშლილი. დიასახლისი, რომელიც ჩვენს კონცერტს დასწრებოდა, ხალისით შეგვევება და თითო ჭიქა ღვინო შესასვლელშივე მოგვაწოდა. ჩვენ დავილოცეთ და სულმოუთქმელად შევსვით ცივი შამპანური. მერე სუფრასთან მიგვიწვიეს. ჩვენ გურულად გავიპატიჟეთ – არაა საჭირო, ნუ შეწუხდებითო. კარგიო, გვითხრეს და სასწრაფოდ აალაგეს სუფრა. დავრჩით მშივრები.

– რავა წარმოვიდგენდი, თუ მეორედ არ გვეტყოდნენ მობრძანდით, მიირთვით, თქვენი ჭირიმეო, – გაიოცა გენომ.

ინათა თუ არა, მე და გენო გარეთ გავედით. ჩვენი მასპინძელი საკმაოდ შეძლებული კაცი აღმოჩნდა. ეზოში სხვადასხვა მარკის რამდენიმე ავტომანქანა და ტრაქტორი იდგა. ძალიან გაგვიკვირდა, რადგან მაშინ ჩვენში ერთი მანქანაც რომ გეყიდა, მაშინვე გკითხავდნენ, რა სახსრებით შეიძინეო?

ჟანი და მისი მეუღლე გასაყიდად დაკრეფილ ვარდებს უკვე საბარგო მანქანაში აწყობდნენ. ჩვენ რომ დაგვინახეს, ძალიან გაუკვირდათ, ასე ადრე როგორ ადექითო

და სასწრაფოდ საუზმე გააწყვეს. ამჯერად უკვე თავპატიჟი აღარ დაგვინყია, მივუსხედით სუფრას და მადიანად გეახელით.

ნასაუზმევს ქალაქში წაგვიყვანეს ანსამბლის წევრთა შეკრებაზე. ბატონი ტარიელ ჟღენტი უკვე მოსულიყო და ჩვენს ბიჭებს ესაუბრებოდა.

– ამ ქალაქის ახლოს სამკურნალოდ ვარ ჩამოსული, გული მაწუხებსო, – გვითხრა. მერე სადღაც წავიდა, მალევე მობრუნდა. თურმე ანსამბლის ყველა წევრისთვის სამახსოვრო საჩუქარი ეყიდა. ქალაქში გავისეირნეთ. ბატონმა ტარიელმა შენიშნა, რომ მე მზის სათვალე არ მქონდა. აქ ძალიან მწველი მზეა და უსათვალოდ გამოსვლა არ შეიძლებაო. – მოიხსნა სათვალე და გამომიწოდა. – ახალს გიყიდდი, მაგრამ მინდა ჩემი სათვალე გქონდეს, ხშირად მოგაგონდებიო (იმ სათვალეს დღესაც ვინახავ, როგორც ძვირფას რელიკვიას).

ლუდის ბარში ჩამოვსხედით. ბატონმა ტარიელმა ბევრი საინტერესო რამ გვიამბო ქართული სათვისტომოს შესახებ.

– არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ. ყოველდღე სამშობლოზე ფიქრით ვიძინებთ და ვიღვიძებთ, ის არის ჩვენი სევდაცა და სიხარულიც. ამ უცხო ქვეყანაში ვართ გადმოხვეწილები და აგერ 50 წელია, ყოველდღე ველოდებით, როდის დაგვაბრუნებენ სამშობლოში, – თქვა ბატონმა ტარიელმა, – ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკია, შესანიშნავი პიროვნება, საქართველოს ნამდვილი „გულდამწვარი ჭირისუფალი". მან ქართველებისთვის ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს. მეორე მსოფლიო ომის დროს დადიოდა ტყვეთა ბანაკებში, ეძებდა ქართველებს, ეხმარებოდა მედიკამენტებით, საკვებით, ბევრი დაიხსნა კიდეც ტყვეობიდან, რისთვისაც მრავალჯერ თავი საფრთხეში ჩაიგდო. ბატონი ვიქტორი ხვალ აუცილებლად ჩამოვა თქვენთან, უკვე დამირეკა.

ამასობაში ჩვენი ავტობუსიც ჩამოდგა, სხვა ქალაქში მივემგზავრებოდით. ბატონი ტარიელი ყველას სათითაოდ დაგვემშვიდობა და სანამ თვალს არ მივეფარეთ, მანამდე ხელს გვიქნევდა. მე გონებაში ჩამრჩა მისი სევდანარევი ღიმილი. ამის შემდეგ ტარიელ ჟღენტი აღარ გვინახავს. საქართველოში შევიტყვეთ, რომ გულის შეტევით მალევე გარდაცვლილიყო.

ჩავედით ქალაქ ბიარიცაში, კონცერტამდე დიდი დრო იყო და ჩვენც ქალაქში გავიარეთ. საფრანგეთი სოციალისტურ ქვეყნებს არ ჰგავდა. ამიტომ ჩვენთვის ყველაფერი უჩვეულო და საინტერესო იყო.

პატარა შადრევანთან ჩვენი ანსამბლის წევრებს მოეყარათ თავი, შუაში სიმპათიური მამაკაცი იდგა და რაღაცას ჰყვებოდა. იგი სამოცი წლის იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდულად და მხნედ გამოიყურებოდა. მელოტი იყო, საშუალოზე მაღალი, გამხდარი და კარგი აგებულების. მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები და საფეთქლებთან შერჩენილი თმა შავად შეეღება, სწორი პატარა ცხვირი და შავი დიდრონი მეტყველი თვალები ჰქონდა. ღია ფერის საზაფხულო კოსტიუმი ეცვა და ხელში პატარა ჩიბუხი ეჭირა. იერით ქართველს არ ჰგავდა.

მე წარმადგინეს.

– ვიქტორ ხომერიკი გახლავართ, წარმოშობით ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელგაბრიელიდან.

ხელი ჩამოვართვი, თან ჩემთვის ვფიქრობდი, გურია კარგად ვიცი, მაგრამ ეს სოფელი არ გამიგია. როცა საქართველოში დავბრუნდი, ამის თაობაზე ლადიკო ერ-

ქომაიშვილს ვკითხე. მიქელგაბრიელი ადრე სოფელ შრომას ერქვა, იქ სიმღერას ვასწავლიდიო, – მიპასუხა.

ვიქტორ ხომერიკი დაინტერესდა, რომელი ერქომაიშვილების შტო ვიყავი. თურმე ჩვენი გვარის შესახებ ბევრი რამ იცოდა. იგი მეგობრობდა 1921 წლიდან ემიგრირებულ და საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენს შორეულ ნათესავთან დათიკო ერქომაიშვილთან. მას დიდი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა ქართველთა შორის, ძალიან ენამოსწრებული და სასიამოვნო მოსაუბრე იყო. მაღალი არ იყო, მაგრამ ხუთი კაცი ხელს ვერ მოჰკიდებდა. უშიშარი იყო და საუცხოო მსროლელი. მოკლედ, დათიკო ჩვენი სათვისტომოს თვალი იყო, – გვითხრა ბატონმა ვიქტორმა. გამაკვირვა მისმა გურულმა კილომ, ისიც შევატყვე, რომ პოლიტიკაზე საუბარს თავს განგებ არიდებდა, უხერხულობაში რომ არ ჩავეგდეთ. მან კარგად იცოდა, რომ იმ პერიოდში პოლიტიკურად მიუღებელი საუბრის, უცხოეთში დაშვებული თუნდაც უმნიშვნელო შეცდომის გამო ყველა საბჭოელს შინ დაბრუნების შემდეგ პასუხი მოეთხოვებოდა.

ბიჭები ნელ-ნელა დაიშალნენ. კონცერტამდე დრო კიდევ გვქონდა და ბატონმა ვიქტორმა მე და სალიერ ვადაჭკორია სადილად დაგვპატიჟა. მან ფრანგული კერძები და იშვიათი ფრანგული ღვინო შეუკვეთა. თამადად თვითონვე დადგა. პირველად საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა, შესვა, ჭიქა დადგა და ღიღინით სიმღერა წამოიწყო: „სიონში შევალ, სანთელს ავანთებ...“ ჩვენ ავყევით. ბატონმა ვიქტორმა თანდათან აუწია. მას წვრილი, განყინავი ხმა და კარგი მუსიკალური სმენა ჰქონდა. „ნეტავ ვიცოდე, სად დავლევ სულსა, ან რომელ მიწას მიმაბარებენ...“ როცა ამ სიტყვებს მღეროდა, შევატყვე, როგორ აუკანკალდა ხმა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მერე სიმღერა ღიღინზე გადაიყვანა და ისევე ჩუმად დაამთავრა, როგორც დაიწყო. – ეს ჩემი საყვარელი სიმღერაა, – გვითხრა ბატონმა ვიქტორმა.

იმ ღამეს ჩვენმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ვიქტორ ხომერიკი წინა რიგში იჯდა და თვალცრემლიანი ყვიროდა „ბრავოს“. კონცერტის შემდეგ კი ხალხს უხსნიდა, რომ ჩვენ რუსები არა ვართ, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, თან სიამაყით აღნიშნავდა, რომ თვითონაც ქართველია.

კონცერტის შემდეგ მან რამდენიმე თანამემამულე გაგვაცნო: მამა-შვილი ბაგრატ და გურამ წულაძეები, ძმები აპოლონ და თათარხან ანთაძეები. – ესენი თქვენს სანახავად ჩამოვიდნენ სხვა ქალაქიდან. აპოლონს და თათარხანს პარიზში ქართული რესტორანი აქვთ და როცა იქ ჩამოხვალთ, ქართულად გაგიმასპინძლდებიანო, – გვითხრა ბატონმა ვიქტორმა.

კონცერტის შემდეგ სხვა ქალაქში მივემგზავრებოდით. დავემშვიდობეთ ჩვენს კეთილ თანამემამულეებს იმ იმედით, რომ პარიზში კვლავ შევხვდებოდით.

იმავე წელს, გვიან შემოდგომაზე „რუსთავის“ გასტროლები გაიმართა ბელგიაში. ჩვენს დელეგაციას შესანიშნავი პიროვნება – გივი მაისურაძე ხელმძღვანელობდა. იგი ყველა ჩვენგანს კარგად იცნობდა და ენდობოდა, ამიტომ თავისუფალი მოქმედების უფლება მოგვცა. ეს ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა.

კონცერტები წარმატებით მიდიოდა და ჩვენც, კმაყოფილები, გვიან ღამემდე ვსეირნობდით ბელგიის ულამაზეს ქალაქებში.

ერთ დღეს ბრიუსელში ჩვენთან ბატონი ვიქტორ ხომერიკი ჩამოვიდა პარიზიდან. დიდი ხნის მეგობრებივით შევხვდით ერთმანეთს. კონცერტის შემდეგ მან რესტორანში დაგვპატიჟა ჰამლეტ გონაშვილი, ომარ კელაპტრიშვილი, სალიერ ვადაჭკორია და

მე. თამადად თეითონ დადგა. ჩვეულებისამებრ პირველად საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა და ალავერდი ომარ კელაპტრიშვილთან გადავიდა. ომარმა საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის კულტურაზე, წარსულზე, ახლანდელ წარმატებებზე და მოულოდნელად ჰკითხა ბატონ ვიქტორს:

– ვიცი, რომ სულს ლევთ სამშობლოსთვის. რატომ არ ჩამოდიხართ? ჩვენთან ახლა სულ სხვა მდგომარეობაა, თბილისი ის აღარაა, თქვენ რომ დატოვეთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონებათ. ბატონი ვიქტორი ყურადღებით უსმენდა. მერე თვალები უცებ ცეცხლივით აენთო, ჩიბუხი მაგიდაზე დადო და მე დავინახე მის თვალებში ჩამდგარი რისხვა.

– როგორ, იმისთვის რომ ჩემს ქვეყანაში ჩამოვიდე, რუსისგან უნდა ავიღო ნებართვა?! თანაც ჯერ მოსკოვში უნდა ჩავიდე და ველრიჯინო ბიუროკრატ მოხელეებს, რომ ჩემს ქვეყანაში ჩასვლის უფლება მომცენ?! არა, არა, ამას ვერ ვიზამ. მე ჩამოვალ საქართველოში, როცა იგი თავისუფალი გახდება. ამას ჩვენ ყველანი მოვესწრებით.

შევატყვეთ, ომარის შეკითხვამ ბატონი ვიქტორი ააღელვა. საჭირო იყო მდგომარეობის განმუხტვა და ბოლო დროს გურიაში შექმნილი ერთი სახუმარო სიმღერა წამოვიწყე: „ნანინა, მზეზე მიტომ ვიტრუსებით, რუსმა ჭამოს ციტრუსები...“ – ბიჭები ამყვნენ და სიმღერა გახურდა, – „რა ყოფილან ეს რუსები, სულ შეჭამეს ციტრუსები. მოგვაშორეთ ეს რუსები, აღარ გვინდა ციტრუსები“.

ბატონი ვიქტორი სიცილისგან ჩაბუქრდა. როცა დაწყნარდა, მითხრა:

– ე, ბიჭო, ჩამაწერინე ერთი ეს ლექსი, თუ ღმერთი გწამს, – უბის წიგნაკი ამოიღო და ლექსი ჩაიწერა. მერე გვითხრა, ერთხელ კიდევ გვემღერა. თან ხელში ტექსტი ეჭირა და პირველი ხმით ფრთხილად მოგვყვებოდა. სიმღერა ადვილად ისწავლა და როცა რესტორნიდან გამოვედით, თვითონვე წამოიწყო: „ნანინა, მზეზე მიტომ ვიტრუსები...“ გვიანი ღამე იყო, ციოდა, ხალხი კანტიკუნტად დადიოდა. მივდიოდით ბრიუსელის ქუჩებში და ვღიღინებდით ქართულ სიმღერას ხუთი ქართველი. აქედან ოთხი საბჭოელი და ერთიც საფრანგეთის მოქალაქე.

70-იან წლებში „რუსთავის“ კონცერტი ნახა საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა იმპრესარიომ ილია ჯაბადარმა. იგი ძალზე დაინტერესდა ჩვენი ანსამბლით და რამდენიმე ტურნე გამართა ევროპაში. ბატონი ილია დაუმეგობრდა ფრიდონ სულაბერიძეს, ბადრი თოიძეს, სალივერ ვადაჭკორიას, გენო მუჯირს და სხვებს. მან გულწრფელად შეიყვარა ისინი და ყველაფერს აკეთებდა „რუსთავის“ პოპულარიზაციისთვის მთელს ევროპაში. დღეს თუ ჩვენს ანსამბლს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ, ამაში ბატონი ილია ჯაბადარის დიდი დამსახურებაა.

1975 წელს ბატონმა ილიამ „რუსთავის“ დიდი ტურნე გამართა ესპანეთში. თითქმის მთელი ესპანეთი მოვიარეთ, იგი ყველგან დაგვყვებოდა და ჩვენი წარმატებით ხარობდა. ყოველი კონცერტის შემდეგ, როცა სასტუმროში ვბრუნდებოდით, ბატონ ილიას „ქინძმარაულსა“ და გუდის ყველზე ვპატიჟებდით, რომელიც ყოველთვის მიგვქონდა მისთვის საქართველოდან. ბატონი ილია ნელ-ნელა წრუპავდა „ქინძმარაულს“, ყოველი ჭიქის შემდეგ ტუჩებს გაილოკავდა და დაილოცებოდა – ღმერთო, შენ უშველე ამ ღვინის მომყვან ქვეყანას, ჩემს სამშობლოსო, – მერე გუდის ყველს მიაყოლებდა და გვეტყოდა, ფრანგული ყველი ხომ მთელს მსოფლიოშია განთქმული, სხვა ყველიც მინახავს, მაგრამ გუდის ყველის მსგავსი არსად არ მოიპოვება. ამას რომ სათანადო რეკლამა ჰქონდეს, მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელსო.

ბატონ ილიას თურმე თავისი პარიზელი მეზობლისთვის ერთი ბოთლი „ქინძმარაული“ მიურთმევია.

მეორე დღეს მეზობელმა მადლობა გადაუხადა. – რაო, მოგეწონა ჩვენებური ღვინო? – შეეკითხა ბატონი ილია. – ეს ღვინო კი არა, პოემაა სიყვარულზეო, – უპასუხა თურმე მეზობელმა! ამ ამბავს ბატონი ილია ყოველთვის დიდი სიამაყით იხსენებდა.

მახსოვს, ესპანეთში ტურნეს დროს ჩამოვიდა ბატონი ვიქტორ ხომერიკი. იგი ჩვეული სიყვარულით მოგვეფერა ყველას და ჩვენთან რამდენიმე დღე დაჰყო. კონცერტებზე დაგვყვებოდა სხვადასხვა ქალაქში. მას რაღაც არაჩვეულებრივი სითბო და მიზიდულობის ძალა ჰქონდა. იმდენად საინტერესო პიროვნება იყო, რომ ადამიანი გაცნობისთანავე მის მიმართ დიდი სიმპათიითა და პატივისცემით იმსჭვალებოდა.

ძალიან გაგვიხარდა ბატონი ვიქტორის ჩამოსვლა ესპანეთში. დღისით იგი ეპატიჟებოდა ანსამბლის წევრებს, კონცერტის შემდეგ კი ვიკრიბებოდით ბატონ ილია ჯაბადართან ერთად და ტრადიციულად „ქინძმარაულსა“ და გუდის ყველს შევექცეოდით. ბატონი ილიასგან განსხვავებით, ბატონ ვიქტორს „ჩემი ნენას“ გაკეთებული ტყემალი და ქინძიანი სუნელიც უყვარდა, რომელიც ყოველთვის მიგვქონდა მისთვის.

ჩვენ დიდი ყურადღებით ვისმენდით მეტად საინტერესო ამბებს და ვინ იცის რამდენჯერ დაგვთენებია თავზე.

ერთხელ, როცა თამადამ, ბატონმა ვიქტორმა, საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა და ალავერდი ბატონ ილიასთან გადავიდა, მან თქვა: „მთელი მსოფლიო მომივლია, მაგრამ ქართველზე უფრო კეთილშობილი კაცი არ შემხვედრია. ყოველ ქართველში 70 პროცენტი კეთილშობილება სჭარბობს, ხოლო 30 პროცენტი ეშმა ზის. მაგრამ თუ იმ ეშმამ გაიღვიძა, დარჩენილ 70 პროცენტს წააჭარბებს“. ჩვენ მაშინ გაგვიკვირდა ბატონი ილიას „დიაგნოზი“, მაგრამ როცა საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, ფრიდონ სულაბერიძემ შემახსენა ილია ჯაბადარის ნათქვამი. ნამდვილად ბრძენი კაცი იყო.

ბატონ ილიას ჩვენთან კონტაქტი არ გაუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჩვენთან ერთად მგზავრობდა ავტობუსით. ძალიან უყვარდა სიმღერა „ზამთარი“-ო, ხშირად ამღერებდა ირაკლი მათიკაშვილსა და ჰამლეტ გონაშვილს. ბატონი ილია ბევრს ხუმრობდა, ერთობოდა, მღეროდა. ვფიქრობ, ამით იქარვებდა სამშობლოსთან განშორების სევდას, რომელიც მას ბედუკუღმართმა ცხოვრებამ არგუნა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის დროს ევროპაში სწავლობდა და აღარც დაბრუნდა, იმპრესარიოს ხელოვნებას დაეუფლა და საფრანგეთში დამკვიდრდა. ბატონმა ილიამ არა მარტო „რუსთავს“, არამედ მთელ ქართულ კულტურას გაუწია უდიდესი პროპაგანდა მსოფლიოში.

ილია ჯაბადარი 1983 წელს გარდაიცვალა. მას დაგეგმილი ჰქონდა „რუსთავის“ მორიგი ტურნე საფრანგეთში. ამ ტურნემდე ერთი თვით ადრე ავად გახდა. თურმე ექიმებს ეხვეწებოდა, ჩემი ბიჭების ჩამოსვლამდე მაცოცხლეთ, მერე აღარაფერი მიჭირსო. ვერ აცოცხლეს. პარიზში ილიას მეუღლე, მისი რამდენიმე მეგობარი და ბატონი ვიქტორ ხომერიკი დაგვხვდნენ. სასაფლაოზე წავედით. ბატონი ილიას საფლავს ქართული მიწა მოვაპნიეთ და ქართული საგალობლები შევასრულეთ. მერე მისი შესანდობარი შევსვით და საფლავს „ქინძმარაული“ ვაპკურეთ.

ევროპაში, სადაც კი გამოვჩნდებოდით, ვიქტორ ხომერიკი უთუოდ გვაკითხავდა, მოგვეფერებოდა. თუ პრობლემები გვქონდა, მოგვიგვარებდა და ისევ დაგვშორდე-

ბოდა. ერთხელ ინგლისში გახლდით გასტროლებზე. ბატონი ვიქტორი ლონდონში ჩამოვიდა, რამდენიმე დღე ჩვენთან ერთად გაატარა და გაგვაცნო აკაკი რამიშვილი, რომელიც მაშინ ინგლისში ცხოვრობდა. ბატონი აკაკი თავისუფალი საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟი გახლდათ და ბევრი საინტერესო რამ შევიტყვეთ მისგან.

იმ დროისათვის გაგებული გვქონდა, რომ ლონდონის არქივებში ქართული ხალხური სიმღერების ძველი ფონოჩანაწერები უნდა ყოფილიყო და ამ ინფორმაციის დაზუსტება ვთხოვე ბატონ ვიქტორს. მან ბატონი აკაკის დახმარებით მიაკვლია იმ არქივებს და დამიდასტურა ქართული ჩანაწერების არსებობა.

სამწუხაროდ, უსახსრობის უდროობისა და სხვა გარკვეული მიზეზების გამო მაშინ არ მოხერხდა იმ სიმღერების გადმოწერა, მაგრამ შემდგომში ამ არქივებიდან უნიკალური მასალა ჩამოვიტანე. 70-იან წლებში, როცა უცხოეთისკენ გზა შედარებით გაიხსნა, საფრანგეთში იმატა ქართულმა დელეგაციებმა და ტურისტულმა ჯგუფებმა. ბატონი ვიქტორი ჩვეულებისამებრ იყო ყველას პატრონი და მასპინძელი. ამიტომ მას მთელი ქართველი ინტელიგენცია იცნობდა და პატივს სცემდა. საფრანგეთში არა მარტო ბატონი ვიქტორი, არამედ მისი შვილები და შვილიშვილებიც კი მზად იყვნენ ქართველების პატივსაცემად. ჩვენთან განსაკუთრებით მეგობრობდნენ ვიქტორის ქალიშვილი ნელი და მისი მეუღლე ნიკო ჭავჭავაძე.

პარიზში ერთი პატარა რესტორანი იყო, მეტად კოლორიტული, ქართულად მოწყობილი, საქართველოს ფოტოებითა და ქართული ექსპონატებით დამშვენებული. აქ მხოლოდ ქართული სიმღერები ისმოდა და უმეტესად ქართულ კერძებს ამზადებდნენ. ეს რესტორანი ძმებს – აპოლონ და თათარხან ანთაძეებს ეკუთვნოდა. ისინი ფუტკარივით მშრომელი, გულღია, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი მასპინძლები იყვნენ. იმ რესტორანს კიდევ ერთი დანიშნულებაც ჰქონდა; როგორც წესი, კვირაში ერთ დღეს იქ თავს იყრიდა მხოლოდ ქართული სათვისტომო, ხოლო სხვა ნებისმიერი ქართველი, რომელიც პარიზში მოხვდებოდა, ცდილობდა იმ რესტორანში შეევლო, რადგან იქ იყო პატარა საქართველო. მე ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიგონებ თათარხან და აპოლონ ანთაძეებს, რომლებმაც ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნეს ეს რესტორანი და მასთან ერთად ბევრი საუკეთესო ტრადიციაც.

ჩემი პარიზში ყოფნის დროს ბატონი ვიქტორი გამომივლიდა თავისი ძველებური ავტომანქანით „დოჯით“, წამიყვანდა ანთაძეებთან და იყო ტკბილი საუბრები, მოგონებები საქართველოზე, საოცარი მოფერება და მასპინძლობა.

ერთხელ ბატონმა ილია ჯაბადარმა საფრანგეთში ანსამბლ „რუსთავის“ მორიგი ტურნე გამართა. გასტროლების ბოლო ათი კონცერტი პარიზის მეტად პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზში „ოლიმპიაში“ იყო დაგეგმილი.

პირველი კონცერტის წინ, ცხადია, ძალიან ვღელავდით, რადგან ისეთ პრესტიჟულ დარბაზში წარმატების მოპოვება დიდ გამარჯვებას ნიშნავდა. კონცერტს ესწრებოდნენ პარიზის ცენტრალური პრესის წარმომადგენლები. „ოლიმპიას“ 2500-კაციანი დარბაზი გადაჭედილი იყო. მაყურებელი მოცეკვავეებსა და მომღერლებს მქუხარე ტაშით აჯილდოებდა. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, ბატონი ვალერი ასათიანი სიხარულს ვერ ფარავდა. შუა კონცერტზე „სიმდის“ შესრულებისას გასუსულ დარბაზში უცებ ხმაურით გაიღო მთავარი შესასვლელი კარები და ასე ორმოცდაათამდე კაცი, შავ მანტიებში შემოსილი, სახეზე ნიღბებითა და რუპორებით, სცენისკენ

ხმაურით გამოემართა. ამ დროს იარუსებიდან თოვლის ფანტელებივით გადმოყარეს პროკლამაციები. დაუპატიჟებელი სტუმრები ხმაურით ამოცვივდნენ სცენაზე, გაყარეს ჩვენი მოცეკვავეები და რაღაცას ხმამაღლა ყვიროდნენ. დარბაზმა სტვენითა და ყვირილით უპასუხა. კონცერტი შეწყდა. ანსამბლის წევრები დაიბნენ, გოგოები შეშინდნენ და ტირილი დაიწყეს, ბიჭებმა ხანჯლებზე გაიკრეს ხელი. სამწუხაროდ, ჩვენ გვეკრძალებოდა ყოველგვარ კონფლიქტურ სიტუაციაში ჩარევა. ბატონი ვალერი ასათიანი და მე ვცდილობდით ანსამბლი დაგვემშვიდებინა. გვეშინოდა, ამ საქმეს სერიოზული გართულება არ მოჰყოლოდა. ამ დროს ბატონი ვიქტორ ხომერიკი ამოვიდა კულისებში და გვითხრა, რომ ესენი სიონისტები არიან, ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევიან და ამ კონცერტის ჩაშლა უნდათ. თქვენ მშვიდად იყავით, შევეცდებით ყველაფერი მოვაგვაროთო. მერე ბატონმა ვიქტორმა პოლიცია გამოიძახა და დარბაზის ადმინისტრაციას მოუწოდა წესრიგის დაცვისაკენ. მაგრამ პოლიცია არ მოვიდა, ხოლო ადმინისტრაცია დაიმალა. ამ დროს სცენაზე ამოვიდა ერთი ბრგე ვაჟკაცი. ეს გახლდათ შალიკო თაყაიშვილი. იგი მივიდა სიონისტების მეთაურთან, რომელიც რუპორით ყველაზე მეტს გაჰყვიროდა და სთხოვა, შეეწყვიტათ შანტაჟი. მან ყვირილს უმატა. როცა სიტყვამ არ გასჭრა, შალიკომ ერთი ისეთი შემოჰკრა, რომ შავნილბიანი თავის რუპორიანად პარტერში გადავარდა. მას რამდენიმე თანამზრახველიც მიაყოლა. ამასობაში შალიკოს იქაური ქართველებიც წამოეშველნენ და ატყდა ერთი ცემა-ტყეპა. ბატონი ვიქტორი მივიდა ერთ-ერთ სიონისტთან და ჰკითხა, რა გინდათო. რუსეთში ებრაელებს ავიწროებენ და პროტესტის ნიშნად ამათი კონცერტი უნდა ჩავშალოთო. ესენი ქართველები არიან და რუსეთში მათ ებრაელებზე მეტად ავიწროებენო, – უთხრა ბატონმა ვიქტორმა. უკაცრავად, ეს არ ვიცოდით, ესენი რუსები გვეგონაო, – თქვა სიონისტმა. მერე დაუძახა თავისიანებს და ხმაურით დატოვეს დარბაზი. კონცერტი განახლდა, მაყურებელი ტაშის გრიალით შეგებებება, ბოლოს ისეთი ოვაციები გაგვიმართა, როგორიც შესაძლოა ჩვეულებრივ პირობებში არც ყოფილიყო.

კონცერტის შემდეგ ბატონმა ვიქტორმა ანთაძეების რესტორანში წაგვიყვანა, სადაც გველოდნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები: ბაგრატ და გურამ წულაძეები, ვალიკო წილოსანი, ბიჭიკო ახვლედიანი, ორესტი გორდელაძე, შალიკო და შოთა თაყაიშვილები და სხვები. თამადად ბატონი ვიქტორ ხომერიკი აირჩიეს. გვიან ღამემდე გაგრძელდა სამშობლოს მონატრებული ხალხის გულისამაჩუყებელი სადღეგრძელოები, მოგონებები და სიმღერები. თამადამ ჩემი სადღეგრძელო შესვა და ალავერდი ბაგრატ წულაძესთან გადავიდა. მანაც ბევრი საქებარი სიტყვა მითხრა და დასძინა, მე მინდოდა შენთვის საჩუქარი მომეძღვნა, მაგრამ ვერაფერი შევარჩიე და გადავწყვიტე გაჩუქო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი, შენი ნათესავის დათიკო ერქომაიშვილის ნაქონი „პარაბელუმი“. დათიკოზე ვაჟკაცი ჩვენს სათვისტომოში არ იყო, ამიტომ ეს იარაღი შენ უნდა გქონდესო. ამოიღო გაპრიალებული „პარაბელუმი“ და გადმომცა. სუფრაზე ტაში დასცხეს. მე გამოვართვი ეს მართლაც იშვიათი საჩუქარი და გულდაწყვეტილმა დავუწყე თვალიერება. რა იცოდა ბატონმა ბაგრატმა, რომ ჩვენ ასეთი საჩუქრის აღების უფლება არ გვქონდა, მას საბჭოთა თვითმფრინავშივე ჩამომართმევდნენ. უფრო მეტიც, ამასაც არ დასჯერდებოდნენ და მოსკოვში სატუსაღოში მიკრავდნენ თავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბატონი ბაგრატისთვის ამის თქმის უფლებაც არ მქონდა.

მე მადლობა გადავუხადე მას იშვიათი საჩუქრისათვის და დავძინე, რომ ვინაიდან

გახშირდა ტერორისტების მიერ თვითმფრინავის გატაცების ფაქტები, ამიტომ ამ იარაღს ჩამომართმევენ და დაიკარგება ეს იშვიათი საჩუქარი-მეთქი. ამ მიზეზით ბატონ ბაგრატს დავუბრუნე „პარაბელუმი“. შეწუხდნენ ჩვენი თანამემამულეები. შეწუხდა ბაგრატიც. მან ჭრელი ტყავის ქისა გახსნა, იქიდან თუთუნი ამოიღო, ქაღალდში გაახვია და კაჟის ქვას კვესი გაჰკრა. კვესს ნაპერწკლები დასცვივდა. ბაგრატი მანამ აკვესებდა კვესს კაჟის ქვაზე, სანამ აბედს ნაპერწკლებისაგან ცეცხლი არ მოეკიდა. მერე სული შეუბერა, ცეცხლი გააღვივა და იქიდან პაპიროსს მოუკიდა. ბაგრატ ბიძია, რას წვალობ ამდენს, აგერ ჩემი სანთებელა იხმარე, – უთხრა შალიკო თაყაიშვილმა. შენ ვერ გაიგებ ამის გემოს, – შეუღრინა ბატონმა ბაგრატმა და თუთუნის კვამლი ღრმად შეისუნთქა. ეს კვეს-აბედი ბატონ ბაგრატს მე ჩავუტანე. წინა გასტროლების დროს ვკითხე, – ბატონო ბაგრატ, რა ჩამოგიტანო საქართველოდან, ყველაზე მეტად რა გაგიხარდება-მეთქი. თუ იშოვი თუთუნის ქისა და კვეს-აბედიო, – მითხრა. ეტყობა, კვეს-აბედი იმდროინდელ საქართველოს აგონებდა, მაგან რომ დატოვა. მაშინ იმას ხმარობდნენ. ამიტომ სწორედ ის მოენატრა. სათუთუნე ჭრელი ტყავის ქისა ბიცოლაჩემმა ჟუჟუნამ შემიკერა. კვეს-აბედის შოვნა ძალიან გაჭირდა აჭარიდან, ხიხაძირიდან ენვერ ხალვაშმა გამომიგზავნა ძველებური კვეს-აბედი.

ბატონი ბაგრატი არ იშორებდა ამ „ძვირფას რელიკვიას“ და ყველგან, ოჯახში თუ საზოგადოებაში, ქისიდან ამოიღებდა თუთუნს, ქაღალდში გაახვევდა და კვეს-აბედით უკიდებდა.

ბატონი ბაგრატი მეტად კოლორიტული პიროვნება გახლდათ. მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ ვმეგობრობდით. მისი ახლო მეგობრები იყვნენ ბატონი რეზო თაბუკაშვილი და ოთარ იოსელიანი (რომელმაც იგი ფილმშიც გადაიღო). ოთარმა მიამბო, მომაკვდავი ბაგრატი მოუნახულებია. დილა იყოო, ბაგრატი იწვა და თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. ახლა გამომელვიძა, – უთქვამს ოთარისთვის, – მთელი ღამე გურიაში გავატარე, ჩემს ეზოში, მშობლებთან, მეზობლებთან და ნათესავებთან. საქონელიც კი მახსოვს. ქათმებიც, ძაღლიც ისეთი იყო, როგორიც დავტოვე. უბედნიერესი კაცი ვიყავი. გამომელვიძა და გული დამწყდა, რატომ ძილში არ გევიპარე. ჩემიანებთან არ დავლიე სული-მეთქი. ასე მემართება ამ ბოლო დროს, თითქმის ყოველდღე. ჩემი ეზო-კარი და ჩემიანები მესიზმრებიან. ეტყობა, ჩემი აღსასრულიც მოვიდაო.

გათენებას აღარაფერი აკლდა, როცა ანთაძეების რესტორანი დავტოვეთ. ვიქტორ ხომერიკმა მე და ბაგრატ წულაძე თავისი „დოჯით“ წაგვიყვანა. ჯერ ბაგრატი მივიყვანეთ, მერე გეზი ჩემი სასტუმროსკენ ავიღეთ. ვიქტორი გვარიანად ნასვამი იჯდა საჭესთან, მე იმდღევანდელ შთაბეჭდილებებში ვიყავი ჩაძირული.

– რა ბედნიერი დღე მქონდა, – სიჩუმე დაარღვია ბატონმა ვიქტორმა, – რამდენი ქართველი ვიყავით ერთად, აქაურიც, იქაურიც. შვილებიც მყავს, შვილიშვილებიც, მაგრამ მაინც ეულად ვგრძნობ თავს. რა მინდოდა მე აქ?! – ხმას აუწია მან, – 11 წლისას დამატოვებინეს საქართველო. რატომ მომწყვიტეს ჩემს სამშობლოს, რატომ?! უბედური კაცი ვარ მე, სამშობლოში ცხოვრება არ მაღირსა ღმერთმა. დავიბადე ციმბირში, მერე მთელი ცხვორება უცხოეთში გავატარე. ნუთუ იმის ღირსი მაინც არა ვარ, რომ ჩემი ტანჯული სხეული ჩემმა სათაყვანებელმა საქართველოს მიწამ მიიბაროს, ა?! – მანქანა ნერვიულად დაამუხრუჭა, საჭეს ხელი გაუშვა, ჯერ ზევით აღაპყრო ხელები, მერე ჯვარედინად გულზე დაიკრიფა და ისე მწარედ ამოიოხრა, გული თან ამოაყოლა.

– ბავშვობიდანვე დამებედა ყოველგვარი უბედურება, – გააგრძელა ბატონმა ვიქტორმა, – ძალიან პატარა ვიყავი, უფროსი ძმა რომ დამეღუპა. დედაჩემი ვერაფრით ვერ შეეგუა მის სიკვდილს და უმძიმეს დეპრესიაში ჩავარდა. ერთ დღეს დედამ ეზოში გამგზავნა წყლის მოსატანად. რომ მოვბრუნდი, დედა იატაკზე იწვა, თავი მოეკლა. მკერდში ჩემი ძმის სურათი და ტანსაცმელი ჩაეკრა. მამა რომ დაბრუნდა, მე დედაჩემის მკერდზე დამხობილი მწარედ ვქვითინებდი. აქედან დაიწყო ჩემი უბედურება: მამაჩემი – ნოე ხომერიკი მაშინდელი მთავრობის წევრი იყო, ერთ-ერთი მინისტრი. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, როცა მთავრობამ საქართველო დატოვა, მამამ მეც საფრანგეთში წამომიყვანა. მერე იგი საქართველოში გაემგზავრა მთავრობის სპეციალური დავალებით, მაგრამ ბოლშევიკებმა შეიპყრეს და დახვრიტეს. დავრჩი ობლად, ფრანგების გარემოცვაში. მას შემდეგ დავდივარ საფრანგეთში სამშობლოს, მშობლებსა და ნათესავებს მონატრებული. რა დავაშავე ასეთი, – ხმას აუწია ბატონმა ვიქტორმა, – რა ცოდვა ჰქონდათ ასეთი ჩემს წინაპრებს, რომ მხოლოდ ჩემზე მოიწია? ან მე რა შეგცოდე, ღმერთო, ასეთი, რომ ბედის საჯიჯგნად გამხადე? – ვიქტორს ნერვებმა უმტყუნა. მან ორივე ხელი მძლავრად დაჰკრა მანქანის საჭეს. მერე კარი გააღო და გადავიდა. მეც გადავყევი. ბატონმა ვიქტორმა საბარგული გახსნა, სადაც პატარა თოფრაკი და მუყაოს ქაღალდი იდო ფრანგული წარწერით: „მე ვარ ქართველი, ვიქტორ ხომერიკი. ამ საბარგულში დევს ჩემი ქვეყნის – საქართველოს მიწა და თუ დავიღუპო, გთხოვთ ყველას, ეს მიწა გულზე დამაყაროთ.“

ბატონმა ვიქტორმა თოფრაკიდან მიწა ამოიღო, პერანგი გაიხსნა და მიწა ჯერ მკერდზე დაიყარა, მერე კისერზე და სახეზე. მერე მუხლებზე დაეცა და ბავშვივით აქვითინდა: ღმერთო, რა დაგიშავე ასეთი, რომ ქართული მიწა უცხოეთში პეშვით უნდა დამქონდეს? – იგი მთელი ხმით ბღაოდა, გულზე მუშტებს იბრაგუნებდა და მდუღარე ცრემლებს ღვრიდა.

მე გაოგნებული შევცქეროდი ამ სულისშემძვრელ სანახაობას და მიახლოებას ვერ ვბედავდი. ბატონი ვიქტორი ნელ-ნელა დაწყნარდა, ადგა, თოფრაკს თავი მოუკრა და მანქანის საბარგულში ფრთხილად შეინახა. წარწერიანი მუყაოს ქაღალდიც გამოსაჩენ ადგილას დადო. მერე ჩემთან მოვიდა, მხარზე ხელი დამადო, მომიბოდიშა – სამშობლოდაკარგული კაცი შვილებისდამკარგავზე უბედურიაო. ტროტუარის კიდეზე ჩამოვსხედით. მან ჩიბუხი ამოიღო და გააბოლა. კარგა ხანს ვისხედით მდუმარედ. თენდებოდა, ქუჩაში ჩვენს გარდა არავინ იყო. უცებ ბატონმა ვიქტორმა ღიღინით წამოიწყო: „სიონში შევალ, სანთელს ავანთებ...“ მე ნანახითა და განცდილით ისე ვიყავი გაოგნებული, რომ ძალა არ მეყო, ავყოლოდი.

მას შემდეგ აგერ რამდენი წელი გავიდა და ახლაც თვალწინ მიდგას ვიქტორ ხომერიკის განამებული სახე. იმ წუთში მასზე უბედური კაცი ქვეყანაზე არ მეგულებოდა.

ვიქტორ ხომერიკს მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართულ ინტელიგენციასთან. განსაკუთრებით მეგობრობდა ბატონ რეზო თაბუკაშვილთან, რეზო ჩხეიძესთან, ოთარ იოსელიანთან, გუგული ყიფიანთან, ნოდარ ახალკაცთან, აკაკი ძიძიგურთან, გიგა ლორთქიფანიძესთან, მურაზ მურვანიძესთან, გურამ ფანჯიკიძესთან, ილიკო და თენგიზ სუხიშვილებთან და სხვ. იმის გარდა, რომ იგი საფრანგეთში ყველას პატრონი და მასპინძელი იყო, ხშირად ეხმარებოდა მეცნიერებს მათთვის საჭირო მასალების მოძიებაში. იქიდან აგზავნიდა ძვირფას მედიკამენტებს და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ რამეს. მაშინ ჩვენ ამის შეძენა არ შეგვეძლო. ამიტომ ბევრი ელოდებოდა ბატონი

ვიქტორის ჩამოსვლას საქართველოში, რომ რაღაც ფორმით გამოეხატა მის მიმართ პატივისცემა და სიყვარული.

1990 წელს თბილისში ხმა გავარდა, ვიქტორ ხომერიკი ჩამოდისო. აეროპორტში უამრავი ხალხი მოვიდა მის შესახვედრად. ასეთი პატივი ქართველ ემიგრანტთაგან ალბათ არავის არ ღირსებია. ხალხი ყველაფრის საზომია, ყველაფერს გრძნობს და აფასებს.

როცა ბატონი ვიქტორი თვითმფრინავიდან ჩამოვიდა, დაიჩოქა და მიწას ემთხვია, მერე აცრემლებული წამოვიდა გასასვლელისკენ, სადაც მას ზღვა ხალხი ელოდებოდა.

ფუნიკულიორის რესტორანში ქართველმა საზოგადოებამ ბატონ ვიქტორ ხომერიკს დაბადების 80 წლისთავი გადაუხადა. ეს იყო საოცარი საღამო. მე მომეჩვენა, რომ მთელი თბილისი იქ იყო. ულოცავდნენ ბატონ ვიქტორს სამშობლოში დაბრუნებას, იყო თბილი სადღეგრძელოები, სამახსოვრო საჩუქრები, ცეკვა-სიმღერა, საერთო მხიარულება. ვინც იქ იყო, ალბათ არასოდეს დაავიწყდება ის საღამო.

თავის სამადლობელ სიტყვაში ბატონმა ვიქტორმა ბრძანა: საქართველოს გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ დღეს ველოდი და მადლობა უფალს, რომ ამას მომასწრო. დღეს ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ მეგულება.

ბატონი ვიქტორი სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო. ამ შეხვედრას ვესწრებოდით ბატონი ვახტანგ გურგენიძე და მე. პატრიარქმა მადლობა გადაუხადა და დალოცა იგი იმ დიდი ეროვნული საქმიანობისთვის, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა საზღვარგარეთ.

ერთ დღეს ბატონ ვიქტორ ხომერიკს შეხვედრა მოუწყო ბიჭუნათა ანსამბლმა „მართვემ". არტოს ბაღი ხალხს ვერ იტევდა. როცა იგი დარბაზში შევიყვანეთ, „მართვემ" სიმღერა შემოსძახა. ბატონი ვიქტორი შედგა, ხარბად გადაავლო თვალი შინდისფერ ჩოხაში გამოწყობილ ასამდე ბიჭუნას, რომელიც მის საპატივცემულოდ „მრავალჟამიერს" აგუგუნებდა, და ცრემლები ვეღარ შეიკავა.

ბატონი ვიქტორი საპატიო სავარძელში ჩავსვით. იყო ბევრი თბილი სიტყვა და მოფერება. თვალებანთებული პატარა ბიჭები საოცარი მონდომებით უმღეროდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს „დიდ ქართველს" – ბაბუა ვიქტორს. თავის სამადლობელ სიტყვაში ბატონ ვიქტორს აღელვებისგან ხმა უკანკალება; „როცა ვნახე ამდენი ჩოხოსანი პატარა ქართველი, რომლებსაც მაგრად აქვთ ხელი შემოჭდობილი ხანჯალზე და „მრავალჟამიერს" აგუგუნებენ, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და დიდად გამახარა. როგორც ჩანს, რუსეთის 70-წლიანმა ბატონობამ ვერ ჩაკლა ქართული სული. ეს მე დღეს დავინახე და მივხვდი, რომ საქართველოს მომავალი საიმედო ხელშია".

ბატონ ვიქტორ ხომერიკს შეხვედრები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გაუმართეს. იგი პარიზში მეტად გახარებული და ბედნიერი დაბრუნა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ბატონი ვიქტორი ხშირად ჩამოდიოდა. ხარობდა, რომ ისტორიული კანონზომიერება აღდგა, მაგრამ წუხდა უკვე დაწყებული პოლიტიკური უთანხმოების გამო. შიშობდა, ვაითუ ის შეცდომები განმეორდეს, რომელმაც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა დააკარგვინაო.

ბატონმა ვიქტორმა, როცა უკანასკნელად იმყოფებოდა თბილისში, გაგვანდო, რომ აქ გადმოსახლებას აპირებდა, რათა თავისი დარჩენილი სიცოცხლე სამშობლოში გაეტარებინა. აღარ დასცალდა.

ვიქტორ ხომერიკის მძიმე ავადმყოფობამ შეაწუხა ქართველი საზოგადოება. მალე მისი გარდაცვალების ამბავიც შევიტყვეთ. საქართველოს მთავრობამ და ინტელიგენციამ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ „საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფლის“, ბატონ ვიქტორ ხომერიკის ნეშტი, მისი სურვილის თანახმად მშობლიური მიწისათვის მიებარებინათ. ბატონი ვიქტორის ცხედარი თბილისში გვიან ღამით ჩამოასვენეს. ქართველი საზოგადოება ისევე დახვდა აეროპორტში, როგორც მაშინ, როცა იგი 70 წლის უნახავ სამშობლოში პირველად ჩამოვიდა. ცხედარი სიონის საკათედრო ტაძარში დაასვენეს. დიდძალი ხალხი მოვიდა განსვენებულის პატივსაცემად. აქ იყო ყველა, ვისაც უშუალო კონტაქტი ჰქონდა ბატონ ვიქტორთან და ისიც, ვინც გადმოცემით იცოდა მისი მამულიშვილური საქმეების შესახებ.

მთელი ღამე მოდიოდა ხალხი. ისინი ჩუმად უნთებდნენ სანთელს. მერე სხდებოდნენ და სხვებთან ერთად იგონებდნენ ბატონ ვიქტორთან გატარებულ დღეებს. ღამისმთეველთა შორის იყო ანსამბლი „რუსთავიც“. აბა მათ ჰქონდათ სწორედ ბევრი მოსაგონარი ბატონ ვიქტორ ხომერიკზე, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ჩვენი ანსამბლი.

შუაღამე გადავიდა. დადგა დრო, ღამის სიჩუმე რომ თვალს სიფხიზლეს მოჰპარავს. „რუთავის“ ბიჭები კუბოს მიუახლოვდნენ და ღიღინით წამოიწყეს: „სიონში შევალ, სანთელს ავანთებ...“ სიმღერა ნელ-ნელა დაიღვარა სიონის ტაძარში და მერე თანდათან აჰყვა ფრესკებიან კედლებს. ტაძარში ბევრი სანთელი ენთო, ბიჭები მოგონებებში ჩაძირული მღეროდნენ ბატონი ვიქტორის საყვარელ სიმღერას. საოცრად სევდიანი განწყობილება სუფევდა. მომღერლებმა თანდათან მოუმატეს ხმას და სიონის კედლები აგუგუნდა: „ნეტავ ვიცოდე, სად დავლევ სულსა ან რომელ მიწას მიმაბარებენ...“ – ალბათ ეს სიტყვები შეძრავდა დიდი მამულიშვილის მშფოთვარე სულს.

დილით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პანაშვიდი გადაუხადა ვიქტორ ხომერიკს და მისი ცხედარი მრავალრიცხოვანმა ქართველმა საზოგადოებამ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გააცილა. ამას კი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა ბატონი ვიქტორი, თუმცა იცოდა, რომ ქართველ ხალხს სხვა სიკეთესთან ერთად მადლიერების გრძნობაც აქვს და იცის ღირსეულისათვის პატივის მიგება. დიდუბის პანთეონში ტევა არ იყო. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა, „რუსთავის“ შესრულებით გუგუნებდა „ზარი“ და „სულთათანა“. ბოლოს მეც მომიხდა გამოსათხოვარის წარმოთქმა; – ბატონო ვიქტორ, მთელი ცხვორება უცხოეთში გულით დაატარებდით სამშობლოს სიყვარულს, მერე ამ გულს ყველა ქართველს ნაფლეთ-ნაფლეთ უნაწილებდით. რა გული გქონდათ ასეთი, რომ სიყვარულით მთელი საქართველო დააპურეთ. თქვენ თან დაგქონდათ ქართული მიწა, რომ საჭიროების შემთხვევაში თქვენთვის გულზე დაეყარათ. აღარ დაგჭირდათ, ბატონო ვიქტორ, თქვენი სხეული მშობელმა მიწამ ჩაიკრა გულში.

თქვენ სამშობლოს სიყვარული გვასწავლეთ ქართველებს, სიყვარული არა სადღეგრძელოს შეფარებული, არამედ სისხლისმიერი, რომელიც ჭეშმარიტებას უტოლდება.

ბატონო ვიქტორ, თქვენი საყვარული სიმღერა იყო „სიონში შევალ...“ დიახ! თქვენ შეხვედით სიონში და სამარადისოდ დაიმკვიდრეთ ადგილი ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა შორის.

გუგუნებდა დიდუბის ზარები. ვიქტორ ხომერიკის საფლავთან იდგა „რუსთავი“ და მღეროდა მის საყვარელ „სიონში შევალ...“

1994 წ.



უკანასკნელი ინტერვიუ

გიორგი ნაკაშიძე

გიორგი ნაკაშიძე 1989 წელს ნიუ-იორკში გავიცანი, მაშინ ოზურგეთის ანსამბლ „ელესასთან“ ერთად გახლდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სმიტსონის ინსტიტუტმა ვაშინგტონში ჩაატარა მსოფლიო ფოლკლორული მუსიკის ფესტივალი. „ელესამ“ ამ ფესტივალზე დიდი წარმატება მოიპოვა და იგი ნიუ-იორკში გაგზავნეს რამდენიმე კონცერტის ჩასატარებლად. კონცერტის მსვლელობის დროს კულისებში გახლდით და იქიდან ვადევნებდი თვალს დარბაზის რეაქციას.

ჩემი ყურადღება მიიპყრო პირველ რიგში მჯდომმა ჩია ტანის სათვალიანმა მოხუცმა, რომელიც მალიმალ ცხვირსახოცით იწმენდდა ცრემლებს. ყოველი ნომრის შემდეგ ფეხზე დგებოდა და აღტაცებით უკრავდა ტაშს.

კონცერტის შემდეგ იგი ჩვენთან მოვიდა. „მაკვანეთელი თუ ხართ აქანე ვინმე?“ – გურული კილოთი იკითხა მოხუცმა და ისევ მოიწმინდა ცრემლიანი თვალები. ანსამბლს გამოეყო მისი ხელმძღვანელი, ბატონი ამირან თოიძე, გური სიხარულიძე და მე.

მან სათითაოდ ჩაგვიკრა გულში და გვითხრა: მეც სოფელ მაკვანეთიდან გახლავართ, – გიორგი ნაკაშიძე. მერე სათითაოდ გადაკოცნა ანსამბლის თითოეული წევრი და დიდი წარმატება მიულოცა.

– სამოცდაათი წელია, ჩემი სოფლიდან აღარავინ მინახავს, – სლუკუნით გვითხრა მოხუცმა და იკითხა, ჩემი ტოლი თუა ვინმე ცოცხალი მაკვანეთში. მე 96 წლის გახლავართო, მერე ბაბუაჩემი არტემი და მისი ძმები მოიკითხა, მაგათი სიმღერის მოსმენას არაფერი სჯობდაო, – გვითხრა. საუბარი გვიან ღამემდე გაგრძელდა. მეორე დღეს ოჯახში მიგვიწვია.

სახლი ქართული სუვენირებით ჰქონდა მორთული. ბუხრის თავზე რამდენიმე დოქი იდგა, კედლებზე დედ-მამისა და თავისი ოჯახის წევრების ძველებური ფოტოები ეკიდა. რატომღაც, კედლის ერთ მხარეს, საპატიო ადგილას რუსეთის უკანასკნელი მეფის – ნიკოლოზის II ფოტოსურათი შევნიშნე. ბატონმა გიორგიმ შეამჩნია ჩემი ინტერესი

ამ სურათის მიმართ და მითხრა: მაგი ლენინის ჯინაზე დავკიდეო.

სამუშაო მაგიდაზე „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე გამოცემა და გოგებაშვილის „დედა ენა“ ეწყო.

მერე სუფრასთან მიგვიწვია და გულუხვად გაგვიმასპინძლდა. გემრიელი ქართული კერძები მოემზადებინა მის შორეულ ნათესავს, – ქალბატონ ქეთევანს, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა და მეურვეობას უწევდა ხანდაზმულ მეცნიერს.

კარგა ხანს ვიყავით ამ შესანიშნავ მოხუცთან. ბევრი რამ გვიამბო და განგვაცვიფრა საოცარი მეხსიერებით. იგი ხარბად გვეკითხებოდა ოზურგეთის, მაკვანეთისა და საერთოდ საქართველოს შესახებ. როცა საინტერესო ამბავს მოვუყვებოდით, თვალები ცრემლით ევსებოდა. სამწუხაროდ, მაშინ თან არ მქონდა ვიდეოაპარატურა და მაგნიტოფონი, ამიტომ მასთან ინტერვიუ არ მოხერხდა.

მომდევნო 1990 წელს მზადდებოდა ანსამბლ „რუსთავის“ საგასტროლო ტურნე კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ შევთანხმდით, რომ ბატონი გიორგი სიამოვნებით მოგვცემდა ინტერვიუს საქართველოს ტელევიზიისათვის.

მეორედ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით 1990 წლის აპრილში, ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს. ისე მოხდა, რომ „რუსთავმა“ ნიუ-იორკში კონცერტები დაიწყო მაშინ, როცა ჩვენი სახელოვანი რუსთაველის თეატრი უდიდესი წარმატებით ამთავრებდა გასტროლებს ამ ცნობილ ქალაქში.

8 აპრილს რუსთაველელებს ნიუ-იორკის ქართულმა სათვისტომომ მშვენიერი შეხვედრა მოუწყო. ამ შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ცნობილი ამერიკელი მსახიობები და კრიტიკოსები.

სწორედ იქ შევხვდი მეორედ ბატონ გიორგი ნაკაშიძეს, რომლის მისამართით იმ საღამოს ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. საპასუხო სიტყვა ბატონმა გიორგიმ წარმოთქვა. ამჯერად თან გვახლდა ცნობილი კინოოპერატორი იური ბარამიძე, რომელმაც გადაიღო ბატონი გიორგის გამოსვლა.

მოგვყავს ეს სიტყვა მთლიანად (სტილი დაცულია):

ქალბატონებო და ბატონებო!

ასეთი ბრწყინვალე მისალმებისა და მხურვალე სიტყვების შემდეგ, ძნელია, რაიმე ახლის თქმა და ჩემი თბილი გრძნობების გამოთქმა შესაფერის ფორმებში, მაგრამ ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ შემიძლია დღეს, უხუცეს ქართველს, გადმოგცეთ ყველას თქვენ ჩემი მხურვალე სიყვარული.

ბატონებო! ცხოვრება უცნაურად მიმდინარეობს და მრავალგვარ ფორმას სხვადასხვანაირს, მაგრამ მაინც შინაარსიანს და ყოველთვის საინტერესოს იღებს. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ 1922 წელს გადმოსახლებული სტუდენტი – გიორგი ნაკაშიძე, მისი უაღრესი ხანგადასვლის დროს, მოესწრებოდა ასეთ მხურვალე შეხვედრას მისთვის უცნობი აქ მყოფი ქართველობისაგან. მე შემიძლია ვიამაყო იმით, რომ ის ქართველობა, რომელიც დღეს აქ გვესწრება, ანგარიშს უწევს ხნოვანებას და მადლობის სიტყვით მომმართავს.

მე მინდა გითხრათ, რომ მთელი სული და გული თქვენთან არის, თქვენთან, ვინაიდან არ შემიძლია, არ განვიცადო მოხუცებულობის დროსაც კი ის მხურვალე სიყვარული, რომელიც გვაერთიანებს ჩვენ ყველას აქ შეკრებილთ, მიუხედავად ხნო-

ვანებისა, ეროვნებისა, ჩვენი წარსულისა და მომავლისა.

მე მადლობას გადმოგცემთ, ჩემს სიყვარულს გიცხადებთ და იცოდეთ, რომ მარად და ყოველთვის ვიბრძოდი ჩვენი ერის და ყოველი ადამიანის ღირსებისათვის და დღეს-აც, ჩემს უხუცეს ასაკშიაც, თქვენთან ერთად განვაგრძობ ამ ბრძოლას. გაუმარჯოს ჩვენი ერის სიყვარულს და წარმომადგენლობას. გაუმარჯოს ყველას, ვინც შეჰხარის საქართველოს და არამც თუ იმედებით ცხოვრობს, არამედ მისი თავისუფლებისათვის იბრძვის.

დიდება, ყოველ დაჩაგრულ ერს, დიდება საქართველოს!"

მეორე დღეს, დილით, ანსამბლმა „რუსთავმა" 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა პატივსაცემად, ნიუ-იორკელ ქართველებთან ერთად, პარაკლისი გადაიხადა უკრაინულ ეკლესიაში (ნიუ-იორკში ქართული ეკლესია არ არის).

პარაკლისის შემდეგ ბატონი ბონდო კეკელია, ჰაკან შაველიძე, ოპერატორი იური ბარამიძე და მე, დაპირებისამებრ, ვესტუმრეთ ბატონ გიორგი ნაკაშიძეს.

ბატონი გიორგი მოუთმენლად გველოდებოდა. მას მოემზადებინა წლების განმავლობაში დაგროვებული თავისი ნაშრომები, წერილები, ფოტოები, წიგნები საქართველოს შესახებ, რომელიც უცხოეთში გამოვიდა 1921 წლის შემდეგ, მოკლედ დიდძალი მასალა, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა ემიგრაციის პერიოდში (ეს მასალები მან საქართველოში გამოგვატანა. იგი ამჟამად საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება).

ამ მასალების გაცნობის შემდეგ, ბატონმა გიორგიმ მოხერხებულად მოიკალათა სავარძელში და გადაღებისათვის მოემზადა.

იური ბარამიძემ ვიდეო-აპარატურა ჩართო.

– ბატონო გიორგი, რამდენი წლის ბრძანდებით?

– 97-ის.

– გთხოვთ, ქართველ მაყურებელს წარუდგინოთ თქვენი თავი.

– მე, გიორგი მელქისედეკის ძე ნაკაშიძე, დავიბადე ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში, 1893 წელს. 1922 წელს გამაძევეს საქართველოდან. მას შემდეგ ვცხოვრობ უცხოეთში, მაქვს ორი დოქტორის ხარისხი, ვმუშაობდი სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტში პროფესორად, ვიცი 9 -10 ენა უსიტყვაროდ.

– ბატონო გიორგი, ახლა უფრო დაწვრილებით თქვენი ცხოვრების შესახებ.

– ჩემი ახლანდელი ცხოვრების შესახებ, თუ როგორ?

– არა, დავიწყოთ იქიდან, საიდანაც გახსოვთ ყველაფერი.

– ჰმ! საიდან მახსოვს (თავისთვის ჩაილაპარაკა და დაფიქრდა). მე მახსოვს, რომ ვცხოვრობდი ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში, ივანე ანთელიძისა და მისი მეუღლის კესარია სურგულაძის სახლში. კესარია იყო ჩემი ძიძა. ეს სახლი ჩემი მეგობნა, თვით კესარია და მისი მეუღლე ივანე კი – მშობლები, ხოლო მათი შვილები ვარდო, ივაკი, ელისე და ეკატო – ჩემი და-ძმა.

ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ტრაგედია იყო, როდესაც მოვიდნენ ჩემთვის უცხო პირები, რომლებიც ხანდახან მოდიოდნენ ჩვენთან საჩუქრებით, მაგრამ მე მათ არავითარ ანგარიშს არ ვუწევდი, მომკიდეს ხელი, გამომიყვანეს სახლიდან კივილ-ჩხავილით და ქვემო მაკვანეთში წამიყვანეს. მთელ გზაზე ჩემი ტირილი და ჩხავილი ისმოდა, მაგრამ ჩემს პროტესტს არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ჩამიყვანეს, როგორც მერე ამიხსნეს, ჩემს ნამდვილ სახლში. მაშინ ჩვენს ეზოში ორი ოდა იდგა, ერთი ახალი,

დიდი ოდა, ცხრაოთახიანი, რომელიც, ალბათ, დღესაც არის და მეორე, შედარებით პატარა, სამი თუ ოთხი ოთახიანი.

რამდენადაც მახსოვს, დამტოვეს თუ არა მოსამსახურე ქალთან, მაშინვე წამოვხტი და დავაპირე გაქცევა, მაგრამ დამედევნენ და ხელად დამიჭირეს. სამჯერ ვცადე გაქცევა უკან, ზეგანში, მარა არ გამივიდა. თვალწინ გულწასული ჩემი ძიძა – კესარია მედგა სულ.

დედაჩემი სასტიკი ქალი იყო, ხოდა, უბრძანა მოჯამაგირეს, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი, გოგი ადგილიდან არ დაიძრასო, ასე რომ, ვიყავი დაკავებული პატარა ბავშვი, ვჭყვიროდი, ვყვიროდი, თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერი გამოვიდა.

ჩაკეტილი ვიყავი მოსამსახურე ქალთან, რომელიც მეორე ლოგინზე იწვა და მე მდარაჯობდა, გარეთაც მდარაჯობდნენ. მეორე დღეს, მთელი ღამის ნამტირალევსა და დატანჯულს, ძლივს გამომელვიძა. თქვენ წარმოიდგინეთ, თავს მევლებოდნენ, არ მშორდებოდნენ. ხოდა, იქ გავათიე ერთი ღამე, მეორე ღამე, მესამე . . . მეოთხე ღამეს, როგორც იქნა, დრო ვიხელთე და გავიქეცი, მაგრამ შუა გზაზე, ეზოში დამიჭირეს. ეზო, თუ ახლაც არის, დიდი, გრძელი ეზო იყო, ამიტომ მესერამდე ვერ მივაღწიე და ისევ დამიჭირეს. მოკლედ ვიყავი ტყვედ გადაქცეული. ასე გავიდა მთელი კვირა, სანამ დამარწმუნეს, რომ ტყუილია ყოველივე ცდა, რომ მე აქედან გავიქცევი და ბედს უნდა დავმორჩილდე, რადგან ვეკუთვნი ამ ოჯახს და არა ივანე ანთელიძის ოჯახს, რომ მე ვარ ნაკაშიძე და ვარ თავადიშვილი.

ჯერ კიდევ ძიძის სახლში მეუბნებოდნენ, რომ შენ ჩვენ არ გვეკუთვნიო, მაგრამ მე არ მესმოდა, რატომ. მერე, როცა წამომიყვანეს ჩემს ნამდვილ ოჯახში, სულ მიკვირდა, რატომ უნდა ვიყო აქ და არა ჩემს საყვარელ ძიძასთან, სადაც ვიყავი ნამდვილი შვილი და ჩემი მშობლები იყვნენ ძიძა და მისი ქმარი, მყავდა და-ძმა (რომელნიც უკვე ჩამოვთვალე). აქედან ივაკი უფროსი იყო, რომელიც ჩემი წამოსვლიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მე იმის დარდს კინაღამ გადავყევი.

აი, ასეთი იყო ჩემი ცხოვრების პირველი წლების ტრაგედია.

– ბატონო გიორგი, იქნებ გვითხრათ, როგორი გახსოვთ ამ პერიოდის სოფელი მაკვანეთი.

- მაკვანეთი მახსოვს ასე: ჭყაფშანასა და გორმაღალის ქედს შორის აკვანივით ჩაწოლილი ულამაზესი სოფელი, რომელსაც ერთ მხარეს სოფელი ლიხაური ესაზღვრებოდა, ხოლო მეორე მხარეს – შემოქმედი. ადრე თურმე მას აკვანეთი ერქვა, მისი ადგილმდებარეობის გამო. ზემო მაკვანეთში, გორმაღალის ქედის გაგრძელებაზე, პატარა ეკლესია იდგა, ჩვენ იქ წირვაზე დავდიოდით. დღესასწაულებზე ამ ეკლესიაში გიგო ერქომაიშვილის გუნდი გალობდა. ამ ეკლესიის ახლოს არის შესანიშნავი გადასახედი. ამ გადასახედიდან თითქმის მთელი დასავლეთ გურია მოჩანს. მზიან დღეს, დილით, მშვენიერი სანახავი იყო შემოქმედის მონასტერი, რომელიც ჩვენი ეკლესიის პირდაპირ იდგა, მზის ჩასვლის დროს კი ზღვაში გემებს ვხედავდით. იქიდან ხომ ქობულეთი სულ რაღაც 25 კმ-ზეა. მოკლედ, ამ გადასახედიდან ზღაპრული პანორამა იშლებოდა ყოველ მხარეს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბიძაჩემმა ერმილე ნაკაშიძემ იმ ულამაზეს ადგილას ააგო დასასვენებელი სახლი, სადაც ზაფხულობით მთელი ჩვენი ოჯახები ისვენებდნენ. ეზოში გააშენა ჩაის პლანტაცია, დარგო უცხოეთიდან ჩამოტანილი სუბტროპიკული ხეები, გააკეთა სათამაშოები – კეგლი, კარუსელი და სხვა. მოკლედ, იქაურობა ნამდვილ სამოთხეს დაამსგავსა. ზაფხულში საღამოობით, იქ

იკრიბებოდნენ სოფლელები და იყო ერთი მხიარულება და ცეკვა-თამაში. ერმილე ნაკაშიძეს ხშირად ჰყავდა სტუმრები თბილისიდან და უცხოეთიდან, რომელბსაც იქედან წასვლა აღარ უნდოდათ. ერთხელ ერმილეს ფრანგები ესტუმრნენ, მან გიგო ერქომაიშვილს სთხოვა, შენი მომღერლები მომიყვანეო, ხოდა მეც იქ ვიყავი იმ ღამეს. იმის მოსმენას არაფერი სჯობდა, ფრანგები განცვიფრებულები იყვნენ ამ არაჩვეულებრივი მომღერლებით და, საფრანგეთში უნდა წაგიყვანოთო, – შეჰპირდნენ. მერე ქვეყანა აირია და რა ქნეს, არ ვიცი.

– ბატონო გიორგი, მე ბაბუა არტემმა მიამბო მაგ ფაქტის შესახებ და ისიც დაუმატა, რომ როცა სტუმრები წავიდნენ, ბატონმა ერმილემ თურმე დაიბარა გიგო ერქომაიშვილი და ზეგანზე, გოლიათოურას ფერდობზე, 5 ქცევა მიწა აჩუქა, ამას დაუმატა ერთი უღელი ხარი, რამდენიმე ძროხა და ღორი და დამბაჩა, რომელსაც მაშინ „ვითოჟირს“ ვეძახდითო. თურმე ამ საჩუქარმა გამართა ნელში გიგო ერქომაიშვილის მრავალშვილიანი ოჯახი, მაგრამ რა გინდა, შემოვიდნენ ბოლშევიკები და ყველაფერი წაართვეს და ახლა ჩვენს ყოფილ მამულში ისეთი ეკალბარდებია, რომ ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანს.

– ოჰ, კაცო, ბოლშევიკებისაგან მაგი არ მიკვირს, ხოდა, იმას მოგახსენებდით, ასეთი მახსოვს ზემო მაკვანეთი. ჩვენი სახლი, ე.ი. ნაკაშიძეების საგვარეულო დიდი სახლი, ზემო მაკვანეთს დაშორებული იყო სამი კილომეტრით, მაშინ ვერსს ვეძახდით, ხოდა, ქვემო მაკვანეთის შუაში გოგიეთიდან მოდიოდა მდინარე აგიდაყვა, რომელიც უერთდებოდა ლიხაურიდან მომავალ მდინარე აჭისწყალს და აჭისწყალი აგიდაყვათი უერთდებოდა მდინარე ბუუჟს. ის უკვე მისავალი იყო ოზურგეთთან. მახსოვს, გაშლილი მინდვრები რომ მოდიოდა ოზურგეთისაკენ. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ხიდი წაღებული იყო და მდინარეზე გადავდიოდით ფეხით. გავიხდიდით წუღებს, დავიკოტავებდით შარვალს და გადავდიოდით მდინარე ბუუჟზე, სადაც უფრო მეჩხერი (დაბალი) წყალი იყო.

მახსოვს, იმ გაშლილ მინდვრებში თამაში იმართებოდა, განსაკუთრებით აღდგომა დღეს, წირვიდან ხალხი რომ ბრუნდებოდა, თამაშობდნენ ლელობურთს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცოლიანები და უცოლოები, ყველას დიმიტრი მუჯირი ჯობნიდა, ბურთიანად ახტებოდა თავზე მოთამაშეებს. ის რომ ბურთს ჩაიგდებდა ხელში, მისი დამჭერი აღარავინ იყო.

– ახლა, ბატონო გიორგი, მიბრძანეთ თქვენი გვარიდან ვინ გახსოვთ?

– ჩემი გვარიდან? ჩვენ 12 და-ძმა ვიყავით, ყველა მახსოვს. მამაჩემი

ბუნდოვნად მახსოვს, იგი ძიძასთან მოდიოდა ხანდახან საჩუქრებით, მაგრამ ვინ იყო, მაშინ არ ვიცოდი. სახლში რომ ჩამომიყვანეს, მამაჩემი ცოცხალი აღარ დამხვედრია. მას ცხენზე მჯდომს მოჭრილი ხე დაეცა, ექვსი დღე იცოცხლა თურმე და წამებაში გარდაიცვალა. მერე მთელი საზოგადოება დასტიროდა, მელქისედეკ ნაკაშიძისნაირი კაცი არც დაბადებულა და არც დაიბადებაო, – ამბობდნენ მაკვანეთელები. ამით შემდეგ ბავშვობაშიც კი ვამაყობდი, ერთი ცუდი მამაჩემზე არ გამიგონია, მის სახელს ყველა ისეთი მოწიწებით და სიყვარულით იგონებდა, რომ პირდაპირ წარმოუდგენელია ასეთი სიყვარული. ეტყობა, მართლაც ძალიან გულკეთილი კაცი ყოფილა. დედაჩემზე ამას ვერ ვიტყვი, იგი საშინელი კაპასი ქალი იყო, მისი ხელი დღესაც მახსოვს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც უყვარდათ, იმიტომ, რომ იყო მელქისედეკ ნაკაშიძის ცოლი. სხვათა შორის, დედაჩემი სახლში იყო კაპასი, თორემ გლეხებთან ძალიან კარგი დამოკ-

იდებულება ჰქონდა: მახსოვს, როცა ვინმე ავად გახდებოდა, მოდიოდნენ დედაჩემთან თხოვნით: ბატონო გულიზარ, უნდომი (ავადმყოფი) მყავს, თუ შეიძლება, ცოტა ჩაი მოგვეციო. დედაჩემი სულითა და გულით ყველას ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. მე იგი „სტრაუნიკად" მეჩვენებოდა ძიძასთან შედარებით. ძიძა იყო ჩემი ნამდვილი დედა, ისე მიყვარდა, რომ ნამდვილ დედას მერჩივნა. მასაც შვილივით ვუყვარდი.

დედ-მამის გარდა, ბიძაჩემი ერმილე ნაკაშიძე მახსოვს. ოო, ერმილე, ბიცოლაჩემი ივლიტა, სიყვარულით „იტას" რომ ვეძახდით... მათ გააშენეს პირველი ჩაის პლანტაცია საქართველოში, ჯერ თავის მამულში, მერე მიშა ნაკაშიძის მამულში, ფაბრიკაც ააგეს სოფელ ზვანში, პირველი ჩაის ფაბრიკა და გამოუშვეს თავისი ფირმის ჩაი „ერმილ-იტა". მე ხშირად დავდიოდი მათთან ზვანში, როცა მოწაფე ვიყავი. ბიცოლაჩემი ივლიტა ძალიან განათლებული ქალი იყო, გეოგრაფიას ასწავლიდა. ერმილე ნაკაშიძე პროფესიით აგრონომი იყო, სწავლა-განათლება მიღებული ჰქონდა პოლონეთში. იქ არის ქალაქი პულავი, ხოდა, იქ იყო ერთადერთი აგრონომიული სასწავლებელი – Александровский институт.

სხვათა შორის, ბიძაჩემი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში თავის ალალ მამიდაშვილ ექვთიმე თაყაიშვილთან და ნიკო მართან ერთად. გადაფსკვნილი მეგობრები იყვნენ.

ბიძაჩემს უნდოდა, მეც აგრონომი გამოვსულიყავი, როგორც ჩემი ძმა, რომელიც იტალიაში გაგზავნეს სასწავლებლად. ერმილე ნაკაშიძე ზრუნავდა თავისი სოფლის – მაკვანეთის მოსახლეობაზე. მან მამაჩემთან ერთად მაკვანეთში გახსნა დაწყებითი სკოლა. მეც იმ სკოლაში დავიწყე სწავლა. ხოდა, მახსოვს ჩემი საყვარელი მასწავლებელი იყო გიორგი ნამიჭეიშვილი, შესანიშნავი ადამიანი, ნამდვილი პედაგოგი, მე მისი საყვარელი მოწაფე ვიყავი. სკოლა ორკლასიანი იყო. პირველ კლასში სამი წელი უნდა გესწავლა, მეორეში – ორი, სულ ხუთი წელი. ხოდა, პირველივე წელს რუსულად გვასწავლიდნენ ყველაფერს. ეს პედაგოგიური თვალსაზრისით არ არის გამართლებული, მაგრამ რას იზამ, იმ დროს ასე იყო დაკანონებული. სწავლის პირველივე დღეებში გვასწავლიდნენ ასე:

– Кто ваш учитель?

– Наш учитель его благородие Георгий Фадеевич Намичеишвили.

– А кто ваш инспектор?

– Наш инспектор его высокородие Константин Давидович . . . (ჩაფიქრდა) ა! უყურე შენ, გუშინ მახსოვდა, ახლა დამავიწყდა . . . ჰო, Константин Давидович Мачавариани.

– А кто директор?

– ის უკვე ვიშნევსკი იყო, სახელი დამავიწყდა.

– ბატონო გიორგი, თქვენ თავადიშვილი ბრძანდებოდით. მაკვანეთის სკოლაში მარტო თავადები სწავლობდნენ თუ გლეხებიც?

– რას ამბობ, კაცო! გლეხები და თავადები ერთად ვსწავლობდით. ჩემი საუკეთესო მეგობარი, დედამიწის ზურგზე იმაზე მეტად რომ არავინ მიყვარდა, იყო ლევარსი ანთელიძე, გლეხის – პავლე ანთელიძის შვილი. პავლე, ივანე, ანტონი და გოჯასპირი ძმები იყვნენ.

– გოჯასპირს მგონი დუქანიც ჰქონდა მაკვანეთში. დღემდე ამ ადგილს „გოჯასპირის დუქანს" ეძახიან.

– კი, დუქანი ჰქონდა, შესანიშნავი დუქანი. ყველაფერი იყიდებოდა, თქვენ წარ-

მოიდგინეთ, პაპიროსის ქაღალდიც კი. რამდენჯერ გავუგზავნივართ დედაჩემს მე და ჩემი ძმა დათიკო – ჩემზე ერთი წლით უმცროსი და ჩემზე ერთი თავით მაღალი. მე დაგვარჯღული – დაგვალული (დაბალი, პატარა ტანის) ვიყავი, არ გავიზარდე, რა მექნა, ყველას ხომ თქვენნაირი ბედი არ ექნება.

ხოდა, იმას ვამბობდი, მაკვანეთის სკოლაში ყველაზე მეტად მიყვარდა ლევარსი ანთელიძე. დედამისს ერქვა გონე, მე მას ოქროსთმიანს ვეძახდი, ვინაიდან ყვითელი თმები ჰქონდა. ძალიან ლამაზი ქალი იყო, სხვათა შორის, მეორე ცოლი იყო პავლესი, პირველი მოუკვდა. გონეს ჰყავდა გერები: ბიჭი და გოგო, რომლებიც ჩვენზე უფროსები იყვნენ. ლევარსი ჩემი ხნის იყო.

სწავლაში ჩვენ ორივეს გვჯობნიდა ანტონ ანთელიძის შვილი, რომელსაც . . . აი, უყურე, გუშინწინ მახსოვდა სახელი, ახლა დამავიწყდა. მის ძმას ერქვა გიორგი. იგი მასწავლებლად მუშაობდა ჭიათურაში, იყო ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატი ჟორდანიასთან ერთად, მაგან შემოიტანა სოციალ-დემოკრატიზმი მაკვანეთში, მაგრამ, ჩვენ მაშინ მაგის არაფერი გაგვეგებოდა.

– რა გვარები გახსოვთ მაკვანეთში?

– მაკვანეთში მახსოვს... (ჩაფიქრდა, თვალები მოჭუტა) რასაკვირველია, ანთელიძეები, გარდა ამისა, მახსოვს: ბაბილოძეები, ერქომაიშვილები. ბაბილოძეები და ერქომაიშვილები მომღერლები იყვნენ, კაცო. გიგო ერქომაიშვილი და გიორგი ბაბილოძე მთელ გურიაში განთქმული მომღერლები იყვნენ და კიდევ გიორგი იობიშვილი. მე პირდაპირ შეყვარებული ვიყავი მათ სიმღერაში, მარა მე ხმა არ მქონდა. ხოო... კიდევ გოლიაძეები მახსოვს, მსხალაძეები, თოიძეები, ცეცხლაძეები, ჭანუყვაძეები, ბერსენაძეები, აბაშმაძეები, ხო, კიდევ გოი მახსოვს, დიახ პეტერ გოი. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსის ჯარში მსახურობდა, მერე ცოლი შეირთო და მაკვანეთში დარჩა. კიდევ პუხლოვი, სახელი დამავიწყდა... კიდევ ცელაძეები მახსოვს, მუჯირის გვარი ერთი თუ ორი ოჯახი იყო, სხვა სოფლიდან თუ იყვნენ ჩამოსახლებული, კიდევ ბილიხოძეები მახსოვს, ლისაია ბილიხოძე, მისი ქმარი კონდუქტორად მუშაობდა. კაპასი ქალი იყო ლისაია და ერთ დღეს თავის დედამთლს წალდით თავი გაუჩეხა. მახსოვს, მეზობლებმა შეაგროვეს ობობას ქსელები და თუთუნი, მერე ლისაიას დედამთილს ჭრილობაში ჩააყარეს და ჭინჭებით შეუკრეს. რამდენიმე დღის შემდეგ ექიმი გრიგოლ თაყაიშვილი მოიყვანეს ცხენით, ხოდა, თქვენ წარნოიდგინეთ, ყოველივე ეს დატოვა ჭრილობაში და თქვა, სხვა არავითარი წამალი არ უნდაო. მართლაც, ჭრილობა თანდათან შეხორცდა და მორჩა ლისაიას დედამთილი, ცისკარიძის ქალი. ლისაიას ხუთი წელი კატორღა მისცეს, მერე რომ ჩამოვიდა, ჩვენ გვეშინოდა ლისაიასი ძალიან, ბავშვები ვემალებოდით, ჩვენც თავი არ გაგვიჩეხოსო.

(გულიანად გაიცინა).

– ბატონო გიორგი, მაკვანეთის სკოლა როდის დაამთავრეთ?

– მაკვანეთის სკოლა არ დამიმთავრებია. ერთ დღეს ჩვენთან ჩამოვიდა ყვარლის სასწავლებლის დირექტორი. მაშინ მე ვიყავი მეორე კლასში. რექტორს თან ახლდნენ ჩვენი მზრუნველი – პროტექტორი ერმილე ნაკაშიძე და მასწავლებელი გიორგი ნამიჭეიშვილი.

– აბა, ნაკაშიძე, წაგვიკითხე ლექსი „Дедушка“, – მითხრა ჩემმა მასწავლებელმა. მე წამოვდექი და ჩავაბულბულე:

„Лысий, белой бородой,

Дедушка сидит,
Чашка с хлебом и водой
Перед ним стоит.
Бел, как лун,
На лбу морщины,
С испытым лицом,
Много видел он
Кручины на веку своем."

(წაიკითხა შესანიშნავი რუსული აქცენტით).

აი, ასე. თქვენ წარმოიდგინეთ, უზარმაზარი ლექსი ჩავაბულბულე და დღესაც კი მახსოვს ნაწილი, 3-4 წლის წინ მთლიანად მახსოვდა და დამავიწყდა უკვე.

ხოდა, ეს რომ ჩავაბულბულე, იმ დირექტორმა ბიძაჩემს უთხრა, რომ ეს ბავშვი უნდა გაიგზავნოს სხვა სასწავლებელშიო. გადაწყდა, სასწავლებლად გადამაგზავნეს ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სოფელში. ილია მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

არასოდეს დამავიწყდება ეზო, სადაც იდგა Дворянское Сацхенинское казённое училище.

იქ ხუთწლიანი სწავლება იყო, იქაც რუსულად გვასწავლიდნენ ყველაფერს, რამდენჯერ ყურები ამიწიეს, როცა შემომისწრო ნადზირატელმა (ზედამხედველმა), რომ „გურული-ქართულით" ვლაპარაკობდი. ის სასწავლებელი ჩაკეტილი იყო. ხანდახან არდადეგებზეც კი ვრჩებოდით ყვარელში და ვმუშაობდით საბაღოსნო სკოლაში, ამერიკული ჯიშის ველური ვენახის ძირზე ვამყნობდით რქაწითელს და იმას ვუძახდით კეთილშობილ ჯიშებს. ასე რომ, მეც აგრონომი უნდა გამოვსულიყავი, შემდეგ ან იალტაში უნდა მესწავლა, ან პულავში. ყვარელში ისეთი სიმკაცრით გვასწავლიდნენ რუსულად, რომ მე გარუსებული ვიყავი და როცა სხვა სასწავლებელში გადავედი, იქ რუსად მთვლიდნენ.

– ყვარელში ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათ?

– ყველაზე უფრო დამამახსოვრდა თელავის მაზრის მარშალი იური ჭავჭავაძე. იგი იყო ადვოკატი, ახალგაზრდა, ლამაზი ვაჟკაცი, ცოლად ჰყავდა ვახვახიშვილის ქალი. „Прекпасная Елена" – ასე ეძახდნენ რუსის მასწავლებლები იური ჭავჭავაძის მეუღლეს. მე, ათი წლის ბავშვი, შეყვარებული ვიყავი ამ ქალში. ჩემი ძმა კოტე ჩუმლაყის სახელმწიფო საოფიცრო მამულის ინსპექტორად მუშაობდა. იმასთან ხშირად სტუმრობდნენ იური ჭავჭავაძე და მისი მეუღლე, მერე დაქვრივდა საწყალი ელენა. მაშინ იქნებოდა, ალბათ, ასე 40 წლის, მაგრამ გადასარევი სილამაზის ქალი იყო.

– „Прекпасная Елена"... (დიდხანს ჩაფიქრდა)

– ბატონო გიორგი, რამდენი წლისამ დაამთავრეთ ყვარლის სასწავლებელი?

– 13 წლისამ. 14 წლის რომ შევსრულდი, ჩემმა რძალმა – კოტეს ცოლმა შემიყვანა სახალხო სემინარიაში, ხონში. იქ დირექტორად იყო ჩემი რძლის ყოფილი დირექტორი.

დავიჭირე გამოცდა. ხუთი სტიპენდია იყო და მოვხვდი პირველთა შორის, ვინაიდან რუსული ვიცოდი კარგად, ქართული უფრო მოგვიანებით შემოიღეს სემინარიაში.

ხონის სემინარია დავამთავრე 1913 წელს. ხოდა, თითონ მოვინდომე მასწავლებლობა მაჰმადიან საქართველოში და დამნიშნეს მარადიდში. იგი მდებარეობს 25 კმ-ზე ბათუმიდან, ბორჩხაში და ართვინში რომ მიდიხართ, იმ გზაზე, ჭოროხის პირას. მარადიდში ვიმუშავე, სანამ პირველი მსოფლიო ომი დაიწყებოდა. 1914 წელს იქ თურქები

შემოვიდნენ.

მარადიდი მაშინ იყო დაბა, პრისტავი განაგებდა, რასაკვირველია რუსი. ჭოროხი ხომ ჩქარი და მღვრიე მდინარეა, ხოდა იმ მდინარის პირას იდგა ყავახანა, რომელიც ეკუთვნოდა ისაკ ეფენდი ხალვაშს. ეს კაცი იყო გაბატონებული მთელ მარადიდში და სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ისაკ ეფენდიმ იცოდა შელოცვა. რამდენჯერ დამინახავს ჩემი თვალით, რომ ყავახანაში მოირბენდა ვინმე და ეტყოდა: ისაკ ეფენდი, მიშველე, ჩემს ცოლს (ან დედას, ან ვინმე ახლობელს) უკბინა გველმა და ავადმყოფი ცუდად არისო. ისაკ ეფენდი გაიყვანდა მას ცალკე ოთახში, შეულოცავდა და ეტყოდა, წადი ახლა სახლში, შენი ავადმყოფი კარგად არისო. წავიდოდა ის კაცი და ნახევარ საათში მოვარდებოდა ისევ, ისაკ ეფენდის ფეხებში ჩაუვარდებოდა, ეტყოდა, ჩემი ავადმყოფი უკვე მორჩა და ფეხზე დადის, სულ გამოუვიდა, რაც ბალღამი ჰქონდაო

ახლა ტყუილი იყო ეს თუ წარმოდგენა, არ ვიცი, მაგრამ მე ამ ამბის ცოცხალი მოწმე გახლავართ.

მერე მე ვთხოვე ისაკ ეფენდის, ესწავლებინა ჩემთვის შელოცვა. მან ჩამაწერინა მთელი თაბახი, რომელიც ზეპირად ვიცოდი. შელოცვა იწყებოდა ასე: „ჯურნი, მურნი, დუიურნი, უსტუპ, დუბ“... მეტი აღარ მახსოვს ეს შელოცვა. ზეპირად კი ვისწავლე, მაგრამ არ მომესწრო, რომ ვინმესთვის შემელოცა და გადამერჩინა. თუმცა გაკვეთილებს რომ გავათავებდით 2 საათზე, მერე სულ ყავახანაში ვატარებდით დროს, ნარდს ვთამაშობდით, ყავას ვსვამდით.

– რა ენაზე იყო ეს შელოცვა?

– ეშმაკმა იცის, ვინაიდან მე, ბატონო, ჯერ ვსწავლობდი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, მერე ბერლინის, ვრაცლავის და პრაღის უნივერსიტეტებში. მაშინ მოდაში იყო რამდენიმე ფაკულტეტის დამთავრება. ხოდა, მერე ვმუშაობდი კოლუმბიის უნივერსიტეტში, ვაშინგტონის უნივერსიტეტში. ორიენტალური ენების მცოდნე პროფესორებს მოვუყვებოდი ამ ამბავს და ვეკითხებოდი: რა ენას შეიძლება მივაკუთვნოთ „ჯურნი, მურნი, დუიური, უსტუპ, დუბ“ . . . – არავინ არ იცოდა, ორიენტალური ბენგალური ენის, სპარსულ-არაბული და სხვა ენების მცოდნეებმა ვერაფერი მიპასუხეს.

სხვათა შორის, ნიკო მარის შვილი ხომ სპარსულსა და არაბულს ასწავლიდა საქართველოში, იმასაც კი მოვუყევი ეს ამბავი, მანაც არაფერი იცოდა. რაღაც უცნაური ენა იყო.

როცა მადრიდში ვმუშაობდი, 1913 წელს ჩამოვედი თბილისში სტუმრად ნინო და ილია ნაკაშიძეებთან, ისინი ტოლსტოველები იყვნენ. ნიკო და ილია ყოველ ზაფხულს დადიოდნენ იასნაია პოლიანაში და გაზეთებში იწერებოდა წერილები სათაურით: „ტოლსტოის სტუმრები“.

მეც ხომ ტოლსტოველი გავხდი, მაგრამ მაინცდამაინც მისი თაყვანისმცემელი არ ვიყავი. ბიჭო, ეს კაცი ხორცს არ ჭამდა, პერანგს მუჟიკისას იცვამდა, თვითონ ხნავდა მიწას. მოკვდა, აუარებელი ქონება დარჩა და ერთი დესეტინა მიწა არ დაუტოვა გლეხებს. მე მიკვირდა, მისი სიტყვა და საქმე რაღაც ერთმანეთს არ ეთანხმებოდა. აბა, სხვაფრივ მისი კრიტიკა ხომ არ შეიძლება, უდიდესი პიროვნება იყო, კაცო, მწერალი ხომ გადასარევი.

ნინოსა და ილიას წაბაძვით მეც ვეგეტარიანელი გავხდი. მერე, როცა აჭარაში დავბრუნდი, არა თუ ღორის ხორცს, არ ვჭამდი არანაირ ხორცს, არ ვსვამდი ღვინოსა და არაყს, ამიტომ აჭარლებმა ჩემზე თქვეს: ეს კაცი წმინდა ხოჯა ეფენდი ყოფილაო.

კაცო, კეცზე რომ ვარიას შეწვავდნენ და ზედ რომ იმას მოასხამდნენ, რა ჰქვია . . . (ვერ გაიხსენა), გადასარევი რამ იყო, ჩემი სული იმაში იყო, მაგრამ ტოლსტოველი ვიყავი და არ შეიძლებოდა ხორცის ჭამა. მოკლედ, ორი წელი გავუძელი, მერე, ომი რომ დაიწყო, ყოველდღე ათიათასობით დაღუპული კაცის გვარი იყო გაზეთებში. მე ვთქვი, კაცო, ვარია-ქათმების სიცოცხლეს ვუფრთხილდებით, აქ კი ათიათასობით ხალხი იხოცება, არ მინდა ამისთანა მოძღვრება-მეთქი, – ვთქვი და ქე დავიწყე ხორცის ჭამა.

ომი რომ დაიწყო, მარადიდში თურქები შემოვიდნენ, მათ მთელი აჭარა დაიკავეს, შეწყდა სწავლა-განათლება. თურქების შემოსვლამდე 11 დღით ადრე ჩვენ გაგვაფრთხილეს და უფასოდ მოგვცეს პირველი კლასის ბილეთები პეტერბურგამდე მთელი ოჯახებით. მე დავასახელე ოჯახის ცხრა წევრი. მერე ის ბილეთები ჩემგან სტუდენტმა ციციშვილმა იყიდა ას მანეთად. ასი კი არა, ათი ათასიც კი ღირდა, რადგან შეგეძლო, რამდენიც გინდოდა, იმდენი საქონელი წაგეღო.

– თქვენ სად წახვედით?

– ოზურგეთში. იქ თურქები შემოვიდნენ, მარა მე, ჩემი დები: კაკიე, კაკალა, ვარდო და სხვები სოფელ ბახვში გადავედით. ბახვში თურქები არ შემოსულან, ისინი სოფელ დვაბზუში გაჩერდნენ. მერე მე ბახვიდან ოზურგეთში შემოვედი. თურქებმა ხელი არ მახლეს. იქ ვნახე ჩემი ძიძიშვილი ელისე ანთელიძე, რომელსაც ოზურგეთში ტყავეულის მაღაზია ჰქონდა. ჩემთვის ის იყო ნამდვილი პროფესორი, შესანიშნავი ადამიანი ყოველმხრივ. თურქული იცოდა მგონი თურქებზე უკეთესად. ძალიან მდიდარი კაცი იყო, ასე რომ, ომის დამთავრებამდე დავრჩი ოზურგეთსა და მაკვანეთში. მეძლეოდა ჯამაგირი და ვიყავი თავისუფალი. ის კი არა, რევოლუციამდეც იქ ვიყავი, თუმცა მე იქ არ მქონდა მოწონება, რადგან მე ფედერალისტი ვიყავი, მთელი გურია კი იყო გასოციალდემოკრატებული.

– ვინ შემოიტანა გურიაში ეს მიმდინარეობა?

– ჟორდანიამ, ნოე ჟორდანიამ შემოიტანა ეს ყოველივე, ჟორდანია იყო, ოო!!! იგივე ფილიპე მახარაძე, მახარაძე ხომ ქეციანი იყო ყოველთვის.

მოკლედ, ფედერალისტებს გურიაში არ ჰქონდათ მოწონება. მაკვანეთში ხალხმა რომ გაიგო, რომ მე ფედერალისტი ვარ, თქვეს: კაცო, ჩვენ გვეგონა, რომ ბატონი გოგი ჩვენი კაცია და თურმე ჩვენი მტერი ყოფილაო. ასე იმიტომ ფიქრობდნენ, რომ ფედერალისტებს სოციალ-დემოკრატები მიწაში დებდნენ მაშინ. მახსოვს, ეს რომ ტრიფონ თოიძემ გაიგონა, ხალხს უყვირა: „რას ამბობთ, მელქისედეკ ნაკაშიძის შვილი როგორ შეიძლება ჩვენი მტერი იყოს, მელქისედეკი იყო ჩვენი საუკეთესო მეგობარი, მისი შვილიც ასეთი იქნება, რაც არ უნდა პარტიის წევრი იყოს, სულერთია, ბატონი გოგი მაინც ჩვენი კაცი არისო", – მე მადლიერი ვიყავი, რომ ასე დამიცვა სხვასთან, მაგრამ მივხვდი, რომ სოციალ-დემოკრატების პროპაგანდის გამო, მე გავხდი ხალხის მტერი რევოლუციის პირველი დღიდანვე.

– როგორ დაგამახსოვრდათ 1917 წლის რევოლუცია?

– ამ რევოლუციას მთელი გურია და საერთოდ მთელი საქართველო აღფრთოვანებით შეხვდა, ყველა ამბობდა, რომ ნამდვილი აღდგომა გაგვითენდაო. ჩვენ, ახალგაზრდებიც გატაცებული ვიყავით რევოლუციით, მარა რად გინდა, ბედი არ მწყალობდა, რადგან ვეკუთვნოდი არა სოციალ-დემოკრატების, არამედ თებერვალისტების (ასე გვეძახოდნენ დაცინვით ფედერალისტების პარტიას), ბურჟუა კაპიტალისტების, თავადაზნაურობისა და „მუშებისა და გლეხების მტრების" (ასე ამბობდნენ მაშინ) წარ-

მომადგენლების პარტიას.

შევძულდი ხალხს.

მაკვანეთში ერთადერთი ფედერალისტი ვიყავი, ოზურგეთში იყო ორი, ოტია ურუშაძე რომ იყო ვაჭარი, ე, იმის შვილები, ქუთაისში სწავლობდნენ მერე, სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ერთს ერქვა ნიკო, მეორეს... ა! უყურე შენ, სახელი აღარ მახსოვს.

ასე რომ, მე ვიყავი უჯარო გენერალი, დანარჩები სულ იყო ახალთაობა, ანუ სოციალ-დემოკრატები, ჟორდანიას პარტია.

– როგორ გახსოვთ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადება?

– ეს იყო მოულოდნელი ამბავი. საქართველოს დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდნენ, რომ თურქები და გერმანელები არ შემოსულიყვნენ საქართველოში, ეს იმათ გამოაცხადებინეს დამოუკიდებლობა. საქმე იმაში გახლდათ, რომ გერმანია თავიდანვე ჩვენი მეგობარი იყო, იგი არ იყო მომხრე, რომ თურქეთს საქართველო ჩაეგდო ხელში, ამიტომ გერმანიამ მიხაკო წერეთელი და არჩილი... (ჩაფიქრდა) ჯორჯაძე იყო მგონია გვარი, აი, დამავიწყდა, უყურე შენ, მოკლედ ის ორი კაცი გამოგზავნა დესპანებად და მათი მეშვეობით საქართველო იხსნა თურქებისაგან იმ პირობით, რომ იგი ჩამოშორდებოდა რუსეთს, თორემ სხავ შემთხვევაში ჟორდანია უმალ თავს ჩამოიხრჩობდა, ვიდრე რუსეთსა და პლეხანოვს უღალატებდა. აი, ამიტომ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, სიმართლე უნდა ითქვას, ისტორიული.

დღეს ჟორდანია სიმბოლო და ემბლემაა საქართველოს დამოუკიდებლობისა, ჟორდანია იყო, კაცო ... იჰ (ხელი ჩაიქნია).

1917 წელს, რევოლუციის პირველ დღეებში, ამიერკავკასიის მასწავლებლების ყრილობა ჩატარდა. დელეგატები იყვნენ მთელი ამიერკავკასიიდან 380 კაცამდე. მათ შორის იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, ბერძნები, მოკლედ, ყველა რჯულის ხალხი იყო. ახლა ტრაბახობად გამომივიდა, მაგრამ ეს ფაქტი ისტორიაში შევიდა. დაიბეჭდა კამათი ჩემსა და თედო კიკვაძეს შორის, თედო კიკვაძე იყო ცნობილი პედაგოგი, მაგრამ გაჭენებული სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, ჟორდანიასთან ერთად გაათავა სემინარია და მისი საუკეთესო მეგობარი იყო. მე, მოგეხსენებათ, ფედერალისტი ვიყავი, ხოდა, მოხდა ისე, რომ ამ ყრილობაზე შევეტაკეთ ერთმანეთს. გაზეთებში იყო ის ამბავი დაბეჭდილი. „სახალხო საქმე“ ბეჭდავდა ჩემს გამოსვლას, ხოლო „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავდა კიკვაძის გამოსვლას.

მოკლედ, დავეტაკეთ ერთმანეთს და 380 დეპუტატიდან 300 მომემხრო მე. ამაზე თედო კიკვაძემ გააშალაშინა წერილი „ერთობაში“ – „სახალხო მასწავლებელთა პოლიტიკური ჩამორჩენილობა“, ამას ამტკიცებდა იმით, რომ მათი უმრავლესობა მიემხრო სოციალ-ფედერალისტების პროპაგანდისტს გიორგი ნაკაშიძესო.

სოციალ-დემოკრატებს, ბატონო, საქართველოს დამოუკიდებლობა არ სწამდათ, ფედერალისტები კი დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ: ავტონომია, ტერიტორიული ავტონომია და ფედერაცია – სხვა არაფერი. დამოუკიდებლობა სჯეროდა მარტო მიხაკო წერეთელსა და არჩილ ჯორჯაძეს, მეტს არავის.

ჯორჯაძე და წერეთელი გერმანიიდან ბათუმში წყალქვეშა ნავით ჩამოვიდნენ. მათ თან ჩამოყვა ორი კაცი. ერთი ლადო... ოზურგეთელია... ფუ! კაცს ჭადის სახელი დაავიწყდაო, მოკლედ, ის ლადო და ბიძინა ქუთათელაძე.

ამ ლადოს მოსპეტილი (მოტვლეპილი) თავი ჰქონდა, ადრე ტიფი შეეყარა და თმები

გასცვივდა, მაგრამ ეტყობა, ქალებს მოსწონდათ, რადგან დღეში 3-4 ქალს იცვლიდა, რაღაც უცნაური კაცი იყო, ფენომენი იყო, ფენომენი.

– პირადად თუ იცნობდით ნოე ჟორდანიას?

– მაგან გამაბრიღადირა, კაცო, ნოე ჟორდანიამ მომსპო მე, ხელი არ ჩამომართვა, ახლოსაც არ გამიკარა (გაბრაზებით)... „ის არის რეაქციონერი ბურჟუა-კაპიტალისტების მომხრეო“.

კაცო, ერთი რამ არის. ამაში დამარწმუნა შემდეგმა გამოცდილებამ. ხალხი, მეტადრე მუშა და გლეხი და ინტელიგენცია, მისდევს იმას, ვინც მასზე მეტ ზეგავლენას ახდენს. ვინ ახდენდა მაშინ ხალხზე მეტ ზეგავლენას? – ასი სოციალ-დემოკრატი და ორი ფედერალისტი. ამიტომაც, ხალხი მისდევდა სოციალ-დემოკრატებს.

– ინტელიგენცია?

– ინტელიგენცია მხარს უჭერდა ფედერალისტებს, მაგრამ ინტელიგენცია ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენს.

რევოლუციამდე საქართველოში ნამდვილი ორი პარტია იყო: სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ჩვენ პირველები მივესალმეთ ჟორდანიას, ხალხი მას ცნობდა ლიდერად და, თქვენ წარმოიდგინეთ, იყო ნამდვილი ლიდერი. სიმართლე უნდა ითქვას, ხალხის 80% რომ კაცს გაყვება, ის კაცი მართლა ლიდერია. დამფუძნებელ კრებაში სულ 130 დეპუტატი იყო, აქედან 105 სოციალ-დემოკრატი გავიდა, ასე რომ, მათი თავკაცი ღირსი იყო ლიდერობისა.

ფედერალისტები ცოტანი იყვნენ, იმდენად ცოტა, რომ მეფის მთავრობაც კი არ სდევნიდა.

ბატონო გიორგი, როგორ გახსოვთ უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში?

– მე მგონია, პირველ ოც სტუდენტს შორის მეც ვიყავი, როცა უნივერსიტეტი გაიხსნა, მოვზღვავდით მთელი ახალგაზრდობა, ხოდა, ჯავახიშვილი იყო ჩვენთვის ღვთაება და მართლაც ღვთაებრივი კაცი იყო. აი, ვინ იყო ნამდვილი საპრეზიდენტო კაცი – ივანე ჯავახიშვილი. ეს იყო ადამიანი, რომელიც ეროვნულადაც, ზნეობრივადაც, განათლებითაც და ყოველმხრივ ყველაზე მაღლა იდგა. მასში არ იყო არავითარი ფანატიზმი, მასში იყო მოზღვავებული ეროვნული გრძნობა, ეს იყო . . . (ატირდა), არ შემიძლია, უცრემლოდ რომ ვილაპარაკო ამ უდიდეს პიროვნებაზე, ჩემის აზრით, ის ათ ნოე ჟორდანიას და ჩემს ლიდერს ჯორჯაძესაც სჯობდა.

– სხვა ვინ დაგამახსოვრდათ?

– მელიქიშვილი, ჩვენი პირველი რექტორი, მან თვითონ შესთავაზა რექტორობა ჯავახიშვილს, მაგრამ ბატონმა ივანემ არ იკადრა, თქვენ ხართ ამ საქმის წამომწყები და დიდებული მეცნიერი, ამიტომ რექტორობაც თქვენ გეკუთვნითო. ხალხმაც მხარი დაუჭირა.

– პირველი სტუდენტებიდან ვინ დაგამახსოვრდათ?

– ჩემთან სწავლობდა ორი ძმა ბაქრაძე: კოტე და გიორგი, რომლებიც მე ბევრად მჯობნიდნენ. ერთი – კოტე გახდა შემდეგ ფილოსოფიის გამოჩენილი პროფესორი, ხოლო მეორე, გიორგი – ფსიქოლოგი. ორივე ძმა მართლაც გამორჩეული სტუდენტები იყვნენ.

ჩემთან სწავლობდნენ დემნა შენგელაია, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონი და სხვები. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ლიტერატურული წრე, თავჯდომარედ ავირჩიეთ გალაკტიონი, მარა, კაცო, გალაკტიონი – სიტყვის ოსტატი, ეს გენიოსი კაცი, ორ სიტყვას ვერ აბამდა ერთმანეთს. ასე რომ, ვერ გაარჩევდით, რას ლაპარაკობდა, მერე მე ამირჩიეს ამ

წრის ხელმძღვანელად.

– როგორ შეხვდა უნივერსიტეტი ბოლშევიკების შემოსვლას?

– ოო! უარყოფითად (სახე მოეღრიცა). ჩვენ ხუთი ათასამდე კაცი ვიყავით და აქედან სამი კაცი ბოლშევიკობდა, ისინიც თეორიულად, როგორც კი შემოვიდნენ ბოლშევიკები, ისინიც კი ჩამოსცილდნენ. ბოლშევიკებს მარტო სტუდენტობა კი არა, ინტელიგენცია და მთელი მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა. ფილიპე მახარაძე რამდენიმე თვე იმალებოდა და ბოლოს ძლივს გაბედა გამოეცხადებინა, რომ ის არის ბოლშევიკების ლიდერი, ეს ქეციანი ფილიპე მახარაძე, ასე ვუძახოდით მაშინ სუყველა. მერე ბუდუ მდივანი. ოჰ! ეს . . . ახლა დატრაბახებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ერთადერთი ღირსება მქონდა – ენა მქონდა გატლიკინებული, ხოდა, რომ მივადექი ბუდუ მდივანს . . . თქვენ აქ ბედავთ მოსვლას სტუდენტების წინაშე, თქვენ, ვინც სტუდენტებისა და იუნკერების სისხლით შეღებეთ დროშები და იმით შემოხვედით საქართველოში-მეთქი . . . დამაპატიმრეს იმწამსვე. მე გახლდით სწორედ ის პირველთაგანი, რომელიც ბოლშევიკებმა დააპატიმრეს.

პირველ ხანებში ბოლშევიკები მამაძაღლურად იქცეოდნენ, ხელს არ ახლებდნენ არავის, მერე, სტალინი რომ ჩამოვიდა და დაინახა, რომ მეტეხის ციხეში არის დაახლოებით 400-მდე ტუსაღი (მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც იყო) და საერთოდ ასე ცოტა ხალხი იყო დაპატიმრებული, თქვა: Перепахать! ამის მერე მოუსვეს ხელი და გაავსეს მეტეხის ციხე და ჩეკა ტუსაღებით. ვიჯექით თერთმეტი თვე, შემდეგ 62 კაცი გადაგვასახლეს გერმანიაში. ბედი შეგვხვდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გერმანიამ მიგვიღო, არავის არ იღებდნენ, მაგრამ ჩვენ მიგვიღეს. სხვათა შორის, გვიკვირდა, თუ რატომ გადაგვასახლეს გერმანიაში, რადგან ჩვენს მერე ყველა ციმბირში გადაასახლეს, „Соловецкие острова“ – ეს არის ადგილი, სადაც მუდმივი ყინვაა და ტემპერატურა ნულს ქვევით აღწევს -70 გრადუსამდე. იქ დაიღუპა ბევრი ტუსაღი, ცნობილი რევოლუციონერები, ისიდორე რამიშვილი იქ დაიღუპა და კიდევ ვინ იცის, რამდენი.

ხო, იმას ვამბობდი, ჩავედით გერმანიაში. მე მაშინვე დავუკავშირდი ჩემს ძმას, სხვათა შორის, პირველი წერილები არ მიუღიათ, მაგრამ მეორე და მესამე წერილები მიიღეს. ძმამ გამომიგზავნა 50 გირვანქა სტერლინგი, მაშინ ეს დიდი ფული იყო, იმ დროს ინფლაცია იყო გერმანიაში და მე თვეში ორ დოლარად ვცხოვრობდი, ასე რომ, ბურჟუა კაპიტალისტი ვიყავი ნამდვილი.

– სწავლა სად გააგრძელეთ?

– პირველად ჰაიდენბერგში. ჰოდა, რახან ძმა მიგზავნიდა ფულს, სწავლას ვაგრძელებდი იქ, მერე პრაღაში მასარიკმა გამოაცხადა, რომ ვისაც გინდათ უმაღლესი განათლების მიღება, ყველას შეუძლია სწავლა უფასოდო. ჩემთან იყო ნიკო ნაკაშიძე, შესანიშნავი სტუდენტი, რომელმაც მითხრა: „მე აქ ჩამოვედი იმისათვის, რომ სწავლა გავაგრძელო ჰაიდენბერგშიო“. მე ვუთხარი: – ბიჭო, შენ კი არ ჩამოხვედი, ჩამოგათრიეს. ახლა მაინცდამაინც გინდა, ჰაიდენბერგში გააგრძელო? ნამოდი პრაღაში, იქ უფასოდ გვასწავლიან-მეთქი. არ წამოვიდა, მერე მალე დაიღუპა საწყალი.

დავამთავრე პრაღის უნივერსიტეტი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, სოციოლოგიის განხრით. მერე დავამთავრე უკრაინული უნივერსიტეტი, იურიდიული განხრით, ისიც ჩეხოსლოვაკიაში. მასარიკმა უდიდესი სამსახური გაუწია რუსეთს, რადგან ყველას მისცა სწავლების უფლება უფასოდ, ვინც კი ჩეხოსლოვაკიაში ჩავიდოდა, მაგრამ რუსები მაინც არ აფასებდნენ. ვიღაც გენერალი სახაროვი ამტკიცებდა,

მაგან ჩვენი ფული ვაგონებით წამოიღო და შეჭამაო, რა ვიცი ეგებ ქე იყო მართალი.

უკრაინული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წავედი პოლონეთში, იქ ჩამიყვანა ლიხაურელმა ყმაწვილმა, რომელიც ოფიცრად იყო პოლონეთში (პორუჩიკი). მისი ნამდვილი გვარი იყო ქავჟარაძე, მაგრამ რატომღაც თავის თავს უწოდებდა ქავთარაძეს. მე კი რა მენაღვლებოდა, ჩემთვის სულ ერთი იყო, ისე კარგი ბიჭი იყო ძალიან. მან დაწერა ნაშრომი „კავკასიის ისტორია“, მე მონაწილეობა მივიღე მის გასწორებაში, უშველებელი წიგნი იყო. საქართველოზე ასე 300 გვერდი ეწერა, დანარჩენ რესპუბლიკებზე – 30-40 გვერდი.

ქავთარაძეს დამთავრებული ჰქონდა პორუჩიკების სკოლა, სამოქალაქო სასწავლებელი. ხომ გახსოვთ: „პორუჩიკი, ნასელჩიკი, ჩიკი-ჩიკი“ – მღეროდნენ საქართველოში.

პოლონეთში ბევრი ქართველი ოფიცერი ცხოვრობდა, მაშინ ქართველებს პოლონეთში ხელის გულზე ატარებდნენ. წარმოგიდგენიათ? პოლონეთში იყო შვიდი გენერალი, უბრალო გენერალი კი არა, გენერალ-ლეიტენანტი და გენერალ-ადიუტანტერი, ას ოცი პოლკოვნიკი და სხვა რანგის ოფიცერი. ვინ იცის, რამდენს ამათგან უმრავლესობას თბილისის იუნკერთა სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. მშვენიერი ოფიცრები გამოვიდნენ, პოლონელები ძალიან კმაყოფილი იყვნენ.

პოლონეთი გახდა ჩემი მეორე სამშობლო, ცოლიც კი შევირთე იქ, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

ვმუშაობდი ვარშავის უნივერსიტეტში და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში პროფესორის ასისტენტად. პოლონეთი მაშინ მძიმე მდგომარეობაში იყო, გადაუარეს ჯერ რუსებმა, მერე გერმანელებმა. დაინგრა მთელი პოლონეთი და ისიც საკითხავია, როგორ მოახერხეს ფეხზე დადგომა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ქართველები, პოლონეთში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც მეორე სამშობლოში.

– რუსეთ-გერმანიის ომმა სად მოგისწროთ?

– ვარშავაში. ომი ათი დღის გამოცხადებული იყო, როცა ჩემთან გამოცხადდა სამი კაცი, ერთი სამხედრო ფორმაში კაპიტნის ჩინით, გვარად შრაიდერი, იგი ალბათ ახლა არც კია ცოცხალი, შესანიშნავი ახალგაზრდა და მასთან ერთად ორი უმცროსი ოფიცერი. მომადგნენ და ჩემს ცოლს უთხრეს: „მოუმზადეთ პირსახოცი, ჯაგრისი, სავარცხელი და ერთი წყვილი საცვლები“.

მე გამოვემშვიდობე ცოლს და მატარებლით წამიყვანეს. პოლონეთი ოკუპირებული იყო გერმანელების მიერ. ჯერ ბელორუსიაში ჩავედით, მერე მოსკოვთან ახლოს ჩამომიყვანეს და მითხრეს: ჩვენ გვჭირდება თარჯიმანიო. ხოდა ვიყავი მათთან, ჩემს კაპიტანს ჰყავდა ავტომანქანა „ჯიპი“. მე მკლავზე მქონდა შემოხვეული ყვითელი ლენტი და ვასრულებდი თარჯიმნის მოვალეობას. გერმანული, ინგლისური და ფრანგული საქართველოშიც ვიცოდი.

როცა მოსცხეს ბოლშევიკებმა და გერმანელებმა უკან დაიხიეს, ჩვენი ნაწილი საფრანგეთში გადავიდა. მაშინ მე ვუთხარი ჩემს უფროსებს: რუსეთთან დიდი სიამოვნებით გემსახურეთ, საფრანგეთთან ომში მონაწილეობას ვერ მივიღებ, რადგან საფრანგეთთან გასაყოფი არაფერი მაქვს-მეთქი. მართალი ხარო, – მითხრეს და გამიშვეს.

ასე დავრჩი პოლონეთში. მერე ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ ერთი მხრიდან, მე გადავედი მეორე მხრიდან ისევ გერმანიაში, მერე იქიდან წავედი საფრანგეთსა და არგენტინაში. არგენტინაში ვიმუშავე 15 წელი, მერე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვედი.

აქ რომ ჩამოვედი, 66 წლის ვიყავი, ჩემი ხნის ხალხი უკვე გადამდგარი პროფე-

სორები იყვნენ. ჩემი ასაკის ხალხს არსად არ იღებდნენ, მეც არ მიმიღეს, მარა მერე დასჭირდათ და დამიძახეს. გადალახეს ყოველგვარი კანონი, ტრადიცია და მიმიღეს, ჯერ ვაშინგტონში ქართულ ენას ვასწავლიდი. ქართული ენის სწავლება ამერიკაში შემოიღო კირილე თუმანიშვილმა, მან წიგნიც დაბეჭდა უზარმაზარი – „ქართული თავადაზნაურობა“. ის ძალიან კარგი ისტორიკოსი იყო, ასწავლიდა „ჯორჯ თაუნ“ უნივერსიტეტში, დიდი არისტოკრატი კაცი იყო, მე იმასთან ვჩანდი ნამდვილი „მუჟიკი“, გლეხი კი არა, კაცო, ქართველი გლეხი თავადიშვილებს ჯობია, გენაცვალე, და ეს „მუჟიკები“ „მუჟიკები“ არიან და სწორედ ასეთ „მუჟიკს“ ვგავდი მე კირილე თუმანიშვილთან შედარებით.

მერე, ბატონო, მიმიწვიეს ჰარვარდის არქივის დასალაგებლად (სისტემაში მოსაყვანად). იქ ვიმუშავე რამდენიმე წელი, არქივი სისტემაში მოვიყვანე, დიდი პატივისცემა და ხოტბა-ქება დავიმსახურე, მათ შორის ელენე მეტრეველის და საშა (ალექსანდრე) ბარამიძისაც. ასე რომ, ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, თქვენ რომ ნახოთ ის არქივი, თქვენც ძალიან მოგეწონებათ.

არქივის შედგენასა და სისტემაში მოსაყვანად არ არსებობს არავითარი სახელმძღვანელო, არც არავინ იყო, რომ ჩემთვის ესწავლებინა რამე, არავინ. არავინ არაფერი იცოდა. შეიძლება დაალაგო ერთი წლის, ხუთი წლის არქივი, მარა ასი წლის არქივის სისტემაში მოყვანა ძალიან ძნელია და ახლა ის არქივი ისეა ჩამოსხმული, როგორც მე დავალაგე . . . (პაუზა, ჩაფიქრდა. როგორც იქაურებმა მითხრეს, არქივის საქმეში ბატონ გიორგის დიდად შეუწყო ხელი ღრმა განათლებამ და ენების ცოდნამ. ამ არქივით მან დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ამერიკის უმაღლეს წრეებში).

– ბატონო გიორგი, როგორც მითხრეს, თქვენ ორი დოქტორის ხარისხი გაქვთ, არა?

– ორი დოქტორის ხარისხი პრაღიდან მაქვს. პირველად დავიცავი 1927 წელს იურიდიულ ფაკულტეტზე უკრაინის უნივერსიტეტში და მეორედ 1929 წელს – სიბრძნისმეტყველებაზე. დიპლომები აქაც კი მაქვს და ახლავე გაჩვენებთ (სავარძლიდან წამოიწია).

– არა უშავს, მერე ვნახოთ, ბატონო გიორგი, რამდენ ენას ფლობთ?

– რა ბრძანეთ? (ყურზე ხელი მიიდო).

– რამდენი ენა იცით?

– ოო! 8-9 (ყოველ შემთხვევაში თითებზე ჩამოთვალა): რუსული, უკრაინული, ბულგარული, პოლონური, ჩეხური, ეს სლავიანური, კიდევ... (ჩაფიქრდა), ჰო, კიდევ ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, ესენი უსიტყვაროდ. თეორიულად და სიტყვარის (ლექსიკონის) დახმარებით კიდევ მეტი ვიცი. ენები გავიწყდება კაცს, თუ არ ილაპარაკე, მარა ადვილად მოიგონებ მერე.

– ბატონო გიორგი, უცხოეთში, ქართველი ემიგრანტებიდან, ვისთან გქონდათ ყველაზე კარგი დამოკიდებულება.

– მე მქონდა ყველაზე კარგი დამოკიდებულება ნოე რამიშვილთან და დათიკო ერქომაიშვილთან.

ნოე იყო სტალინის უპირველესი მტერი, ხოდა, ამიტომ მოკლეს სწორედ. ოო! ის გათახსირებული ჭანუყვაძე, საზიზღარი, იცით, რატომ მოკლა? იმიტომ, რომ ნოე რამიშვილი ათჯერ ჯობდა ნოე ჟორდანიას, როგორც მტერი ბოლშევიზმისა, მტერი დაუძინებელი. ის იყო სულისჩამდგმელი ემისრებისა, რომლებსაც გზავნიდნენ საქართველოში, რამიშვილი პირადად აცილებდა მათ კონსტანტინოპოლამდე. ნოე რამიშვილი უნიჭი-

ერესი კაცი იყო. შეიძლება ითქვას, მეორე სტალინი, ოღონდ დადებითი. მართლაც რომ მშვენიერი კაცი იყო, მერედა რა გონებაგახსნილი და გონებასხარტი! როცა ომი იყო, პირველი ომი რუსეთსა და გერმანიას შორის, შედგა სოციალ-დემოკრატების არალეგალური კრება და დაისვა საკითხი: ვთქვათ, რომ წააგო ომი რუსეთმა, მაშინ რა ვქნათ? – ვერავინ გასცა პასუხი. სიტყვა ითხოვა რამიშვილმა, – ეგ რა საკითხავია, მაშინვე საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და მხარი დაუჭირა ნოე რამიშვილს.

ეჰ! რომ დასჭირდათ, მაშინ პარტიის მთელი პროგრამა უკუღმა შეატრიალეს სოციალ-დემოკრატებმა, თორემ ვინ იცის, რამდენჯერ ტრიბუნიდან ჩამოვუგდივარ მაგენს, დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს-თქვა რომ ვიტყოდით და საერთოდ საქართველოს ცალკე რომ ვახსენებდით. საქართველოს, სოციალ-დემოკრატებს, რუსეთის სოციალ-დემოკრატების გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინათ, ისინი რუსებს გამოეყვნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქართველოში მოულოდნელად გამოცხადდა დამოუკიდებლობა.

ამიტომ იყო, ჩვენ ფედერალისტებს, ახლოს რომ არ გვიკარებდნენ. ჯერ კიდევ საქართველოში, ნოე რამიშვილი უკმაყოფილო იყო ჩემით: შენ ბუნებით ნამდვილი რევოლუციონერი ხარ, რა გინდა ამ კაბინერის ხალხთან, გადმოდი ჩვენს პარტიაშიო, – მითხრა ერთხელ.

– ჩემს პარტიას შენთვის არაფერი დაუშავებია და მე მას სიკვდილამდე ვემსახურები-მეთქი, – ვუპასუხე.

– ეეჰ! გამოუსწორებელი კაცი ხარ შენო, – მითხრა.

ნოე რამიშვილი ნამდვილი დემოკრატი იყო, მერე ძალიან დავმეგობრდით.

როცა ნოე მოკლეს საფრანგეთში, ჩვენი პარტიის მაშინდელმა მეთაურმა სოსიკო მდივანმა გამოსათხოვარი სიტყვა მე დამავალა.

თურმე სამსონ ფირცხალავას უნდა ეთქვა სიტყვა, მაგრამ სოსიკო მდივანმა მე დამაყენა წინ. სამსონ ფირცხალავა მშვენიერი მწერალი იყო, ამიტომ ჰქონდა ის ფსევდონიმი – „სიტყვა“. მაგის „სიტყვას“ ხალხი კვირაობით ყიდულობდა მაგის ფელეტონების გამო, მაგრამ ლაპარაკი არ იცოდა.

საწყალი სამსონი მერე წერდა (არქივს რომ ვალაგებდი ჰარვარდში, იქ წავიკითხე), რომ ერთგვარად ნაწყენი დარჩენილა იმის გამო, რომ ნოე რამიშვილი მისი პირდაპირი მეგობარი იყო და მას არ მისცეს გამოსათხოვარი სიტყვა.

ეს სიტყვა დაიბეჭდა, მერე რამდენიმეჯერ გადაიბეჭდა და ამან ძალიან გამითქვა სახელი სოციალ-დემოკრატებში, ამის შემდეგ, მანამდე მოძველებული კაცი, უკვე პირველი გავხდი.

– დათიკო ერქომაიშვილზე ბრძანებდით კიდევ.

– აი, ვაჟკაცი ვინ იყო, უშიშარი და მარჯვე, ხუთი კაცი ხელს ვერ მოკიდებდა, ამასთანავე, საოცარი გულღია და ოხუნჯი, ნამდვილი ეშმაკის ფეხი იყო, სულ გოგოებს დასდევდა და მოწონებაც ჰქონდა, ის რომ გოგოებს ქართულად ასწავლიდა უცენზურო ლექსებს, სიცილით მოკვდებოდით.

დათიკო ისეთი კაცი იყო, რომ მასთან არაფრის არ უნდა შეგშინებოდათ. დედა! რა გაბედული ბიჭი იყო, ერთი ათჯერ კი გადავიდა, ალბათ, საქართველოში თურქეთიდან, მაგრამ ერთხელაც ვერაფერი უყვეს, იცოდნენ, რომ საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ იმდენად მოხერხებული იყო, რომ ჩეკაც კი ვერაფერს ვერ უხერხებ-

და. იქ ვერაფერი უყვეს, მარა, პარიზში ტროტუარზე „შემთხვევით“ დაეჯახა მანქანა და მოკვდა. ასე იცის ჩეკამ.

ძალიან დაგვენანა ყველას.

დათიკოს მე ჯერ კიდევ ოზურგეთიდან ვიცნობდი, იგი ჩემზე ბევრად პატარა იყო, სრულიად ბავშვი მახსოვს, პატარაობიდანვე ეშმაკის ფეხი იყო.

ერთხელ ოზურგეთში დეიდაჩემ ვარდოსთან ვიყავით მე და ჩემი დები – კაკალა და კაკია. კაკი ნაკაშიძე ხომ გახსოვთ, ჩემი და, ექიმი რომ იყო.

– როგორ არა, მთელს გურიაში სახელგანთქმული ექიმი გახლდათ, დიდი ხანი არაა, რაც გარდაიცვალა.

– ოოჰ! ვერცერთი დედმამიშვილი ვერ ვიტირე, სხვებზე რომ არაფერი ვთქვა (გაჩუმდა, თვალებზე ცრემლი მოერია). ხოდა, იმას მოგახსენებდით, დეიდაჩემის ბალკონზე ვიჯექით და ჩაის ვსვამდით. ამ დროს რაღაცა გავარდა, ცოტა ხანში ვიღაცამ კიდევ უთაქა და უთაქა ხელთოფი. მაგი კონია ერქომაიშვილის ბიჭი დათიკო იქნებაო, – თქვა კაკალამ. კონია გახსოვს შენ? – თუმცა საიდან გემახსოვრება, მამასახლისად იყო ოზურგეთში, მის ცოლს კესარია ერქვა. სროლის ხმაზე უცბად ეტლით მოვიდა პრისთავი გრიგოლაშვილი და მისმა სტრაჟნიკებმა ქუჩა გადაკეტეს. გრიგოლაშვილი ქალთა სასწავლებლის დირექტორის, ჯაყელის ქმარი იყო.

კაკია ახალჩამოსული გახლდათ ჟენევიდან და მასზე მთელი გურია ლაპარაკობდა მაშინ. პრისთავი კაკიას პირადად არ იცნობდა.

– თქვას, ვინ ისროლა და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ხელს არ ვახლებო, – გამოაცხადა პრისთავმა. ვინ გაბედავდა თქმას.

ამ დროს დათიკო ერქომაიშვილის დედა – კესარია მოვიდა ჩვენთან და ჩუმად გვითხრა, სასიკვდილე დათიკელამ ისროლა და როგორ ვუთხრა პრისთავსო.

კაცმა პატიოსანი სიტყვა მოგვცა, ხელს არ ვახლებო, მომიყვანე ბავშვი და მე ვეტყვი, ამხელა კაცი სიტყვას ხომ არ გადაუვაო, – უთხრა კაკიამ კესარიას.

კაკია სიმართლის მოციქული იყო, მასთან ტყუილს ვერ იტყოდი, ამიტომ სხვისი სიტყვის სჯეროდა. მოჰკიდა ბავშვს ხელი და წარუდგინა პრისთავს, თან მოუბოდიშა, ამ ბავშვმა ისროლაო. პრისთავი ჩამოვიდა ფაეტონიდან და იმისთანა შემოჰკრა დათიკოს, რომ ბავშვი მიწაზე გაიშხლართა. დარტყმა მასე არ უნდაო, კაკიამ გაუქანა ამ ჩვენს პრისთავს და იმისთანა სთხლიშა სახეში, რომ პრისთავი წაბარბაცდა, ხომ გახსოვთ, კაკია რა ჯანიანი იყო. ხოდა ატყდა ამბავი, სტრაჟნიკებმა ხმლები იშიშვლეს და კაკიასკენ გაექანენ, მაგრამ ხალხი ჩადგა შუაში და პრისთავს უთხრეს კაკიას ვინაობა. პრისთავმა თავი გაიქნია და კაკიას მიმართა: Простите, княжна, я не знал, что это вы, пожалуста, здравствуйте. და ხელი გაუწოდა. მაგრამ კაკია ულმობელი იყო. Я таким подлецам, как вы, руки не подаю – ო უთხრა და ზურგი შეაქცია. რას იზამდა პრისთავი, მობრუნდა და წავიდა. შერჩა კაკიას პრისთავის გალახვა კაკალივით. ა, აქედან ვიცნობდი დათიკო ერქომაიშვილს და მერე საფრანგეთში შევხვდი, ეჰ, რა ბიჭი იყო! (თავი ჩაღუნა და გაჩუმდა, შევატყვე ძალიან დაიღალა).

– ბატონო გიორგი, თქვენ ახლა მთელი საქართველო გისმენთ (ახლა შეიშმუშნა და საყელო გაისწორა), ახლაკი არა, როცა ამ გადაცემას ნახავენ, რას ეტყოდით თქვენს ხალხს?

– დედავ, ღმერთო! ამას ჰქვია „სურპრაისო“ რომ იტყვიან, აგი რომ გეთქვათ, რამეს მოვამზადებდი. რა უნდა ვუთხრა ჩემს ხალხს იმის გარდა, რომ ვერც დევნამ,

ვერც სამშობლოდან გამოძევებამ ვერ შეცვალა ჩემი თავდადება საქართველოსათვის, ვინაიდან საქართველო არის ერთადერთი კუთხე, რომელიც მართლა სამოთხეა დედამიწაზე. ასეთ ქვეყანას ყველა აღმერთებს და მე ხომ გამონაკლისი არ ვიქნები, რომ არ გავაღმერთო ის ხალხი, ის ერი, რომელმაც შექმნა ასეთი საოცარი კულტურა.

მე მივმართავ ქართველ ახალგაზრდობას: არასოდეს უარი არ თქვათ თქვენს ეროვნულ გრძნობებზე და უპირველეს ყოვლისა, თავი შესწირეთ, თუ ამას მოითხოვს თქვენი სამშობლო.

– ბატონო გიორგი, თქვენ ბრძანეთ, რომ 97 წლისა ბრძანდებით, 100 წლის იუბილე საქართველოში უნდა გადაგიხადოთ.

– სიამოვნებით, მარა ერთი პირობა უნდა მომცეთ. არ ვიცი, იცნობთ თუ არა, მაგრამ იუბილეზე თამადად უნდა იყოს ილური ფირცხალაიშვილი.

– კი, ბატონო.

– აბა, შემიძლია წამოვიყვანო? თქვენის ნებართვით, აბა გავახარებ ამით. ას წლამდე მივაღწევ. 97 განვლე და 3 წელი რაღაა, ეგ არაფერი არ არის.

– ბატონო გიორგი, როგორ დალოცავდით ქართველ ხალხს ამ იუბილეზე?

– ქართველ ხალხს ვუსურვებ უკვდავებას, ვინაიდან არ არის დედამიწის ზურგზე სხვა ერი, რომელიც მართლა ღირსი იყოს ისეთი უკვდავებისა, როგორც ქართველი ერია. ვინც კი ჩადის საქართველოში, ყველა აღტაცებულნი და მოჯადოებულნი არიან საქართველოს სიმშვენიერით. არაერთხელ მსმენია უცხოელებისაგან, რომ საქართველოში წავალ იმდენჯერ, რამდენჯერაც ამის საშუალება მექნებაო. ამას ამბობენ თავისუფალი ერების შვილები და მოქალაქეები. მაშასადამე, რაღაც მაგნიტი უნდა იყოს ქართველ ერში, რომ ასე იზიდავს და ხიბლავს ყველა უცხოელს, ამით ვამაყობ მე ისე, როგორც ქართველი იამაყებს. ამდენი ქება, ამდენი ხოტბა სხვა არც ერთ ქვეყანაზე არ წამიკითხავს, როგორც საქართველოზე.

თავისუფალი ერები შენატრიან ქართველი ერის ცხოვრებას.

– თქვენს თანასოფლელებს რას ეტყოდით?

– ჩემს თანასოფლელებს ვეტყოდი იმას, რომ მათით ვამაყობ, მათით ვცხოვრობ, მათ ხატებს გულში ვიხუტებ და ყოველთვის ღმერთს ვევედრები, რომ ღმერთმა მაღირსოს მათი ნახვა და მათთან თუნდაც რამდენიმე საათის გატარება. მიხარია, რომ გხედავთ მაკვანეთის საუკეთესო წარმომადგენლებს და შემიძლია გელაპარაკოთ, როგორც თავისუფალ ადამიანებს, თავისუფალ პიროვნებებს, რადგან მონური სული ქართველ კაცში არასოდეს ყოფილა.

– ბატონო გიორგი, ბოლო შეკითხვა და მეტს აღარ შეგაწუხებთ: მაინც, როგორ გგონიათ, რისთვის გაგაძევეს ბოლშევიკებმა საქართველოდან?

– რისთვის და, სულ იმას გავიძახოდი, ლენინი და სტალინი დაღუპავენ-მეთქი ქვეყანას. 70 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ ვინ დამიბრუნებს იმ 70 წელს, საქართველოს გარეშე რომ გავატარე?!

1990 წ., ნიუ-იორკი.

P.S. სამწუხაროდ, ბატონი გიორგის ასი წლის იუბილე საქართველოში ვერ აღინიშნა: ბოლო შეხვედრიდან ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

კარი IV

ბედი კაცისა

ცხოვრების არსი სიყვარულია



იები

დამიანე ერქომაიშვილის ბეღისწერა

გვიანი ღამე იყო. პალატაში ორნი დარჩნენ – ავადმყოფი და მისი მეუღლე. დედამ შვილები და ნათესავები დაითხოვა, – დილით მოდით, ახლა ჩაეძინა და არა უჭირსო.

უცბად საავადმყოფოში შუქი გამოირთო, მერე ვიღაცამ დაიძახა: ელსადგურში ავარიაა და სინათლე კაი ხანს არ იქნებაო.

ქალმა სიბნელეში ხელის ცეცებით ჩანთა მონახა, გახსნა და იქიდან თავისი ხელით ჩამოქნილი თაფლის სანთელი ამოიღო. შემდეგ ასანთს გაჰკრა და სანთელი აანთო, ჩამოღვენთილი რამდენიმე წვეთი „ტაბურეტის“ კიდეს დააწვეთა და ზედ სანთლის ბოლო დაამაგრა. ოთახში თაფლის სანთლის სასიამოვნო სურნელი დატრიალდა, სანთელი თანდათან აბრიალდა და იქაურობა გაანათა.

პალატაში ორი საწოლი იდგა, მათგან ერთი – დალაგებული იყო. ჩანს, ქალს დაწოლა არც უცდია. „ტაბურეტი“ მეორე საწოლთან იდგა, ზედ წამლები, მურაბიანი ქილა და ბორჯომის ბოთლი ეწყო. გაქათქათებულ საწოლში ავადმყოფი იწვა და მძიმედ სუნთქავდა. სანთლის შუქი მკრთალად ანათებდა მის დაღარულ სახეს. თმები სულ მთლად გათეთრებოდა, მაგრამ შავი და მშვილდივით მოზიდული წარბები გვამც-



ჟუჟუნა ცინცაბაძე და დამიანე ერქომაიშვილი. 1938 წ.

ნობდა, რომ იგი მოხუცი არ უნდა ყოფილიყო. ქალმა ავადმყოფს ბალიში ფრთხილად გაუსწორა და სკამზე ჩამოჯდა...

მოგონებებმა 42 წლის წინათ გადაინაცვლეს.

... გაზაფხულის თბილი საღამო იყო. ბათუმის ბულვარში ხალხი სასეირნოდ გამოსულიყო. პარკის შესასვლელთან, მაგნოლიის ხის ძირას, ახალგაზრდა კაცი იდგა და ვიღაცას ელოდა. უცებ გამვლელებს ერთი გოგონა გამოეყო, ჭაბუკთან მივიდა და შორიახლო მორჩილად გაჩერდა. ასე, 16 წლისა თუ იქნებოდა, თხილის წნელივით მოქნილი ტანი ჰქონდა, ლამაზ ბავშვურ სახეზე უხერხული ღიმილი დასთამაშებდა, ლოყები შეფაკლოდა. გრძელი ჩითის კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები იმ დღეს პირველად ჩაეცვა, ღილ-კილოში იები ჰქონდა ჩამაგრებული. გოგონას ჟუჟუნა ერქვა, ხის ძირას მდგარ ჭაბუკს იგი გაზრდილი და დაქალებული მოეჩვენა.

ჭაბუკი საშუალოზე მაღალი ტანისა იყო, მხარბეჭიანი, შავი წარბები უხდებოდა, ფართოჯიბეებიანი თეთრი ტილოს ხალათი ეცვა, წელზე ტყავის განიერი ქამარი ერტყა, „გალიფე“ შარვალი და აზიური ვიწროყელიანი ჩექმები პირველად ჩაეცვა. კაცი იყო უკვე, იმ დღეს დაემშვიდობა საშუალო სკოლას.

გოგონამ ღილ-კილოდან იები ამოიღო და ჭაბუკს გაუწოდა. მან გამოართვა, გულის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და შიგ ჩადო. ამ ბლოკნოტს სულ თან დაატარებდა, შიგ სიმღერების ტექსტები ჰქონდა ჩაწერილი. ჭაბუკს დამიანე ერქვა. იგი ბათუმელ ტოლ-სწორებში ვაჟკაცობითა და კარგი სიმღერით იყო ცნობილი. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მამამისმა, არტემ ერქომაიშვილმა, იმხანად აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელმა, თბილისში ნაიყვანა ამიერკავკასიის რადიოს ფესტივალზე. მოსკოვის რადიომ მისი სიმღერა ჩაიწერა. მას შემდეგ ბათუმში კონცერტებზე ხშირად გამოდიოდა. როცა წამოიზარდა, აჭარის ეთნოგრაფიული გუნდის სოლისტი გახდა. ისეთი ბარიტონი დაუდგა, რომ ბათუმში დასასვენებლად ჩამოსული გამოჩენილი მომღერალი სანდრო ინაშვილი განაცვიფრა: სკოლას რომ დაამთავრებ, თბილისში ჩამოდი, გამეცადინებ და კონსერვატორიაში ჩააბარეო, – უთხრა.



ჟუჟუნა , ირაკლი და მანანა ერქომაიშვილები

ერქომაიშვილების ოჯახში, მოგეხსენებათ, ყველა მღეროდა. დამიანე იმპროვიზაციის განსაცვიფრებელი უნარით არტემსაც კი აკვირვებდა, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა – სიმღერის ტექსტებს ცუდად იმახსოვრებდა, ამიტომ მამამ ბლოკნოტი აჩუქა, რომელშიც სიმღერის ტექსტებს იწერდა. ეს ბლოკნოტი მუდამ მარცხენა გულის ჯიბეში ედო.



მეუღლესთან, 1947 წ.

დამიანემ საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, დაქორწინდა. ალბათ, მიმიხვდით – ვისზეც; არტემ ერქომაიშვილის ოჯახში პირველი რძალი შევიდა – ცინცაბაძის ქალი, ჟუჟუნა. ქორწილი სანაქებო გადაიხადეს; ლხინს ბათუმის საუკეთესო მომღერლები ამშვენებდნენ. ჟუჟუნა და დამიანე მთელ ქალაქში გამორჩეული წყვილი იყო.

სექტემბერში დამიანე თბილისში აპირებდა წასვლას კონსერვატორიის მოსამზადებელ განყოფილებაზე შესასვლელად, მაგრამ აგვისტოს ბოლოს ჯარში გაიწვიეს.

ორი თვეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც შეუღლდნენ და დარჩა ჟუჟუნა უქმროდ. იგი ბავშვს ელოდებოდა. ქმრის წერილებს საგულდაგულოდ ინახავდა, რომ ჩამოვა, დავახვედრებო. პასუხად ერთის ნაცვლად ორ წერილს სწერდა, ამ ქვეყანაზე რა არ ხდება, ვაი თუ ერთი დაიკარგოსო; სწერდა ყოველდღიურ ამბებს, ცუდს უმალავდა, არ იდარდოსო, – ბავშვი უკვე იძრა და აღარ მასვენებს, მეზობლის ქალებმა მითხრეს, ბიჭი გეყოლებაო, – ახარა..

... და დაიბადა ირაკლი. არტემს პირველი შვილიშვილი შეეძინა. გაიხარა ერქომაიშვილების ოჯახმა. ჟუჟუნამ ქმარს წერილი გაუგზავნა – სულ შენ გგავსო. გაიხარა ბიჭის მამამ – კიდევ ერთი წელიც მოითმინე და დაგიბრუნდებიო, – მოსწერა.

ქალი დღეებს ითვლიდა. ბიჭი სწრაფად იზრდებოდა. პირველი სიტყვა „მამა“ ასწავ-

ლა, გაშლილი ხელის მოხაზულობა გაუგზავნა მამამისს – გაეხარდებაო. როცა ბიჭი ფეხზე დადგა, დედამ ფეხქვეშ ქაღალდის ფურცელი დაუფინა და შემოხაზა, ახლა ფეხის ანაბეჭდიც გაუგზავნა მამას. ამასობაში დამიანემ წარმატებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. დემობილიზაციამდე სულ ცოტა დრო დარჩა. ირკუტსკიდან წერილი მოსწერა ჟუჟუნას – ჩემს ბიჭს რამდენი კბილი ამოუვიდა? ფეხები მონგრეული ხომ არ აქვსო? სათამაშოები და „კალოშები" გამოგიგზავნეთ და ალბათ მალე მიიღებთ. აქ მომღერალთა გუნდი ჩამოვაყალიბე და ოლქში პირველი ადგილი ავიღეთ. მამაჩემის გამოგზავნილი სიმღერის ტექსტები ძალიან გამომადგა. ბლოკნოტში შენი იებია ჩანებებული და ყოველდღე შენს თავს მაგონებსო, – იწერებოდა.




ფოტო ფრონტიდან. 1942 წ.

ხალხინ-გოლის ამბების გამო დემობილიზაცია გადაიდო. ახლა უფრო შორიდან, მონღოლეთიდან იწერებოდა: იაპონელებს გავრეკავთ და მალე ჩამოვალო. დაჭრილი რომ იყო, ამაზე არაფერი უთქვამს.

გამოჯანმრთელდა თუ არა, ჩრდილოეთის საზღვარზე უკრეს თავი, ფინეთთან დაიწყო ომი. იქაც დაიჭრა, მაგრამ ოჯახისათვის არც ეს შეუტყობინებია.

საბჭოთა კავშირმა იკადრა და პატარა ფინეთთან ზავი დადო, მაგრამ დამიანეს ნანატრი დემობილიზაცია ისევ გადაიდო, რადგან დასავლეთის საზღვართან ნელ-ნელა გროვდებოდა გერმანული ჯარის დაჯგუფებები, რაც სასიკეთოს არაფერს უქადდა ქვეყანას.



უკანასკნელი ფოტო

დადგა 1941 წელი.

ერთ ღამეს ირაკლის მაღალი სიცხე მისცა, სიცხისაგან აბოდებდა. ჟუჟუნამ ძმარში დასველებული შალის წინდები ჩააცვა, თავზე კეჟერა ფხალის ფოთოლი დააფინა, ერთადერთი წითელი „სტრეპტოციტი" ორად გაუყო და ისე დაალევინა. გათენებისას ბავშვს სიცხემ დაუკლო, დამშვიდდა, ჩაეძინა. მთელი ღამე უძილობით გატანჯულ ჟუჟუნას დაეძინა. საშინელი სიზმარი ნახა: თითქოს ზღვა ბობოქრობდა და დედამინას წალეკვას უქადდა. ზღვაში დიდი ნავი დაცურავდა, შიგ დამიანე შენიშნა, ხელს უქნე-


ვდა. ნავი ნაპირისაკენ მოიწევდა, მაგრამ გზად უზარმაზარი ტალღა ელობებოდა. ნავი ტალღას ხან თავზე მოექცეოდა და ხან მის მიღმა გაუჩინარდებოდა. ცა შავად მოქუფრულიყო და ჩამოქცევას ლამობდა. მხოლოდ ელვა სერავდა ცას და დროდადრო იქაურობას ანათებდა.

მეხი გავარდა. ჟუჟუნა წამოხტა. გაღვიძებული ირაკლი უღიმოდა. ჟუჟუნას სიზმარი ცუდად ენიშნა, შეშინდა, ონკანი მოუშვა და, როგორც იტყვიან, სიზმარი „წყალს გაატანა“. კარებზე დააკაკუნეს. ცალხელა ფოსტალიონმა დამიანეს ამანათი და ომის დაწყების საშინელი ამბავი მოიტანა.

ქალაქი ნელ-ნელა გლახა ყანასავით გამეჩხერდა, ქუჩაში იკლო მამაკაცების რიცხვმა. მაღაზიებიდან ჯერ სურსათი გაქრა, მერე – შავი ქსოვილები. ფოსტალიონის დანახვა ყველას შიშს ჰგვრიდა, იმატა უკრაინიდან ევაკუირებულმა ოჯახებმა.

დამიანეს წერილი კარგა ხანს არ ჩანდა, ომის დაწყებიდან მესამე თვეს მიიღეს მხოლოდ. გულს არ იტეხდა ისევ, მალე გავრეკავთ ფაშისტებსო, – იწერებოდა. გახარებულმა ჟუჟუნამ პასუხი გაუგზავნა: მე და ირაკლი შენს ჩამოსვლამდე სოფელში ვიქნებითო. შემდეგ ბინა უკრაინიდან დროებით ევაკუირებულებს დაუთმო და ლანჩხუთის სოფელ ზომლეთში გაემგზავრა მშობლებთან.

წერილმა ამჯერადაც კარგა ხნით დაიგვიანა, ჰოსპიტლიდან მოიწერა – სტალინგრადთან იბრძოდა თურმე, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაეჯილდოებინათ. ფრონტის საველე გაზეთში მისი ფოტოსურათიც იყო დაბეჭდილი – პალატაში დაჭრილმა



მანანა და არტემ ერქომაიშვილები




დამიანე ერქომაიშვილი (I რიგში მარცხნიდან მესამე) მომღერალთა გუნდის წევრებთან, 1940 წ.

მომღერლებმა მოვიყარეთ თავი და ისე ვმღერივართ, რომ ყველას ჩვენთან უნდა გადმოსვლა. ვისაც კი ფეხზე დგომა შეუძლია, ჩვენი პალატის კარებთან ჩამოსხდებიან და გვისმენენო. თქვენი სიმღერა ჩვენს ნამლებზე არანაკლებ კურნავს ავადმყოფებს, – გვითხრა მთავარმა ექიმმაო, – იწერებოდა – მამას უთხარი, „ყარანაის“ ტექსტი გამომიგზავნოს და კიდევ „ხბოის ლექსი“. ეს სიმღერები პალატის მომღერლებს ვასწავლე და ძალიან მოსწონთ, მაგრამ ტექსტები ბოლომდე ვერ გავიხსენე, თურმე, ბლოკნოტში არ ჩაგვიწერიაო.

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები – თვეებს. ირაკლი იზრდებოდა. დედა ახალ-ახალ ლექსებს ასწავლიდა, მათ შორის, ცხადია, ომის პერიოდის ფოლკლორი სჭარბობდა:

„მე პატარა ბიჭი ვარ,
გავიზრდები დიდი,
ფრიცების მოსაკლავად
ზარბაზანს ვიყიდი.
გაიმარჯვებს სტალინი
„ვაშა“ აგუგუნდება
და მამიკო ორდენით
სახლში დამიბრუნდება“.

დამიანე ერქომაიშვილის ასეულმა სტალინგრადიდან კურსკში გადაინაცვლა. ჯო-



ნური, არტემ, მანანა, დამიანე, ჟუჟუნა და გოგოლა ერქომაიშვილები

ჯოხეთური ცეცხლი დატრიალდა კურსკის რკალზე. ამჯერად, ნაღმის ნამსხვრევებით რამდენიმე ადგილას უფრო მძიმედ დაიჭრა, ყბისა და კისრის არეში. საფრონტო გაზეთი აღნიშნავდა: „უთანასწორო ბრძოლაში მან არ მიატოვა ბატარეა, რომელსაც მეთაურობდა, დაჭრილი გონების დაკარგვამდე იბრძოდა და მტერს არ მისცა საშუალება, მეტად მნიშვნელოვანი პლაცდარმი დაეკავებინა. მაშველი ჯარის მოსვლამდე გაძლო, მებრძოლებმა იგი გონდაკარგული იპოვეს“.

ამის გამო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

შემდეგ – ბელორუსიისა და პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლები. ერთერთ ბრძოლაში ისევ დაიჭრა. ნაღმმა სანახევროდ დამარხა მიწაში. კონტუზირებული და გონდაკარგული გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს.

სამი თვე დაჰყო ტყვეობაში. პირველი შემთხვევისთანავე გაიქცა. ხუთნი იყვნენ. მათგან მხოლოდ ორმა მიაღწია ფრონტის ხაზამდე. თავისი ნაწილი ვეღარ იპოვა, მაგრამ სხვაგან გაამწესეს, ჯერ ოცეულის, ხოლო შემდეგ ასეულის მეთაურად დანიშნეს. კენიგსბერგის აღებისათვის, წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენით დააჯილდოვეს.

შემდეგ – ბრძოლები უნგრეთის გასათავისუფლებლად. „ჩვენს ნაწილში უნგრელები მოიყვანეს, მათ სიმღერები შევასწავლე. საკმაოდ ადვილად აითვისეს, მაგრამ ქართული ტექსტის გამოთქმა უჭირთ. „დამწყები“ ერთი ლანჩხუთელი მეტყვიამფრქვევეა, გვარად ცინცაძე, „კრიმანჭული“ ზუგდიდელ კვარაცხელიას ვასწავლე და ისე რავა წავხდებით, რომ ბერლინში, რაიხსტაგთან, „ხასანბეგურა“ არ შემოვძახოთ“, – სწერდა მამას.

დამიანეს ასეულმა რაიხსტაგის აღებაშიც მიიღო მონაწილეობა. 9 მაისს ბერლინში შეხვდა და რაიხსტაგთან, ზეიმზე, „ხასანბეგურაც“ შემოსძახეს:

„ჩვენ გახლავართ გურულები,
ბრძოლა გვქონდა შუხუთფერდში,
მტერი ისე დავამარცხეთ,
მთხრობლად არ გოუშვით ერთი“.

ჭექდა ბერლინში ძველისძველი საბრძოლო სიმღერა მაშხალების ფოიერვერკის ფონზე.

ომი დამთავრდა. ეშელონებს ახლა ომგადახდილი მეომრები მოჰყავდათ. ჟუჟუნამ წერილი ავსტრიიდან მიიღო, მალე ჩამოვალო – იწერებოდა.

მისი ეშელონი ჯერ სამხრეთისაკენ წამოვიდა, მაგრამ მერე აღმოსავლეთისკენ გაუხვია და თავი მანჯურიაში ამოჰყო. ახლა იაპონიასთან დაიწყო ომი. ახლა იქიდან მოიწერა წერილი.

კიდევ ერთი წელი გავიდა, სანამ ნანატრი დემობილიზაცია გამოცხადდებოდა და, როგორც იქნა, განშორებიდან მეათე წელს, დამიანე ერქომაიშვილი ოჯახში დაბრუნდა.

ომგადახდილებს დიდი ზეიმით ხვდებოდნენ. არტემ ერქომაიშვილის ოჯახმა უფროსი შვილის დაბრუნება განსაკუთრებულად აღნიშნა. მნახველებს ბოლო არ უჩანდა, ზეიმი ერთ თვეს გაგრძელდა. ირაკლი მე-3 კლასში იყო, მამამ რომ გაიცნო. ორი წელი იცხოვრეს ჟუჟუნამ და დამიანემ ერთად, შეეძინათ გოგონა – მანანა და ამდენი გაჭირვება თითქმის დაავიწყდათ, მაგრამ 1949 წლის ერთ ღამეს დამიანეს ისევ მოაკითხეს და წაიყვანეს.

– ტყვედ ყოფილა ნამყოფიო, – უთხრეს ოჯახის წევრებს.


– კი მაგრამ, ამდენი ჭრილობა, მადლობა და ჯილდო?! – ამგვარი საბუთი დრომოჭმული აღმოჩნდა. საბჭოთა სახელმწიფოს თავისი შეუვალი „საბჭოთა ლოგიკა“ ჰქონდა.

დამიანე გამონაკლისი ხომ ვერ იქნებოდა! გამარჯვებული ქვეყნის ასეულ ათასობით ომგადახდილი მეომარი სტალინის გარდაცვალებამდე ციმბირში იხდიდა „სასჯელს“.

ერთ დღეს დამიანე გამოიძახეს, გაუმზადეს საბუთები, მისცეს საუკეთესო დახასიათება, ბოდიშიც მოუხადეს, – თურმე ტყუილად დაგვისჯიხარო და შინ გამოისტუმრეს.

სამსახურში უწინდელი უმწიკვლო რეპუტაციით აღადგინეს, დააწინაურეს კიდეც.

ცხოვრება ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. დამიანე ბათუმის მომღერალთა გუნდში მიიწვიეს. ხმა ისევ კარგად უჟღერდა. ამხანაგები სულში იძვრენდნენ, ხელმძღვანელობას უყვარდა, როგორც მრავალი ორდენის კავალერი. ომის ვეტერანთა საბჭოშიც შეიყვანეს. ყოველ წელს დასასვენებლად უფასოდ აგზავნიდნენ საუკეთესო სანატორიუმებში.



შვილიშვილთან – დამიანე და ზაზა ერქომაიშვილები

ხნიერი ჯერ არ ეთქმო-

და, 60 წელიც არ შესრულებოდა, მაგრამ ნათქვამია – ქვა რომ ქვაა, ისიც ცვდებაო – და აბა კაცი როგორ გაუძლებდა ამდენ გაჭირვებას; ვერც გაუძლო. უწია მიღებულმა ოცდაოთხმა ჭრილობამ. ერთ დღეს კბილი ამოუღეს და ფესვს ალუბლის კურკის ოდენა ნაღმის ნამსხვრევი ამოჰყვა. ასეთი ნამსხვრევი ბევრი ჰქონდა ჩაბუდებული სხეულში. დამიანეს ჯანმრთელობამ უმტყუნა. თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ახლობლების შეწუხებას ერიდებოდა...

... შუქი ჩართეს. ჟუჟუნა გამოერკვა, ავადმყოფი შეიშმუშნა, თვალი გაახილა და იქაურობას მოავლო, მერე ცოლს გაუღიმა და წყალი ითხოვა, ჟუჟუნამ თავი აუწია და რამდენიმე ყლუპი ფრთხილად დაალევინა. დამიანემ თვალები მოხუჭა, ეტყობა, ელექტრონის შუქმა შეაწუხა, მერე საწოლიდან წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. პიჯაკი თვალებით მოიძია და ჟუჟუნას ანიშნა – მომაწოდეო. ქალი ადგა, შუქი ჩააქრო, პიჯაკი მოუტანა. დამიანემ აკანკალებული ხელით გულის ჯიბიდან ქაღალდში შეხვეული რაღაც ამოიღო და ჟუჟუნას გაუწოდა, მერე ფრთხილად გადაუსვა ხელი ხელზე და ბალიშზე მიესვენა.

ჟუჟუნამ ის შეხვეული გამოართვა, სანთელთან მიიტანა, გახსნა და ლექსების ძველი, გაცრეცილი, სისხლის ლაქებიანი ბლოკნოტი იცნო. აკანკალებული ხელით გადაფურცლა ბლოკნოტი; სიმღერების ტექსტებს შუა თავისი იები შენიშნა, გამხმარი, დატკეპნილი და ფურცლებს მიკრული იები.

სანთელი ჯერ ისევ ანათებდა. ქრებოდა სიცოცხლე კაცური კაცისა. ჟუჟუნას ომის ქარცეცხლში გულისჯიბით თილისმასავით ნატარები იები დაუბრუნდა.

ქალს ცრემლები წასკდა. ცრემლი ყვავილს დაეწვეთა. ია გათბა, გალხვა, გაცოცხლდა და იისფერი დაუბრუნდა, ფერი მარადიული სიყვარულისა.

1997 წ.

(ბიცოლაჩემის – ჟ. ცინცაბაძის ნაამბობის მიხედვით).



ნოღაჰა

ნოღაურ ლომკარიას მოსაგონარი

ოზურგეთს რომ გასცდებით და ბათუმისკენ მიმავალ გზას დაადგებით, ხელმარცხნივ მდინარე ბჟუჟის ხიდს თუ გადახვალთ, გზა სოფელ მაკვანეთამდე მიგიყვანთ.

ეს ჩემი სოფელია.

გორმაღალის მთიდან თუ გადმოხედავთ, მაკვანეთს ულამაზესი მდებარეობა აქვს, იგი ორ პატარა ქედს შუა აკვანივითაა ჩაწოლილი, ამიტომაც ადრე თურმე აკვანეთი ერქვა.

მაკვანეთი მთელს გურიაში ცნობილია მუსიკალური ტრადიციებითა და მგალობელ-მომღერლებით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამ სოფელში მოღვაწეობდა ცნობილ მომღერალთა ანსამბლი, რომელსაც ჩემი დიდი წინაპარი, გიგო ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. ეს ანსამბლი 1907 წელს ინგლისურმა ფირმამ „გრამოფონმა" მიიწვია თბილისში და მისგან 49 გურული სიმღერა ჩაიწერა გრამოფონის ფირფიტებზე. ეს ფირფიტები დღესაც ინახება ლონდონის ცენტრალურ არქივში.

მაკვანეთში მუსიკალური ტრადიცია გრძელდება და საქართველოს მუსიკოს-ხელოვანთა რიგებს ბევრი მაკვანეთელის გვარი ამშვენებს. მაკვანეთი სავსეა მუსიკალური ოჯახებით, კეთილი და ენამოსწრებული ხალხით.

აი, ამ სოფელში გავატარე მე მთელი ჩემი ბავშვობა. სოფლის კაცებში გავიზარდე,



ნოდარ ლომჯარია ცოლ-შვილთან და ძმიშვილთან (მარცხნივ)

იქაური ზნე-ჩვეულებები შევითვისე, დაწყებითი განათლებაც იქ მივიღე და, ცხადია, პირველი მეგობრებიც სკოლაში შევიძინე. დღემდე თან დამყვება ჩემი სოფლის განუმეორებელი სურნელი, ოქტომბერში, იზაბელას მწიფობის დროს, ორღობეებში რომ იდგა. მენატრება მდინარე „აგიდაყვა", „გორმაღალი", „ქვაბისკარი". მესიზმრებიან ჩემი ბავშვობის მეგობრები და მეზობლები, რომელთაგან ბევრი უკვე ცოცხალი აღარაა.

შარშან სოფელში ჩავედი და სასაფლაოზე ავიარე. რამდენი კაცი წასულა ამქვეყნიდან?! წასულან ისინი, წარუშლელი კვალი რომ დატოვეს ჩემს ცხოვრებაში: ჩემი მასწავლებლები, მერხის მეგობრები, მეზობლები, რომელთა სითბო და სიყვარული დღემდე მომყვება. ვჩერდებოდი ნაცნობ გვარებთან და სახელებთან. რამდენი ხანია მათი

ხმა აღარ გამიგონია და ახლა ჩემს სმენაში ნელ-ნელა აღსდგა თითოეული მათგანის ხმის ტემბრი, ლაპარაკი, სიმღერა და თვალწინ წარმომიდგა მათთან გატარებული ბავშვობის წლები, ბედნიერი და უდარდელი.

ერთ საფლავთან გავჩერდი. იქ მიმეჩქარებოდა ძალიან. ნოდარ ლომჯარიას კეთილი, ღიმილიანი სახე შემომეგება. ჩემი ნოდარა, რა ადრე წავიდა ჩვენგან, როგორ მომნატრებია თურმე. არის პიროვნება, რომელიც შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რა მნიშვნელობა აქვს, მას ყოველდღდე შეხვდები თუ არა, იგი სულ შენთან იქნება სიცოცხლის ბოლომდე. ასეთია ჩემთვის ნოდარ ლომჯარია. აგერ 30 წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან და ვერაფრით შევეჩვიე უმისობას. ჩემს ცხოვრებაში რამდენი შესანიშნავი პიროვნება შემხვედრია, მაგრამ ნოდარა სულ სხვანაირი იყო, განუმეორებელი. ასეთივე დარჩება ჩემთვის მარადჟამს.

ნოდარაზე სუფთა კაცი იშვიათად მინახავს, – ჩემს თანასოფლელ გოგოს ქარი რომ კაბას აუფრიალებს, გვერდზე გავიხედავო – იტყოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ნოდარას ერთი დღეც თავისთვის არ უცხოვრია, იგი მეგობრებისა და თანასოფლელებისთვის ცხოვრობდა, იყო ყველას პატრონი, ჭირისა და ლხინის თანამოზიარე, მართალი, უბოროტო, კეთილშობილი კაცი. ნოდარა საოცრად გულმოწყალე იყო და სხვის გაჭირვებას ისე განიცდიდა, როგორც საკუთარს. განსაკუთრებით დავრდომილებსა და მარტოხელებს ეხმარებოდა. დღესასწაულებზე სურსათ-სანოვაგითა და საჩუქრებით მიადგებოდა, ანუგეშებდა, მოეფერებოდა და დაამშვიდებდა. ყურადღებას არ აკლებდა ობოლ ბავშვებს, – ამათ რომ ვუყურებ, თვალწინ ჩემი შვილები წარმომიდგება უმამოდო, – იტყოდა და უკანასკნელ კაპიკს აჩუქებდა ობლებს. ეტყობა, ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. მისთვის არ არსებობდა ნაცნობი და უცნობი გაჭირვებული, ყველას ეხმარებოდა, ამიტომ სოფელში ვისაც კი გაუჭირდებოდა, ნოდარას ხასიათი რომ იცოდნენ, ყველა მასთან მიდიოდა საშველად, ხშირად იყო შემთხვევა, რომ ფული არ ჰქონდა, მაგრამ ისესხებდა და მაინც გაუმართავდა ხელს გაჭირვებულს. ნოდარას ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა: ვერ იტანდა მომდურავ მეზობლებს და ყველაფერს იღონებდა, სანამ მათ არ შეარიგებდა, ამიტომ სოფელში მომრიგებელს ეძახდნენ.

ერთხელ ნოდარას ცოლ-შვილი მიჰყავდა სოფელ ვაკიჯვარში თავის ძმასთან. წვიმიანი დილა იყო. გზაზე ქალაქისკენ მიმავალი შავოსანი ქალი შემოხვდათ პატარა ბიჭებით, რომლებსაც გოდრებით ტვირთი მიჰქონდათ ქალაქში. ნოდარამ მანქანა მოაბრუნა, ცოლ-შვილი მყუდრო ადგილას ჩამოსვა და მეუღლეს უთხრა: აქ დამიცადეთ, ამათ ქალაქში ჩავიყვან და მალე დავბრუნდები, თორემ ამ ბავშვების დარდი ამაღამ არ დამაძინებსო.

მაგონდება ჩემი სტუდენტობის პირველი წლები. თბილისში ახალჩამოსულები ვიყავით და მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდით. ვაკეში მე და თამაზ ანდღულაძეს პატარა ბინა გვქონდა დაქირავებული. ეს ბინა ერთგვარ მუსიკალურ სალონს წარმოადგენდა, სადაც ჩვენი მეგობრები იკრიბებოდნენ, უმეტესად, სასიმღეროდ. ხანდახან სტუდენტურ სუფრასთან თითო ჭიქას ავწევდით და სიმღერასაც მივაყოლებდით. ჩვენთან იკრიბებოდნენ ჩვენი მეგობარი სტუდენტები: ზაურ ხუჯაძე, შოთა ჩაკვეტაძე, გურამ იაშვილი, ვაჟა გოგოლაძე, ბადრი თოიძე, გენო მუჯირი და სხვები, ხოლო როცა ბაბუაჩემი არტემ ერქომაიშვილი გვესტუმრებოდა გურიიდან, მაშინ ჩვენი მასწავლებლები, ცნობილი მომღერლები: – ლევან და ვასილ მახარაძეებიც მოდიოდ-



მეგობრებთან

ნენ ჩვენთან და იწყებოდა ნამდვილი კონცერტი. უკეთესს რას მოისმენდა კაცი, ჩუმად ვისხედით და ყურდაცქვეტილი ვუსმენდით მართლაც ამ სიმღერის ჯადოქრებს. მახსოვს, ერთხელ ნოდარ ლომჯარია გვესტუმრა გურიიდან და იზაბელა ჩამოგვიტანა მისი შესაფერისი პურ-მარილით. სუფრას ნიაზ (ანზორ) გუნთაიშვილი თამადობდა. ნიაზი და ნოდარა 6 თვე ერთად მსახურობდნენ საბჭოთა არმიის რიგებში, ქუთაისის ქართულ დივიზიაში და იქ დამეგობრდნენ, მერე ხრუშჩოვმა ეს დივიზია დაშალა და ბიჭები სახლში გამოუშვეს. ამის შემდეგ ნოდარა და ნიაზი დიდი მეგობრები იყვნენ. ჩვენ იზაბელას შევექცეოდით და შიგადაშიგ ვღიღინებდით. – ე, ბიჭო, ერთხელ კიდევ მიმღერეთ „მივალ გურიაში მარა“, გვეხვეწებოდა ნოდარა, რომელსაც ძალიან უყვარდა ეს სიმღერა და უკვე მერამდენედ გვამღერა.

... ლომჯარიების ოჯახი მთელს სოფელში ძველთაგანვე განთქმული იყო პატიოსნებითა და პირიანობით. წინათ ფირალები მხოლოდ რამდენიმე ოჯახს თუ ენდობოდნენ ღამის გასათევად. მათ შორის იყო ნოდარას მამის, – ალექსი ლომჯარიას ოჯახიც. ალექსი მთელ სოფელში ჭკუასაკითხავი კაცი იყო, პატიოსანი, მშრომელი, პურმარილიანი. მან საუკუნეს გადააბიჯა და მის ბაგეს სასიყვარულო სიტყვების მეტი არაფერი წამოსცდენია. მისი მეუღლე – ნინუცი მეტად სათნო ქალბატონი გახლდათ, მათ ოჯახში ერთი ხმამაღალი სიტყვა არ თქმულა, ისე გაზარდეს ოთხი შვილი ნოდარა ყველაზე უმცროსი იყო.

საბჭოთა არმიის რიგებიდან რომ დაბრუნდა, ნოდარამ მძღოლად დაიწყო მუშაობა, მაკვანეთში, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შოთა ბასილაშვილს ატარებდა. მაშინ მანქანა სოფელში იშვიათი მოვლენა იყო. ამიტომ ნოდარას ლურჯი „მოსკვიჩი“ ყველას ემსახურებოდა.

– ჩემს მანქანაში ყველა ჯდება, ჩემს მეტიო, – ხუმრობდა თავმჯდომარე.

– რა ვქნა, შოთა ბიძია, ერთთან ექიმია მისაყვანი, მეორეს წამალი უნდა მივუტანო, მესამეს დედა უწევს საავადმყოფოში... კოლმეურნეობის საქმეებს რომ მორჩებოდა, მერე გაჭირვებულებს ჩამოუვლიდა. თავმჯდომარეს უკვირდა: როგორ ასწრებს ეს კაცი ამდენს, ან რა გული აქვს ამისთანა, რომ მთელი სოფლის სიყვარულს იტევსო.

... იმ პერიოდში მაკვანეთის რვაწლიანი სკოლა დავამთავრე. ჩვენი სკოლა მოთავსებული იყო თავადი ნაკაშიძეების საცხოვრებელ ხის სახლში, რომელიც კომუნისტებმა

ჩამოართვეს გაკულაკების პერიოდში. სახლი ნაბლის ხისაგან იყო ნაშენი და საკმაოდ დიდიც, მაგრამ მერე სოფელი გაიზარდა და ეს შენობა ველარ აკმაყოფილებდა სკოლის მოთხოვნებს. სოფელში ხუმრობდნენ; ჩვენი სკოლა მარტო ბაბილოძეებს აღარ ყოფნისო (ბაბილოძეები ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია მაკვანეთში), ამიტომ სოფელმა მოითხოვა, საშუალო სკოლა აგვიშენეთო.

– დაგვისაბუთეთ, რომ აუცილებლად გესაჭიროებათ და აგიშენებთო, – განაცხადა რაიკომის მდივანმა შოთა ჭანუყვაძემ.

– მეტი რაღა დასაბუთება გინდათ, ბაბილოძეები საღამოს სამნი წვებიან და დილით ოთხნი დგებიანო, – უპასუხა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ რუბენ ბაბილოძემ. დაუჯერეს და აშენდა საშუალო სკოლა მაკვანეთში, მაგრამ მე ვერ მოესწრო და ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა დავამთავრე.

ერთხელ ნოდარა 6-თვიან კურსებზე გამოაგზავნეს თბილისში. ჩემმა თბილისელმა მეგობრებმა იგი გულში ჩაიხუტეს. ნოდარას ადამიანებთან დაახლოების საოცარი უნარი ჰქონდა, რადგან ყველაში მხოლოდ სიკეთეს ეძებდა, ამიტომ, რომელ საზოგადოებაშიაც არ უნდა მოხვედრილიყო, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა და ყველა მასთან დაახლოებას ცდილობდა. მოკლე დროში, თბილისში ბევრი მეგობარი გაიჩინა. უყვარდა მთაწმინდაზე ასვლა, საათობით ჩამოჯდებოდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში: – მე რომ ქართულ ენას ვასწავლიდე, გაკვეთილებს მხოლოდ აქ ჩავატარებდიო, – იტყოდა. დავდიოდით ოპერაში, თავიდან არ მოეწონა, მაგრამ მერე შეეჩვია და სპექტაკლებს აღარ აცდენდა. იყო ზურაბ ანჯაფარიძის თაყვანისმცემელი. სტადიონზეც ერთად დავდიოდით, იყო ფეხბურთის თავდავიწყებული გულშემატკივარი.



თანასოფლელებთან...

თბილისში იგი ეკლებზე იჯდა, ეგონა, რომ მის გარეშე სოფელი დაინგრეოდა. ჩამოსვლიდან ერთ კვირაში ძალიან მოენატრა მეზობლები, ახლობლები, ბერიკაცები, რომლებთანაც მეგობრობდა, როგორც ახალგაზრდებთან. ჩამოუჯდებოდა ჯორკოზე (დაბალი სკამი) და ისე ესაუბრებოდა, თითქოს მათი თანატოლი ყოფილიყოს, ისინიც სიამოვნებით უყვებოდნენ ძველ ამბავს, ნანახსა და გაგონილს. ხშირად რომელიმე მოხუცს ჩაის-

ვამდა მანქანაში და მოყვრებში წაიყვანდა. მეგობრები ხშირად უნაწყენდებოდნენ;

– ე ბიჭო, ნოდარა, რას გადაყევი ამ ბერიკაცებს, ცოტა ჩვენსკენაც მოიხედეო, – ეტყოდნენ.

– მაგათთვის ყველაფერი მოსასწრებია, თქვენ ჯერ ყველაფერი წინა გაქვთო, – უპასუხებდა. ერთ დღეს, როცა არდადეგებზე ჩავედი სოფელში, ნოდარამ გამაცნო ნანი შავიშვილი სოფელ ლიხაურიდან, არაჩვეულებრივად მომხიბლავი და სანდომიანი გოგონა. აბა როგორ შეიძლებოდა, ნანი არ მოგწონებოდა.

– შენს გარეშე არ მინდოდა საქმის გადაწყვეტაო, – მითხრა ნოდარამ.

ნოდარას ქორწილი სოფლის ზეიმად გადაიქცა და გამოჩნდა მაკვანეთლების სასიმღერო პოტენციალი. სადღეგრძელოებს შესაფერისი სიმღერები მოსდევდა. „სუფრის წესი" ეშხში შედიოდა, გაჩაღდა გვაროვნული შეჯიბრი სიმღერებში. ჯერ სიხარულიძეები დაიწყებდნენ სიმღერას, მერე ერქომაიშვილები გადაიტანდნენ, მათ იობიშვილები, თოიძეები, ცელაძეები, ბაბილოძეები, ვაშალომიძეები, ცეცხლაძეები, ანდღულაძეები ეჯიბრებოდნენ და ნოდარას ქორწილი სარაიონო ოლიმპიადას დაემსგავსა. მე მეჯვარე ვიყავი და სუფრის შუაში ვიჯექი, ჟიურის თავმჯდომარესავით. ის ქორწილი დღემდე სამაგალითოდ რჩება ჩემს მეხსიერებაში.

ერთ საღამოს ნოდარამ ოჯახში მიმიპატიჟა, მიხაკო ბაბილოძემ ბუხარი ამიშენა და სტუმრები მყავსო. მიხაკო ბაბილოძე მთელ გურიაში განთქმული მებუხრე იყო, ფუტკარივით მშრომელი კაცი, იგი უსაქმოდ არავის უნახავს. შვილებს თავისი ხელობა ასწავლა და ახლა მათთან ერთად აშენებდა ბუხრებს. მიხაკო ღვინოს ცოტას სვამდა, ამიტომ მისი შვილები ამბობდნენ – მამას ღვინო არ უყვარსო, – ღვინო მე მიყვარს, ვეფერები და იმდენს ვსვამ, რამდენიც მესიამოვნება, თქვენ ღვინო კი არა, დათრობა გიყვართ, – ეუბნებოდა იგი შვილებს. მიხაკო თუთუნს არ ეწეოდა და მწეველებს „ცეცხლთაყვანისმცემლებს" უწოდებდა. – მაგისთვის, ბიძია, დროს ვერ გავაცდენ, თუთუნი უსაქმო კაცისთვისაა მოგონილი მიზეზს რომ ეძებს დასასვენებლად, რა წესია, დგახარ ამხელა კაცი და ბოლს უშვებ „პარაოზივით", ვინც თუთუნი მეიგონა, იგი ეშმაკის მოციქულია, ამაზე დიდი მავნებლობა კაცობრიობისათვის ჯერ არავის მოუტანიაო, – იტყოდა ხშირად.

მიხაკოს „გამყივანივით" (მაღალი ხმა გურულ სიმღერაში) წვრილი, სალაპარაკო ხმა ჰქონდა, იყო საოცრად ენამოსწრებული და უყვარდა თავისი შვილების გამოჯავრება.

– ჩემს ბიჭს, იაშას ახალი სახლი ავუშენე, ცალკე დავასახლე, ოჯახი მოვუწყვე, საქონელი ვუყიდე, ცოლი შევრთე, მარა რად გინდა მერე, მიუვა სტუმარი და მომიყვანს მე, – წაუკისკისა მიხაკომ სუფრასთან.

თამადამ, ბეჟან კალანდარიშვილმა, პირველად მშვიდობის სადღეგრძელო შესვა, მერე ბუხრის ამშენებლები ადღეგრძელა:

– თქვენ ხომ დიდოსტატი ხართ, მიხაკო ბიძია, თქვენი შვილებიც მშვენიერი ხელოსნები არიან, ოქრო გამოუდით ხელიდან, – შეაქო თამადამ.

– კიიი! – წაუწვრილა მიხაკომ, ხელობა კარგად იციან, მარა მუშაობა ორივეს ეზარება და „პატარა საყვარელოს" სწავლობენ ალექსანდრე ბაბილოძესთან და ჯაბა ჭეიშვილთან ერთად, პავლე ბაბილოძე ამეცადინებს ვითომ. ამ შემოდგომაზე 20 ფუთი ღვინო შესვეს და ერთი სიმღერა ვერ შეისწავლეს. ვეუბნები, თქვენ რომ მაგის ნიჭი გქონდეთ, არტემ ერქომაიშვილი ჩაგრიცხავდათ თავის გუნდში-მეთქი, გაგიგონია? ვინ გისმენს, გუშხამ „სიმღერის მეცადინეობაზე" ისე დამთვრალიყო იაშა, რომ სახლ-

ში ვეღარ მიდიოდა. იმ დროს დავეწიე, როცა ქესკინა თოიძეს ცალი ხელი საყელოში წაევლო და მეორეთი ზურგში აწვებოდა. მე რომ დამინახა, მომაძახა: „მიხაკო, რა ვუყო ამ შენს ბიჭს, ერთ ნაბიჯს რომ სახლისკენ წადგამს, ორს უკან გადმოდგამსო“, – ე ბიჭო შეაბრუნე და მივა სახლში – მეთქი, – ვუთხარი მე. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი.

სუფრას მეზობლები: კუკური ღლონტი და იუზა მემარნიშვილი შემოუერთდნენ. თამადამ შემოსწრებულების სადღეგრძელო შესვა. – ჩვენ ღლონტები, წარმოშობით იტალიელები ვართ, – თავი მოიწონა კუკურიმ სამადლობლის დროს.

– იმპორტული ყველაფერი კაია თქვენს გარდა, – უთხრა კუკურის ვაჟა იობიშვილმა.

ნოდარას ოჯახში ქეიფი დიდხანს გაგრძელდა. იყო ხუმრობა, სიცილი და სიმღერა. ილარიონ სიხარულიძის ოჯახური ანსამბლის მოსმენას არაფერი სჯობდა, ითქვა „მასპინძელსა მხიარულსა“, „ჩვენ მშვიდობა“, „მე რუსთველი“ და როცა „მიეალ გურიაში მარა“ დააღიღინეს ჩონგურზე, ნოდარამ ცრემლები ვეღარ შეიკავა და სათითაოდ დაკოცნა შემსრულებლები. გათენებას ბევრი აღარაფერი აკლდა, ეზოში რომ გამოვედით. ნოემბრის ბოლო იყო, ციოდა, წვიმაში ნელ-ნელა ურევდა თოვლის ფანტელს. ნოდარამ მანქანით წამიყვანა სახლში, – რამდენი კაი კაცია ჩვენს სოფელში, – მითხრა მან, – ამისთანა ხალხს სად ნახავ, შეხედე მელქისედეკ მუჯირს, ამ ბრძენ კაცს, მთელი ქვეყნის მასწავლებლად რომ გამოდგება, შეხედე მიხაკოს, შეხედე ყარამან კალანდარიშვილს, იაკინთე გოლიაძეს, ლუკა თოიძეს, კაზიანე ბერსენაძეს, პეტრე კალანდარიშვილს... ამათ თვალწინ თითქმის მთელმა საუკუნემ გაიარა ათასნაირი ფათერაკებით და უბედურებებით. აბა, ერთ მათგანს თუ შეამჩნევ სახეზე ამდენი უბედურების ნაკვალევს, ამათ უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ მათი შინაგანი კულტურა და ტაქტი აღტაცებას ინვევს ჩემში, რომელ საზოგადოებაშიაც არ უნდა მიიყვანო, ყველაგან თავს გამოიჩენენ. თითოეული მათგანი ბრძენკაცია, ჭკუას ამათგან უფრო ისწავლი.

* * *

საირაოზე მიმავალნი, მე და ნოდარა ერთ პატარა გორაკზე შევჩერდით. ქედზე სასიამოვნო ნიავი ქროდა. ნოდარამ მიდამო მოათვალიერა. აქედან ხელისგულივით ჩანდა „ოქროს მუხურო“, ის კუთხე, სადაც ნოდარა და მისი მეზობლები სახლობდნენ. ირგვლივ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები იყო გაშენებული. აქედან კარგად მოჩანდა გომის მთა, შემოქმედის მონასტერი, ჭანიეთის ციხე და შავი ზღვა.

– აბა შეხედე, სამოთხე არაა? – თქვა ნოდარამ, – ამაზე კაი ადგილას სად დაიმარხება კაცი, შეხედე, როგორ ხელისგულივით მოჩანს მთელი გურია.

ნოდარა ჩაფიქრდა, – იცი რა? რა უბედურია ის კაცი, სამშობლოში რომ არ დაიმარხება და თავისიანი არ მიუწვება გვერდით, უთვისტომო მიცვალებული უთვისტომო კაცზე უფრო ცოდვაა.

* * *

მორიდებით შევაღე სახელგანთქმული დასტაქარის, ეგნატე ფიფიას კაბინეტის კარი. იგი თეთრ სამოსში გამოწყობილი, ზევსივით იჯდა სავარძელში, და თვლემდა, მორიგი ოპერაცია ახლახან დაემთავრებინა.

– ბატონო ეგნატე, მეგობარი მყავს მძიმე ავად ოზურგეთში, კარგი ახალგაზრდაა,

ექიმები თქვენს კონსულტაციას თხოულობენ, იქნებ რაიმე ეშველოს, ნუ მეტყვით უარს, მადლია.

– მომეცით მონაცემები, – მიპასუხა ყრუდ, ისე რომ თავი არც კი აუწევია. მე მივაწოდე. მან სწრაფად ჩაიკითხა ფურცელი და რაღაც თავისთვის ჩაიდუდუნა, მერე თავი ასწია, სავარძლის სახელურებს დაეყრდნო და მცირე პაუზის შემდეგ, მითხრა: მოამზადეთ მანქანა, ხვალ დილით ოზურგეთში მივდივართ.

მეორე დილით მე და თამაზ ანდღულაძე უთენია მივადექით ბატონ ეგნატეს. გზაში იგი ხარბად ათვალიერებდა გარემოს და გვიყვებოდა საინტერესო ამბებს, თავის განცდილსა და გაგონილს, გვიყვებოდა ისტორიულ ფაქტებს. გამაოცა მისმა ენციკლოპედიურმა ცოდნამ. იგი საოცრად მომხიბვლელი ადამიანი და იშვიათი მოსაუბრე იყო. მთელი გზა ისე გავლიეთ, რომ ვერც კი გავიგეთ.

თებერვლის სუსხიანი დღე იდგა. სიცივე, რომ იტყვიან, ძვალსა და რბილში ატანდა, თოვლი მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ოზურგეთის საავადმყოფოს ეზო ხალხით იყო სავსე.

– რა ხდება აქ? – იკითხა გაკვირვებით ბატონმა ეგნატემ.

– ესენი ჩვენი სოფლელებია, დღედაღამ აქ არიან, ბატონო ეგნატე, ნოდარას ჯანმრთელობა აინტერესებთ. ახლაც თქვენს ჩამოსვლას ღმერთივით ელოდებიან. ბატონმა ეგნატემ გულდასმით გასინჯა ავადმყოფი.

– ექიმო, რა შეიძლება ავადმყოფს ვაჭამოთ? – შეეკითხა ნანი, როცა იგი უკვე ხელებს იბანდა.

– რაც ინატროს, ყველაფერი აჭამეთ, – ხმადაბლა უპასუხა ბატონმა ეგნატემ, და ჩვენ მივხვდით, რომ უკე ყველაფერი გათავებული იყო.

* * *

იმ გორაზე, სადაც ოდესღაც მე და ნოდარა შევჩერდით, ახლა მისი საფლავია. სოფელმა ახალი სასაფლაო გაუხსნა იმ კაცს, რომელიც მისთვის სიყვარულის სიმბოლოდ იქცა. არავინ იცის სამაგიეროს გადახდა ისე, როგორც სოფელმა. გახსოვთ? ნოდარამ თავისიანებთან დამარხვა ინატრა, ახლა მის ირგვლივ სხვადასხვა ასაკისა და თაობის თანასოფლელები გადმოსახლებულან. უცნაური რამაა ცხოვრება, კაცი რა ასაკშიაც გარდაიცვლება, მისი სახე ისეთივე რჩება ადამიანის მეხსიერებაში სამუდამოდ. ნოდარა ახალგაზრდად დარჩა, ნოდარას წლები აღარ ემატება, ნოდარა ვერავის წარმოუდგენია დაბერებული, იგი ყველას ემახსოვრება სიცოცხლით სავსე, წარმოსადეგი, ემახსოვრება ისეთი, როგორიც წავიდა ამ ქვეყნიდან. ახლა ნოდარას კეთილი, ღიმილიანი სახე გადაჰყურებს სოფელს. აქედან ხელისგულივით მოჩანს მაკვანეთი, მოჩანს კი არა, თუ მიაყურადებთ, ნიავი ზოგიერთი ოჯახის საიდუმლოებასაც კი ამოგიტანთ.

სოფელი თავისი გზით მიდის. დღისით იქ სიცოცხლე დუღს. მერე დაღლილი ხალხი თანდათან მშვიდდება, სოფელს, ბინდთან ერთად, სიწყნარეც შეეპარება და როცა ცაზე ვარსკვლავები აკიაფდებიან, ნიავს ჩონგურზე სევდიანი დაღიღინება მოაქვს: „მივალ გურიაში მარა, სულმა წინ-წინ გეიპარა“, რომელიღაც ოჯახში ნოდარას სადღეგრძელოს სვამენ და მის საყვარელ სიმღერას მღერიან მადლიერი თანასოფლელები...

1978 წ.

კარი V


ხშირი უცნაური

სიმღერა მაშინაა ლამაზი, როცა

სიყვარულით მღერიან

„ბულბულსაც ჰი აჯობა"

ჰამლეტ გონაშვილი



ჰამლეტ გონაშვილის ხმა პირველად 1950-იანი წლების ბოლოს მოვისმინე. მაშინ ის ანზორ კავსაძის გუნდში მღეროდა. განმაცვიფრა მისი ხმის უცნაურმა ტემბრმა, ჩემთვის ჯერაც გაუგონარმა, იშვიათი სილამაზის ხმამ. მოგვიანებით ჰამლეტი ანსამბლ „რუსთავში" მღეროდა და ჩემ თვალწინ გადაიშალა მისი ხმის ენით აუწერელი ფერადოვნება.

მერე უცხოეთის პრესა ბევრს წერდა ჰამლეტ გონაშვილის შესახებ.

„ამ მომღერლის ხმას უცნაური თვისება აქვს: საოცარი სილამაზის ტალღა ამოდის მომღერლის ბაგეებიდან, გადაუვლის მაყურებელს, დარბაზს, ყველა კუთხე-კუნჭულს ბოლომდე მოივლის, შემდეგ შეეჯახება კედელს და უკანვე უბრუნდება მომღერალს. ეს ტალღა აჯადოებს მსმენელს." – წერდა ერთ-ერთი ბელგიური გაზეთი.

ერთხელ ერთმა იტალიელმა მსმენელმა მითხრა: „სიმღერა ის კი არ არის, რომ ერთ ყურში შევიდეს და მეორედან გამოვიდეს, ამ მომღერლის ხმა გულში რჩება სამუდამოდ."

ესპანეთში, ქ. ვიგოს ერთ-ერთ ულამაზეს პარკში გაიმართა „რუსთავის" კონცერტი. უზარმაზარი სცენა პალმებსა და ჭადრებში იყო ჩაფლული. ჩვენი სიმღერები ტყის იდუმალი სიჩუმის ფონზე გაისმოდა. როცა ჰამლეტ გონაშვილმა „წინწყარო" წამოიწყო, უცებ შაშვი გამოეხმაურა, თითქოს, ჩვენს მგალობელს ხმას უწყობსო. ყოველივე იმდენად მომხიბლავი და სრულყოფილი იყო, რომ ანსამბლის წევრებს დიდი სიფრთხილე და ოსტატობა დასჭირდათ, რათა ეს დიდებული დუეტი არ დაერღვიათ.

„ქართველებს ჰყავთ მომღერალი, რომელმაც ბულბულსაც კი აჯობა სიმღერაში." – წერდა ერთ-ერთი გაზეთი.

„როცა მის უცნაურ ხმას ვუსმენთ, ფერებს ვხედავთ." – წერდნენ გერმანიაში.

„რუსთავის" კონცერტებზე უცხოეთში დღემდე მოდიან მსმენელები და იგონებენ იმ განუმეორებელ მომღერალს, რომელიც „უცნაურ ხმას" ფლობდა.

კარგა ხანია, ჰამლეტ გონაშვილი ისტორიის კუთვნილებად იქცა. მისი ფენომენის შესახებ კვლავ ბევრს წერენ, მისი უცნაური ხმა კვლავაც ბევრს აღაფრთოვანებს.

ღმერთებს ჩამოუვარდათ

ნოკო ხურცია



სამეგრელოში ბევრი გამოჩენილი მომღერალი აღიზარდა, მაგრამ ნოკო ხურცია მაინც სულ სხვა მოვლენაა. აი, ვის ჰქონდა ხმა უცნაური და საკვირველი! ნოკო ხურციას ღვთისგან ბოძებული ნიჭი ამღერებდა; სიმღერას ჯერ სისხლში, გულში, გონებაში გაატარებდა და ისე ამოთქვამდა.

ასეთ შემოქმედზე საუბარი ძალიან იოლია და, ამავე დროს, წარმოუდგენლად რთულიც. ნოკო ხურცია ხომ კოლხეთის ძველისძველ მიწაზე დროდადრო მოვარდნილ დაუოკებელ „ზღვაურსა" ჰგავს, რომელშიც მაცოცხლებელი იმედი და უკიდეგანო სევდა ერთამენთს შერწყმია. ვისაც მისი სიმღერა არ მოუსმენია (თუნდაც ჩანაწერის სახით), ნუ დაიჩემებს, მეგრულ სიმღერაზე ოდნავი წარმოდგენა მაქვსო. მას სამუდამოდ აქვს ადგილი დამკვიდრებული რჩეულ ქართველ მომღერალთა შორის. „სიმღერა ბევრმა იცის საქართველოში, მაგრამ ეს ბიჭი სულ სხვაა", – იტყოდა ხოლმე მისი მასწავლებელი, დიდი პროფესიონალი ვალერიან გეგეჭკორი. ხალხმა მას სამეგრელოს მაფშალია (ბულბული) შეარქვა.

„ნოკო ხურცია არაჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ საგუნდო ხელოვნებაში. მე მას საუკუნის მომღერლად ვთვლი", – წერდა ხალხური სიმღერის დიდი მოამაგე გრიგოლ კოკელაძე.

„ასეთი თვითნაბადი ოქრო ჯერ არ მინახავს" – ბრძანა XX საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა მუსიკოსმა ევგენი მიქელაძემ.

„პატარა ნოკო ღმერთებს ხელში ატატებული მოჰყავდათ და ჩვენდა საბედნიეროდ, იგი საქართველოში ჩამოუვარდათ", – ეს უკვე ნოდარ დუმბაძეა, შეუძლებელია, ვინმეში შეგეშალოს.

გამოჩენილ ქართველ ლოტბარს ავქსენტი მეგრელიძეს ნოკოს ხმა პირველად რომ

მოუსმენია, უკითხავს, ვინ არისო? ნოკო ხურცია მღერისო, – უთქვამთ მისთვის. კი არ მღერის ქარგავსო, – უპასუხია დიდ ლოტბარს.

ნოკო ხურციას თვალებში ცეცხლოვანი ტემპერამენტი და სულში ჩაღვრილი ნათელი ბრწყინავდა. მღეროდა თავისუფლად, ძალდაუტანებლად, გულის სიღრმიდან ამომდინარე მისი ძლიერი ხმა ყველას ხიბლავდა სინარნარით, ლირიკული სინაზით, მისი შესრულების სტილი იყო ღრმად ეროვნული, სიტყვა – მკაფიო, განცდა-ხალასი. მსმენელს აღაფრთოვანებდა მისი ტემპერამენტი, საშემსრულებლო ტექნიკა, ხმის ვირტუოზული ფლობა. გვაჯადოებს მისი განუსაზღვრელი დიაპაზონის ულამაზესი ხმა, შესრულების მანერა, იმპროვიზაციის უნარი და რასაკვირველია, ტემბრი, ტემბრი ყველასგან გამორჩეული, განუმეორებელი. ნოკოს მიერ შესრულებული „ჰარირა" და სხვა მეგრული სიმღერები ეტალონად დარჩება სამარადისოდ.

სამწუხაროა, რომ იმ დროს, როცა ნოკო ხურცია ცხოვრობდა, არ იყო იმის საშუალება, რომ უცხოეთს ცოცხლად მოესმინა მისი ღვთაებრივი ხმა და ნიჭიერება. წარმომიდგენია, როგორ შეხვდებოდა მას უცხოელი მსმენელი, რას დაწერდა მის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის პრესა. საბედნიეროდ, 1930-იანი წლების ფონოჩანაწერები კომპაქტდისკების სახით გამოვიდა და გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებს, ქართული სიმღერის მოყვარულებს შეუძლიათ, მოისმინონ ბატონი ნოკო ხურციას განსაცვიფრებელი ხმა, ხმა მართლაც, უცნაური. ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება – ყველანი ერთს იტყვიან: ნოკო ხურცია უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ხალხური სიმღერის ისტორიაში.

უნიკალური მოჩიმანჭული

მიხეილ შავიშვილი



გურია-აჭარაში გავრცელებული კრიმანჭული უნიკალური, სპეციფიკური ხმაა. მას, ხმის გარდა, უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა სჭირდება. კრიმანჭულის კარგი შემსრულებელი ყოველთვის იშვიათობა იყო. მოკრიმანჭულეთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა მიხეილ შავიშვილი. მე არაერთხელ მომისმენია მისი განსაცვიფრებელი ხმა. მიხეილი უნიჭიერესი მომღერალი იყო, ჰქონდა უსაზღვრო დიაპაზონის იშვიათი, განუმეორებელი, ულამაზესი ხმა, რომელიც მაღალ რეგისტრში ზარივით რეკავდა. იგი ფლობდა იმპროვიზაციის ამოუწურავ შესაძლებლობას, რომლის გარეშეც გურული სიმღერა და, კერძოდ, კრიმანჭული წარმოუდგენელია. იგი სიმღერის დროს გამუდმებით მიმართავდა იმპროვიზაციას და ქმნიდა ახალ-ახალ ვარიანტებს, რომლებიც დღემდე სამაგალითოა. გარდა ამისა, მომადლებული ჰქონდა რიტმული ცვალებადობის გასაოცარი უნარი; სიმღერის დროს ისეთ რიტმულ და მელოდიურ ქარგას შემოგთავაზებდა, რომ თუ გამოცდილი მომღერალი არ იყავი, აუცილებლად ამოვარდებოდი ტონალობიდან. შავიშვილისეული კრიმანჭულის ვარიანტები დღემდე მიუწვდომელია.

1957 წელს მოსკოვში სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი ტარდებოდა. ჯერ ისევ კონსერვატორიის სტუდენტმა ჯანსუღ კახიძემ, ამ ფესტივალისათვის, ახალგაზრდა რჩეული მომღერლებისაგან ჩამოაყალიბა ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელშიც კრიმანჭულის შემსრულებლად ოზურგეთელი მიხეილ შავიშვილი მიიწვია.

– იგი ფენომენალური მომღერალი იყო, როცა პირველად მოვისმინე მიხეილ შავიშვილის სიმღერა, ისე განვცვიფრდი, რომ ემოციებისგან თავი ველარ შევიკავე და სკამიდან ჩამოვვარდი, – იხსენებდა უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული საორკესტრო დირიჟორი ჯანსუღ კახიძე, – მოსკოვის ფესტივალზე ჩატარდა კონკურსი, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ჟანრის ანსამბლები და მომღერალი სოლისტები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ჩვენი „შვიდკაცაც“. ჟიურის თავმ-

ჯდომარე გახლდათ ფილიპ ჟერარი[2], ხოლო ჟიურის წევრი იყო მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიელი ტენორი ტიტო სკიპა. როცა „ხასანბეგურა“ შეასრულეთ, ტიტო სკიპამ დაარღვია ყველა წესი, შემოვიდა გასახდელში და განგვიცხადა, მაჩვენეთ ის საოცარი მომღერალი, რომელიც უცნაური ხმით მღეროდა მაღალ რეგისტრშიო. ჩვენ მიხეილი წარვუდგინეთ. სკიპა ყელზე წაეტანა, ისე შეავლო ხელი, როგორც ექიმი სინჯავს ხოლმე ავადმყოფს – პირი გააღებინა და შიგ ჩახედა. მერე მიხეილს სთხოვა, რამდენიმე ფრაზა ემღერა. არა, არა, მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, ასეთი უცნაური და უნიკალური ხმა ჯერ არ მომისმენია, იგი მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოსო, – თქვა სახელგანთქმულმა მომღერალმა. „შვიდკაცამ“ ფესტივალის ლაურეატის წოდება და დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა და ამაში მიშა შავიშვილის უდიდესი წვლილია. მან განაცვიფრა ჟიური და დასკვნით კონცერტზე – მთელი აუდიტორია.“

ამის შემდეგ, „შვიდკაცამ“ იმოგზაურა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, სადაც მიხეილ შავიშვილმა სპეციალისტები განაცვიფრა თავისი კრიმანჭულით.

1964 წელს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა ანსამბლი „პრომუზიკა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის მეგობარი ნოელ გრინბერგი. იგი გააოცა ქართულმა ხალხურმა სიმღერამ და მისი ფონოჩანაწერები მოითხოვა. კონსერვატორიის ფოლკლორისტებმა შეარჩიეს იშვიათი ჩანაწერები და გრინბერგს გაატანეს. მათ შორის იყო „ხასანბეგურა“ და „ორირა“ მიხეილ შავიშვილის შესრულებით.

რამდენიმე თვის შემდეგ, მუსიკისმცოდნემ პავლე ხუჭუამ მიიღო ნოელ გრინბერგის წერილი. იგორ სტრავინსკი აღფრთოვანებულა ქართული სასიმღერო ფოლკლორით, ხოლო კრიმანჭულიანი სიმღერების, კერძოდ კი „ხასანბეგურას“ მოსმენისას, თურმე, ოთახში ადგილს ვეღარ პოულობდა და გრინბერგს რამდენჯერმე გაამეორებინა მათი ჩანაწერები. სტრავინსკიმ ჟურნალ „ამერიკის“ 1967 წლის საახალწლო ინტერვიუში თავისი აზრი გამოთქვა ხალხური სიმღერების შესახებ:

„ბოლო დროს ჩემი ერთ – ერთი უძლიერესი მუსიკალური შთაბეჭდილება შონბერგის „იაკობის კიბე“ და ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის ჩანაწერებია... მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა, რომელიც შესრულებისთვის გაცილებით უფრო მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია.“

რამდენიმე წლის შემდეგ თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა მსოფლიოში სახელგანთქმული „ნიუ-იორკ სიტი ბალეტი“. მისი ხელმძღვანელი ჯორჯ ბალანჩინი ქუთაისში მამის, მელიტონ ბალანჩივაძის საფლავის მონახულების შემდეგ, ოზურგეთს ესტუმრა, სადაც მიხეილ შავიშვილის ანსამბლს მოუსმინა. „ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში გურული კრიმანჭული. დიდი კულტურის მქონე უნდა იყოს ერი, რომ ასეთი რთული პოლიფონიური ნაწარმოები შექმნას... კრიმანჭულს თვითონ ხელმძღვანელი (მ. შავიშვილი) ასრულებდა ისე მოქნილად და კარგად, რომ დღესაც გაოგნებული ვარ მოსმენილით“, – უამბობდა მეგობრებს გურიიდან დაბრუნებული დიდი ბალეტმაისტერი.

მე მქონდა ბედნიერება, მიხეილ შავიშვილთან ერთად მემღერა. ეს იყო ნამდვი-

2 სახელგანთქმულ ფრანგ მსახიობში – ჟერარ ფილიპში არ აგვერიოს (ა. ვ.).

ლი საოცრება. თავის უნიკალურ, უცნაურ და ულამაზეს ხმას, კრიმანჭულს, იგი ისე ფლობდა, ისეთ ფიგურულ პასაჟებს და მოულოდნელ ვარიანტებს შემოგთავაზებდათ, იმპროვიზაციის ისეთ კორიანტელს დააყენებდა, რომ მომღერლებს თავიანთი ხმა ავიწყდებოდათ და მიხეილის ოსტატობით ტკბებოდნენ; ძნელი იყო მასთან სიმღერა, მართლაც, დიდი გამოცდილება და ოსტატობა იყო საჭირო, რომ მისთვის გაგეძლო და ღირსეული პარტნიორობა გაგეწია.

სამწუხაროდ, მიხეილ შავიშვილის შესრულებით, შემოგვრჩა მხოლოდ რამდენიმე სიმღერის ფონოჩანაწერი, რაც სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის ამ მართლაც უნიკალური მომღერლის ხმაზე[3].


XX საუკუნეში გურიას კრიმანჭულის ბევრი გამოჩენილი შემსრულებელი ჰყავდა – გიორგი ბაბილოძე, ალმასხან ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, თეოფილე ლომთათიძე, დავით მდინარაძე. მიხეილ შავიშვილმა კრიმანჭულის ეს „ოქროს ხანა" გაასრულა. უფროსი თაობის ოსტატებთან ერთად, მან შექმნა ნიადაგი, რომელზეც მოკრიმაჭულეთა ახალი თაობები უნდა აღიზარდონ.

[3] კომპაქტდისკზე (№1), რომელიც ამ წიგნს თან ახლავს, „ხასანბეგურა" ორი ტრიოთია წარმოდგენილი. პირველში კრიმანჭულს ალექსანდრე ნაკაიძე ასრულებს, მეორეში – მიხეილ შავიშვილი. „ხასანბეგურას" ამ ვარიანტში ექვსი მუხლი სრულდება. მიხეილ შავიშვილის ტრიო მღერის მეორე, მეოთხე და მეექვსე მუხლებს.

ხმა დევჯვრის გუნდან

ლევან ასაბიშვილი

„შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანაში – ყარალაშვილი“
ტიციან ტაბიძე



ორმა დიდმა მომღერალმა – შილდელმა ლევან ასაბიშვილმა (მეტსახელად, „დედას ლევანამ“) და ართანელმა რევაზ ყარალაშვილმა – ხალხის ხსოვნასა და ტიციან ტაბიძის პოეზიაში დაიმკვიდრა სამარადჟამო სახელი. სამწუხაროდ, ყარალაშვილის ხმა არ ჩაწერილა და იგი მხოლოდ მის თანამედროვეთა მოგონებას შემორჩა, ლევან ასაბიშვილის ხმა ფირმა „გრამოფონმა“ ჩაიწერა თბილისში 1912 წელს და გრამფირფიტებად გამოსცა. ეს ჩანაწერები დღეს მოსკოვისა და ლონდონის ფონოჩანაწერების არქივებში ინახება და ანცვიფრებს სპეციალისტებს. მახსოვს, როცა მოსკოვში ხმის ჩამწერ სტუდიაში „დედას ლევანას“ ხმა აღვადგინეთ და ავაჟღერეთ, მეზობელი სააპარატოებიდან სპეციალისტებმა სირბილით მოგვაშურეს და განცვიფრება ვერ დამალეს. იგივე მოხდა ლონდონშიც. არქივის თანამშრომლებმა მისი საოცარი ხმა ჩაიწერეს; როცა ლონდონის ფონოარქივს ვტოვებდით, რამდენიმე სააპარატოდან „დედას ლევანას“ მჭექარე „მრავალჟამიერი“ ისმოდა.

„დედას ლევანას“ სახელი ხალხს ლეგენდად შემორჩა. კახეთში ამბობდნენ, მისი ხმა გულიდან ამოდისო. ზაქარია ფალიაშვილი ასე ახასიათებს დიდებულ მომღერალს: ამ დევკაცს, ბუნებით, ისეთი მშვენიერი, გავარჯიშებული დიდი ხმა აქვს, რომ ეგონებ, ჩვენი ოპერის მომღერლებიც კი ინატრებდნენ ამისთანა იშვიათ ხმას“.

„დედას ლევანა“ არა მარტო კარგი ხმის პატრონი და კარგი მომღერალი, არაჩვეულებრივი მსახიობიც იყო, მისი მიხვევ-მოხვევა, ჩაქვითინება, ჩარაკრაკება, ზეამოწევა და ხელის გაქნევა – „თქვენი გამარჯვებისა იყოს“ – ხალხს აგიჟებდა“ (იხ. გიორგი ჯავახიშვილი, „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“).

„უსმენ „დედას ლევანას“ შესრულებით კახური „მრავალჟამიერის“ სრულიად განსხ-

ვაევებულ, დღემდე უცნობ ვარიანტს და განცვიფრებთ არა მარტო მისი ხმის დიდი დიაპაზონი, სიძლიერე და სილამაზე, არა მარტო მისი განსხვავებული სასიმღერო მანერა, არამედ „მრავალჟამიერის“ ძარღვიანი მგზნებარებითა და მხნეობით სავსე პათოსი. „მრავალჟამიერი“ სრული სურათია ნადიმისა, დარბაისლურ, გრძნობათა ზეაღმაფრენ ჰიმნს უფრო ჰგავს, ვიდრე მხიარულ სასიმღერო ჰანგს“ (ილია ზურაბიშვილი).

„დედას ლევანას“, სიმღერის დასასრულ, ჩვევად ჰქონია ხმამაღლა წამოძახება სიტყვებისა „თქვენი გულისა!“ ნათქვამია, თუ შენ გვერდით მდგომი მომღერალი არ გიყვარს, ისე სიმღერა არ გამოვაო; „დედას ლევანას“ ყველა უყვარდა, სიმღერაც კარგი გამოსდიოდა და სიმღერითვე დალია სული. „თქვენი გულისა!“ – ეს იყო თურმე მისი უკანასკნელი ამოძახილი.

„ბულბული“

სამუელ ჩავლეიშვილი



გურიაში იშვიათად შეხვდებით ძველი ან ახალი თაობის მომღერალს, ხალხური სიმღერის ნამდვილ თაყვანისმცემელს, სამუელ ჩავლეიშვილის ხსოვნას განსაკუთრებულ პატივს რომ არ მიაგებდეს.

მაინც, რამ განაპირობა ასეთი საყოველთაო თაყვანისცემა?

ქართული ხალხური სიმღერისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „... მთელი გურიის მიერ აღიარებული ყველა დროის საუკეთესო მომღერლის, საშემსრულებლო ხელოვნების დიდი რეფორმატორის, სამუელ ჩავლეიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ესა თუ ის ფაქტი თითქოს ხელიდან გეცლება და უსასრულობაში ინაცვლებს... სიმღერის მოუხელთებელ სტიქიად ქცეულ კაცს დღესაც იხსენებენ, დროის საზღვრებში აქცევენ: ის კი, თავისი უდიდესი ნიჭის სიკეთით გასხივოსნებული, სულ სხვა სიმაღლიდან დასცქერის, შთაგონების ძალას ჰმატებს შთამომავლობას... სამუელ ჩავლეიშვილის უმდიდრესი შემოქმედებითი ცხოვრება მწირი ბიოგრაფიული ცნობების მიღმაა ამოსაცნობი“ („ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“. გურია, I, თბ., 2004. ავტორები: მ. კვიჟინაძე, უ. პატარიძე).

ცნობილი ლოტბარი და მომღერალი ვასილ მახარაძე წერდა: „სამუელ ჩავლეიშვილმა გადატრიალება მოახდინა გურულ სიმღერაში. მანამდე არსებულ ყოველგვარ სასიმღერო კანონს გადაუხვია და შემოიღო ე. წ. თავისუფალი სიმღერა. პირველი ხმა განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა (სხვა ხმას იგი არ იმღერებდა). მის მიერ დამუშავებული ვარიანტები მისაბაძი იყო ყველა გურული მომღერლისთვის. ამიტომ ყველა სამუელს ბაძავდა, ხოლო თვითონ სამუელი ახალ ვარიანტებს იგონებდა. ერთ წვეულებაში სიმღერა „წამოკრული“ 50-ჯერ გაუმეორებია და სულ სხვადასხვანაირად უთქვამს. როცა სიმღერას დაიწყებდა, ყველას აჯადოებდა შესრულების ოსტატობითა და განუმეორებელი ხმის ტემბრით. ამიტომ მას „გურიის ბულბული“ შეარქვეს და დღემდე რჩება, როგორც პირველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი“.

სამუელ ჩავლეიშვილს, გარდა არაჩვეულებრივი საშემსრულებლო ოსტატობისა,

უნიკალური, ყველასგან განსხვავებული უცნაური ხმა ჰქონდა. აი, რა გვიამბო 104 წლის მომღერალმა ივანე ჩხაიძემ: „სამუელს სალაპარაკო ხმაი ჩახრენწილი ჰქონდა, რომ ლაპარაკობდა, მისი ხმა იხვის ხლიჩინს გავდა, მარა სიმღერას რომ დეიწყებდა, თაფლი, შაქარი და კამფეთი რომ ოურიო ერთმანეთში, იმფერ ხმას გამოუშვებდა“.

არტემ ერქომაიშვილი სამუელს „განუმეორებელს“ უწოდებდა, მის ხმას კი – „ბუნების საოცრებასა“ და „იშვიათ მოვლენას". გარდაცვლილი მომღერლებისადმი მიძღვნილ ლექსში მან თავისი უფროსი მეგობრის არაჩვეულებრივი საშემსურებლო ხელოვნების დასახასიათებლად, საუკუნეებგამოვლილ, ნაცად შედარებას მიმართა:

„პირველ ხმაში ჩავლეიშვილი კაკანებდა ვით ბულბული...“

სამუელ ჩავლეიშვილის სახელს ბევრი ლეგენდა დაუკავშირდა. ზოგი სიყვარულით იყო შეთხზული, ზოგიც მართალს ჰგავს; ხალხს იგი წრფელი გულით უყვარდა, მის სახელს ახალშობილებს არქმევდნენ. დღეს გურიაში ბევრია სამუელი, მაგრამ თვით სამუელ ჩავლეიშვილი ერთადერთი იყო, სამაგალითო და განუმეორებელი.

მეგრული სიმღერის დედოფალი

ელენე ჭუბაბრია



ვისაც ელენე ჭუბაბრიას სიმღერა ერთხელ მაინც მოუსმენია, უთუოდ დამერწმუნება, რომ მისი ხმა სულის უფაქიზეს ამოძახილად განიცდება. ასე სათუთად ვერავინ გაგრძნობინებს მეგრული სიმღერის ნატიფ, სულისშემძვრელ, უხილავ სამყაროს; მისი სიმღერა უცნაურ და იდუმალ სასწაულს გაზიარებს; ხან აგაფორიაქებს, ხანაც დაგამშვიდებს, სევდას მოგგვრის და, დიდი ილიას ნათქვამისა არ იყოს, „გულს დაგინყლულებს“. ქალბატონი ელენეს სრულქმნილი ხმა, მისი მუსიკალური აზროვნება, თითქოს, რომელიღაც უხილავი, იდუმალებით მოცული სამყაროთი არის ნასაზრდოები. მისი სიმღერა გვაკეთილშობილებს და ცხოვრებას გვიადვილებს.

ელენე ჭუბაბრიამ, ნოკო ხურციასა და სხვა გამოჩენილი მომღერლების მსგავსად, მეგრულ სიმღერას საკუთარი კვალი დაამჩნია; დღეს ბევრი შესანიშნავი ლირიკული სიმღერა მის სახელთანაა გაიგივებული. ვინ იცის, მერამდენედ ვუსმენ „ვეენგარა ნანა სქუას“ ელენე ჭუბაბრიას შესრულებით და თვალები მუდამ ცრემლით მევსება. მისი ღვთაებრივი ხმა მიზიდავს, მაგიური ძალით მიმორჩილებს. ბედნიერებაა, რომ არსებობს მისი სიმღერების ფონოჩანაწერები. მომავალ თაობას საშუალება აქვს, მოუსმინოს და ღირსეული პატივი მიაგოს ლეგენდარულ მომღერალს, მეგრული სიმღერის დედოფალს...

საჩონგურო „ჰარირა"

ქიონია ბარამია

ზოგიერთი უნიკალური მომღერლის გვარი საზოგადოებისთვის დღესაც ნაკლებადაა ცნობილი. მათი სიმღერა სოფლის გუნდის ან ოჯახური მუზიცირების ფარგლებს არ გასცილებია. არადა, ქიონია ბარამიას ხმა საკონცერტო დარბაზებში რომ მოესმინათ, მერწმუნეთ, მეტად პოპულარული მომღერალი გახდებოდა. მას ჰქონდა ყველასგან განსხვავებული სახასიათო ხმა, რომელიც განსაკუთრებით კარგად დაბალ რეგისტრში ჟღერდა. ქალბატონი ქიონია ჩონგურზე დაკვრის ნამდვილი ვირტუოზი იყო, მის ხელში ეს ინსტრუმენტი ორკესტრულ ჟღერადობას იძენდა. ქიონია ბარამია, როგორც მომღერალი და მეჩონგურე, დღემდე სამაგალითოდ რჩება. მას საკუთარი სასიმღერო მანერა ჰქონდა, ხმით და შესრულების განსხვავებული სტილით, არავის ჰგავდა. მღეროდა ძალდაუტანებლად, ფლობდა იმპროვიზაციის გასაოცარ უნარს. ქმნიდა საკუთარ ვარიანტებს და მსმენელზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა.

როგორც უკვე ითქვა, მომღერალი შეიძლება, ერთი სიმღერითაც შეაფასო. ამ სიმღერაში სრულად ჩანს მისი ნიჭი და შესაძლებლობა. იგი ამ სიმღერის ნამდვილი ბატონ-პატრონია და სრულად აქვს შესისხლხორცებული მისი ყველა თავისებურება. ასეთი სიმღერაა საჩონგურო „ჰარირა", რომელსაც ქიონია ბარამია განსაცვიფრებელი ოსტატობით ასრულებს და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს, რომ სიმღერის სწავლება, მექანიკური შეთვისება არ შეიძლება.

სასიმღერო შედევრს მხოლოდ ღვთით ბოძებული ნიჭი ქმნის.

ქიონია ბარამია სწორედ ასეთი ნიჭით იყო დაჯილდოებული.



იდუმალების ლოგიკა

მიხო ჯიღაური



1970-იან წლებში მოსკოვის ცენტრალურ ფონოარქივში ძველი ფონოჩანაწერების აღდგენაზე ვმუშაობდი. როცა მიხო ჯიღაურის „ბერიკაცი ვარ" მოვისმინე, წამსვე ილია ჭავჭავაძის ნათქვამი გამახსენდა: „აბა ერთი იმათ სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან".

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შემორჩა ქართველი კაცის სულიერი განცდის, ხასიათის გამომხატველი მუსიკალური საგანძური. ხალხმა შექმნა უნიკალური სიმღერები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. ყველა სასიმღერო შედევრს სხვადასხვა პერიოდში ჰყავდა თავისი გამორჩეული შემსრულებელი, რომელიც მას გაითავისებდა და საკუთარი სულის ნაწილად აქცევდა. მათი სახელები ისტორიამ ვერ შემოგვინახა. შთამომავლობას დარჩა მხოლოდ მათ მიერ შექმნილი ვარიანტები. ისინი ახალ, გამორჩეულ შემსრულებლებს ეძებდნენ და ადრე თუ გვიან პოულობდნენ კიდეც. ამგვარი რჩეულები სიმღერის ვარიანტს საკუთარ ხმასა და შესაძლებლობებს სრულად მიუსადაგებდნენ და ახალი სასიმღერო ფერადოვნებით გამშვენებულს დაუბრუნებდნენ ხალხს. ამიტომაც რომელიმე კონკრეტული სიმღერა ხალხის მეხსიერებაში ამა თუ იმ მომღერლის სახელთან იყო გაიგივებული. ხშირად არც არის საჭირო, რომელიმე გამორჩეული მომღერალი დიდ სასიმღერო რეპერტუარს ფლობდეს, შეიძლება იგი ერთი სიმღერითაც დაამახსოვრდეს თავის საუკუნეს. სწორედ ასეთი მომღერალია მიხო ჯიღაური. იგი შესანიშნავად ასრულებს კახურ სიმღერებს, მაგრამ მარტო „ბერიკაცი ვარ" რომ ემღერა და სხვა არაფერი, ესეც იკმარებდა იმისთვის, რომ მსმენელს სასწაულის სრული განცდა დაუფლებოდა. იშვიათია მომღერალი, რომელსაც ხმით ასე გამოეხატოს სიმღერის ხასიათი:

„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ყველა დაგინყებს გმობასა"...

– კვნესის მიხო ჯიღაური და ამ კვნესას თითქოს ცრემლი მოჰყვება, სისხლისფრად შეფერილი. უცხო მსმენელისთვის სულაც არ არის საჭირო სიმღერის ტექსტის ცოდნა, იგი შინაარსის გარეშეც უმალ შეიგრძნობს ამ სიმღერის ხასიათსა და მნიშვნელობას. მიხო ჯიღაურის ხმა იდუმალებითაა სავსე, „იდუმალების ლოგიკას" კი მხოლოდ გული გრძნობს.

ის ეროვნული „ჩვენ"...

ავაკი ბარნოვი



1972 წელს ანსამბლი „რუსთავი" ოთარ თაქთაქიშვილის სუიტას – „მეგრულ სიმღერებს" – კამერულ ორკესტრთან და ზურაბ სოტკილავასთან ერთად ასრულებდა. თავიდან კონცერტებს თვითონ ბატონი ოთარი დირიჟორობდა, შემდეგ – ოდისეი დიმიტრიადი, რადგან კულტურის მინისტრი მოსკოვში გამოიძახეს.

იტალიიდან ახალდაბრუნებული ზურაბ სოტკილავა ბრწყინვალე ფორმაში იყო, „რუსთავის" მომღერლებიც ახალგაზრდები იყვნენ და კონცერტები სიმღერის ნამდვილ ზეიმად იქცა. საკონცერტო დარბაზებში ტევა არ იყო. წარმატებით მოვიარეთ ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, ხობი, გაგრა, ბიჭვინთა, ოჩამჩირე, სოხუმი... კონცერტების შემდეგ იყო გადაპატიჟებები... პურ-მარილები დილამდე გრძელდებოდა. მოგეხსენებათ, მეგრელებმა და აფხაზებმა შესანიშნავი მასპინძლობა იციან. მოკლედ, მშვენიერი დრო გავატარეთ.

ბოლო კონცერტი გალში იყო დანიშნული. ჩვენი ანსამბლის სოლისტი ჯუმბერ ყოლბაია გალელი იყო და იქ შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა. მამამისმა, ვალოდია ყოლბაიამ, ჩვენს პატივსაცემად, დიდებული სუფრა გაშალა, 200 კაცი მოიწვია, მათ შორის – რაიონის ხელმძღვანელობა და ცნობილი პიროვნებები.

მეორე დღეს ბერლინში იწყებოდა სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი, რომელიც სოტკილავას ახალი სიმღერით უნდა გაეხსნა, მაგრამ ზურიკო თავის სტიქიაში იყო. ისეთი წარმატება ჰქონდა კონცერტებზე, ისე კარგად გრძნობდა თავს მშობლიურ კუთხეში, ნათესავებსა და ნაცნობ მეგობრებს შორის და ისე ლაზათიანად მოილხინა, რომ ბერლინში აღარ გაფრინდა და ფესტივალს ახლობლებთან ყოფნა და ქეიფი არჩია, რაც კინაღამ ძვირად დაუჯდა, მაგრამ ბატონმა ოთარ თაქთაქიშვილმა უშველა.

მოკლედ, იმ დღეს ვალოდია ყოლბაიას ოჯახში დიდი ლხინი გაიმართა. თამადის ყოველ სადღეგრძელოს სიმღერები მოსდევდა. ზურაბ სოტკილავამ ჯერ ულამაზესი

მეგრული სიმღერებით, ხოლო შემდეგ ღვინის სმით განაცვიფრა იქ მყოფნი. გვერდით „რუსთავის“ მომღერლები ედგნენ, გუგუნებდა დიდებული სუფრული სიმღერები. იხარა ყოლბაიების ჭერმა, სიმღერამ სივრცეში გაინავარდა, „ცამცა გაიდარბაზა“. სუფრა ნამდვილ კონცერტს დაემსგავსა, საოცარ სანახაობად იქცა, იყო ტაშის გრიალი; სოტკილავასა და „რუსთავს“ სიმღერებს ამეორებინებდნენ. თითქმის მთელი გალი ყოლბაიების ეზოსთან მოგროვდა. ეზოსთვის ალყა შემოერტყათ და გარედან ისმენდნენ უცნაურ კონცერტს, ვინ იცის, კიდევ როდის შეხვდებოდნენ გალში უსაყვარლეს თანამემამულეს, საქვეყნოდ ცნობილ ვარსკვლავს...

სუფრა ეშხში შევიდა. თამადამ გალელი მოხუცი მომღერლების სადღეგრძელო შესვა; მხოლოდ ახლა შევნიშნე თამადისაგან ცოტა მოშორებით, ხელმარცხნივ მჯდარი აკაკი ხარებავა, კოტე ჩიკვატია, ვალიკო ჩხეტია და კიდევ რამდენიმე გალელი მომღერალი. მე მათ 1969 წლიდან ვიცნობდი.

...იმ პერიოდში საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში მუსიკალურ რედაქტორად ვმუშაობდი. გალის გუნდზე მუსიკალური ფილმის გადაღება დაიგეგმა. საჭირო გახდა გუნდის მოსმენა, რეპერტუარის შერჩევა და ფონოგრამების ჩაწერა. ამ საქმის მოსაგვარებლად, გალში გაემგზავრა ქართული სიმღერის დიდი ქომაგი, ტელევიზიის ხალხურ გადაცემათა რედაქციის იმჟამინდელი მთავარი რედაქტორი, ბატონი სოლომონ ლაფაური, რომელმაც თან წამიყვანა.

ადრიანი დილა იყო, როცა ჩვენი მატარებელი გალის რკინიგზის სადგურში გაჩერდა. დაგვხვდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკი და კულტურის განყოფილების გამგე.

გუნდის მოსმენა 12 საათზე იყო დანიშნული. მანამდე მდინარის პირას ახალგახსნილ რესტორანში წაგვასაუზმეს, შემდეგ ქალაქში გაგვასეირნეს და დათქმულ დროს, კულტურის სახლში მივედით.

წინ დიდულვაშიანი სიმპათიური მოხუცი შემოგვეგება; დაღარული კეთილი სახე ჰქონდა, თვალები ახალგაზრდულად უციმციმებდა, მარჯვენა თვალი ოდნავ ჰქონდა მოჭუტული, თავზე ბოხოხი ეხურა, მუქი ყავისფერი დიდჯიბეებიანი ხალათი ეცვა, წელზე განიერი ქამარი ერტყა. როცა კიბეზე ავედით, სწრაფად მოიხადა ქუდი და გაღიმებული შემოგვეგება. ბატონი აკაკი ხარებავა! – წარმოგვიდგინა მოხუცი კულტურის განყოფილების გამგემ. სოლომონ ლაფაურმა იგი გადაკოცნა, მე მორიდებით ჩამოვართვი ხელი. აკაკი ძალიან უყვარდა ბაბუაჩემს – არტემ ერქომაიშვილს. უნდა ნახო, როგორ მღერის, მეგრული სიმღერის ნამდვილი დიდოსტატიაო, – იტყოდა ხოლმე ბაბუა არტემი.

ახლა სოლომონ ლაფაურმა წარუდგინა ჩემი თავი ბატონ აკაკის – ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი გახლავთ, არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილიაო. ბაბუაჩემის ხსენებაზე, აკაკის სახე გაებადრა. „დიდი კაცი იყო, დიდი მგალობელი, გურული სიმღერის პატრიარქი“, – თქვა ბატონმა აკაკიმ, შემდეგ თვალები ეშმაკურად მონკურა: „რავაა ჩვენი ჯგირი კოჩი?“, – ჯუმბერ ყოლბაია იგულისხმა. „რუსთავი“ მაშინ ახალდაარსებული იყო, მაგრამ პოპულარობა უკვე მოპოვებული ჰქონდა. ამიტომ უხაროდა ბატონ აკაკის, რომ მისი გაზრდილი ნიჭიერი მომღერალი ჯუმბერ ყოლბაია ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი იყო და ტელევიზიით ხშირად გამოდიოდა.

დარბაზში შევედით. სცენაზე 80-ზე მეტი ქალი და მამაკაცი იდგა. დაიწყო მოს-

მენა. „ოდოიას“ უცნობი ვარიანტი იმღერეს, გაოგნებული დავრჩი, ეს იყო საათივით აწყობილი იშვიათი გუნდი, შესანიშნავი მეჩონგურე ქალებითა და ბრწყინვალე სოლისტებით. გუნდს მდიდარი რეპერტუარი ჰქონდა. ძირითადად, მეგრულ სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ აფხაზურ სიმღერებსაც მშვენივრად ასრულებდნენ.

გუნდი არაჩვეულებრივ ვარიანტებს ასრულებდა, ჩემთვის უცხოსა და საინტერესოს. იმღერეს „ძველი მაყრული“ „კუჩხი ბედინერი“, „მიორს ფაცხა“, „ვახტანგური“, „ჩაგუნა“, „არამი დო შარიქა“, „კოდორული მაყრული“, „დაჭრილის სიმღერა“, „შარათინი“ და სხვა.

ბოლოს აკაკი ხარებავამ თვითონ აიღო ჩონგური, დინჯად ააწყო, მერე სიმებს ჩამოჰკრა ხელი და, რომ იტყვიან, ჯადოსნური ხმოვანება მისცა, „აშო ჩელა, ვიშო ბუსქა“, – გაისმა მისი ოდნავ ხრინწიანი, მაგრამ სასიამოვნოდ მობერებული ხმა; მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა. როცა სიმღერა დამთავრდა, გამახსენდა ბაბუა არტემის ნათქვამი და მივხვდი, რომ ჩემ წინ მართლაც მეგრული სიმღერების ნამდვილი ჯადოქარი იდგა.

გუნდის მოსმენა დასრულდა. ფონოგრამების ჩასაწერად შევარჩიეთ საჭირო სიმღერები, რომლებიც შემდეგ ფილმად უნდა გადაეღოთ. შევთანხმდით, რომ ხმის ჩამწერი ჯგუფი, ლევან ქიშმიშევის მეთაურობით, ორი დღის შემდეგ ჩამოვიდოდა.

გალში ორ კვირას დავრჩით. გუნდის სიმღერები ჩავიწერეთ და ფონოგრამები კინოგადაღებისთვის გავამზადეთ. ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი ანსამბლის წევრები ოჯახებში გვეპატიჟებოდნენ. ერთმანეთს გადაება არაჩვეულებრივი საღამოები. ვისმენდით უნიკალურ სიმღერებს. დღემდე სიამოვნებით ვიგონებ იმ შეხვედრებს. აკაკი ხარებავა ყველგან დაგვყვებოდა. იგი ბევრს მიამბობდა ძველი დროის გურულ და მეგრელ მომღერლებზე, იხსენებდა ლეგენდარულ სოლისტებს. ორი კვირის განმავლობაში, ზღვა ინფორმაცია მომაწოდა. ბატონი აკაკი, ჩემი თხოვნით, სუფრასთან „ჩელას“ თითქმის ყოველ საღამოს ასრულებდა. მონუსხულივით ვიჯექი და ვფიქრობდი, ალბათ, მხოლოდ ღმერთის ხელი თუ ურევია მის სიმღერაში, თორემ როგორ შეიძლება, ადამიანმა ასე არამქვეყნიურად გვაზიაროს-მეთქი ზღაპრული სამყაროს გრძნეულ ჰანგს.

ერთი თვის შემდეგ, რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ დაიწყო ფილმ-კონცერტ „კოლხური სუიტის“ გადაღება, რომლის დროსაც ერთი საინტერესო სიახლე გამოაშკარავდა – აკაკი ხარებავა შესანიშნავი მსახიობი გამოდგა, იგი საუცხოოდ ასრულებდა სახასიათო როლებს. ვისაც „კოლხური სუიტა“ უნახავს, ამაში უთუოდ დამეთანხმება.

...აი, ასე გავიცანი აკაკი ხარებავა და მისი მეგობარი მომღერლები, ამიტომ იმ დღეს მათმა დანახვამ განსაკუთრებით გამახარა. მათთან მივედი, მოვიკითხე, მოვეფერე და ბატონ აკაკის ვთხოვე, იქნებ ერთი სიმღერა შეასრულოთ-მეთქი. თავი შორს დაიჭირა: აქ ისეთი ხალხი მღერის – სოტკილავა, „რუსთავი“ – ჩვენი სიმღერა რა გამოსაჩენიაო. ვერაფრით დავითანხმე. მაშინ ზურიკოსთან მივედი, აკაკი და მისი მომღერლები დავანახე და ვუთხარი, იქნებ სთხოვო მოხუცებს, ერთი სიმღერა შეასრულონ, შენ უარს არ გეტყვიან-მეთქი.

ზურიკომ ხათრი არ გამიტეხა, თუმცა მას და ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებს, ცოტა არ იყოს, დაეჭვება შევნიშნე, ალბათ, გაიფიქრეს, ამ ბერიკაცებმა რა უნდა იმღერონო.

ზურიკომ სუფრა გააჩუმა და სთხოვა ბატონ აკაკის, შეესრულებინა ერთი სიმღერა.

დიდი თავპატიჟის შემდეგ, ბატონი აკაკი დასთანხმდა და ჩონგური მოითხოვა. მუქწაბლისფერი ძველებური დიდი ჩონგური მოუტანეს. დინჯად ააწყო, თავი ასწია და სიმებს ჩამოჰკრა. ჯერ რა ლამაზად დაუკრა სიმღერის შესავალი! ასეთი რამ მანამდე არ გამეგონა. ვერავინ გაიგო, რომ ეს „ჩელას“ შესავალი იყო. ვირტუოზულად უკრავდა, ჩონგურს ისე აჟღერებდა, როგორც ორკესტრს. შესავლის შემდეგ, კბილნაკლულმა მოხუცმა დრო-ჟამისგან ოდნავ სახეცვლილი, მაგრამ საოცრად მღერადი და მეტყველი ბგერებისაგან მოქარგა მელოდია და ასე ამოთქვა ყელიდან. ის ხმა, უცნაური და უნიკალური, დღესაც ჩამესმის და არ მასვენებს (ასეა, კარგი სიმღერა ღამითაც არ დაგაძინებს!).

„აშო ჩელა, ვიშო ბუსქა“, – მღეროდა ხარებავა „ჩელას“ ცნობილ სოლოს, მერე „დამწყების“ მელოდიას გადაუხვია და „მოძახილის“ ინტონაცია შეაპარა, იქიდან ბანის ბგერებზე დაეშვა უცებ, მერე ისევ „დამწყებს“ დაუბრუნდა და ერთი მელოდიით, მთელი სიმღერის ჰარმონიაში გაინავარდა. – „ოუ ნანა, სქანი ცოდა, ნააანი-ნა“, – „სამღერისებს“ ისეთი მნიშვნელობა მიანიჭა, თითქოს, „ვეფხიტყაოსნის“ აფორიზმებს წარმოთქვამსო. მიეხვდით, რომ აკაკი ხარებავა „ჩელას“ სრულიად ახალ ვარიანტს იქვე თხზავდა. ყველა გაირინდა და სმენად გადაიქცა ახალი სასწაულის მოლოდინში, დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი „ჩელა“ არავის ჰქონდა მოსმენილი, რადგან თვითონ აკაკიც ამ ვარიანტს პირველად მღეროდა. მისამღერში მეგობრები ამოუდგნენ მხარში და მათაც განსხვავებული ნამღერით გაათბეს იქაურობა.

ზურაბ სოტკილავას ხომ შესანიშნავი ხმა ჰქონდა, „რუსთავის“ ბიჭებიც კარგად მღეროდნენ, მაგრამ გულისგულში დაბადებული, შემდეგ ძარღვებში და გონებაში გამოტარებული ასეთი ხმა, თანაც, უბრალოდ და არაჩვეულებრივი ბუნებრიობით ნამღერი, ალბათ, არავის ჰქონდა მოსმენილი.

სუფრასთან ნამღერი სხვანაირია და საკონცერტო შესრულებას არა ჰგავს. კონცერტზე მომღერალი ყოველთვის დაძაბულია და ნერვიულობს, სუფრასთან კი თავისუფალია, მღერის ისე, როგორც გული და გონება უკარნახებს, თამამად იმპროვიზირებს და ხმის ტემბრსაც შესაბამისად ცვლის. თუ ამას ცოტა ბახუსიც ემატება, მომღერალი უფრო თამამი ხდება და თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად წარმოაჩენს.

დიახ, ამჯერად აკაკი ხარებავა მღეროდა „ჩელას“ სულ სხვა ვარიანტს და არა იმას, რომელიც ადრე „კოლხურ სუიტაში“ შეასრულა. მიეხვდი, რომ იგი თავის სტიქიაში იყო, იმპროვიზაცია იყო მისი სტიქია.

„სი უჩხონჩხე, სი უგურე, ნანა ოუ-ნანა, ნაა-ნი-ნა“, – „მოძახილის“ ხმით დაიწყო მეორე კუპლეტი ხარებავამ, „სი კისერი ელაფირი“, – ეს სიტყვები „დამწყების“ მელოდიით ამოქარგა, ხოლო სოლოს მეორე ნაწილის „სამღერისები“ და მისამღერი, სამივე ხმისგან შედგენილი, ისეთი კომბინირებული მელოდიით შემოსძახა, რომ მისი ჯგუფის მომღერლებსაც კი გაუკვირდათ და სასწრაფოდ მოუხდათ იმპროვიზებული ვარიანტებით ხმების შეწყობა.

სიმღერა დამთავრდა, ტაშმა იგრიალა. მართალი გითხრათ, ამხელა ემოციებს

ველარ გავუძელი და ცრემლები მომერია; გავიხედე ბიჭებისკენ და რას ვხედავ – ყველას ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები. ზურიკო სოტკილავამ სათითაოდ ჩაიკრა გულში მოხუცები. აკაკის პარტნიორები – კოტე ჩიკვატია, ვალიკო ჩხეტია და სხვები – მართლაც, არაჩვეულებრივი მომღერლები იყვნენ. ისინი რომ მახსენდება, ახლაც ცრემლი მერევა.

ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მესამე... იმათი შემხედვარე, ახლა ჩვენები ამბობდნენ უარს სიმღერაზე: თქვენ შემდეგ სიმღერა არ შეიძლებაო. რა თქმა უნდა, ბოლოს ორივე მხარე ამღერდა, ერთადაც იმღერეს. საოცრების მოწმენი გავხდით, მაგრამ მე რომ მკითხოთ, ძველმა თაობამ გვაჯობა. ჩვენ ხმებიც გვქონდა, ძალაც, კარგადაც გამოვიყურებოდით, მაგრამ ის „ბებრული" ნამღერი, საუკუნეებიდან წამოსული ხმა, საუკუნეებიდან გამოღწეული ტრადიცია იყო, რამაც იმძლავრა და იმარჯვა კიდეც.

ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო დღე თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.

კარი VI

ძვირფასი სულებო

როცა შენი ქმნილება საყოველთაო საკუთრებად
იქცევა, სასუფევლის კარს ღმერთი თვითონ
გაგიღებს

მახვილი უფლისწული

ზურაბ ანჯაფარიძე



ზურაბ ანჯარაფიძეზე უფრო დიდი მომღერალი საოპერო თეატრის სცენაზე მე არ მინახავს. იგი დიდი ვანო სარაჯიშვილის საუკეთესო ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი იყო. მახსოვს, ჩვენმა საყვარელმა კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა მითხრა: „მამაჩემს ხშირად დავყავდი სარაჯიშვილის სპექტაკლებზე, იგი საოცარი მომღერალი იყო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა დარბაზში, როცა ვანო მღეროდა.“ ჩემს შეკითხვაზე – თანამედროვე საოპერო მომღერალთაგან ვისი შედარება შეიძლებოდა სარაჯიშვილთან, ბატონმა სანდრომ მიპასუხა: „მხოლოდ ზურაბ ანჯაფარიძის, მას აქვს ყველა ის თვისება, რისთვისაც ხალხმა ასე შეიყვარა სარაჯიშვილი. ამიტომ არის, რომ ჩვენი ზურიკოც ხალხის უსაყვარლესი მომღერალია“.

ამ კაცს, მართლაც, საოცარი ხიბლი ჰქონდა. იგი მსმენელს სათითაოდ უძვრებოდა სულში და აჯადოებდა, ამიტომ ყველა მათგანს ეგონა, რომ ზურიკო მხოლოდ მისთვის მღეროდა. გარდა ამისა, იგი იშვიათი ბუნების ადამიანი იყო, ყველასათვის საყვარელი. საოცრად თბილი, თავმდაბალი, კეთილმოსურნე, არაჩვეულებრივი იუმორით დაჯილდოებული. იშვიათია ხელოვანი, რომელშიაც ასე საოცრად იყოს შეზავებული შესანიშნავი ადამიანური თვისებები და მაღალი პროფესიონალიზმი. ამიტომ იყო, რომ ხალხმა იგი შვილად გაითავისა და ზურიკოს ეძახდა სიყვარულით, მაშინაც კი, როცა მსოფლიოში აღიარებული მომღერალი გახდა. ვფიქრობ, ასეთი სიყვარული და პატივისცემა იშვიათად თუ ღირსებია რომელიმე მომღერალს.

ზურიკოს ქართული ტემბრის იშვიათი ხმა, არაჩვეულებრივი არტისტიზმი და განსხვავებული სასიმღერო მანერა ჰქონდა, იგი ქართული ოპერებისა და რომანსების საუკეთესო შემსრულებელი იყო. უფრო მეტიც, კლასიკურ საოპერო სპექტაკლებში მან ქართული სული, ქართული ხასიათი და ტემპერამენტი შეიტანა, ამიტომ იყო, რომ მისი გმირები არავის ჰგავდნენ, ამიტომ იყო ყველა მისი საოპერო პარტია განუმეორებელი.

ერთხელ დიდ თეატრში დამპატიჟა. „პიკის ქალში“ გერმანის როლს ასრულებდა. მომღერლის ასეთი წარმატება არასოდეს მინახავს. ხალხი აღარ ტოვებდა დარბაზს. ქუჩაში ყველა გასასვლელი გადაკეტეს, უნდოდათ ახლოს ენახათ ეს მართლაც ჯადო-


ქარი მომღერალი. დირექცია იძულებული გახდა, ზურიკო სათადარიგო გასასვლელიდან გაეყვანა.

მახსოვს, დირიჟორმა ალექსანდრე ლაზარევმა მითხრა: „ვისაც ერთად ანჯაფარიძის, არხიპოვასა და ვიშნევსკაიას სპექტაკლები უნახავს, დამერწმუნება, რომ ეს იყო ოქროს ხანა დიდი თეატრის ისტორიაში".

ზურიკოსთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. იგი პირველად აბესალომის როლში ვიხილე, სცენაზე ნამდვილი უფლისწული იდგა, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს შთაბეჭდილება დღემდე მომყვება და როდესაც მის საფლავთან მივდივარ, ჩემს თვალწინ ცოცხლდება ის უფლისწული – ზურაბ ანჯაფარიძე, რომელსაც ქართველმა ხალხმა ღირსეული პატივი მიაგო და ოპერის ბაღში ზაქარია ფალიაშვილისა და ვანო სარაჯიშვილის გვერდით მიუჩინა სამუდამო სამკვიდრებელი.

ბასხივოსნებული

ნოდარ გაბუნია



ნოდარ გაბუნიას საზოგადოება იცნობდა, როგორც გამორჩეულ კომპოზიტორს, პიანისტს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს. მას ჰქონდა თანამედროვე მუსიკალური სამყაროს შეცნობისა და შეფასების უტყუარი ალღო და უნარი, საკუთარი ხელწერა, იშვიათი ფანტაზია, ღრმა ინტელექტი და დახვეწილი, ფაქიზი გემოვნება.

ბატონი ნოდარი გავიცანი სტუდენტობის პერიოდში, როცა მან დაწერა იგავი „სოფლის მაშენებელნი" – სულხან საბა ორბელიანის მიხედვით. იმ პერიოდში, ნოდარი კონსერვატორიის პედაგოგი გახლდათ. თავიდანვე გამაოცა მისმა უშუალობამ. სიყვარულით მომიკითხა. მერე ბაბუა არტემის შესახებ მკითხა. მაშინ კონსერვატორიის ანსამბლ „გორდელას" წევრი ვიყავი. ნოდარმა შეაქო ჩვენი ანსამბლი და მითხრა, რომ ძალიან მოეწონა გურული სიმღერები ჩვენი შესრულებით, თანაც დასძინა, რომ მისი ახალი ნაწარმოებისათვის, სურს, მიგვიწვიოს „გორდელადან" კრიმანჭული – გომარ სიხარულიძე და ბანი მე – შესაბამისად, ძაღლისა და მამლის პარტიებს შევასრულებდით, ხოლო მელიის პარტიის შესასრულებლად, ჩვენი რეკომენდაციით, მიიწვია ასევე სტუდენტი, არაჩვეულებრივი ვალტორნისტი ნოდარ ფულარიანი, რომელსაც იშვიათი ხმა – მაღალი კრინი ჰქონდა.

დაიწყო რეპეტიციები, ნოდარი გვასწავლიდა ჩვენ-ჩვენს პარტიებს. იგი გვთხოვდა, რომ გურული კოლორიტი არ დაგვეკარგა, რადგან ამას ნაწარმოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თანაც მარტო ნოტებს ნუ დაეყრდნობით, ნოტები სრულად ვერ გამოხატავს გურული სიმღერებისათვის დამახასიათებელ ინტონაციებსო, – გვეტყოდა და გვთხოვდა, გვემღერა თავისუფალი მანერით, იმპროვიზაციით, რაც ასე დამახასიათებელია გურული სიმღერებისათვის. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვმეცადინეობდით, ჩვენთან ერთად მეცადინეობდა ინსტრუმენტული ჯგუფიც, მაშინ მას სრულიად ახალგაზრდა ჯანსუღ კახიძე დირიჟორობდა, როცა პირველი გაერთიანებული რეპეტიცია ჩატარდა, მივხვდით, რომ ეს ნაწარმოები იყო ახალი სიტყვა არა მარტო ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში.

საიდან ასეთი, გურული სიმღერისათვის დამახასიათებელი ინტონაციები? – შეე-

კითხა ჯანსულ კახიძე ნოდარს.

ნახევრად გურული ვარ. დედაჩემი დუმბაძის ქალი იყო, – უპასუხა ნოდარმა.

„სოფლის მაშენებელნი“, პირველად, „ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე“ შეევასრულეთ. წარმოუდგენელი წარმატება იყო. სპეციალისტებმა ნაწარმოებს უმაღლესი შეფასება მისცეს. მალე მოსკოვში კომპოზიტორთა საკავშირო ყრილობა ჩატარდა, სადაც, სხვა ქართულ ნაწარმოებებთან ერთად, ნოდარ გაბუნიას იგავიც შესრულდა. სახელგანთქმული კომპოზიტორები ფეხზე იდგნენ და ოვაციას უმართავდნენ ამ ბრწყინვალე ნაწარმოებს, რომელსაც საუკუნის აღმოჩენა უწოდეს. ასე დაიწყო ჩემი მეგობრობა ნოდარ გაბუნიასთან, მისი ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. იგი კონსერვატორიის რექტორად დანიშნეს. აქაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. თბილისის კონსერვატორიაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მისი კლასის კონცერტის მოსმენა ერთი სიამოვნება იყო. თვითონ მართავდა საფორტეპიანო სოლო კონცერტებს განსაკუთრებით გამოვყოფდი მის მიერ შესრულებულ დებიუსის ნაწარმოებებს და ხაზგასმითაა აღსანიშნავი ბეთჰოვენის ოცდათორმეტივე სონატის შესრულება, რაც იშვიათი მოვლენაა მუსიკის ისტორიაში. ნოდარი, ამასთანავე, წერდა შესანიშნავ ნაწარმოებებს სხვადასხვა ჟანრში, ქმნიდა მუსიკას კინოფილმებისათვის, რაც ცალკე განხილვის საგანია. იგი მეტად დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა. სახელს უფრო და უფრო იხვეჭდა, თვითონ კი, პიროვნულად, საოცრად თავმდაბალი რჩებოდა. ღიმილიანი სალამი იცოდა, სითბო და სიყვარული არ აკლდა. აღსანიშნავია ბატონი ნოდარის მშობლური დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ. 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის შემდეგ, როცა საქართველოს მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა, ნოდარ გაბუნია მიიწვიეს აშშ-ში, მეუღლესთან ერთად. იქ მან, სოლო კონცერტების გარდა, მასტერკლასებიც ჩაატარა. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, მაღალი ანაზღაურებით, მაგრამ ნოდარმა, ყველას გასაოცრად, უარი თქვა. „აბა, როგორ შემიძლია, მე აქ ვიყო ფუფუნებაში, როცა ჩემი სტუდენტები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ და მოუთმენლად მელოდებიან თბილისის გაყინულ კონსერვატორიაში, – უთხრა მან მეუღლეს, ქალბატონ ზიზი აფხაზავას და თბილისში დაბრუნდა.

ამიტომაა, რომ მისი აღზრდილები დღესაც მამაშვილური სიყვარულით, თვალცრემლიანნი იგონებენ ბატონ ნოდარს და ყველაფერს აკეთებენ თავიანთი ალმზრდელის უკვდავსაყოფად.

კონსერვატორიის რექტორობის შემდეგ, ნოდარ გაბუნია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმდომარედ აირჩიეს. მდივნებად ბიძინა კვერნაძე და თქვენი მონამორჩილი მიგვიწვიეს. ის პერიოდი ძალიან ნაყოფიერი იყო კომპოზიტორთა კავშირისათვის. აქ უფრო მეტად გამოჩნდა, როგორც საზოგადო მოღვაწე. ქართველი მუსიკოსები დიდად აფასებდნენ ნოდარ გაბუნიას შემოქმედებას.

„დიახ, გაბუნიას სწამს მეტყველი და შინაარსიანი მელოდიის, ძალა ჰარმონიისა, რომელიც მან კლასიკიდან შეითვისა. ყველა ამ საშუალებას ის მუდამ ღრმად გაიაზრებს. მას არ სჭირდება რაიმე განმარტება ან პროგრამა. მით უმეტეს უცხოა მისთვის ზერელე ილუსტრირება. მხატვრული ქსოვილის განზრახ „გათანამედროვება“ მკვეთრი დეკორატიული ელემენტებით. მუსიკა მისთვის აღსარებაა“ – წერდა ჩვენი დროის გამოჩენილი მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძე.

„განსაკუთრებული შეფასებების გამოთქმა წესად არ მაქვს, მაგრამ მაინც გავბედავ


და „იგავს“ შედევრს ვუწოდებ“, – ამბობს მსოფლიოში გამოჩენილი კომპოზიტორი გია ყანჩელი.

მეც სიამოვნებით ვწერ ამ პატარა წერილს ჩუმი, უპრეტენზიო მოღვაწის, დიდებული კომპოზიტორის, პედაგოგისა და პიანისტის, უკიდეგანო მუსიკალური აზროვნებით გასხივოსნებული პიროვნების შესახებ, რომელიც მუსიკისა და სამშობლოს სიყვარულში ჩაიფერფლა.

ბატონ ნოდართან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მისი ღიმილი, სითბო და სიყვარული თან გამყვება სიცოცხლის ბოლომდე. ვამაყობ, რომ მეც ვიყავი მისი თანამედროვე და მეგობარი. ვწუხვარ, რომ ბატონი ნოდარი დღეს არ არის საკადრისად დაფასებული. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი სახელის უკვდავსაყოფად. რათა ღირსეულად წარმოვაჩინოთ მისი კვალი და ადგილი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში.

მინისტრი, რომელსაც ფოლკლორი ძლივს უყვარდა

ოთარ თაქთაქიშვილი



მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. სამთავრობო ლოჟაში სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ეკატერინე ფურცევა და მისი თანმხლები პირები სხედან. გვერდით, მეორე ლოჟაში, სახელგანთქმული კომპოზიტორები დიმიტრი შოსტაკოვიჩი, არამ ხაჩატურიანი, გიორგი სვირიდოვი, დიმიტრი კაბალევსკი და ტიხონ ხრენიკოვი (სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე) მოთავსებულან. დარბაზში დიდი თეატრის მომღერლები და სხვა გამოჩენილი მუსიკოსები შევნიშნე, მათ შორის: ირინა არხიპოვა, გალინა ვიშნევსკაია, ზურაბ ანჯაფარიძე, დავით გამრეკელი და სხვები. იშვიათად თუ ნახავთ ხელოვანთა ასეთ კრებულს...

სცენაზე ადგილს იკავებს მოსკოვის დიდი სიმფონიური ორკესტრი. მის უკან რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი (ხელმძღვანელი – კლავდი პტიცა) დადგა. სულ ბოლოს კი სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი" შემოვიდა და გუნდის წინ, ოდნავ მარცხნივ დაიკავა ადგილი. დარბაზი ნელ-ნელა მიწყნარდა. უცებ მქუხარე ტაში ატყდა და მაყურებელი ფეხზე წამოდგა: სადირიჟორო პულტთან მივიდა მაღალი, სიმპათიური, ოდნავ თმაშევერცხლილი, ღიმილიანი პიროვნება, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი. დღეს მისი საავტორო კონცერტია. ბატონი ოთარი ღიმილით მიესალმა საზოგადოებას, შემდეგ შემსრულებლებს მიუბრუნდა და სიმღერის დაწყება ანიშნა. „აბა-რე-რია ო-ო-ოო-და" – გაისმა „რუსთავის სოლისტის გაიოზ არაბაშვილის მჭექარე ხმა „ვო-რი-ვოვ-დე-ლი-ა-სა ჰე", – აჰყვნენ თანაგუნდელები და დაიწყო ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „გურული სიმღერები", რომელიც პირველად სრულდება. იშვიათი მუსიკაა, გურული „კრიმანჭული" არაჩვეულებრივად ერწყმის გუნდისა და ორკესტრის თანამედროვე

ჟღერადობას, დიდებულად ჟღერს რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი, ნაწარმოების ურთულეს პარტიტურას ბრწყინვალედ ასრულებს სიმფონიური ორკესტრი; „რუსთავი“ და მისი მომღერლების ჰამლეტ გონაშვილისა და მოკრიმანჭულე ანზორ ტუღუშის ოსტატობა ანცვიფრებს მაყურებელს, ოთარ თაქთაქიშვილის ყველა მოძრაობა ზუსტი და მუსიკალურად გააზრებულია. დიდებულად დირიჟორობს საკუთარ ნაწარმოებს...

ორატორია დამთავრდა. ბოლო აკორდებს მაყურებლის ოვაცია მოჰყვა. ოთარ თაქთაქიშვილი რამდენჯერმე გამოიძახეს სცენაზე. მაყურებლის დაჟინებული მოთხოვნით, ავტორი იძულებულია, მე-5 ნაწილი მთლიანად გაიმეოროს. წარმოუდგენელი წარმატებაა, მაყურებელი ფეხზე ამდგარი სკანდირებს და მქუხარე ტაშით აჯილდოებს შემსრულებლებსა და ნაწარმოების ავტორს.

კონცერტის შემდეგ დირიჟორის მოსასვენებელ ოთახში შედიან და ბატონ ოთარს წარმატებას ულოცავენ კულტურის მინისტრი ეკატერინე ფურცევა, კომპოზიტორები დიმიტრი შოსტაკოვიჩი, არამ ხაჩატურიანი და სხვები, ბ-ნი ოთარი დგას ემოციებისგან დაღლილი, ცალი ხელით შუბლზე ჩამოშლილ შეველცხლილ თმებს ისწორებს და ღიმილიან მადლობას უხდის გამოჩენილ მუსიკოსებს.

ვიდრე „რუსთავის“ მომღერლები და ბატონი ოთარი საკონცერტო კოსტიუმებს იცვლიდნენ, მოგონებებმა გამიტაცეს:

ოთარ თაქთაქიშვილი თბილისის კონსერვატორიაში გავიცანი, როცა რექტორად დანიშნეს. მან ამ პოსტზე ბატონი იონა ტუსკია შეცვალა. იმ პერიოდში კონსერვატორიის სტუდენტებმა ჩამოვაყალიბეთ ანსამბლი „გორდელა“, რომელიც ბატონ ოთარს ძალიან მოეწონა. იგი ხშირად გვამღერებდა, განსაკუთრებით მოსწონდა სიმღერა „ქალგულო“, რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა თემურ ქევხიშვილი. ბატონი ოთარი იმდენად მოიხიბლა „გორდელათი“ და თემურ ქევხიშვილის სიმღერით, რომ მათთვის და დიდი თეატრის სოლისტის ზურაბ ანჯაფარიძისთვის დაწერა შესანიშნავი ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ეს ნაწარმოები უდიდესი წარმატებით შესრულდა თბილისსა და მოსკოვში.

ბატონი ოთარი მალე საქართველოს კულტურის მინისტრად დანიშნეს. აქ სრულად გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და განუსაზღვრელი შესაძლებლობები. მისი მინისტრობის პერიოდში (იგი 20 წელი მუშაობდა ამ თანამდებობაზე) საქართველოში ხელოვნების ნამდვილი რენესანსი იყო. მისმა დიდმა ავტორიტეტმა მოსკოვში, ბრწყინვალე განათლებამ და ერუდიციამ (იშვიათად მინახავს ასეთი განათლებული პიროვნება) დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის განვითარებასა და უცხოეთში მის პოპულარიზაციას.

ოთარ თაქთაქიშვილი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული ფოლკლორის მიმართ, ხელს უწყობდა ფოლკლორულ ანსამბლებს, გაჰყავდა უცხოეთში, მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოსებს აცნობდა ქართულ ხალხურ სიმღერას, მისი მინისტრობის პერიოდში აღორძინდა ეროვნული სამუსიკო ფოლკლორი და თუ დღეს ჩვენი სიმღერები მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამაში ბატონი ოთარის დიდი ღვაწლია.

1968 წელს შეიქმნა ანსამბლი „რუსთავი“, რომელმაც თავიდანვე მიიქცია ოთარ თაქთაქიშვილის ყურადღება. იგი დაუმეგობრდა ანსამბლს და ყველაფერი იღონა მისი წარმატებისთვის. სულ მალე „რუსთავს“ სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიანიჭეს. იმ პერიოდში საოპერო სცენაზე გამოჩნდა შესანიშნავი ახალგაზრდა მომღერალი ზუ-

რაბ სოტკილავა, რომელიც ბატონმა ოთარმა იტალიაში გააგზავნა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. იტალიიდან დაბრუნებული ზურაბი დიდი წარმატებით გამოდიოდა ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც იგი თბილისიდან გადაიყვანეს. ზურაბ სოტკილავასა და „რუსთავისათვის" ბატონმა ოთარმა ორი ნაწარმოები შექმნა – „მეგრული სიმღერები" და „სატრფიალო სიმღერები". ეს ნაწარმოებები დიდი წარმატებით სრულდებოდა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ჩვენი ერთთვიანი მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ზურაბ სოტკილავამ, „რუსთავთან" და თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად (ხელმძღვანელი – ლიანა ისაკაძე), კონცერტები გამართა სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, ბიჭვინთაში, გალში, ზუგდიდში, ფოთში, ხობში... იყო უდიდესი წარმატება და არაჩვეულებრივი შეხვედრები. კონცერტებს თვითონ ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი დირიჟორობდა, შემდეგ იგი მოსკოვში გამოიძახეს და კონცერტები შესანიშნავმა დირიჟორმა და ბრწყინვალე პიროვნებამ ოდისეი დიმიტრიადიმ გააგრძელა. ზურიკო სოტკილავა, წარმოშობით, სოხუმელი იყო. იგი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა აფხაზეთსა და სამეგრელოში, ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიყვარულით ხვდებოდა მაყურებელი. ბისებს ბოლო არ უჩანდა, ხალხით გადაჭედილი დარბაზები ტაშის გრიალით გამოხატავდა თავის აღტაცებას შემსრულებელთა მიმართ, ბევრი მათგანი სცენაზე ამოდიოდა და გულში იკრავდა თავის სათაყვანებელ მომღერალს. კონცერტის შემდეგ სუფრასთან გვიწვევდნენ, იყო საოცარი სიყვარული და იშვიათი მასპინძლობა, რომლითაც ასე განთქმულია აფხაზეთი. დილამდე ისმოდა მეგრული და აფხაზური სიმღერები და რას წარმოვიდგენდით მაშინ, რომ რამდენიმე წელიწადში ამ ძირძველ ქართულ მიწაზე ასეთი ტრაგედია დატრიალდებოდა.

ოთარ თაქთაქიშვილს ძალიან უყვარდა ბიჭუნების გუნდი „მართვე", ხშირად გამოჰყავდა პრესტიჟულ კონცერტებზე, აცნობდა უცხოელ სტუმრებს და ამაყობდა ქართველი ბავშვების წარმატებით. მახსოვს ასეთი შემთხვევა: 1980 წელს ვარშავაში ტარდებოდა „ისმეს" საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც მრავალი ქვეყნის ბავშვთა გუნდი გამოდიოდა. სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ბავშვთა სექტორის ხელმძღვანელმა, გამოჩენილმა კომპოზიტორმა დიმიტრი კობალევსკიმ, ვარშავაში გასაგზავნად, ბელორუსიის გუნდი შეარჩია, ბატონმა ოთარმა თბილისში მოიპატიჟა კობალევსკი და შესთავაზა, მოესმინა „მართვესთვის". კომპოზიტორმა აღფრთოვანება ვერ დაფარა, თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და ვარშავაში „მართვე" გააგზავნა. იქ ქართველმა ბავშვებმა თავი ისახელეს და განაცვიფრეს უცხოელი სპეციალისტები. კომპეტენტურმა ჟიურიმ უმაღლესი შეფასება მისცა „მართვეს" სასიმღერო ხელოვნებას. უნდა გენახათ, რა სიყვარულით იხუტებდნენ „მართვეს" წევრებს კობალევსკი და თაქთაქიშვილი.

– ამ ბავშვებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მუსიკალური განათლება, რომ მომავალში თვითონ უხელმძღვანელონ მუსიკალურ ფოლკლორსო, – თქვა ბატონმა ოთარმა და თბილისის 28-ე მუსიკალურ სკოლაში (დირექტორი – თამაზ ანდღულაძე) სპეციალურად გახსნა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება. ამ სკოლაში აღიზარდნენ ნიჭიერი ბავშვები, რომლებმაც შემდეგ დაამთავრეს თბილისის კონსერვატორია, ჩამოაყალიბეს ბავშვთა გუნდები და წარმატებით გამოდიან როგორც ჩვენთან, ასევე უცხოეთში.

ბატონმა ოთარმა ფართოდ გაუკაფა გზა ხალხურ ანსამბლებს, მისი დიდი

ავტორიტეტის წყალობით, საკავშირო კულტურის სამინისტრო და „გოსკონცერტი“ საზღვარგარეთ უფრო მეტად ქართულ კოლექტივებს აგზავნიდა. და თუ დღეს ქართული ფოლკლორი უცხოეთში მეტად პოპულარულია, ესეც ოთარ თაქთაქიშვილის დიდი დამსახურებაა.

ბატონმა ოთარმა არაერთხელ ჩაატარა უცხოეთში საქართველოს კულტურის დღეები. სამაგალითოდ გამოდგება გერმანიის ქ. საარბრიუკენში უმაღლეს დონეზე ჩატარებული დღესასწაული, რომელმაც ეს ქალაქი თბილისთან დააძმობილა. ასეთი ღონისძიებების ჩატარება, მაშინდელი საბჭოთა რეჟიმის პირობებში, დიდი გმირობა იყო.

მოსკოვში ოთარ თაქთაქიშვილს უდიდეს პატივს სცემდნენ როგორც შესანიშნავ კომპოზიტორსა და კულტურის მინისტრს. ქართული კულტურის დიდი წარმატება ბევრჯერ განაპირობა მისმა დიდმა ავტორიტეტმა.

ბატონი ოთარი იყო არაჩვეულებრივი ორატორი, შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას და დიდი წარმატებით გამოდიდოდა სიტყვით სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიებაზე. არასოდეს დამავიწყდება ასეთი ფაქტი: როცა სსრ კავშირის კულტურის მაშინდელმა მინისტრმა – დემიჩევმა მოისმინა ოთარ თაქთაქიშვილის ბრწყინვალე სიტყვა, თვითონ უარი თქვა გამოსვლაზე.

მახსენდება კიდევ ერთი ფაქტი: აშშ-ში გაიგზავნა მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრების დელეგაცია, ხელმძღვანელად დანიშნული იყო დემიჩევი, მაგრამ მან თავიდან აიცილა პასუხისმგებლობა, ამერიკაში არ წავიდა და დელეგაციის ხელმძღვანელობა ოთარ თაქთაქიშვილს დააკისრა. როცა ამერიკიდან დაბრუნდნენ, მოსკოვში, კულტურის სამინისტროში, შემთხვევით შევესწარი ბელორუსიის კულტურის მინისტრის მრჩევლის საუბარს. იგი ყვებოდა „თავისი“ მინისტრის მონათხრობს: „ამერიკაში ჩვენი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იყო ოთარ თაქთაქიშვილი, ისიც ჩვენსავით პირველად იყო აშშ-ში, მაგრამ იმდენად კარგად იცნობდა ამერიკის კულტურას, რომ ყველა მუზეუმში დანახვისთანავე ცნობდა იშვიათ ექსპონატებს, გიდებზე უკეთესად ყვებოდა მათ შესახებ, რითაც ანცვიფრებდა ამერიკელებს. როცა ჩვენი დელეგაცია იქაურ კულტურის მუშაკებს ხვდებოდა, თაქთაქიშვილი ჯერ ლექციას ატარებდა კულტურაზე, მერე მიუჯდებოდა როიალს და შესანიშნავად წარმოაჩენდა საბჭოთა კომპოზიტორებს: შოსტაკოვიჩს, ხაჩატურიანს, სვირიდოვს და სხვებს, უკრავდა ფრაგმენტებს მათი ნაწარმოებებიდან, ამომწურავად პასუხობდა ამერიკელთა შეკითხვებს. ჩვენ მხოლოდ მსმენელთა როლში გამოვდიოდით და ლექციის ბოლოს ტაშით ვაჯილდოებდით ამ მართლაც უნიჭიერესსა და უგანათლებულეს მინისტრს“.

ბატონი ოთარი მეტად დაფასებული პიროვნება გახლდათ. მისი ნაწარმოებები წარმატებით სრულდებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი არაერთხელ იყო დაჯილდოებული სხვადახვა სახელმწიფო პრემიით, ხოლო მისი ოპერა „მთვარის მოტაცება“ (კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით) საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი ჯილდოთი – ლენინური პრემიით აღინიშნა.

ასეთი წარმატებული ადამიანი იშვიათად თავმდაბალი პიროვნება გახლდათ, მეგობრობდა უბრალო ხალხთან, ხელოვნების მუშაკებთან, უყვარდა სუფრასთან სიმღერის მოსმენა, ხანდახან თვითონაც მღეროდა, ჰქონდა არაჩვეულებრივი იუმორი, მასთან ურთიერთობას არაფერი სჯობდა.

სამწუხაროდ, ბატონი ოთარი ადრე წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა უმდიდრესი შემოქმედება და კვალი ნათელი, რომელიც მარად გაჰყვება ქართულ კულტურას.

ქართული მუსიკის ბარათაშვილი

ბიძინა კვერნაძე

თბილისის ქუჩებში ერთი გამორჩეული ინტელიგენტი დადიოდა. სახეზე ნათელი გადასდიოდა. დადიოდა დინჯად, აუჩქარებლად. ალალ-მართალი, ღიმილიანი, მადლიანი, სიკეთიანი, უბოროტო, უღალატო, უშურველი, უამბიციო, უპრეტენზიო, მორიდებული, თავდაჭერილი, ზრდილი, ყველას მოყვარული, იუმორითა და სიცოცხლით სავსე, ტკბილმოუბარი, სულიერად ამაღლებული, უსუფთავესი პიროვნება, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსი ბიძინა კვერნაძე.



ჰყავდა უდიდესი სამეგობრო წრე, რომლის შუაგულში ტრიალებდა და ირგვლივ მყოფთ ანდამატივით იზიდავდა, მასთან ურთიერთობა ყველას აკეთილშობილებდა და სიცოცხლის ხალისს ჰმატებდა. მისი არაჩვეულებრივი იუმორი ისეთივე ხალასი, ელვარე და მაღალნიჭიერი იყო, როგორც მისი შემოქმედება.

ბიძინა კვერნაძემ სრულიად ახალგაზრდამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. იმთავითვე, პოპულარული კომპოზიტორი გახდა. მისი შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია, თითქმის არ დარჩენილა მუსიკის ჟანრი, ბიძინა კვერნაძეს თავისი კვალი რომ არ დაემჩნიოს. მას ჰქონდა თანამედროვე მუსიკალური სამყაროს შეცნობის უტყუარი ალღო, მაღალი მუსიკალური აზროვნება, იშვიათი გემოვნება, ყველასაგან განსხვავებული მუსიკალური ენა. მისი მუსიკა გამოირჩევა ამაღლებული სულიერებით, იშვიათი მელოდიურობით, ლირიზმით. იგი ნამდვილად ღმრთის მადლით მირონცხებული მუსიკოსია.

ჯანსულ კახიძემ ბიძინას ქართული მუსიკის ბარათაშვილი შეარქვა. მისი შემოქმედება მართლაც ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკის თანაზიარია. მისი მუსიკაც ყველასთვის საყვარელია.

ბიძინა კვერნაძემ მუსიკოსთა რამდენიმე თაობა აღზარდა. იყო გამორჩეული პედაგოგი, ახალგაზრდებს, მუსიკასთან ერთად, სიწმინდეს, სიკეთესა და სიყვარულს უნერგავდა.

ბიძინა ჩემი კარის მეზობელი იყო. მასთან ერთად 25 წელი გავატარე. ეს ჩემთვის

დაუვიწყარი, ბედნიერი წლებია.

ბიძინასთან ერთად დიდხანს ვმუშაობდი სახელმწიფო პრემიების კომისიაში, კომპოზიტორთა კავშირში, საქართველოს კათოკილოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდში. იგი ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, ობიექტური, მიუკერძოებელი, უკომპრომისო და სამართლიანი იყო.

ბიძინა კვერნაძე ღირსეული პიროვნება გახლდათ. მახსოვს, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესარჩევი კონკურსი ტარდებოდა. მე კომისიის წევრი ვიყავი, ბიძინა კონკურსში მონაწილეობდა. ნაწარმოებები დაშიფრული იყო. მეორე ტურის წინ, გვიან ღამით, ბიძინა ჩვენთან ნასვამი მოვიდა. ჩაის მიირთმევდა და თავისებურად ხუმრობდა. მე ვთხოვე, თავისი ჰიმნის მელოდია დაეკრა, რომ მეორე დღეს გამომეცნო. არ იკადრა, უახლოეს მეგობარსაც კი არ მომასმენინა თავისი ჰიმნი – ყველა კონკურსანტი თანაბარ პირობებში უნდა ვიყოთო, – მითხრა. ბიძინასთან ურთიერთობამ ფრიად დადებითი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე. მისგან ბევრი რამ ვისწავლე.


ბიძინა კვერნაძე ხალხში სიწმინდის ეტალონად დარჩა. მას არ შეხებია ამქვეყნიური სიბინძურე და ბოროტება. როგორიც დაიბადა, ისევე ბავშვივით სუფთა წავიდა ამ ქვეყნიდან.

მისი გარდაცვალება მარადიული სიცოცხლის დასაწყისია. მოდით, მადლობა ვუთხრათ ბიძინა კვერნაძეს იმ სიკეთისა და სიყვარულისთვის, რომელსაც იგი ყოველდღიურად უხვად გასცემდა. მადლობა ვუთხრათ იმ ღვთაებრივი მუსიკისთვის, რომელიც საუკუნეებს გაჰყვება. მის შემოქმედებას მომავალი თაობები უკეთ შეაფასებენ.

ბიძინამ ხალისიანი ცხოვრებით იცხოვრა და სწორი გზით იარა. მისი ცხოვრების გზა ტაძრისკენ მიდიოდა. იგი განწმენდილი წავიდა ამა სოფლიდან, დატოვა კვალი ნათელი და მხრებგაშლილმა შეაბიჯა მარადისობაში.

ბაჰყვება საუკუნეებს

ჯანსულ კახიძე



ჯანსულ კახიძე – ღვთაებრივი ნიჭით მირონცხებული მუსიკოსი, მთელს მსოფლიოში აღიარებული დირიჟორი, სიმღერის უბადლო შემსრულებელი გახლდათ. ხალხური სიმღერა მას გენეტიკურად დაჰყვა. მისი მშობლები, წარმოშობით, ტრადიციულ მომღერალთა ოჯახებიდან მოდიოდნენ. კახიძეების ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ იმ პერიოდის საუკეთესო მომღერლები: ვანო მჭედლიშვილი, ნოკო ხურცია, კირილე პაჭკორია, სერგი დადივაძე, კუსა ვაშაძე და სხვები. ჯანო ყურადღებით უსმენდა მათ ნამღერს და პატარაობიდანვე შეითვისა ხალხური სიმღერის მადლი. ამან დიდი გავლენა იქონია მისი, როგორც დიდი მუსიკოსის ჩამოყალიბებაზე.

სრულიად ახალგაზრდამ შექმნა ანსამბლი „შვიდკაცა". რომელმაც სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე ლაურეატის წოდება და ოქროს მედლები დაიმსახურა. „შვიდკაცამ" პირველმა გაუკაფა გზა ქართულ ხალხურ სიმღერას უცხოეთში. ამ ანსამბლში პირველად გამოჩნდა ჯანსულ კახიძის, როგორც ლოტბარისა და მომღერლის, ნიჭი. მან „შვიდკაცას" რეპერტუარში შეიტანა სხვადასხვა კუთხის უნიკალური სიმღერები, ხოლო თვითონ, როგორც მომღერალი, შესანიშნავად ასრულებდა სოლო პარტიებს. ჯანო ფლობდა ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელ სასიმღერო მანერას, რაც მეტად რთული გახლავთ. გარდა ამისა, თავისი ხმის განუსაზღვრელი დიაპაზონის წყალობით, მას თავისუფლად შეეძლო როგორც „კრიმანჭული", ასევე ბანის პარტიის შესრულება. მოგეხსენებათ, ქართული ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელია იმპროვიზაციულობა. ჯანო ამ მხრივაც სამაგალითო იყო, ის იმპროვიზაციის ამოუწურავ შესაძლებლობებს ფლობდა. მე არაერთხელ მიმღერია მასთან. სიმღერის დროს, იმპროვიზაციის ისეთ კორიანტელს დააყენებდა, ისეთ ვარიანტებს მოიგონებდა, თუ პარტნიორი გამოცდილი არ იყო, აუცილებლად ასცდებოდა ტონალობას. სიმღერას ჯანო ორჯერ ერთნაირად არ შეასრულებდა. მასთან სიმღერა ძნელი იყო, რადგან არავინ იცოდა, რას შემოგთავაზებდა. უნდა გენახათ, პარტნიორს მყისვე რა დიდი ოსტატობით შეუწყობდა ხმას და მოუგვირისტებდა მელოდიას. ჯანოსთან სიმღერა ერთი სიამოვნება იყო.

მახსოვს, კინოფილმ „შერეკილებისათვის“ წერდა მუსიკას. სიმღერების ჩასაწერად მე და ჯუმბერ ყოლბაია მიგვიწვია, ეს სიმღერები, ძირითადად, იმპროვიზაციებზე იყო აგებული. გვასწავლიდა რომელიმე ვარიანტს, შემდეგ სულ სხვანაირად მღეროდა და ჩვენგანაც იმასვე მოითხოვდა – „იმღერეთ თავისუფლად, როგორც მოგეხერხებათ, ნუ გეშინიათ“, – გვეტყოდა. ეს ხასიათი მთელი ფილმის მუსიკას გასდევს, განსაკუთრებით კი იმ ადგილს, სადაც ერთაოზი „ვალებს არიგებს“.

ჯანო შესანიშნავ სიმღერებს წერდა. ეს სიმღერები ქართული ესტრადის მშვენება გახდა. იგი ხალხმა შეიყვარა და გაითავისა. ამაზე დიდი აღიარება წარმოუდგენელია. თავის სიმღერებში ჯანო ოსტატურად იყენებდა ხალხურ ინტონაციებს, რითაც ესტრადას მანამდე არნახული ფუნქცია მოუნახა. სამაგალითოდ გამოდგება თუნდაც სიმღერა „კრიმანჭული“, რომელიც ანსამბლ „ორერასთვის“ დაწერა. ეს უნიკალური ხმა, ამავე დასახელების სიმღერაში ჩასვა და უმაღლეს პროფესიულ დონეზე აიყვანა. ამ სიმღერამ დიდი აღიარება მოიპოვა. რომელი ერთი ასეთი სიმღერა დავასახელო.

ჩემი აზრით, ჯანსუღ კახიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ესტრადის წარმატებაში. ვფიქრობ, ეს გზა სწორი იყო, ვინაიდან ეს იყო ეროვნული, თვითმყოფადი გზა. და თუ ჩვენი ესტრადა ეროვნულ სულს დაკარგავს, მას ისევე წალეკავს უცხოეთიდან შემოსული ათასნაირი მიმდინარეობა, როგორც ეს ევროპის უმეტეს ქვეყნებში მოხდა.

ჯანსუღ კახიძე თანაბრად ძლიერი იყო, როგორც ხალხურ, ისე საესტრადო ჟანრში. იგი გახლდათ გამორჩეული სოლისტი, ასევე, იშვიათი ანსამბლისტი. ალბათ, გახსოვთ, როგორ პარტნიორობას უწევდა ქართული ესტრადის ვარსკვლავებს – ნანი ბრეგვაძეს, თამრიკო ჭოხონელიძეს, ეკა მამალაძეს, გოგი დოლიძეს და სხვებს. საინტერესოა, რომ ჯანო იქაც იმპროვიზირებდა. ეს მისი ბუნება იყო. გარდა ამისა, მას გააჩნდა იშვიათი უნარი – ნებისმიერი მომღერლისათვის შეეწყო ხმა და მისთვის დამახასიათებელი მანერით ემღერა. არასოდეს დამავიწყდება ჰამლეტ გონაშვილისა და ჯანსუღ კახიძის „შენ ბიჭო ანაგურელოს“ ფანტასტიკური დუეტი იუგოსლავიაში, რომელიც, სამწუხაროდ, არ ჩაწერილა.

ჯანომ ბევრი სიმღერა ჩაწერა, მაგრამ, ვფიქრობ, მის მაღალნიჭიერებას, რომელსაც ასე უხვად აფრქვევდა, ვერც ერთი თანამედროვე აპარატურა ვერ გადმოსცემს. აუდიოჩანაწერი ერთადერთი ვარიანტია, რომელიც მომღერალმა ჩაწერის დროს შეასრულა, რა ვუყოთ იმ უამრავ ვარიანტს, რომელთაც ჯანო არასოდეს გაიმეორებდა?

მიუხედავად ამისა, მისი ხმა, მისი განუმეორებელი საშემსრულებლო მანერა სამაგალითოდ დარჩება მომავალ თაობებს და წარმოდგენას შეუქმნის უნიჭიერესი მუსიკოსის, იშვიათი მომღერლის – ჯანსუღ კახიძის სასიმღერო შემოქმედებაზე.

* * *

ახლა, როცა ჯანსუღ კახიძე ჩვენს შორის აღარ არის, სინანულით ვიგონებ მასთან გატარებულ დღეებს. მაშინ მიჩვეული ვიყავით იმ საოცარ ნარმატებებს, რომელთაც მსოფლიო მასშტაბით აღწევდა, რასაც მის მაღალნიჭიერებას მივაწერდით და გვეგონა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ჯანო თავისი მეგობრების შუაგულში ტრიალებდა და თავი ისე ეჭირა, როგორც ჩვენს ტოლსა და სწორს. ამიტომ ყველა

მისი მოქმედება ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნდა. ვიცოდით, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდით, რომ ჩვენს გვერდით იყო უნიკალური პიროვნება, ღვთაებრივი ნიჭით მირონცხებული და საოცრად არაორდინალური.

ახლა ვნანობ, რატომ არ ჩავიწერეთ და არ გადავიღეთ მასთან გატარებული ყოველი დღე, რომელიც ძალიან საინტერესო გახლდათ ხელოვნების თვალსაზრისითაც.

რატომ არ გადავიღეთ თუნდაც მისი უკანასკნელი დაბადების დღე, როცა მან სუფრასთან „აიწყვიტა" და საოცრებები მოახდინა. ჯერ ვანიკო მაჭავარიანთან და „შვიდკაცას" ბიჭებთან ერთად იმღერა, მერე როიალს მიუჯდა და თავის ვაჟიშვილთან, ვატოსთან ერთად, საკუთარი სიმღერებით მოგვხიბლა. ესეც რომ მოსწყინდა, მე და ჯემალ ჭკუასელს გვთხოვა, „ხასანბეგურა" ვიმღეროთო. მე დავიწყე, თვითონ „კრიმანჭული" შემოსძახა, ჯემალმა ბანი მოგვაშველა. ჯანო კალმახივით დაცურავდა ურთულესი პოლიფონიის ხლართებში, მისი სიმღერა ნამდვილი შემოქმედება იყო, იქვე ქმნიდა ახალ ვარიანტებს, მაგრამ არ იმახსოვრებდა, რომ შემდეგში უკეთესი შეექმნა. მე არაერთხელ მიმღერია ჯანოსთან ერთად და ყოველთვის მანცვიფრებდა მისი გასაოცარი შემოქმედებითი უნარი. ხმას სრულყოფილად ფლობდა და ვირტუოზულად „აჯირითებდა" დიდი დიაპაზონის ფარგლებში, მაგრამ ჩარჩოებში ვერ ეტეოდა და იმპროვიზაციის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს გვთავაზობდა.

ჯანოსთან სიმღერა ადვილიც იყო და ძნელიც. ძნელი იმიტომ, რომ სიმღერის პროცესში განუწყვეტლივ იმპროვიზირებდა და ღმერთმა იცის, რას მოიფიქრებდა, ხოლო ადვილი იმიტომ, რომ რანაირი ვარიანტიც არ უნდა გაემღერა, იმავე წამს, შესაფერისი მელოდიით, საოცარ მოძახილს ამოგიქარგავდა.

მოკლედ, ჯანო შესანიშნავი პარტნიორი იყო, ნებისმიერ სიმღერას გულსა და სისხლძარღვებში ატარებდა, თავისად აქცევდა და ისე გადმოსცემდა. ამიტომ იყო, რომ მისი ნამღერი საოცარ ზეგავლენას ახდენდა მსმენელზე და ხშირად თვალებზე ცრემლსაც მოგგვრიდა. ამის ნათელი დადასტურება იყო ის კონცერტები, რომლებიც იმართებოდა ჯანსულ კახიძის ცენტრში, ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით.

ცალკე განხილვის საგანია ჯანოს მიერ შექმნილი სიმღერები, მისი კინომუსიკა რომლებიც უკვე ხალხის საკუთრებად იქცა, ხალხური გახდა, ხალხი მღერის. ეს ხომ უდიდესი აღიარებაა.

ჯანსულ კახიძე თავისი ბუნებით ლიდერი იყო, ამიტომ იგი ნებისმიერი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

ვისაც ჯანოს ლხინი არ უნახავს, ნუ იტყვის, რომ მის პიროვნებას იცნობდა. ჯანო ისეთივე შეუდარებელი იყო სუფრასთან, როგორც ესტრადაზე. იგი ლხინის ბატონ-პატრონი იყო. მისი არაჩვეულებრივი სიმღერა, ამაღლებული განწყობილება და მოხდენილი იუმორი ახალისებდა და განუმეორებელს ხდიდა სუფრას. არასოდეს დამავიწყდება მიშელ ლეგრანის სახე, როცა ჯანოს სუფრასთან მოუსმინა. მისმა სიმღერამ და იმპროვიზაციებმა განაცვიფრეს მთელს სოფლიოში აღიარებული მუსიკოსი, ხოლო, როცა მსტისლავ როსტროპოვიჩმა ჯანოს მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ სიმღერებს მოუსმინა, უთხრა: „ჩემს დასაფლავებაზე მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერა უნდა ჟღერდეს, თანაც ცოცხალი შესრულებით".

შარშან შევხვდი საფრანგეთში გამოჩენილ მუსიკოსებს, რომლებმაც იმხანად პარიზში გამართული ბრწყინვალე სიმფონიური კონცერტების შემდეგ, ჯანსულ კახი-

ძე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დირიჟორად მიიჩნიეს. მართლაც, რა დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა ჯანსულ კახიძეს მსოფლიოს მუსიკალურ ელიტაში, რომ მას „ლა სკალაში" სიმფონიური მუსიკის სეზონის გახსნა და დახურვა მიანდეს.

ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, ყოველივე ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ახლა ვფიქრობ, კიდევ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მაღალი რანგის მუსიკოსთაგან მსოფლიოში, რომელიც ისე ასრულებდა ხალხურ სიმღერებს, როგორც ჯანსურ კახიძე. ალბათ, არავინ.

მას ხალხური სიმღერა ჩვილი ბავშვივით ხელში ატატებული დაჰყავდა და მთელს მსოფლიოს აცნობდა, როცა ეკითხებოდნენ მისი დიდი წარმატების მიზეზს, იგი უყოყმანოდ პასუხობდა, რომ არის იმ ქვეყნიდან, რომელსაც მსოფლიოში გამორჩეული ხალხური პოლიფონიური მუსიკა აქვს. ჯანსულ კახიძე იყო ამ სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი, დამფასებელი და შემფასებელი.

იქნებ დამისახელოთ, კიდევ ვინ იყო მაღალი რანგის მუსიკოსთაგან, ვისაც შეეძლო, საქართველოს ნებისმიერ სოფელში, გლეხებთან ერთად, მაღალ დონეზე შეესრულებინა ხალხური სიმღერები.

და ბოლოს, კიდევ ვის ჰყავდა იმოდენა საძმო თბილისში, როგორც ჯანო კახიძეს. მას საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლებთან ჰქონდა ურთიერთობა, მათ შუაგულში ტრიალებდა და იყო ბევრი სასიკეთო საქმის ინიციატორი.

ახლა ვფიქრობ: იქნებ არც ღირდა მისი ჩაწერა და გადაღება, ვინაიდან ვერც ერთი თანამედროვე აპარატურა ვერ აღბეჭდავდა იმ საოცარ მაღალნიჭიერებას, განცდებსა და ემოციებს, რასაც ჯანსულ კახიძე აფრქვევდა...

იქნებ, მართლა სჯობდეს, რომ მისი სახელი ლეგენდად დარჩეს და ასე გაჰყვეს საუკუნეებს...

სამშობლო ასულებმულებს

რევაზ ლაღიძე



„მარ-თაი, მართალია, მოკ-ტი ლე-ნინ, უდრო-ოდ და-ხუ-ჭე თვალი“, – მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს მაღლა ასწევდა და გურულად წაიღიღინებდა „ლენინ ოქტომბრის ბელადოს“, მერე მომეხვეოდა და მეტყოდა – ბიჭო, გენიალური სიმღერების პატრონები რავა გადაყევით ამ ლენინზე სიმღერებს. – მაშინ ისეთი დრო იყო, ბატონო რეზო, ლენინზე და პარტიაზე თუ არ იმღერებდი, ისე არც „ნადურს“ გამღერებდნენ და არც „ხასანბეგურას“, – ვუპასუხებდი მე. – გეიგე სტრავინსკის რა უთქვამს? გურული კრიმანჭულიანი სიმღერები გაცილებით მეტია, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მიღწევაო – ამაზე დიდი შეფასება აღარ შეიძლება...

რევაზ ლაღიძე 1958 წელს გავიცანი, როცა მთელი საქართველო თბილისის 1500 წლის იუბილეს ზეიმობდა. მაშინ დაიწერა მისი უკვდავი „სიმღერა თბილისზე“, რომელიც ჩვენი ქალაქის სიმბოლოდ იქცა. უმისოდ თბილისი წარმოუდგენელია.

აქედან მახსოვს ბატონი რევაზ ლაღიძე, აქედან მომყვება მისი სიკეთე, მადლი და ღიმილიანი კეთილგანწყობა ჩემს მიმართ.

ბატონი რეზო მეტად პოპულარული პიროვნება გახლდათ, მისი სიმღერები ქართველი კაცის სულსა და გულს ატკბობდა, ახარებდა, სიცოცხლის ხალისს ჰმატებდა. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მის ყოველ ახალ ნაწარმოებს. მახსოვს რა დიდი წარმატება ხვდა სიმღერას „კარკუჩით წამაიყვანეს“ კინოფილმიდან „ხევისბერი გოჩა“. მას მთელი საქართველო მღეროდა.

არ დამავიწყდება 1968 წელი. ბულგარეთში სტუდენტთა და ახალგაზრდობის VIII მსოფლიო ფესტივალი ტარდებოდა. ამ ფესტივალზე „გორდელა“ მონაწილეობდა. ჩვენ შესარჩევ ტურზე ისე კარგად შევასრულეთ „კარკუჩით წამაიყვანეს“, რომ იგი დასკვნითი კონცერტის პროგრამაში შეიტანეს. „გორდელას“ სოლისტი მიხეილ მცურავიშვილი შესანიშნავად ასრულებდა სოლოს, მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით გამოხატა აღფრთოვანება.

უცნაური რამაა ცხოვრება, იცვლებიან დრონი, იცვლება საზოგადოება, მიდიან ავტორები, იცვლებიან შემსრულებლები, მაგრამ რჩება მუსიკა, რომელიც ხალხმა შეიყვარა და თავისად გაიხადა. რევაზ ლაღიძის მუსიკამ დროს გაუძლო, იგი თაობიდან

თაობას მიჰყვება, როგორც იშვიათი საგანძური. დაუვიწყარია მისი სიმღერები კინოფილმებიდან: „საბუდარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები“, „წუთისოფელი“, „ხევისბერი გოჩა“, „შეხვედრა მთაში“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „გლახის ნაამბობი“, „ნინო“ „ყვავილი თოვლზე“, „განგაში“ და სხვა. ხალხმა შეიყვარა „სიმღერა თბილისზე“ დები ჩაფიჩაძეების შესრულებით „მუხამბაზი თბილისს“ ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით, „ჰიმნი ქუთაისს“ დავით გამრეკელის შესრულებით, „ბალადა ვაზზე“ და „განთიადი“ ნანი ბრეგვაძის შესრულებით, „ჩაგძინებია, ქალაუ“ ვაჟა-ფშაველას ტექსტზე ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით და კიდევ რამდენი მარგალიტი. იშვიათია კომპოზიტორი, რომელიც ისე უყვარდეს ხალხს, როგორც რეზო ლაღიძე უყვარდა.

რევაზ ლაღიძე მოვლენა იყო ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში. მრავალჟანროვანი იყო მისი შემოქმედება. გავიხსენოთ „საჭიდაო“ სიმფონიური ორკესტრისათვის, „რონდო-ტოკატა“ ფორტეპიანოსათვის, კანტატა „მელის ვარძია“, „პოემა“ და „ელეგია“ ჩელოსათვის. სიმღერები, რომანსები, ოპერეტები. ცალკე განხილვის საგანია მისი კინომუსიკა და ბოლოს – ოპერა „ლელა“, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა.

რეზო ლაღიძის მუსიკა წარმატებით სრულდება უცხოეთშიც. მახსოვს, იაპონიაში სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთ კონცერტზე შესრულდა მისი „საჭიდაო“ , რომელმაც მსმენელში დიდი აღტაცება გამოიწვია.

რეზო ლაღიძეს დიდი სამეგობრო ჰყავდა, ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ. მას საქართველოს ყველა კუთხეში ჰყავდა თავისი საძმო. იყო საინტერესო შეხვედრები, ხუმრობა, სიმღერა, ბატონი რეზო ბუნებით მხიარული პიროვნება გახლდათ, ჰქონდა იშვიათი იუმორი და ანდამატივით იზიდავდა ხალხს, მასთან ყოფნა ყველას ეამაყებოდა, უხაროდა. იყო თავმდაბალი, მოსიყვარულე. ძალიან უყვარდა იმერეთი, თავისი სოფელი ოფჩა. ქუთაისი, – ჩემი ძირი აქედანაა, თუ რამე სიკეთეა ჩემში, ჩემმა სოფელმა მომცაო, – იტყოდა ხოლმე.

როცა 50 წელი შეუსრულდა, არაჩვეულებრივი იუბილე გადაუხადეს. ქართველმა ხალხმა გულწრფელი პატივისცემა გამოხატა საყვარელი კომპოზიტორის მიმართ. საიუბილეო კონცერტის შემდეგ დიდი პურობა გაიმართა, თამადა ჩვენი გამოჩენილი პოეტი ირაკლი აბაშიძე გახლდათ. ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა იუბილარზე, ბევრი მისი სიმღერა შესრულდა, განსაკუთრებით მოეწონათ „ჭრელ ბაღდადზე გავშლი სუფრას, ზედ დაგიდგამ დოქით ღვინოს“ – ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით. როცა იუბილარის სადღეგრძელო შეისვა, თამადამ გვთხოვა, ერთხელ კიდევ გვემღერა „ჭრელ ბაღდადზე“, მთელი სუფრა აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს სიმღერის ავტორს და შემსრულებლებს. ალბათ, ღვინის მადლმა გამაბედინა, რომ პატარა ექსპრომტი მიმეძღვნა ბატონი რეზოსათვის:

„ერის წყლული გიჩანს წყლულად და სამშობლო გასულდგმულებს,
შენი ხალხის ლაღი ძე ხარ და სიმღერით კურნავ წყლულებს,
ვენაცვალე შენს ნიჭს, სუფთას, სამეფოს და საგვირგვინოს,
„ჭრელ ბაღდადზე გავშლი სუფრას, ზედ დაგიდგამ დოქით ღვინოს“.

ბატონ რეზოს იმდენად მოეწონა ლექსი, რომ იგი სუფრაზე ხმამაღლა წაიკითხეს, მერე თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონდა გაკრული.

რეზო ლაღიძეს საოცრად უყვარდა თავისი ქვეყნის ბუნება, დადიოდა მთასა და ბარში, დადიოდა სათევზაოდ, ალბათ, უფრო ბუნების მოსაფერებლად, მას თან ახ-

ლდნენ განუყრელი მეგობრები: იაკობ ბობოხიძე, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი, მამია ხატელიშვილი, ბიძინა კვერნაძე და მეც, – თქვენი მონა-მორჩილი. რამდენჯერ მიფიქრია, ალბათ, ბუნება ასაზრდოებდა მას როგორც შემოქმედს. იტყოდა ხოლმე, – მე თუ შიშველი ფეხი არ დავდგი ჩემს მიწაზე და არ შევიგრძენი დილის ცვარი, თუ არ მოვეფერე თითოეულ ყლორტსა და ყვავილს, პეშვით არ შევსვი მოჩუხჩუხე ნაკადული, ბეჭებით არ შევიგრძენი ჩემი მიწის მადლი, ისე ჩემს მუსიკას არანაირი ფასი არ ექნებაო.

მე ხშირად მიხდებოდა ბატონ რეზოსთან ურთიერთობა, მეამაყება, რომ იგი თავისი სიმღერების არანჟირებას მანდობდა ანსამბლ „რუსთავისთვის".

ერთი განსაკუთრებული შემთხვევა მინდა გავიხსენო, ეს იყო 1978 წელი, როცა მოსკოვში დაისვა საკითხი საქართველოში სახელმწიფო ენად რუსული ენა ეღიარებინათ, ამ ფაქტმა დიდი მღელვარება გამოიწვია საზოგადოებაში. ბატონმა რეზომ დამირეკა და მთხოვა სასწრაფოდ მივსულიყავი მასთან სახლში. ამ დილით დავწერე „ჰიმნი დედაენას" „რუსთავისა" და ბავშვთა გუნდისთვისო, – მითხრა, – მერე ეს ჰიმნი მომასმენინა და ამიხსნა, როგორ უნდა გვემღერა. მე ყურადღებით ვუსმენდი. არასოდეს დამავიწყდება მისი ემოციები – სიმღერას ბავშვთა გუნდი იწყებს, ... „აი, ია, აი თითი, აი თუთა, აი მზე", ამ ადგილიდან უნდა „რუსთავმა" დასჭქოს – „ო, დე-და ენა".

– დედაენა და სამშობლო ჩვენთვის განუყოფელია, ჰოდა, წარმოიდგინეთ, რომ დედაენასა და სამშობლოს გართმევენ, ამას მარტო ხმამაღალი სიმღერა არ უშველის, თქვენ სასოწარკვეთილი ხმით უნდა შესძახოთ „ოოო! დედა ენა, ე-ჰე-ჰეი, დედაო ენავ", სიმღერით უნდა აგრძნობინოთ ყველას, შეიძლება სიცოცხლე დავთმოთ, მაგრამ დედა ენას – არასოდეს, ეს უნდა ესმოდეს მავანსა და მავანს, ამიტომ განწირული ხმით უნდა შემოსძახოთ: „ე, ჰე, ჰე, ე, ჰე, ჰე, ბოლო ფრაზაში კი პიანოზე სისხლთან ერთად უნდა ამოანთხიოთ ფრაზა – „მშობელო ენავ".

მე გაოგნებული მივჩერებოდი ბატონ რეზოს. იგი გაფითრებულიყო, მძიმედ სუნთქავდა, მარჯვენა ხელი უკანკალებდა, ძლიერ იყო აღელვებული, მაგრამ ცდილობდა ჩემთვის აეხსნა ამ სიმღერის ხასიათი და მნიშვნელობა. მართალი გითხრათ, საოცარი განცდა დამეუფლა, გაოგნებული ვიყავი, არასოდეს დამავიწყდება ბატონი რეზოს სახე.

„ჰიმნი დედაენას" ჩავწერეთ, იგი ყოველდღე გადაიცემოდა რადიოთი. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, სტუდენტებისა და მოწინავე საზოგადოების თავგანწირულმა მოქმედებამ აიძულა სსრ კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა, აზრი შეეცვალათ, ქართული სახელმწიფო ენად დარჩა.

რუსთაველის პროსპექტზე მთელი თბილისი გამოსულიყო, ქართველი ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა, ასიათასამდე კაცის გუგუნს ფარავდა რევაზ ლაღიძის „ჰიმნი დედა ენას".

ბოლო წლებში ავადმყოფობდა. ქალბატონი მანანა ახმეტელი და მე სანახავად მივედით, კარი თვითონ გაგვიღო, ნაცრისფერი ედო, ცუდად მენიშნა, კარგა ხანს ვილაპარაკეთ. – ერთი, ახლა, ჩემს სოფელში – ოფჩაში მამყოფა და ტყემალში მჭადის ნატეხი ამომაწობია, მერე თუ გინდა მოვკვდეო, – თქვა.

მიეხვდი, რომ მის ნატვრას ასრულება არ ეწერა.

რეზო ლაღიძე სამშობლოს სიყვარულში ჩაიფერფლა.

ღმერთმა აცხონოს.

თვალდახჭულმა ნახმოვიდგინე

სიტყვა წარმოთქმული ზურაბ სოტკილავას დაკრძალვაზე,
2017 წლის 23 სექტემბერს, თბილისის საოპერო თეატრში



ძალიან ძნელია, ჩემს ზურიკოზე წარსულში ვილაპარაკო, ჩვენ მთელი ახალგაზრდობა ერთად განვლეთ. მე მონმე გახლდით მისი პირველი წარმატებებისა, კონსერვატორიის მცირე დარბაზიდან რომ დაიწყო და საოპერო თეატრებში გაგრძელდა. არასოდეს დამავიწყდება ზურიკოს პირველი გამოსვლა თბილისის ოპერაში, როცა იტალიიდან ახალდაბრუნებულმა „სოფლის პატიოსნებაში" ტურიდუს პარტია შეასრულა. მაყურებელი, რომელმაც აღფრთოვანება გამოხატა ახალგაზრდა მომღერლის მიმართ, დარწმუნდა, რომ დიდი საოპერო მომღერალი დაიბადა. შემდეგ – მოსკოვის დიდი თეატრი, იქიდან კი მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ საოპერო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში გაგრძელდა მისი ტრიუმფული გამოსვლები.

სადაც კი გამოდიოდა ზურაბ სოტკილავა, ყველგან საქართველოს წარმოადგენდა. იგი სულითა და გულით ქართველი იყო და თავისი ქვეყანა მხურვალედ უყვარდა, მის ბედს მტკივნეულად განიცდიდა, ქართველი მაყურებლის წინაშე ყველაზე უფრო მომზადებული და მობილიზებული წარსდგებოდა. იგი პასუხისმგებლობით სავსე პიროვნება გახლდათ და ყველაზე მეტად ქართველი მაყურებლის გახარებას ცდილობდა.

ზურიკომ არაჩვეულებრივი ვოკალური განათლება მიიღო დიდი მაესტროს, დავით ანდღულაძისაგან, მერე სწავლა იტალიაში განაგრძო და ბრწყინვალედ აითვისა „ბელ-კანტო", მაგრამ მას გააჩნდა ღვთისგან ნაბოძები ერთი თვისება, რომელიც ასე გამოარჩევდა სხვა მომღერლებისაგან, იგი თითოეულ მსმენელს სულში უძვრებოდა და განაცდევინებდა თავის სიმღერას ისე, როგორც თვითონ განიცდიდა. ის ბოლომდე იხარჯებოდა, თითოეულ ფრაზას სისხლსა და გულში ატარებდა, წვეთს ენერგიისას თავისთვის არ იტოვებდა, ყველაფერს გასცემდა, მსმენელს საკუთარ სულს უწილადებდა, ყველას ეგონა, რომ ზურიკო მხოლოდ მისთვის მღეროდა, ამიტომ იყო მისი სიმღერა მომაჯადოებელი და განუმეორებელი.

იგი ქართული ვოკალური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. სწორედ ასეთ

მომღერლებზე ამბობდა დიდი მაესტრო ნოდარ ანდღულაძე: „ქართულმა სასიმღერო გენიამ იტალიურ ვოკალთან პირველი შეხებისას გასაოცარი მასშტაბით გამოავლინა თავისი ამომწურავი შესაძლებლობები და განუმეორებელი მხატვრული თვისებები, უმდიდრესი ტემბრალური შეფერილობა ბგერადი ტალღის სიმძლავრე, მოქნილობა და შეუზღუდავი დიაპაზონი, რაც მთავარია, მხოლოდ ნეაპოლურ სმენით ველთან შესადარი ვოკალურობა და მუსიკალობა“.

ამიტომ იყო, რომ ზურაბ სოტკილავა შესანიშნავად მღეროდა იტალიურ საოპერო რეპერტუარს. მას ხშირად ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ: „საბჭოთა კარუზო”, „დიდი თეატრის პავაროტი”, „მსოფლიო კლასის გამოჩენილი მომღერალი". განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ზურაბ სოტკილავას „ოტელოს“ პარტიამ ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში. 1980 წელს ბოლონიის საოპერო თეატრში გასტროლების დროს მან რვა სპექტაკლი იმღერა, წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ იგი ბოლონიის ხელოვნებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს ვერდის მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის.

ზურაბ სოტკილავა იყო დიდი საოპერო და შესანიშნავი კამერული მომღერალი, მას აღტაცებაში მოჰყავდა მრავალი ქვეყნის განებივრებული მაყურებელი.

გარდა საოპერო და კამერული რეპერტუარისა, ზურიკო შესანიშნავად ასრულებდა ქართულ ხალხურ, კერძოდ, მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს. არასოდეს დამავიწყდება მეგრული „სისა ტურა“, რომელიც „რუსთავთან“ ერთად პირველად შეასრულა. ახალგაზრდა, ხუჭუჭთმიანი ზურიკო თვალდახუჭული, საოცრად ანთებული მღეროდა და მაყურებლის განსაკუთრებული ოვაცია გამოიწვია. ჩვენმა დიდმა კომპოზიტორმა, ბატონმა ოთარ თაქთაქიშვილმა ზურაბ სოტკილავასა და ანსამბლ „რუსთავისათვის“ (კამერული ორკესტრის თანხლებით) დაწერა ორი ციკლი – სიუიტა „მეგრული სიმღერები“ და „სატრფიალო სიმღერები“. ეს ნაწარმოებები ჩვენ ერთად შევასრულეთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც ზურიკოსა და „რუსთავს“ უდიდესი წარმატება ხვდა, მაგრამ მისთვის ყველაზე სასიამოვნო მოგონებად რჩებოდა ჩვენი ერთთვიანი ტურნე აფხაზეთსა და სამეგრელოში, ხალხი გულში იხუტებდა და საოცარ სიყვარულს გამოხატავდა თავისი უსაყვარლესი მომღერლის მიმართ, მართლაც, განუმეორებელი და განსაცვიფრებელი კონცერტები და შეხვედრები გვქონდა.

არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო, ახლა, როცა ჩვენმა ბიჭებმა ზურიკოს ცხედართან მეგრული სიმღერები შეასრულეს, მე თვალები დავხუჭე და უნებლიედ წარმომიდგა თვალებანთებული ახალგაზრდა ზურიკო, რომელიც ეს-ესაა ამ სიმღერებში უნდა ჩართულიყო, „სისა ტურა“, „დიდავოი ნანა“, „ვა გიორქო მა“, „ვარადო“, „კუჩხი ბედინერი“ და სხვა მეგრული სიმღერები ასე არავის უმღერია.

ამ ქვეყნიდან წასვლით, ჩვენმა ზურიკომ მოურჩენელი ტკივილი, მაგრამ საუკეთესო მოგონებები დაგვიტოვა.

სამაღლობელი სიტყვისათვის

სულხან ცინცაძე



თბილისის კონსერვატორიაში მესამე კურსზე ვსწავლობდი, როცა რექტორად სულხან ცინცაძე დაინიშნა. იგი უნიჭიერესი კომპოზიტორი, უაღრესად თავმდაბალი და გულისხმიერი პიროვნება გახლდათ.

კონსერვატორიაში ჩამოვაყალიბეთ ანსამბლი „გორდელა“. ამ ანსამბლმა მალე მოიპოვა პოპულარობა. ბატონი სულხანი ამით ამაყობდა და ჩვენს ანსამბლს ყველგან სათანადო დონეზე წარადგენდა.

მახსოვს, თბილისის კონსერვატორიის ნიჭიერ სტუდენტ-შემსრულებელთა ჯგუფი მოსკოვში გაემგზავრა და იქაურ კონსერვატორიაში კონცერტი გამართა. ამ კონცერტზე ბატონმა სულხანმა გამოჩენილი მუსიკოსები მოიწვია. ჩვენს სტუდენტებს დიდი წარმატება ხვდა წილად, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა „გორდელამ“. ამან დიდად გაახარა ბატონი სულხანი. თბილისში დაბრუნების შემდეგ, „გორდელას წევრები კონსერვატორიაში განსაკუთრებული შეღავათებით ვსარგებლობდით.

ბატონი სულხანი სიკეთით სავსე პიროვნება იყო. იგი განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულ გაჭირვებულ სტუდენტებს ეხმარებოდა და ხანდახან კანონდარღვევითაც კი ცდილობდა, ყველასთვის სტიპენდია დაენიშნა.

სულხან ცინცაძეს „გორდელა“ ხშირად დაჰყავდა სხვადასხვა ღონისძიებაზე. იგი ყველგან ჩვენს პოპულარიზაციას ეწეოდა და იმდენს დაგვატარებდა აქეთ-იქით, რომ ბიძინა კვერნაძემ იხუმრა – თქვენ „გორდელა“ კი არა, „ცინცელა“ უნდა გერქვათო.

კონსერვატორიიდან ბატონი სულხანი კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. ჩვენი კეთილი ურთიერთობა იქაც გაგრძელდა. ახლა „რუსთავი“ მონაწილეობდა კომპოზიტორთა კავშირის ღონისძიებებში.

ბატონი სულხანი უნიჭიერესი კომპოზიტორი იყო. მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები უმაღლეს შეფასებებს იმსახურებენ. განსაკუთრებული ქების ღირსია მისი კვარტეტები, საკვარტეტო მინიატურები, კინომუსიკა და სხვა შედევრები, რომლებმაც სულხან ცინცაძეს უდიდესი აღიარება მოუტანა.

ბატონი სულხანისგან ყოველთვის ვგრძნობდი სიყვარულსა და პატივისცემას. არ

ყოფილა შემთხვევა, რაიმე მეთხოვოს და უარი მიმელოს. იგი ბოლო პერიოდში გულით დაავადდა. მე და ბიძინა კვერნაძემ საავადმყოფოში ვინახულეთ. ჩვენი მისვლა ძალიან გაუხარდა. ბიძინამ, ჩვეულებისამებრ, ბევრი იხუმრა და გვაცინა. სულხანი კარგ ხასიათზე დადგა. ბევრი რამ მოიგონა, გვიამბო თავის გეგმებზე. რა ვიცოდით, რომ ამ გეგმებს შესრულება არ ეწერა.

უდროოდ წავიდა ჩვენგან სულხან ცინცაძე და, მდიდარ შემოქმედებასთან ერთად, გაუნელებელი გულისტკივილი დაგვიტოვა.

მინდა, მადლობა ვუთხრა მის ნათელ სულს იმ სიკეთისათვის, რომელიც ჩვენთვის გაიღო.

კარი VII

სიმღერის გაკვეთილი

სიმღერა მარადიულია თუ თაობებს მიჰყვება



„მაისთვე" 20 ნლისაა


1998 წელი

„სიმღერა – ერის სულიერი სარკეა, ეს არის ხმოვანი ქრონიკა, რომელშიაც აღბეჭდილია ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული პროცესი, ამიტომ არაფერი ინახავს ისე მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა. სიმღერა მარადიულია, როცა იგი თაობებს მიჰყვება, ხოლო კვდება, თუ მას ახალგაზრდობა ივიწყებს.

თუ გინდა ხალხური სიმღერა შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე იგი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, ამით ძველი ტრადიციებიც გადარჩება", – ეუთხარი ერთხელ თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორს ქალბატონ ნათელა ჯიღაურს.

1976 წლის შემოდგომაზე გაჩნდა ბიჭუნათა ანსამბლის ჩამოყალიბების იდეა. ჩვენ „არტოს ბაღში" ვისხედით და ქართული ხალხური სიმღერების პრობლემებზე ვსაუბრობდით.

„სიმღერამ სხვა მიმართულება მიიღო, – თქვა ქალბატონმა ნათელამ, – დღეს საქართველოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გოგონათა ანსამბლი „მზიური", რომელიც, მართლაც, შესანიშნავი მომღერლებითაა დაკომპლექტებული. საქართველოს ყველა კუთხეში მომრავლდა „მზიურის" ტიპის



ნათელა ჯიღაური

ანსამბლები, რომლებიც ხალხურ სიმღერებს არ მღერიან. სასკოლო ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებზე უმეტესად გოგონების გუნდები გამოდიან, რომლებიც იშვიათად ასრულებენ ხალხურ სიმღერებს. ბიჭები ჩვენი სიმღერებით საერთოდ არ არიან დაინტერესებულნი. მათ ძირითადად უცხოეთის პოპულარული მუსიკა იზიდავთ. სკოლებში ამ მხრივ უმძიმესი მდგომარეობაა, თუმცა სიმღერების შესწავლა სასკოლო პროგრამაშია შეტანილი, მაგრამ მას ფიქტიური ხასიათი აქვს, პროგრამით გათვალისწინებული სიმღერის საათებს უნაწილებენ სხვა სპეციალობის მასწავლებლებს, რომლებსაც ნაკლები პედაგოგიური დატვირთვა აქვთ.

ჩვენს დაწესებულებაში 1000-მდე ბავშვია გაერთიანებული, აქ არის მოცეკვავეთა ჯგუფი, გოგონათა კაპელა, მხატვრული კითხვის წრე, საბავშვო თეატრი, საესტრადო ანსამბლი და სხვა. არა გვყავს ბიჭუნების გუნდი, იქნება ვიფიქროთ ამაზე?"

იმხანად ანსამბლ „რუსთავს" სარეპეტიციოდ დარბაზი არ ჰქონდა, ამიტომ ქალბატონმა ნათელა ჯიღაურმა თავის დაწესებულებაში „შეგვიკედლა", რომელიც „არტოს ბაღში" მდებარეობდა. „რუსთავი" ყოველდღე მეცადინეობდა. ჩვენ მივიწყებულ სიმღერებზე ვმუშაობდით და რეპეტიციებზე ხშირად ვიწვევდით ხანდაზმულ მომღერლებს.

ერთხელ რეპეტიციას დაესწრო ცნობილი მომღერალი და ლოტბარი ვასილ მახარაძე. ბატონი ვასო ყველა კუთხის ქართული სიმღერების იშვიათი მცოდნე იყო. რეპეტიციის შემდეგ კარგა ხანს ვისაუბრეთ. – წინათ სიმღერებს ოჯახებში ვსწავლობდით, – თქვა ბატონმა ვასომ, – მძიმე ისტორიული ვითარების გამო ქართველებს საბავშვო რეპერტუარი არ შეუქმნიათ, ამიტომ ბავშვებიც უფროსებთან ერთად მღეროდნენ ურთულეს ხალხურ სიმღერებს და მომავალ თაობებს გადასცემდნენ წინაპართაგან ნასწავლს. ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ახლა ოჯახური მუზიცირების ეს საუკეთესო ტრადიცია მოიშალა და ბავშვები აღარ მღერიან ხალხურ სიმღერებს. თუ ახალგაზრდობა არ დავაინტერესეთ, ცუდადაა ჩვენი საქმე. ჩვენს თაობას რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. მაშინ სხვა დრო იყო, მომღერლები ძირითადად საქართველოში მოღვაწეობდნენ, ჩვენი სიმღერები რუსეთს იქით არ გასულა, ახლა კი მთელი მსოფლიოს მუსიკალურ საზოგადოებას ანცვიფრებს. საქართველოს შეუძლია თავი გამოიჩინოს სიმღერით, ვინაიდან ჩვენი სიმღერები საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. ეჰ! – გულდაწყვეტით თქვა ბატონმა ვასომ, – ამ გადასახედიდან ჩემს ახალგაზრდობაში რომ დამაბრუნა, რამდენ შეცდომას გამოვასწორებდი. პირველ რიგში პატარებს ვასწავლიდი ხალხურ სიმღერებს, შევქმნიდი ბიჭების გუნდს, მაგრამ მე ჯანი აღარ მომდევს, იქნებ შენ გეცადა! პირველად ჩემს შვილიშვილებს მოგიყვან –

ვასიკოსა და ზვიადს, მშვენიერი მონაცემები აქვთ.

- მოველაპარაკები ნათელა ჯიღაურს და ვცდი, – ვუთხარი მე.

ქალბატონი ნათელა აღტაცებით შეეგება ჩემს წინადადებას. გადაწყდა ჩამოგვეყალიბებინა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელ ბიჭუნათა ანსამბლი. ჩვენი აზრი მოიწონა განათლების განყოფილების გამგემ ბ-ნმა ლევან ჩიქვანაიამ და მისი განკარგულების საფუძველზე შევუდექით ნიჭიერი ბავშვების შერჩევას. ქალბატონ ნათელასთან ერთად დავდიოდით თბილისის საშუალო სკოლებში და ვარჩევდით მომღერალ ბიჭუნებს, ვუსინჯავდით სმენას, რიტმს, ხმას, ვთხოვდით ემღერათ, თუმცა არც ერთმა მათგანმა ხალხური სიმღერა არ იცოდა. ისინი ძირითადად საესტრადო სიმღერებს ასრულებდნენ; მეტიც, როცა გაიგეს, რომ ხალხურ მომღერალთა გუნდს ვაყალიბებდით, ნიჭიერი ბავშვების უმრავლესობა მალავდა თავის მუსიკალურ მონაცემებს, ვინაიდან ესირცხვილებოდათ ასეთ გუნდში მღერა.

ამგვარად, ერთი თვის განმავლობაში მოსმენილი რამდენიმე ასეული ბავშვიდან შევარჩიეთ ერთი – ბადრი ყარალაშვილი.

რადგან ასეთმა მეთოდმა შედეგი არ გამოიღო, კონკურსი გამოვაცხადეთ ტელევიზიით. ჩვენი განცხადების შემდეგ, ძირითადად, ტრადიციულ მომღერალთა ოჯახებიდან მოიყვანეს შვილები და შვილიშვილები.

ვასილ მახარაძემ პირველმა მოგვიყვანა თავისი ორი შვილიშვილი – ვასიკო და ზვიადი, გივი ქუტიძემ – თავისი შვილი ვალერი, ანტონ ნინიძემ – ტყუპი ბიჭები, ზაზა და სულხანი, ჯემალ ნინუამ – პატარა ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა ზურიკო, მურთაზ იოსელიანმა – თავისი ვაჟი გიორგი, ჯიმშერ ლაშხმა – პატარა ვახო. თანდათან მოვიდნენ მომღერალთა ოჯახის წევრები: ყარალაშვილები, გურგენიძეები, იოსელიანები, გაბუნიები, მახარაშვილები, ჩალათაშვილები, აფციაურები, ბიჭიაშვილები და სხვები. პირველ ეტაპზე 30-მდე ბიჭუნას მოვუყარეთ თავი. ბავშვთა ასაკი განისაზღვრებოდა 8-დან 12 წლამდე.

1976 წლის ნოემბერში, „არტოს ბაღის“ საკონცერტო დარბაზში შედგა ბიჭუნათა პირველი შეკრება, რომელსაც მშობლებიც დაესწრნენ; ჩვენ ვისაუბრეთ ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, განვმარტეთ მისი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორში, ვუამბეთ გამოჩენილ მომღერლებზე, სასიმღერო ტრადიციებზე, ხალხური სიმღერის ახლანდელ მდგომარეობაზე, ანსამბლის მიზნებზე და იმ უდიდეს პასუხისმგებლობასა და მოვალეობაზე, რომელიც მათ დაეკისრათ. დარბაზი სულგანაბული გვისმენდა. დავნიშნეთ სარეპეტიციო დღეები და ვუთხარით, რომ რეპეტიციები ჩატარდებოდა იმ დარბაზში, სადაც მაშინ ვიმყოფებოდით. ბავშვებს ვუამბეთ „არტოს ბაღის“ ისტორიაც – რომ თბილისის ხშირი სტუმარი იყო დიდი რუსი კომპოზიტორი ბალაკირევი, რომელიც მოხიბლული იყო საქართველოთი და ქართული ხალხური სიმღერებით. 1863 წელს, თბილისში ჩამოსვლისას, ბალაკირევმა მიხაილოვის გამზირზე მდებარე ბაღში ჩამოაყალიბა „მსახიობთა საზოგადოება“ – „არტისტიჩესკოე ობშესტვო“, შემოკლებით – „არტო“. აქედან დაერქვა ამ ბაღს „არტოს ბაღი“. აქ იმართებოდა კონცერტები. გამოდიოდნენ: პირველი ქართული გუნდი იოსებ რატილის ხელმძღვანელობით, მომღერლები – თეოდორ შალიაპინი, ვანო სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი, ფილიმონ ქორიძე და სხვები. საკონცერტო დარბაზის პირდაპირ იყო გალერეა, სადაც ყოველდღე ტარდებოდა სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციები ივანე და ზაქარია ფალიაშვილების დირიჟორობით და ბოლოს დავძინეთ,



„მართვეს“ პირველი ფოტო



რომ ასეთი დიდი მუსიკალური ტრადიციის მქონე ბაღში აუცილებლად უნდა გაგრძელებულიყო ქართული სიმღერა.

ჩვენმა პირველმა შეხვედრამ დააინტერესა ბავშვებიც და მშობლებიც. მალე შევუდექით რეპეტიციებს. მიუხედავად კარგი მუსიკალური მონაცემებისა, ბავშვებს არ გააჩნდათ მრავალხმიანი სიმღერების ათვისების ელემენტარული ჩვევა. ერთხმიან მელოდიას ადვილად სწავლობდნენ, ორხმიანობის დროს გადადიოდნენ ხმიდან ხმაზე, უმეტესად – პირველზე. საჭირო იყო გაგვევითარებინა ჰარმონიული სმენა, ამისათვის შევარჩიეთ შესაფერისი სავარჯიშოები, ვასწავლეთ გადაბმული (ჯაჭვური) სუნთქვით სიმღერა. გუნდს ვამღერებდით უნისონში (ერთ ხმაში), ვუცვლიდით ზომებს, რის დროსაც ხშირად ვაკვრევინებდით ტაშს, ამან ხელი შეუწყო რიტმის განვითარებას. ვასწავლეთ სიმღერა მოკუმული პირით, ამ დროს მომღერალს კარგად ესმის თავისი ხმა, რომელიც ცხვირიდან გამოდის და უშუალო კონტაქტი აქვს ყურთან, სასმენი აპარატი მაქსიმალურადაა მობილიზებული და ადვილად ითვისებს ინტონაციურად რთულ ფრაზებს, ხელს უწყობს სუფთა ინტონაციის გამომუშავებას. იმისათვის, რომ დაუფლებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, ვავარჯიშებდით ამ კუთხისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ ბრუნვებზე.

ასეთმა მეთოდმა დახვენა ბავშვების ყურთასმენა, შეაჩვია ისინი სხვადასხვა კუთხის სიმღერათა სპეციფიკურ ინტონაციურ ბრუნვებს და, რაც მთავარია, გამოავლინა ამ კუთხეების სიმღერებისათვის შესაფერისი სოლისტები.

ამის შემდეგ შევუდექით ორხმიანობის შესწავლას. გუნდი ორად გავყავით. ჯერ მოკუმული პირით ვამღერებდით მუსიკალურ ინტერვალებს: წმინდა კვინტას, წმინდა კვარტას, ტერციას და სხვა. როცა მათი ხმოვანება კარგად შეითვისეს, შევუდექით სავარჯიშოებს ორ ხმაში და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ მუშაობა სამხმიანობაზე.

ბავშვებს ჯერ ვამღერებდით აკორდებს: სამხმოვანებას, კვარტსექსტაკორდს, კვარტკვინტაკორდს და სხვა. აკორდებს უმეტესად მოკუმული პირით მღეროდნენ, გადაბმულ სუნთქვაზე, რითაც ვაიძულებდით მოესმინათ სხვა ხმებიც. სიმღერის დროს ვუცვლიდით აკორდის ბგერებს. ამ მეთოდმა კარგი შედეგი გამოიღო და მალე ისე გაიწაფნენ, რომ ურთულეს აკორდებს მღეროდნენ ხმების შენაცვლებით. როცა დავრწმუნდით, რომ ბავშვებს კარგად ესმოდათ აკორდში შემავალი სამივე ბგერა, გუნდი საბოლოოდ დავყავით პირველ, მეორე ხმებად და ბანებად, მომღერალთა ხმების დიაპაზონების გათვალისწინებით. შემდეგ მარტივი სამხმიანი სავარჯიშოების სიმღერას შევუდექით. ხშირად მივმართავდით იმპროვიზაციას. ვცვლიდით მელოდიას და რიტმს, რთული რიტმის შემთხვევაში ვაიძულებდით ტაშის დაკვრით ემღერათ. ჩვენ სავარჯიშოებს თანდათან ვართულებდით და მალე ისეთი რეაქცია გამოუმუშავდათ, რომ ნებისმიერ დავალებას სწრაფად ასრულებდნენ.

გავიდა რვა თვე, ბავშვებს არც ერთი სიმღერა არ ჰქონდათ შესწავლილი, მხოლოდ სავარჯიშოებს მღეროდნენ.

დავიწყეთ სიმღერების შესწავლა. პირველი სიმღერა გახლდათ „წინწყარო“, სოლოს ბადრი ყარალაშვილი ასრულებდა. უნდა გენახათ მომღერლების სახეები, როგორი ანთებული თვალებით მღეროდნენ და როცა სიმღერის ბოლო ბგერები მიწყდა, სარეპეტიციო დარბაზში ტაშმა იქუხა. მშობლებმა აღტაცება ვერ დაფარეს (სხვათა შორის, ისინი არც ერთ რეპეტიციას არ აცდენდნენ და მოგვიანებით მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთი შვილების რეპერტუარს).



„მართვეს“ წევრები: ზურიკო ნინუა, მაია მიქაბერიძე, ზაზა მახარაშვილი, ალეკო სხიერელი

რეპეტიციები ინტენსიურად მიმდინარეობდა. შევუდექით სხვადასხვა კუთხის სიმღერების შესწავლას, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები თბილისში იყვნენ დაბადებულნი და გაზრდილნი, თავიანთი წინაპრების კუთხის სიმღერებს უფრო ხასიათში მღეროდნენ – აქ გენმა იჩინა თავი – ამიტომ სოლოებს ძირითადად იმ კუთხის მომღერლები ასრულებდნენ, რომელი კუთხისაც იყო სიმღერა. პრობლემა გაგვიჩნდა გურული სიმღერების შესწავლისას, არ გვყავდა კრიმანჭულის შემსრულებელი. ვიცოდი, რომ ცნობილ მომღერალს, რამინ მიქაბერიძეს ჰყავდა პატარა გოგონა, მაია, რომელიც კარგად მღეროდა გურულ სიმღერებს, განსაკუთრებით „კრიმანჭულს“. ჩვენ მაია მოვიყვანეთ ანსამბლის სოლისტად, ხოლო ლოტბარად მამამისი მოვიწვიეთ.

ოჯახურ ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მუსიკალური აღზრდის საქმეში. მიქაბერიძეები გურიაში ტრადიციული მომღერალთა გვარია. თვითონ რამინი წლების განმავლობაში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო. ამჟამად იგი სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავში“ მოღვაწეობს. რამინმა ხალხური სიმღერა ჯერ მამის – შალვა მიქაბერიძისგან შეისწავლა, მერე ისეთი გა-



„მართვეს“ პირველი გამოსელა ტელევიზიით.
შუაში: ირაკლი აბაშიძე, ანზორ ერქომაიშვილი, რამინ მიქაბერიძე, სოლომონ ლაფაური. 1978 წ. 9 მაისი



მოჩენილი ოსტატებისაგან, როგორიც იყვნენ ანზორ კავსაძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი, ვანო მჭედლიშვილი და სხვები. რამინ მიქაბერიძე არაჩვეულებრივი ოსტატობით ასრულებს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებს, რაც იშვიათი მოვლენაა ქართულ სასიმღერო ფოლკლორში.

აი, ასეთ ოჯახში აღიზარდა მაია მიქაბერიძე. სიმღერა აკვნიდან მისი თანამგზავრია, ხოლო „მართვეს" შემადგენლობაში მისმა „კრიმანჭულმა" არაერთხელ აღაფრთოვანა ქართველი და უცხოელი მაყურებელი. „მართვეში" რამინ და მაია მიქაბერიძეების მოწვევამ დიდად შეუწყო ხელი ანსამბლის წარმატებას.

შემდეგში მაიამ წარმატებით დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საგუნდო დირიჟორის სპეციალობით. რამდენიმე წლის წინ რამინ და მაია მიქაბერიძეებმა „მართვეს" მსგავსად ჩამოაყალიბეს ბავშვთა ანსამბლი „საგალობელი", სადაც მაიას ორი შვილი – თათია და თორნიკე მღერიან. ოჯახური ტრადიცია გრძელდება.

ახლა ისევ „მართვეს" დავუბრუნდეთ.

ყოველდღე ვმეცადინეობდით და რეპერტუარიც ნელ-ნელა ფართოვდებოდა. რეპეტიციისას ბავშვებს ვუხსნიდით სიმღერის ხასიათს, სიტყვებს, ჟანრს, ვაცნობდით მის ისტორიას, ამ სიმღერის საუკეთესო შემსრულებლებს, რამაც ბავშვების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ერთ დღეს ჩვენთან ქალბატონი მედეა სხიერელი მოვიდა, რომელმაც თან მოიყვანა თავისი ბუთხუზა ბიჭუნა – ალეკო. დედამისს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ალეკო ბიჭუნათა ანსამბლში ჩარიცხულიყო. ალეკოს ესტრადა უფრო იზიდავდა და მშობლებს გიტარის ყიდვას სთხოვდა. დედამისიც შეჰპირდა, რომ თუ ქართულ სიმღერებს კარგად შეისწავლიდა, გიტარას უყიდიდა.

ალეკო სხიერელს თავისი ასაკისათვის უჩვეულო ხმა-ბანი აღმოაჩნდა. გავიდა დრო, იგი ნელ-ნელა ჩაება ანსამბლის საქმიანობაში, მალე თავი გამოიჩინა და მშვენივრად ასრულებდა სოლოებს ურთულეს ხალხურ სიმღერებში. როცა ბიჭუნათა ანსამბლის პირველი კონცერტი შედგა, ალეკომ დედას უთხრა: თურმე ხალხურ სიმღერებს გიტარა სრულებით არ სჭირდებაო!

1978 წლის დასაწყისში ანსამბლმა უკვე 30-მდე ხალხური სიმღერა იცოდა. პირველი საკონცერტო ნათლობა შედგა ტელევიზიით, 9 მაისს. გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ. ბატონმა ირაკლიმ და ქალაქის განათლების განყოფილების გამგემ ლევან ჩიქვანაიამ ტელეეკრანიდან ვრცლად და დამაჯერებლად ილაპარაკეს ხალხურ სიმღერებზე და აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების მიერ ამ სიმღერების შესწავლას, ამავე გადაცემაში გამოცხადდა კონკურსი ანსამბლის სახელწოდებაზე. მივიღეთ ბევრი წერილი, რომლებშიც მაყურებლები უდიდეს შეფასებას აძლევდნენ ბავშვთა ანსამბლის გამოსვლას; რაც შეეხება ანსამბლის სახელწოდებას, ბევრი სახელი შემოგვთავაზეს: „გვირილა", „არაგველები", „წყარო", „ჯეჯილი" და სხვა. საგარეჯოელი დავით შაქარიშვილი იწერებოდა: ანსამბლს უნდა დაერქვას „მართვე", ვინაიდან ისინი დიდი მომღერალი არწივების ბარტყები – მართვეები არიანო. კონკურსში გაიმარჯვა დავით შაქარიშვილმა და ანსამბლს დაერქვა „მართვე".

„მართვეს" პირველ გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ტელევიზიის ხალხურ გადაცემათა რედაქციამ ბატონ სოლომონ ლაფაურის ხელმძღვანელობით მოაწყო

ტელეგადაცემა „მართვეს“ მონაწილეობით, სადაც გაიმართა მსჯელობა ბავშვთა მუსიკალურ აღზრდაზე. გადაცემაში მონაწილეობდნენ ცნობილი დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი, თბილისის განათლების განყოფილების გამგე ლევან ჩიქვანაია და სხვები. იმ დღეს ბევრი საჭირბოროტო საკითხი დაისვა და გაიმართა საინტერესო კამათი. ეს გადაცემა მეტად დროული და სასარგებლო იყო.

მალე ლიტვაში გაიმართა ბავშვთა ანსამბლების ტელეფესტივალი, სადაც გაიგზავნა რეჟისორ ედნარ გიორგობიანის მიერ გადაღებული „მართვეს“ კონცერტის ვიდეოჩანაწერი. ამ კონცერტმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

„მართვეს“ პირველი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ შედგა 1978 წლის მაისში, ქ. ერევანში, სადაც მას დიდი მოწონება ხვდა წილად; იმავე წელს, ივნისში, ქ. დუბნაში ჩატარდა დიდი საკავშირო ბავშვთა მუსიკალური ფესტივალი. ამ ფესტივალზე მონაწილეობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბავშვთა სახელგანთქმული გუნდები ისეთი აღიარებული ოსტატების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ, ვიქტორ პოპოვი, გენადი სოკოლოვი, სტრუევე, ლარისა ბალტერი და სხვები. საქართველოდან ამ ფესტივალზე გაგზავნეს „მართვე“. სპეციალისტებმა იგი ერთხმად აღიარეს აღმოჩენად და მის გამოსვლას უმაღლესი შეფასება მისცეს.

დუბნას ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი წერდა:

„მართვე“ იპყრობს დუბნას.

მისი ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი დაჯილდოებულია სიმღერის დღესასწაულის მედლით, რომელიც მიეძღვნა ქ. დუბნას დაარსებიდან 25 წლისთავს.

ანსამბლ „მართვეს“ საშემსრულებლო ხელოვნებას ტაშს უკრავდნენ ხელოვნების უმაღლესი წარმომადგენლები. „მართვეს“ დუბნაში მოწვევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან აქ შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლექტივები.


ამ ტრადიციული დღესასწაულის მიზანია ნორჩების ხელოვნების წარმოჩენა და, დუბნას მეგობრობის განმტკიცება სხვა ქალაქებთან.

როგორც ცნობილია, დუბნა არის ფიზიკური კვლევების ერთ-ერთი ცენტრი და მისასალმებელია, რომ უდიდესი აღმოჩენების მიწაზე დაიბადა ნორჩების მეგობრობის ტრადიცია – ისინი ჩვენ თვალწინ ამყარებდნენ მეგობრობას“.

დაიწყო „მართვეს“ გამოსვლები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

1980 წლის ივნისში კალტურის მინისტრის – ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის მოწვევით საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა გამოჩენილი კომპოზიტორი დიმიტრი კობალევსკი. აგვისტოში ვარშავაში ტარდებოდა „იუნესკოსთან“ არსებული მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების – „ისმეს“ მე-14 კონფერენცია და მუსიკალური ფესტივალი, სადაც მიწვეულნი იყვნენ დ. კაბალევსკი და ო. თაქთაქიშვილი. დ. კაბალევსკის უნდა შეერჩია სსრ კავშირიდან ერთი ბავშვთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა ამ კონფერენციაში; ასეთი გუნდი შერჩეულ იქნა ქ. მინსკიდან. ო. თაქთაქიშვილმა ყოველი შემთხვევისათვის სთხოვა კაბალევსკის მოესმინა „მართვესთვის“. ეს შეხვედრა თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში შედგა. მას ესწრებოდნენ დიმიტრი კაბალევსკი, ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე, გივი ორჯონიკიძე და სხვები.

კაბალევსკიმ თავისი აღფრთოვანება იმით გამოხატა, რომ შეცვალა გადაწყვეტილება და „ისმეს“ კონფერენციასა და ფესტივალზე მინსკის ბავშვთა გუნდის ნაცვლად



კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი

„მართვეს" წაყვანა გადაწყვიტა. თვალცრემლიანი პროფესორი გვთხოვდა რამდენიმე სიმღერა გაგვემეორებინა. ბოლოს იგი ავიდა სცენაზე და ბავშვები სათითაოდ დაკოცნა, მერე დაიწყო მათთან თამაში, ჩადგა შუაში და ბავშვებს სხვადასხვანაირი გასართობით ართობდა. იგი ისე იქცეოდა, როგორც მათი თანატოლი; ამან ბავშვები ერთობ ასიამოვნა და უკვე რამდენიმე წუთში ისინი „დაუმეგობრდნენ" და სიყვარულით განიმსჭვალნენ ბატონი დიმიტრის მიმართ.

ვარშავის ფესტივალზე 30 ქვეყნის ანსამბლი მონაწილეობდა. „მართვემ" ფურორი მოახდინა. მის გამოსვლას სპეციალისტებმა ფანტასტიკური უწოდეს. დ. კაბალევსკიმ გვიამბო: „ჟიურის ყველა წევრმა „მართვეს" უმაღლესი ქულა დაუწერა, დუმდა მხოლოდ ჟიურის თავმჯდომარე, იაპონელი (გვარი ვერ გაიხსენა). დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. მერე ჟიურის ერთმა წევრმა ჰკითხა: როგორ, თქვენ არ მოგეწონათ ქართველი ბავშვების გამოსვლა? – არა, – უპასუხა იაპონელმა, – ბავშვებმა დამატყვევეს და ახლა იმაზე ვფიქრობ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მსოფლიოს ის გამოჩენილი კომპოზიტორი, რომელსაც შეეძლო შეექმნა „ნადური" და „ხასანბეგურა".


„მართვეს" გამოსვლის შემდეგ საკონცერტო დარბაზის ფოიეში ტევა არ იყო, ჩვენს ბავშვებს მაყურებელი დარბაზიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდა. ეფერებოდნენ, სურათებს ულებდნენ, ავტოგრაფებს სთხოვდნენ. მხსნელად ისევ კაბალევსკი მოგვევლინა – ბავშვები ისე „ჩამოეკიდნენ" თავიანთ „მეგობარს", როგორც სათამაშოები – ნაძვის ხეს, მისი ახოვანი ფიგურა გზას მიიკვლევდა ხალხში და უკან „მართვე" მიჰყვებოდა.

კონცერტის შემდეგ ბავშვებს ფული დაურიგეს და დიდ უნივერმაღში წაიყვანეს. ამ ფულით მათ მხოლოდ სირენებითა და შუქფარებით ავტომატურად მოძრავი ავტომობილები შეიძინეს. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვინაიდან ასეთ სათამაშოებს მაშინ ჩვენი ბავშვები მოკლებულნი იყვნენ.

ღამის სამ საათზე ნათელა ჯიღაურმა და მე გადავწყვიტეთ ბავშვები მოგვენახულებინა. გავედით ფოიეში და რას ვხედავთ: მთელი „მართვე" გამოსულა, ჩაურთავთ სათამაშო ავტომობილები, რომლებიც ანთებული ფარებით დაქრიან, ერთმანეთს ეჯახებიან და არის ერთი სიცილ-ხარხარი. ბავშვები ტიტლიკანები იდგნენ. საოცარი სანახაობა იყო. პირველად მათი დატუქსვა გადავწყვიტეთ, მაგრამ ისეთი აზარტით თამაშობდნენ და ისეთი ბედნიერები იყვნენ, რომ სიცილი აგვიტყდა და ბავშვები ძლივს შევიყვანეთ საძინებლებში.

პოლონეთიდან გამომგზავრებისას ადგილი ჰქონდა ერთ კურიოზულ შემთხვევას: მასპინძლებმა მატარებელში ჩაგვსვეს და გვითხრეს, რომ მოსკოვამდე კვებისა და სხვა ხარჯების თანხა გადახდილი იყო. მატარებელი დაიძრა, ჩვენ გულთბილად დავემშვიდობეთ გამცილებლებს და ბავშვები კუპეებში მოთავსდნენ. ვარშავას კარგა

მანძილით ვიყავით დაშორებული, როცა ვაგონის გამცილებელმა ბილეთები მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მოსკოვისაკენ მიმავალ სხვა მატარებელში ჩაგვსვეს, ჩვენი მატარებელი კი თურმე 2 საათის გასული იყო ვარშავიდან. გამცილებლებს რეისი აერიათ. რა უნდა გვექნა, ქალბატონი ნათელა მატარებლის უფროსთან მივიდა და სიტუაცია აუხსნა. კიდევ კარგი, მატარებელში ადგილები თავისუფალი იყო და ჩვენი ბილეთებით მგზავრობის უფლება მოგვცეს, მაგრამ რით უნდა გამოგვეკვება ბავშვები? არც ერთ ჩვენგანს ჯიბეში ერთი ზლოტიც არ გვედო, ორი დღე რა უნდა გვექნა?



კომპოზიტორი დიმიტრი კაბალევსკი

იმ ღამეს თუ ვინმეს ტკბილეული ან ორცხობილა გააჩნდა, ძმურად გადაინაწილეს. მერე დიდხანს მღეროდნენ და მშივრებს სიმღერაში ჩაეძინათ. დილით ქალბატონი ნათელა მივიდა ვაგონ-რესტორნის დირექტორთან, აუხსნა სიტუაცია და სთხოვა ბავშვები გამოეკვებათ, ფულს კი მოსკოვში გადავუხდიდით – იქ „მართვეს“ მშობლები ელოდებოდნენ და მათი დახმარების იმედი გვქონდა. ვაგონ-რესტორნის დირექტორი კეთილი კაცი აღმოჩნდა და დაგვთანხმდა. დილის საუზმეზე ვაგონ-რესტორანში ქალბატონმა ნათელამ ბავშვებს სთხოვა დირექტორის პატივსაცემად ერთი სიმღერა ემღერათ. ზურიკო ნინუამ „მრავალჟამიერი“ დაიწყო, რესტორნის დირექტორი სიხარულისაგან ატირდა. რესტორანში აღმოჩნდა რუსი მხატვრების დიდი დელეგაცია, რომელიც ვარშავიდან მოსკოვს ბრუნდებოდა. ისინი აღტაცებულნი უკრავდნენ ტაშს პატარებს. ბავშვები თავიანთ ვაგონში დაბრუნდნენ. მხატვრები თან გამოგვყვნენ და მთელი დღე ჩვენთან ერთად გაატარეს. ისინი ეფერებოდნენ ბავშვებს, მოუტანეს საჩუქრები, ტკბილეული, შეიქმნა საოცრად თბილი ატმოსფერო, ბავშვები მღეროდნენ, მხატვრები მათ შარჟებს ხატავდნენ და ჩუქნიდნენ.

შუადღისას რესტორნის დირექტორი თვითონ გვეახლა და გვითხრა, რომ სუფრა გაშლილი იყო. რასაკვირველია, მხატვრებიც ჩვენთან ერთად წამოვიდნენ. სადილი კონცერტად გადაიქცა. ვაგონ-რესტორანში ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არ დარჩა. მგზავრები პატარებს ათასნაირ საჩუქარს უძღვნიდნენ და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ.

კონცერტი კარგა ხანს გაგრძელდა. ჩვენ ვაგონში დავბრუნდით იმიტომ, რომ ბავშვებს ცოტა დაესვენათ და საღამოს ისევ გაგრძელებულიყო კონცერტი. მხატვრები ჩვენს ვაგონში დასახლდნენ და ბავშვებს წუთითაც არ შორდებოდნენ. რესტორნის დირექტორმა გვითხრა, რომ ამდენი მის რესტორანს არასოდეს უვაჭრია, ახლა პროდუქტი გაუთავდათ და იძულებულნი გახდნენ მატარებელი ერთ-ერთ ქალაქში კარგა ხანს გაეჩერებინათ და მარაგი შეევსოთ. ვახშამზე კონცერტი ისევ დიდხანს გაგრძელდა, მხატვრები თითქმის დილამდე ჩვენთან დარჩნენ, დილის 12 საათზე მატარებელი მოსკოვში ჩავიდა.

ჩვენი მეგობარი მხატვრები დიდხანს ემშვიდობებოდნენ ბავშვებს, რომლებმაც გამოთხოვებისას კიდევ რამდენიმე მათი საყვარელი სიმღერა შეასრულეს. მერე ავტობუსი დაგვიქირავეს და კურსკის ვაგზლისაკენ გამოგვისტუმრეს, საიდანაც მატარებელი თბილისისაკენ გადიოდა.

„ისმეს" კონფერენციის შემდეგ დიმიტრი კაბალევსკიმ წერილი გამოგზავნა საქართველოში, რომელიც ცენტრალურ პრესაში დაიბეჭდა: „გმადლობთ, საქართველო!"

დიმიტრი კაბალევსკი,
კომპოზიტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი

„სულით და გულით გილოცავთ დიდ წარმატებას, რომელიც ნილად ხვდა ქ. თბილისის განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის სახლის გუნდის – „მართვეს" გამოსვლას ვარშავაში, იუნესკოსთან არსებული მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების მე-14 კონფერენციაზე. გუნდის ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა მოამზადა საინტერესო მრავალფეროვანი პროგრამა.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან კონფერენციაზე ჩამოსულ ბავშვთა კოლექტივებს შორის „მართვე" საუკეთესო იყო.

კონფერენციის მონაწილენი, ოცდაათი ქვეყნის გამოჩენილი პედაგოგები და სკოლის მასწავლებლები აღფრთოვანებული იყვნენ ქართული მუსიკის არაჩვეულებრივი სიხალისითა და თავისთავადობით, გუნდის მონაწილეთა ოსტატობით, შესაშური სიმსუბუქითა და ბუნებრიობით რომ ასრულებდნენ რთულ მრავალხმიან მუსიკას.

გუნდს შესანიშნავად დირიჟორობდა ანზორ ერქომაიშვილი. კონფერენციის პლენარულ სხდომაზე დიდი ინტერესითა და მოწონებით მოისმინეს ო. თაქთაქიშვილის შინაარსიანი მოხსენება თემაზე „ეროვნული კულტურა, როგორც მუსიკალური აღზრდის საფუძველი".

1980 წ. 21 აგვისტო.



„მართვეს“ პოლონეთში მოგზაურობის შესახებ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1980 წლის 10 სექტემბერს დაიბეჭდა წერილი: „მართვემ“ მოხიბლა მსმენელი“.

„პოლონეთში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საკითხებს; მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 58 ქვეყნის წარმომადგენლები, მუსიკალური მოღვაწეები, კომპოზიტორები, პედაგოგები; საბჭოთა კავშირიდან ამ ფორუმში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი დიმიტრი კაბალევსკი და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ოთარ თაქთაქიშვილი.

კონფერენციის კონცერტში მონაწილეობდა თბილისის განათლების სამმართველოს ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“.

ანსამბლს არნახული წარმატება ხვდა. ქართველმა ბავშვებმა არაჩვეულებრივი ოსტატობით შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და მოხიბლეს მსმენელი.

„მართვე“ ნორჩია, მაგრამ უკვე მოასწრო მსმენელთა დაპყრობა“.

ვარშავაში „მართვეს“ გამოსვლის შესახებ ოთარ თაქთაქიშვილი წერდა: „ძალიან საინამოვნო იყო სპეციალისტების აღფრთოვანებული გამოძახილი ნორჩი მომღერლების მიმართ, მათი მაღალ დონეზე შესრულებული ქართული ხალხური სიმღერების ტრადიციების მიმართ“.

პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ „მართვემ“ თბილისში საანგარიშო კონცერტი გამართა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთებში ბევრი საქები წერილი დაიწერა, ხოლო პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა ლექსი მიუძღვნა „მართვეს“:

„პატარა ბიჭი „მართვედან“
ყელს იღერებს და თვალს მიკრავს,
მღერის სიმღერას ქართველთა



„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.
„მართვედან“ ბიჭი პატარა
მღერის მუქთად და უფასოდ;
აბუნტებულა, ამტყდარა,
მუმლი ედება მუხასო,
გახედე, ბიჭო, დიდგორით
კვლავაც ჩახჩახებს შენი მზე,
ჩქარა, მომდევნო სტრიქონი,
იმღერე გადარჩენილზე.
იმღერე, ორბის მართვეო,
მღერით გადახვალ ჯებირსა,
ქართველი კვლავაც ქართველობს,
დღე დადგა გამარჯვებისა.
და მთელი „მართვე“ არ ცხრება,
ცას ხევს სიმღერა „მართვეთა“;
უმალ მტერს დაუმარცხდება,
ვინა თქვა მარცხი ქართველთა?!
მშვიდობითა და ზავითა
უმრავლოს აკვნის გამთლელი,
რასაცა სხვა ფლობს ძალითა,
ჭკუითა ჰფლობდეს ქართველი“.

მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე წერდა: „მართვე“ უდიდეს საშვილიშვილო საქმეს ემსახურება, მისი სახით ვხედავ საქართველოში სტიქიური პროფესიონალიზმის საუკეთესო ტრადიციის აღდგენის პერსპექტივას“.

მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერდა: „ეს მზიანი გაზაფხულის დღე და ბედნიერებით გასხივოსნებული განცდა დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში: სცენაზე ორმოცი ქართველი ბიჭუნა იდგა და გაბრწყინებული თვალებით, ღელვისაგან აშფოთებული სახით ამაყად აგუგუნებდა „მრავალჟამიერს“. მღეროდნენ ბიჭები და მეგონა, რომ იმ წუთში ქვეყანაზე ბედნიერება და სიკეთე მეფობდა მხოლოდ, რომ აღარსად იყო ბოროტება, შური და სიკვდილი. გაზაფხული გაზაფხულობდა და განწმენდილი სული აღზევებას ზეიმობდა... მღეროდა „მართვე“.

* * *

1980 წლის ივლისში საქართველოს ტელეფილმების სტუდიამ გადაიღო ტელეფილმი „მღერის „მართვე“ (რეჟისორი ზაალ კაკაბაძე).

გადაღებები აფხაზეთში – მიუსერაში მიმდინარეობდა. საღამოობით ინთებოდა კოცონი, სადაც „მართვე“ ჩვეული ხალისითა და სიმღერით მასპინძლობდა მეზობლად მყოფ პიონერთა ბანაკებს.

ერთ-ერთი ექსკურსიის დროს ბიჭვინთაში „მართვე“ ახალ საკონცერტო დარბაზს აკუსტიკის გასასინჯად ათვალიერებდა. ბავშვები სცენაზე ავიყვანეთ და ერთი სიმღერა ვამღერეთ.

დარბაზი ცარიელი იყო.

გარეთ დამსვენებლები სეირნობდნენ, უმეტესად უცხოელები. სიმღერის ხმა რომ შემოესმათ, ნელ-ნელა შემოვიდნენ დარბაზში, ტაშით შეხვდნენ პატარა მომღერლებს;



„მართვე“ მიუსერაში, 1981 წ.)

გათამამებულმა ბავშვებმა გააგრძელეს სიმღერა, რომელიც თანდათან კონცერტში გადაიზარდა. ცოტა ხნის შემდეგ დარბაზი მაყურებლით გაიჭედა. საკონცერტო დარბაზის დირექცია შეეცადა ხალხი აღარ შემოეშვა ამ იმპროვიზებულ კონცერტზე, მაგრამ უკვე გვიან იყო, დარბაზი სავსე იყო.

კონცერტი კარგა ხანს გაგრძელდა, მაყურებელი ოვაციას უმართავდა პატარა მომღერლებს, რომლებიც, ტაშით გათამამებულები, თავდაუზოგავად მღეროდნენ და აღარც აპირებდნენ სცენიდან გასვლას.

კონცერტის შემდეგ მაყურებელმა ალყაში მოაქცია „მართვე“, ეფერებოდნენ, ფოტოსურათებს უღებდნენ ბავშვებს. საკონცერტო დარბაზის დირექცია წუხდა, რომ თვითონ ვერ მოახერხა ამისთანა კონცერტის ორგანიზება და დიდი შემოსავალი დაკარგა.


გადაღებები ერთ თვეზე მეტხანს გაგრძელდა. მალე გამოვიდა ფილმი-კონცერტი „მღერის „მართვე“. ამ ფილმში აღიბეჭდა „მართვეს“ პირველი თაობა. ახლა ისინი თავიანთ შვილებს უყვებიან, თუ როგორ იწყებოდა „მართვეს“ შემოქმედებითი გზა, როგორი იყვნენ „მართვეს“ ბიჭები, როცა ისინი მათი ტოლები იყვნენ.

1982 წელს „მართვე“ უკვე პოპულარულია მთელ სსრკ-ში. საკავშირო კულტურის სამინისტრო მას ხშირად აგზავნის სხვადასხვა ფესტივალებზე, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ასევე უცხოეთის ქვეყნებში.

1982 წლის ივლისში „მართვემ“ მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ გოსლარის სპორტისა და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც გერმანული სპორტის ერთ-ერთი მესვეურის – რუდი მიულერის თაოსნობით გაიმართა.

რუდი მიულერი იყო თბილისში, მოუსმინა „მართვეს“ და იგი გოსლარის ფესტივალზე მიიწვია. მასთან ერთად მიიწვია აგრეთვე ომარ კელაპტრიშვილის შესანიშნავი ინსტრუმენტული ანსამბლიც.

საღამო იყო, როცა ჩვენი დელეგაცია გოსლარის სპორტულ კომპლექსში მოათავსეს.



„მართვე“ გოსლარში (გერმანია), შუაში – რუდი მიულერი

პროგრამის დაზუსტების მიზნით, მიულერმა ბავშვებს სთხოვა პირველ სართულზე, კალათბურთის მოედანზე ჩამოსულიყვნენ. ბიჭებმა ვერც კი მოასწრეს დასვენება, რომ მიულერმა ისინი იარუსებზე დასხა და სთხოვა საკონცერტო პროგრამა ემღერათ.

ბავშვები მღეროდნენ მთელი გულით. უკრავდნენ ხალხურ ინსტრუმენტებზე. კალათბურთის მოედნის გვერდით ლუდის ბარი იყო, სადაც ჯაზ-ორკესტრი უკრავდა. იქიდან ხალხი ნელ-ნელა გამოვიდა. გაჩერდა ჯაზ-ორკესტრი, ხალხი იარუსებზე მოთავსდა და უსმენდა ამ უჩვეულო კონცერტს. ერთი პირობა ჯაზ-ორკესტრმა ისევ სცადა დაკვრა, მაგრამ ხალხმა იგი ყვირილით გააჩერა. „მართვე“ თითქმის ერთ საათს მღეროდა.

ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, მიულერმა სათითაოდ გადაკოცნა ანსამბლის წევრები და თქვა: „მართლაც ჯადოქარი უნდა იყო, რომ გერმანელს ლუდის სმა მიატოვებინო და სიმღერა მოასმენინოო“.

2 ივლისს გაიხსნა გოსლარის მუსიკისა და სპორტის ფესტივალი. პროგრამით „მართვე“ პირველ განყოფილებაში უნდა გამოსულიყო, მაგრამ მიულერმა სასწრაფოდ ახალი პროგრამები დაბეჭდა და „მართვეს“ კონცერტის დახურვა დაავალა.

წარმატება დიდი იყო. ბიჭები არაერთხელ გამოიძახეს ბისზე. შესანიშნავად დაუკრა ხალხურ საკრავთა ორკესტრმაც.

ფესტივალის დღეებში „მართვეს“ გამოსვლას ყოველდღე უჩვენებდნენ ტელევი-

ზიით. საუბრობდნენ სოლისტებზე, ქართულ სიმღერებსა და ინსტრუმენტებზე; გერმანული გაზეთები აღნიშნავდნენ ანსამბლის მაღალ საშემსრულებლო დონეს. გარდა გოსლარისა, „მართვე“ სხვა ქალაქებშიც გამოვიდა. ქალაქ კაიზერსლაუტენში ბიჭები ოჯახებში დააბინავეს, თითოეულ ოჯახში ორი ბავშვი წაიყვანეს. კონცერტზე ყოველი ოჯახი „თავის ბავშვებს“ გულშემატკივრობდა.

რამდენიმე დღეში „მართვემ“ მთელი ფრანკფურტის ოლქი აალაპარაკა. ერთ დღეს, კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდნენ „მართვეს“ ბიჭები და ნებართვა გვთხოვეს, რომ მეორე დღეს ინგლისელებთან ამხანაგური მატჩი გაემართათ ფეხბურთში. ინგლისელი სპორტსმენები ხელბურთელები იყვნენ, ისინი წვრთნას გადიოდნენ და „სპარინგ პარტნიორს“ ეძებდნენ. ჩვენ ვუთხარით: „ჯერ ერთი, ინგლისელები თქვენზე უფროსები არიან, მეორეც, ისინი გამოცდილი სპორტსმენები არიან, მესამეც, შეიძლება რომელიმე თქვენგანი დაშავდეს და ხვალ კონცერტზე ვეღარ გამოვიდეს, რატომ გინდათ, რომ ინგლისელებმა მასხარად აგიგდონ? რაც აქამდე წარმატება მოიპოვეთ, წყალში ჩაგეყრებათ, ხვალ გაზეთები ყველას გაგიბაიბუხებენ“.

- მასწ, ოღონდ უფლება მოგვეცით, დაგარწმუნებთ, რომ არ წავაგებთ; სირცხვილია, თუ არ დავთანხმდით, იფიქრებენ, რომ შეგვეშინდა. ჩვენ კარგი ბიჭები გვყავს, აგერ ჯამბულ ხასაია, გიო იოსელიანი, ვალერი ქუტიძე... ძალიან გთხოვთ.

ბავშვები ისე გულწრფელად გვთხოვდნენ, რომ რაღას ვიზამდით – დავთანხმდით, საქმე სპორტულ კოსტიუმებზე მიდგა: სად უნდა გვეშოვა? ზოგს თავისი „ბოტასები“ ჰქონდა, ზოგმაც მეზობელი სპორტსმენებისაგან ითხოვა. გეტრებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მოკლედ, ჩაიცვეს ისე, როგორც მოახერხეს. მთავარი ის იყო, რომ გუნდი შედგა. ჩვენ შევარჩიეთ უფროსი ასაკის უკვე გამოცდილი მომღერალ-ფეხბურთელები.

„მართვეს“ ფეხბურთელთა გუნდი მინდორზე შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა:



„მართვეს“ კონცერტი. ლოტბარი – რამინ მიქაბერიძე



კონცერტზე. სოლისტი – ბაჩუკი ყარალაშვილი

ლაშა ჩხაიძე (მეკარე), გიორგი იოსელიანი, ალეკო სხიერელი, ვალერი ქუტიძე, თემურ გურგენიძე, ვახო ლაშხი, თემურ შელიავა, ზაზა და სულხან ნინიძები, კახა ბიჭიაშვილი და ჯამბულ ხასაია.

რამდენიმე მომღერალი მართლა კარგად თამაშობდა ფეხბურთს, მე ამაში დავრწმუნდი მიუსერაში ფილმის გადაღებისას, სადაც „მართვემ" ზედიზედ დაამარცხა მეზობელი ბანაკების გუნდები, მაგრამ ეს იყო მიუსერაში, ახლა კი აქ პროფესიონალ



სპორტსმენებს უნდა შეხვედროდნენ.

6 საათზე მსაჯმა მინდორზე იხმო ფეხბურთელები. ჩვენ „მართვეს“ დარჩენილ წევრებთან ერთად მოედნის ცენტრთან ახლოს მოვთავსდით, რომ ჩვენები გაგვემხნევებინა, თან შენიშვნებიც მიგვეცა. მართალი გითხრათ, ამდენი საპასუხისმგებლო კონცერტზეც არ გვიღელვია.

მოედნის ცენტრში „მართვეს“ ბიჭებთან ერთად „ადიდასის“ ფორმებში გამოწყობი-

ლი ინგლისელები გამწკრივდნენ.

იარუსებზე მაყურებელთა საკმაო რაოდენობამ მოიყარა თავი, რომელთა უმეტესობა ღარიბულად ჩაცმულ საბჭოთა „მართვეს“ გულშემატკივრობდა. თამაში დაიწყო. ინგლისელებმა ჩვეული გრძელი გადაცემებით თავიდანვე შეავიწროვეს ჩვენი დაცვა, რომლის ცენტრში იდგა ვალერი ქუტიძე. მისმა გააზრებულმა თამაშმა, განსაკუთრებით მაღალ ბურთებზე, არაერთხელ იხსნა ჩვენი გუნდი აშკარა საგოლე მომენტისაგან. რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია მეკარე ლაშა ჩხაიძემ. ინგლისელებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს და „დასახლდნენ“ ჩვენს მოედანზე. გოლი ჩვენს კარში მალე გავიდა. საჯარიმო მოედნის გარედან ინგლისელებმა მაღალი ბურთი დაკიდეს ჩვენს კართან, რომელიც ერთ-ერთმა ინგლისელმა თავდამსხმელმა ლამაზი თავური დარტყმით გაიტანა.

ამ გოლის შემდეგ ინგლისელებმა ტემპს მოუმატეს, უპირატესობა მოიპოვეს მთელს მოედანზე და შეუდგნენ ჩვენი კარის გამუდმებულ შტურმს. მთელი ჩვენი გუნდი ჩამოვიდა საკუთარ საჯარიმო მოედანზე და უთავბოლოდ იგერიებდნენ ინგლისელთა ჩამოწოდებულ ბურთებს. ჯამბულ ხასაია ჩვენს გუნდში ყველაზე სწრაფი და გამოცდილი იყო (იგი მერე პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა), მას შესანიშნავი დრიბლინგი და დახვეწილი ტექნიკა ჰქონდა, მაგრამ იძულებული იყო თავისივე დაცვას დახმარებოდა.

ჯამბულს დავუძახეთ, რომ წინ წასულიყო და გაბედულად შეეტია ტანმაღალი ინგლისელი მცველებისათვის. იგი წინ წავიდა, გიო იოსელიანისაგან მიიღო გადაცემა და მოედნის ცენტრში ორ ტანმაღალ მცველს შორის აღმოჩნდა. ჯამბულმა ელვის სისწრაფით მოატყუა ჯერ ერთი, მერე მეორე მცველი, გვერდი აუარა წინ გამოსულ მეკარესაც და ბურთიანად შევიდა მეტოქის კარში.

მაყურებელი ჩვენ მიერ გატანილ გოლს ოვაციებით შეხვდა, რადგან „მართვეს“ იცნობდნენ, როგორც მომღერალთა გუნდს, თანაც ჩვენი ბიჭების ღარიბულმა ჩაცმულობამ ისინი ჩვენ მიმართ სიბრალულით განაწყო.

ინგლისელებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში და სანამ გამოერკვეოდნენ, ბურთი ისევ ჯამბულ ხასაიამ მიიღო. მან ოსტატურად აუარა გვერდი ამჯერად ოთხ ფეხბურთელს და მარცხენა დაბალ კუთხეში მეკარისაგან აუღებელი ბურთი დაარტყა. ინგლისელები ცოტა შეშინდნენ და უკან დაიხიეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ინიციატივას უკვე მთლიანად ჩვენები ფლობდნენ და ტაიმის ბოლომდე გიო იოსელიანმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა. 3:1 – ასე დამთავრდა პირველი ტაიმი, შესვენებაზე ბიჭები გახარებულები გამოვიდნენ გასახდელში. ჩვენ ვურჩიეთ, რომ მეორე ტაიმში ძალები დაეზოგათ და ჯამბულას გამთამაშებლის როლი აერჩია, ვინაიდან ინგლისის მთელი გუნდი მას დასდევდა და მის მიმართ უხეშ თამაშსაც არ ერიდებოდა. ჯამბულამ ამ როლსაც ბრწყინვალედ გაართვა თავი, ჯერ თვითონ გაიტანა ბურთი, მერე ვალერი ქუტიძემ და თემურ შელიავამ ისახელეს თავი. ანგარიში გახდა 6:1.

მაყურებელი სკამზე აღარ იჯდა, ისინი ყვირილით ამხნევებდნენ ჩვენს მომღერალ-ფეხბურთელებს.

როცა მსაჯის სასტვენის ხმა გაისმა, ჩვენი ბიჭები მოედნის ცენტრში გამწკრივდნენ და „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ დააგუგუნეს. მე გამახსენდა ფილმ „პირველი მერცხლის“ ფინალი – ამჯერად ქართველმა ბიჭებმა რევანში აიღეს ინგლისელებზე. ინგლისელები გაოცებული შეჰყურებდნენ ამ უცნაურ ფეხბურთელ-მომღერლებს, მათ

„მართვე“ ფეხბურთელთა გუნდი ეგონათ თურმე, როცა გაიგეს, რომ მომღერლები იყვნენ, ჯერ შერცხვათ, მერე ჯენტლმენობა გამოიჩინეს, ყველა სათითაოდ გადაკოცნეს და გულწრფელად მიულოცეს გამარჯვება.

მათ წარმატება უსურვეს აგრეთვე თბილისის „დინამოს“, რომელმაც წინა წელს ევროპის თასის მფლობელთა თასი მოიპოვა. ამ დროს თბილისის „დინამო“ მთელ ევროპაში მეტად პოპულარული გუნდი გახლდათ. ფეხბურთელთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დავით ყიფიანი.

„მართვეს“ გამარჯვება ფეხბურთში მთელ გოსლარს მოედო, ადგილობრივი გაზეთი წერდა: „ეს გასაოცარი ბიჭები მარტო მომღერლები კი არა, ფეხბურთელებიც ყოფილან, მათ ხომ სპორტსმენებს მოუგეს, თანაც ინგლისელებს. ახლა აღარ გვიკვირს თბილისის „დინამოს“ შარშანდელი წარმატება. თუ მომღერლები ასე თამაშობენ ფეხბურთს, წარმოგვიდგენია, ნამდვილი ფეხბურთელები რაღას იზამენ“.

გოსლარის ფესტივალი დაიხურა. „მართვემ“ მორიგი წარმატება მოიპოვა, სიმღერაშიც და სპორტშიც.

ფესტივალის მონაწილენი და მაყურებლები გულთბილად დაემშვიდობნენ „მართვეს“.

* * *

1982 წლიდან სვერდლოვსკში (ეკატერინბურგი) ყოველწლიურად ტარდებოდა ჯერ საოლქო, შემდეგ საკავშირო და საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალები. „მართვე“ ყველა ამ ფესტივალის მონაწილე იყო. სვერდლოვსკის მუსიკალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლარისა ბალტერმა „მართვეს“ დუბნას ფესტივალზე მოუსმინა და მაშინვე დაგვიმეგობრდა. „თქვენ ჩვენი ყველა ფესტივალის მონაწილენი უნდა იყოთ“, – გვითხრა მან.

ასეც მოხდა.

სვერდლოვსკის პირველ საერთაშორისო ბავშვთა მუსიკალურ ფესტივალზე რამდენიმე ქვეყნის 20-ზე მეტი ბავშვთა გუნდი იყო მიწვეული. „მართვემ“ პირველივე გამოსვლაზე ისახელა თავი. „პატარა ბიჭებმა დაიპყრეს სვერდლოვსკის ოლქი“, „მართვეს“ მაღალი გადაფრენა“ – ასეთი სათაურებით იბეჭდებოდა წერილები სვერდლოვსკის ცენტრალურ გაზეთებში.

სვერდლოვსკის პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ბორის ელცინმა „მართვეს“ პირადად გადასცა გამარჯვებულის პრიზი. „ყოველ წელს მიიღეთ მონაწილეობა ამ ფესტივალში, თვითმფრინავს მე გამოგიგზავნით“, – გვითხრა ელცინმა და შეასრულა კიდეც. „მართვეს“ ყოველ წელს უგზავნიდნენ სვერდლოვსკიდან სპეციალურ თვითმფრინავს „AH _ 24“ _ ს, რომელიც უფასოდ გვემსახურებოდა და რომელსაც ბიჭებმა „ჩვენი თვითმფრინავი“ შეარქვეს.

ხანდახან ერთ წელიწადში რამდენჯერმე გვიხდებოდა სვერდლოვსკში გამგზავრება, რადგან იქ არც ერთი დიდი ზეიმი არ ჩატარებულა „მართვეს“ მონაწილეობის გარეშე.

სვერდლოვსკში ყოფნისას ძალიან დავუახლოვდით ფილარმონიის დირექტორს ნიკოლოზ რომანის ძე მარკოვიჩსა და მის მეუღლეს ქალბატონ ტატიანას, რომელთა ოჯახის საპატიო სტუმრები ვიყავით ქალბატონი ნათელა ჯიღაური და მე. გვქონდა იშვიათი შეხვედრები და არაჩვეულებრივი საუბრები. ერთხელ ქალბატონმა ტატიანამ ასეთი რამ გვიამბო: ბიბლიოთეკა, რომელშიაც ის მუშაობდა გამგედ, მოთავსებული იყო შენობაში, სადაც გადასახლებაში ყოფნის დროს ცხოვრობდა რუსეთის მეფე ნი-



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II „მართვესთან"



კოლოზ მეორე ოჯახით, ხოლო სარდაფში, სადაც ისინი დახვრიტეს, ბიბლიოთეკის არქივი იყო მოთავსებული. თანამშრომლებმა იცოდნენ, თუ როგორ ჩაიყვანეს მეფის ოჯახი გათენებისას შენობის სარდაფში ისე, რომ ბავშვებმა ხეირიანად გაღვიძებაც ვერ მოასწრეს. მერე უცებ შემოვიდა ეკატერინბურგის რევკომის თავმჯდომარე, რომელმაც მათ წაუკითხა რევკომის განაჩენი დახვრეტის შესახებ. მეფის შეკითხვა, თუ რა ბრალი ედებოდა მას, უპასუხოდ დატოვეს და განაჩენი იქვე სასწრაფოდ მოიყვანეს სისრულეში, მერე დახოცილთა გვამები წაიღეს და შახტაში მეფის სანათესაოს 200-მდე სხვა დახვრეტილთან ერთად ჩაყარეს. ახლა თავისუფლად იწერება ამის შესახებ, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, ამიტომ ქალბატონმა ტატიანამ გვთხოვა, რომ ამის შესახებ არსად არაფერი გვეთქვა. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო და ისტორია სასტიკ განაჩენს გამოუტანდა იმ ტრაგედიის ავტორებს. ერთადერთი წიგნი, რომელიც მოგვიანებით გამოვიდა, იყო „25 საფეხურით ქვევით“, სადაც ავტორმა თამამად აღწერა ნიკოლოზ მეორის ოჯახის ტრაგედია.

ერთ დღეს ქალბატონი ტატიანა და მისი თანამშრომლები თურმე ბიბლიოთეკას ალაგებდნენ. ისინი სარდაფში ჩასულან არქივის დასალაგებლად. ერთ-ერთ ოთახში კედლებიდან სტელაჟები გამოსწიეს და საოცარი სურათის მოწმენი გახდნენ: მეფის ოჯახის ტრაგედიიდან თითქმის 65 წლის შემდეგ კედელს ემჩნეოდა ნატყვიარების კვალი და, რაც ყველაზე საშინელი იყო, კედელს ნატყვიარები აჩნდა კაცის სიმაღლეზე და უფრო დაბლაც, რაც, ეტყობა, ბავშვებზე ნასროლი ტყვიის კვალი იყო. ბიბლიოთეკის თანამშრომლები შეაძრწუნა ამ სურათის ხილვამ, ისინი შიშმაც აიტანა: ვაითუ ვინმეს გაეგო, რომ მათ ნატყვიარები ნახეს და სასწრაფოდ მიადგეს სტელაჟები თავის ადგილას.

80-იან წლებში სვერდლოვსკში იმატა ტურისტების რიცხვმა, რომლებიც მოითხოვდნენ იმ სახლის ნახვას, სადაც უკანასკნელი დღეები გაატარა ნიკოლოზ მეორის ოჯახმა. ჯერ, ეტყობა, გულუბრყვილოდ აჩვენებდნენ იმ სახლს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ამერიკის ცენტრალურ პრესაში მოხვდა იმ სახლის ფოტო საშინელი კომენტარით, ერთ ღამეს მოიყვანეს ტრაქტორები, ბულდოზერები და დილით იმ ადგილას, სადაც ეს სახლი იდგა, სვერდლოვსკელებმა პატარა მოედანი იხილეს.

სვერდლოვსკის ფესტივალებში მონაწილეობის შემდეგ „მართვემ“ რამდენიმე მოწვევა მიიღო უცხოეთიდან და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან.

„ჩემი ოცნებაა საქართველოს ნახვა, რათა თქვენი კულტურა უშუალოდ ვნახო, მინდა ახლოს გავიცნო ის ქვეყანა, ის ხალხი, რომელმაც ასეთი მდიდარი სასიმღერო ფოლკლორი შექმნა“, – შესძახა სვერდლოვსკის ფესტივალზე „მართვეს“ მოსმენით აღფრთოვანებულმა ბერლინის რადიოს გუნდის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანფრედ როსტმა.

25 მარტს მისი დაბადების დღე იყო. მასპინძლებმა ერთ-ერთ დარბაზში აღნიშნეს ეს თარიღი. საღამოს მხოლოდ ფესტივალში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ყველა თავისებურად ულოცავდა იუბილარს, როცა ჯერი ქართველებზე მიდგა, ყველასათვის მოულოდნელად, ჩვენ შემოვიყვანეთ ხალხურ საკრავთა ტრიო, რომელმაც მოცარტის „თურქული მარში“ შეასრულა. მანფრედმა აღფრთოვანება ვერ დაფარა და თქვა: „თქვენ არ იცით, რა მოხდა ახლა. შესრულდა გერმანელი კომპოზიტორის „თურქული მარში“ ქართულ ხალხურ საკრავებზე, ქართველების მიერ, ციმბირის მიწაზე. ხალხო! ამაზე მეტი კიდევ რა უნდა გააკეთოს მუსიკამ!“

ცოტა ხნის შემდეგ ნათელა ჯიღაურმა ბერლინიდან მიიღო ასეთი შინაარსის წერილი:

„ქალბატონ ნათელა ჯიღაურს!

დიდად პატივცემულო ქალბატონო ნათელა, ჩვენ დავბრუნდით სამშობლოში, ჩემი გუნდის წევრები ჯერ კიდევ მეგობრობის გრძნობით აღსავსენი არიან, რომელსაც ისინი განიცდიდნენ თქვენი ანსამბლის მიმართ. მე ასევე მახარებს, რომ ბავშვებს შორის გაიბა მეგობრული კავშირი, რომელიც განსაკუთრებით აუცილებელია ჩვენს დროში.

თქვენთვის, რასაკვირველია, ცნობილია, მაგრამ მე კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, თუ რაოდენ ვაფასებთ თქვენი ანსამბლის მხატვრულ მიღწევებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, როგორც მეგობრები, ვალდებულნი ვართ გავაღრმაოთ ჩვენი კავშირები და ამიტომ გვინდა ჩამოვიდეთ თქვენთან ოქტომბერში 7 დღით.

ჩვენ დაინტერესებული ვართ საპასუხო ვიზიტით. დიდად მოხარული ვიქნებით და გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი გეგმების შესახებ.

მეგობრული სალმით

მანფრედ როსტი – პროფესორი,

ბერლინის რადიოს გუნდის დირექტორი“.

მანფრედს განსაკუთრებით აინტერესებდა ჩამოსვლა თბილისობის დღესასწაულზე და ამისათვის სპეციალურად შეისწავლა რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე“.

1989 წელს მანფრედ როსტი თავისი გუნდით გვეწვია თბილისში. გუნდი ცხოვრობდა ბატონ ჟიული შარტავას მიერ შექმნილ პატარა ქალაქ ბორის ძნელაძეში, რომელსაც ამშვენებდა შესანიშნავი სასტუმრო, რესტორანი, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები.

პირველი გამოსვლა ჰქონდათ ძველ თბილისში, „თბილისობის“ გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტზე და როდესაც პირველი სიმღერა – ლაღიძის „თბილისო“ დაიწყეს და ისიც ქართულ ენაზე, მაყურებლის აღფრთოვანებული ოვაციები დიდხანს არ შეწყვეტილა.

ჩვენ საპასუხო ვიზიტით ბერლინს 1990 წელს ვეწვიეთ, სადაც 6 კონცერტი გავმართეთ.

შობის წინა დღე იყო (ძველი სტილით). ბერლინიდან ავტობუსით სხვა ქალაქში მივემგზავრებოდით კონცერტზე. საკმაოდ გრძელი გზა გვქონდა გასავლელი, ამიტომ ბავშვებს რომ არ მოეწყინათ, მე ავიღე მიკროფონი და ვუამბე საქართველოში საშობაო ტრადიციების შესახებ.

ქრისტეს შობის ღამეს სოფელში ჩამოივლიდნენ მომღერალი ჯგუფები, რომლებიც „ალილოთი“ მიულოცავდნენ ოჯახს დღესასწაულს, მომღერლებს სახეები ნიღბებით ჰქონდათ დაფარული, რომ არ ეცნოთ. მასპინძელი ელოდებოდა მეალილოეებს (ასე ეძახდნენ „ალილოს“ შემსრულებლებს), ამიტომ მათთვის მომზადებული ჰქონდათ საჩუქრები: ღვეზელი, ხორცი, ჩურჩხელა, ტკბილეული, ღვინო და ვერცხლის ფული. როგორც კი მომღერლები „ალილოს“ მორჩებოდნენ, მასპინძელი ასაჩუქრებდა მათ, მომღერლები საჩუქრებს აიღებდნენ და ახლა სხვა ოჯახს მიადგებოდნენ. ასე მოივლიდნენ მთელ სოფელის. თუ ოჯახი ძუნწი ან სახელგატეხილი იყო, იქ მეალილოეები არ შევიდოდნენ, რაც ოჯახის დიდ სირცხვილად ითვლებოდა. იყო შემთხვევა, როცა ოჯახს მომღერალთა რამდენიმე ჯგუფი მიულოცავდა ქრისტეშობის დღესასწაულს, ეს ოჯახისათვის დიდი პატივი იყო.

ბავშვები მოუთმენლად ველოდებოდით შობის წინა ღამეს. გარდა იმისა, რომ იმ

დღეს ჩვენთან დიდი სტუმრიანობა იყო და ბავშვებს საჩუქრები გველოდა, ვიცოდით, რომ აუცილებლად მოვიდოდნენ მეალილოეები და ჩვენ ეს რიტუალი გვაინტერესებდა.

ერთხელ, საშობაოდ დიდი თოვლი მოვიდა. შობის წინა ღამეს თოვამ გადაიღო, ცა მოიწმინდა და ყინვა დაიწყო. სავსე მთვარე მოგვიანებით ამოვიდა და ჩვენი ეზო დღესავით გაანათა, გაყინული თოვლი მთვარის შუქზე საოცრად ბრჭყვიალებდა. ჩვენთან სტუმრად იყვნენ ბაბუაჩემის ძმები, ცნობილი ლოტბარები ანანია და ლადიკო ერქომაიშვილები. საშობაო სუფრა იყო გაშლილი და ძმები ღიღინებდნენ მაშინ ჩვენთვის უცნობ საშობაო სიმღერებსა და საგალობლებს. ბავშვები ყურდაცქვეტილი ვუსმენდით ამ საოცარ სიმღერებს და მიუხედავად დედაჩემის არაერთგზის გაფრთხილებისა, მაინც არ ვიძინებდით. გათენებისას ჭიშკართან „ალილო" გაისმა. მთვარის შუქზე ნათლად ჩანდა ხუთი მომღერალი, რომლებსაც ყაბალახით აეხვიათ პირისახე და სიმღერით უახლოვდებოდნენ ჩვენს სახლს. ისინი საკმაოდ კარგად მღეროდნენ:

„ოცდახუთსა ქრიშობისთვეს,
იშვა ქრისტე მაცხოვარი,
ღმერთმა ყველას გაგითენოთ
შობა ახალწელიწადი..."

ბაბუამ აიღო საჩუქრები, ძმებთან ერთად ჩუმად გავიდა აივანზე და ისეთ ადგილას დადგა, რომ მეალილოეებს არ შეემჩნიათ. როგორც კი სტუმრები „ალილოს" მორჩნენ, ძმებმა ერქომაიშვილებმა მაშინვე დაიწყეს სიმღერა. მეალილოეები მონუსხულივით მისჩერებოდნენ იმ ადგილს, საიდანაც ალილო ისმოდა, იყო დიდი თოვლი, სავსე მთვარე და საოცარი სიჩუმე. ამ სიჩუმეში დიდებულად ულერდა ქრისტეშობის ღვთაებრივი საგალობელი.

როგორც კი ბაბუა და მისი ძმები სიმღერას მორჩნენ, მეალილოეები ჭიშკრისაკენ გატრიალდნენ და უკანმოუხედავად გაიქცნენ. ეტყობა, თავიანთი ნამღერის შერცხვათ. ბაბუამ დიდხანს ეძახა, მობრძანდით, საჩუქრები მიიღეთო, მაგრამ მომღერლები აღარ მობრუნდნენ.

ბავშვები სულგანაბული მისმენდნენ.

კონცერტის შემდეგ გვიან დავბრუნდით. პატარა ჭიქებით ქრისტეშობის დღესასწაულს ვულოცავდით ერთმანეთს. ჩვენთან ერთად იყვნენ ჩვენი გერმანელი მასპინძლებიც. გათენებას აღარაფერი აკლდა, როცა ჩუმი სიმღერა შემოგვესმა.

„ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო"...

მერე კარზე ფრთხილად დააკაკუნეს, კარი გავაღეთ, „მართვეს" ბიჭები იდგნენ სანთლებით ხელში და „ალილოთი" გვილოცავდნენ ქრისტეშობის დღესასწაულს. გერმანელები მონუსხულივით უყურებდნენ, მართლაც, საოცარ სანახაობას. სანთლების შუქზე ბავშვების სახეები ფრესკებს ჰგავდა.

ჩვენი კონცერტები დიდი წარმატებით მიდიოდა, ბერლინის რადიომ და ტელევიზიამ არაერთხელ გადასცა ჩვენ შესახებ. გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ „რუსების გამოსვლას საბჭოთა საქართველოდან".

ბავშვები ძალიან დაუმეგობრდნენ მანფრედ როსტის გუნდის წევრებს. მანფრედის გოგონები (მას გოგონათა გუნდი ჰყავდა) მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს ბიჭუნებს, იყო მისამართებისა და სუვენირების გაცვლა, მათი მეგობრობა დღესაც გრძელდება.

თავისუფალ დროს ექსკურსიებზე დავყავდით. დავათვალიერეთ ისტორიული

ადგილები, ბერლინის ღირსშესანიშნაობები. ვიყავით ლინდენშტრასეზე, აგვიყვანეს სატელევიზიო ანძაზე, საიდანაც თითქმის მთელი ბერლინი ჩანს. ბავშვებს ვაჩვენეთ ჰიტლერის რაიხსკანცელარიის ყოფილი შენობა, რომლის ბუნკერები, როგორც გვითხრეს, ჯერაც არ გახსნილა. ვნახეთ ბრანდენბურგის ჭიშკარი, რაიხსტაგის შენობა, ბავშვებს ვუამბეთ, თუ რა დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა აქ 1945 წლის აპრილ-მაისში.

ბესიკ ბუზიაშვილმა გვთხოვა, რაიხსტაგს გარს შემოვუაროთ, რადგან ბაბუა ავერიონმა მთხოვა, იქ 1945 წელს კედელზე ჩემი გვარი მივაწერე და ნახე, თუ არისო.

მერე წაგვიყვანეს ცნობილ ბერლინის კედელთან, რომელიც უკვე დანგრეული იყო. გამცილებელმა სიამაყით გვითხრა, რომ ეს ბოროტების კედელი თქვენი თანამემამულის – ედუარდ შევარდნაძის დიდი მონდომებით დაინგრაო.

ბევრჯერ მინახავს ეს შემზარავი თეთრი ფერის კედელი, რომელსაც მთელ სიგრძეზე მავთულხლართები გასდევდა და ციხის კედელს მოგაგონებდათ. ამ კედელმა გაყო ორ ნაწილად უდიდესი კულტურისა და ისტორიის ქვეყანა. ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ბერლინის კედელი რომ ნახა, თქვა: „ეს არის ყველაზე დიდი ბოროტება, რაც კი ადამიანს ოდესმე ჩაუდენიაო“.

როცა ფელდმარშალი კეიტელი ნიურნბერგის პროცესის შემდეგ ეშაფოტზე გაიყვანეს, მან ხმამაღლა თქვა: „ღმერთო, ნეტავ კიდევ მოესწროს კაცობრიობა გერმანიის გამთლიანებას“. მერე თვითონ ჩამოიცვა ყელზე ყულფი და სახრჩობელაზე ჩამოეკიდა.

და ეს კედელი ახლა ჩვენ ფეხქვეშ ნამსხვრევებად ეყარა. ბავშვებს უნდოდათ ამ ბოროტების კედლიდან ნამტვრევები წამოეღოთ სუვენირებად. გერმანელებმა მოიყვანეს მუშა, რომელიც წერაქვით ამტვრევდა კედელს. ამ დროს კინაღამ უბედურება დატრიალდა: მუშამ დაუკვირვებლად შემართა წერაქვი, ზურგს უკან გადასწია და მისი მეორე ბოლო თავში დათო მინდაძეს მოხვდებოდა, რომ მას, საბედნიეროდ, უსწრაფესი რეაგირებით წერაქვი არ აეცდინა, თუმცა მთლიანად ვერ აიცდინა და სისხლი მაინც დაიღვარა.


ბავშვებმა აიღეს თითო ნატეხი ქვა, მერე შეგროვდნენ კედლის ნანგრევებზე და, ბოროტებაზე კეთილის ძლევის ნიშნად, „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს.

* * *

1985 წელს მირგოროდში, დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმში, ჩატარდა პატარა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობდნენ. გამოფენამ სპეციალისტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გამოფენის საზეიმო დახურვასთან დაკავშირებით სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ზინაიდა სობოლევამ ქართველ ავტორებთან ერთად „მართვეც“ მიიპატიჟა. ჩვენ ეს მოწვევა სიამოვნებით მივიღეთ და მირგოროდს გავემგზავრეთ. ქალბატონმა ნათელა ჯიღაურმა „მართვესთან“ ერთად წამოიყვანა პატარა მკითხველები, რომლებსაც საგანგებოდ ამ დღისათვის მომზადებული ჰქონდათ დავით გურამიშვილის ლექსები.

მირგოროდში შესანიშნავად მიგვიღეს. გამოფენის დახურვა ქალაქის დღესასწაულად გადაიქცა, რადგან, როგორც მისმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, „დღეს დავით გურამიშვილს საქართველოდან ბავშვები ესტუმრნენ“. იყო გულთბილი მისალმებები



ლოტბარი პლატონ დადვანი „მართვესთან“

და გამარჯვებულ მხატვართა დაჯილდოება. „მართვემ“ სახლ-მუზეუმში კონცერტი გამართა.

მეორე დღეს ყვავილებით შევამკეთ დავით გურამიშვილის საფლავი, ქალაქის ხელმძღვანელობამ მიტინგი მოაწყო. გამოვიდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ბევრი ითქვა დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას შემოქმედებაზე. წაიკითხეს დავით გურამიშვილის ლექსები უკრაინულად და ქართულად. პატარების ხელოვნებაში იგრძნობოდა უდიდესი პატივისცემა სახელოვანი წინაპრის მიმართ.

ისმოდა ძველი საგალობლები და დავით გურამიშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, ამ სურათის მოწმე უკრაინელები ცრემლებს ვერ იკავებდნენ.

კონცერტის ბოლოს დათო შანიძემ „გარეკახური მგზავრული“ შემოსძახა: „ჰარულა-ლოო, ჰაიდა ჰარულალო“. ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა კადრები შესანიშნავი ქართული ფილმიდან „დავით გურამიშვილი“, სადაც მოხუც დავითს ესმის ქართველების მგზავრული სიმღერა და მათ შესახვედრად მიეშურება. მართლაც, იშვიათი კადრია, რომელსაც ძნელია, უცრემლოდ უყურო. ახლაც იგივე განმეორდა. იმ ქართველი მხედრების შთამომავლობა თავისი დიდი წინაპრის საფლავთან იდგა და მას სულისშემძვრელ უძველეს ქართულ სიმღერას ჩასძახოდა.

* * *

80-იანი წლების დასაწყისში, როცა „მართვე“ საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ პირველი ხმების უმრავლესობას ასაკობრივი გარდატეხის, მუტაციის პერიოდი დასდგომოდა და მანამდე წკრიალა დისკანტების მქონე სოლისტები ახლა ჩახლეჩილი ბოხი ხმით ძლივს მღეროდნენ. ამაზე ბავშვები ძალიან ნერვიულობდნენ, ვაითუ, „მართვედან“ დაგვითხოვონო. ჩვენ დავამშვიდეთ ისინი და მათი ხმის დიაპაზონების გათვალისწინებით სხვა ხმებში გადავიყვანეთ.

ეს პრობლემა ერთეულების სახით ადრეც გვქონია, მაგრამ ასე მასიურად და ერთბაშად – პირველად.

მუტაციის დროს ბავშვები გადაგვყავდა სხვა ხმებში და მათთვის შესაფერის დაბალ რეგისტრში ვამღერებდით არასრული დატვირთვით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ დროს ბავშვი უნდა მღეროდეს იმ დიაპაზონის ფარგლებში, რის საშუალებასაც მისი სასიმღერო აპარატი იძლევა, ოღონდ მისი გადატვირთვა არ შეიძლება. არსებობს მოსაზრება, თითქოს მუტაციის პერიოდში საერთოდ არ შეიძლება სიმღერა. ჩვენი აზრით, თუ ბავშვი პატარაობიდანვე მღერის, მისი ყელი მიჩვეულია დატვირთვას და თუ მუტაციის პერიოდში საერთოდ არ იმღერებს, მაშინ მისი სახმო იოგები დუნდება და მუტაციის შემდეგ ველარ აღიდგენს თავის პირვანდელ ფორმას.

ჩვენმა მეთოდმა გაამართლა და „მართვედან“ თბილისის კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე რამდენიმე პროფესიონალი მომღერალი აღიზარდა: ზურაბ ნინუა (ტენორი), ვანო გალუაშვილი (ბარიტონი), გოჩა დათუსანი (ბანი), გიორგი ბუგიანიშვილი (ტენორი). გარდა ამისა, ფოლკლორული ანსამბლების უმეტესობაში „მართვეს“ აღზრდილები მღერიან.

ჩვენ დიდი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. საჭირო გახდა თითქმის მთელი პირველი ხმების შეცვლა. „მართვეს“ წევრებმა უკვე 40-ზე მეტი სიმღერა იცოდნენ, მაგრამ არა ჰქონდათ მუსიკალური განათლება. გადავწყვიტეთ შეგვექმნა ბაზა, რომელიც მოამზადებდა პატარა მომღერლებს „მართვესათვის“ და სადაც საერთოდ, გუნდის წევრები მიიღებდნენ დაწყებით მუსიკალურ განათლებას, რომელსაც შემდეგ სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით გააგრძელებდნენ მუსიკალურ სასწავლებლებსა და კონსერვატორიაში. ამით ჩვენ მივიღებდით ახალი ტიპის საგუნდო დირიჟორ-ლოტბარებს, რომლებსაც სხვადასხვა კუთხის 100-მდე ხალხური სიმღერა ეცოდინებოდათ, თან მიიღებდნენ უმაღლეს მუსიკალურ განათლებას.

ჩვენი აზრი მოვახსენეთ კულტურის მაშინდელ მინისტრს ბატონ ოთარ თაქთაქიშვილს.

ბატონ ოთარს „მართვე“ ძალიან უყვარდა და, საერთოდ, იგი ხალხური ხელოვნების უდიდესი პატივისმცემელი და დიდი ქომაგი გახლდათ. მან ჩვენი აზრი მოიწონა და თბილისის 28-ე მუსიკალურ სკოლაში, რომელსაც გამოცდილი მუსიკოსი თამაზ ანდღულაძე ხელმძღვანელობდა, „მართვესათვის“ გახსნა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება, სადაც პატარა მუსიკოსები შეისწავლიდნენ ხალხურ სიმღერებს და გაივლიდნენ პროფესიონალი მუსიკოსებისათვის საჭირო დისციპლინებს, კერძოდ სოლფეჯიოს, მუსიკალურ ანბანს, ფორტეპიანოს, ხალხურ საკრავებს და ა.შ. ხალხურ სიმღერასა და დირიჟორობას ჩემთან ერთად ასწავლიდნენ. თამაზ ანდღულაძე, ბადრი თოიძე, დურმიშხან გოდერძიშვილი, მალხაზ ერქვანიძე, ტარიელ ონაშვილი და სხვა გამოცდილი პედაგოგები. ხალხური საკრავების პედაგოგებად მოვიწვიეთ გამოცდილი სპე-

ციალისტები, მათ შორის მხცოვანი პედაგოგი, ქალბატონი ქეთევან მეგრელიძე.

ჩემი აზრით, ამ სკოლამ დიდი საქმე გააკეთა. სკოლის გახსნიდან უკვე მეორე წელს „მართვეს" პატარა მომღერლები დირიჟორობდნენ. ამან საოცარი ეფექტი მოახდინა მაყურებელზე, განსაკუთრებით უცხოელებზე. უცხოეთის პრესა ერთხმად აღნიშნავდა პატარა დირიჟორების მაღალ ოსტატობას. დირიჟორები იყვნენ: ძმები – არჩილ და მალხაზ უშვერიძეები, დათო შანიძე, ლევან დავითაშვილი, კახა ონაშვილი, გიორგი ბუგიანიშვილი და სხვები, რომლებმაც შემდგომში წარმატებით დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი და დღეს უკვე პროფესიონალი ლოტბარები არიან.

თბილისის კონსერვატორიის რამდენიმე ათეული კურსდამთავრებული „მართვეში" აღიზარდა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისის 28-ე მუსიკალურ სკოლას. ამ სკოლაში კი მეორე ანსამბლი – „ბიჭები" შეიქმნა, რომელმაც უკვე შორს გაიტანა ქართული ხალხური სიმღერა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც შეიქმნა მსგავსი მუსიკალური სკოლები, რომლებიც დღემდე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

მოგვიანებით, მთავრობის განკარგულებით, „მართვეს" ბაზაზე ჩამოყალიბდა ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორის ცენტრი.

* * *

ანსამბლ „რუსთავის" ერთ-ერთი გასტროლის დროს ჰოლანდიაში თან წავიღეთ „მართვეს" ფირფიტა და იგი ჩვენს იმპრესარიოს, იან პეპინგს მოვასმენინეთ.

მალე მისგან მივიღეთ წერილი: „მოვისმინეთ „მართვეს" ფირფიტა, ყველა აღფრთოვანებული დავრჩით და სურვილი გვაქვს ისინი ჩვენს ქვეყანაში მოვიწვიოთ, შევახვედროთ და დავამეგობროთ ჩვენი ბიჭუნების გუნდთან, რომელიც საპასუხო ვიზიტით ჩამოვა საქართველოში".

პეპინგმა „მართვე" ჰოლანდიაში მიიწვია. ეს იყო უკვე „მართვეს" მე-2 თაობა. მათი უმრავლესობა პირველად იყო უცხოეთში.

გასტროლების წინ „მართვეს" ასეთი რეკლამა გაუკეთეს იქაურმა გაზეთებმა:

„შესანიშნავი ბავშვთა გუნდი წარმოგვიდგენს ქართულ კულტურას".

„ქ.ოლდენზაალის მცხოვრებნი მალე მოუსმენენ შესანიშნავ გუნდს აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებიდან. ბოლო ორი თვის განმავლობაში რუსული, პოლონური, იუგოსლავიური და ჩეხური ბავშვთა გუნდების შემდეგ კვლავ გამოვა რუსული ბავშვთა გუნდი საქართველოდან".

ასეთი რეკლამა უჩვეულო არ ყოფილა ჩვენთვის, „რუსთავის" გასტროლების დროსაც აფიშაზე ხშირად ნახავდით თოვლიან ნაძვებს ან ჩრდილოეთის თეთრ დათვებს წარწერით: „ნახეთ რუსული ანსამბლის „რუსთავის" გამოსვლა", რასაც მოჰყვებოდა ხოლმე კონცერტის წინ ჩვენი პროტესტები და ახსნა-განმარტებები, რომ ჩვენ რუსები არა ვართ. ამჯერადაც ასე მოხდა.

ქართველმა ბიჭუნებმა პირველი ორი დღე ქალაქ ბოსრაუნდში, სააგარაკო ვილაში გაატარეს. ეს ვილა ბატონმა პეპინგმა საგანგებოდ მათთვის დაიქირავა.

ბოსრაუნდში გვიან ღამით ჩავედით, ბავშვებმა ივახშმეს და დაიძინეს, უთენია გავიღვიძე. ჩემ თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა: ჩვენს ვილას ირგვლივ ტყე ეკრა, ტყიდან გამოსულიყვნენ შვლები და ჩვენ შორიახლო ძოვდნენ.

ვილასთან ახლოს, ბაღში, მწვანე მოლზე, კურდღლები დარბოდნენ. ჩუმად ავედი ბავშვების საძინებელში, ირაკლი თოიძე გავაღვიძე და ვუთხარი: ნახე, რამდენი კურდღელი და შველია, ერთი-ორი კურდღელი დაიჭირეთ, ნათელა დეიდას სჭირდება-მეთქი, ვეხუმრე. ბავშვებს გარეული კურდღლები არ ენახათ, ცოტა ხანში მთელი „მართვე" დასაჭერად დასდევდა კურდღლებს, მათ მიპარვით სურდათ კურდღლების დაჭერა და მეკარის მსგავსად ნახტომებს აკეთებდნენ, კურდღლებიც არ უფრთხოდნენ, ორ-სამ მეტრზე ხტებოდნენ და იქვე ცუცქდებოდნენ, ბავშვებიც გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ დაიჭერდნენ. როცა კარგად გათენდა, კურდღლებმა ნელ-ნელა ტყეს შეაფარეს თავი. ბიჭები ოფლში გახვითქულები და დარცხვენილები მოდიოდნენ, დავამშვიდე და ავუხსენი: ასე როგორ მოტყუვდით, კურდღლებს თქვენ კი არა, მწევრებიც ვერ იჭერენ-მეთქი.

იან პეპინგმა ბავშვები ქ. ოლდენზაალში ჩაიყვანა, სადაც ოჯახებში დაანაწილა. „მშობლებსა" და ბავშვებს დილით ოლდენზაალის ცენტრში უნდა შევხვედროდით. პედაგოგები დროზე მივედით დანიშნულ ადგილას. „მშობლებსაც" თავიანთი ბავშვები უკვე მოეყვანათ, ისინი ერთად შეგროვილიყვნენ მაღაზიის ვიტრინის წინ და სევდიანი თვალებით მისჩერებოდნენ თვალისმომჭრელად მორთულ ვიტრინას, სადაც ტკბილეულობა და საღეჭი რეზინები იყო გამოფენილი, ასეთი რამეები მაშინ თბილისში არ იშოვებოდა და უცხოეთიდან ჩამოგვქონდა. იმ დროს თბილისში ყველაზე უფრო დეფიციტური ჯინსები და საღეჭი რეზინები იყო. ჩვენ ერთი კაპიკიც არ გვედო ჯიბეში. ალბათ, ასე არასოდეს გვინატრია ფული. სამწუხაროდ, არც მასპინძლებს გაუხარებიათ ბავშვები.

ბავშვები ძლივს მოვაშორეთ ვიტრინას და ოლდენზაალის მერიაში წავიყვანეთ. ოლდენზაალი წარმოადგენს მხარის კულტურულ და რელიგიურ ცენტრს. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ქალაქის ბურგომისტრმა ნელ ლესენმა. მანვე წარუდგინა „მართვე" ამ ქალაქის ბიჭუნათა გუნდ „სტატსიუმენტს". საპასუხო სიტყვით გამოვიდა ქალბატონი ნათელა ჯიღაური. იმავე საღამოს გაიმართა კონცერტი.

„მშობლები" თავიანთ „შვილებს" გულშემატკივრობდნენ, კონცერტზე საპატიო ადგილზე ისხდნენ და მეზობლებს თავს აწონებდნენ, როცა მათი „შვილი" სოლო პარტიას ასრულებდა.

პირველი კონცენტის შემდეგ ოლდენზაალის ცენტრალური გაზეთი წერდა: „ამ გუნდის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მათ ადვილად მიიპყრეს მაყურებლის ყურადღება თავიანთი თვითმყოფადი სიმღერით. გუნდის პირველივე ბგერები (აკორდები) სიურპრიზი აღმოჩნდა. სიმღერამ გვაჩვენა, რომ იგი 100 პროცენტით დამყარებულია უძველეს ხალხურ კულტურაზე. სიმღერის შესრულების ტექნიკა სრულიად განსხვავებულია. ხმოვანება, გულისმიერი სუნთქვის წყალობით, სრულიად უშუალო და მძლავრია. წყნარი სიმღერები ჩუმად ხმიანებდა. მაღალი, სრული სუნთქვის წყალობით, ვარიაციების ეს იშვიათი ხმოვანება უნიკალურადაა შესრულებული."

დასაწყისში შესრულებულ იქნა სიცოცხლის სადიდებელი ჰიმნი „მრავალჟამიერი", რომელიც შესრულდა მხიარულად, ენერგიულად, პომპეზურად, შემდეგი სიმღერა იყო მხნე, სალაშქრო ხასიათისა. ორივე სიმღერაში გამოიხატა ხალხური ხასიათი. ხანგრძლივად შეკავებული ხმები წმინდა ინტერვალებში, როგორც ინსტრუმენტები, ისე ჟღერდა. ასეთი რამ მრავალ სიმღერაში ხდებოდა, ეს ვარიაციები გამოიკვეთა წყნარ, მხნე და სახუმარო ლაშქრულ და ლირიკულ სიმღერებში, მშვიდ და ნორმალ-

ურ საეკლესიო და ზოგიერთ სევდიან სიმღერაში. წყნარ სიმღერებში სოლო წმინდად (ზუსტად) იყო გამოკვეთილი აღმოსავლური მელოდიების მონახაზით. დიდი წარმატება ხვდა წილად სახუმარო სიმღერებს ინსტრუმენტების თანხლებით და ეს არაერთხელ მეორდებოდა კონცერტის დროს".

ჰოლანდიაში პირველი გასტროლი „მართვემ" დიდი წარმატებით დაამთავრა. უნდა გენახათ, რა აჟიოტაჟი იყო გამომგზავრების დღეს.

ბავშვები ოჯახებმა გამოაცილეს, „მართვეს" წევრები და მათი „მშობლები" ცრემლებს ვეღარ იკავებდნენ. ეტყობოდა, ჩვენმა ბავშვებმა დიდი სითბო აგრძნობინეს მათ. ამის შემდეგ ნამდვილი მშობლები ჩაერივნენ საქმეში, დაუკავშირდნენ ჰოლანდიელებს, ატყდა ერთი მიწერ-მოწერა და ერთმანეთის გადაპატიჟება. საქმე იმით დამთავრდა, რომ ჰოლანდიელები სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდნენ თბილისში. მათ აქ საუკეთესო მასპინძლობა გაუწიეს.

მეორედ „მართვე" ერთი წლის შემდეგ ისევ მიიწვიეს ჰოლანდიაში, ახლა უფრო დიდი ხნით (3 კვირით). იან პეპინგს „მართვეს" კონცერტები ჰოლანდიის დიდ საკონცერტო დარბაზებსა და ეკლესიებში დაეგეგმა. ახლა ჩვენს დელეგაციას მეთაურობდა ქალბატონი ნინო კობახიძე, რომელმაც ღირსეული ხელმძღვანელობა გაგვიწია. ამჯერად „მართვე" საშობაო არდადეგებზე მიიწვიეს. აეროპორტში დაგვხვდა საბჭოთა კავშირის ელჩი ჰოლანდიაში ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც სულ ახლახან დაენიშნათ ამ თანამდებობაზე. ბატონი ალექსანდრე პირველ კონცერტს დაესწრო ამსტერდამში, კონცერტის დამთავრებისთანავე იგი სცენაზე ამოვიდა და თვალცრემლიანმა თავისი აღფრთოვანება გამოხატა „მართვეს" მიმართ.

„მართვე" ჰოლანდიაში განახლებული პროგრამით წარსდგა. მის წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ლოტბარმა კოტე მშვიდობაძემ. როგორც ჩანს, ჰოლანდიელებმა გაითვალისწინეს ჩვენი ადრინდელი თხოვნა, რომ ჩვენ რუსები არა ვართ და ამჯერად გაზეთებში ჭეშმარიტად ნამდვილ რეკლამას უკეთებდნენ „მართვეს."

„ბიჭუნების გუნდი საქართველოდან იმღერებს ტამბოერში". „54 ბიჭუნასაგან შემდგარი ანსამბლი „მართვე" 23 აგვისტოს კონცერტით გამოვა კულტურის ცენტრში – ტამბოერში. მათ ნიდერლანდების ქალაქ ჰოერეზენამდე 6500 კმ გამოიარეს.

ისინი დაბინავდნენ ოლდენზაალში, როგორც ქალაქის ბავშვთა გუნდის სტუმრები.

„მართვე" ნამდვილად მაღალპროფესიული გუნდია. იგი საქართველოდან გახლავთ.

საქართველოს რესპუბლიკა მდებარეობს რუსეთის მეზობლად, მას აქვს საკუთარი ენა და დამწერლობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რუსულ ენასთან.

პატარა მომღერლები გამოჩენილი ანსამბლის – „რუსთავის" საქმის გამგრძელებლები არიან.

უნიკალურია, რომ ჰოერეზენს შეუძლია გაეცნოს მაღალი კულტურის მქონე ქვეყანას – საქარველოს".

ეკლესიაში გამართულმა კონცერტებმა „მართვეს" დიდი წარმატება მოუტანა.

ყველა ბილეთი წინასწარ იყო გაყიდული. ხალხი ქალაქიდან ქალაქში დაჰყებოდა მათ, ამას ემატებოდნენ იმ ოჯახების წევრებიც, სადაც ბიჭები ცხოვრობდნენ, ამიტომ ეკლესიებში „მართვეს" კონცერტებზე ტევა არ იყო, ყოველ სიმღერას პატარა ანოტაციას უკეთებდა ჩვენი თარჯიმანი მანანა ედიშერაშვილი. პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა „მართვეს" გამოსვლებს.

გაზეთი „ზელანდ ნიუსი“:

„ლუტენბერგი ტკბება ქართველ ბავშვთა გუნდით. უნიკალურ მოვლენად იქცა ლუტენბერგის ტაძრის სცენაზე ბავშვთა გუნდის „მართვეს“ გამოსვლა საქართველოდან. 54 ბავშვისაგან შემდგარმა გუნდმა მაყურებელთა დასწრების ყველა რეკორდი მოხსნა და პირველიდან ბოლო წუთამდე დამსწრენი თავისი მაღალი კლასის სიმღერით მოხიბლა. ამ კონცერტის ჩატარება შესაძლებელი გახდა ოლდენზაალის ბავშვთა გუნდთან კულტურული გაცვლის ჩარჩოებში. ზეიმობდა რა 150 წლის იუბილეს, ლუტენბერგის ეკლესიამ გადაწყვიტა, ეს თარიღი აღენიშნა ბავშვთა გუნდის – „მართვეს“ კონცერტით.

„მართვეს“ პროგრამაში ძირითადად ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლებია, უმეტესობა უძველესი წარმოშობისაა. ეს სიმღერები პოლიფონიურია.

მაყურებელი განცვიფრებული შესცქეროდა ორ პატარა მომღერალს – დათო შანიძეს და არჩილ უშვერიძეს, რომლებიც კონცერტს ნამდვილი დირიჟორებივით უძღვებოდნენ.

გუნდმა დემონსტრაცია გაუკეთა საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლეს დონეს, აჩვენა საოცარი ხმოვანება; იგი იმდენად კარგად ფლობს საშემსრულებლო ტექნიკას, რომ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს. პროგრამა მრავალფეროვნია. შესრულდა სხვადასხვა ჟანრის სიმღერები.

ხმამაღალი სიმღერა ხანდახან გადადიოდა ჩუმ, წყნარ სიმღერაში, რომელიც სევდიან განწყობილებას გამოხატავდა. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საეკლესიო საგალობლებმა.

ზოგიერთი სიმღერა სრულდებოდა სოლოდ („ოროველა“ – სოლისტი სიდამონიძე) და წინდაწინ ითარგმნებოდა.

თითქმის ყველა სიმღერა სრულდებოდა აკომპანემენტის გარეშე, მხოლოდ რამდენიმე სიმღერა შესრულდა სიმებიანი ინსტრუმენტების – ჩონგურისა და ფანდურის თანხლებით.

ამაღლებულად, ომახიანად შესრულდა შრომის სიმღერა „ნადური“. გლისანდოები ამ სიმღერაში განსხვავებული რიტმით ამთავრებდა ამ შესანიშნავ კონცერტს.

ბისზე შესრულდა რამდენიმე მხიარული სიმღერა, რომელიც აღინიშნა დამსწრეთა მქუხარე აპლოდისმენტებით.

პასტორმა ლუდგერრინგმა თავის მისასალმებელ სიტყვაში გამოთქვა იმის სურვილი და რწმენა, რომ ეს კულტურული გაცვლა ერთ-ერთი სასიკეთო ნაბიჯი იქნება საყოველთაო მშვიდობის საქმეში“.

კონცერტების უმეტესობა ეკლესიებში იმართებოდა, შესანიშნავი აკუსტიკა და მაყურებელთა რეაქცია ბავშვებს უფრო ათამამებდა და ხალისს ჰმატებდა. კონცერტები გაიმართა აგრეთვე კუფორდენტში. საზოგადოება ტაშს უკრავდა დათო გერსამიას, ირაკლი თოიძეს, სანდრო კევლიშვილს, არჩილ მედოლიშვილს, ზურაბ ცინცაძეს, ბექა სეფისკვერაძეს, გურამ სუპატაშვილს, შალვა პაპუაშვილს და სხვა სოლისტებს.

ამსტერდამსა და ჰააგაში ექსკურსიის შემდეგ ოლდენზაალში გაიმართა გამოსათხოვარი საღამო. ყველა ბავშვს თავისი „მშობელი“ ახლდა, ყველა ტიროდა. გულისამაჩუყებელი საღამო იყო.

არასოდეს დაგვავიწყდება ის ორი დღე, რომელიც „მართვემ“ კუნძულ ტექსელზე გაატარა. მოგეხსენებათ, 1945 წელს საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ქართველი

ტყვეები აჯანყდნენ ფაშისტების წინააღმდეგ და ხელში ჩაიგდეს მთელი კუნძული; ტექსელელთა თავისუფლება მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. რა გასაკვირია, როგორც კი ქართველები გამოჩნდებიან ტექსელზე, მოსახლეობა უდიდესი სიყვარულით ეგებება მათ, რადგან ქართველი კაცი ტექსელზე ვაჟკაცობის, მეგობრობის, პატიოსნებისა და სიყვარულის სიმბოლოა.

„მართვეს" კონცერტზე მოვიდნენ ომის მონაწილენი, მოვიდნენ ისინიც, ვინც პირადად იცნობდა ქართველ გმირებს. საკონცერტო დარბაზში ტევა არ იყო, კონცერტი დაიწყო. თითოეულ ნომერს დიდი წარმატება ხვდა, მაგრამ უნდა გენახათ, რა ხდებოდა საკონცერტო დარბაზში, როცა ჩვენმა სოლისტმა დათო გერსამიამ შეასრულა. „შინმოუსვლელო, სადა ხარ?" (ტექსტი წინდაწინ თარგმნეს). დარბაზი ტიროდა, ოვაციები... და სიმღერა ორჯერ გავიმეორეთ.

მეორე დღეს მასპინძლებმა თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილ აუზში მიგვიწვიეს. ბავშვები რამდენიმე საათის განმავლობაში ერთობოდნენ ცურვით და ათასნაირი სათამაშოებით.

დღის მეორე ნახევარში ვნახეთ ის ადგილები, სადაც ქართველთა საბრძოლო პოზიციები იყო და სახლი, სადაც ქართველთა შტაბი იყო მოთავსებული. დღეს იმ სახლში ახალგაზრდა ჰოლანდიელი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. მათ შვილები არ ჰყავდათ და ოთხი ბავშვი იშვილეს, ორი მათგანი შავკანიანია. გავიკვირვეთ და ვკითხეთ, როცა გაიზრდებიან, როგორ გინდათ დააჯეროთ, რომ ისინი ნამდვილი და-ძმები არიან?

გვითხრეს, რომ ამას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

დღის ბოლოს წაგვიყვანეს ძმათა სასაფლაოზე, სადაც 476 ქართველი ვაჟკაცი წევს. „მართვეს" თან ბევრი ტექსელელი ახლდა.

სასაფლაო ვარდებშია ჩაფლული. შესასვლელი ჭიშკარი ქართველი ოსტატების ნახელავია, იგი აწ გარდაცვლილმა ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა ჩაიტანა საქართველოდან.

ტექსელელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სასაფლაო სანიმუშოდ აქვთ მოვლილი და ნამდვილი ბაღნარი გეგონებათ.

„მართვემ" ჯერ საგალობელი შეასრულა, მერე თბილისიდან წამოღებული მიწა მოაფრქვიეს საფლავებს, ქართული ღვინო აპკურეს და „შავლეგო" შემოსძახეს. თვალცრემლიანი ჰოლანდიელები შესცქეროდნენ ამ მართლაც გულსაკლავ სანახაობას, მერე დაიჩოქეს და ამით გამოხატეს უდიდესი პატივისცემა დალუპულთა მიმართ.

მაყურებელთა შორის იყო რამდენიმე მოხუცი, ომის ინვალიდი, რომლებიც თურმე ქართველებთან ერთად იბრძოდნენ. როცა ბიჭებმა საფლავებს ქართული მიწა მიაყარეს და სიმღერა დააგუგუნეს, მოხუცებმა ვერ გაუძლეს ასეთ სანახაობას და რამდენიმე მათგანს გულიც კი შეუწუხდა.

მზე ჩადიოდა, ქართველების ძმათა სასაფლაოს ბინდი ეპარებოდა. „მზე, გმირის ხმალზე მბრწყინავი, არასდროს დაიბინდება", – გუგუნებდა „მართვეს" შესრულებით შინმოუსვლელთა მოსაგონარი საგალობელი.

* * *

1988 წელს „მართვემ" თბილისში მოიწვია ვილნიუსის რადიოსა და ტელევიზიის ბავშვთა გუნდი, რომელსაც მოსკოვში მუსიკალური ფესტივალის დროს დაუმეგობრდა. ამ გუნდმა თბილისის საკონცერტო დარბაზებში რამდენიმე კონცერტი გამართა

და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ვილნიუსელი სტუმრები „მართვეს“ წევრებთან ცხოვრობდნენ ოჯახებში. პატარები „მშობლებს“ მოჰყავდათ კონცერტებზე და საკუთარი შვილებივით თავს ევლებოდნენ. მოკლედ, „მართვესა“ და ვილნიუსის გუნდს შორის დიდი მეგობრობა დამყარდა და იმავე წელს „მართვე“ საპასუხო ვიზიტით მიიწვიეს ვილნიუსში.

ვილნიუსში უმაღლეს დონეზე მიგვიღეს, კონცერტები საუკეთესო დარბაზებში გაიმართა. იყო წარმატება, დასამახსოვრებელი შეხვედრები, ოჯახებმა დიდი პატივი სცეს ბავშვებს (ეტყობა, მათი შვილები ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ თბილისიდან). მოკლედ, ქართველ და ლიტველ ოჯახებს შორის მათი შვილების შემწეობით დამყარებული მეგობრული კავშირი დღემდე გრძელდება.

ვილნიუსში წარმატებით ჩატარებულ გასტროლებს ქართული პრესა გამოეხმაურა. ამ მოგზაურობიდან ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ.

ერთ-ერთი კონცერტი დამთავრდა და „მართვე“ ქუჩაში გამოვიდა. მათ ბავშვები შემოეხვივნენ. ლიტველებს ორი ბავშვი გამოეყო, მათ ჩვენებს ქართულად დაუწყეს ლაპარაკი, თანაც, საოცარი გურული აქცენტით. „ჩვენ ლიტველები ვართ, მარა დედა გვყავს გურული, გოგეშვილის ქალიო“. მალე „მართვესთან“ თვითონ ქალბატონი დალი გოგეშვილი მოვიდა. იგი ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობს ლიტვაში. „ჩემი მეუღლე აქაურია, – გვითხრა ქალბატონმა დალიმ, – თბილისში სწავლობდა. იქ გავიცანი და ცოლად გავყევი. მას შემდეგ აქ ვცხოვრობთ, ქართულ წიგნებს ვთარგმნი ლიტვურ ენაზე, ჩემი შვილები ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩადიან, მათ განსაკუთრებით უყვართ გურია.“

ჩვენ დავემშვიდობეთ შესანიშნავ მასპინძლებს. „საქართველოში როცა ჩამუალთ, იქინე მუალთ და გნახავთ“, – „მართვესთან“ განშორება უჭირდათ „გურულ ლიტველებს“.

* * *

1990 წლის აგვისტოში „მართვე“ მიიწვიეს ესპანეთში. ამ დროს იქ გახურებული ტურისტული სეზონია, ბავშვებსაც ტურისტული საგზურები აუღეს.

ესპანურმა მხარემ ვერ მოახერხა კონცერტების დაგეგმვა საკონცერტო დარბაზების გადატვირთვის გამო, ამიტომ ბავშვები ორი კვირის განმავლობაში პირველად იყვნენ უსაქმოდ, გასართობად. მათ დაათვალიერეს მსოფლიოში სახელგანთქმული არქიტექტორის – გაუდის პროექტებით შექმნილი ულამაზესი სასახლეები, საბაგირო გზით ავიდნენ მთაზე, სადაც იმავე არქიტექტორის მიერ აგებული შესანიშნავი ეკლესია დგას. იქ ბავშვებმა იმღერეს და დამთვალიერებლების ოვაციები გამოიწვიეს; ისინი დიდხანს არ უშვებდნენ „მართვეს“ და სთხოვდნენ კვლავ ემღერათ. ეს იყო დაუვიწყარი შთაბეჭდილება. ორი კვირის განმავლობაში ბავშვებმა დაათვალიერეს ესპანეთის ღირსშესანიშნაობები, მაგრამ მაინც გულდაწყვეტილნი დაბრუნდნენ, როგორც არასდროს, რადგან ვერ გამართეს კონცერტები და ესპანელებს ვერ აგრძნობინეს ქართული სიმღერის მადლი.

როგორც ჩანს, კონცერტებზე ოვაციებს მიჩვეული „მართვე“ ვერ დააკმაყოფილა თვით საუკეთესო შთაბეჭდილებებმაც კი.



ზაზა ურუტაძე და ჯამბულ ხასაია ტოკიოს ზოოპარკში

* * *

„მართვეს" გასტროლებს იაპონიაში წინ უძღოდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. კულტურის მინისტრმა, ბატონმა ოთარ თაქთაქიშვილმა იაპონიიდან ჩამოიტანა ფირფიტა, რომელზედაც ჩაწერილი იყო „ხასანბეგურა" იაპონელების შესრულებით.

ამ ფაქტით დაინტერესდა კინორეჟისორი სოსო ჩხაიძე და პატარა ჯგუფით იაპონიაში გაემგზავრა ტურისტებთან ერთად. ამ ჯგუფში მეც გახლდით. ტოკიოში ჩვენ მოვიძიეთ ის გუნდი, რომელიც ქართულ სიმღერებს ასრულებდა. მას ერქვა „იამასიროგუმი" და ხელმძღვანელობდა ბ-ნი იამაშირო სოჯი.

იამაშირო სოჯიმ „იამაშიროგუმი" 1974 წელს შექმნა, იმავე წლიდან დაიწყო ქართული და ბულგარული სიმღერების ჩაწერა. მის რეპერტუარში, იაპონურის გარდა, მსოფლიოს სხვა ხალხთა სიმღერებიცაა.

ჩვენ დავინტერესდით, თუ საიდან დაებადა ამ გუნდს ქართული ხალხური სიმღერების შესრულების იდეა.

თურმე ერთ დღეს ბატონ იამაშიროს რადიოთი მოუსმენია „ხასანბეგურა". იგი აღფრთოვანებულა და წასულა ტოკიოს რადიოში ამ სიმღერის სადაურობისა და მისი შემსრულებლების ვინაიობის დასადგენად. იქ უთქვამთ, რომ ეს არის სიმღერა „ხასანბეგურა", რომელსაც რუსული გუნდი ასრულებსო.

„იამასიროგუმს" დიდი წვალებით, ფონოჩანაწერიდან შეუსწავლია „ხასანბეგურა", როგორც რუსული სიმღერა. როცა ჩვენ ვუამბეთ ამ სიმღერის შესახებ, იაპონელები განცვიფრდნენ, მათ არც კი იცოდნენ, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა – საქართველო.

ერთი დღე მთლიანად ამ გუნდთან მუშაობას მოვანდომეთ – მე სიმღერებს ვასწავლიდი, სოსო ჩხაიძე ჩვენს რეპეტიციებს იღებდა. როცა მათ „ხასანბეგურას" სწორი

ვარიანტები შევასწავლე და თვითონ ვიმღერე მათთან ერთად ბანი იმპროვიზაციებით, იაპონელი მომღერლების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

საღამოს დავემშვიდობეთ ამ ჯგუფს, ვინაიდან ჩვენი ტურისტული გემი სხვა ქალაქში მიდიოდა. მე მათ ქართული სიმღერების ნოტები და „რუსთავის" მიერ ჩაწერილი „60 ქართული ხალხური სიმღერა" დავუტოვე, რომელიც იმ დროს ახლად გამოსული იყო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ სოსო ჩხაიძემ საახალწლო სატელევიზიო გადაცემაში აჩვენა იაპონელების გუნდი, რამაც ქართველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. გადაწყდა ამ გუნდის მოწვევა საქართველოში. იმ პერიოდში საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოებამ დიდი კონტაქტები დაამყარა იაპონელ ქალბატონ ხიროკო კაკოსთან (კაკოსანი), რომელიც შეყვარებულია საქართველოზე და ცდილობს კულტურული ურთიერთობის დამყარებას იაპონიასა და საქართველოს შორის. მისი დახმარებით მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, ბატონმა ვალერი ასათიანმა მოიპატიჟა „იამასიროგუმი" საქართველოში. იაპონელები ზაფხულში ჩამოვიდნენ. ჩვენ ისინი ძალიან კარგად მივიღეთ. მე მათ რამდენიმე ქართული სიმღერა შევასწავლე, იაპონელები აღფრთოვანებული დაბრუნდნენ სამშობლოში. მეორე წელს ანსამბლი „რუსთავი" მიიწვიეს იაპონიაში, მერე ისევ ჩვენ მოვიწვიეთ საქართველოში. ამჯერად „იამასიროგუმი" უფრო მომზადებული ჩამოვიდა. ჩამოიტანა უახლესი ჩამწერი აპარატურა. ჩვენ მოვატარეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხე, მოვასმენინეთ და გავაცანით ამ კუთხეთა მომღერლები. იაპონელები განსაკუთრებით დაუმეგობრდნენ გორის ქალთა გუნდს და მის ხელმძღვანელს შალვა მოსიძეს. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ამ გუნდის დამაარსებელმა, გორის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორმა ბატონმა სანდრო კაჭარავამ, რომელმაც იაპონელებს გასაოცარი შეხვედრები მოუწყო. იაპონელებმა „რუსთავთან" ერთად გამართეს რამდენიმე კონცერტი, საინტერესო შეხვედრები მოეწყო თელავში, სადაც ჩვენ მოვიწვიეთ მომღერლები გურიიდან, სვანეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, ქართლ-კახეთიდან. იაპონელებმა ერეკლე მეფის სასახლეში ჩაიწერეს მათ მიერ შესრულებული რამდენიმე ათეული ქართული სიმღერა, რომელიც შემდეგ კომპაქტ-დისკების სახით გამოსცეს.

არასოდეს დამავიწყდება დასკვნითი საღამო თელავში. თელავის ხელმძღვანელობამ სასტუმრო „ინტურისტის" რესტორანში მოაწყო დიდი წვეულება იაპონური და სხვა ანსამბლების პატივსაცემად. დაახლოებით 200-კაციან სუფრას შესანიშნავად თამადობდა ბატონი დავით კეჟერაძე. სადღეგრძელოების შემდეგ იწყებოდა შეჯიბრი სიმღერაში. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ იმერლები, მეგრელები, სვანები, გურულები, იაპონელები და კახელები, იქ იყვნენ თითქმის მთელი საქართველოს წარმომადგენლები. ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა, რაც კი ოდესმე მინახავს. ნადიმი წარიმართა ძველი ქართული ტრადიციებით, იყო ზომიერი სმა და ცას სწვდებოდა სუფრული სიმღერები. საინტერესო ის იყო, რომ ორპირულ სიმღერებში ყველა კუთხის მომღერლებს პარტნიორობას იაპონელები უწევდნენ, რამაც საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. იაპონელებმა იმ დღეს შეასრულეს ყველა ის სიმღერა, რომელიც ჩვენ შევასწავლეთ.

მეორე დღეს ანსამბლები დაემშვიდობნენ „იამასიროგუმის" წევრებს. ბატონმა ვალერი ასათიანმა, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობდა იაპონელების მოგზაურობას საქართველოში, თელავში ორი ვერტმფრენი გამოგვიგზავნა, რომლითაც სტუმრე-

ბი მთათუშეთში უნდა გადაგვეყვანა.

დილით თელაველებმა ვერტმფრენები პურმარილით აავსეს და ჩვენ გავფრინდით. ჩვენ თვალწინ შესანიშნავი სანახაობა გადაიშალა, იაპონელები აღტაცებას ვერ ფარავდნენ. ყველაფერს იღებდნენ, თან კახურ ღვინოს წრუპავდნენ (რომელსაც ძალიან მიეჩვივნენ) და ქართულ სიმღერებს მღეროდნენ, რომელიც ვერტმფრენის გუგუნს უერთდებოდა. მფრინავები კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ. გზად, ჩვენი თხოვნით მათ ხევსურეთისკენ აიღეს გეზი და ეს შესანიშნავი კუთხეც დაგვათვალიერებინეს. ზემოდან კარგად მოჩანდა შატილის მიდამოები. ვერტმფრენები გარს უვლიდა ულამაზეს კოშკებს, რაც იაპონელების აღფრთოვანებას უფრო და უფრო აძლიერებდა. მთაზე ცხვარი შეფენილიყო; მფრინავებს ვთხოვე, ვერტმფრენები მთის წვერზე, ცხვარში დაესვათ. მეცხვარეები გაკვირვებულები შესცქეროდნენ წვრილთვალებიან ხალხს, რომლებიც აღტაცებას ვერ ფარავდნენ. მერე გაიშალა პურმარილი. მეცხვარეებიც მშვენივრად შეგვხვდნენ. ისინი თავიანთი ნახელავი გუდის ყველით, მაწვნით და მწვადებით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს და როცა მათ „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს, მწყემსების გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა, მათ წვრილთვალება სტუმრები სხვა პლანეტელები ეგონათ, კარგა ხანს ისმოდა მთიდან ქართული „მრავალჟამიერი“. იაპონელები ძლივს მოვწყვიტეთ მწყემსებს და გეზი ომალოსაკენ ავიღეთ.

ომალოში კარგა ხანია გველოდებოდნენ. რაიკომის მდივანს შესანიშნავი სუფრა გაეშალა ულამაზეს ადგილას; მოეპატიჟებინა იქაური მომღერალ-მოცეკვავე ქალები. ნაციონალურ სამოსში გამოწყობილმა თუშის ქალებმა თავიანთი ცეკვა-თამაშით იაპონელები განაცვიფრეს.

ჩვენ ვერტმფრენები მთაზე, სამანქანო გზიდან 50 მეტრის დაშორებით დავტოვეთ. იაპონელებს ასეთი რამ, რაც ამ დღეებში მოხდა, ვერ წარმოედგინათ: ჯერ ყველა კუთხეში ასეთი შეხვედრები, მერე თელავში ამისთანა საღამო, შემდეგ ორი ვერტმფრენის დაქირავება (იაპონელებისათვის ეს მიუწვდომელია, ჩვენთვის მაშინ იოლი იყო), თუშ მეცხვარეებთან შეხვედრა, თუშეთის ულამაზესი ბუნება და, ბოლოს, ომალოს დამაგვირგვინებელი აკორდი. სტუმრები გაოგნებულნი იყვნენ. როცა პატარა ბიჭმა ამბავი მოიტანა: საბარგო მანქანის მთვრალ მძღოლს ვერტმფრენისათვის დაუძგერებია თავისი მანქანა, გადაუყირავებია და პროპელერის ერთი ფრთა მოუტეხიაო, ამან მთლად გააგიჟა იაპონელები – როგორ წარმოიდგენდნენ, რომ თვითმფრინავს შეიძლება მანქანა დაეჯახოს! ასეთ რამ იაპონიაში სიზმრადაც არ დაესიზმრებათ.

საოცარი შთაბეჭდილებებით დატვირთული ჩვენი სტუმრები საღამოს ერთმა ვერტმფრენმა ორი რეისით ჩაიყვანა თელავში, თელავიდან იაპონელები თბილისს დაბრუნდნენ და პირველად მოუსმინეს „მართვეს“.

ისინი დაუმეგობრდნენ პატარა მომღერლებს, მერე კონსერვატორიის მცირე დარბაზში „მართვეს“ შესრულებით 25 სიმღერა ჩაიწერეს, რომელიც იმავე წელს იაპონიაში ფირმა „ვიქტორმა“ კომპაქტ-დისკებად გამოსცა.

მალე „მართვე“ იაპონიაში საგასტროლოდ გაემგზავრა. ეს ასე მოხდა: ორი წლით ადრე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იაპონიის ახალგაზრდობისა და საბავშვო კულტურის ცენტრის პროდიუსერი ბატონი ტამიო ტამურა. მოსკოვის, რიგისა და მინსკის შემდეგ იგი თბილისს ეწვია. თბილისის მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის ანსამბლების მოსმენის შემდეგ ტამურამ არჩევანი ქართველ ბავშვებზე შეაჩერა და იაპონიაში საგასტროლოდ მიიწვია „მართვე“, ო. კელაპტრიშვილის ხალხური ინსტრუ-

მენტული ტრიო და ჩვენივე მოცეკვავეთა ანსამბლი ფრიდონ სულაბერიძის ხელმძღვანელობით. ეს გასტროლიც თბილისის განათლების სამმართველომ დააფინანსა.

ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს ტოკიოს აეროპორტში „მართვეს“ დახვდნენ ბატონი ტამურა, ანსამბლ „იამასიროგუმის“ წევრები და იაპონელი ბავშვები.

ამომავალი მზის ქვეყანა დიდებული ფუძიამათი შეგვეგება. მის სახელს იაპონელები მრავალ ლეგენდასა და თქმულებას უკავშირებენ. ფუძიამა თუ არ ნახე, ჩათვალე, რომ იაპონიაში არ ყოფილხარ; მას „წმინდა მთას“ უწოდებენ. „ის პირველი მასპინძელია და სტუმარი თუ მოეწონა, მას თბილად შეხვდებაო“ – ამბობენ იაპონელები.

მოვეწონეთ თუ არა ფუძიამას – კონცერტზე გამოჩნდა.

ჩვენი ბავშვები ტოკიოს ცენტრში, სასტუმრო „ჯურაკში“ მოათავსეს, ხოლო საღამოს მიღებაზე მიიწვიეს, სადაც შეკრებილთ თბილად მიესალმა იაპონიის ახალგაზრდობისა და საბავშვო კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ტაკადა და იამასირო სიოძი. მასპინძლებს მადლობა გადაუხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა სვეტლანა ჩადუნელმა.

მიღების დასასრულს „მართვემ“ და „იამასიროგუმმა“ რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულეს.

ჩვენი კონცერტები მარტო ტოკიოსა და ნაგანაში იყო დაგეგმილი. უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი სარეკლამო აფიშები (იაპონურ და რუსულ ენებზე) ამ ქალაქების მცხოვრებთ კონცერტებზე ეპატიჟებოდა.

27 ოქტომბერს ნაგანაში ჩავედით, სადაც მეორე დღეს კონცერტი იყო დანიშნული. საუზმის შემდეგ საკონცერტო დარბაზის გასაცნობად ნაგვიყვანეს. აქ ტამურას გარდა ქართველი ბავშვების შესახებ არავინ არაფერი იცოდა.



ტელეგადაღებაზე

კონცერტი დაიწყო. გაისმა პირველი სიმღერა – „მრავალჟამიერი“. დარბაზი სულგანაბული უსმენდა ქართულ მუსიკას, შემეგ გაისმა მეორე სიმღერა, მერე იყო ცეკვა, სალამურის სტვენა და მაყურებელი თავდავიწყებით უკრავდა ტაშს ქართველი ბავშვების ხელოვნებას. კონცერტის ბოლოს „მართვემ“ იაპონური სიმღერა „აკატომბო“ (ჭრიჭინა) შეასრულა და ამით სულ თავბრუ დაახვია დარბაზში მყოფთ. ტაშისცემასა და შეძახილებს ბოლო არ უჩანდა.

ნაგანაში მოპოვებული წარმატება ცოტას როდი ნიშნავდა, რადგან ტოკიოში კიდევ 6 კონცერტი გვქონდა ჩასატარებელი.

ტოკიოში ჩვენი მასპინძლები იყვნენ „იამასიროგუმის“ წევრები. მართალი უნდა ითქვას, იაპონელებმა სტუმართმოყვარეობაში ქართველებს ტოლი არ დაუდეს. ერთი წუთითაც არ ვყოფილვართ მათი ყურადღების გარეშე. მრავალი ქვეყანა მოგვივლია, მაგრამ ასეთი მასპინძლობა ჩვენთვის არავის გაუწევია.

31 ოქტომბერს კონცერტი დანიშნული გვქონდა ტოკიოს მეტად პრესტიჟულ დარბაზში „სუგინამი კოკაიდოში“. „იამასიროგუმი“ ჩვენთან ერთად წამოვიდა რეპეტიციაზე. ბატონმა იამასირომ სურვილი გამოთქვა კონცერტის ბოლოს მის გუნდს ჩვენთან ერთად ემღერა იაპონური და ქართული სიმღერები, ასე რომ, ტოკიოელ მაყურებელს სიურპრიზი მოვუმზადეთ.

დარბაზი სულგანაბული შეხვდა ჩვენს პირველ სიმღერას. აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს ჩვენს ვირტუოზ მოცეკვავეებსა და ინსტრუმენტულ ტრიოს. კონცერტის ბოლოს მოხდა საოცარი რამ: როცა სცენაზე „იამასიროგუმი“ გამოვიდა და ჩვენთან ერთად „აკატომბო“ (ჭრიჭინა) შეასრულა, გეეგონა, რომ ჭერი ჩამოიქცეოდა აპლოდისმენტებისაგან. შემდეგ დათო შენიძემ „ჩემო კარგო ქვეყანავ“ წამოიწყო. იგი „იამასიროგუმმა“ ჩვენთან ერთად შეასრულა და ამ სიმღერის ფონზე იაპონელმა მომღერალმა ომატამ სცენაზე ქართული დროშა შემოიტანა. ეს დროშა აგვისტოში, თბილისში მყოფ „იამასიროგუმის“ წევრებს თვითონ მერაბ კოსტავამ აჩუქა ოპერაში ჩატარებული კონცერტის შემდეგ, მაშინ ამ კონცერტში „მართვემ“ მიიღო მონაწილეობა. კონცერტის შემდეგ, გვიან ღამით ოპერის თეატრიდან იაპონელი მომღერლები „რუსთავთან“ ერთად იმ ადგილას წავიდნენ, სადაც 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა და დაღუპულთა სულის მოსახსენებლად იქ სანთლებით ხელში რამდენიმე სიმღერა და საგალობელი შეასრულეს. სწორედ მაშინ აჩუქა მათ მერაბ კოსტავამ ქართული დროშა და იმ დღეს ეს დროშა იაპონელებმა კონცერტის ბოლოს სცენაზე გამოიტანეს. მეორე დღეს ტოკიოს გაზეთები სწორედ ამ ფაქტის აღწერით იწყებდნენ რეცენზიებს წინა დღის კონცერტის შესახებ.

ანსამბლს თან ახლდა ლოტბარი თამაზ ანდღულაძე. კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ქალბატონი კაკო სანი. იგი სწორედ იმ დღეს დაბრუნდა საქართველოდან და მაშინვე საკონცერტო დარბაზს მოაშურა, სადაც „მართვე“ გამოდიოდა. მეორე დღეს ტოკიოს ფეშენებლურ სასტუმრო „ნიუ ოგანიის“ რესტორანში გამართულ „ვარდისფერ საღამოზე“ ქალაქის ელიტის ორასამდე წარმომადგენლის თანდასწრებით კაკო სანმა დიდხანს ილაპარაკა საქართველოზე, მის ისტორიასა და კულტურაზე. ბოლოს 40 წუთი დაეთმო „მართვეს“ ხელოვნებას.

კაკო სანი საქართველოს დიდი მეგობარია. პირველად იგი რამდენიმე წლის წინათ ჩამოვიდა და მერე „დაავადდა საქართველოთი“. კაკო სანს უნდა ვუმადლოდეთ იმ დიდ მეგობრულ კავშირებს, რაც საქართველოსა და იაპონიას შორის დამყარდა. ქა-

ლბატონი კაკო სანი „რუსთავის" დიდი გულშემატკივარია. მისი ნამდვილი სახელია ხიროკო კაკო. იაპონური ტრადიციის მიხედვით, იაპონელები გვარით მიმართავენ ერთმანეთს, რომელსაც ემატება „სან" (ქალბატონი, ბატონი), ასე რომ, ხიროკო კაკოს ვეძახით კაკო სანს.

მახსოვს, პირველი შეხვედრისას გამართულ ვახშამზე თამადამ – სალიერ ვადაჭკორიამ ვერ დაიმახსოვრა იაპონელი სტუმრის სახელი კაკო სანი და სადღეგრძელოში ასე „გადმოაქართულა" იგი: „თქვენ გაგიმარჯოთ, ქალბატონო აკაკი".

კაკო სანიმ მთელი ჩვენი დელეგაცია სუფრასთან მიიწვია და საჩუქრები მოუმზადა „მართვეს".

6 ნოემბერს, გამოსათხოვარი კონცერტის შემდეგ ბატონმა იამასირომ და „იამასიროგუმმა" „მართვე" თავის რეზიდენციაში მიიწვიეს, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ათასნაირი სუვენირი ამშვენებს. განსაკუთრებით მრავლადაა ქართული სუვენირები. განგვაცვიფრა იაპონელთა სუფრამ: მათ ქართული კერძები დაგვახვედრეს და დედ-მამასა და სამშობლოს მონატრებულ ბავშვებს „მშობლიურად" გაუმასპინძლდნენ. მერე „მართვეს" უახლესი მოდელის მაგნიტოფონი აჩუქეს წარწერით: „მართვეს", „იამასიროგუმისაგან". სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ქალბატონმა ნათელა ჯიღაურმა.

„იამასიროგუმის" სარეპეტიციო დარბაზიდან გვიან ღამემდე ისმოდა ქართული სიმღერები „მართვესა" და „იამასიროგუმის" შესრულებით.

დასასრულ, ბატონმა იამასირომ „მართვეს" განუცხადა, რომ უკვე შეუდგა მუშაობას, რათა ერთი წლის შემდეგ კვლავ მოიწვიოს „მართვე" იაპონიაში.

დამთავრდა ჩვენი პირველი გასტროლი იაპონიაში, პრესამ მაღალი შეფასება მისცა პატარა მსახიობების გამოსვლას.

გაზეთი „სანკეი სიმბუკი", 3.II.89.

„იაპონელები, კაცობრიობის მიერ შექმნილი საუკეთესო მუსიკით დამთვრალნი, აღტაცებულნი არიან... ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მართვემ" შეარყია იაპონიის მიწა თავიანთი ხმების სიძლიერითა და სილამაზით.

31 ოქტომბერს „მართვემ" დაათრო „სუგინამო კოკაიდოს" დარბაზში შეკრებილი მაყურებელი ინტონაციის არაჩვეულებრივი სისუფთავით, ხმების სილამაზითა და სიმღერების ვირტუოზული შესრულებით.

ეს იყო „მართვეს" პირველი გასტროლი იაპონიაში.

საქართველო მდებარეობს შავი ზღვის პირას და გააჩნია უძველესი და უმდიდრესი ისტორია. ქართველმა ხალხმა შექმნა უმაღლესი კულტურა. თანამედროვეობის გამოჩენილი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი ქართულ სიმღერაზე ამბობს: „ეს არის საუკეთესო მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენიაო".

ინსტრუმენტები (სალამური, ჩონგური, ფანდური) გადმოსცემენ უზუსტეს ხმოვანებას, რომელიც საუკუნეების სიღრმეში დაიბადა. თავისი შესანიშნავი სიმღერებითა და ცეკვებით „მართვე" ინარჩუნებს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.


კონცერტი დაიწყო „მრავალჟამიერით", სიმღერებს შორის სრულდება ცეკვები და ყოველივე ეს ქმნის დიდ, ულამაზეს ზეიმს. ეროვნული ტანსაცმლით (ჩოხები) შემოსილი, წელზე ხანჯალშემორტყმული პატარა ბიჭუნები, მაყურებელს თავიანთი ხალხის ვაჟკაცურ სულს გადასცემენ.

კლასიკური ოპერისა და დასავლური მუსიკის საპირისპიროდ, „მართვე" უბრუნებს

მაყურებელს სიმღერის შესრულების პირველყოფილ ბუნებრივ სილამაზეს.

სახუმარო სიმღერებში ბიჭუნები მშვენივრად ბაძავენ ძაღლებს, ფრინველებს და სხვ.

კონცერტის აპოთეოზად იქცა „მართვეს" მიერ ცნობილ იაპონურ ანსამბლ „იამასიროგუმთან" ერთად შესრულებული „აკატომბო" (ჭრიჭინა) და ქართული სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ". ამ სიმღერებმა იმდენად შეძრა და ისე აუჩუყა გული მაყურებელს, რომ ბევრი მათგანი ატირდა. უმდიდრესი და ურთულესი პოლიფონიის დახვეწილი შესრულებით „მართვე" შესანიშნავად აერთიანებს ხალხური ხელოვნების უძველეს ტრადიციებს. თავისი არაჩვეულებრივი ხელოვნებით „მართვემ" გვიჩვენა 21-ე საუკუნეში მუსიკალური კულტურის განვითარების გზა".



ლოტბარი რამინ მიქაბერიძე

ბატონმა იამასირომ შეასრულა თავისი დანაპირები და ერთი წლის შემდეგ „მართვე" მეორედ გაემგზავრა იაპონიაში. ტრადიციისამებრ, მოსკოვამდე მშობლებმა გაგვაცილეს. სასტუმროში მათთან ერთად მოვთავსდით. „მართვე" ჩვენ ზევით სართულზე დააბინავეს. საღამოს ჩვენ ნათელა ჯიღაურის „ლუქსში" გავშალეთ პურმარილი, თამადამ – ზაურ ცინცაძემ ბავშვებს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა, „ჩემი ზურიკო ჯერ კალთიდან არ მომიშორებია და ასე შორს როგორ გავუშვა", – ცრემლებად იღვრებოდა ზაურის მეუღლე ნუნუ. ზურიკელა ცინცაძე „მართვეში" ყველაზე პატარა იყო ტანითაც და ასაკითაც. ეს მისთვის პირველი გასტროლი იყო უცხოეთში. კარებზე დააკაკუნეს. სართულის მორიგეა, – თქვა ნელი ბუზიაშვილმა. „Кто здесь старший?" იკითხა შუახნის ქალმა, ნათელა ჯიღაური წამოდგა. „Извините, но ваши дети шумят и спать не дают туристам".

მე და ნათელა გამოვედით ოთახიდან და ადმინისტრატორს გავყევით. ოთახის წინ, სადაც „მართვემ" ივახშმა, დიდი ფოიე სავსე იყო უცხოელი ტურისტებით. „მართვეს" ბიჭები გამოსულიყვნენ და მათთვის მღეროდნენ. ჩვენ გვინდოდა ბავშვები დაგვეტუქსა, მაგრამ უცხოელებმა არ დაგვანებეს და გვთხოვეს, ნება დაგვერთო ბავშვებისთვის, რომ ცოტა ხანს კიდევ ემღერათ. იმპროვიზებული კონცერტი კარგა ხანს გაგრძელდა. უცხოელები დასაძინებლად აღარ მიდიოდნენ. ისინი სუვენირებს ჩუქნიდნენ პატარა მომღერლებს, სანამ ადმინისტრატორი არ დაგვემუქრა: „Если не разойдётесь, сейчас же вызову милицию".

იაპონიაში გასტროლის წინ, რასაკვირველია, მილიცია არავის უნდოდა.

ჩვენ ჩასვლამდე ორი დღით ადრე იაპონური გაზეთები რეკლამებს ბეჭდავდნენ და იუწყებოდნენ „მართვეს" მომავალი გასტროლის შესახებ:

„ჰარმონია, სილამაზე. მშვენიერება – „მართვე" საქართველოდან". „2 ნოემბერს ქალაქ ტუკუბაში გაიმართება „მართვეს" კონცერტი. მის შემადგენლობაში არიან 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები. ეს ანსამბლი შექმნა საგუნდო ხელოვნების თვალსაჩინო სპეციალისტმა და მკვლევარმა ანზორ ერქომაიშვილმა. ანსამბლი „მართვე" ბევრად აღემატება ვენის ბავშვთა კაპელას (ავსტრია).

„სრულყოფილი ხელოვნება!"

„საქართველოს რესპუბლიკის ბიჭუნების გუნდი „მართვე" ხვალიდან კვლავ გამართავს კონცერტებს იაპონიაში. ძლიერი ხმებისაგან მოქსოვილი საოცარი (სასწაულებრივი) ჰარმონია, იშვიათი პოლიფონია. ასეთი სიმღერები მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი.

საქართველო დღეს ცნობილია თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით. მისი დიდებული ტრადიციები და სული გამოხატულია მის სრულყოფილ ხელოვნებაში".

„იაპონიას კვლავ ესტუმრა ბიჭუნათა ცნობილი ანსამბლი „მართვე" საქართველოდან. 25 ოქტომბერს ნარიტას აეროპორტში ჩამოფრინდა ბავშვთა ანსამბლი. იაპონიაში ადრე არ იცნობდნენ ქართულ გუნდურ ხელოვნებას. მისი გაცნობა 1987 წლიდან დაიწყო, როცა ფირმა „ვიქტორმა" გამოუშვა ლაზერის ორი აუდიოფირფიტა, რომელზედაც ქართული ხალხური სიმღერები იყო ჩაწერილი; ამას მოჰყვა დიდი წარმატებით ჩატარებული ანსამბლ „რუსთავის" გასტროლები. ქართული სიმღერის თვითმყოფადობა მის მრავალხმიანობაში გამოიხატება. ამ სიმღერებს ახასიათებს ურთულესი პოლიფონია და განსაკუთრებული რიტმი.

ქართული საგუნდო სიმღერების შესრულების მანერა დასავლეთის ბელკანტოსაგან დიდად განსხვავდება, მას ახასიათებს იაპონელებისათვის უცნობი „ნონვიბრატო".

„მართვეს" შემადგენლობაშია ახალგაზრდა თაობა, რომელიც ძველი სასიმღერო კულტურის მემკვიდრე და შემნახველია. „მართვე" სცენაზე წარმოადგენს ხმების ორკესტრს, რომელიც სოლისტებს მართლა ორკესტრივით ჰყვება.

„მართვემ" თავისი კონცერტებით ცნობილი მუსიკოსების დიდი სიმპათიები დაიმსახურა. მას ჩატარებული აქვს 800-ზე მეტი კონცერტი, როგორც თავის სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ფირმა „მელოდიამ" და იაპონურმა ფირმა „ვიქტორმა" უკვე გამოუშვეს „მართვეს" ფირფიტები და ლაზერის აუდიოფირფიტა".

ასეთი რეკლამის შემდეგ „მართვეს" წინაშე უფრო დიდი ამოცანები იდგა და პასუხისმგებლობაც მეტი იყო. ხომ წარმოგიდგენიათ, ორმოცმა პატარა ბიჭმა უნდა წარმოაჩინოს მთელი საქართველო, რომელიც სადღაც მიკარგულია სსრ კავშირის რუკაზე და რომელსაც დღემდე რუსეთს ეძახიან. გარდა კონცერტისა, უცხოეთში ჩვენი მოვალეობა იყო დარბაზისათვის გაგვეცნო საქართველო, მისი ისტორია, გეოგრაფიული მდებარეობა, კულტურა და აგვეხსნა, რომ ჩვენ რუსები არა ვართ, გვაქვს საკუთარი ენა და დამწერლობა.

ამას ემატებოდა ისიც, რომ იაპონიაში ამჯერად მხოლოდ მომღერალთა გუნდი იყო მიწვეული.

ამ გასტროლების წინა პერიოდში „მართვეში" ლოტბარად მოვიწვიეთ შესანიშნავი მუსიკოსი და არაჩვეულებრივი პედაგოგი კოტე მშვიდობაძე. ჩვენ ერთად მოგვიხდა საგასტროლო პროგრამის მომზადება და, წინა გასტროლების გამოცდილების გათვალისწინებით, პროგრამაში ცვლილებები შევიტანეთ. კიდევ ერთი დეტალი: გას-

ტროლები დაგეგმა და საამისოდ მთელი ხარჯები გაიღო ბატონმა იამასირომ, და თუ გასტროლები წარმატებით არ დამთავრდებოდა, მაშინ იამასირო უდიდეს ვალებში ჩავარდებოდა. ეს კიდევ მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო „მართვეს" მეორე გასტროლი იაპონიაში. კონცერტები დაგეგმილი იყო დიდ და პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში.

ახლა გასტროლებზე დეტალურად აღარ შევჩერდები, წინდაწინ გეტყვით, რომ „მართვემ" ფურორი მოახდინა. დარბაზები გაჭედილი იყო ხალხით და ეს თავდაჭერილი მსმენელი, გაწონასწორებული და თითქმის უემოციო, კონცერტის შემდეგ თავს ვერ იკავებდა, ოვაციებსა და შეძახილებს ბოლო აღარ უჩანდა, იაპონელების ალყაში მოქცეული ბავშვები გასახდელში ვეღარ შედიოდნენ.

იაპონიაში მოგზაურობისას ჩვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იამაშიროს გუნდმა: ის, რაც მათ გააკეთეს ჩვენთვის, დაუვიწყარია. იმის გარდა, რომ ყველა კონცერტზე გვემსახურებოდნენ, როგორც ტექნიკური პერსონალი, კონცერტის ბოლოს სცენაზე გამოდიოდნენ და ჩვენთან ერთად მღეროდნენ ფინალში, რითაც მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევდნენ.

გასტროლები დაგეგმილი იყო უმაღლეს დონეზე. ბატონ იამასიროს არც კულტურული პროგრამა დავიწყებია. ეწყობოდა შესანიშნავი ექსკურსიები. ჩვენს ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ იაპონური „დისნეილენდის პარკი", სადაც „მართვემ" მთელი დღე გაატარა. ეს იყო მათ ბიოგრაფიაში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება: მოგზაურობა კოსმოსში, ამერიკული ავტორალები, მოგზაურობა შიშის სამყაროში, ჯუნგლებში, ბრძოლები ზღვაზე, თოჯინების ორკესტრი და მათი აღლუმი, შეხვედრები დისნეის ზღაპრების გმირებთან და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ. ჩვენს ბავშვებს ისეთი სახეები ჰქონდათ, სხვა სამყაროდან ჩამოსულებს ჰგავდნენ.

ჩვენ გულდაწყვეტილებმა დავტოვეთ პარკი... ასეთი სანახაობით ტკბობა ყველა ბავშვმა უნდა განიცადოს.

იმ დღეს კონცერტი არ გვქონდა, ბავშვები თავისუფალი იყვნენ და მთელი ღამე ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

კიდევ ერთი შესანიშნავი ექსკურსია ჩატარდა ტოკიოს ზოოპარკში, რომელიც დაგეგმილი არ ყოფილა. ჩვენს ერთ-ერთ კონცერტს თურმე ზოოპარკის დირექტორი დაესწრო და თავისი აღფრთოვანება „კაცობრიობის უმაღლესი მუსიკის" მიმართ (როგორც იაპონურმა პრესამ შეაფასა ქართული ხალხური სიმღერები) იმით გამოხატა, რომ „მართვე" ზოოპარკში მიიპატიჟა. ტოკიოს ზოოპარკში ცხოველები ისევე თავისუფლები არიან, როგორც ადამიანები იაპონიაში. ზოოპარკის მთელ ტერიტორიაზე ვერ ნახავთ ვერც ერთ გალიას; ცხოველები თავს საკუთარ სამყაროში გრძნობენ, არ არიან შეზღუდულები არაფრით და არაფერზე უხდებათ ზრუნვა. აქ ადამიანები შემოდიან ავტობუსებით და იქიდან ათვალიერებენ ცხოველებს, რომლებიც მათ არ ერიდებიან, პირიქით, ახლოს მიდიან მათთან. ავტობუსიდან ჩამოსვლა შეიძლება მხოლოდ ყველაზე უსაფრთხო ზონებში, სადაც ფრინველები და უწყინარი ცხოველები ბინადრობენ.

ჩვენი ბავშვები ინტერესით აკვირდებოდნენ ლომებს, ვეფხვებს, მარტორქებს და სხვა უზარმაზარ მხეცებს.

ძალიან „დაგვიმეგობრდა" ერთი ჟირაფი, რომელიც ჩვენს მანქანას ჯერ წინ დაუდგა, მერე გვერდიდან მოგვიარა და თავი შემოყო ფანჯარაში. ბავშვები ეფერებოდნენ

და კოცნიდნენ ამ უზარმაზარ, უწყინარ ცხოველს, რომელიც მოფერებითვე პასუხობდა ჩვენს ბავშვებს. დათო გერსამიამ სიმღერა წამოიწყო, „მართვე" მღეროდა, აინტერესებდათ ჟირაფის რეაქცია. ისიც გაიტრუნა, თვალები მილულა და სიამოვნებით უსმენდა სიმღერას. ბავშვები ველარ შორდებოდნენ ჟირაფს, რომელიც ხან ერთ ფანჯარაში შეყოფდა თავს და ხან მეორეში.

ზოოპარკში ბევრი ისეთი ცხოველი ვნახეთ, მხოლოდ წიგნებში ან ტელეგადაცემა „ცხოველთა სამყაროში" რომ გვენახა. მათ ემსახურება მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, რომლებიც მოტოროლერებითა და ურიკებით ეზიდებიან საკვებს და ისე არიან „დაძმობილებული" ცხოველებთან, რომ მხეცებთანაც ყოველგვარი დაცვის გარეშე მიდიან.

ეს ცხოველები არავის მიმართ არ არიან აგრესიულები, რადგან ყველაფერი აქვთ, რაც არსებობისთვის სჭირდებათ: საკვები, სივრცე, თავისუფლება. ყოველივე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ბავშვებმა თქვეს: „ნახეთ, აქაური ცხოველები რა თავისუფლები არიან, ჩვენს ზოოპარკში კი ცხოველები დაპატიმრებულები არიან. მათ სევდიანი თვალები აქვთ, რადგან უდანაშაულოდ მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. ზოგიერთი უფრო საშიში დამნაშავე ადამიანი თავისუფალი დადის, ხოლო უწყინარი და უდანაშაულო ცხოველები კი დაპატიმრებული არიან. რატომ? მოდით, – გვითხრეს მათ, – როცა თბილისში ჩავალთ, იქნება ვთხოვოთ მთავრობას, რომ ჩვენი ზოოპარკის ცხოველები გაათავისუფლონ. მერე იქნება მთელმა მსოფლიომ მოგვბაძოს და ყველა ცხოველი განთავისუფლდეს."

ექსკურსია დამთავრდა. ბავშვები ისე დაუმეგობრდნენ ზოგიერთ ცხოველს, რომ



ძლივს გამოვიყვანეთ ზოოპარკიდან. ყოველივე ეს ვიდეოფირზე აღბეჭდა ჩვენმა სახელოვანმა ოპერატორმა, ბატონმა იური ბარამიძემ.

გასტროლები იაპონიაში წარმატებით დამთავრდა. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს გამოსვლებს: „საოცარი ხმების ორკესტრი“.

„საქართველოდან – ქვეყნიდან, რომელიც გამოირჩევა თავისი ტრადიციებით და გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე – იაპონიაში ჩამოვიდა ბიჭუნების გუნდი, გასაოცარი ხმების ორკესტრული ჟღერადობით.

საქართველო უძველესი ქვეყანაა. იგი იყო შემაერთებელი ხიდი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურებს შორის. თქმულებანი ამ ქვეყანაზე შემოგვინახეს ბერძნულმა მითებმა.

საგუნდო მუსიკა, რომელიც გამოირჩევა დახვეწილობითა და თვითმყოფადობით, ისეთივე უძველესია, როგორც ეს ქვეყანა. გამოჩენილმა მუსიკოსმა სტრავინსკიმ იგი შეაფასა, როგორც „უმაღლესი მუსიკა, შექმნილი ადამიანის მიერ“.

ამ გუნდის პირველივე მოსმენისას გაგაოცებთ სხვადასხვა სიძლიერის ხმებისა და მდიდარი „სულის ჟღერადობის“ ჰარმონია.

ის მომხიბლაობა, რომელიც ამ მუსიკას ახლავს, აჯადოებს მსმენელსა და შემდგომში ყურს აღარ ავიწყდება“.

„იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა“.

1991 წ. 1 თებერვალი

„საოცარი ჰარმონია – საქართველოს ბიჭუნათა გუნდი „მართვე“ იაპონიაში“.

„შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით შემოფარგლული უძველესი კულტურის მატარებელი ხალხის ქვეყანა – საქართველო – ახლა ყველას ყურადღებას იპყრობს. ეს გაზაფხული ძალიან დატვირთულია მოვლენებით: საქართველოს სახელმწიფო თეატრის გასტროლები, ქართული კინოს დღეების გახსნა. ამ მოვლენათა რიგში დგას საქართველოს ტრადიციული კულტურის ბრწყინვალეება – რესპუბლიკის ბიჭუნების გუნდ „მართვეს“ ჩამოსვლა იაპონიაში.

საქართველო არის ქვეყანა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კულტურები ძველთაგანვე ხვდებოდა ერთმანეთს. იგი არის მდიდარი ქვეყანა, რომელმაც თავის სიდიადეს ბრწყინვალე მზის წყალობის მიღებით მიაღწია, როგორც ეს ბერძნულ მითებშია მოხსენიებული. აქ მცხოვრებმა ამაყმა ხალხმა, დიდებული ბუნების ხელშეწყობით, სხვადასხვა ქვეყნის კულტურებიდან მათი არსი ამოკრიფა და შექმნა საკუთარი თვითმყოფადი კულტურა, კერძოდ, ტრადიციული საგუნდო მუსიკა (პოლიფონია), რომელსაც გამოჩენილმა კომპოზიტორმა სტრავინსკიმ „კაცობრიობის უდიდესი მუსიკა“ უწოდა.

კარიბის ზღვისა და ჩრდილოეთ აფრიკის მუსიკა ჩვენს თანამედროვეობაში დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ არსებობენ მუსიკის თაყვანისმცემლები, რომელთაც ეს არ აკმაყოფილებთ და მათი ყურადღება მიპყრობილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მუსიკისადმი. ბულგარული პოლიფონია სწორედ ის პირველი მერცხალია, რომელმაც შარშანწინ უდიდესი ბუმი გამოიწვია.

ბულგარეთის ქალთა გუნდის დარად შესანიშნავი იყო ბიჭუნათა გუნდი საქართველოდან. ძლიერი ხმების, მოგუგუნე ბანებისა და წკრიალა დისკანტების მიერ შექმნილი უცნაური ჰარმონია ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს და ხიბლავს ყველას, ვინც ამ სიმღერებს მოისმენს.

საქართველოს რესპუბლიკის ბიჭუნათა გუნდი „მართვე“ შეიქმნა 1976 წელს ცნო-

ბილი ქართველი მუსიკოსის ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ჰარმონია, რომელსაც ქმნიან 6-დან 18 წლამდე ასაკის ბიჭები, მართლაც „ხმების ორკესტრს“ წარმოადგენს.

ეს ხმები ქმნის პოლიფონიას, რომელიც აშკარად და სრულყოფილად გამოხატავს ქართველების ამაყ სულს. 1980 წელს იუნესკოს საერთაშორისო კონფერენციაზე მსოფლიოს 30 ქვეყნიდან ჩამოსულმა მუსიკოსებმა ერთსულოვნად გამოთქვეს უდიდესი აღფრთოვანება და აღიარეს ეს შთამბეჭდავი დებიუტი საუკეთესოდ.

შემდგომში, სხვადასხვა ქვეყნებში თავისი გამოსვლების დროს, ამ ანსამბლმა აღფრთოვანების ქარიშხალი გამოიწვია.

მსოფლიოს მუსიკის მოყვარულებზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ ის ადამიანებიც კი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ დღემდე მოსმენილი მუსიკის, გამო, დუმილით ვერ აუვლიან გვერდს ამ მართლაც შესანიშნავ გუნდს“.

იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ სამი დღე ვრჩებოდით მოსკოვში საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის დარბაზში ტარდებოდა. ფესტივალზე მოწვეულნი იყვნენ გუნდები უცხოეთის რამდენიმე ქვეყნიდან, მათ შორის იყო ჰონკონგის შესანიშნავი ბავშვთა გუნდი, რომელსაც გამოჩენილი მუსიკოსი, პროფესორი უიპ ვაი-ჰონგი ხელმძღვანელობდა. ჩვენი ჰოლანდიელი მეგობრისა და იმპრესარიოს, იან პეპინგის რეკომენდაციით, ჩვენ ეს გუნდი მოწვეული გვყავდა თბილისში. მან წარმატებით მოიარა მთელი ევროპა და ჩვენთანაც რამდენიმე დასამახსოვრებელი კონცერტი გამართა. ჰონკონგელი ბავშვები „მართვეს“ ბიჭებთან დაბინავდნენ, ხოლო მისი ხელმძღვანელი უიპ ვაი-ჰონგი ჩვენი ცნობილი მუსიკოსის ბადრი თოიძის ოჯახში ცხოვრობდა. ბადრი თოიძის ორი ვაჟი – ირაკლი და ამიკო მაშინ „მართვეს“ სოლისტები იყვნენ.

ბატონი პროფესორი და მისი ანსამბლის წევრები უაღრესად კმაყოფილი იყვნენ ქართველთა თბილი მიღებით, უკმაყოფილონი იყვნენ მხოლოდ მასპინძლები: „ჩვენ მთელი ქართული სამზარეულო მოვუმზადეთ და ესენი ბრინჯის გარდა არაფერს ჭამენო“.

დასამახსოვრებელი იყო ჰონკონგელების კონცერტი „მართვესთან“ ერთად, რომელიც თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა; თბილისელ მაყურებელს ალბათ დღემდე ახსოვს ორი სრულიად განსხვავებული სტილისა და საშემსრულებლო მანერის მქონე ანსამბლის ხელოვნება. ჰონკონგელმა ბავშვებმა შეასრულეს თავიანთი ქვეყნისა და ევროპელი კლასიკოსების ნაწარმოებები. დიდი მაესტროს, პროფესორ უიპ ვაი-ჰონგის დირიჟორობით გუნდი არაჩვეულებრივად სუფთად ჟღერდა.

ცნობილი მაესტრო დაინტერესებული იყო მოსკოვში ჩვენი ანსამბლის ჩაწერა-გადაღებით, რათა სარეკლამო მასალები მოემზადებინა „მართვეს“ ჰონკონგში მისაწვევად. უიპ ვაი-ჰონგს გავატანეთ იაპონიიდან ჩამოტანილი სარეკლამო მასალები: კომპაქტური დისკი, ბუკლეტები, ფოტოები, საგაზეთო რეცენზიები და სხვა.

- ახლა ვიცი, რა უნდა გავაკეთო, თქვენ დიდი წარმატება გელით ტაივან-ტაილანდში, – გვითხრა უიპ ვაი-ჰონგმა გამომშვიდობებისას.

ცოტა ხნის შემდეგ „მართვემ“ მიიღო მიწვევა ტაივან-ტაილანიდან.

1991 წლის 17 მარტს მოცეკვავეთა ანსამბლთან ერთად, რომელსაც ფრიდონ სულაბერიძე ხელმძღვანელობდა, „მართვემ“ ლაინერ „ილ-62“-ით გეზი მოსკოვიდან ბანგკოკისაკენ აიღო. თვითმფრინავი ჯერ ტაშკენტში დაჯდა საწვავის შესავსებად, მერე – ყარაჩში, სადაც თვითმფრინავიდან არ ჩამოგვიშვეს, ვინაიდან იქ საომარი

მდგომარეობა იყო. ყარაჩის შემდეგ დელიში გავფრინდით, დელიდან ვიფრინეთ ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში, სუყველა ქამრებით მიგვაბეს საზურგეზე. ასე „შეკრულებმა“ ვიფრინეთ და 16 საათის ფრენის შემდეგ, როგორც იქნა, ბანგკოკში ჩავფრინდით.

ასეთი მძიმე ფრენისგან შემდეგ ბავშვებს თავბრუ ეხვეოდათ.

„ამდენი, მგონი, ჩკალოვსაც არ უფრენიაო, – იხუმრა ანსამბლის თარჯიმანმა, ბატონმა ჯუმბერ ჩოლობარგიამ, რომელიც მთელი ამ მძიმე ფრენის განმავლობაში კოტე მშვიდობაძესთან ერთად ართობდა თვითმფრინავის რყევისაგან ღონემიხდილ ბავშვებს.



ლოტბარი კოტე მშვიდობაძე

მოსკოვიდან გამოფრენის წინ ძალიან ციოდა, ამიტომ ბავშვებს თბილი ტანსაცმელი ეცვათ. ბანგკოკში კი სიცხე 40°C -ს აღწევდა.

ბავშვებმა სასწრაფოდ გაიხადეს ტანსაცმელი და ავტობუსებში მაისურებითა და ტრუსებით მოთავსდნენ.

სასტუმროს შენობის კედელზე ხვლიკები იყვნენ თავდაყირა „მიწებებული“, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ხვლიკები ოთახებშიც დაგეხვდა, ისინი ლოგინებზე დაცოცავდნენ. როცა შეწუხებულებმა პროტესტი განვაცხადეთ, სასტუმროს ადმინისტრაციამ გვითხრა: „ეგ ჩვენთან ჩვეულებრივი ამბავია, ნუ გეშინიათ, არ იკბინებიანო“. ბავშვებს თითქმის არ უძინიათ. ნახევარი ღამე დერეფანში გაატარეს. ბანგკოკში ერთი ღამე დავრჩით. მეორე დილით სასტუმროში გვქონდა სარეკლამო გადაღება. გადაღების შემდეგ „ბოინგ-747“-ით გავფრინდით კუნძულ ტაივანზე. იქ ძალიან კარგად მიგვიღეს. მოგვათავსეს მაღალი კლასის სასტუმროში, მაგრამ ახლა სხვა პრობლემამ იჩინა თავი. გარეთ 40°C -ზე მეტი სიცხე იყო, სასტუმროში ჩართული იყო კონდიციონერები და მთელი ღამე ციოდა. ჩვენი ბავშვები მიუჩვეველნი იყვნენ ტემპერატურის ასეთ ცვალებადობას. გაცივდნენ და რამდენიმე მათგანს მაღალი სიცხეც მისცა. მიუხედავად ამისა, ტაივანზე ჩვენი კონცერტები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ჩვენს მოცეკვავეთა ანსამბლს, რომელსაც რამდენჯერმე ამეორებინებდნენ ცეკვებს. ასეთ სიცხეში ცეკვის განმეორება ადვილი არ არის და კონცერტის შემდეგ ბავშვები არაქათგამოცლილები სხდებოდნენ ავტობუსებში. კონცერტები გავმართეთ ტიბეიში, ჰაჯონში, კიულჩონგში, ტაიჯონსა და სხვა ქალაქებში.

ტაივანიდან გავფრინდით კუნძულ ბონჰეიზე, ვიფრინეთ პატარა თვითმფრინავით, რომელიც ცუდი ამინდის გამო პეპელასავით აწყდებოდა აქეთ-იქით და არ გვეგონა, ცოცხლები თუ ჩავიდოდით ადგილზე. როგორც იქნა, ჩვენი თვითმფრინავი დაჯდა, მაგრამ გარეთ ისეთი ქარი ქროდა, რომ ძლივს მივაღწიეთ აეროპორტის შენობამდე.

როცა ამის შესახებ ვუთხარით დამხვდურებს, მათ გვიპასუხეს, რომ დღეს ყველაზე კარგი ამინდია, თქვენ ცუდი ამინდი არ გინახავთო.

იმ კუნძულზე ერთი კონცერტი ჩავატარეთ დიდი წარმატებით. დარბაზში ტევა არ იყო, მაყურებლის დიდი ნაწილი ფეხზე იდგა. ისინი გაოგნებულები უყურებდნენ ამ „დიდთვალება“ უცხოქვეყნელ გოგო-ბიჭებს, რომლებმაც მათთვის მეტად უცნაური ხელოვნება აჩვენეს.

უკან, ტაივანზე დაბრუნებისას, შედარებით მშვიდობიანად ვიმგზავრეთ.

ამის შემდეგ ბანგკოკში კიდევ რამდენიმე კონცერტი გავმართეთ. აუტანელი სიცხის გამო კონცერტები გვიან ღამით იწყებოდა. ჰაერი არ გვყოფნიდა. ეს ორი კვირა ჩვენთვის შეუჩვეველი კლიმატის პირობებში ძალიან გაგვიჭირდა. კონცერტამდე ბავშვები მთელ დღეს აუზში ჭყუმპალაობდნენ, საღამოს ქალაქში სეირნობდნენ. ჩვენი ბიჭები ყველასგან გამოირჩეოდნენ თავიანთი „ახოვანებითა“ და დიდი თვალებით. „მართვეში“ ყველაზე პატარა ზურიკო ცინცაძე ხუმრობდა: „ჩემზე პატარა თუ ვინმე კიდევ დადიოდა დედამიწაზე, აღარ მეგონა და ამათთან კალათბურთელივით ვჩანავარო“.

„მართვეს“ ბიოგრაფიაში ეს მოგზაურობა გამორჩეულად დასამახსოვრებელი იყო, რადგან იგი ჩვენთვის უცნაურ ქვეყნებში და განსაკუთრებულ პირობებში ჩატარდა. გაფართოვდა „მართვეს“ გასტროლების გეოგრაფიაც. როცა მოსკოვში ჩამოვფრინდით, ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა, თითქოს უცხო პლანეტიდან დავბრუნდით.

* * *

1991 წლის მაისში „მართვე“ გერმანიაში მიიწვიეს ქ. ჰალეში ბავშვთა გუნდების საერთაშორისო ფესტივალზე, ჩვენი მიწვევა განაპირობა ბერლინში მანფრედ როსტის კონცერტებში მონაწილეობამ.

ჰალეში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ბავშვთა მრავალი გუნდი ჩამოვიდა.

მოგეხსენებათ, საქართველოში ამ დროს ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო.

ფესტივალი 7 მაისს გაიხსნა. 12 საათზე გუნდებისა და ორკესტრების უზარმაზარი კოლონა დაიძრა ქალაქის ქუჩებში. ოცზე მეტი ბავშვთა გუნდი, ნაციონალურ კოსტიუმებში ჩაცმულები, თავიანთი სახელმწიფო დროშებით მოდიოდა. „მართვე“ ჩოხებში გამოწყობილი მოაბიჯებდა. კოლონას თავში ედგა გიორგი ბუგიანიშვილი, რომელსაც საქართველოს დროშა ეჭირა. მის უკან მოჰქონდათ ტრანსპარანტი წარწერით: „საქართველო“. მართალი გითხრათ, „მართვე“ ყველასგან გამოირჩეოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ერთადერთი გუნდი იყო, სადაც მხოლოდ ბიჭები მონაწილეობდნენ, მეორეც, ჩვენი შინდისფერი ჩოხები მეტად ლამაზად გამოიყურებოდა სხვა ქვეყნების ეროვნული კოსტიუმების ფონზე. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა ქუჩებში გამოფენილიყო. დანარჩენები ფანჯრებიდან იყურებოდნენ. მოკლედ, ფესტივალის გახსნა ქალაქის დღესასწაულად იქცა.

მართლაც მშვენიერი სანახავი იყო, როცა გუნდები რიგრიგობით მღეროდნენ ან ორკესტრი უკრავდა. „მართვე“ მგზავრული სიმღერებით მიდიოდა ჰალეს ქუჩებში. მაყურებელი გულწრფელი ტაშით გვაჯილდოვებდა.

მერე ეს გუნდები შეგროვდნენ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და ერთად შეასრულეს საფესტივალო სიმღერა ორკესტრის თანხლებით. ეს სიმღერა სპეციალუ-

რად დაიწერა ფესტივალისათვის და გუნდებმა იგი წინასწარ შეისწავლეს.

ფესტივალი გახსნა ქალაქის მერმა. სიტყვით გამოვიდნენ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. საღამოს ქალაქის რამდენიმე თეატრსა და საკონცერტო დარბაზში გაიმართა საფესტივალო კონცერტები. ფილარმონიის საუკეთესო დარბაზში, სადაც „მართვე" გამოდიოდა, ტევა არ იყო. ფოიეში გამოკრული წარწერა გვამცნობდა, რომ გროვდებოდა ფული თბილისელი ბავშვების დასახმარებლად. ტელევიზიით ყოველდღე გადაიცემოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ხალხი გულწრფელად თანაგვიგრძნობდა.

ჩვენი კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. კონცერტის შემდეგ ქალაქის მერმა გვითხრა, რომ ფესტივალზე სოლიდური თანხა შეგროვდა ქართველი ბავშვების დასახმარებლად.

გარდა ამისა, ჰალეს ოლქი აგროვებდა დიდძალ ჰუმანიტარულ დახმარებას და ეს ტვირთი შეგროვილ ფულთან ერთად საქართველოში უნდა გაგზავნილიყო, ოღონდ საჭირო იყო თბილისის მერიის თანხმობა. ჰალეს მერიის ოფიციალური წერილი ქალბატონმა ნათელა ჯიღაურმა თბილისის მერიას ჩააბარა. თბილისის მერიამ ეს წერილი უყურადღებოდ დატოვა და პასუხად სამადლობელი ბარათიც კი არ გაუგზავნია.

ჰალეში „მართვე" ცხოვრობდა ქალაქის ერთ-ერთ განაპირა რაიონში, მოსწავლეთა პანსიონატში. როცა პირველად ამ პანსიონატში მიგვიყვანეს, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა – შენობის წინ იდგა ლენინის უზარმაზარი ძეგლი. მაშინ, როცა გერმანია უკვე კარგა ხნის გაერთიანებული იყო, საბჭოთა კავშირი – დაშლილი და ლენინის ძეგლები თვით რუსეთშიაც – განადგურებული, აქ, გერმანიაში, ჰალეში, ამ უძველესი კულტურის ქალაქში, იდგა ლენინის ძეგლი, რომელსაც ყოველ დილით ცოცხალი ყვავილებით ამკობდნენ.

ამ ამბავმა გამახსენა ერთი შემთხვევა: თბილისში, დიღმისაკენ მიმავალ გზაზე, საბურთალოდან რომ ეშვებით, იდგა ლენინის უზარმაზარი ბარელიეფი. ერთ დღეს, უთენია, ოზურგეთისაკენ მივემგზავრებოდი ავტომანქანით და ვნახე საოცრება: ლენინისათვის ვიღაცას რამდენიმე ქართული ლავაში ჩაეტენა პირში. მაშინ ეს იმდენად უჩვეულო ამბავი იყო, რომ მე შევშინდი და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას; რამდენიმე დღეში ის ბარელიეფი აიღეს.

ახლა ისევ ჰალეს დავუბრუნდეთ. მოსვენებას არ მაძლევდა კითხვა: 40 წლის განმავლობაში როგორ შეუცვალეს გერმანელ ხალხს ფსიქოლოგია ისე, რომ როცა ლენინის ძეგლებს თვით რუსეთშიც კი იღებდნენ ან შეურაცხყოფდნენ, გერმანიაში ყვავილებით ამკობდნენ. ამ ამბავს კიდევ ერთი ფაქტი დაემატა: ფესტივალის გახსნის მეორე დღეს ჰალეში ჩამოვიდა გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი. ცენტრალურ მოედანზე თითქმის მთელი ქალაქი შეიკრიბა მასთან შესახვედრად.

ტრიბუნაზე გამოვიდნენ მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ მთავრობას და მის ხელმძღვანელ კოლს, რომელმაც თავი ვერ გაართვა გაერთიანებული გერმანიის ხელმძღვანელობას და ამის გამო ყოფილი გდრ-ის მცხოვრებლები გაჭირვებაში აღმოჩნდნენ. შემდეგ სიტყვით გამოვიდა კოლი. მან თქვა, რომ 40 წელი სამშობლოს მოწყვეტილი, სხვა იდეოლოგიის მატარებელი ხალხი ძნელია ასე მოკლე დროში ცხოვრების დონით გაუთოლდეს ეკონომიკურად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანას. კოლმა იმედი გამოთქვა,

რომ მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდებოდა. მას რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა სტვენითა და ყვირილით. იგი იძულებული გახდა ტრიბუნა დაეტოვებინა. საქმე ამით არ დამთავრებულა, გაბოროტებულმა ხალხმა შუაში მოიქცია კოლი და მისკენ საცემრადაც კი გაიწია. ზოგიერთი მისწვდა კიდეც. ჯერ ქუდი მოხადეს, მერე ხელიც გაარტყეს. ბოლოს და ბოლოს ეს გიგანტი კანცლერი წონასწორობიდან გამოვიდა და ხელჩართულ ჩხუბში ჩაება. მის პირად დაცვას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ კოლი იმ სიტუაციიდან გამოეყვანა. ეს ფაქტი იმ დღეებში არაერთხელ აჩვენა ევროპის ყველა სატელევიზიო არხმა.

ფესტივალის დასკვნით კონცერტზე ტევა არ იყო, ბევრი კიბეებსა და იატაკზეც კი იჯდა. კონცერტი კარგად იყო ორგანიზებული. გუნდებს მხოლოდ ერთი სიმღერის შესრულების უფლება ჰქონდათ, მაგრამ „მართვე" მაყურებელმა სცენიდან არ გაუშვა – მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო გუნდი უკვე სცენაზე იდგა, დარბაზი ფეხზე დადგა და სანამ „მართვეს" სამი სიმღერა არ შეასრულებინა, სცენიდან არ გაუშვა.

* * *

„მართვეს" დაარსებიდან 12 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე „მართვეში" უკვე ორი თაობა შეიცვალა, ძველი „მართველები" კავშირს არ წყვეტენ ჩვენთან და ხშირად შემოგვივლიან ხოლმე, ვინც თბილისში არ არის, ისინი წერილებს გვიგზავნიან. ასეთი წერილები ბლომად მოგვდის. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს:

სალამი, ნათელა მასწავლებელო!

იმედია, კარგად ბრძანდებით, დიდ ბოდიშს გიხდით, რომ აქამდე წერილი ვერ გამოგიგზავნეთ, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის, ახლა სულ რაღაც ნახევარი საათი მოგვცეს დრო და ამიტომაც არ დავაყოვნეთ და გწერთ წერილს, რადგან ვინ იცის, ასეთი თავისუფალი დრო კიდევ როდის გვექნება. თითქმის ორი თვეა კარანტინში ვიმყოფებით. 23 დეკემბერს უნდა მიგვეღო ფიცი, მაგრამ 30 დეკემბრისათვის გადადეს. კარანტინში ცოტათი გვიჭირს, მაგრამ ყველაფერს ვიტანთ. ჯერ ერთხელაც არ გვითქვამს რაიმეზე საყვედური, თუმცა რას იზამ, ჯარია და არც გვაქვს უფლება, რომ ვინმეს ვუსაყვედუროთ. ჩვენ ვცდილობთ, ვიმსახუროთ კეთილსინდისიერად და არ შევარცხვინოთ თქვენი და ჩვენი საამაყო „მართვეს" სახელი. ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ნათელა დეიდა, ორნი ვართ და როცა გაგვიჭირდება, სიმღერას ვიწყებთ, ამით ძალა გვემატება. ისე,



ტყუპი ძმები – ზაზა და სულხან ნინიძეები

მართალი გითხრათ, გაჭირვებისას სიმღერას დიდი ძალა ჰქონია, წამოვიწყებთ პირველ-მეორე ხმაში სიმღერას და მთელი დივიზიონი გაირინდება, ყველა გულდასმით გვისმენს. რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი დაინტერესდა, თუ საიდან ვიცოდით ასეთი სასიამოვნო სიმღერები, როდესაც გაიგეს, თუ ვინ ვიყავით, თქვენს მასწავლებლებს ვენაცვალეთ, ვინც ასეთი ტკბილი სიმღერა გასწავლათო – გვითხრეს.

დიდ მადლობას გიხდით, ნათელა დეიდა, ანზორ მასწავლებელო და რამინ მასწავლებელო, რომ ასეთ საამაყო ანსამბლში გაგვზარდეთ და ასეთი სიმღერები გვასწავლეთ. ჯარში წასვლამდე ხომ სულ თქვენთან ვიყავით, ახლა ჯარში ვართ და გული მაინც თქვენსკენ გვიწევს. როცა ჩამოვალთ, ოჯახს მოვეკიდებით, მაინც თქვენთან ვიქლით რეპეტიციებზე. არ ვიცით რისი მიზეზია, რომ თქვენს კოლექტივს ვერ ვცილდებით, ეტყობა, ისევ სიმღერის სიყვარულია. არ გვავიწყდება ის დღეები, როცა ანსამბლის ჩამოსაყალიბებლად ბავშვებს არჩევდით, ძალიან დაძაბულები ვიყავით და გვეშინოდა, ვაითუ დაგვიწუნონო, მაგრამ როდესაც ანზორ ბიძიას თანხმობის ნიშანი მივიღეთ, იმ წუთში ჩვენზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იყო. ყველაზე ხშირად იმ რეპეტიციას ვიხსენებთ, როდესაც პირველი სიმღერა ვიმღერეთ, ეს იყო საოცარი სიამოვნება, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება.

შეიძლება გაწყენინეთ, გაგაბრაზეთ კიდეც, ნათელა დეიდა, მაგრამ თქვენ, როგორც მშობელი დედა, ანზორ მასწავლებელი და რამინ ბიძია ყოველთვის გვერდში გვედექით. სულ ყოველთვის ჩვენზე ზრუნავდით, რისთვისაც სუყველას კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით.

ახლა ჩვენთან მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადა ჩატარდა, ჩვენ ერთი ქართველი ბიჭი მოვიხმარეთ, რამდენიმე სიმღერა ვასწავლეთ და კონცერტზე შევასრულეთ. პირველი ადგილი მოგვცეს. ჟიურის ერთ-ერთი წევრი ოფიცერი მოვიდა ჩვენთან, მოგვილოცა და გვითხრა: ეს რა ძალა ჰქონია თქვენს სიმღერას, სულ მალე ოფიცერთა სახლში შედგება კონცერტი, სადაც ჩვენი პოლკის სახელით გამოხვალთო.

ჩვენ მე-2 საარტილერიო დივიზიონში გაგვანაწილეს, მაგრამ შეიძლება დაზვერვაში გადაგვიყვანონ.

დიდ ბოდიშს გიხდით, ჩვენო საყვარელო ნათელა დეიდა, ახლა უნდა შევწყვიტოთ წერილის წერა, რადგან თავზე ოფიცერი დაგვადგა და რაღაც დავალებაზე უნდა გაგვგზავნოს.

გილოცავთ, ნათელა დეიდა, თქვენ, ანზორ და რამინ მასწავლებლებო, და მთელ „მართვეს“ ახალ წელს, დაესწარით მრავალს თქვენს ოჯახებთან ერთად, დაე, ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის სიხარულის, წინსვლისა და გამარჯვების წელი.

ზაზა და სულხან ნინიძეები.
25.12.1984წ.

სალამი „მართვეს“!

ამ ბარათს გწერთ თქვენი ყოფილი წევრი, ამჟამად რიგითი ჯარისკაცი კახა გურგენიძე.

ყველანი ძალიან მენატრებით, მენატრება ქართული ხალხური სიმღერები. აქ, ჯარში „კატუშას“ მეტს არაფერს გვამღერებენ, მეშინია, ქართული სიმღერა არ დამავიწყდეს, მაგრამ, ანზორ მასწავლებელო, თქვენს ნასწავლ სიმღერას რა დამავიწყებს,

ისე გიჯდება ეს ჰანგები თავში და გულში.

მე და ჩემი უმცროსი ძმა კობა ერთად ვიხდით სამხედრო სავალდებულო სამსახურს, ლენინგრადის ოლქში, ქ. ტოსნოში. ჩემს ძმას ზოგიერთი სიმღერა ვასწავლე და ვღიღინებთ ხოლმე ორ ხმაში. ბევრ რამეს მიუჩვეველი ვარ და ჯერჯერობით მიჭირს სამსახური. ერთი პირველი ხმა რომ მყავდეს, ბანს ჩემს ძმას ვათქმევინებდი და მეორე ხმაზე მე ვიმღერებდი, დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში მართლა არაფერი არ გამიჭირდებოდა.

დიდ მადლობას ვუხდი ჩვენი მხატვრული აღზრდის სახლის თანამშრომლებს, ანზორ და რამინ მასწავლებლებს, ნათელა დეიდას, უპირველესად იმისათვის, რომ სწორედ „მართვეში“ ყოფნამ და გასტროლებზე სიარულმა მიმაჩვია დამოუკიდებელ ცხოვრებას. აქ უმეტესობას საწოლის გასწორებაც უჭირს, ხოლო ჩემთვის ასეთი ცხოვრება უცხო არ არის.

მოკითხვა „მართვეს“ თითოეულ წევრს, მოკითხვა მათ მშობლებს, რომლებიც მხარში უდგანან ამ ანსამბლს და მის კარგს და ცუდს იზიარებენ.

ერთი დიდი სათხოვარი მაქვს: თქვენ, ჩვენო შემცველელებო, არ შეარცხვინოთ „მართვე“ და შორს გაიტანეთ მისი სახელი.

კახა გურგენიძე
ქ. ტოსნო.

სალამი, ანზორ მასწავლებელო!

გულით და სულით გილოცავთ „მართვეს“ დაარსების 10 წლისთავს. ვწუხვარ, რომ მეც თქვენთან ერთად ვერ ვიზიარებ ამ სიხარულს, მაგრამ კმაყოფილი ვარ იმით, რომ პირნათლად და შეურცხვენლად ვიხდი სამხედრო სამსახურს და თქვენი ნასწავლი ქართული სიმღერით სიამოვნებას ვანიჭებ რუსეთში მყოფ რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ ჯარისკაცებს.

მიხარია, რომ თქვენი სულისკვეთებით გაზრდილმა, აქაც ფრთები შევასხი ქართულ სიმღერებს და ავამღერე ქართველი და სხვა ეროვნების ბიჭებიც.

დიდი მადლობა თქვენ ჩემი დავაჟკაცებისათვის და იმ სულიერი საზრდოსათვის, რომელიც თქვენ მომეცით. იმ რწმენით ვცხოვრობ და ვიცხოვრებ, რომ თქვენი გაზრდილი ვარ და არ უნდა შეგარცხვინოთ, გასახელოთ როგორც აქ, ისე, საერთოდ, ცხოვრებაში.

ძალიან მენატრებით ყველა.

გკოცნით თქვენი „მართვეს“ წევრი ბენაშვილი ზურაბი, ჯარისკაცი ქალაქ გუბკინიდან.



ზურაბ ბენაშვილი

26.05.88 წ.

ზურაბ ბენაშვილმა ღირსეულად მოიხადა ჯარისკაცის მოვალეობა, მერე სწავლა გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში, ოჯახს მოეკიდა, ხელოვნებაშიაც უკვე თავისი სიტყვა თქვა და მისი სახით სამშობლოს ჰყავდა ერთი ლამაზი ახალგაზრდა ხელოვანი კაცი, მომავლის იმედი და საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი, და რაოდენ დასანანია, რომ იმ ავადსახსენებელ წლებში ზურაბ ბენაშვილი მისივე თანამემამულის ტყვიის მსხვერპლი გახდა.

მასთან ერთად იმ პერიოდის არეულ საქართველოს შეეწირნენ: ავთო ყარალაშვილი, გიორგი კერვალიძე, გია სარსევანიძე, ერეკლე ჩალათაშვილი, დათო ახალაძე, დათო ცინცაბაძე, გია საათაშვილი და ის იყო დამთავრდა ამ წიგნის დაწერაც, რომ კიდევ ერთი შესანიშნავი ბიჭი – გიორგი იოსელიანი გამოაკლდა „მართვეს" რიგებს.

საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ უცხოეთთან ურთიერთობებიც გაართულა – ფინანსურ პრობლემებსა და საქართველოს უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, შეწყდა ვიზების მიღება, ტრანსპორტირება. ამ სიძნელეების მიუხედავად, „მართვემ" მოწვევა მიიღო შვეიცარიიდან. მოსაწვევი ბარათი იტყობინებოდა, რომ 1992 წლის მაისში ბაზელში ტარდებოდა ევროპის ქვეყნების საბავშვო მუსიკისა და საგალობლების ფესტივალი, რომლის მენეჯერიც იყო ფესტივალის ერთ-ერთი ინიციატორი და დამფინანსებელი, მდიდარი იურისტი, ბ-ნი კირილ პირინგი. წერილი ქალბატონ ნათელა ჯიღაურის სახელზე იყო გამოგზავნილი. ხანმოკლე თათბირის შემდეგ პასუხი ერთი იყო: მართვეს ხელმძღვანელობა მადლობას უხდიდა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს და სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ახლანდელი ეკონომიკური მდგომარეობა გამგზავრების საშუალებას არ იძლეოდა. ცოტა ხანში მივიღეთ ახალი წერილი. როგორც ჩანს, მასპინძლებმა იმდენად საჭიროდ ჩათვალეს „მართვეს" მონაწილეობა ამ ფესტივალში, რომ მისი მგზავრობის ხარჯები მთლიანად აიღეს თავის თავზე. მეტიც, ფესტივალის გახსნამდე 3 დღით ადრე მიგვიღეს, რადგან თვითმფრინავი ამ მიმართულებით კვირაში მხოლოდ ერთხელ დაფრინავდა.

„მართვე" ბაზელში ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, „სანტა კრიჟონას" ყმაწვილთა სასულიერო სემინარიაში მოათავსეს და ყველა პირობა შეუქმნეს ნორმალური მუშაობისა და დასვენებისათვის.

შვეიცარიაში „მართვეს" წარმატება ჯერ კიდევ ციურიხის რკინიგზის სადგურიდან დაიწყო, სადაც მომღერლებმა დამხვდურთა პატივსაცემად ქართული „მრავალჟამიერი" დააგუგუნეს. სადგურზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, აპლოდისმენტებს ბოლო არ უჩანდა. „ამ ანსამბლს დიდ წარმატებას ვუწინასწარმეტყველებთ", – წერდა გაზეთი „ბაზელ ცაიტუნგი".

ციურიხის სადგურზე, მასპინძლებთან ერთად ყმაწვილებს დახვდა ციურიხში ხანგრძლივი მივლინებით მყოფი თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი ბატონი ნოდარ ბელქანია, რომელიც ანსამბლს არ მოშორებია ფესტივალის ბოლომდე და ყველაფერი გააკეთა „მართვეს" კეთილდღეობისათვის.

ფესტივალში 17 ქვეყნის საუკეთესო გუნდები მონაწილეობდნენ. ისინი კლასიკურ რეპერტუარს და ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ. ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდით: როგორ ჩაჯდება ფესტივალის პროგრამაში ქართული საგალობლები? როგორ მიიღებს მაყურებელი კლასიკური რეპერტუარის ფონზე ქართულ ხალხურ სიმღერებს?

ჩვენი პირველი კონცერტი ბაზელის ერთ-ერთ უდიდეს ტაძარში გაიმართა. ჩვენ ინგლისის, შვეიცარიის, ბელგიისა და იტალიის გუნდებთან ერთად გამოვედით. პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ თითოეულ გუნდს 4-5 ნაწარმოების შესრულებისათვის ეძლეოდა 15 წუთი, მაყურებელი მომღერლებს მხოლოდ გამოსვლის ბოლოს აჯილდოებდა ტაშით.

ჩვენამდე მართლაც მაღალპროფესიული გუნდები გამოვიდნენ. ქართულ ჩოხებში გამოწყობილმა ბიჭუნებმა პირველივე სიმღერით საოცარი ეფექტი მოახდინეს და ყველასათვის მოულოდნელად იგრიალა ტაშმა, ქართულმა სიმღერამ თავისი სიტყვა თქვა: ფესტივალის მკაცრი პროგრამა დაირღვა და 15 წუთის ნაცვლად „მართვეს“ 25 წუთი მოუხდა სცენაზე ყოფნა.

პირველი კონცერტის შემდეგ, 30 მაისის ნომერში გაზეთი „ბაზელცაიტუნგი“ წერდა: „მართვე“ ფესტივალისათვის საჩუქარი იყო, ვინაიდან ამ გუნდმა სრულიად განსხვავებული მუსიკა მოასმენინა მაყურებელს“.

„მართვეს“ შემდეგი გამოსვლა წირვასთან ერთად ჩატარდა ხალხით გადაჭედილ ეკლესიაში. ვერ ფარავდნენ აღფრთოვანებას ამ საოცარი მუსიკით, რომელსაც სინამდვილეში პირველად ისმენდნენ. შესრულდა: „შენ ხარ ვენახი“, „ალილუია“, „წმინდაო ღმერთო“, „აღდგომასა შენსა“, „ქრისტე აღსდგა“, „ღმერთი, უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ“, „ჯვარსა შენსა“ და სხვ. წირვის დასასრულ „მართვემ“ საეკლესიო „მრავალჟამიერი“ შეასრულა, რითაც უდიდესი ეფექტი მოახდინა მსმენელზე. საოცარი აკუსტიკის გამო ეკლესიის დიდი შენობა ისე გუგუნებდა, რომ გეგონებოდათ, 200-კაციანი გუნდი მღერისო.

წირვის დამთავრების შემდეგ მღვდელმა დიდი მადლობა გადაგვიხადა, დაგვლოცა და პატარა ზარიც გვაჩუქა.

მაყურებელი გარეთ გამოვიდა, მაგრამ არ იშლებოდა. ისინი ეხვეოდნენ „მართვეს“ წევრებს, სურათებს უღებდნენ, ავტოგრაფებს სთხოვდნენ. ბევრი მათგანი თვალცრემლიანი გვეკითხებოდა საქართველოს ახლანდელი მძიმე მდგომარეობის შესახებ და ბავშვებს ფულითა და სუვენირებით ასაჩუქრებდა. მაყურებელს აინტერესებდა, თუ სად შედგებოდა ჩვენი შემდეგი კონცერტი, რომ იმასაც დასწრებოდნენ.

ჩამოსვლის დღიდანვე „მართვე“ მიამაგრეს ერთ რესტორანს, რომლის მაგიდები ღია ბაღში იყო გაშლილი და დიდი ტერიტორია ეკავა. ეს რესტორანი ჩვენი საცხოვრებელი სახლიდან ცოტა მოშორებით, პატარა მთაზე, ულამაზეს ადგილას მდებარეობდა. იქიდან ბაზელის ლამაზი ხედი იშლებოდა, ერთი კვირის განმავლობაში „მართვეს“ ყოველდღე აქ უნდა ესადილა და ევახშმა.

პირველ დღეს, საღამოს, მიგვიყვანეს რესტორანში, რომლის პატრონი – მაღალი, როხროხა პეტერი – მხიარული და მოძრავი კაცი აღმოჩნდა. ფესტივალის წარმომადგენლებმა 50 ბავშვი რომ მიუყვანეს თავიანთი პედაგოგებით, პეტერს დიდი აღტაცება არ გამოუხატავს. ბავშვებს მენიუთი გათვალისწინებული ვახშამი მიართვეს და თითო ჭიქა ჩაიც დაალევინეს. მაისის თბილი საღამო იყო, ირგვლივ ხეები შეფოთლილიყო, ჩიტები გალობდნენ, მაგიდები ხეების ძირში იდგა, რესტორანი სანახევროდ იყო სავსე. „მართვეს“ ბავშვებისათვის მაგიდები ერთმანეთს მიადგეს. ნავახშმევს ბიჭებმა ღიღინით „მრავალჟამიერი“ წამოიწყეს.

რესტორანი გაჩუმდა, ჩიტებმა გალობა შეწყვიტეს. მიმტანები გაჩერდნენ. ყველა „მართვესკენ“ მიბრუნდა, სიმღერა ჯერ ღიღინით ისმოდა, მერე ნელ-ნელა ხმას აუწი-

ეს, სიმღერა ბაღიდან გაიჭრა, მერე იმძლავრა და მთელ იმ არემარეს მოედო. ბიჭებმა იგრძნეს ყურადღება და სიმღერა ამაღლებული განწყობილებით დაამთავრეს. ცოტა ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე იქუხა ტაშმა და „ბრავოს“ ძახილმა შეძრა იქაურობა.

რესტორნის დირექტორი, რომელიც აქამდე მონუსხულივით იდგა ერთ ადგილას და არ იძვროდა, ახლა თვალცრემლიანი მოგვიახლოვდა:

„მე მსგავსი რამ არ მომისმენია, თუ შეიძლება, კიდევ ერთი სიმღერა იმღერონ“, – გვთხოვა პეტერმა. ამასობაში რესტორნის სტუმრებმა გაიგეს, ვინ ვიყავით და „მართვეს“ სუფრაზე წამოვიდა კოკა-კოლები და შოკოლადები, ჩვენი ბავშვები ყოველივე ამას მონატრებულები იყვნენ. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და საქმე იმით დამთავრდა, რომ ბავშვებს კოკა-კოლები და შოკოლადები სახლში ყუთებით გაატანეს. რესტორნის დირექტორმა გვთხოვა: ოღონდ ბავშვებმა ყოველდღე სადილის შემდეგ თითო სიმღერა იმღერონ და ჩვენ ვიცით მაგათი პატივისცემაო. მეორე დილით რესტორნის კუთხეში, გზასთან, ასეთი აბრა ვნახეთ: „ჩვენთან სტუმრად იმყოფება მსოფლიოში სახელგანთქმული ბავშვთა გუნდი საქართველოდან, მობრძანდით, იგი თქვენთვის იმღერებს“. მეორე დღეს, სადილზე რომ მივედით, რესტორანი სავსე იყო, ხოლო საღამოს კონცერტის შემდეგ სავახშმოდ რომ მიგვიყვანეს, ადგილი აღარ იშოვებოდა. „მართვეს“ მენიუ უკვე შეზღუდული აღარ იყო. პეტერმა გვითხრა: „მოითხოვეთ, რაც გინდათო“, და მოდიოდა და მოდიოდა „მართვესათვის“ შემწვარ-მოხრაკული და ათასნაირი ტკბილეული.

ამის შემდეგ რესტორანმა შეკვეთებით დაიწყო სტუმრების მიღება. დირექტორმა გვითხრა, ამდენი სტუმარი ჯერ არ გვყოლიაო. რესტორანში მოდიოდნენ ახალგაზრდა წყვილები, შეყვარებულები, მოხუცები. ისინი სიყვარულით ეფერებოდნენ „მართვეს“, ჩუქნიდნენ სუვენირებს, სთხოვდნენ, კიდევ ემღერათ. „მართვესაც“ მეტი რა უნდოდა, კარგად დანაყრებულებს ველარ ვაჩერებდით. უხაროდათ, რომ ყველას ყურადღების ცენტრში იყვნენ.

პეტერმა გამოსამშვიდობებელი ვახშამი გამართა სპეციალურად ჩვენთვის. მოიწვია მთელი ქალაქის საუკეთესო საზოგადოება და არაჩვეულებრივი საღამო მოგვიწყო. იყო მისასალმებელი, გამოსამშვიდობებელი სიტყვები, ცეკვები, სიმღერები, ბავშვები რასაც კი ისურვებდნენ, ყველაფერს უსრულებდნენ, რესტორნის დირექტორი ცრემლებს ველარ იკავებდა.

ფესტივალის ბოლო დღეს ბაზელის ბრწყინვალე საკონცერტო დარბაზში პროგრამის შერჩევის უფლება მოგვცეს. ჩვენ, როგორც საუკეთესო გუნდს, ფესტივალის დახურვა მოგვანდეს. მანამდე, მთელი დღის განმავლობაში, ტელევიზია გადასცემდა ფესტივალის კონცერტებს. ამას გარდა აჩვენეს, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი ბავშვები კონცერტისათვის, როგორ იცვამენ ჩოხებს, როგორ აწყობენ ხალხურ ინსტრუმენტებს, როგორ მეცადინეობენ. ინტერვიუ აიღეს ბავშვებისაგან, ხელმძღვანელებისაგან, მოკლედ, აჩვენეს ჩვენი საკონცერტო „სამზარეულო“, რომელიც საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

„მართვეს“ გამოცხადებისას დარბაზი ფეხზე დადგა და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა პატარა მომღერლებს. იმ დღეს „მართვემ“, გარდა საგალობლებისა, შეასრულა ურთულესი ქართული სიმღერები, მათ შორის „მრავალჟამიერი“, „ხასანბეგურა“, „ნადური“. ყველა ნომერს უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ. ჩვენი საკონცერტო დრო

კარგა ხნის ამოწურული იყო, მაგრამ მაყურებელი ასე იოლად ვერ შეელია „მართვეს“ და სთხოვდა, კვლავ და კვლავ ემღერა.

კონცერტს ბრწყინვალედ დირიჟორობდა ანსამბლის ლოტბარი კოტე მშვიდობაძე, რომელიც იმ დროისათვის უკვე მძიმედ იყო ავად. პრესამ და სპეციალისტებმა აღნიშნეს დირიჟორის უბადლო ოსტატობა და გუნდის მაღალი პროფესიული დონე. კონცერტის დამთავრების შემდეგ კოტემ რამდენჯერმე მოიხადა მადლობა. „მართვე“ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს და სცენაზე წითელი ბანტებით შეკრული ორი დიდი ყუთი გამოიტანეს. ეს იყო პრიზი გამარჯვებულთათვის. ბავშვებს აინტერესებდათ, რა იდო იმ ყუთებში, ამიტომ სასწრაფოდ გაიტანეს ისინი გასახდელში და როცა ყუთებში შოკოლადი აღმოჩნდა, „ოოჰ! კიდევ შოკოლადი?“ – ერთხმად ამოიოხრეს. იმ პერიოდში თბილისში შოკოლადი კი არა, შავი პურიც არ იშოვებოდა.

კონცერტის შემდეგ კოტე მშვიდობაძეს ეხვეოდნენ მაყურებლები და გამარჯვებას ულოცავდნენ. ერთმა მანდილოსანმა, რომელიც სულ ცრემლებად იღვრებოდა, კოტე გულში ჩაიხუტა და აღარ უშვებდა, მერე ჯიბეში 50 მარკაც ჩაუდო. კოტემ შორს დაიჭირა თავი, მაგრამ ქალბატონმა უთხრა: „ეს ჩვენთან მიღებული ფორმაა, მე სუვენირი მინდოდა თქვენთვის მეყიდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ამიტომ, რაც მოგეწონებათ, ჩემ სახელზე იყიდეთო“.

იდგა კოტე მშვიდობაძე საკონცერტო დარბაზის ფოიეში და იღებდა ზღვა მილოცვებს. ეს იყო იშვიათი სანახაობა და ჩვენც სიხარულს ვერ ვფარავდით. სამწუხაროდ, ეს იყო კოტეს უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე. თბილისში რომ ჩამოვედით, იგი მალე გარდაიცვალა, რითაც „მართვეს“ და ქართულ კულტურას უკურნებელი ჭრილობა მიაყენა.

„შეიცარია თქვენ ისევ მოგიწვევთ, რადგან „მართვე“ ამ ფესტივალის მშვენება იყო“, – ასე დაგვემშვიდობა ფესტივალის ხელმძღვანელი, ბატონი კირილ ჰარინგი.

თბილისში დაბრუნებულებმა მალე მივიღეთ ფესტივალის დირექციისაგან ასეთი წერილი:

„მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გუნდის ჩამოსვლისათვის. თქვენ საშუალება მიეცით მსმენელს დიდი სიამოვნება მიეღო თქვენი სიმღერით. პირველ ფესტივალზე თქვენი ასეთი წარმატება განაპირობა მაღალმხატვრულმა საშემსრულებლო დონემ.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მეორე ვიზიტის დროს შესაძლებლობა გვექნება გამოვასწოროთ ყველა ის შეცდომა, რაც ფესტივალის დროს იყო დაშვებული.

ბაზელში თქვენთან გატარებული დღეები და კონტაქტები სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩება.

პირველი ფესტივალის დირექცია.“

* * *

1992 წლის მაისში „მართვე“, შემცირებული შემადგენლობით, მიიწვიეს ვენაში, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე. ვინაიდან ჩვენ ამჯერადაც არავითარი სახსრები არ გაგვაჩნდა, ჩვენი ხარჯები ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა იკისრა.

ვენის ფესტივალის სპონსორი იყო ფირმა „სიტროენი“, მუსიკალური ხელმძღვანელი – მიხაილ როთი, რეჟისორი – გერჰარდ ჰოფერი.

ვენაში მოგვათავსეს ქალაქის ცენტრში მდებარე პატარა სასტუმროში, საოპერო

თეატრთან ახლოს. ფესტივალში ჩვენთან ერთად მონაწილეობდა ევროპის 20-ზე მეტი ქვეყნის გუნდი, მათ შორის რუსულიც (მოსკოვიდან). მოსკოვის გუნდიც ჩვენს სასტუმროში დააბინავეს. ყველა კოლექტივი ჩვენზე ადრე ჩამოსულიყო. ფესტივალის პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ გახსნასა და დახურვაზე ყველა გუნდი ერთად იღებდა მონაწილეობას თეატრალიზებულ მუსიკალურ წარმოდგენაში. ამ წარმოდგენისათვის ნოტები წინდაწინ გაეგზავნათ გუნდებისთვის და უკვე ყველა მონაწილე მზად იყო. ჩვენ მხოლოდ ერთი ღამე გვქონდა რეპეტიციამდე დარჩენილი. იმ საღამოს მთელი მუსიკალური პროგრამა ავითვისეთ. ჩვენს ბიჭებს არ გასჭირვებიათ ერთხმიანი სიმღერების შესრულება. პრობლემას მხოლოდ ტექსტი წარმოადგენდა. მეორე დღეს, რეპეტიციაზე, როცა მუსიკალურმა ხელმძღვანელმა სათითაოდ ამღერა ყველა გუნდი, ჩვენმა ბიჭებმა მოწონებაც კი დაიმსახურეს. არავინ დაიჯერა, რომ ყველაფერი ეს წინა ღამით გვქონდა შესწავლილი, რეპეტიციები ყოველდღე, დილა-საღამოს ტარდებოდა. საღამოს, რეპეტიციების შემდეგ, სასტუმროში ფეხით ვბრუნდებოდით. ბავშვებს არ ეძინებოდათ და გვთხოვდნენ, ჩვენს სასტუმროსთან ახლოს მდებარე ქუჩაზე გვესეირნა. ამ ქუჩაზე მანქანები არ დადიოდა, ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული იყო კაფეები, ლუდის ბარები, ათასნაირი გასართობი. მოკლედ, ცხოვრება დუღდა. ღამითაც გვიანობამდე ვსეირნობდით. ქუჩაში იდგნენ და უკრავდნენ პროფესიონალი მუსიკოსები – როგორც პატარა ჯგუფები, ასევე ინდივიდუალური შემსრულებლები. გამვლელები მათ ფულს ჩუქნიდნენ. განსაკუთრებით მოგვეწონა მუსიკოსი, რომელიც შესანიშნავად მღეროდა გიტარაზე. ჩვენ კარგა ხანს ვიდექით და ვუსმენდით ამ დიდებულ მომღერალს, სამწუხაროდ, ჯიბეში შაურიც კი არ გაგვაჩნდა, რომ მის ყულაბაში ჩაგვეგდო.

ბიჭები ერთი ნაბიჯითაც არ მშორდებოდნენ, რადგან ქუჩაში ისეთი ხალხმრავლობა იყო, რომ როგორც კი თვალს მოეფარებოდი, შეიძლება დაკარგულიყავი. ქუჩები სავსე იყო ათასნაირი გასართობითა და რეკლამებით, მრავლად იყიდებოდა ტკბილეული, ნაყინი, ცივი სასმელები, ხილი და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ. ჩვენს ბიჭებს თვალი იქითკენ გაურბოდათ, მაგრამ ერთხელაც არ მოუთხოვიათ არაფერი. იცოდნენ, რომ მეც მათსავით უფულო ვიყავი. ასე ვსეირნობდით ყოველ საღამოს. ბავშვებმა შეისწავლეს ამ ქუჩის ყველა კუნჭული და გაიცნეს ქუჩის „მუსიკოსები“, რომლებიც იქ უკრავდნენ.

ფესტივალი 30 აპრილს გაიხსნა თეატრალიზებული სანახაობით. იგი დადგა გამოჩენილმა რეჟისორმა გერჰარდ ჰოერმა. დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც წარმოდგენა გაიმართა, ტევა არ იყო. ამ სანახაობას დიდი წარმატება ხვდა წილად. ჩვენი ბიჭები საერთო ანსამბლში მონაწილეობდნენ. ფესტივალის გახსნის მეორე დღეს მონაწილეებმა კონცერტები სხვადასხვა დარბაზში გამართეს. „მართვე“ გამოვიდა გერმანიის, რუსეთისა და უნგრეთის ანსამბლებთან ერთად. თითოეულ გუნდს 20 წუთი ჰქონდა დათმობილი. „მართვემ“ მეორე განყოფილება გახსნა. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ შემდეგ კონცერტზე „მართვეს“ მთელი განყოფილება დაუთმეს. ეს კონცერტი არასოდეს დამავიწყდება. ფილარმონიის პატარა დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, კონცერტი დამთავრდა, ხალხი ფეხზე იდგა და გამეორებას მოითხოვდა. კონცერტის შემდეგ მაყურებელი ჩვენს ბავშვებს ეხვეოდა. შუა დარბაზში იდგა ერთი სიმპათიური მამაკაცი, რომელიც ცრემლებს ვერ მალავდა. მან თავისთან მიმიწვია. იგი აღმოჩნდა ცნობილი ბიზნესმენის – ბაუსბერგის მოადგილე, რომელმაც „მეტეხი“

და „გუდაური“ ააშენა. მან თქვა, რომ ახლახან დაბრუნდა საქართველოდან, ყველაფრის საქმის კურსშია და მოხარულია, რომ მაშინ, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებს და ხალხს ასე უჭირს, ქართველი ბავშვები მაინც ანცვიფრებენ მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოსებს. მან 5000 ავსტრიული შილინგი აჩუქა ბავშვებს. ეს საკმაოდ სოლიდური თანხა იყო, ამ ფულით მათ შეეძლოთ ტანსაცმლისა და სუვენირების ყიდვა.

თავისუფალ დღეს დავათვალიერეთ ვენის ღირსშესანიშნაობები. ვენის ტყე, ვენის ულამაზესი პარკები, ცენტრი და ის სარდაფი, სადაც ბეთჰოვენი ხშირად ჩადიოდა სავახშმოდ. „მეხიკო პლაცზე“ (მექსიკის მოედანზე) ქართველი ებრაელების მაღაზიებია განლაგებული წარწერებით: „ს. კიკოზაშვილი“, „დ. მეგრელიშვილი“ და სხვა.

ჩვენ ამ მოედანზე შეგნებულად არ გავჩერდით, მოგვერიდა, ვინაიდან ქართველი ებრაელები გულუხვი მასპინძლები არიან და საქართველოდან ჩამოსულებს ყოველთვის ასაჩუქრებდნენ. ამჟამად საქართველოდან უკონტროლოდ და უმისამართოდ დაძრული ბედისმაძიებლები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ ჩვენს თანამემამულეებს.

„მეხიკო პლაცმა“ ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც „მართვეს“ ბიჭებს ვუამბე:

1975 წელს „რუსთავი“ გააგზავნეს ავსტრიაში, სადაც კულტურისა და სპორტის დღეები ტარდებოდა. ჩვენთან ერთად მოსკოვიდან გამოჩენილ სპორტსმენთა ჯგუფიც წამოვიდა, მათ შორის იყვნენ ლეგენდარული ფეხბურთელი ლევ იაშინი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ფიგურულ სრიალში ირინა როდნინა და სხვები. მე იაშინს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ ამჯერად ძალიან მესიამოვნა ამ გამოჩენილ სპორტსმენთან მგზავრობა. თვითმფრინავში გვერდიგვერდ მოვთავსდით. წინ თბილისური კონიაკი გვედგა, ნელ-ნელა ვწრუპავდით და თან ფეხბურთზე ვსაუბრობდით.

- ლევ ივანოვიჩ, რას იტყვით ქართველი ფეხბურთელების შესახებ და ვინ მიგაჩნიათ უძლიერესად მათ შორის, ვისთანაც თქვენ გითამაშიათ?

- ქართველი ფეხბურთელები ყოველთვის საბჭოთა ნაკრების დასაყრდენები იყვნენ, მათ გარეშე ჩვენი ნაკრები ვერ იარსებებდა. მე მგონია, რომ საბჭოთა ნაკრები ყველაზე ძლიერი მაშინ იყო, როცა არგენტინაში ჩავატარეთ ტურნე ჩილეს ჩემპიონატის წინ. ჩვენ გვყავდა უძლიერესი გარემარბები: მესხი და მეტრეველი. არგენტინელი მაყურებელი განცვიფრებაში მოიყვანა მათმა უზადო ტექნიკამ და არაჩვეულებრივმა ფინტებმა. ტურნეს შემდეგ მიხეილ მესხი შეაფასეს იმ დროისათვის ყველაზე ძვირფას ფეხბურთელად. სლავა მეტრეველსაც „მაღალი ფასი დაადეს“.

- თქვენ? – შევეკითხე მე.

იაშინი შეყოვნდა, მერე გაიცინა და თქვა: „ჩემზე წერდნენ, შეუფასებელიაო“.

ვენაში იაშინს თავისი კოლეგები დახვდნენ. მათგან დამამახსოვრდა ლეგენდარული ფეხბურთელი, უნგრეთის „დიდი გუნდის“ მეკარე დიულა გროშიჩი, რომელიც მასთან მეგობრობდა. იაშინმა გროშიჩთან წარმადგინა და უთხრა: „ეს ყმაწვილი მიშა მესხის და სლავა მეტრეველის ქვეყნიდანააო“. ამ გვარების გაგონებაზე გროშიჩმა გაიღიმა და მათი მისამართით ბევრი კომპლიმენტი გამოთქვა.

ის გასტროლი ავსტრიაში არასდროს დამავიწყდება. იყო არაჩვეულებრივი კონცერტები და შეხვედრები. იმხანად საქართველოდან ახალი წასულები იყვნენ ქართველი ებრაელები, რომელთა დიდი ნაწილი ავსტრიაში დასახლდა. ისინი ჩვენთან მოდიოდნენ, ესწრებოდნენ კონცერტებს, ქართულ სიმღერებზე ცრემლებს ვერ იკავებდნენ.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი შემთხვევა:

ავსტრიაში ჩასვლის მეორე დღეს „რუსთავის“ წევრები ვენის ქუჩებში ვსეირნობდით. მოვხვდით ეგრეთ წოდებულ „მეხიკო პლაცზე“. ერთ-ერთი მაღაზიიდან სამოცს გადაცილებული სიმპათიური მამაკაცი გამოვიდა და მაღაზიაში მიგვიწვია.



ჯამბულ ხასაია

დავით მეგრელიშვილი ქუთაისიდან, – ხელი გამოგვიწოდა და გაიღიმა. „რა ხდება ქუთაისში, თბილისში, როგორ არიან ბუბა კიკაბიძე, ეროსი მანჯგალაძე, ქართლოს კასრაძე, რა შანსი აქვს თბილისის „დინამოს“ სსრ კავშირის წლევანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში?“ – დაგვაყარა კითხვები ბატონმა დავითმა.

- ჩვენ ეკონომიურად არა გვიშავს, მაგრამ ვერ შევეჩვიეთ ამათ წესებს. საღამოს, როცა ვინმე ჩემიანი მოვა და ჩვენებურად პატარა პურმარილს გავშლით, მეზობელი პოლიციას ეძახის, არ გვაძინებენო. სტუმარი ამათ არ იციან და მასპინძელი, საღამოს რვა საათის მერე კარებზე აბრა აქვთ გაკრული წარწერით: „არ შეგვაწუხოთ, ვისვენებთ“, – საქმეა ეგა? ქუთაისში ხანდახან ღამის სამ საათზე მომადგებოდნენ სტუმრები არღნით. მეზობლები, როგორც ძმები, ისე ვიყავით. სტუმარი საერთო გვყავდა და მასპინძლობაც საკადრისი ვიცოდით. გარდა ამისა, ჩვენს ოჯახებში იყო სიწმინდე – პატიოსნება; აქ ქალიშვილთან ერთად ქუჩაში ვერ გაგვიელია და კინოში ვერ შევსულვართ. ათასნაირ სისაძაგლეს აჩვენებენ, უფრო მეტიც, ოჯახის თანდასწრებით ტელეგადაცემების ნახვა არ შეიძლება, ისეთ რამეებს გადმოსცემენ. არა, არა, აქაურ წესს ჩვენი თაობა ვერ შეეჩვევა, – წარმოთქვა დავითმა და რაღაცაზე ჩაფიქრდა. მერე კარებთან მივიდა და გადაკეტა, მეორე ოთახიდან ფორთოხლები, ბანანები და ცივი ვისკი გამოიტანა. ფორთოხლები მრგვლად დაჭრა, ვისკი ჩამოგვისხა და თქვა: „ახლა ასე იყოს, საღამოს ერთ მყუდრო რესტორანში გეპატიჟებით, ყველაფერი ჩვენებურადაა მოწყობილი, ჩვენი ბიჭები მუშაობენ იქ. ეჰ, როგორ მომენატრა ქუთაისში ქეიფი და ქუთაისური „მრავალჟამიერი“, საქართველოს გაუმარჯოს!“ – ჭიქა მოგვიჯახუნა და გადაჰკრა. ჭიქები ბიჭებმაც დაცალეს და ქუთაისური „მრავალჟამიერი“ წამოიწყეს, ჯერ ღიღინით, მერე თანდათან ხმას აუწიეს და როცა სიმღერა აგუგუნდა, დავით მეგრელიშვილი წახდა: ჯერ ტუჩები გაულურჯდა, მერე გათეთრდა, თვალები გადაატრიალა და სკამიდან გადავარდა. ჩვენ ცივი წყალი ვაპკურეთ, საფეთქლები დავუზილეთ და მოვასულიერეთ. დავითი წამოდგა, სახეზე ცივი წყალი შეისხა, ბოდიში მოიხადა და გვითხრა: „იცოდეთ, რამდენადაც არ უნდა გასუქდეთ, ორ ლოგინზე ვერ დაწვებით; რამდენი საჭმელიც არ უნდა გქონდეთ, იმაზე მეტს, რაც სტომაქში ჩაგეტევათ, მაინც ვერ შეჭამთ. ჯობია კაცმა იმდენი ჭამო, რამდენსაც შეირგებ, ერთ ლოგინზე დაიძინო და შენს სამშობლოში იცხოვრო. ახლა ერთ რამეზე ვფიქრობ, – გააგრძელა დავითმა,

– რაც შემეშალა, იმას ველარ გამოვასწორებ. ახლა ვცდილობ, ბევრი ფული ვიშოვო, რომ აქაური მოქალაქეობა მივიღო. მერე, როგორც ავსტრიის მოქალაქეს, უფლება მექნება ვიზით ჩავიდე ჩემს ქუთაისში და წელიწადში ორ თვეს მაინც იქ გავატარებ. ეს არის ჩემი ოცნება, სხვანაირად მე ვერ ვიცოცხლებ.“

ბავშვები ყურადღებით მისმენდნენ. ერთ თავისუფალ დღეს ქალაქის გარეუბანში წაგვიყვანეს ბაზრობაზე, სადაც ბავშვებმა შედარებით იაფად შეიძინეს მათთვის სასურველი ნივთები და ახლობლებსაც უყიდეს საჩუქრები. წამოსვლამდე კიდევ ორი დღე იყო დარჩენილი, ამიტომ ჯიბის ფულიც დაიტოვეს.

იმ საღამოს, კონცერტის შემდეგ, ისევ გავისეირნეთ „ჩვენს ქუჩაზე“, ამჯერად თამამად, რადგან ჯიბეში ცოტაოდენი ფული გვედო. უცებ ჩვენი ბიჭები თვალთაგან დამეკარგნენ. ნაბიჯს ავუჩქარე და რას ვხედავ: ისინი იმ ბრმა მუსიკოსს უსმენდნენ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მოგვხიბლა. მუსიკოსმა სიმღერა დაამთავრა, ამიკო თოიძე მივიდა მასთან და მთელი დარჩენილი თანხა მის ყულაბაში ჩადო. მას სხვებმაც მიბაძეს. მე სიამაყით აღვივსე, რადგან ბიჭებმა მთელი ფული ბრმა მუსიკოსს აჩუქეს და უკაპიკოდ დარჩნენ, როცა სამშობლოში დაბრუნებამდე კიდევ ორი დღე იყო დარჩენილი.

ფესტივალის დახურვის დღეს ისევ თეატრალიზებული მუსიკალური სპექტაკლი გაიმართა. კონცერტის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ფესტივალის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც, სხვებთან ერთად, მაღალი შეფასება მისცა „მართვეს“ გამოსვლას ამ ფესტივალზე.

ჩვენთან ათი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ავსტრიელი სტუდენტი გოგონა, თარჯიმანი ირის გრადენიგერი. იგი ძალიან შეეჩვია „მართვეს“ ბიჭებს, შეუყვარდა ისინი და დაგვემშვიდობა იმ იმედით, რომ მომავალში კვლავ შევხვდებოდით.

ვენის აეროპორტში შევხვდით გამოჩენილ ქართველ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს, რომელიც მშობლებს აცილებდა თბილისში. პაატა მოეფერა ბიჭებს და სთხოვა ერთი სიმღერა ემღერათ. გიორგი უშიკიშვილმა „წინწყარო“ წამოიწყო.

მელოდია ნელ-ნელა მოეფინა დარბაზს, ხალხი ჩერდებოდა და უსმენდა ამ „უცნაურ ბავშვებს“, ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, პაატა ბანებში დადგა და სიამოვნებით მღეროდა მათთან ერთად; საკმაოდ ბევრმა მაყურებელმა მოიყარა თავი, მათ შორის ბევრი პაატას ნაცნობი აღმოჩნდა. პაატა ესაუბრებოდა მათ, უყვებოდა ქართულ სიმღერებსა და ტრადიციებზე. ყველა სიამოვნებით იღიმებოდა, გარდა ერთი გოგონასი, რომელიც ცრემლებად იღვრებოდა და მხრები უკანკალებდა. ეს იყო ჩვენი თარჯიმანი ირის გრადენიგერი.

* * *

ჩვენ გავიხსენეთ „მართვეს“ დაარსებიდან დღემდე უცხოეთში ჩატარებული კონცერტები და შეხვედრები. გარდა ამისა, „მართვე“ ძირითადად საქართველოში მოღვაწეობდა. ინტენსიურად ატარებდა რეპეტიციებს, სწავლობდა ახალ-ახალ სიმღერებს, ანახლებდა პროგრამას, მონაწილეობდა ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც საქართველოში ტარდებოდა, მონაწილეობდა რადიო და ტელეგადაცემებში, მოიარა საქართველოს კუთხეები, ჰქონდა საინტერესო კონცერტები და შეხვედრები.

„მართვეს“ შესრულებული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის 100-ზე მეტი სიმღერა, მათ შორის რთული სიმღერებიც: „გრძელი კახური მრავალჟამიერი“, „ოდოია“,

„ხასანბეგურა“, „ნადური“, „ჩაკრულო“ და სხვა.

დიახ, „მართვე“ მღერის იმ ურთულეს სიმღერებს, რომლებსაც ჩვენი სახელგანთქმული პროფესიული ანსამბლები ასრულებენ.

ამ სიმღერების ფონოჩანაწერები საქართველოს რადიოს ფონდში ინახება.

20 წელი გავიდა „მართვეს“ დაარსებიდან!

ამ ოცი წლის განმავლობაში „მართვესა“ და მის მოსამზადებელ სტუდიებში ბიჭუნათა ხუთმა თაობამ გაიარა. ათასზე მეტმა ბავშვმა შეისწავლა ხალხური სიმღერები. ისინი გაეცნენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სასიმღერო ტრადიციებს, გუნდიდან წასვლის შემდეგ ყველას თან გაჰყვა ხალხური სიმღერის ცოდნა და სიყვარული. ისინი არ წყვეტენ კავშირს მშობლიურ ანსამბლთან, სიმღერასთან, ხშირად მოდიან, რეპეტიციებზე გვესწრებიან და აღტაცებით შეჰყურებენ პატარა მომღერლებს, რომლებშიაც საკუთარ ბავშვობას ხედავენ. შესაძლოა, ყველა მათგანი პროფესიონალი მუსიკოსი არ გახდეს, მაგრამ „მართვეს“ თითოეული წევრი რომ პატრიოტად იზრდება და ხალხური სიმღერის მხურვალე პროპაგანდისტი იქნება, ეს ეჭვგარეშეა.

თუ წინათ ხალხური სიმღერის სურნელი პერიფერიიდან მოდიოდა, როცა ბავშვები თავიანთი მამა-პაპის გვერდით ხალხურ სიმღერებს სწავლობდნენ, ახლა ერთგვარი უკუპროცესი მიმდინარეობს. ჩვენი საინფორმაციო საშუალებების ხელშეწყობით სოფლის ბავშვები უფრო მეტად არიან გატაცებული საზღვარგარეთის საესტრადო მუსიკით, ხოლო ქალაქში ნელ-ნელა დამკვიდრდა ხალხური სიმღერებისაკენ სწრაფვის ტენდენცია და ამ საქმეში უკვე ქალაქელი ბავშვები აძლევენ ტონს რესპუბლიკის რაიონებს, რაც „მართვეს“ უდიდესი დამსახურებაა, მაგრამ ეს დროებითია. სიმღერა მაინც სოფელს უნდა დაუბრუნდეს. ესაა ჩვენი მიზანი.

დღიდან „მართვეს“ დაარსებისა, საქართველოში თითქმის არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მას რომ მონაწილეობა არ მიეღო.

„მართვემ“ არაერთგზის მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ყველგან უდიდესი აღიარება და წარმატება მოუტანა ქართულ ხალხურ სიმღერას.

ოცი წლის განმავლობაში „მართვემ“ გამართა 15000-ზე მეტი კონცერტი, ჩაიწერა, ფირფიტებისა და კომპაქტდისკების სახით გამოსცა რამდენიმე ათეული ხალხური სიმღერა, რომლებიც დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყიდება.

ტელევიზიის, რადიოსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით „მართვე“ წლების განმავლობაში ასრულებდა და პოპულარიზაციას უწევდა ხალხურ სიმღერებს, რითაც მოზარდი თაობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია. „მართვეს“ მაგალითზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიქმნა ბავშვთა ანსამბლები და სტუდიები, რომლებიც ხალხურ სიმღერებს სწავლობენ.

„მართვეში“ აღზრდილი თაობები უკვე თავიანთ შვილებს ასწავლიან ხალხურ სიმღერებს, რითაც აღადგენენ ოჯახური მუზიცირების საუკეთესო ტრადიციებს. „მართვეს“ უკვე ბევრი „შვილიშვილი“ ჰყავს. ეს პატარა მონაპოვარი როდია.

და, რაც ყველაზე მთავარია, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, იმ უმძიმეს პერიოდში, როცა საქართველოს ძალიან უჭირდა (სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთში და სხვა), „მართვეს“ ურთულეს პირობებში მოუხდა მუშაობა: მიუხედავად უშუქობისა, უტრანსპორტობისა, სიცივისა, „მართვეს“ მუშაობა არ შეუწყვეტია – მეცადინეობდა, საქველმოქმედო კონცერტებს მართავდა; მისი აღზრდილები კი იმ ურთულეს წლებში აყალიბებდნენ ორ შესანიშნავ ანსამბლს – „გეორგიკასა“ და „ლაშარს“, რომლებიც ისევ

მართველებით დაკომპლექტდა. „გეორგიკას“ ხელმძღვანელობენ ნიჭიერი მუსიკოსები – დათო შანიძე და შალვა ლორთქიფანიძე. ამ ანსამბლმა უკვე წარმატებით მოიარა რამდენიმე ქვეყანა და კომპაქტდისკებზე ჩაიწერა 60-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ანსამბლი „ლაშარი“, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდა, „მართვეს“ სული და გული – გიორგი უშიკიშვილი ხელმძღვანელობს. „მართვეს“ აღზრდილები სკოლებში აყალიბებენ ბავშვთა გუნდებს და უკვე მეტოქეობას უწევენ თვით „მართვეს“. მათ შორის აღსანიშნავია ანსამბლი „მძლევარი“ – კახა ონაშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო 28-ე მუსიკალური სკოლის ანსამბლი „ბიჭები“, ცნობილი მუსიკოსის – თამაზ ანდღულაძის ხელმძღვანელობით, დღეს მეტად პოპულარულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ ანსამბლმა უკვე იმოგზაურა უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში და მუსიკალურ ფესტივალებზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ამ რამდენიმე თვის წინათ, თბილისში ყოფნისას, „მართვეს“ მოუსმინა საერთაშორისო დელფიური საბჭოს გენერალურმა მდივანმა და ინიციატორმა კრისტინ კირშმა და თავისი აღფრთოვანება გამოხატა წერილით, რომელიც 1996 წ. 4 მაისს გამოაგზავნა ბერლინიდან.

„მართვეს“ აღზრდილები ლოტბარებად მოგვევლინნენ. მათ შორის რამდენიმე ათეულმა უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ბევრი მათგანი სწავლობს თბილისის კულტურის ინსტიტუტში. მოდის ახალგაზრდა მუსიკოს-ლოტბართა ნაკადი, რომლებიც ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს შეასწავლიან მომავალ თაობას.

„მართვეს“ ყველაზე დიდი დამსახურება, ალბათ, მაინც ისაა, რომ ამ ურთულესი საუკუნის დასასრულს, როცა ლამის მთელი მსოფლიო გადათელოს დასავლეთის პოპმუსიკამ, „მართვემ“ ხალხური სიმღერებით დააინტერესა მომავალი თაობა და დღეს საქართველოში სიმღერის სათავეები ახალგაზრდობას უჭირავს ხელში. „მართვემ“ ეროვნული სული შთაბერა ქართველ ახალგაზრდობას. ეს ხომ სიმღერის უკვდავებაა.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად შეაფასა „მართვეს“ როლი ბავშვთა შორის ხალხური სიმღერების დანერგვისა და პოპულარიზაციის საქმეში და 1994 წლის 25 მარტს გამოსცა განკარგულება „მართვეს“ ბაზაზე ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორის ცენტრის შექმნის შესახებ.

1. მოწონებულ იქნეს თვალსაჩინო ქართველი მუსიკოსის ბატონ ანზორ ერქომაიშვილის წინადადება ქ. თბილისში ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორის ცენტრის დაარსების შესახებ.

2. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების განხორციელებას.


3. ეთხოვოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ და კერძო სტრუქტურებს, ბიზნესმენებს მხარში ამოუდგნენ ამ მნიშვნელოვან წამოწყებას, რომელიც მიზნად ისახავს შეასრულოს სამშვიდობო მისია, ერთმანეთთან დააახლოოს მსოფლიოს ბავშვები და აზიაროს ისინი კულტურის მიღწევებს.

4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული საკითხების კოორდინაციის განხორციელება დაეკისროს მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ვალერი ასათიანს.

ე. შევარდნაძე.



სტუმრად პატრიარქთან



ეპილოგის მაგივრად, ანუ ჩვენები ახალგაზრდებს

ახლა, როცა „მართვეს“ დაარსებიდან 20 წელი გავიდა და ჩვენ საიუბილეოდ ვემზადებით, ჩემ თვალწინ სწრაფად გაირბინა განვლილმა პერიოდმა, რომელშიც ნათლად აისახა „მართვეს“ მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. ეს გზა სავსე იყო სიძნელეებით, შეცდომებითა და წარმატებით; და დღეს სურვილი გამიჩნდა, შევკრიბო ყველა, ვისაც კი „მართვეში“ უსწავლია, შევაჯამო ჩვენი 20 წლის ნამუშევარი, გავუზიარო მათ ჩემი შთაბეჭდილებები, გავითვალისწინო ყველა შეცდომა და მივცე მათ სიმღერასთან, და არა მარტო სიმღერასთან დაკავშირებული რჩევები, შევახსენო ზოგიერთი რამ, რაც მათთვის არაერთხელ მითქვამს, რაც ჩემი გამოცდილებიდან ვიცი და რაც წინაპრებისაგან გამიგონია. ვფიქრობ, ასეთი რჩევა-დარიგება მათ აუცილებლად გამოადგებათ XXI საუკუნეში, თავიანთ შემოქმედებით ასპარეზზე.

ქართული მუსიკის მომავალს ახალგაზრდებში ვხედავ, რომლებიც მისი პატრონი და გზის გამკვალავნი იქნებიან მომავალ საუკუნეში; ჩვენი ქვეყნის კულტურული წინსვლა დამოკიდებულია თქვენზე, რადგან თქვენ XXI საუკუნის მოღვაწენი იქნებით.

გავა დრო, თქვენი გადასახედიდან ეს საუკუნე უკეთესად გამოჩნდება და დასკვნებსაც სათანადოს გამოიტანთ.

თქვენი ბავშვობა საქართველოში მომხდარ უმძიმეს პროცესებს დაემთხვა. ჩვენი თაობა ამ მოვლენებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ჩვენ ვერ შევაფასეთ სიტუაცია და ჩვენი თავი სარკეში კარგად ვერ დავინახეთ (საქართველოში ალბათ სხვანაირი სარკე უნდა გამოიგონონ). იმედია, ჩვენს შეცდომებს თქვენ აღარ გაიმეორებთ, თუ სწორი გზით ივლით, მიზანს მიაღწევთ, ვინაიდან ახალგაზრდობას აღმშენებლობითი ძალა აქვს. აბა, წარმოიდგინეთ ბალახის ჩვილი ყლორტი, გაზაფხულზე ასფალტს რომ ანგრევს და მზისა და სინათლისაკენ მიისწრაფვის. თუ თქვენც ასეთი მიზანსწრაფულები იქნებით, მაშინ ვერანაირი ძალა ვერ შეგაჩერებთ. თქვენი ძალა ერთიანი იქნება მაშინ, თუ ყველა თქვენი საქმით იქნებით დაკავებული. გახსოვდეთ: თუ გინდა შენს ქვეყანას გამოადგე, უნდა აკეთო ის, რაც ხელგეწიფება.

ყველა თქვენგანისაგან მუსიკოსი ვერ გამოვა, მაგრამ რა საქმესაც მოჰკიდებთ ხელს, იცოდეთ, უმაღლესი პროფესიონალები უნდა გახდეთ, რადგან დღეს არაფერი არ სჭირდება ჩვენს ქვეყანას ისე, როგორც ნამდვილი პროფესიონალები. „პროფესიონალიზმი იგივე პატრიოტიზმია“, – ამბობდა ბატონი რეზო თაბუკაშვილი.

არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ ხალხური სიმღერა ქართველი ხალხის ეროვნული სიმდიდრეა, მრავალხმიანობა ისეთი განვითარებული სახით, როგორიც საქართველოშია – მსოფლიოში არ არსებობს, ამას მე კი არა, ყველაზე გამოჩენილი უცხოელი მუსიკოსებიც აღიარებენ.

„ქართული მრავალხმიანობა ევროპული მრავალხმიანობის საფუძველი უნდა იყოს“ (ზიგფრიდ ნადელი – გერმანელი მუსიკათმცოდნე).

„ბახი რომ ცოცხალი იყოს, ისიც კი აღტაცებაში მოვიდოდა ასეთი პოლიფონიით“ (ალან ოვანესი – ამერიკელი კომპოზიტორი).

„საქართველო – მსოფლიოს ხალხური მუსიკის დედაქალაქია“ (ალან ლომაქსი –

ამერიკელი ფოლკლორისტი).

„ჩემთვის ბოლო წლებში ერთ-ერთი უდიდესი შთაბეჭდილება იყო ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები. ეს არის მუსიკის აქტიური შესრულების საუკეთესო ტრადიცია... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია“ (იგორ სტრავინსკი).

დაიხ! სახელგანთქმული უცხოელი მეცნიერები შენს სიმღერას ასე რომ შეაფასებენ, ეს უკვე ჭეშმარიტებაა.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ამერიკელები კოსმოსური ხომალდით გალაქტიკაში დედამიწის ცივილიზაციის გასაცნობად ქართულ სიმღერასაც აგზავნიან.

„რა ესმოდათ მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“ – როცა ამ სტრიქონებს წერდა, შოთა რუსთაველს, ალბათ, ქართული სიმღერა თუ ჰქონდა მხედველობაში.

ერთხელ სადღაც მითხრეს: „გეოგრაფიულ რუკაზე საქართველო ძალიან პატარაა, მაგრამ, რომ გაკეთდეს მსოფლიოს მუსიკალური რუკა, საქართველო, ალბათ, უდიდეს ადგილს დაიჭერდაო“.

სკოლაში ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა პანტელეიმონ იობიშვილმა (რომელიც ივანე ჯავახიშვილის მოწაფე გახლდათ) გვითხრა: „საქართველო რომ დაღუპულიყო და მისგან გადარჩენილიყო „ვეფხისტყაოსანი“, „ჩაკრულო“ და „ხასანბეგურა“ – იტყოდნენ, უდიდესი კულტურის ქვეყანა დაღუპულაო“.

თქვენ უნდა იამაყოთ, რომ ხართ იმ ერის შვილები, რომელსაც ასეთი სასიმღერო კულტურა გააჩნია.

კარგი სიმღერა ღამე არ დაგაძინებთ.

ღმერთმა დედამიწაზე თავისი მოციქულები გამოგზავნა დანტეს, ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის და სხვათა სახით – მათი ხელოვნება ღმერთამდე ამაღლდა.

ჩვენ, „რუსთავის“ წევრებს, ამ ტიტანების საფლავებზე გვიმღერია. იცით, რატომ გავბედეთ მათთან სიმღერა? იმიტომ, რომ ჩვენი სიმღერებიც, მსგავსად მათი შედევრებისა, ღმერთს უახლოვდება.

ეს სიმღერები ჩვენამდე ჩვენმა წინაპრებმა მოიტანეს.

პატივი ეცით თქვენს წინაპრებს და გახსოვდეთ: რაც კარგია თქვენში, ყველაფერი წინაპრებისგან გაქვთ მიღებული. თქვენი წინაპრები – თქვენი გვარის ისტორიაა, ამიტომ ვალდებული ხართ გვარის საუკეთესო ტრადიციებს გაუფრთხილდეთ, მაღალ დონეზე შეინარჩუნოთ თქვენი გვარის საუკეთესო ტრადიციები. ეს დიდი ტვირთია, რომელიც ღირსეულად უნდა ზიდოთ.

პატივი ეცი შენს მასწავლებელს; მასწავლებლად უნდა ჩათვალო ყველა, ვისგანაც სიკეთეს ისწავლი, მასწავლებელი – თვითონ სიკეთეა. მასწავლებლის ამაგი აუწონელია ისევე, როგორც სიკეთე. სიკეთის საზომი ჯერ არავის მოუგონია; თუ სიკეთე გაზომე, მაშინ იგი სავაჭრო ნივთად იქცევა.

მასწავლებლებს მარტო თქვენს თანამედროვეებში და თქვენს ქვეყანაში ნუ ეძებთ, წინა საუკუნეებშიც მონახეთ; ნამდვილი მასწავლებლები ისინი არიან, რომელთა მოძღვრებაზე საუკუნეების განმავლობაში თაობები იზრდებიან. ასეთი მასწავლებელი რაც უფრო მეტი გეყოლებათ, მით უფრო მეტ სიკეთეს მოუტანთ თქვენს ქვეყანას, და თუ სიკეთეს დათესავთ, ხალხი შეგიყვარებთ.

უყვარდე შენს ხალხს – ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

მასწავლებლისგან მოტანილი სიკეთე არ დაიკარგება, ამ სიკეთეში რამდენი შრომაა ჩადებული, იმის ფასს მაშინ გაიგებთ, როცა თვითონ გახდებით მასწავლებლები. მასწავლებლის შრომა ნაკლებად ჩანს, ყველას შედეგი აინტერესებს; ბულბული ყველას უყვარს, მაგრამ არავის უკითხავს, ვინ იყო მისი მასწავლებელი.

ქართულ სიმღერას ერთი საოცარი თვისება აქვს: თუ შენ გვერდით მდგომი არ გიყვარს, ისე სიმღერა არ გამოგივა. შეეცადეთ კარგი თვისებების მქონე მომღერლები შეარჩიოთ, რადგან ურთიერთსიყვარული კარგი სიმღერის გარანტიაა. კარგი სიმღერა დუღაბია მეგობრობისა; ბაბუაჩემისგან გამიგონია: „კაცი ჯერ კაცად უნდა ვარგოდეს და მერე ექნება მის ხელოვნებას ფასიო". ბაბუა იმასაც მასწავლიდა, თუ გინდა ადამიანთან იმეგობრო, ნუ ეძებ მასში ცუდ თვისებებს, მიაქციე ყურადღება იმას, რომელიც მას კარგად ახასიათებსო.

ეცადეთ, ბევრი მეგობარი შეიძინოთ. უმეგობრო კაცი უბედურია, იგი მარტო დარჭობილ სარს ჰგავს, რომელსაც ყველაფერი წააქცევს. ვისაც ბევრი მეგობარი ჰყავს, ის ყველაზე მდიდარი კაცია. მეგობარი ცხოვრებას გაგიადვილებთ, გაჭირვებას შეგიმსუბუქებთ, სიხარულს მოგგვრით. პირადად მე ისე ძალიან მიყვარს მეგობრები, რომ სიკვდილის შემდეგაც ვერ წარმომიდგენია მარტოობაში ყოფნა; ამიტომ შევნატრი ძმათა სასაფლაოებს – იმათ საფლავებს, მეგობრებთან ერთად რომ გასწირეს თავი და მარადიულობაში ერთად შეაბიჯეს.

ქართულ სიმღერაში თითოეული ხმა დამოუკიდებელია და თავისუფალი იმპროვიზაციის საშუალებას იძლევა, ოღონდ სხვა ხმებთან მჭიდრო კონტაქტში. მისი შემსრულებელიც შინაგანად თავისუფალი უნდა იყოს, – თავისუფალი ყოველგვარი ამბიციისა და კომპლექსისაგან – სხვანაირად კარგი სიმღერა ვერ გამოვა.

შენ გვერდით მდგომი თუ არ გიყვარს, ისე კარგად ვერ იმღერებო, რომ ვამბობთ, იმასაც ვგულისხმობთ, რომ თქვენი თავიც უნდა განაწყოთ სიყვარულისათვის და რასაც აკეთებთ, ყველაფერი სიყვარულით უნდა აკეთოთ. შეიძლება სიმღერა არ იცოდეთ, მაგრამ გიყვარდეთ. გახსოვდეთ, ცუდ მომღერალს კარგი მსმენელი სჯობია.

შესაძლებელია ყველამ ვერ გაგიგოს, რა ვუყოთ მერე? ხასიათი ინდივიდუალურია. ისინი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევიან. მე თუ ვინმეს არ ვუყვარვარ, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ის ცუდი კაცია; მე ეს არ მწყინს – იქნებ მე მეშლება რამე. ამიტომ სულ ვცდილობ, მასში სხვა კარგი თვისებები მოვნახო.

მომღერლებს კეთილ ხალხს ეძახიან.

მართლაც, იმღერეთ ისე, რომ სიამოვნება მიანიჭოთ თქვენს ხალხს– ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს; თუ კარგი სიმღერა თავისთავად სიკეთის ქმნაა, მოდით, სიმღერა ვასწავლოთ ახალგაზრდებს, რადგან კარგი მომღერალი უღირს საქციელს არასოდეს ჩაიდენს.

სიკეთის ქმნა ყველა ნიჭზე დიდი ნიჭია, იგი თქვენ ცხოვრებას გაგიადვილებთ.

ადამიანში მხოლოდ სიკეთე უნდა ეძებოთ, მაშინ მასთან მეგობრობა გაგიადვილდებათ; სიკეთე თავისთავად არ არსებობს, მას ადამიანი ქმნის. თუ ადამიანები მიზნად დაისახავენ თუნდაც მცირეოდენი სიკეთის კეთებას, კაცობრიობა უამრავ ბოროტებას გადაურჩება.

ბოროტებასაც ხომ ადამიანი სჩადის, ჰოდა, თუ ბოროტებას არ ჩაიდენ, ეს თავისთავად სიკეთის ქმნაა, ბოროტებას სიკეთე კურნავს.

ის, ვინც ბოროტებას სიკეთით უპასუხებს, ყველაზე კეთილშობილია. სიკეთე ადა-

მიანებს ამშვენებს, აკეთილშობილებს. ბოროტებას სილამაზით ვერ დაფარავ, რაგინდ ლამაზიც არ უნდა იყო; ფიზიკური ნაკლი სიმახინჯედ არ ითვლება, თუ მას ლამაზი სული ახლავს. ამიტომ ყველას ეძლევა შანსი აკეთოს სიკეთე და ამით ყველაზე ლამაზი გახდეს.

თუ ბუნებამ სილამაზითა და ჯანსაღი სხეულით დაგაჯილდოვათ, მადლობა უთხარით ღმერთს; თუ ფიზიკური ნაკლი გაგაჩნიათ, ამის გამო ნუ გაბოროტდებით, რადგან თქვენზე უარესებიც არსებობენ, ხოლო თუ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით, მაინც მადლობა შესწირეთ უფალს იმისათვის, რომ საშუალება მოგცათ გეხილათ ბუნების მშვენიერება და გეკეთებინათ სიკეთე.

ეცადეთ, ყველა სიტუაციაში საკუთარ თავს სძლიოთ, ვინაიდან იმდენ ზიანს ვერავინ მოგაყენებთ, რამდენსაც საკუთარი თავი. თუ შენს თავს ფლობ – ეს გონიერებაა. გონიერება ყოველთვის სჯობს ღონეს, ვინაიდან ვინც გონივრულად იქცევა, ის საკუთარ თავსაც მოერევა და სხვასაც; ვინც საკუთარ თავს მოერევა, ის ყველაზე ღონიერია. სხვისი იმედი ღმერთმა ნუ მოგიშალოს, მაგრამ პირველ რიგში შენი გონიერების იმედი უნდა გქონდეს, რადგან უსამართლობასთან ყოველთვის მარტო გიხდება პირისპირ დგომა. გონიერებით უსამართლობასაც დაამარცხებ.

ემსახურეთ სიმართლეს, სიმართლე – ჭეშმარიტებაა. იგი კანონმდებლობისა და ადამიანთა ურთიერთობის საფუძველია. სიმართლე სინათლის ტოლფასია, რადგან ადამიანთა ურთიერთობაში მას სინათლე შეაქვს.

კაიკაცობა სიმართლით იზომება. სიმართლე ადამიანის სულის საოხია; სიმართლის აღიარება თვით უმძიმეს დამნაშავეებსაც კი შვებას ანიჭებს. ბუნებაში ყველაფერი იცვლება, გარდა სიმართლისა;

სიმართლის თქმა ხშირად არავის მოსწონს, ხოლო ლამაზ ტყუილს თუ იტყვი, სიამოვნებთ. ჯობია კაცს ცუდი სიმართლე უთხრა, ვიდრე სასიამოვნო ტყუილი.

ყველაზე უარესი სენი სიცრუე და უმადურობაა.

გაუფრთხილდით ქართული სუფრის ტრადიციებს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართველი კაცი ღვინოს არ სვამდეს და სუფრის წესი დაივიწყოს. ქართული სუფრა იმით განსხვავდებოდა სხვებისაგან, რომ იქ ლექსის, მჭევრმეტყველების, სიმღერის, ცეკვის, რაინდობისა და სილამაზის დემონსტრირება ხდებოდა. ყველა ცდილობდა ამ ზეიმით ბოლომდე დამტკბარიყო. ამიტომაც ქართველი კაცი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ არ დამთვრალიყო. სიმთვრალე სირცხვილად ითვლებოდა.

ზომაზე მეტის დალევა ყოველთვის ზიანის მომტანია. კაცი, რომელიც თავისი სიმთვრალით საზოგადოებას თუნდაც მცირეოდენ უსიამოვნებას მიაყენებს, ღვინოს არ უნდა სვამდეს.

რაც შეეხება უსაქმურობას – ზოგიერთს მთელი სიცოცხლე არ ჰყოფნის, რომ კეთილი საქმე აკეთოს და იმის გამო, რომ საქვეყნო საქმე ვერ მოამთავრა, გულნატკენი მიდის ამ სოფლიდან. ადამიანს ღმერთი იმიტომ აჩენს, რომ თავისი არსებობით ქვეყანას რაღაც შემატოს. მადლობა ღმერთს, რომ დღემდე დედამიწაზე ასეთების ჭარბობენ, თორემ აქამდე კაცობრიობა ასჯერ გადაშენდებოდა.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებული უნდა იყოს მის საქმიანობაზე. ვინც დიდ საქმეს აკეთებს, დიდხანს უნდა ცოცხლობდეს, მაშინ იქნებ უსაქმურებმაც გაანძრიონ ხელი; სიმთვრალე და უსაქმურობა ყოველგვარი ბოროტების დედაა.

კაცს თავისი ნაშრომის ობიექტური შეფასების უნარი უნდა ჰქონდეს; თუ საკუთარ

შეცდომებს დაინახავ, მისი გამოსწორება ადვილია; ამასთან, სხვებსაც დაუგდეთ ყური – მათი ნაუბარიდან ყოველთვის შეიძლება თქვენთვის სასარგებლო აზრების ამორჩევა.

გახსოვდეთ, ზედმეტ ქებას სწორი შენიშვნები გერჩიოთ. თუ გენიოსი გიწოდეს – ბედნიერებაა, მაგრამ ეს თუ დაიჯერეთ – უბედურებაა.

კაცს თუ იმის უნარი არა გაქვს, რომ შენი თავი გვერდიდან, სხვისი თვალით დაინახო, იცოდე, შეცდომებს ვერასოდეს გამოასწორებ. უბედურებაა, კაცი დანაშაულს რომ სჩადის, მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა, როცა ამას ვერ ამჩნევს.

ნურასოდეს ნუ გაყოყოჩდებით და ნუ დაკმაყოფილდებით მიღწეულით, გახსოვდეთ, ვინც მიღწეულით კმაყოფილია, იგი ყველა ზარმაცზე უფრო ზარმაცია.

არასოდეს არ მოიწონო შენი გაკეთებული დღეს, დრო გავა და მერე შეაფასე.

სამართლიანი კრიტიკა წამალია მაგრამ თუ უსაფუძვლოდ გლანძღავენ და შენი სინდისის წინაშე მართალი ხარ, შეგიძლია მშვიდად დაიძინო. სინდისის ქენჯნა მაშინ უნდა განიცადო, როცა დაუმსახურებლად გაქებენ.

თქვენ უნდა დაიცვათ მშვიდობა. 21-ე საუკუნეში მსოფლიოში ურთიერთობები სხვანაირი იქნება, თქვენ შეგეძლებათ მჭიდრო კონტაქტები დაამყაროთ მსოფლიოს ახალგაზრდობასთან. ეცადეთ, გაერთიანდეთ და ყველაფერი იღონოთ მშვიდობის დასაცავად. მახსოვს, ერთხელ ჩემმა ამერიკელმა მეგობარმა – ასტრონავტმა ჯეიმს ირვინმა, რომელმაც მთვარეზე დაადგა ფეხი, მითხრა: „ძალიან ლამაზია დედამიწა მთვარიდან. იგი ჰგავს მოლურჯო ბროლის სფეროს, რომელიც იერს იცვლის და ულამაზეს ფერებში გადადის.



უყურებ ამ მშვენიერ სანახაობას, რომლის მსგავსი ღმერთს არაფერი შეუქმნია, და ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ იმ მოლურჯო ბროლის სფეროს დიდი გაფრთხილება სჭირდება. კენჭის მოხვედრითაც კი იგი უმცირეს ნამსხვრევებად იქცევა და გალაქტიკაში გაიფანტება პატარ-პატარა თანამგზავრებად. ამიტომ ადამიანებმა ყველაფერი უნდა იღონონ ამ ულამაზესი, სათუთი ბროლის სფეროს უსაფრთხოებისათვის".

ალბათ, ღმერთსაც შეეშალა, როცა ადამიანს ატომური იარაღი მისცა და ამით საკუთარი თავიც საფრთხეში ჩაიგდო. თუ დედამიწა დაიშლება და ადამიანები აღარ იარსებებენ, მაშინ ღმერთი ვიღას დასჭირდება. ღმერთი იმიტომაა ღმერთი, რომ ადამიანის შემეცნებაში არსებობს და მას ადამიანი აღმერთებს.

ყველაზე დიდი მონაპოვარი სამშობლოს თავისუფლებაა მისი დაცვა თქვენი მოვალეობაა. მთავრობამ კი საკუთარი ხალხი ერთმანეთისგანაც უნდა დაიცვას, თორემ თუ ისინი ერთმანეთს მიუსია, უბედურება დატრიალდება (ამის მაგალითი ჩვენ უკვე გვქონდა). რადგან სამშობლოს თავისუფლება უმთავრესია, თუ საჭიროება მოითხოვს, მას თავიც უნდა შესწიროთ, მსგავსად ჩვენი დიდი წინაპრებისა – ასეთ სიკვდილს უკვდავებისაკენ მივყავართ. ჩენ უშიშარი თაობა გვჭირდება; უშიშარია ის, ვისაც სიკვდილის შიში არა აქვს. სიკვდილი ნუ შეგაშინებთ, იგი დადებითი ფენომენია და ადამიანს ათავისუფლებს უდიდესი გაჭირვებისაგან. გაიხსენეთ ერთი ძველი საგალობლის ტექსტი: „გულის ხმა ვყოთ ესრე, ძმანო, გონივრად და აწვე განვემზადეთ, რათა ჟამსა მასსა საზარელსა არა შევძრწუნდეთ და ხმა ვყოთ ალილუია".

ოღონდ, უმიზნო სიკვდილი – უბედურებაა; სიკვდილი არ უნდა გავაუფასუროთ, თორემ სიცოცხლეს ფასი დაეკარგება.



ჩვენ დაგვავიწყდა, რომ ყველანი სიკვდილმისჯილები ვართ და მხოლოდ ღმერთმა უწყის, როდის მოიყვანენ სისრულეში განაჩენს, ამიტომ ასეთ განაჩენს ნაადრევად ნუ გამოვუტანთ ნურც სხვას და ნურც საკუთარ თავს. ამაში სიმღერა დაგეხმარებათ, დიახ! სიმღერა სიკვდილსაც ამარცხებს, სიმღერა სიყვარულივით უკვდავია. სიმღერა ადამიანის სულის ყვავილია, სიმღერა ქვიტკირზე და რკინაზეც მაგარია, რადგან სახლს ქარი და მიწისძვრა წააქცევს, სიმღერას – ვერაფერი, ამიტომ სიმღერას გავუფრთხილდეთ.

ალბათ, გახსოვთ ჩრდილოეთ ამერიკის გუნდი „ქართული ანსამბლი“, რომლის წევრებიც მშვენივრად მღერიან ქართულ სიმღერებს და უზომოდ არიან შეყვარებულნი საქართველოზე.

ამ ანსამბლის ერთ-ერთმა წევრმა, სტიუარტ გეზერმა ინტერვიუ მისცა ჩვენს გაზეთს:

„მე თავიდან ამერიკული პოპ-მუსიკით ვიყავი გატაცებული. შემდეგ ქართული სიმღერით დავინტერესდი და ახლა 80-მდე სიმღერა ვიცი. როცა ვუსმენ, რომ თქვენი ახალგაზრდები ამერიკულ სიმღერებს მღერიან და ამერიკელებს ბაძავენ, მინდა ხმამაღლა ვიყვირო: თქვენ ცდებით, ქართულ სიმღერაზე უფრო კარგი სიმღერა არ არსებობს დედამიწაზე! არ არსებობს!“

1995 წლის შემოდგომაზე ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად საგასტროლოდ გახლდით გერმანიის ქალაქ რემშაიტში. კონცერტის შემდეგ მერმა მოიწვია ქალაქის საუკეთესო საზოგადოება, რომელთა შორის იყო ცნობილი მუსიკოსი, დირიჟორი, პროფესორი ზიგფრიდ რიუბენი.

იგი აღფრთოვანებული იყო ქართული სიმღერით: „მთელი მსოფლიო მომივლია, სად არ ვყოფილვარ გასტროლებზე, დაწყებული სამხრეთ ამერიკით და დამთავრებული აღმოსავლეთ ციმბირით. ჩემდა სამწუხაროდ, პირველად გავეცანი ქართულ ხალხურ სიმღერას. ეს გენიალურია, მსგავსი არაფერი მომისმენია. მადლობა ქართველ ხალხს, რომ ასე შესანიშნავად შეინახეს უძველესი ხალხური სიმღერები და მათი შესრულების საუკეთესო ტრადიციები. მაგრამ ეს ხელოვნება მარტო თქვენ არ გეკუთვნით. ბედნიერი ვარ, რომ ყოველივე ეს, რაცა დღეს მოვისმინე, კაცობრიობის საკუთრებაა; როგორც ხელოვნების სხვა შედევრები, იგი ადამიანთა მოდგმის შექმნილია და ამ ადამიანთა შორის მეც ვარ; უდიდესი ხელოვნება ზოგადსაკაცობრიოა, ასეთია თქვენი სიმღერებიც.

გერმანული მუსიკალური კულტურა მსოფლიო შედევრებს შორისაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენი ეკონომიკა გაძლიერდა და გერმანელი ხალხი მაძღარი გახდა, გერმანიაში ხელოვნებამ ფასი დაკარგა; დღეს აღიარებულ გერმანულ შედევრებს სხვა ქვეყნები ინახავენ, მათ შორის რუსებიც. გერმანელმა კაცმა დაკარგა ჭეშმარიტი ხელოვნების აღქმის უნარი. იგი მაძღარია და რაღაც იოლ გასართობ საშუალებებს ეძებს. ამიტომ მოიკიდა ჩვენთან ფეხი დასავლეთის ხშირ შემთხვევაში მდარე პოპულარულმა მუსიკამ, რომელიც არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს მუსიკას წალეკვით ემუქრება.

თქვენი ეკონომიკა ახლა მძიმე მდგომარეობაშია, ქართველი ხალხი უკიდურეს სიდუხჭირეს განიცდის, სამაგიეროდ, თქვენი სულიერი კულტურა ამაღლდა უმაღლეს დონეზე. ალბათ არსებობს რაღაც კანონზომიერება – როცა ფიზიკური შესაძლებლობა ეცემა, სულიერი კულტურა მაღლდება. როგორ გგონიათ, როცა თქვენი ეკონომიკა

მომძლავრდება და ქართველი ხალხი ჩვენსავით მაძღარი იქნება, თქვენს სიმღერებს ჩვენსავით დავიწყება ხომ არ ემუქრება?“

- ამის საშიშროება არ არსებობს. ჩვენმა სიმღერებმა საუკუნეებს გაუძლო, იგი ტრადიციულად საუკუნიდან საუკუნეში გადაეცემოდა მომავალ თაობებს. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. ჩვენს ბავშვებს ვასწავლით ხალხურ სიმღერას, იმ სიმღერებს, რომელიც თქვენ დღეს მოისმინეთ. მთელ საქართველოში მღერიან ბავშვები. სიმღერა მაშინ კვდება, როცა მას ახალგაზრდობა ივიწყებს. ჩვენ მოვახერხეთ და ახალგაზრდობა ავამღერეთ. ამჟამად გვყავს დიდი არმია პატარა მომღერლებისა, რომლებიც 21-ე საუკუნეში გააგრძელებენ ჩვენს საუკეთესო სასიმღერო ტრადიციებს. ამის ერთი ნათელი მაგალითია „მართვე“, – ვუპასუხე მე.

– ეს შესანიშნავია, ეს ერთადერთი ხსნაა, – წამოიძახა მხცოვანმა პროფესორმა, – თუ თქვენი ბავშვები აგრძელებენ ამ უბადლო სასიმღერო ტრადიციებს და იმ ურთულეს სიმღერებს ასრულებენ, რომელიც დღეს მოვისმინეთ, მაშინ ქართულ სიმღერას და მასთან ერთად საქართველოს გადაშენება არ უწერია.

1996 წ.

„მართვეზე“ ამბობენ და ნიშნავენ...

ამ 10 წლის წინათ ანზორ ერქომაიშვილმა მთხოვა, პირველს მე დამელოცა ეს ანსამბლი. მთხოვა, ალბათ, როგორც მელომანს, მე მელომანი ვარ და ძალიან მიყვარს მუსიკა. მთხოვა და მივედი, დავლოცე და მონაწილეობა მივიღე „მართვეს“ პირველ ტელეგადაცემაში. 10 წელი გავიდა მას შემდეგ და რამოდენები გახდნენ ეს ბაშვები, ამას წინათ ვუყურებდი ესტრადაზე, ძალიან დიდი საქმე გაკეთდა.

არ შეიძლება, რომ არ ითქვას ანზორ ერქომაიშვილზე – დიდ საქმეს აკეთებს, ძალიან დიდ საქმეს: მუსიკალური ფოლკლორი, მისი შენახვა, მისი აღდგენა – ეს ერთგვარი მუსიკალური არქეოლოგიაა, ეძებ, მოგაქვს და მოგაქვს ძირიდან, ფესვებამდე შესანიშნავი ქართული სიმღერები და ამას აკეთებს დღეს პირველ ყოვლისა ანზორ ერქომაიშვილი. რასაკვირველია, ჩვენი კომპოზიტორებიც სარგებლობენ ჩვენი მუსიკალური ფოლკლორით, მაგრამ ისინი თავიანთ შემოქმედებაში იყენებენ, როგორც ჩვენ – მწერლები და პოეტები ვიყენებთ ჩვენს ფოლკლორს.

მუსიკალური ფოლკლორის აღდგენა, იმის გამოტანა, იმის ამოწევა ზევით და მისი შენახვა საშვილიშვილო საქმეა და ანზორმაც სწორედ ბავშვებს მიმართა. ეს ბავშვები მერე შემდეგ თაობებს გადასცემენ და ასე გადაეცემა საუკუნეებს ანზორის მიერ დაწყებული ეს საქმე.

მშვენიერი საბავშვო ანსამბლი შეიქმნა, – „მართვე“. ჩვენ ამ ანსამბლით დღეს ყველანი ვამაყობთ. როცა ჩამოდიან უცხოელი სტუმრები, პატივსაცემი ხალხი, ჩვენ სანიმუშოდ ვაჩვენებთ „მართვეს“ კონცერტს და ისინიც აღტაცებული უსმენენ ქართულ სიმღერებს ბავშვთა ანსამბლის შესრულებით. ძალიან კარგი საქმეა.

ჩვენ ყველანი დიდად მადლობელი ვართ ამ საქმეებისთვის. საბავშვო ანსამბლ „მართვეს“ ვუსურვებ დიდ წარმატებებს და დავლოცავ ისე, როგორც პირველ დღეს დავლოცე ეს ბიჭუნები, ეს ბავშვები, ეს ანსამბლი. ახლაც სულით და გულით ვლოცავ

ამ 10 წლისთავზე და მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მომეცა დალოცვის საშუალება. მაშინ არ მეგონა, თუ 10 წლისთავზე კიდევ დავლოცავდი, თუმცა შეიძლება მოხდეს, რომ 10 წლის შემდეგ კიდევ დავლოცო.

მე ერთი ლექსი მაქვს დაწერილი, რომელიც მიესადაგება ამ ანსამბლს და ქართულ სიმღერას:

„ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია,
ეს სიმღერები მაღალ მთებს გვანან,
ჩვენი სიმღერები პირამიდებია,
მათ უკან საუკუნეები დგანან".

ირაკლი აბაშიძე, პოეტი, აკადემიკოსი

* * *

„მართვეს" იუბილესთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი: თბილისში ჩამოვიდა დიმიტრი კაბალევსკი, ცნობილი კომპოზიტორი და პედაგოგი, ბევრი ახალგაზრდის აღმზრდელი. მან მოისმინა ანსამბლი „მართვე" და ძალიან მოეწონა. მისი წინადადებით, ანსამბლი გაემგზავრა ვარშავაში მსოფლიო ფესტივალზე, ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის ფესტივალზე.

იქ „მართვემ" საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. მან შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. საქმე იმაშია, რომ ურთულესი მრავალხმიანი სიმღერები, ასე ომახიანად და ლაზათიანად შესრულებული პატარა ბავშვებისაგან, რასაკვირველია, იქაური ფესტივალისა თუ კონგრესის მონაწილეებს არ მოუსმენიათ, ამიტომ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

პოლონელები მოდიოდნენ, გვეკითხებოდნენ, თუ როგორ დაარსდა ეს ანსამბლი. გაიცნეს მისი ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი და დიდად შეაქეს. ჩვენთვის ეს ძალიან სასიამოვნო გახლდათ.

თითქმის ყველა ორატორი იხსენებდა ამ ანსამბლის გამოსვლას და ამბობდა, რომ ეს არის მაგალითი ახალგაზრდობის ხალხურ სიმღერაზე აღზრდისა. ეს აკლია სწორედ ევროპულ ქვეყნებს. ეს გვაკლია ჩვენც საშუალო სკოლებში ახალგაზრდობის თანამედროვე აღზრდისათვის. „მართვე" ამ მხრივ აკეთებს დიდ საქმეს, მას არაერთი მიმდევარი გაუჩნდა. სკოლებში ახლა ქართულ სიმღერებს ასწავლიან, გუნდურად მღერიან და ეს ძალიან პროფესიული მოვლენაა.

მე სულით და გულით ვულოცავ ანსამბლს 10 წლის იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

ოთარ თაქთაქიშვილი, კომპოზიტორი

* * *

როდესაც „მართვეზე" ვლაპარაკობ, მაინც არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ ვთქვა ჩემი დიდი მადლობა და არა მარტო ჩემი, ალბათ, მთელი ქართველი ერისა და ქართველი ხალხის დიდი მადლობა იმ მნიშვნელოვანი სამუშაოსათვის, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი აკეთებს ქართული კულტურის სადიდებლად.

გუნდი უყალიბებს ბავშვებს ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გრძნობას და, რაც მთავარია, „მართვეში" სიმღერა უვითარებს ამ ბავშვებს თავისი ერის წარსულის, მისი ისტორიის სიყვარულს, სიამაყეს ეროვნული კულტურით, განსაკუთრებით

სათუთ დამოკიდებულებას ეროვნული კულტურის წარსულისადმი და ამავე დროს ემსახურება მათ ესთეტიკურად აღზრდას. ასე რომ, ამ გუნდს ძალიან დიდი დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს.

მე „მართვეს“ გამოსვლას უფრო ხშირად ტელევიზიით ვუსმენ და ის ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მე ისინი უშუალოდაც მოვისმინე რამდენჯერმე, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა „მართვეს“ ერთობლივმა გამოსვლამ იაპონელების ფოლკლორულ გუნდთან ერთად, როდესაც მათ ერთად შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები.

„მართვეს“ მოღვაწეობა ქართველი ახალგაზრდობისათვის მისაბაძი მაგალითია.

ვულოცავ ამ გუნდს სახელოვან იუბილეს.

მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი, აკადემიკოსი

* * *

„მართვეს“ დაარსება ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, უფრო დიდი მოვლენაა, ვიდრე, უბრალოდ, უმშვენიერესი ანსამბლის შექმნა და ჩამოყალიბება. 20 წლის მანძილზე „მართვეს“ 1500 კონცერტი გაუმართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ბევრგან, აღტაცებულებს, მეორედაც კი მიუწვევიათ. ასე აზიარეს პატარა მომღერლებმა მილიონობით მაყურებელი და მსმენელი უმშვენიერეს და უნიკალურ ქართულ ხალხურ სიმღერებს. რასაკვირველია, ეს დიდი დამსახურებაა, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ჩემთვის „მართვეს“ დაარსება გაცილებით დიდი, ჭეშმარიტად ეროვნული მოვლენაა. დღეს, როცა ქართველი ახალგაზრდობა ასეა გატაცებული უცხოური მდარე, იაფფასიანი, მასობრივი ხელოვნებით და მათ შორის მუსიკით, დღეს, აუდიო და ვიდეო ტექნიკის ეპოქაში, როცა ქართველმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა ლამის დაივიწყეს ქართველი ხალხის უძველესი ტრადიცია, თვითონ იმღერონ, შინაგანად დატკბნენ და სხვებიც დაატკბონ ქართული სიმღერის უნიკალური პოლიფონიით, დღეს, როცა ქართველი ბავშვები ლამის იქცნენ მხოლოდ მსმენელებად, „მართვემ“ დროულად დაიგრგვინა და თანატოლებისათვის დიდი ზარი ჩამოკრა, მშობლიურია მთავარიო.

ბატონ ანზორ ერქომაიშვილს არა ერთი და ორი დიდი საქმე გაუკეთებია, მაგრამ მიმაჩნია, რომ „მართვე“ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის გვირგვინია – „მართვემ“ ქართველი ბავშვები კვლავ დააყენა ეროვნულ ნიადაგზე.

გურამ ფანჯიკიძე, მწერალი

* * *

„მართვე“ პატარა საქართველოა!

თუ საქართველოს მთლიანობა უწერია და თუ მართლა ძალა ერთობაშია, ხოლო ღმერთი ერთია, ქართველი ხალხი სიმღერამ და ლექსმა გადაარჩინა. არ მეგულება პოეტი, რომლის ერთ ლექსს მაინც „სიმღერა“ არ ერქვას. დიდებული სტრიქონი აქვს ვაჟა-ფშაველას, რომელიც ამ შემთხვევაში უთუოდ მოსატანია – „მემღერება და ვმღერი“... ულხინდა ქართველს და მღეროდა, უჭირდა და მაინც მღეროდა, ოღონდ „ზარი“ დაარქვა ჭირის სიმღერას, – თავზარდამცემი სიტყვა.

თუ კარგად ჩავწვდებით, ვიგრძნობთ, რომ ქართულ სიმღერაში მზისა და ღვინის

ძალაა. მე ახლა არ მახსოვს, რა დროს შეიქმნა „მართვე“, ძალიან რომ უჭირდა საქართველოს, თუ ძალიან რომ ულხინდა, ის კი მახსოვს, პირველი მოსმენისას ცრემლი მომადგა და ჩემთვის ვთქვი: რა უნდათ, რას გვერჩიან? ამ სიმღერების პატრონ ხალხს რად უნდა მტრობდნენ? ან ერთმანეთს რად უნდა ვმტრობდეთ?

ახლაც მიკვირს, ვის მოაფიქრდა, „მართვე“ დაერქმია ანსამბლისათვის?

მახსოვს, ბატონ ანზორ ერქომაიშვილს ვუთხარი, მოდი, ერთხელ ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩვენი მტრები შევყაროთ და „მართვეს“ სიმღერა მოვასმენინოთ, ეგებ მორჯულდნენ-მეთქი. მტერს ქართული სიმღერა თუ მოარჯულებს.

„მეოთხე დღეს ბრძანე, შექმნილიყო მზის ბრწყინვალება, მთვარის ნათელი და ვარსკვლავთა წყობა“ – ასე სწერია ბიბლიაში, იქნებ სწორედ იმ დღეს შექმნილს ერქვა სიმღერა?

„მართვეს“ გაუმარჯოს!

„მართვე“ პატარა საქართველოა!

ჯანსულ ჩარკვიანი, პოეტი

* * *

ქართველი ხალხის მაღალი კულტურის უბრწყინვალეს ნაწილს მრავალხმიანი ხალხური სიმღერა შეადგენს, რომელიც მსოფლიო მუსიკალური ავტორიტეტების მიერ უმაღლესი რანგის ხელოვნებად არის მიჩნეული.

მრავალხმიანი ხალხური სიმღერა ქართველებს უძველესი დროიდან მოგვყვება, ახალ-ახალი ჰანგებითა და შინაარსით გამდიდრებული. ხალხურ სიმღერაში აისახება მრავალსაუკუნოვანი ჩვენი კულტურა და სულიერი ცხოვრება. სწორედ ამან განაპირობა ქართველი ხალხის ის ძლიერი სულისკვეთება, რომელიც კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და ამ ტრადიციების შთამომავლობისათვის გადაცემას უწყობს ხელს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლებისა და სასიმღერო გუნდების ჩამოყალიბებას. „თუ გინდა ხალხური სიმღერა შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო, და თუ ბავშვი მას შეიყვარებს, ეს სიყვარული მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, და ამით ძველი ტრადიციები გადარჩება“, – ბრძანებს შესანიშნავი მუსიკოსი და ქართული ხალხური სიმღერის დიდი მოამაგე ანზორ ერქომაიშვილი. სწორედ ამ პრინციპის გამტარებელია ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“, რომელმაც წინა თაობისაგან მიიღო შესანიშნავი ქართული ხალხური სასიმღერო ტრადიციები და თავისი ბრწყინვალე საკონცერტო მოღვაწეობით აღტაცებაში მოიყვანა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხური მუსიკის მოყვარულები.

სულითა და გულით მივესალმები ანზორ ერქომაიშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნს – „მართვე“ 20 წლისაა“, – სადაც საინტერესოდ და დიდის გატაცებითაა მოთხრობილი „მართვეს“ შექმნისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის ამბავი.

თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი, ენათმეცნიერი

იფრინე, „მართვე“

მე დიდი გულშემატკივარი ვარ „მართვესი“. თითქმის ყველა თაობა მყავს მოსმენილი და უნდა გამოგიტყდეთ, რომ აღტაცებისაგან ბევრჯერ ცრემლიც მომრევია.

მიმაჩნია, რომ ოცი წელი იმ მოზარდებისთვის, რომლებმაც მონაცვლეობით „მართვეში“ მიიღეს სულიერი ნათლობა, ყველაზე დიდი სიმდიდრეა, რადგან მან გადამწყვეტი როლი შეასრულა მათ ჩამოყალიბებაში. მე მომსწრე ვარ თავდაუზოგავი შრომისა და სიყვარულისა, რომელსაც ანზორი აქსოვს ნორჩების ამ დიდ საკრებულოში. ისინი ყველანი მისი შვილები არიან. დიდი დაფასების ღირსია ქალბატონი ნათელა ჯიღაური, რომელიც მრავალი წლის მანძილზე „არტოს“ ბაღის მკვიდრი გახდა, და თუ არა მისი თავდაუზოგავი შრომა, ასეთ წარმატებას ეს ანსამბლი ვერ მიაღწევდა.

ის მაღალი მხატვრული დონე, რომელიც სცილდება ასაკის შესაძლებლობას და გაოცებას იწვევს, ნიმუში უნდა გახდეს ყველასათვის ხალხური სიმღერისადმი სიყვარულისა და ერთგულებისა.

და განა მარტო სიმღერა? ეს არის მეგობრობის, ჭეშმარიტი მამულიშვილობის და შენი ქვეყნისადმი ერთგულების სამჭედლო. არც არის გასაკვირი, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მათ დიდი სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს.

ჩემი ღრმა რწმენით, ანზორ ერქომაიშვილმა თავისი დიდი საქმით სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი, როცა დრო გავა (და უკვე ჩანს), ფოლკლორის შესწავლა უფრო საყოველთაო გახდება.

დღეგრძელი იყოს ამ დიდი საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელი, დიდი საგვარეულო დინასტიის გამგრძელებელი – ანზორ ერქომაიშვილი – ქართული კულტურის საკეთილდღეოდ!

ბიძინა კვერნაძე, კომპოზიტორი

„მართვეს“ შესახებ

ქართველის გული სიამაყით ივსება, ჩვენს ზღაპრულ სიმღერებს რომ გაიგონებს, ხოლო სიამაყე ასკეცდება და ალმაფრენაში გადადის, როცა ეგ სიმღერა ყმაწვილისაგან გვესმის ისე მწყობრად და ისე შთაგონებით, ისე კვალიფიციურად, პროფესიულად შესრულებული, როგორც ამას ანზორ ერქომაიშვილის აღზრდილი „მართვეს“ ბიჭები სჩადიან.

როცა წარმოვიდგენთ, თუ როგორი ექსტაზით უკრავენ ტაშს ჩვენს ყმაწვილებს საფრანგეთსა და იაპონიაში, ევროპასა თუ აზიაში, გული ივსება იმის იმედით, რომ ოდესმე შეიგნებს მსოფლიო ჩვენს არსებობას, შეიცნობს ჩვენს შექმნილ ფასეულობებს და დააფასებს მათ...

მურმან ლებანიძე, პოეტი

* * *

როდესაც გვსურს წარმოვიდგინოთ, რა შექმნა საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხალხმა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, სად გამომჟღავნდა ყველაზე მკაფიოდ ქართული შემოქმედების ეროვნულობა, მისი „ქართულობა“, ჩვენს ძველ მწერლობასა და ხუროთმოძღვრებასთან ერთად, უპირველესად წარმოგვიდგება ქართული ხალხური სიმღერა. მის მრავალფეროვნებას, მის მხატვრულ დონესა და ორიგინალობას ძნელად თუ შეედრება რამე. იგი განუყოფელია ხალხის ცხოვრებისაგან, რომლის მიერაც არის შთაგონებული, ამ ცხოვრების ჭირისა და ლხინის ამსახველი და მოზიარეა. ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე ხანებში, როცა საქართველოს გადაშენება ემუქრებოდა,

იგი რჩებოდა ეროვნულობის უცვლელ და ურყევ ნიშნად, ხალხს ეროვნულ შეგნებას უმტკიცებდა და მომავლის რწმენას უნერგავდა. ტყუილად კი არ ზრუნავდნენ ერის საუკეთესო შვილები XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სიმღერის გადარჩენისა და აღორძინებისათვის – ესეც ერთი მაჩვენებელთაგანი იყო საზოგადოებრივი აზრის გაცხოველების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებისა იმ ხანად.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ქართული ხალხური სიმღერის ახალი აღორძინების დასაწყისი უკვე ჩვენს დროს, ოცდაათიანი წლებიდან, როდესაც შეიქმნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის, აგრეთვე ხალხური საკრავების ახალი ანსამბლები თბილისსა და ქვეყნის მრავალ კუთხეში. ახსოვთ, როგორ გაღრმავდა და გაფართოვდა მას შემდეგ დღემდე საზოგადოებრივი ინტერესი ხალხური სიმღერის საგანძურისადმი, რა განუზომლად ამაღლდა ხალხური სიმღერის ანსამბლების მხატვრული დონე. ამ ინტერესის სერიოზულობის მაჩვენებელი იყო და არის მომავლისათვის ზრუნვა – ის, რომ შეიქმნა ხალხური სიმღერის საბავშვო ანსამბლები, მათ შორის „მართვე“, რომელსაც არსებობის 20 წელი შეუსრულდა. მან უკვე ლამის მთელი მსოფლიო შემოიარა და მრავალ ქვეყანას გააცნო (უმაღლეს დონეზე) ჩვენი ეროვნული საგანძური, ამ საგანძურის გაცნობა კი ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ სიმღერის გაცნობა იქნებოდა – იგი ნათლად წარმოაჩენს საერთოდ ჩვენი ერის შემოქმედებით პოტენციას, მის ორიგინალობას, განუმეორებლობას. ვერაფერი შეედრება იმ ემოციურ ზემოქმედებას, რომელსაც „მართვეს“ მოსმენა ახდენს.

თუ ვისმე ან რასმე შეუძლია ქართული კულტურის სიმდიდრის გამოჩენა მსოფლიო ასპარეზზე, ერთი პირველთაგანი მათ შორის სწორედ „მართვეა“.

ცნობილია, რომ სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან პერიოდულად იმართებოდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მსოფლიო სიმპოზიუმები – ხან იტალიაში, ხან აქ, ჩვენთან. ეს მეცნიერული შეხვედრებიც იყო და, იმავე დროს, ნამდვილი დღესასწაულებიც. აქ ჩამოდიოდნენ ხელოვნების მცოდნენი, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, ისტორიკოსები; ამ სიმპოზიუმების ორგანიზატორები ვცდილობდით, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა როგორც ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები, ისე ცოცხალი საქართველო, მისი დღევანდელი შემოქმედება, საუკეთესო ანსამბლები. ერთხელ ქართული ხალხური სიმღერის კონცერტი გავმართეთ მცხეთის ჯვარზე. ჩვენი თხოვნით მღეროდა სწორედ „მართვე“. ძნელია სიტყვიერად გადმოცემა იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც ამ კონცერტმა მოახდინა მსმენელებზე. კონცერტის ბოლოს ყველა ცრემლმორეული იყო მღელვარებისაგან. ამაღელვებელი იყო მცხეთის ჯვრის არქიტექტურა, გარემო და, რა თქმა უნდა, თვით სიმღერები, რომლებსაც „მართვეს“ ბიჭუნები უმაღლესი ოსტატობით ასრულებდნენ.

გულით ვულოცავ „მართვეს“ ამ საიუბილეო თარიღს, ვულოცავ თვით მომღერლებს, რომლებიც ბავშვობიდანვე ეროვნული კულტურის მოღვაწეთა რიგში ჩადგნენ, ვულოცავ ანსამბლის ხელმძღვანელებს, ვულოცავ ანზორ ერქომაიშვილს. ეჭვი არ მეპარება, რომ „მართვე“ მომავალშიც ასევე სასახელოდ გააგრძელებს თავის პატრიოტულ მოღვაწეობას და კიდევ უფრო ფართოდ გაიტანს მთელ მსოფლიოში ქართული ხალხური ხელოვნების სახელს.

ვახტანგ ბერიძე, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი
1996 წ.

სიმღერით - სიცოცხლისაკენ, ანუ მივხედოთ ბავშვებს

ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში მუსიკალურ ფოლკლორს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს არის ხმოვანი ქრონიკა, რომელშიც აღიბეჭდა ქართული ხალხური სიმღერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული პროცესი.

ჩვენში ოდითგანვე მოღვაწეობდნენ უნიჭიერესი მგალობელ-მომღერლები, რომლებიც სათუთად ინახავდნენ, ქმნიდნენ და ანვითარებდნენ მუსიკალური ფოლკლორის იშვიათ ნიმუშებს და თაობებს ზეპირი სახით გადასცემდნენ. ცალკე განხილვის საგანია ქართული საეკლესიო საგალობელი, რომელიც ეროვნული მუსიკალური კულტურის იშვიათი მონაპოვარია. საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ეკლესია-მონასტრებში მოღვაწეობდნენ სამგალობლო სკოლებში აღზრდილი მგალობლები და ეს სკოლები მე-20 საუკუნის დასაწყისამდე არსებობდნენ.

სიმღერა-საგალობელი ქართველი კაცის მუდმივი თანამგზავრი იყო. მან დიდად შეუწყო ხელი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და ხალხის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას.

მოგეხსენებათ, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს თავს ესხმოდნენ უცხოელი დამპყრობლები, რომლებიც ანადგურებდნენ კულტურულ ძეგლებს, არბევდნენ, წვავდნენ, ჩეხავდნენ ვენახებს, მიუხედავად ამისა, მან შეინარჩუნა სარწმუნოება, ენა, დამწერლობა, ხუროთმოძღვრება და სასიმღერო კულტურა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის გადარჩენასა და სულიერების შენარჩუნებაში.

ასეთი ტრადიციების მქონე სიმღერა-გალობის ქვეყანაში, ბოლო დროს, სიმღერა თანდათან სცილდება ფესვებს, რომლებთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საუკუნეების განმავლობაში. წავიდნენ უკანასკნელი წარმომადგენლები ძველი სამგალობლო და სასიმღერო სკოლებისა, სოფლებში ხალხური სიმღერა-გალობის მცოდნე თითებზე ჩამოსათვლელი დარჩა. იქმნება საშიშროება, რომ ხალხურ სიმღერას გადაგვარების საფრთხე დაემუქრა და იგი უსულგულო სამუზეუმო ექსპონატად იქცევა.

თუ ხალხური სიმღერა წინათ სოფლებიდან მოდიოდა, ახლა თითქმის შეწყდა რაიონებსა და სოფლებში მუზიცირების საუკეთესო ტრადიცია. ხალხურმა სიმღერამ სოფლიდან ქალაქში, კერძოდ, დედაქალაქში გადაინაცვლა, რაც სწორად არ მიგვაჩნია. სიმღერა სოფელს უნდა დაუბრუნდეს. თავისთავად ცუდი ფაქტია, როცა ქვეყნის მოსახლეობის 1/3 დედაქალაქში ცხოვრობს. ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენი საუკეთესო ტრადიციების მოშლას, მაგრამ ეს კიდევ სხვა პრობლემაა. დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა, მისი სულიერების ამაღლება.

სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდობის სულიერ აღზრდაზე ვიზრუნოთ, ხშირ შემთხვევაში, მათ ცუდ მაგალითს ვაჩვენებთ. ისინი ხედავენ მრავალნაირ უხამსობას, რაც, საუბედუროდ, ჩვენი ქვეყნის მმართველი ორგანოებიდან მოდის. ტელეეკრანებზე იმძლავრა ძალადობამ, აგრესიამ, ბილწსიტყვაობამ...

მაღალი რანგის ჩინოსნები, რომლებიც ახალგაზრდებისათვის სანიმუშონი უნდა იყვნენ, თავს ვერ იკავებენ, ერთმანეთს შეურაცხყოფას საჯაროდ აყენებენ. ყველას

უნდა ახსოვდეს, რომ მათ უკან დგას მომავალი თაობა, რომელიც მაგალითს უფროსებისგან იღებს. გარდა ამისა, ხდება ფასეულობათა გადაფასება, დაეცა საშემსრულებლო დონე, იმძლავრა პროვინციალიზმმა. არაპროფესიონალებმა დაიპყრეს საკონცერტო დარბაზები და ტელეეკრანები, საინფორმაციო საშუალებები უზარმაზარ რეკლამებს უკეთებენ მათ, გახშირდა სიტყვები „ვარსკვლავი" და „გენიოსი". მოკლედ, „ვარსკვლავთცვენაა" საქართველოში. სწორედ ამან მათქმევინა და დამაწერინა: „თუ გენიოსი გიწოდეს, ბედნიერებაა, თუ დაიჯერე – უბედურება".

ე.წ. „თინეიჯერებსაც" იმავე ეპითეტებით ამკობენ, სხვათა შორის, ამ სიტყვას მშვენიერი ქართული შესატყვისი მოეპოვება – ყმაწვილი.

საინფორმაციო საშუალებები ვერ აცნობიერებენ, რომ ამით შეცდომას კი არა, დანაშაულს ჩადიან. სხვათა შორის, რაც ხდება დღეს ქართულ მუსიკაში – საზოგადოების ადეკვატურია.

საქართველო არაერთხელ აღგავეს პირისაგან მიწისა, მაგრამ ქართული სული ვერ მოკლეს და ვერც დაიპყრეს. ჩემი აზრით, ფიზიკური დაპყრობა ქვეყნის დაპყრობას არ ნიშნავს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დანგრეული ეკონომიკის აღდგენა შეიძლება, მაგრამ თუ შენი სული დაიპყრეს, მისი აღდგენა შეუძლებელია. აი, ნამდვილი დაპყრობა რასა ჰქვია.

ამჟამად, ჩვენი ქვეყანა სწორედ ასეთი საშიშროების წინაშე დგას. უცხოეთის აქტიური ჩარევით, ინგრევა ჩვენი სულიერება, რაც ქვეყნის მაღალი კულტურისა და საუკეთესო ტრადიციების განმსაზღვრელია. სანამ გვიან არ არის, შემოვკრათ ზარებს, მოვუხმოთ ყველას, რომ საქართველოს საზღვრებზე დადგნენ ერთგულ ჯარისკაცებად და არ შემოუშვან ათასი ჯურის ეშმაკის მსახურნი, რომლებიც ასე მომრავლდნენ საქართველოში. ასევე, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა მუსიკის ტერორისტებისაგან, რომელიც წალეკვას უქადიან ჩვენს სულიერებას. მტრის ჯარები იმდენ ზიანს ვერ მოგვაყენებენ, რამდენსაც ეს გადამთიელი სულის დამპყრობნი.

ეს იმ პერიოდში ხდება, როცა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდები დიდი ინტერესით სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერას და პოპულარიზაციას უწევენ მას მთელს მსოფლიოში. სამაგალითოდ გამოდგება კარგად ცნობილი ამერიკელი მომღერალი კარლ ლინიქი, რომელიც საქართველოში სიმღერის სიყვარულმა ჩამოიყვანა და ასეთი სიტყვები ათქმევინა: „როცა ვუსმენ, რომ თქვენი ახალგაზრდები ამერიკულ სიმღერებს მღერიან და ამერიკელებს ბაძავენ, მინდა, ხმამაღლა ვიყვირო: ხალხო, რას ჩადით, თქვენ ცდებით, ქართულ სიმღერაზე უკეთესი მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება!"

ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ საქართველოში სულიერებისა და ზნეობის ამაღლებაზე. ამაში დიდად დაგვეხმარება სიმღერა-საგალობლის აღდგენა და პოპულარიზაცია, რადგან არაფერი ინახავს ისე მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა-გალობა. საჭიროა, მომავალ თაობას ჩავუნერგოთ სიმღერის სიყვარული. სიმღერა მარადიულია, თუ თაობებს მიჰყვება, ხოლო კვდება, როცა მას ახალგაზრდობა ივიწყებს.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. თუ მოვახერხეთ და ისინი ავამღერეთ, მაშინ ჩვენს სიმღერებსა და საქართველოს გადაშენება არ უწერია.

ქართულ სიმღერას ერთი საოცარი თვისება აქვს, იგი ამეგობრებს და აყვარებს ხალხს ერთმანეთს. „თუ შენს გვერდით მდგომი არ გიყვარს, ისე სიმღერა არ გამოგი-

ვა“. ურთიერთსიყვარული კარგი სიმღერის გარანტიაა.

იქნებ მარტოობას გაურბოდა ქართველი კაცი, როცა მრავალხმიანი სიმღერა შექმნა, რადგან ქართული სიმღერა შემსრულებლებისგან ერთად ყოფნას და ერთგულებას მოითხოვს, თუ პარტნიორს არ დაეყრდნობი, კარგად ვერ იმღერებ. ღალატი გამორიცხულია, რადგან პარტნიორმა თუ გიღალატა, მაშინ მან საკუთარ თავს უნდა უღალატოს.

მომღერლებს კეთილ ხალხს ეძახიან. კარგი მომღერალი უღირს საქციელს არასოდეს ჩაიდენს, რადგან სიმღერა, თავისთავად, სიკეთის ქმნაა, სიმღერა სიყვარულივით უკვდავია. ამიტომ სიმღერას გავუფრთხილდეთ და იგი ახალგაზრდებს ვასწავლოთ. სიმღერა ხომ ერის ისტორიის ანარეკლია. გავიხსენოთ ბატონი ირაკლი აბაშიძე:

„ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებია,
ეს სიმღერები მაღალ მთებს ჰგვანან,
ჩვენი სიმღერები პირამიდებია,
მათ უკან საუკუნეები დგანან“.

ახალგაზრდებს უნდა ჩავუნერგოთ პატივისცემა ერის წარსულისა და წინაპრების მიმართ, მასწავლებლების მიმართ, ვინაიდან ადამიანს მასწავლებელზე დიდი მოკეთე არა ჰყავს და ის, ვინც სიკეთეს ივიწყებს, ბოროტების ტოლფას დანაშაულს ჩადის.

ახალგაზრდების ვალია, მოიგონონ თავიანთი წინაპრები და მასწავლებლები. მოგონებით შეიძლება, კაცის სახელი მარადიული გავხადოთ.

მე ისევ ამ აზრზე ვარ: თუ გინდა, სიმღერა გადაარჩინო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე იგი მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება, ამით ტრადიციებიც გადარჩება და ესაა სწორედ სიმღერის უკვდავება.

ძველად, საქართველოში, ბავშვები ოჯახებში სწავლობდნენ სიმღერას, მშობლიურ ენასთან ერთად. სიმღერა თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი სახით, ქართული ხალხური სიმღერის გადარჩენა-აღორძინებაში სწორედ ოჯახური მუზიცირების არაჩვეულებრივმა ტრადიციამ შეასრულა უდიდესი როლი. სამწუხაროდ, დღეს ეს წესი თითქმის მოიშალა და, ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ბავშვი ყველაფერს ისმენს ხალხური სიმღერის გარდა.

დღეს ბავშვები საბავშვო ბაღიდანვე სწავლობენ უცხო ენებს, უცხოურ მუსიკასთან ერთად, ახალგაზრდობამ დაივიწყა საუკეთესო მამაპაპური ტრადიცია და ხარბად დაეწაფა, მდარე ხარისხის მუსიკასთან ერთად, იმ მანკიერ ჩვევებს, რამაც წარყვნა მრავალი ქვეყანა, ამიტომაც გავრცელდა ჩვენში ათასნაირი უბედურება – ნარკომანია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადახრები...

ქართველი ბავშვების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში ქართული ხალხური სიმღერა დაგვეხმარება, სიმღერა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პოეზიასთან, ქართულ ყოფასთან, შესრულების წესთან და საერთოდ, ჩვენს საუკეთესო ტრადიციებთან, რაც ასე განასხვავებს ქართველ კაცს სხვებისგან. თუ ეს ყველაფერი დავკარგეთ, მერე ვიღას უნდა ამნაირი საქართველო.

ქართველებს ცოტა რამ გაგვაჩნია ისეთი, რაც მსოფლიოში ყველაზე უკეთ წარმოგვაჩენს. მათ შორის არის სიმღერა და ცეკვა.

მაშინ, როცა უცხოელები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ხელოვნების მიმართ, როცა იუნესკო აღიარებს ქართულ სიმღერას მსოფლიო პოლიფონიის შედევრად, როცა ჩვე-

ნი „ჩაკრულო“ უკვე გასცდა მზის სისტემას და გალაქტიკაში მიიკვლევს გზას, ცოტა უხერხული ხომ არაა, „ჩაკრულოსა“ და ცეკვა „ქართულის“ პატრონი ახალგაზრდობა მდარე ხარისხის მუსიკასა და ტანის ვულგარულ მოძრაობებზე აგებულ ცეკვას ამჯობინებს.

მე წინააღმდეგი კი არა ვარ უცხოური მუსიკის და ენების შესწავლისა, ოღონდ, ბავშვი ჯერ მშობლიურს უნდა ეზიაროს, რადგანაც ერი საკუთარი კულტურით ფასდება და არა სხვა ქვეყნიდან გადმოტანილი დამახინჯებული ხელოვნებით.

მომავალი თაობა ისე უნდა აღვზარდოთ, რომ არც საკუთარი თავის შერცხვეთ და არც ჩვენი საფლავები გაუხდეთ სალანძღავი. ბავშვს საითაც წარმართავ, იქით წავა. ბავშვები, სიმღერით, სინათლისაკენ უნდა წავიყვანოთ...

2006 წ.

კარი VIII

ნაფიქრალები

თუ გენიოსი გიწოდეს, ბედნიერებაა,
თუ დაიჯერებ – უბედურებაა.

ღირსება

1. ჩემი ღირსება ჩემს სიცოცხლეზე წინ დგას.
2. ღირსეულად ატარო შენი გვარის ტრადიცია – დიდი ტვირთია.
3. ღირსება ოცნებაშიც უნდა შეინარჩუნო.
4. უღირს მოყვარეს ღირსეული მტერი სჯობს.
5. ღირსეულ კაცს ღირსების აყრას სიკვდილი უჯობს.
6. ღირსეული კაცის შთამომავალი დიდი განძის მფლობელია.
7. ღირსეულმა კაცმა სიყვარულიც ღირსეული იცის.
8. ღირსებადაკარგულ კაცს მათხოვარი სჯობს.
9. ღმერთი რომ სინდისს არიგებდეს, ღირსეული კაცი რიგში არ ჩადგება.
10. უღირსისათვის სიკვდილი სიცოცხლის დასასრულია, ღირსეულისთვის – მარადიული ცხოვრების დასაწყისი.
11. ადამიანმა უნდა იფიქროს, როგორ იცხოვროს, ამქვეყნიდან ღირსეულად რომ წავიდეს.
12. თუ მარცხდები, შეეცადე, ისე დამარცხდე, რომ გამარჯვებულმა ღირსეულ მეტოქედ ჩაგთვალოს.
13. ერთმა მოხევემ მითხრა: „შიმშილმა სინდისი დამაკარგვინა“. კაცი, რომელსაც შიმშილი ღირსებას ვერ შეულახავს, ყველაზე ღირსეული პიროვნებაა.
14. თუ შენი საქმის ღირსეული გამგრძელებელი გყავს, სიკვდილისა ნუ გეშინია.
15. ღირსეულად განვლო მთელი ცხოვრება – ეს დიდ სიფრთხილესა და მორალურ სიმტკიცეს მოითხოვს.

დედაშვილობა

16. დედაშვილობაში ჩარევის უფლება, უფლის გარდა, არავისა აქვს.
17. დედაშვილურ სიყვარულს სანთელს ღვთისმშობელი უნთებს.
18. დედაშვილური სიყვარული ყველა სიყვარულის დედაა.
19. დედაშვილობა ყველა სულდგმულის არსებობის საფუძველია.
20. დედაშვილობაზე უფრო დიდი გრძნობა ღმერთს არ გაუჩენია.
21. დედაშვილობის ენა ყველა სულდგმულისთვის გასაგებია.

სინდისი

22. ჩემთვის კანონი ჩემი სინდისია, ჩემი სინდისი – ჩემი მსაჯული.
23. ყველაზე დიდი სიმდიდრე სინდის-ნამუსია.

24. ღმერთმა კაცი რომ გააჩინა, კუჭიც გაუჩინა და სინდისიც.
25. უსინდისო კაცისთვის კანონი არ არსებობს, მას ღმერთისაც არ ეშინია.
26. სინდისიერ კაცში სხვა დადებით თვისებებს ნუღარ ეძებ.
27. სინდისიერ კაცს ღამით სანათური არ სჭირდება.
28. სინდისი პიროვნული რანგის განმსაზღვრელია.
29. ზოგს კარგი მუსიკალური სმენა აქვს, მაგრამ „სინდისის უსმენობა" სჭირს, აი, ესაა ნამდვილი სიყრუე.
30. ეშმაკობიდან უსინდისობამდე ერთი ნაბიჯია.
31. თუ გლანძღავენ, მაგრამ სინდისის წინაშე მართალი ხარ, შეგიძლია, მშვიდად დაიძინო. სინდისის ქენჯნა მაშინ უნდა იგრძნო, როცა დაუმსახურებლად გაქებენ.

სიმართლე

32. სიმართლე ჭეშმარიტებას უახლოვდება. ის კანონმდებლობისა და ადამიანთა ურთიერთობის საფუძველია.
33. სიმართლე სინათლის ტოლფასია, რადგან ადამიანთა ურთიერთობაში მას ნათელი შეაქვს.
34. სიმართლისფერი ოცნება ყველა ოცნებაზე ლამაზია.
35. სჯობს, ცუდი სიმართლე თქვა, ვიდრე კარგად იცრუო (არტემ ერქომაიშვილი).
36. სიმართლის მთქმელი, ღმერთის გარდა, არავის უყვარს.
37. სიმართლის თქმისთვის კაცს რომ გაამტყუნებენ, დიდი ცოდვაა.
38. კაიკაცობა სიმართლით იზომება.
39. სიმართლის აღიარება თვით უმძიმეს დამნაშავეებსაც კი შვებას ჰგვრის.
40. ბუნებაში ყველაფერი იცვლება, გარდა სიმართლისა.

მადლიერება

41. რომელ ქვეყანაშიც ჩახვალ, იქაურ ენაზე პირველად სიტყვა „მადლობა" უნდა ისწავლო.
42. მადლობა შესწირე ღმერთს, თუ სიკეთის კეთების სურვილი გარგუნა და ბუნების მშვენიერებით ტკბობის საშუალება მოგცა.
43. მადლს ღმერთის ხელით აკეთებ, მაგრამ მადლობას თავად იხდი.
44. მადლობა მტერსაც უნდა გადაუხადო, რადგან ღირსეულ მეტოქედ აგირჩია.
45. ადამიანი, ვისაც შეწყალების, მონანიებისა და მადლიერების გრძნობა არ გააჩნია, მეტად საშიში პიროვნებაა.

მასწავლებელი

46. მასწავლებელი შენი მოძღვარია.
47. მასწავლებლის სიკეთე აუწონელია.
48. მასწავლებლის ნათელი მოსწავლეს უკუნ ღამესაც გაუნათებს.
49. მასწავლებლის გატკეპნილ გზაზე შეგიძლია თვალდახუჭულმა იარო.
50. მასწავლებელი მოსწავლით ფასობს, მოსწავლე – მასწავლებლისადმი მადლიერებით.
51. ჩემს მასწავლებლად ვთვლი ყველა ეპოქის დიდ პიროვნებას, ვისგანაც რამე მისწავლია.
52. მასწავლებელი უფლის რჩეულია.
53. მასწავლებლის სიკეთის დავიწყება ყველაზე მძიმე ფორმის სკლეროზია.
54. თუ მასწავლებელი სანთელივით არ იწვის, მოსწავლეს გზას ვერ გაუნათებს.
55. თუ შენი წარმატებით შენს მასწავლებელს გადააჭარბებ, ამას მარტო შენს დამსახურებად ნუ მიიჩნევ, ეს უფრო მასწავლებლის წარმატებაა.
56. სანამ ცოცხალი ხარ, თავს მოსწავლედ უნდა თვლიდე, რადგან ყოველდღე რაღაცას სწავლობ.
57. სხვას რომ ცოტა ასწავლო, თვითონ ბევრი უნდა იცოდე.
58. ისე უნდა იცხოვრო, რომ შთამომავლობას მასწავლებლად გამოადგე.
59. ბულბული ყველას უყვარს, მაგრამ არავის უკითხავს, ვინ იყო მისი მასწავლებელი.
60. მასწავლებლის მგმობელს მზე სხივებს არ მოჰფენს.
61. ვინც თავისი მასწავლებლის რჩევა-დარიგებას მიიღებს, მისი მომავალი ნათელია.
62. ქართველი ხალხის ყველაზე დიდი მასწავლებლები შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი და ილია ჭავჭავაძეა.

სიკეთე

63. უფალმა ადამიანი სიკეთისთვის გააჩინა.
64. სიკეთის ქმნა ადამიანს აკეთილშობილებს და სულს ულამაზებს.
65. რაც უნდა დიდი სიკეთე აკეთო, თუ მას მიზნად ანგარება უდევს, სიკეთედ არ ჩაითვლება.
66. ბოროტებას რომ სიკეთით უპასუხებ, ყველაზე დიდი სიკეთეა.
67. ადამიანებში თუ მხოლოდ სიკეთეს ეძებ, ცხოვრება გაგიადვილდება (არტემი).
68. კაცის სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, თუ საზოგადოებისთვის სიკეთე მოაქვს.
69. სიკეთის მთესველი წინაპრებს პირნათელი შეხვდება.
70. სიკეთის მთესველ კაცს თავზე ნათელი ადგას.
71. კაცი, რომელიც სიკეთეს ვერ ხედავს, უსინათლოზე უფრო ბრმაა.
72. ცოდვებს სიკეთის კეთებით უფრო მოინანიებ, ვიდრე ლოცვით.
73. სიკეთეს ღმერთი ადამიანის ხელით აკეთებს. ბედნიერია ყველა, ვისაც უფალი ამ საქმისთვის შეარჩევს.

74. დამადლებული სიკეთის კეთებას არგაკეთება სჯობს.
75. ბოროტების არჩადენა ერთგვარი სიკეთეა, ხოლო სიკეთის დავიწყება ბოროტების ტოლფასია.
76. თუ მზესთან შეზავებული ბუნება არ გაქვს, სიკეთის ქმნას ვერ შეძლებ.

სიყვარული

77. ცხოვრების არსი სიყვარულია.
78. ყველაზე უნიჭოა ის, ვისაც სიყვარულის ნიჭი არა აქვს.
79. სიყვარულით მოძღვნილი წიწაკაც ტკბილია.
80. ფანატიკური სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია.
81. სიყვარული სიკეთის გზამკვლევია.
82. შეყვარებულები მზის სხივებს მიჰყვებიან და ცისკენ ილტვიან.
83. სიყვარულის ახსნა ყველაზე ძნელი აღსარებაა.
84. ვისაც სიყვარული არ შეუძლია, ის დიდ საქმეს ვერ გააკეთებს.
85. შეყვარებულზე დიდი მეოცნებე არ არსებობს.
86. ვიდრე გიყვარს, ახალგაზრდა ხარ.
87. თუ უყვარს, კაცი ციდან დაშვებულ თქეშში წვიმის ჭავლს მაღლა აჰყვება და შეყვარებულს ღრუბლებს ზემოთ, მზის გულზე იპოვნის.
88. სიყვარულსა და მეგობრობას ეროვნება და საზღვრები არა აქვს.
89. ყველა დიდი საქმე სიყვარულით იწყება.
90. უყვარდე შენს ხალხს – ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.
91. როცა სხვას უყვარხარ, სასიამოვნოა, მაგრამ თუ შენც გიყვარს – ბედნიერება!
92. ვინმეს თუ არ უყვარხარ, ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდი კაცია.
93. დაფარული სიყვარული დაჩლუნგდება და დამჭკნარ ყვავილს დაემსგავსება.
94. თუ გიყვარს, გულს ენდე, ფილოსოფოსობას თავი დაანებე, თორემ შეიძლება, უტოპიაში აღმოჩნდე.
95. ხალხის სიყვარულის მოპოვება ძნელია, დაკარგვა – იოლი.
96. ვარდს უნდა ეახლო და მოეფერო, მაშინ იგი ლამაზი ქალივით გაიბადრება და სიყვარულით აგავსებს.
97. ვისაც ადამიანი არ უყვარს, იგი ღმერთსაც ვერ შეიყვარებს.

სიმღერა

98. სიმღერა სიყვარულის საგალობელია.
99. სიმღერა ადამიანის სულის ყვავილია.
100. სიმღერა მაშინაა ლამაზი, როცა მას სიყვარულით მღერიან.

101. სიმღერა რომ შეინახო, ბავშვებს უნდა ასწავლო.
102. მგალობელი ჩიტი მტაცებელი ვერ გახდება.
103. სიმღერა მარადიულია, თუ თაობებს მიჰყვება.
104. თუ გინდა, სიმღერა სხვას შეაყვარო, ჯერ შენ უნდა გიყვარდეს.
105. შავი შაშვი მგალობელია და „შავებში" არ ჩაითვლება.
106. „რა ესმოდათ მღერა ყმისა", – რუსთაველი უთუოდ ქართულ სიმღერას გულისხმობდა.
107. სიმღერის სწავლება დიდი სიკეთეა, რადგან ის ადამიანს აკეთილშობილებს.
108. ახალგაზრდა მომღერალი მაჭარს ჰგავს, თუ სიმღერაში არ დაადუღე, ძმრად გადაიქცევა.
109. ცუდ მომღერალს კარგი მსმენელი სჯობს.
110. თუ ხალხში გაბნეულ სიმღერის მარგალიტებს მოძებნი და ახალგაზრდებში პურის მარცვალივით მიმოაბნევ, შესანიშნავი ყანა ამოგივა, მწიფე თავთავებით.
111. თუ შენი სიმღერით სხვას სიამოვნებას ვერ ანიჭებ, გიჯობს, გაჩერდე.
112. გეოგრაფიულ რუკაზე საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მსოფლიოს მუსიკალური რუკა რომ შეიქმნას, დიდ ადგილს დაიკავებს.
113. შენობას ქარი და მიწისძვრა დაანგრევს, სიმღერას – ცუდი მომღერალი.
114. კარგი სიმღერა, ხშირად, სიყვარულის მეკვლეა.
115. ქართული ენის მასწავლებელმა პანტელეიმონ იობიშვილმა მითხრა, მთელი საქართველო რომ დაღუპულიყო და მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი", „ჩაკრულო" და „ხასანბეგურა" გადარჩენილიყო, იტყოდნენ, დიდი ცივილიზაციის ქვეყანა დალუპულაო.
116. დანტეს, ბეთჰოვენის, მიქელანჯელოს, შტრაუსისა და სხვა ტიტანების საფლავებთან იმიტომ გავბედეთ სიმღერა, რომ ქართული ხალხური სიმღერაც, მათი შედევრების მსგავსად, უფლის საკუთრებაა.

მეუღლე

117. კარგი მეუღლე ღვთის საჩუქარია.
118. სიკეთით სავსე მეუღლეს ღვთისმშობელი იფარავს.
119. კარგი მეუღლე ოჯახს მზის სხივებით ათბობს.
120. ლამაზი ოჯახის ჰარმონია ბეთჰოვენის მუსიკის ჰარმონიას უტოლდება.
121. უშიშარია ის კაცი, ვისაც, პირველ რიგში, ცოლის არ ეშინია.
122. მოღალატე ცოლის ყოლას აჯობებს ერთგული ძაღლი იყოლიო.
123. უვარგის მეუღლესთან ცხოვრება ცალუღელა ხარის ყოფას ჰგავს.
124. ცოლის მონობას თათარ-მონღოლთა უღელი სჯობს.

ქალი

125. ლამაზი ქალისთვის დრო უნდა გაჩერდეს.
126. ყვავილი მიდამოს ამშვენებს, ქალი – საზოგადოებას.
127. ყვავილი სურნელით გიზიდავს, ქალი – ხასიათით.
128. ქალს თუ ღირსეულად მოექცევი, ლამაზი ყვავილივით გაიფურჩქნება.
129. ყაყაჩო, თავისი სურნელით, მყრალი ხასიათის ლამაზ ქალს ჰგავს.
130. ჭირვეული ამინდი ჭირვეულ ქალს მაგონებს.
131. ქალის სხეულის სილამაზე არაფერს ნიშნავს, თუ მკერდში ლამაზი გული არ უძგერს.
132. მსოფლიოში არსად მეგულება უფრო ამაღლებული დამოკიდებულება ქალის მიმართ, როგორც ცეკვა „ქართულშია" გამოსახული.

სხვადასხვა

133. თუ გინდა, ქვეყანას გამოადგე, უნდა აკეთო ის, რაც ხელგეწიფება.
134. ჯანსაღი კრიტიკა ადამიანის სულსა და გონებას კურნავს, ერს აფხიზლებს, ამიტომ ქართველმა კაცმა ხშირად უნდა წაიკითხოს ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი".
135. თუ დღევანდელ საქმეს მომავლისთვის სასიკეთოდ ვერ მოიაზრებ, უმჯობესია, არ გააკეთო.
136. ვინც მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს, მას მომავალი არა აქვს.
137. როცა საფლავს შთამომავალი უვლის, ბედნიერებაა, როცა ხალხი უვლის – უკვდავება!
138. კალამი ყოვლისშემძლე იარაღია.
139. ყველა წოდებას მადლიანი კაცის სახელი გერჩიოს.
140. გონება და ქონება საპირწონედ არ დაიდება.
141. ქართველი ხალხისთვის ილია ჭავჭავაძის შეგონებებს დრო არ საზღვრავს, იგი ყოველდღე თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება.
142. საზღვარი მარტო ქვეყნის ტერიტორიის კი არა, ადამიანთა ქცევის ნორმების განმსაზღვრელიცაა.
143. წამხდარ საქმეს ნუწუნით ვერ უშველი, უმჯობესია, იმოქმედო.
144. მზეს თვალი რომ გაუსწორო, მთვარე მაინც უნდა იყო.
145. მზის სხივებს რა ფასი აქვს, თუ დარაბები დაკეტილია.
146. მაღალი თანამდებობის პირი ერთი რამით ჰგავს მზეს – შორიდან გიღიმის, ახლოს მიხვალ – დაგწვავს.
147. ვინც საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვა, ილია ჭავჭავაძის შეგონებები ასჯერ მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული.

148. სხვისი იმედით აშენებულ ბეღელს საძირკველი გამომპალი აქვს.
149. ფრინველი მაღლა ისე არ აფრინდება, თუ უკან დასაბრუნებელი ადგილი არ ეგულება.
150. ვინც თავის საყვარელ საქმეს ემსახურება, მარად ახალგაზრდა რჩება.
151. ვინც არავის სჭირდება, მალე ბერდება.
152. თუ საქართველო დაივიწყებს, რომ „სტუმარი ღვთისაა“, ის საქართველო აღარ იქნება.
153. შენს კერაზე ცეცხლი რომც არ ენთოს, ის მაინც თბილია, რადგან შენი წინაპრების სითბო მოჰყვება.
154. სცენის მტვერი ყველამ არ უნდა ჩაყლაპოს.
155. ნასვამი კაცი, რომელიც სუფრიდან დროზე წავა, მთვრალი არაა.
156. სიმართლის დამტკიცებას ფიცი არ სჭირდება; ფიცი სისუსტის ნიშანია და უსუსურ მოწმეს ჰგავს (არტემი).
157. სიკვდილი თუ გააუფასურე, მაშინ სიცოცხლესაც ფასი დაეკარგება.
158. უკვდავებას მხოლოდ შენი ნიჭითა და შრომით მოიპოვებ.
159. ვისაც სიმაღლის ეშინია, მისგან მფრინავი არ გამოვა.
160. თუ გინდა, მზის სხივები იხილო, ღრუბლებს უნდა შეევედრო.
161. ყოველგვარ სიამოვნებას ფასი ეკარგება, თუ დიდხანს გრძელდება.
162. როცა საკუთარ თავთან მარტო რჩები, საშუალება გეძლევა, მართლმსაჯულებაზე უკეთ განსაჯო შენი შეცდომები.
163. ოქრო-ვერცხლის ნაცვლად, გიჯობს შთამომავლობას ერთი კარგი წიგნი დაუტოვო.
164. თუ შინაგანად გასხივოსნებული არა ხარ, მზის სხივებთან ვერ იმეგობრებ.
165. ვისაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია, მაღალ თანამდებობაზე მისი დანიშვნა არ ღირს.
166. დიდი ამბიციების მქონე ხელოვანის მოთოკვას ხუთი გაუხედნავი ცხენის მოთოკვა სჯობს.
167. კაცს თავზე ნუ დაისვამ, თორემ შეიძლება ყვავივით ბუდე გაიკეთოს და მთელი ცხოვრება თავზე დაგჩხავლოს.
168. ვინც გულით წერს, მელანი არ სჭირდება.
169. უდროობა უფულობაზე ძნელია.
170. ვნებას თუ ნებაზე მიუშვებ, დიდ უსიამოვნებას გადაეყრები.
171. ნიჭიერი ბოროტი ყველა ბოროტზე უფრო ბოროტია.
172. ომს უმეტესად დაღუპულები იგებენ, გამარჯვებას კი ცოცხლები ზეიმობენ.
173. სხვისი იმედით ნუ იცხოვრებ, სიკვდილთან შეყრა მაინც მარტოს მოგიწევს.
174. კაცის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველა სიმაღლისაკენ ისწრაფვის, ამიტომაც ყველა მაღალი თანამდებობა მუდამ დაკავებულია.
175. როგორც უნდა გაგიჭირდეს, სიხარბემ არ უნდა წაგძლიოს.
176. ჯერ კაცი კაცად უნდა ვარგოდე და შენს ხელოვნებას მერე ექნება ფასი (არტემი).
177. ზოგიერთს მარტო სუფრაზე ახსენდება თავისი წინაპარი და სინამდვილეში არც კი იცის, სადაა მათი საფლავები.

178. პარტიულ-პოლიტიკური იდეით შეპყრობილი კაცი საშიშზე საშიშია (ლენინი, ჰიტლერი,...).
179. გრძელ, საქებარ სადღეგრძელოებს მოკლე შენიშვნა გერჩიოს.
180. ახალგაზრდობა მაგალითს წინაპრებისგან უნდა იღებდეს.
181. შენდამი მოქცევის მიხედვით კაცს ნუ შეაფასებ, დააკვირდი, როგორ ექცევა იგი სხვებს.
182. ხელმოკლე კაცი სულმოკლეზე უფრო მდიდარია.
183. ორპირი ხანჯალი, ქარი და კაცი – სამივე საშიშია.
184. ვინც მხოლოდ წარსულით ცხოვრობს, მომავალს ვერ შექმნის.
185. ბედნიერებაა, თუ ამქვეყნად შენგან მოტანილი სიკეთე რჩება.
186. ბოროტ საქმეში ჩაფლულ კაცს ჭაობში ჩაფლული კაცი სჯობს.
187. ღონიერი ცდილობს, კედელი გაანგრიოს, გონიერი გარს შემოუვლის.
188. საკუთარ თავზე გამარჯვება ყველაზე დიდი გამარჯვებაა.
189. ვინც მიღწეულით კმაყოფილდება, ის ყველა ზარმაცზე უფრო ზარმაცია.
190. ყველაზე ცუდი თვისება სიცრუე და უმადურობაა.
191. რა გინდ ბევრი ისწავლო, ამ სოფლიდან მაინც უსწავლელი წახვალ.
192. უბედურებაა, კაცი რომ დანაშაულს ჩაიდენს, მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა, როცა ამას ვერ აცნობიერებს.
193. სიმთვრალე და უსაქმურობა ბოროტების დედაა.
194. ვინც დროს უქმად კლავს, იგი თვითმკვლელობის ტოლფას დანაშაულს სჩადის.
195. იდეალურია ძმათა სასაფლაო, მეგობართა შორის ყოფნა სიკვდილის შემდეგაც ბედნიერებაა.
196. მართალი კაცის სიტყვა ყველა ფიცზე უფრო მტკიცეა.
197. მტრის გადარჩენა უფრო დიდი ვაჟკაცობაა, ვიდრე მისი მოკვლა.
198. ისევე როგორც ნიჭი, დიდი ნებისყოფაც ღვთის ნაბოძებია.
199. სიკვდილი დადებითი ფენომენია, ზოგჯერ ადამიანს უდიდესი გასაჭირიდან ათავისუფლებს.
200. გულის ტკივილს წამალი კურნავს, სულის ტკივილს – ვერაფერი.
201. ახლა უკან რომ დამაბრუნა, აუ, რამდენ შეცდომას გამოვასწორებდი?!
202. ჩვენ, ყველანი, სიკვდილმისჯილები ვართ, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, როდის მოიყვანს განაჩენს სისრულეში.
203. მარტოკაცი ცუდად დარჭობილ სარს ჰგავს, მისი წაქცევა იოლია.
204. გამრჯე კაცი დიდხანს უნდა ცოცხლობდეს, მაშინ იქნებ უსაქმურებმაც ხელი გაანძრიონ.
205. ნამდვილი მსახიობი არ თამაშობს, თავისი გმირის ცხოვრებით ცხოვრობს.
206. უმჯობესია, შენი გაკეთებული საქმე სხვამ შეაფასოს.
207. ყალბი შექებით კაცს დანაშაულისკენ უბიძგებ.
208. ქვემძრომი კაცი ქვეწარმავალზე უარესია.
209. მოგონებებით შეიძლება კაცის სახელი უკვდავყოთ.
210. კაცს რომ სიცოცხლეს წაართმევ, დანაშაულია, მაგრამ სამშობლოს თუ დაუკარგავ – ორმაგი დანაშაული.

211. თელავში კოლა არაბაშვილს ვკითხე: რას დებ მწნილში ამისთანას, ასეთი გემრიელი რომ გამოგდის-მეთქი? გულსო, – მიპასუხა.
212. თუ საკუთარ თავს სხვისი თვალით არ შეხედავ, შეცდომებს ვერასდროს გამოასწორებს.
213. თუ შენიშვნებს არ მიიღებ, უარეს შეცდომებს დაუშვებ.
214. მაღალი თანამდებობის პირებს ავიწყდებათ, რომ მათაც ჰყავთ მსაჯული – უფალი.
215. უბრალო ნივთი, რომელიც გამოჩენილ პიროვნებას ეკუთვნის, ოქროზე ძვირად ფასობს.
216. მდიდრული საფლავი არაფერს ნიშნავს, მთავარია, ვინ განისვენებს.
217. ხელოვანისთვის შემოქმედებითი სიკვდილი ფიზიკურ სიკვდილზე უარესია.
218. გენიალური ნაწარმოების შექმნა უბრალო კალმითაც შეიძლება.
219. ბრმა თუ სიბნელეს წყვდიადისგან არჩევს, იგი ბრმა აღარაა.
220. სახელმწიფო ღვინით სავსე კასრს ჰგავს, თუ გადააბრუნებ, თხლე თავზე მოექცევა და აიმღვრევა.
221. ცხოვრება ამერიკულ ქარბორბალას ჰგავს, არავინ იცის, ფოთოლივით როდის აგიტაცებს და სად გადაგაგდებს.
222. ადამიანი ღმერთმა იმიტომ გააჩინა, რომ თავისი არსებობით ქვეყანას რაღაც შესძინოს.
223. ურწმუნო კაცი ყველაფერს იკადრებს.
224. ეკლესიის მაგინებელი კაცი სანთელს ვერ აანთებს.
225. განხორციელებული ოცნება ზღაპრულ სინამდვილეს ჰგავს.
226. მტრის მოყვრად მოქცევა – ყველაზე დიდი გამარჯვებაა.
227. თვალი ხანდახან ისეთ რამეს შენიშნავს, რომ სირცხვილს გაჭმევს.
228. ცოდვებს კეთილი მოქმედებით უფრო მოინანიებ, ვიდრე ლოცვით.
229. ერთი შეცდომა ყველას ეპატიება, მაგრამ თუ შეცდომას ხშირად იმეორებ, ეს უკვე დანაშაულია.
230. გონიერება ყოველთვის სჯობს ღონეს, გონიერი ადამიანი სხვასაც მოერევა და საკუთარ თავსაც.
231. მოერიდე იმ კაცთან შეჭიდებას, რომელიც ყველაფერს იკადრებს.
232. ყველაზე დიდი ჰარმონია სულისა და სხეულის ერთიანობაა.
233. არა აქვს მნიშვნელობა, კაცს რით მოკლავ – ტყვიით, ენით თუ კალმით.
234. ვინც დიდ საქმეს აკეთებს, სიკვდილის შიში არა აქვს, უბრალოდ, ამისთვის არ სცალია.
235. თუ შენი საქმის ღირსეული გამგრძელებელი გყავს, სიკვდილის ნუ გეშინია.
236. ყველაზე უსუსურად მაშინ გრძნობ თავს, როცა ადამიანი შველას გთხოვს და ვერ ეხმარები.
237. საბრალოა, ვისაც შემბრალებელი არა ჰყავს.
238. დედმამიშვილი მშობლების საჩუქარია, მეგობარი – ღმერთის.
239. ვისაც საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი არა აქვს, ის სხვასაც სწორად ვერ შეაფასებს.

240. გონებრივ სიბრმავეს თვალით სიბრმავე სჯობს.
241. დეკემბრის დღე წუთისოფელივით მოკლეა.
242. თუ გინდა მზის სხივები მუდმივად გათბობდეს, ღრუბლებს ზევით უნდა აფრინდე.
243. თუ გინდა, საქმე კარგად გამოგივიდეს, ცხოვრებით არ უნდა დატკბე, ცხოვრებას უნდა ებრძოლო.
244. ადამიანი გუთანს ჰგავს: მისი გატანილი კვალი დიდხანს რჩება.
245. თუ გინდა, კაცს უყვარდე, არაფერი სთხოვო.
246. იმდენ მტრობას ვერავინ მოგაყენებს, რამდენსაც საკუთარი თავი.
247. უმიზნო კაცი უსამიზნე თოფს ჰგავს.
248. პრობლემა ის კი არ არის, რაც რეალურად არსებობს, არაფრისგან რომ პრობლემას შექმნი, აი, ისაა ნამდვილი პრობლემა.
249. აწმყოს თუ წარსულის გაგრძელებად არ მოიაზრებ, ისტორიას ვერ შექმნი.
250. ფოტოხელოვანი მაშინაა ძლიერი, თუ ობიექტივი მისი თვალებით ხედავს.
251. სხვისი ლანძღვით ქვეყანა არ აშენდება.
252. რა განსხვავებაა საიქიოს ბინადართა და ჩვენ შორის? – საიქიოში დღეები ემატებათ, ჩვენ გვაკლდება.
253. რა განსხვავებაა ჩვენსა და წინაპრებს შორის? – ჩვენ მათი განვლილი ცხოვრების შეფასება შეგვიძლია, მათ ჩვენი არსებობაც კი არ იციან.
254. თუ წინაპრის მივიწყებულ შედევრს მიაგნებ და ხალხს დაუბრუნებ, ღმერთი შთამომავლობას შენს სახელს არ დაუკარგავს.
255. მოსახლეობის სიმრავლე ერის სიდიადეს არ განსაზღვრავს.
256. კაცი, რომელსაც შურის გრძნობა არ გააჩნია, შურს არასოდეს იძიებს.
257. ერთ ოჯახში „მრავალჟამიერი" ვიმღერეთ. აღტაცებულმა პატარა ბიჭუნამ დედას სთხოვა, „მრავალჟამიერი" მიყიდეო. რას ამბობ შვილო, მაგის ფასი ჯერ ღმერთს არ დაუდგენიაო, – უპასუხა დედამ.
258. ერთი ცუდი კაცი თუ მეორე ცუდს სჯობს, ეს არ ნიშნავს, რომ ის კარგი კაცია.
259. მეგობარში ნუ ეძებ ცუდ თვისებებს, მხოლოდ მის საუკეთესო თვისებებს მიაქციე ყურადღება (არტემი).
260. ცხოვრების საფუძველი შრომა და ადამიანებთან ურთიერთობაა.
261. როცა ბაბუა არტემი კვდებოდა, მითხრა, ცხოვრება სიზმარივით გაქრა, დარჩა მხოლოდ გაკეთებული საქმე."
262. თუ შეგიძლია, რომ შენი კალმით ღირსეული კაცის სახელი შთამომავლობას შემოუნახო და მისი სახელი უკვდავყო, ნუ დაიზარებ ამის გაკეთებას.
263. ადამიანს ფიზიკური ნაკლი ნაკლად არ ჩაეთვლება, თუ ლამაზი სული აქვს.
264. ყველაზე უბედურია ის, ვინც აღარავის სჭირდება.
265. უპირო კაცი უპირო დანას ჰგავს.
266. უპურო და უპირო კაცი – ორივე უცხვირპიროა.
267. უპურო და უპირო მდიდარს სტუმართმოყვარე ღარიბი გლეხი სჯობს.
268. თავმომწონე მდიდარს თავდახრილი მათხოვარი სჯობს.
269. სიკვდილის შემდეგ მარადიულობა კაცის დამსახურებაზეა დამოკიდებული.

270. ავტორიტეტის მოპოვებას ათეული წლები სჭირდება, დაკარგვას – რამდენიმე წუთი.
271. ბედნიერია ის, ვინც ბავშვურ უმანკოებას ყველა ასაკში ინარჩუნებს.
272. უფულობა სიღარიბეს არ ნიშნავს. სულმოკლე კაცი კი ნამდვილად ღარიბია.
273. ვინც გაჭირვებისგან არ გაბოროტდება, დიდი დაფასების ღირსია.
274. ღვინო ღვთიური სასმელია და ბოროტებისთვის არ უნდა გამოიყენო.
275. სამყაროს არსებობის საფუძველი წონასწორობაა.
276. უდანაშაულოდ დასჯილი კაცის ცოდვა დამსჯელ ჯალათს სამარეში ააყეფებს და მის შთამომავალს საუკუნოდ არ მოასვენებს.
277. როცა შენი ქმნილება საყოველთაო საკუთრებად იქცევა, სასუფევლის კარს ღმერთი თვითონ გაგიღებს.
278. ამქვეყნად ყველა ერთნაირად მოდის, მაგრამ სხვადასხვანაირად მიდის.
279. უმადური და შურიანი კაცი ბოროტზე ბოროტია.
280. გამოჩენილი პიროვნებები, უმეტესად, სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობენ, მაგრამ ერთად მსოფლიო ისტორიას ქმნიან.
281. თუ წინაპრით ამაყობ, ისე უნდა იცხოვრო, რომ შენმა შთამომავლობამ შენით იამაყოს.
282. შენი ყველაზე დიდი ტიტული შენი სახელი და გვარია!
283. ნაჯახს თუ არასწორად მოიქნევ, შეიძლება, ის ტოტი მოჭრა, რომელზეც ზიხარ.
284. თუ ვინმეს აღმერთებ, მასთან ახლოს ნუ მიხვალ, თორემ აზრი შეგეცვლება.
285. ცხოვრება გრძელი სავალი გზაა, რომელმაც შეიძლება სამოთხეშიც მიგიყვანოს და ჯოჯოხეთშიც.
286. ცხენი თუ გაგექცა, დაიბრუნებ, ცოლი თუ გაგექცა, მასაც დაიბრუნებ, სიტყვა თუ გაგექცა, ვეღარ დაიბრუნებ.
287. ჯოჯოხეთის კარს თუ კარგ რეკლამას გაუკეთებ, უამრავი ადამიანი მიაწყდება.
288. რეკლამა სატყუარაა, რომელიც ზოგჯერ უღირსსაც ღირსეულად წარმოაჩენს.
289. ნამდვილი შემოქმედი რეკლამის გარეშეც ღმერთის რჩეულია.
290. უგულო კაცს გული არ ასტკივდება.
291. თუ ბუნებით დიპლომატი არა ხარ, ვერც ერთ თანამდებობაზე ივარგებ.
292. თუ შენს ოჯახში მშვიდობა არ სუფევს, ქვეყნის მშვიდობას შენთვის არანაირი ფასი არა აქვს.
293. აღსასრული არ ნიშნავს ყველაფრის დასასრულს.
294. ინტრიგებით, ბილწსიტყვაობითა და სხვისი ლანძღვით მოპოვებულ პოპულარობას ტკბილი სიტყვით უჩინარი ცხოვრება სჯობს.
295. როცა ამორალური პიროვნება სხვის მორალს განიკითხავს, დიდი ცოდვაა.
296. სიტყვით მოკლული კაცი ტყვიით მოკლულზე უბედურია.
297. ყველას არა აქვს უფლება, თავის განვლილ გზას თავაწეულმა გადახედოს.
298. დროს ნუ შეეჭიდები, თორემ დამარცხდები, უმჯობესია საქმეს შეეჭიდო.
299. ბელურას აქებენ, სხვა ფრინველებივით თბილ ქვეყნებში არ მიფრინავსო. ეჰ, შორს ფრენა შემეძლოს, მე ვიცი, სადაც გავფრინდებიო, – თქვა ბელურამ.
300. თავს რომ იტყუებ, ცუდია, მაგრამ რომ ჰგონიათ, მოგატყუეს და სულელად გთვ-

ლიან, უბედურებაა.

301. კაცი, რომელიც ყველაფერს იკადრებს, მეტად საშიშია.
302. დუმილი მარტო თანხმობის კი არა, ხშირად უცოდინრობის ნიშანიცაა.
303. კაცს პატივს იმიტომ ნუ სცემ, რომ მისგან სამაგიეროს მოელი.
304. საქმეში თუ გული არ ჩადე და სიყვარულით არ აკეთე, არაფერი გამოგივა.
305. ხელოვნება ეკუთვნის ხალხსო, ამბობდნენ, – ტყუილია! ხელოვნება ღმერთს ეკუთვნის და იგი მას რჩეულთა ხელით ქმნის.
306. სულიერად და მორალურად გახრწნილ კაცს გასახრწნელად მიწა არ მიიღებს.
307. მომაკვდავი ღმერთს მხოლოდ გადარჩენას სთხოვს, თუ გადარჩა, მერე ყველაფერს სთხოვს.
308. თუ იმისთვის შრომობ, რომ გამოჩნდე, საქმე არ გამოგივა, თუ კეთილ-სინდისიერად იშრომებ, საქმე თვითონ გამოგაჩენს.
309. ვინც უკან დახევა არ იცის, წინ ვერ წავა.
310. უიმედო კაცი წყალწაღებულზე უარესია.
311. ქვეყანას, რომელსაც განათლებული ახალგაზრდობა ჰყავს, მომავალი გარანტირებული აქვს.
312. კაცმა საკუთარი სიცოცხლის ფასიც უნდა იცოდეს და სხვისაც.
313. ცხოვრება თავაწყვეტილ რაშს ჰგავს, ამიტომ მხედარს დიდი ოსტატობა სჭირდება, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხოს.
314. სიბერე ავადმყოფობაა, რომლითაც ყველა ასაკში ავადდებიან.
315. პროვინციალიზმი უფრო განათლებისა და გემოვნების განმსაზღვრელია, ვიდრე ტერიტორიების.
316. გახსოვდეს, რაც უფრო მაღალ თანამდებობაზე დაინიშნები, მით უფრო მეტი ლანძღვის ობიექტი გახდები.
317. ყველაზე დიდი ნატვრა ნანატრის ასრულებაა.
318. წარსული სიზმარს ჰგავს, მომავალი – ოცნებას.
319. ფიქრი აზროვნების დედაა, იგი ყველა მოქმედების საფუძველია.
320. თუ გინდა, სიბერეში ნაკლები შეცდომა დაუშვა, ხშირად უკან უნდა მოიხედო და განვლილი ცხოვრება გააანალიზო.
321. ჩემი პანთეონი იქ არის, სადაც ჩემი წინაპრები წვანან.
322. კაცი, რომელიც ოჯახში წესრიგს ვერ ამყარებს, სახელმწიფო თანამდებობაზე არ უნდა დაინიშნოს.
323. თუ შენი შემოქმედება აღმავლობისკენ მიდის, გიჯობს ჩრდილიანი ადგილი მონახო. ჩრდილში დგომა არა მარტო ზაფხულში, წელიწადის ყველა დროს სჯობს.
324. თუ შენმა სამშობლომ რჩეულთა შორის დაგაყენა, უნდა მუხლებზე დადგე და მიწას ემთხვიო.
325. თუ გულში ცეცხლი არ გინთია, დიდ საქმეს ვერ შეეჭიდები.
326. გარდაცვლილ სახელოვან პიროვნებას გლოვაზე მეტად დაფასება სჭირდება.
327. ცხოვრება ბრძოლის ველს ჰგავს, იმარჯვებს ის, ვინც საბრძოლველად ყოველთვის მზადაა.
328. შენს გაჭირვებას სხვას რაც უფრო ნაკლებ მოახვევ თავს, უკეთესია – უფრო

თანაგიგრძნობს.

329. თუ ვინმე შეურაცხყოფას მოგაყენებს და სამაგიეროს არ გადაუხდი, კარგია, მაგრამ პატივს თუ გცემს და სამაგიერო პატივს არ მიაგებ, ცუდია.
330. თუ ხელოვან ვარსკვლავებს ღირსეულ ადგილს არ მიუჩენ, ისინი უსასრულო სივრცეში განიბნევიან.
331. თუ წინაპრების ნაკვალევს მეძებარივით გაჰყვები, ტაძრამდე მიხვალ.
332. თუ სხვის ცუდს არ ინატრებ, ყველა ნატვრა შეგისრულდება.
333. სიმდიდრე ოქროთი არ იზომება, სიკეთიანი კაცი უფრო მდიდარია.
334. უიმედო კაცი წყალწაღებულზე უარესია.
335. იმედი ღმერთის საჩუქარია.
336. გული სანთელსა ჰგავს, თუ აანთებ ქვეყანას გადაანათებ.
337. გულს თუ არ შეაწუხებ, თითონაც ნაკლებად შეგაწუხებს.
338. კაცი, რომელიც სიკეთეს ივიწყებს, სკლეროზიანზე მძიმე ავადმყოფია.
339. ვისაც სიკეთეს უკეთებ და არ დაგიფასებს, შენთვის ორმაგი მადლია.
340. რაც უფრო გაულამაზებ ცხოვრებას სხვებს, მით უფრო გალამაზდები.
341. სილამაზე სტუმარია, სიბერე მასპინძელი.
342. თუ გონება ემოციებს წინ არ უსწრებს, ბევრ ხიფათს გადაეყრები.
343. სულის ტკივილი ფიზიკურ ტკივილზე უფრო მძიმეა.

ფინალი

344. ყველა ქვეყანაში მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ ავადმყოფი ბავშვებისთვის ფული ჩარიცხონ. ამ დროს მათ გასანადგურებლად შექმნილი უძლიერესი იარაღის შექმნაზე მილიარდები იხარჯება. რა იქნება, ეს ფული ისევ ავადმყოფ ბავშვებს მოხმარდეს?!
345. რაც დღეს მსოფლიოში შეიარაღებაზე ფული იხარჯება ადამიანის მოსაკლავად, ის ფული რომ ხალხის კეთილდღეობას მოხმარდეს, დედამიწაზე ყველა ბედნიერად იცხოვრებს.

2018 წ.

CD 1

1. **ჰამლეტ გონაშვილი** – „ოროველა“ – 05.30
2. **მიხეილ შავიშვილი** – „ხასანბეგურა“ – 03.22
3. **ლევან ასაბაშვილი** – „მრავალჟამიერი“ – 02.02
4. **სამუელ ჩავლეიშვილი** – „ჩვენ მშვიდობა“ – 02.51
5. **სანდრო კავსაძე** – „ურმული“ – 02.44
6. **ნოკო ხურცია** – „ჰარირა“ – 03.34
7. **მიხო ჯილაური** – „ბერიკაცი“ – 02.36
8. **ქიონია ბარამია** – „ჰარირა“ (ჩონგურზე) – 02.12
9. **ელენე ჭუბაბრია** – „დიდოუ ნანა“ – 02.36

CD 2

1. **ზურაბ ანჯაფარიძე** – გერმანის არია პ. ჩაიკოვსკის ოპერიდან „პიკის ქალი“ – 02.00
2. **ნოდარ გაბუნია** – „იგავი“ სამი მომღერლის, ინსტრუმენტული სეპტეტისა და მთხრობელისათვის (სულხან-საბას „სოფლის მაშენებელნის“ მიხედვით), სოლისტები: გომარ სიხარულიძე, ნოდარ ფულარიანი, ანზორ ერქომაიშვილი. მთხრობელი ჯუმბერ ძიძავა – 11.14
3. **ოთარ თაქთაქიშვილი** – მინდიას არია ოპერიდან „მინდია“. ასრულებს ზ. ანჯაფარიძე – 04.24
4. **ბიძინა კვერნაძე** – „ცეკვა-ფანტაზია“ სიმფონიური ორკესტრისათვის. დირიჟორი ჯანსულ კახიძე – 10.12
5. **ჯანსულ კახიძე** – „მთაწმინდის მთვარე“, ლექსი გალაკტიონ ტაბიძის. ასრულებს ავტორი – 04.00
6. **რევაზ ლაღიძე** – სიმფონიური სურათი „საჭიდაო“. დირიჟორი კანსულ კახიძე – 02.20
7. **ზურაბ სოტკილავა** – კავარადოსის არია ჯ. პუჩინის ოპერიდან „ტოსკა“ – 03.00
8. **სულხან ცინცაძე** – საკვარტეტო მინიატურები. ასრულებს ს. ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტ კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით.

   „ცოლი გამიდიდგულდა“ – 01.26.

   „სულიკო“ – 02.54.

   „სოფლური ცეკვა“ – 01.46.

   „სიმღერა“ – 02.35.

   „მწყემსური“ – 01.21.

სარჩევი

კარი I 7

საოჯახოსნო

კარი II 99

საგანსწავლო გზებზე

კარი III 197

დაკვირვებანი შეხვედრებზე

კარი IV 253

ზედი კაცისა

კარი V 273

ხმანი უცნაურნი

კარი VI 293

ძვირფასი სიკუდილები

კარი VI 317

სიშლეების გადასარჩენად

კარი VIII 403

ნაფიქრალები

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com
ტ. 239-15-22